

ჯემბერ ლეკავას სახელობის მეცნიერებათა  
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

# ანთოლოგია

VIII  
ტემი

ჯუმარების დაცვისას სახელმის მინისტრის  
მოწოდების მიზანით სამინისტრო

# ა ნ თ ო ლ ო გ ი ა

## VIII ტომი

ექვემდებარებულ დეკრეტი  
80 წლის თებერვალს

UDC(უაკ)908(479.22)  
ა-659



იუნესკოს მსოფლიო დესპანი, მსოფლიოს სპორტსმენი, გაეროს ბუნების დაცვის ელჩი, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიო ველო-მოგზაური, მოგზაური დიპლომატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენის კავალერი, მსოფლიო 2009 წლის ადამიანი, საქართველოს 2002 წლის ადამიანი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, მსოფლიო მრავალი ქალაქის, მათ შორის თბილისის საპატიო მოქალაქე, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლების მფლობელი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედლის მფლობელი, ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, 5 ა-კადემიის აკადემიკოსი, შეყვანილია ევროპის ბიოგრა-ფიული ცენტრის 400 წარჩინებულში, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ კი – მსოფლიოს 500 წარჩინებულთა სიაში და სხვ.

ასეთი პოპულარული პიროვნების სახელობის აკადემიის შექმნა, დასაფიქრებელია და საპასუ-ხისმგებლოც. უურნალმა „ათინათმა“ მკითხველის ყურადღება მიიქცა და დღითიდღე საინტერესო ხდება.




## აკადემიის წევრების ციცი

რამდენი ლექსი გიძლვენით მაგრამ,  
სიტყვა ვერა ვთქვით შენი საქები.  
ვეფერებოდით შენს ჯიშს და ნაგრამს.  
კვლავ ბევრი დაგვრჩა ისევ სათქმელი.

შენი სახელის უკვდავებისთვის,  
სიცოცხლის ბოლო წუთსაც განაცვლებთ...  
კვლავაც ვიბრძოლებთ იდეებისთვის,  
არ მოვდუნდებით, წუთს არ გავაცდენთ...

თაობებს შევკრებთ დარუპანდამდე,  
ნაბიჯს ავაწყობთ ნიკოფსიდან...  
ვიბრძოლებთ ცაში წასვლის ვადამდე.  
და არ ამოგშლით ჩვენი სიიდან.  
გულნაზ ხარაიშვილი

© ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, 2019

A red ink signature in cursive script, likely belonging to the author of the poem.

მამა ამირან ამირანაშვილი

## ბატონი ჯუმბერ ლექცია

„დიდ არს უფალი და საკვირველ არიან საქმენი მისნი“, ვინაიდან ადამიანი შექმნილია „ხატად და მსგავსად ღვთისა“ უნდა ვითიქროთ, რომ მასაც ძალუძს გააკვირვოს სამყარო თავისი ღვთიური ნიჭითა და ძალისხმევით. სწორედ ასეთი ადამიანები არ ეკუთვნიან რომელიმე ეთნოსს ან რასას, ასეთი პიროვნებები მსოფლიოს კუთვნილებანი არიან და მათ მსოფლიო კუთვნილებად ვაღიარებთ. ასეთებია სპორტში: მსოფლიო ჩემპიონები, რეკორდსმენები, ხელოვნებაში პრნინვალე ვარსკვლავები, მეცნიერებაში დიდი აღმომჩენები და რომელ ერთს ვეფერო და დავასახელო, მარამ მე შევჩერდები „მსოფლიო მოგზაურზე“ ქართველ სასაულმოქმედზე, გინესების რეკორდსმენზე, დიდ პატრიოტზე, უბადლო მეუღლეზე, მამაზე, მეგობარზე, რწმენითა და სიყვარულით შეიარაღებულ „მოხეტილე რაინდზე“ ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე.


უდიდესი მოგზაურები, რომლებმაც ნიჩბიანი ნავებით, აფრიანი გემებით, მოტორიანი საშუალებებით, წყალზე, ხმელეთზე და კოსმოსშიც შეძლეს კაცობრიობის გაოცება;

თუ ბარათაშვილს ოთხფეხა მერანი მიაფრენდა უგზო უკვლოდ, და მის მერანს არ ქონდა საზღვარი, თუ სერვანტესმა ჯაგლაგი „როსინანტათი“, უბრალო კიხანა, „სიმართლის დამცველი და ბოროტების მდევნელი“ დონკიხოტ ლამანჩელი. „მოხეტიალე მწუხარე სახის რაინდად“ აქცია და მსოფლიო მოატარა და თუ მეცნიერებმა კოსმოსური ხომალდებით შემოუარეს დედამიწას, ჩვენმა გმირმა ყველაზე პრიმიტული საშუალებით „ორბორბლიანი“ ველოსიპედით განიზრახა მსოფლიოს გაოცება და ენერგიად არა, ნიჩაბი, არც აფრა და არც მოტორი, არამედ ღვთიური პირადი ენერგია გაიხადა გადაადგილების ერთ საშუალებად. ვინ მოთვლის რამდენი კილოვატი ენერგია გამოიმუშავა მისმა სხეულმა, რომ საკუთარი ფეხებით გადაეცა იგი მისი, ერთადერთი განუყოფელი მეგობრისათვის და თანამგზავრის „ველოსიათვის“.

საიდან ამხელა ძალისხმევა? როგორც მისი მეგობრები და მისივე სახელობის აკადემიის წევრები მიამბობენ: ბატონმა ჯუმბერმა ეს გადაწყვეტილება, უსაყვარლესი მეუღლის ქალბატონ ლიანა ალიბეგაშვილი და მისი განუყრელი მეგობრის უიული შარტავას გმირულ ხსოვნას მიუძღვნა. დიახ, უსაზღვრო სიყვარულის განუზომელი რწმენა გამარჯვებისა, მსოფლიოს შემოატარებს ადამიანს თუ იგი ჯუმბერ ლეჟავაა.

რას იფიქრებდა გურიის ერთ პატარა სოფელშ ჯიხაიშში დაბადებული ცქვიტი ყმაწვილი, რომელსაც ზოგჯერ მდიდარი ოჯახის შეიღები ველოსიპედზე არ სვამდნენ 5 წუთი რომ „გაეკატავებინა“, უფლის ნებით ეს ბავშვობის ნატვრა მან მხცოვან ასაკში აიხდინა წლების მანძილზე ველოსიპედიდან არ ჩამოსულა...

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ცხოვრებას და მოლვაწეობას მისი უახლოესი მეგობრები და თანამოაზრენი დიდებულად წარმოაჩენენ. მე არც გეოგრაფიაზე და იმ რუკებზე არ ვიქნები კომპეტენ-



ტური რაც ფიზიკურად გაიარა მსოფლიო მოგზაურმა, მაგრამ მინდა გაოცება გამოვთქვა იმ მსოფლიო რეგაბლიებზე რაც კაცობრიობას შეუქმნია, ბატონი ჯუმბერი თითქმის ყველას ფლობდა, რომელთა სრულად ჩამოთვლა შეუძლებელია;

მე ვეცდები ფაქიზად შევეხო იმ სულიერ განსაცდელებს, სიხარულს, მწუხარებას, სტიქიებთან პირისპირ გამულავებას, დაძლეულ სირთულეებს, და რწმენითა და იმედით შეიარაღებას გარდაუვალი გამარჯვებელსაკენ.

ჩემი მცირედი გამოცდილება, მკარნახობს სულიერი თანაგრძნობა გამოუცხადო „მსოფლიო მოგზაურს“, ვინაიდან შემიძლია ვთქვა, რომ აფრიკისა და ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის გარდა ყველგან დამიდგამს ფეხი და დიდ ოკეანებში დამისველებია კიდევაც, მაგრამ მე საჰაერო საშუალებების გამოყენებით გადავადგილდებოდი, ასე რომ ჩემი ვოიაჟი ოკეანეში წვეთია ბატონ ჯუმბერთან შედარებით, იგი რომ მეტრობით, კილომეტრობით და ფეხი-ფეხ არ ტოვებდა სამყაროს კუთხე კუნჭულს. დიდება მას ასეთი გაბედულებისა და გმირობისათვის...

მახსენდება დიდი უდაბნოები, ქვიშის ფერადი ქარბორბალები, ერთ საათში შეცვლილი რელიეფები, მიღიხარ ორიენტაციას აკეთებ ჰორიზონტის გორაკზე. ამოვარდება ცხელი ქარი, იფარავ სახეს, თვალებს, მაგრამ ქვიშა აღწევს მთელ სხეულში, განსაკუთრებით კბილებით ფქვავ ქვიშას, ცოტაც და ჰორიზონტზე გორაკი გამქრალია, სწორედ ეს დაფქული გორაკი არ გაძლევდა გადაადგილების საშუალებას....

ჩინეთისა და ინდოეთის ბრინჯის ყანების ჭაობები, შავი ბომბეი, გაევროპელებული, მაგრამ აქ გავლის საშუალებას არ გაძლევენ ქუჩებში მოხეტიალე მათხოვრები, ზოგი ვაჭრობას, ზოგი თხოულობას. ველოსიპეტით აქ ვერავის გააოცებ. მილიარდიან ქვეყანაში ძირითადი ტრანსპორტი ხომ ველოსიპეტია. გაჩახჩახებული სინგაპურის გავლით ავსტრალია, დიდი და საოცარი ბუნების თავისუფალი ქვეყანა... ყინვებისა და თოვლისაგან გათოშილი ჩრდილოეთი – ევროპა, და დიდი ამერიკა. ძნელია აფრიკის სირთულეების შემდეგ, ამერიკის უდიდესი საოკეანო ხიდები და თვალუნვდენელი სიმაღლეების ქვეშ ველოსიპეტზე ამხედრებული გურული ჯუმბერ ლეჟავა, კაცი ლეგენდა, ხუთი მსოფლიო უდიდესი აკადემიების აკადემიკოსი, იუნესკოს მსოფლიო დესპანი, გინესის მრავალგზის ჩემპიონი, ევროპისა და ამერიკის გამორჩეულ ადამიანთა მრავალგზის კავალერი, უსაყვარლესი აკადემიის დამაარსებელი, საკვირველმოქმედი დიდი მოგზაური... განისვენებს დიდუბის პანთეონში და ყველა ქართველის გულში. ცხოვნება და უკვდავება მის ნათელ სულს. ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



მონაზონი იოანა (ონიანი)  
მსოფლიო მოგზაურის გახსენება



## ლოცვათა წილი მამათა ჩვენთა უფალო ისეო ქრისტე, შეგვიციალენ ჩვენ!

ცათა სასუფეველში დამკვიდრება შენს სულს ჩემო მეგობარო მეცნიერო, მოგზაურო, მსოფლიოში აღიარებულო დესპანო, მრავალი ქვეყნის მაცნევ და საქართველოს ლირსების მთელს სამყაროში მომფენელო, უძლიერესო სპორტსმენო, რამდენიმე ქვეყნის საპატიო მოქალაქეო, რამდენიმე აკადემიის აკადემიკოსო და უამრავი რეგალიების მფლობელო. მქონდა პატივი საერო ცხოვრებაში მემეგობრა შენთან და ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა, როგორც საზოგადოებრივი, ასევე სამეცნიერო საქმიანობა.

მინდა გავიხსენო ის წუთები, როდესაც თქვენ პირველად ფიზიკურად გაგიცანით (თუმცა უურნალ-გაზეთებით, ტელევიზიით უკვე აღიარებული იყავით). ეს მოხდა ქალაქ თბილისში, ოქროს უბანში, ტიტიკო ჩაფიძის სახელობის კულტურული ცენტრის გახსნაზე, სადაც

თქვენი თავი გაგვაცნო ამ ცენტრის დირექტორმა გულნაზ ხარაიშვილმა. იმ დღიდან მოყოლებული ჩვენი ურთიერთობა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული ერთმანეთს ერწყმოდა. ხშირად გვქონდა შეხვედრები სამეცნიერო კონფერენციებზე, წიგნის პრეზენტაციებზე და აგრეთვე ქალაქგარეთ საინსტიტუტო თუ სასკოლო შეხვედრებზე, რომლებსაც ხშირად გინყობდნენ .ეწყობოდა გამოფენები თვეები მოგზაურობის შესახებ, იმართებოდა პრეზენტაციები და ასე შემდეგ. განსაკუთრებით კი მინდა აღვნიშნო ის შეხვედრა, როდესაც გ. ხარაიშვილს 55 წელი შეუსრულდა. ეს იუბილე აღინიშნებოდა სწორედ იმ კულტურულ ცენტრში, სადაც პირველად გაგიცანით. ლონისძიების დამთავრების შემდეგ თქვენ ეზოში მოგიყვანიათ მიკროავტობუსები, ყველა იქ დამსწრე საზოგადოებას გვთხოვთ დავმსხდარიყავით და გეზი პირდაპირ მცხეთისკენ აგვალებინეთ. როცა დანიშნულების ადგილამდე მივედით ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. უზარმაზარი ემოციები გამოიწვია თვენს მიერ გაშლილმა სუფრამ ჩვენს საპატივცემულოდ. თამადობა თქვენ თვითონვე გასწიეთ, მოადგილედ კი აკად. გარი ჩაფიძე დანიშნეთ.

ჩვენს შორის იმყოფებოდა უამრავი მწერალი, აკადემიკოსი, მეცნიერი, პოეტი, რომლებიც ემოციებს ვერ მაღავდნენ თქვენს მიერ ნარმოთქმული სადლეგრძელოების შესახებ, რომლებიც ეხებოდა სამშობლოს სიყვარულს, საერო თუ სასულიერო საქმიანობას, თქვენს მოგზაურობას-პირველად, როდესაც 9 წელი განვლეთ ამ მოგზაურობაში, თუ რაოდენ ბევრ წინააღმდეგობას აწყდებოდით, უფალმა როგორ გადაგარჩინათ, როდესაც ექიმებმა სასიკვდილო დიაგნოზი დაგისვეს და სიცოცხლის ხანგრძლივობა განისაზღვრა 1-2 თვით. თვეები უფლისადმი რწმენა-ლოცვით, ვარჯიშით არა მარტო სიცოცხლე გაიხანგრძლივეთ, არამედ მსოფლიო შემოიარეთ ველოსიპედით.

ამ სენსაციურმა ამბავმა მალევე გაიუღერა. თქვენი საამაყო სახელი რამდენჯერმე დამკვიდრდა გინესის რეკორდების წიგნში. აღსანიშნავია, რომ თქვენი დამსახურებით: მეცნიერული კვლევებით, მოგზაურობით, ინტელექტით ერუდიციითა და გამოცდილებით დაისვა საკითხი თქვენი სახელობის აკადემიის შექმნისა, რომელზედაც თქვენ უარი განაცხადეთ. მაგრამ მეცნიერების, აკადემიკოსების, მწერლებისა და პოეტების დაუინებული თხოვნით, და განსაკუთრებით კი

პოეტ გულნაზი ხარაიშვილის თაოსნობით, ჩამოყალიბდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, რომელმაც მსოფლიო სახელი გაითქვა თავისი ანთოლოგითა და უურნალ „ათინათის“ ყოველკვარტალური გამოცემებით.

მიუხედავად იმისა, რომ 7 წელიწადია ვიმყოფები უძლურებაში, ვარ 3 წლის შინ აღკვეცილი მონაზონი, არ შემიძლია გულგრილად შევხვდე თქვენი დაბადების 80 წლის იუბილეს და ამ ქვეყნიდან გადასვლის 5 წელს. ჩვენ, ორივეს ძალიან ბევრი რამ გვაკავშირებდა, დაწყებული მეცნიერული საქმიანობებიდან, უძლურებანი თუ ოჯახური მდგომარეობა. თქვენთვის მძიმე წუთები, როდესაც ჯერ მეუღლე და შემდეგ საყვარელი შვილი დაკარგეთ, ოჯახში დარჩით მხოლოდ მამკაცები და ამ მძიმე ტვირთს ყოველთვის თავად უძლვებოდით.

სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ ხართ სამაგალითო, მისაბაძი, დასაყრდნობი ადამიანი ყველა ქართველისთვის და არა მარტო ქართველთათვის. ამიტომაცაა, რომ მიზნად დაისახა თქვენი სახელობის სპეციალური წიგნის ტომის გამოშვება თქვენი განვლილი ცხოვრების შესახებ, რაშიც ძლიერი წვლილი მიუძლვის პრეზიდენტს გულნაზი ხარაიშვილს.

ქალბატონი გულნაზი ყოველთვის ცდილობს ყველა უურნალსა და ანთოლოგიაში თქვენი ლვანლი გაიხსენოს, გააცნოს საზოგადოებას თქვენი თავი, კიდევ ერთხელ შეახსენოს თუ რაოდენ ძლიერი პიროვნება ჰყავხართ ქართველ ერს.

იშვიათა პიროვნება, რომელსაც სიცოცხლეშივე აფასებენ და შეიგრძნობენ, თუ რა ცხოვრება განვლო და რას წარმოადგენდა სამშობლოსთვის. თვენ კი, უფლის ნებით და თვენს გარშემო არსებული პიროვნებების დამსახურებით, ეს შეძელით.

ცათა სასუფეველი დაიმკვიდროს თქვენმა სულმა. ნათელი და სანთელი მარადიული ყოფილიყოს თქვენს საფლავზე!



## სერგი ლომაძე

## უეგენლარული ჯუმბერ ღევავას შესხებ

წელს ოთხმოცი წელი შეუსრულდებოდა ლეგენდარულ ჯუმბერ ლეჟავას, – საოცრად მრავალმხრივ პიროვნებას, რომელმაც უამრავ სფეროს დაატყო თავისი ხელი. როგორც ფილოსოფოსი-მოგზაური, იყო იყო საქავეცნოდ აღიარებული, წერდა დღიურებს, თავისი სისტემა ჰქონდა შექმნილი მედიცინაშიც, იყო დიდებული საზოგადო მოღვაწე, ხოლო აკადემიური აზროვნების განვითარებაში მისი სახელი ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა: საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ დიდი მოგზაურის სიცოცხლოში, მასთანავე შეთანხმებით, გულნაზ ხარაიშვილმა ჩამოაყალიბა ბატონი ჯუმბერის სახელობის აკადემია, რომელიც უკვე ათი წელია წარმატებით მუშაობს. აკადემიამ გამოსცა უურნალის მრავალი ნომერი, ანთოლოგიის ტომები, გამართა მრავალი შემოქმედებითი სალამო მთელი საქართველოს მასშტაბით, და ის ღვაწლი, რაც ლეჟავა-ხარაიშვილისაგან დაინერგა, ფართოდ გავრცელდა.



არ ვიცი, არის თუ არა კიდევ სხვა ასეთი შემთხვევა, სიცოცხლეშივე მისი სახელობის აკადემია რომ ეხილოს ადამიანს; საქართველოში, არა მგონია, რომ ამას ანალოგი ჰყავდეს; და რომც იყოს სხვა ასეთი შემთხვევა, რაღა თქმა უნდა, ეს ბრწყინვალებას არ აკლებს ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას სახელს! (არც ის ვიცი, არის თუ არა მეორე ასეთი შემთხვევა ჩვენში, რომ, გულნაზ ხარაიშვილის მსგავსად, ამდენი წელი იყოს ქალი საქმეთმპყრობელი აკადემიისა!).

ის, რომ ბატონი ჯუმბერი შეუდარებელი სპორტსმენი იყო, რომ არა ერთხელ მოხვდა გინესის რეკორდების წიგნში, ცყველამ იცის. მგონი იგი პირველი ქართველიც გახლდათ ამ მხრივ.

მაგრამ, მსოფლიო სახელი, ბატონ ჯუმბერს, მაინც მისმა დედამიწისირგვლივმა მოგზაურობამ მოუტანა, რომელიც, ძირითადად, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში განხორციელდა, და მისი ტრიუმფით დასრულების შემდეგ, მოგზაურს, ეწოდა ქართული მაგელანი, მსოფლიოს (სამყაროს) მოქალაქე.

მოგეხსენებათ, ფერნანდო მაგელანი გემებით მოგზაურობდა. მან, საუკუნეების წინ, პირველმა შეასრულა დედამიწისირგვლივი რეისი. ეს იყო პორტუგალიურ-ესპანური რეისი, რომელსაც წლები დასჭირდა. მსოფლიო (სამყაროც) ბევრად უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ადამიანებს წარმოედგინათ. მაგელანი მოგზაურობისას დაიღუპა. კაპიტანი ვერ მოესწრო თავის ტრიუმფს, თუმცა ის მოესწრო მაგელანის სრუტის აღმოჩენას და კიდევ ბევრ არანაკლებ გამარჯვებას. საბოლოოდ, მისი მოგზაურობა, ეკიპაჟის სხვა წევრებმა განასრულეს, ხოლო, უკვე მეოცე საუკუნეში, სტეფან ცვაიგმა გენიალური მხატვრულ-დოკუმენტური რომანი შექმნა ამ მოგზაურობის შესახებ, და ასე დაგვირგვინდა უზარმაზარ მიზანს შენირული კაცის – მაგელანის ლეგენდარული ოდისეა. სიკვდილის შემდეგ მაინც გაიმარჯვა ვერანდენილი ოცნების კაცმა. ეგებ სიცოცხლეშიც გრძნობდა თავის მარადიულ გამარჯვებას, ვინ იცის...

ფერნანდო მაგელანის გმირობის განმეორება ბევრმა სცადა, მეტ-ნაკლები წარმატებით. არა ერთ ქვეყანას ჰყავს თავისი მაგელანი, მაგრამ ალათ არცერთი მათგანია ისეთი სრულყოფილი, როგორიც ჩვენი ჯუმბერ ლეჟავა, რომელმაც დიდი წინამორბედისგან განსხვავებით, ველოსიპედით შემოუარა პლანეტას, თანაც თავისი უსასრულო გზის დიდი ნაწილი მარტოდმარტომ გაიარა, და იყო ყველა კონტინენტზე, მათ შორის – ყინულოვან ანტარქტიდაზეც კი, მარად თეთრ სამეფოში.

მაგელანის მთავარი გმირობა მის პირველობაშია. მაშინ წარმოუდგენელი იყო ასეთი რამის გაკეთება. მერე ბევრი რამ ძალიან განვითარდა. შეუდარბელია მაგელანი.

მაგრამ მაგელანს უკან ედგა იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო – ესპანეთი (თუმცა თვითონ პორტუგალიელი გახლდათ, მისი ეკიპაჟი კი ინტერნაციონალური იყო, ან – ასე შეიძლება ითქვას). და დიდი კაპიტანი გახლდათ მარტი.

ხოლო ვინ იდგა ჯუმბერ ლეჟავას უკან? პატარა, ობოლი საქართველო, რომელიც თითქმის საერთოდ ვერ ეხმარებოდა მას. უიული შარტავამ და კიდევ რამდენიმე მხარდამჭერმა ადრევე ტრაგიკულად დაასრულეს სიცოცხლე. უიული, გურამ გაბეჭერია და სხვები გმირულად ჩაიხოცნენ აფხაზეთში, ხოლო შევარდნაძე და მისი გარემოცვა, ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობისდა გამო, ხელშესახებ, მკვეთრ დახმარებას ვერ უწევდა მოგზაურს. ბატონი ჯუმბერი დარჩა ფაქტობრივად მარტოდ-მარტო, მიუსაფარი, პირისპირ ათასობით კილომეტრთან, თანაც ისეთი პრიმიუმიული ტრანსპორტით, როგორიც არის ველოსიპედი.

და ყველანი, – მოკეთენიც, მოწინააღმდეგენიც, უცდიდნენ მის უეჭველ დამარცხებას.

მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავ. თვალყურს ვადევდნებდი ამ მოვლენებს – მარტოკაცის ბრძოლას სამყაროს წინააღმდეგ, და ვფიქრობდი: ნეტავი არ დანებდეს, ნეტავი ბოლომდე გაიტანოს ლელო, ნეტავი გაიმარჯვოს!.. ტელე-რადიო-პრესაში აქა-იქ გაიღვებდა ინფორმაცია ლეგენდარული მოგზაურის შესახებ, და საქართველო, განამებული, ცრემლიანი საქართველო, გულშემატკივრობდა თავის შორეულ შვილს.

ჯუმბერ ლეჟავა სერავდა უზარმაზარ მანძილებს დიდ ქალაქებში, დაბა-სოფლებში, მთა-ტყე-ებში, ხევებში, უდაბნოებში, ყინულებში, თაქს აღწევდა უამრავ საფრთხეს, ებრძოდა შიმშილს, წყურვილს, გაუსაძლის სიცხეს, გაუსაძლის სიცივეს... ვის და რას აღარ ებრძოდა, ხან ადამიანთაგან, ხან მხეცთაგან, ხან ბუნების უმძიმესი პირობებისგან, ხან უმძიმესი ეკონომიკური პირობებისგან მახედა-გებული. ყველაფერს გაუძლო. ყველაფერი გადაიტანა. წლები შეალია თავის მიზანს და ტრიუმფა-ლურად მივიდა ფინიშთან, დაბრუნდა, რა, საქართველოში! ამ დროში მან მოიიარა უამრავი სახელმწიფო, ხოლო ყველგან შეასრულა მისია საქართველოს ელჩისა. გააცნო, შეაყვარა ჩვენი სამშობლო უამრავ ადამიანს მთელს მსოფლიოში. ის იყო უდიდესი პოპულარიზატორი საქართველოს!

ჯუმბერ ლეჟავას გამარჯვება შეაძლებინა თავისმა ფილოსოფიურმა მოძღვრებამ, ცოდნის თავისმა სისტემებმა, ძველ, საიდუმლო (დახურულ), ნახევრადსაიდუმლო და ღია სისტემებზე დაფუძნებულმა. ამ ცოდნებს, ამ ფილოსოფიას მისდევდა იგი მთელი ცხოვრება, და ამან გამობრძმედა, გააკაუშა იგი, ჯუმბერ ლეჟავა იქცა რკინის კაცად, როგორც, ვთქვათ, თევდორე ბერი, მერაბ კოსტავა, ან სხვა ვინმე გაუტეხელ ქართველთაგანი.

ცნობილია, რომ ბატონი ჯუმბერი ებრძოდა სხვადასხვა სენს, და სიკვდილსაც კი არა ერთხელ ჩახედა თვალებში. მისმა სიბრძნემ ყველგან იხსნა იგი, და გაასალკლდევა როგორც სულიერად, ასევე ფიზიურად. სიცოცხლის ბოლომდე საოცრად ჯანსაღად აღნაგი, საშუალო ტანის ხალისიანი მამაკაცი, ასაკი სრულიად არ ეტყობოდა, ამიტომაც დღემდე იდუმალებით არის მოცული მისი სიკვდილის ამბავი.

ბატონ ჯუმბერს დარჩა უამრავი ნაწერი (ლიტერატურა), რომელიც ლუარა სორდისა და სხვა ადამიანების ხელში გადის დამუშავების პროცესს. ამბობენ, რომ ბევრი რამ უკვე დაკარგულიც არის, თუმცა ეს ყოველივე კონკრეტული მკვლევარების საქმეა. მათ უკეთ იციან ეს ამბავი.

ჯუმბერ ლეჟავას დარჩა, აგრეთვე, გასაოცარი ფოტომასალა, სურათები, რომელნიც თავის თავში იტევენ მთელს მსოფლიოს. არ ვიცი, როგორაა დღეს ამ სურათების საქმე. ვიცი კი ის, რომ ადრე გამოიყენა ვიხილე მათი ნაწილისა, და ლამის დავმუნჯდი აღტაცებისავან.

ბატონი ჯუმბერი, პირველად, უნივერსიტეტში ვნახე, თუმცა მაშინ არ გამიცვნია იგი.

როდესაც ცნობილი შემოქმედებითი ჯგუფის – „ზღვარის“ ოთხივე ძირითადი წევრი (მეც, კახა ბაციკაძეც, გიორგი ზუხბაიაც, ვასო ლომაძეც) აკადემიაში აგვირჩიეს, როცა ადაკემიკოსის წოდება

გვიბოძეს, რადგანაც ეს ორგანიზაცია ბატონი ჯუმბერის სახელობისა იყო, გარდაუვალი გახლდათ იქ ჩვენი გაცნობა. ასეც მოხდა. აკადემიაში, ძირითადად, ქალბატონ გულნაზის ინიციატივით მოვხვდით, და მანვე შეგვაჩვედრა იქ, ზღვარელბი, ჯუმბერ ლეჟავას. მალევე დავმეგობრდით, რამეთუ ამ ცოცხალ ლეგენდას საოცრად უბრალო ხასიათი აღმოაჩნდა, იყო თავმდაბალი, არ აკლდა იუმორი, ხოლო ურთიერთობაში ადვილად შემოდიოდა. ვერ ვიტყვი, რომ გაფიცხება საერთოდ არ ახასიათებდა, მაგრამ ძალიან მალე მშვიდდებოდა. საერთოდ, ცდილობდა მუდამ მშვიდი ყოფილიყო, თუმცა ჩვენს უმაღურ, უსამართლო, უმძიმეს ცხოვრებაში ეს შეუძლებელია. ბევრმა დააშავა მის წინაშე. დარწმუნებული ვარ რომ ნანობენ, დღეს, თავიანთ ცოდვებს...

საერთოდ, აკადემიაში, სულ თავიდან, ქალბატონმა გულნაზმა ორი გენიალური პიროვნება გაგვაცნო, – მეუფე თადეოზი – უდიდესი პოეტი სასულიერო სამყაროსი, პატრიარქი პოეზიისა, და ჯუმბერ ლეჟავა – უდიდესი ფილოსოფოსი-მოგზაური... და უკვე ნათელი იყო, თუ რა დიდებულ ორგანიზაციაში შევდგით ფეხი...

მერე და მერე მე და კახა განსაკუთრებით გავაქტიურდით აკადემიის შემოქმედებით საღამოებზე. ქალბატონ გულნაზისთან ერთად, სწორედ ჩვენ ვიქეცით მოვლენების წარმმართვერლებად (სხვათა შორის, ეს სწრაფად მოხდა), ხოლო მეუფე თადეოზი და ბატონი ჯუმბერი ყოველნაირად გვახალისებდნენ წინსვლის საქმეში, ხელს უწყობდნენ ჩვენს ყველა წარმატებას, ზურგს უმაგრებდნენ უურნალ „ათინათს“, ანთოლოგიას...

ორი საოცრად დიდი და საოცრად უბრალო ადამიანი.

სირთულეშია გენიალობაო, რომ ამბობენ, სიამაყეშია გენიალობაო, რომ ამბობენ, უბრალოებაშიც არის გენიალობა! კი! და მე პირველი არა ვარ, ვინც ეს თქვა, ვინც ეს დაამტკიცა თავისი სიტყვითაც საქმითაც.

გაიხსენეთ აკაკი!

გაიხსენეთ მეუფე თადეოზი!

გაიხსენეთ ჯუმბერ ლეჟავა!

და მიხვდებით, რომ უბრალოებაც არის სირთულე;

და რომ დიდ სირთულეს ქმნის სირთულეც და უბრალოებაც;

ღვთაებრივს ქმნის სირთულეც და უბრალოებაც...

დღეს ცოცხალი აღარაა მეუფე თადეოზი;

და აღარც ჯუმბერ ლეჟავაა ცოცხალი – ლეგენდარული გმირი თავისი დროისა, ყველა დროისა.

ადამიანს, მითუმეტეს – ლეგენდარულ ადამიანს, ვერაფერი ცვლის. როცა მიდის იგი, თითქოს მთელი მისი დრო კვდება, მასთან ერთად, თითქოს მთელი ეპოქა კვდება.

ძალიან სამწუხაროა, ძალიან!..

მაგრამ ისევ ხომ არსებობს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემია, თავისი უცვლელი ლიდერით – გულნაზ ხარაიშვილით, რომელიც არის უპირველესი მიმდევარი ბატონი ჯუმბერისა, მეუფე თადეოზისა და სხვათა დიადთა;

და სანამ არის აკადემია;

და სანამ, ვართ ჩვენ, ყველანი ერთად;

და სანამ არის სრულიად საქართველო,

მანამ იცოცხლებს სახელი და საქმენი ჯუმბერ ლეჟავასი – მარადისობის დიდი შვილისა!..

სამყარო არ არსებობს მარადისობის გარეშე...

2019წ. 2 ივლისი.



**ლუარა სორღია**  
სოხუმის უნივერსიტეტის  
სრული პროფესორი,  
გალაქტონოლოგი

## ჩართველი გამულიშვილი მსოფლიოს გზებზე

ლვისმეტყველები და პოეტები ადამიანის სულს ადარებენ დაუდე-  
გარ ზღვას, რომელიც მუდმივად შფოთავს, ვერ ეტევა ჩარჩოებში, ელ-  
ტვის ახალ ნაპირებს, სწყურია შორეული მხარეების მოხილვა, შემეცნე-  
ბის გაფართოება და ამის საუკეთესო საშუალებაა მოგზაურობა, ხეტია-  
ლი უცნობ სივრცეებში.

მოგზაურობას სხვადასხვაგვარი ასპექტი აქვს. ცნობილია მოგზაუ-  
რობა რეალურ სივრცეში, ლოკალურ ჭრილში და მსოფლიო, კოსმიური  
მასშტაბებისკენ ლტოლვა.

პოეზია, მწერლობა დიდი მოგზაურობაა ადამიანის სულში, გულში, ცნობიერ თუ ქვეცნობი-  
ერ სივრცეთა საიდუმლოებებში დაუსრულებელი ხეტიალი.

ამიტომაც გვეცხადებიან პოეტები და მწერლები მოგზაურის, მეზღვაურის, მოხეტიალის, მა-  
რადი მგზავრის, აგასტერის ნილბებით.

ფიზიკური მოგზაურობის პარარელურად, საუბრობენ სულის ასტრალურ (ვარსკვლავურ)  
მოგზაურობაზეც.

მოგზაურობა ამდიდრებს სულიერ სამყაროს, ხელს უწყობს პროგრესს. მოგზაურობის, ქვეყ-  
ნებთან, ხალხებთან კონტაქტის გარეშე ვერ განვითარდებოდა კაცობრიობის სული, კულტურა,  
არ ექნებოდა წინსვლა.

“მოგზაურობა, ხეტიალი ანტიკურ და შუასაუკუნეობრივ პოემებში ერთ-ერთი მთავრი კომ-  
პონენტია ინიციაციისა, ასე მაგალითად, მოგზაურობა იაზონისა, ოდისევისისა, ენეასისა, შუა საუ-  
კუნეთა საგებისა და რაინდული რომანების პერსონაჟებისა” (ზვიად გამსახურდია, “ვეფხისტყაოს-  
ნის” სახისმეტყველება, თბ. 1991, გვ. 304).



სტეფან ცვაიგი განარჩევს “გულდინჯ მკვლევარებს და  
დეპარადორებს, ფსიქოლოგ მეცნიერებს, მშობლიური მხა-  
რის შემსწავლელ გეოგრაფებს და პოეტებს, ზღვარის გადა-  
ლახვას რომ არ ერიდებიან” (სტეფან ცვაიგი, დოსტოევსკი,  
ფანტასტიკური ლამე, თბ. 1966, გვ. 216).

სწორედ “მამაც ზღვარგადამლახველთ” ხელენიფებათ  
კაცობრიობის გონის შორს გაწევა.

ნიჭიერებს სწყურიათ ადამიანურ შესაძლებლობათა გა-  
ფართოება, მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების შორს  
გაწევა, რადგან მაძიებელი სულისთვის ბორკილია ყოველდღი-  
ური, ყოფითი წვრილმანები, ეგოისტური, მეშჩანური, პირადუ-  
ლი ინსტინქტების ტყვეობა.



მოგზაურობის მარშრუტი კი შეიძლება იყოს მიწა, ცა, ზღვა, უდაბნო, კოსმოსი, ოთხივე სკნელი, ასტრალური სამყარო, პოლუსები, განედები, მერიდიანები, ბერმუდის კუნძულები, ანდები, მშვიდთა მიწა, წმიდა სულების სავანე – შამბალა.

წმიდა ეპისკოპოსი ეგნატე წერს: "...მთელი სამყარო უმცირეს დროში მოვიარე და ამავე დროს მშვიდად ვიჯექი ჩემს სავარძელში" (წერილები ერისკაცთა მიმართ, სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, 1990, გვ. 267).

სხვა პლანეტებზე მოგზაურობის მიდრეკილება მუდამ ახასიათებს ცოცხალ არსებას. მას ჰქვია სარვა-გატა, რაც ნიშნავს მას, "ვისაც ყველგან მოგზაურობა სურს".

"ფაუსტში" მეფისტოფელი საუბრობს "არსებულს იქით" გამგზავრებაზე.

გიორგი გურგიევის აზრით, ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობის მიზანი უნდა იყოს უჩვეულო, "უცნობი მიწა" (სიყვარულის ორი სახე, თბ. 1992, გვ. 103-104).

დანტეს "ღვთაებრივ კომედიაში" კაცნი „მოგზაურობენ ადგილზე ნდომით, ერთ ადგილას შთენილნი"...

იტალიელმა გენიოსმა სულის თვალით იხილა ოთხივე სკნელი და თავის მიზანს ასე მიაღწია: "გამახვილდა აქ თვალი ჩემი და შემეცნებაც მკვიდრ ნიადაგს დამყარებია".

პოეტის გონითი საზღვრების გაფართოება მომავლისკენ იყო მიმართული: "ცნობიერებას იხვეჭ ახალს მერმისისათვის" (ღვთაებრივი კომედია, 1941, 213-215).

გალაკტიონ ტაბიდისთვის "გული გზა და მოგზაური" იყო, ხოლო სულის გემის, "ოცნების ნავის" მოგზაურები – მოგონებებია, მასში ია-ვარდი, სიხარული დამკვიდრებულა (ია მარიამ ღვთისმშობლის, ვარდი და სიხარული ქრისტეს სიმბოლოებია).

პოეზიაში სიმბოლურ შინაარსა იძენს ტრანსპორტის სახეებიც: გემი, ნავი, ხომალდი, კრეისერი, მერანი, ეტლი, დილიუსი, ურემი....

დიდი მოგზაურობის განხორციელება მხოლოდ რჩეულთ ხელენიფებათ, რომლებიც, განსხვავებით პატარა სამყაროს პატარა ადამიანებისგან, დიდ სამყაროში ცხოვრობენ: "დიდი სამყაროს პარალელურად, რომელშიც დიდი ადამიანები, დიდი საგნები არსებობენ, არის პატარა სამყაროც, პატარა ადამიანებით და პატარა საგნებით. დიდ სამყაროში გამოიგონეს დიზელ-მოტორი, დაინერა "მკვდარი სულები", აშენდა დნეპრის ჰიდროსადგური და განხორციელდა გადაფრენა მსოფლიოს გარშემო....დიდ სამყაროში ადამიანებს კაცობრიობის კეთილყოფისადმი სწრაფვა ამოძრავებთ. პატარა სამყარო შორსაა ასეთი მაღალი იდეალებისგან. მის ბინადართ ერთი მისწრაფება აქვთ – როგორმე ისე იცხოვრონ, რომ შიმშილის გრძნობა არ განიცადონ....პატარა ადამიანები დიდების უკან მიიჩქარიან..." (ილია ილფი, ევგენი პეტროვი, "თორმეტი სკამი, ოქროს კერპი", თბ. 1964, გვ. 369-370).

მოგზაურობა დიდი გამოცდაა, იგი სულისა და სხეულის განსაკუთრებულ მზაობას მოითხოვს.

დიადი მიზნების რეალიზებისათვის აუცილებელია ნიჭი, მოწოდება, წინწამნევი იმპულსები, შინაგანი გამობრწყინება, რაც ღვთისგან ხელდასხმულთა ხვედრია.

სულის გამოლვიდების სტიმული კი შეიძლება მინი-სიკვდილი იყოს.

ჯუმბერ ლეუსავა მსოფლიოს მოქალაქეა, მან განახორციელა უპრეცენდენტო მოგზაურობა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, 238 ქვეყანაში 9 წლისა და 3 თვის მანძილზე, 3333 დღის განმავლობაში, 600 ათასამდე კილომეტრი გაიარა, აქედან 300ათასამდე ველოსიპედით და ამ პერიოდში ნანახი ღირსშესანიშნაობების, განცდილისა და გადატანილის შესახებ შექმნა დღიურები, წიგნები, ფოტოები, რუკები.

დიდი მოგზაური ამავე დროს არის მსოფლიოს 13-გზის რეკორდსმენი სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მისი სახელი შესულია “გინესისა” და “დივოს” არაჩვეულებრივი რეკორდების წიგნებში.

ამ საკაცობრიო მისის შესრულებას წინ უსწრებდა ნაწლავების დამბლა და თრომბოზი, მთლიანად შინაგანი ორგანოების განგრენა, ორი ურთულესი ოპერაცია და 3 კლინიკური სიკვდილი.

ამ პროცესის დამახასიათებელია სხეულისა და გონების გათიშვა.

მეცნიერების აზრით, ეფირული ორეული, ელექტრული სული აგრძელებს არსებობას კლინიკური სიკვდილის შემდეგ.



ინდივიდს აქვს ბიოლოგიური შესაძლებლობა, ზოგიერთი ფორმით და გაუხანგრძლივებელი დროით, იარსებოს სიკვდილის შემდეგ.

სიკვდილის მოვლენა დასაბამითვე აფორიაქებდათ ადამიანებს და ამაზე შეიქმნა აუარებელი ლიტერატურა. არსებობს სიკვდილის რელიგიური, მითოლოგიური, ფილოსოფიური (მატერიალისტური თუ იდეალისტური) ახსნა.

ცნობილია ეგვიპტური და ტიბეტური მკვდრების წიგნები, რომლებიც წარმოადგენდა გარდაცვალების სახელმძღვანელოს.

ტიბეტის მოაზროვნეთა ასეული წლობით ასწავლიდა თაობებს, თუ როგორ უნდა მომკვდარიყვნენ, რომ მიეღოთ სიკვდილი, როგორც აუცილებლობა.

ტიბეტური წიგნის მიხედვით, სიკვდილი არის ცნობიერების გადასვლა უფრო მაღალ საფეხურზე.

იმ ქვეყნებში, სადაც ემზადებიან სიკვდილისთვის და ამას უცქერიან, როგორც სიცოცხლის პროცესის ნაწილს, სიკვდილის შიში საერთოდ დაძლეულია.

ტიბეტურ წიგნში მოთხოვნილია ღვთაებრივ სასამართლოზე, სადაც მიცვალებულთა მოსამართლე ღხარმა-რადუა აფასებს მიცვალებულთა საქმეებს კარმის სარკის საშუალებით. სარკეში აირეკლება მიცვალებულთა კარგი და ცუდი საქმეები (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ. 1950, გვ. 130).

ამერიკის მკვდართა წიგნის სახელწოდებაა “გარდაცვალების მეცნიერება”, იგივე “გარდაცვალების ხელოვნება”.

ამერიკელი უ. გოულდი ხალხს ასწავლიდა “შეგნებული სიკვდილის მეცნიერებას”, მისი დევიზი იყო “მოკვდი სიკვდილზე ადრე”.

დოქტორ უორდენის პროგრამა იყო “სიკვდილის პირადი გაცნობიერება”.

მომაკვდაცვები იუნიებოდნენ, რომ ამ წიგნმა შეცვალა მათი ცხოვრების მოდელი, ისინი ახლებურად აღიქვამდნენ სიკვდილს, ავადმყოფობას, ჯანმრთელობას.

ადამიანმა უნდა გადაიტანოს მინი სიკვდილი, რათა გააკონტროლოს თავისი უკანსკნელი წასვლა ამ ქვეყნიდან (ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ, მოსკოვი, 1991, რუსულად).

კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: “სიკვდილი უკანასკნელი წრთობაა ჩვენი სულისა. უკვდაცვება მხოლოდ ისეთ ადამიანს დაუმკვიდრებია ამქეყნად, ვინც მაღალი გრძნობის სახელით ცოცხალი ზიარებია სიკვდილს. გზა, უკვდაცვებისკენ მიმავალი, მუდამ სიკვდილის არკის ქვეშ გაივლის”.

სიკვდილი შემოქმედების გამაღვიძებელი ფაქტორია. შემოქმედებითი ძალები მწვერვალს აღნევს საკუთარი სიკვდილის გაცნობიერებისას.

სიკვდილისათვის ვარჯიში მთავრდება სულიერი განახლებით. ეს სიმბოლური სიკვდილი შეგვაგრძნობინებს ამქეყნიური არსებობის წამიერებას და ტრანსცენდენტური სამყაროს მშვენიერებას, სიკვდილისწინა განცდა ემსახურება ადამიანის დაფარული სულიერი ძალების პოტენციურ გამოვლენას.

ძმის სიკვდილის განცდამ შეძრა კონსტანტინე გამსახურდია, სულიერი ხედვა, შემოქმედებითი ფანგაზია გაუმძაფრა და ოჯახის ტრაგედია მხატვრულ სიტყვად განსხეულდა ნოველაში “ზარები გრიგორიში”.

პირადი ავადმყოფობა, სიკვდილისთვის თვალებში ყურება გახდა მწერლისთვის დიდი იმპულსი, რომ მესამედ დაენერა დაკარგული რომანი “დიონისოს ღიმილი”.

ამიტომაც უწოდებს დიდი პროზაიკოსი სიკვდილს “ჩვენი სულის უკანასკნელ წრთობას”.

მსოფლიო მოგზაურმა ჯუმბერ ლეჟავამ რთული გზით იარა განსაკუთრებულ წარმატებამ-დე.

მას მსოფლიო რეკორდებში, მსოფლიო მოგზაურობაში გამარჯვებამდე ავადმყოფობასა და სიკვდილზე უნდა გაემარჯვა, რადგან წილად ხვდა მიღმურ სამყაროში გადახედვა, სიკვდილის აჩრდილთან შეხვედრა.

მოგზაურის მიერ დროებით გაღმა ნაპირზე ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებები ემთხვევა კლინიკურ სიკვდილის გადამტან ადამიანთა ნაამბობს, რომლებიც აფიქსირებენ ბნელი გვირაბის გავლას, გაუცხოებას, ხოლო შემდეგ კაშკაშა სინათლესთან ანუ უზენაესთან შეხვედრას, რაც სულიერი განახლების სტიმული ხდება. განგების ნებით ისინი ისევ უბრუნდებიან მიწიერ ცხოვრე-

ბას დიდი მისი ალსასრულებლად (ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ, მოსკოვი, 1991წ. რუსულ ენაზე).

ჯუმბერ ლეუავა აღწერს კლინიკური სიკვდილის მომენტს, როცა წვალებით გაიარა შავი გვირაბი, შეხვდა თეთრწვერულვაშა, თეთრ ანაფორაში ჩაცმულ სიხარულის მომტან მოხუცს: “ხე-ლების ცეცებით მივიკვლეული გზას გვირაბულ წყვდიადში. ხშირ-ხშირად იცვლებოდა ხედები. მეყ-ვსეულად აღმოვჩნდი თიხნარ ციცაბოებში, წვიმს, გრიალებს ქარი. მივხეტიალობ, მივადექი რკი-ნის ურდულებით შეკრულ დიდ ოვალურ კარს, რომელიც მთლიანად ხის მორებით იყო აწყობი-ლი. ძლივს შევალე იგი, მოვიშველიე მხარი კარის გასალებად, 50 მეტრამდე სიმაღლისა და 25მეტრი სიგანის კვერცხისებური შენობის შესასვლელში გავჩერდი. კარები შუა სიმაღლეზე ჰა-ერში, რადგან კიბეები არ არის. მის ფსკერზე სამი გამოქვაბულის შესასვლელი მოჩანს, რომლე-ბიდანაც შუა გვირაბს თეთრწვერულვაშა, თეთრ ანაფორაში ჩაცმული მოხუცი იცავს. თითოეული მათგანი დაყრდნობილია შესაბამისი ფერის კვერთხზე.

“შენ ლეუავა ხარ?” შემეკითხა მათგან შუა გვირაბის მცველი უხუცესი. დავუდასტურე.

“თეთრანაფორიანი მიღიმოდა, რამაც უზომო სიმშიდე მომგვარა და როცა მეგონა, ვპოვე-მეთქი სასუფეველი, უკან გამობრუნება მიბრძანა: ”ჯერ კიდევ საზიდი გაქვს ცხოვრებისეული ჭაპანი, მიწიერი გაქვს საკეთებელი. შენ შეიძენ უდიდეს ენერგიას, რაც ხალხს უნდა მოახმა-რო.” ...

შემდეგ იყო მერთალი სინათლე, იმედი, დიდი ნათელი, კაშკაშა მზე და ულამაზესი ყვავილე-ბიანი ველი: “გამოვბრუნდი... ვატყობ სიხარულს... თვალსაწირში ძალზე მკრთალმა სინათლებ ბოლომდე გაურკვეველი იმედი აღმიძრა. მერე უეცრად მკვეთრად ინათა და მზით გაკაშკაშებულ, სხვადასხვა ფერის ყვავილებით დაფარულ ულამაზეს მინდორში ვიდექი უკვე. წამში აილაგმა გა-მოვლილ გზაზე თავს გადამხდარი ფათერაკები – ქვენარმავლებით სავსე ხეობებში ხეტიალი, სისხლით გატიკილ ღამურათა ფრთების სახეზე ხეთქება, წვიმაში, ქარში, სიცივეში თიხნარი ფერდობების გადალახვა”.

დიდი მოგზაური გვამცნობს ამ ხილვის შედეგებს: “ეს იყო უამი მეორედ დაბადებისა, კლინი-კური სიკვდილისგან თავდახსნას რომ მოჰყვა, რამაც ისეთი შეძლებითა და ძალით აღმჭურვა, რომ საკვირველი რამ შემაძლებინა – მრავალი მსოფლიო და გინესის რეკორდი დამამყარებინა წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებსა და მუცლის პრესის ვარჯიშში, ცხრანელინადნახევარი აღ-მაფრენა მიბოძა, 238ქვეყანა შემომატარა, მაშრიპ-მაღრიბი დამაპყრობინა”.

სიზმრისეულ ხილვაში გამოცხადებული თეთრწვერა, თეთრ ანაფორაში ჩაცმული მოხუცი უფლის სახეა, როგორც ვაჟა-ფშაველას “მოჩვენებაში”, გოდერძი ჩოხელის “მგელში”, რევაზ ინა-ნიშვილის “სახატებში”.

უფალთან შეხვედრა მხოლოდ სულით სპეტაკ, წმინდა ადამიანთა ხვედრია და მაღალი მისი-ის შთამაგონებელი, წინსვლა-წარმატების სტიმული ხდება.

იმქვეყნიურ, არამინიერ, აღმაფრენის მომნიჭებელ სინათლესთან შეხვედრას ყველა თავისე-ბურად აღიქვამს. ვერლენისთვის იგი მზისფერია, ბოდლერისთვის – ოქროსფერი, ედგარ პოს-თვის – წითელი, გალაკტიონისთვის – ვარდისფერი, ტ. გრანელთან – ცისფერი.

მიუთითებენ, რომ “გამობრწყინების” მომენტი ენით გამოუთქმელი ქმედითი ბიძგია. ეს არის ძალების მოზღვავება, ბრძნული გამონათება, სულიერი განახლება, იმედი, მას “კოსმიურ შემეც-ნებასაც” უნიდებენ, “სულის სიმღერად” აღიქვამენ, რომელსაც წინ მიჰყავს მისი განმცდელი.

ჯუმბერ ლეუავას შეხვედრა თეთრწვერა, თეთრკვერთხიან მოხუცთან, ნათელთან, კაშკაშა მზესთან და ყვავილებიან მდელოზე ყოფნა მოასწავებდა რწმენით, ენერგიით ავსებას, უჩვეულო, საკაცობრიო მისი ალსრულებისთვის ფსიქოლოგიურ შემზადებას.

ნამება, განსაცდელი, გამოცდა სუსტებს ასამარებს, ძლიერებს – პირიქით...

მსოფლიოს მოგზაური და მსოფლიოს სპორტსმენი ჯუმბერ ლეჟავა საუბრობს თავის “ჯო-ჯოხეთური წამებით შექმნილ ბიოგრაფიაზე”.



“სიცოცხლის მანძილზე ჯოჯოხეთი მრავალჯერ გავიარე – მათ შორის კლინიკური სიკვდილი რამდენჯერმე, უმეტესობა სამივე მოგზაურობის დროს.

“... დიდი მოგზაურობის დამთავრების ფაზაში ხშირად ჩემს თავს ვეკითხებოდი — საკმარისად ენამე? ყოველთვის ასე ვპასუხობდი – საკმარისზე მეტად”. (ჟურნალი მოგზაური, თბ. 2010, N1, გვ. 6).

“... იფიქროს მკითხველმა, რაც სურდეს, მე კი ვიტყვი, რომ ამ ფაქტმა მთელი ჩემი ცნობიერება და, შესაბამისად, ცხოვრებაც შეცვალა, სიცოცხლისკენ გამოპრუნებული ამ არამინიერი ხილვა-ზმანების უდიდესი შთაბეჭდილების ქვეშ მოვექეცი. ადამიანი, ამ მატერიულ მოცემულობებში, მაინც გონიერ არსებად რჩება. მეც, როგორც გონიერი ინდივიდი, შევეცადე მომებდინა მთელი იმ ფანტომური სინამდვილის რაციონალიზაცია. ამენონ-დამენონა და შემეტანა მასში ლოგიკური სიმყარე. რაც მეტს ვფიქრობდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი: სამყაროში ყველაფერს თავისი კოდი და სიმბოლო ჰქონდა. თუ გსურდა მოცემულობათა არსში წვდომა, აუცილებლად უნდა გესწავლა სამყაროს ღვთაებრივი და საიდუმლო ანბანი. ადამიანებს სწამთ, რომ სამყარო, ყოფიერება, ნებისმიერ თავის გამოვლენაში იღუზორული და მაგიურია, რომ გვეთამაშება და გვატყუებს. კლინიკური სიკვდილის შემდეგ მივხვდი, რომ ეს ასე არ იყო. სამყარო, სინამდვილე, რომელსაც მივუბრუნდი სიკვდილის შემდეგ, ის სამყარო არ იყო, რაც გარდაცვალებამდე იყო. სიმართლე რომ ვთქვათ, სინამდვილის კარდინალური გარდასახვა სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩე-

მი შეხედულებების და აზროვნების ტოტალური ცვლილებები. მივხვდი, სამყარო და ყოფიერება კი არ ტყუიდა, ჩვენ ვკითხულობდით მის წიგნს შეცდომით და უკულმართად. ამიტომ გვეგონა, რომ იგი მუდამ გვატყუებდა (20).

კლინიკურმა სიკვდილმა, ფაქტობრივად, დიდ საიდუმლოს მაზიარა. მე შევძელი არა უბრალოდ მექანიკური მოპრუნება, არამედ შემობრუნება და ე.ნ. ცხოვრების წიგნის მართებული კითხვა. სიკვდილმა სიცოცხლე მასწავლა, მაპოვნინა გზა კოსმიური ენერგიებისკენ – გზა ვიტალობისა და ვიტალური ძალების დაუფლებისა, რომელიც, პირობისამებრ, სიკეთეში და სიყვარულში უნდა გამელია.

მოპრუნებულმა ვარჯიში დავიწყე და სულ რაღაც 6 წელიწადში წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებში 13 მსოფლიო რეკორდი დაგამყარე – რომელთაგან უმეტესობა “გინესისა” და “დივოს” არაჩვეულებრივი რეკორდების წიგნებში შევიდა. თავიდან ექიმები რამდენიმე კვირის სიცოცხლეს თუ მიწინასწარმეტყველებდნენ, ახლა სამაგალითო ჯანმრთელობის მქონე ხანში შესულ მამაკაცად მაღიარეს, რომელსაც 20 წლის ჯანმრთელი ახალგაზრდის ორგანიზმი ჰქონდა” (გაზ. “სოვეტსკი სპორტი” და სხვ.).

კლინიკურმა სიკვდილმა, ფაქტობრივად დიდ საიდუმლოს მაზიარა (უურნალი “მოგზაური”, თბ. 2010 N1, გვ. 20).

ღვთისმეტყველები, მოციქულები საუბრობენ განსაცდელის, სიძნელების სიკეთეზე: “ზოგ-ჯერ ღმერთი დაუშვებს, მართალი მორწმუნებულება განსაცდელს ეწიოს, ჭირი და უბედურება დაითმინოს, რათა სხვა ადამიანებს დაანახვოს მორწმუნებში დაფარული სათნოება” (იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა, თბ. 2002, გვ. 32).

“ნეტარია განსაცდელის გადამტანი კაცი, რადგან, რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თავის მოყვარულთ” (იაკობი, 1, 12).

“არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა და სარწმუნო ღმერთი... არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობებზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც მოგცემთ, რომ შესძლოთ გადატანა” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, თ. 10,13).

“... ყოველი, ვინც უფლის სახელს მოუხმობს, გადარჩება” (პავლე მოციქული, რომაელთა, 10,3).

“იესომ ღვთის მადლით იგემა სიკვდილი ყველას გულისთვის, ვინაიდან ... ის არის მათი გადარჩენის წინამდლვარი” (პავლე მოციქული, ებრაელთა, 3,10).

“რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი” (პავლე მოციქული, ებრაელთა, 12,6).

ბატონი ჯუმბერ ღეუავა ღვთისაგან ხელდასმული რჩეულია, რომელმაც რაინდულად გადაიტანა მისთვის განკუთვნილი ყოველი წინააღმდეგობა და თაობებს დაუტოვა სიკვდილის დამარცხების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მართვის ინდივიდუალური პროგრამა, რაც კაცობრიობის ყურადღების ღირსია.

ქართული ეროვნული გონის შორს გაწევის დასტურია დიდი მოგზაურის დღიურები, 55 ტომი, რომლებიც საყურადღებოა ფილოსოფიური, რელიგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ესთეტიკური ასპექტებით.

პლანეტის ამ გამორჩეული ადამიანის ნიჭი ასევე გაცხადდა ფერწერაში, იგი აქაც წარმოგვიდგა, როგორც ჭეშმარიტი პროფესიონალი.

ბატონი ჯუმბერ ღეუავა საუკუნეებს ელაპარაკება, მისი საქმეები და ნააზრევი ეკუთვნის მარადისობას და გვარწმუნებს ადამიანის შესაძლებლობათა განუსაზღვრელობაში, ქართული ეროვნული ფენომენის განსაკუთრებულობაში.

## მსოფლიო მოგზაურისა და მსოფლიო რეპორტერის ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის პრაქტიკის ინდივიდუალური პროგრამა

ცხოვრება სირთულეებთან, წინააღმდეგობებთან, მოულოდნელ ფათერაკებთან, ავადმყოფობასთან, ხილულ თუ უხილავ ძალებთან ბრძოლის მაგალითებით არის სავსე.

ლვთისმეტყველთა მტკიცებით, ფიზიკური სხეულის მმართველი სულია და ყოველგვარი ავადმყოფობა არამდგრადი სულიერი მდგომარეობის შედეგია.

ამიტომ მიზანი ის უნდა იყოს, რომ ჯერ სული გავაჯანსაღოთ, სული სხეულის მმართველად ვაქციოთ და მხოლოდ ასე შევძლებთ დავამარცხოთ ავადმყოფობა ექიმის, წამლის, ქიმიური პრეპარატების გარეშე, მედიცინის ჩაურევლად.

ადამიანი ფლობს განუსაზღვრელ ფსიქიკურ და ფიზიკურ ძალებს და ხელეწიფება მისი მიზანმიმართული მართვა-გამოყენება.

კარლ გუსტავ იუნგი აღიარებდა ავადმყოფობის განკურნების შესაძლებლობას სულიერი ნუ-გეშით, ფსიქიკური ზემოქმედებით: „ხანდახან სულიერმა ნუგეშმა, ანდა ფსიქიკურმა ზემოქმედებამ შეიძლება ავადმყოფი განკურნოს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ხელი შეუწყოს განკურნებას (კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები. სიზმრები. თბ. 1955, გვ. 127).

სწერების დამარცხების საშუალებად მიაჩნია იუნგს სასულიერო თერაპია, რელიგიების ფსიქოთერაპევტული სისტემა. რელიგიები და ფსიქოთერაპევტები ერთნაირად ცდილობენ ადამიანის სულის, ფსიქიკის სატკივართა დაამებას. ამიტომაც ეწოდება ღმერთს დიდი მკურნალი.

„მკურნალობა უზენაესისგან არის და ნიჭიც მეუფისგან ეძლევა მას“ (ისო ზირაქი, 38, 2), გვასწავლის ბიბლია.

„მე ვარ უფალი, შენი განმკურნებელი“ (გამოსვლათა, 15, 26) შეგვაგონებს წიგნთა წიგნი.

იუნგი წერს: „რა გასაკვირია, რომ შთამბეჭდავმა და ვითარების შესაფერისმა სიმბოლომ არაცნობიერის ძალები ისე აამოძრაოს, რომ ნერვულ სისტემაზეც კი მოახდინოს გავლენა და სხეულმა კვლავ ნორმალურად დაიწყოს ფუნქციონირება“ (ზემოთხსენებული იუნგის წიგნი, გვ. 130).

მეცნიერი საუბრობს სიზმრისეულ წინათგრძნობებზე, რომლებმაც, სწორად გაგების შემთხვევაში, შეიძლება კაცი სიკვდილს გადაარჩინოს.

არსებობს თუ არა შესაძლებლობა დავამარცხოთ ავადმყოფობა, გავიხანგრძლივოთ სიცოცხლე? — კაცობრიობის მარადიული საფიქრალია.

გიორგი გურჯიევი ასე ეხმაურება ამ პრობლემას: „ყოველ ადამიანს აქვს თავისი მამოძრავებელი ზამბარა, ეს ჩვენი მექანიზმია. ამ მამოძრავებელის მოქმედება-ამონევა დაკავშირებულია ჩვენს შთაბეჭდილებებთან და ასოციაციებთან“ (გიორგი გურჯიევი, საუბრები, „განთიადი“, 1996, №5-6, გვ. 146).

„სიცოცხლის გახანგრძლივების უნარი დაფუძნებულია უნარზე – ჩვენი ცენტრების ენერგია ნელა და მუდამყამს გააზრებულად, შეგნებულად გავხარჯოთ.

„იფიქრეთ გააზრებულად. შეგნებულად! ეს დაზოგავს თქვენს ენერგიას“. მოგვინდებს გიორგი გურჯიევი (იქვე).

ფსიქოლოგიაში ასეა ეს პრობლემა დასმული: „ჩვენი ქცევების სცენარი დიდი ხნის წინათ არის დაწერილი... დაბადებამდე, დაბადების შემდგომ და ღრმა ბავშვობაში აღმოცენებული განცდებით... სიტუაცია ერთი შეხედვით ფატალურად არის განსაზღვრული...

სად არის გამოსავალი?

ამ კითხვის ასეთი პასუხი არსებობს: „შესაძლებელია ამ ადრეული სცენარების გარდაქმნა და სრული გადახალისება... არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული და დახვეწილი ფსიქოტექნილოგია, რომელიც ხელს უწყობს ადამიანს „ხელახლა დაიბადოს“, მოახდინოს ერთგვარი შინაგანი ტრანსფორმაცია, რათა განთავისუფლდეს საზიანო სცენარისგან და ხელახლა ააწყოს ცხოვრება სრულიად განსხვავებული ჯანსაღი სცენარით... ხელახლა დაბადებას „რებერფინგს“ უწოდებენ ამერიკელი ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები“ (ნოდარ სარჯველაძე, ხელახლა დაბადება, ფსიქოლოგიური საუბრები, თბ. 1995, გვ. 66-67).

ფსიქოლოგები ეხმარებიან ადამიანებს ხელახლა დაპროექტონ თავისი „შინაგანი სახლი“, აამოქმედონ ფარული რესურსები, ხელახლა აღმოაჩინონ საკუთარი თავი და შვან სამყაროში „მეს“ ახალი ნაწილი, განონასწორებული და მშვიდი, მოქნილი და შემოქმედებითი, ჯანსაღი და მიმზიდველი“ (იქვე, გვ. 70).

არსებობს მოსაზრება, რომ „გონება, იდეები, ამაღლებული გრძნობები არაიშვიათად ამარცხებენ და თრგუნავენ სიკვდილის გრძნობას“ (მიხეილ ზოშჩენკო, „მზის ამოსვლის წინ, გონებისათვის“, თბ. 1996, გვ. 216).

„გონება სძლევს ავადმყოფობას, ტანჯვას, სიბერეს და სიკვდილსაც კი“, ამტკიცებს ზოშჩენკო.

მისმა აღმოჩენებმა, ფსიქიკის სიღრმეში მოძიებულის წარმატებით გამოყენებამ, საკუთარი ჯანმრთელობის მართვის და ხანგრძლივი სიცოცხლის მიღწევის მისეულმა მეთოდებმა აღაფრთოვანა მკითხველები, მეცნიერები. პავლოვმა იგი თავის ოთხშაბათობებზე მიიწვია, პროფესორმა ვასილჩენკომ ზოშჩენკოს ჯანმრთელობისადმი შეგნებული ხელმძღვანელობის პროგრამა თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების მიღწევად აღიარა.

ზოშჩენკომ სულისმიერი ძიებებით, მის სიღრმეებში ახლებური ჭვრეტით ფსიქიკის მართვის საკითხი ახლებურად გაიაზრა.

საჭიროა ადამიანმა თავისი ცხოვრებიდან განდევნოს ყველაფერი მანიაკური. მან უნდა შეძლოს საკუთარი მანქანის მართვა ისე, რომ თავადვე არ დაემორჩილოს მას, ამტკიცებს ზოშჩენკო.

ნებისყოფის ფსიქიკური ძალა დიდ გერმანელ მეცნიერს კანტს სხეულის უმაღლეს მმართველად მიაჩნდა. მან დაამარცხა შიში, ავადმყოფობა, საკუთარი თავისგან მოაზროვნე მანქანა შექმნა, რამაც ღრმა სიბერეში ფსიქიკურ დაავადებამდე მიიყვანა.

შეიძლება სხეულის საჭიროებისთვის მიზანდასახული ჩვევების გამომუშავება, მაგრამ ხშირი განმეორებისას ფსიქიკა აძლიერებს ამ ჩვევებს და უკიდურესობამდე მიჰყავს.

ოცი წლიდან მოყოლებული, კანტს უკვე მანიაკის ჩვევები ჰქონდა.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჯუმბერ ლეჟავამ საკუთარი მეთოდებით დაამარცხა ავადმყოფობა, სიკვდილი და შეუძლებელი შეძლო. მან შექმნა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ბრძოლის ინდივიდუალური, მაგრამ ძალზე საყურადღებო პროგრამა, რაც შემდეგნაირად დაიწყო.

1986 წლის 7 იანვარს აპენდიციტის მწვავე შეტევა გადაუდებელ ოპერაციას მოითხოვდა. ავადმყოფი რეანიმაციაში მოათავსეს, გადარჩენის იმედი თითქმის გადაწურული იყო.

ამას დაემატა ექტნის მიერ კოტოშების დამაგრებისას სპირტის აალება და ცეცხლის წაკიდება პაციენტისათვის, რომელიც ორმაგი ტრავმის მსხვერპლი იყო.

ექტნის აზრით, თუ გადარჩებოდა პაციენტი, სამუდამოდ ინვალიდობისთვის იყო განწირული.

ჟუმბერ ლეჟავა საავადმყოფოდან სახლში იმ გადაწყვეტილებით მოპრუნდა, რომ არ გაეთვალინებინა ექიმების რჩევები, არ დაეცვა დიეტა, არ მიელო წამლები, არ იკეთებდა ნემსებს, არ იცავდა წოლით რეჟიმს.

დაზიანებული ჰქონდა ღვიძლი, თირკმელი.

მიუხედავად ყველაფრისა, გადაწყვიტა, ეცოცხლა.

ამისათვის ფსიქოლოგიურად ბევრს მუშაობდა საკუთარ თავზე. რამდენიმე ეტაპად გამოჰკვეთა რეაბილიტაციის პროცესი. თავიდათავი სიცოცხლის შენარჩუნება იყო, თუნდაც ინვალიდობის ფასად. შემდეგ ფეხზე დადგომა და საკუთარი ძალით გადადგილება დაისახა მიზნად. მესამე ამოცანა იყო სამსახურში გასვლა, მეოთხე – ჩვეული სპორტული ფორმის დაბრუნება, აბსოლუტური ჯანმრთელობის მიღწევა, მაგრამ ყოველივე ეს ფანტაზიის სფეროს განეკუთვნებოდა არსებითად, რადგან ექიმმა მხოლოდ მწოლიარე მდგომარეობაში სიცოცხლის შენარჩუნება უწინასწარმეტყველა, რასაც სიკვდილს ამჯობინებდა.



ჯერ ფეხზე წამოდგომა სცადა, მერე 15 დღე ვარჯიშობდა ოთახში სიარულში, ორ კვირას წვალობდა დღეში 3-4 საათს. ანუხებდა მუცლის ტკივილი, ღალატობდა ფეხები, ემართებოდა გულყრები.

შემდეგ სუნთქვითი ვარჯიშები დაიწყო, კიბეებზე ასვლა-ჩასვლა გაბედა, მერე ეზოში ჩავიდა, ერთი თვე ივარჯიშა სტადიონზე. 4-5 თვის მერე ბორჯომის სანატორიუმ „ლიკანში“ გაემგზავრა, სადაც თვენახევარი სულ ვარჯიშში გაატარა.

არ ეკარებოდა ექიმებს, არ იღებდა წამლებს, არ იკეთებდა ნემსებს.

თანდათან უკეთესობა იგრძნო, აგრძელებდა ვარჯიშს, თევზაობდა მტკვარზე, დადიოდა მთებში, ცოცავდა კლდეებზე.

მიზნად დაისახა სიკვდილის დამარცხება, ნორმალური ჯანმრთელობის აღდგენა. „მე ამას მივაღწევ, მე ვაჩვენებ სიცოცხლისთვის ბრძოლის კიდევ ერთ ურთიერთს მაგალითს, რადგან ჩემამდე ასეთი მაგალითი კიდევ ბევრს უჩვენებია“, ფიქრობდა ჯიუტად.

სისხლში ისევ ცვლილებები იყო. არც ღვიძლი და თირკმლები მუშაობდა კარგად.

მაინც დაუბრუნდა სამსახურს, რათა არ დაეკარგა საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობა, ფუნქცია.

იცავდა დასვენების, ვარჯიშის, კვების რეჟიმს. აგრძელებდა სამსახურში სიარულს. მისი პრინციპი იყო სამსახურეობრივი საქმის უმაღლეს დონეზე დაყენება.

კურირებდა საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკისა და სახალხო მეურნეობის ორგანიზაციებში ინფორმაციის მექანიზირებულ და ავტომატიზირებულ დამუშავებას.

ჟუმბერ ლეჟავამ თავისი რეჟიმიდან გამორიცხა დღესასწაულები, კინო, თეატრი, სტუმრად წასვლა, მთელი ძალისხმევა მიმართა ჯანმრთელობის დასაბრუნებლად, დაავადებულთა და ინვალიდთა სიიდან ამოსარიცხად.

მიზანთან ძალიან ახლოს იყო, რომ არა ერთი შემთხვევა, საკუთარი გულისხმიერება და უცნობთან გამოჩენილი სიკეთე, რომელმაც ისევ უკუშედეგებამდე მიიყვანა.

იმ ხანებში, დეკემბრის ბოლოს, თოვლსა და ქარში საკუთარი მანქანით მიღიოდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მუშტაიდის ბალის მიმართულებით. გზაში მანქანასთან გაჩერებული კაცი დაინახა სამი ბავშვით. შეჩერდა და გაარკვია, რომ მხოლოდ მიწოლით დაიქოქებოდა მანქანა. არც დაფიქრებულა, მთელი ძალით უბიძგა მანქანას, სანამ ადგილიდან არ დაძრა, თვითონ კი თოვლჭყაპში ჩაიკეცა მუცლის ტკივილისგან.

მესამე დღეს მოვიდა გონიერ მეოთხე სამმართველოს საავადმყოფოში. ფიზიკურ დატვირთვას ნაწლავების გადახლართვა გამოუწვევია და სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა. ამოკვეთეს 4,25 მეტრის სიგრძის ნაწლავი, საჭირო გახდა გადაბმები ცხრა ადგილას.

გადარჩა პროფესორების – ბუჭა გუგუციძის, ზურაბ ცხაკაიას, რომან სვანიშვილის, ვახტანგ ბოჭორიშვილის, ექიმების – მერი ჭაჭიაშვილის, ანა გორგასლიძის ძალისხმევით...

დაიწყო ხელახლა ბრძოლა სიცოცხლის გადარჩენისთვის, ჯდომისა და სიარულის სწავლა, გამძლეობის გამომუშავება.

საჭირო იყო სისხლის გაახლება, სასუნთქი ორგანოების გასუფთავება-დამუშავება, არტერიული და თავის ქალის წნევების დარეგულირება, გულის ნორმალური მუშაობის, თირკმლების, ღვიძლის ფუნქციონირების აღდგენა, მუცლის ღრუში ტკივილების გაქრობა.

აუცილებელი გახდა ფსიქოლოგიური გარდაქმნა, ფიზიკური ძალის მოკრება, გამძლეობის გამომუშავება.

დაიმედებული იყო რწმენაზე, ნებისყოფაზე, მაქსიმალისტობაზე.

ქალიშვილის ჩაგონებით დაიწყო მკლავებზე აზიდვების ვარჯიში.

იგრძნო უკეთესობა. მერე შეძლო ნაკვეთში ფიზიკური მუშაობა.

„ჩემი ახალი სიცოცხლის ვარსკელავს ეხედავ, მე ვიცოცხლებ“ - კარნახობდა რწმენა.

ვარჯიშით თანდათან აღიდგინა ჯანმრთელობა, წნევა იდეალური გახდა, დაუბრუნდა სიცოცხლის ხალისი. სახლში რემონტი დაიწყო და დაასრულა. გააკეთა კარადები, დააგო პარკეტი, მეტლახი, კაფელი.

უჯარმაში ბალი გააშენა.

მაინც პროგრამა მაქსიმუმი იყო მიზანი: „ჯანმთელობის გამომუშავებაზე ფიქრი საერთოდ უნდა გაქრეს“.

იგრძნო ფერწერით გატაცება. დაიწყო ბუნების, ყვავილების, ნატურმორტების, პორტრეტების ხატვა, საკუთარი თავი გამოსცადა აბსტრაქციაში, კუბიზმში.

უფრო ინტენსიური ვარჯიში შეძლო – 1 საათში 3000 აზიდვას მიაღწია. მოეძალა სურვილი, დაემყარებინა გინესის ახალი რეკორდები წლილით მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში.

7-8 საათი ვარჯიშობდა, 25-26 ათას აზიდვას მიაღწია.

გაოცებას ვერ ფარავდა: „რა ხდება ჩემს თავს? ნუთუ ეს ის ენერგიაა, ღმერთმა კლინიკური სიკვდილის დროს რომ მიბოძა? რა თქმა უნდა, სხვა საიდან მოვიდოდა?“.

სიკვდილის სასწაულებრივი დამარცხების შემდეგ მსოფლიო რეკორდებზე ფიქრობდა და სჯეროდა საკუთარი ძალების: „ნუთუ მოვახდენ საოცრებას და ჯერ სიკვდილის, შემდეგ კი მუდმივი ინვალიდობის დამარცხების შემდეგ დავამყარებ მსოფლიოსა და გინესის ახალ რეკორდებს? რატომაც არა! ხომ არსებობს ასეთი მაგალითები! სიკვდილის დამმარცხებლები!“.

ჯუმბერ ლეჟავამ მართლაც დაჯაბნა სიკვდილი, ავადმყოფობა. ფიზიკური და სულიერი ძალების მოზღვავებამ შეაძლებინა 15 მსოფლიო რეკორდის დამყარება, მრავალგზის შევიდა მისი სახელი „გინესისა“ და „დივოს“ მსოფლიო რეკორდების წიგნებში, მოიარა მსოფლიო, შვიდ კონ-

ტინენტზე, 238 ქვეყანაში იმოგზაურა და გაეცნო პლანეტის ყველა ღირსშესანიშნაობას, გახდა მსოფლიოს მოქალაქე. ქვეყნიერებას გააცნო ჩვენი პატარა, მაგრამ ამოუწურავი ძალისა და ინტელექტის, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, მისი მესიანისტური იდეალები...

მოგზაურობის სურვილი ჭაბუკობაში გაეღვიძა.

1964 წელს მოტოციკლ „იავათი“ იმოგზაურა ჩრდილო კავკასიაში.

1980 წელს ოჯახთან ერთად ავტომანქანით მოიარა სსრკ ყველა რესპუბლიკა.

მოტოციკლითა და მანქანით სისტემატურად მოგზაურობდა სხვადასხვა რესპუბლიკებში, ფეხით ჰქონდა მოვლილი საქართველოს მრავალი კუთხე.

1985 წელს ინტენსიურად ვარჯიშობდა სუნთქვისა და ფიზიკური გამძლეობის რეჟიმების და-სამუშავებლად.

ოცნებობდა ყველასაგან ფარულად კავკასიონის მწვერვალ „უშბაზე“ ასულიყო ზამთარში, თუმცა მწვავე ფიქრებს აღუძრავდა სასიქადულო ქართველი ალპინისტების დაღუპვა...

არ ასვენებდა რაღაც დიადის, არაჩვეულებრივის განხორციელების სურვილი: „მინდოდა რაღაც იმგვარი მოქმედება ჩამედინა, იაპონელ მთამსვლელს რომ გადახდა: ფიზიკური სისუსტის გამო მეგობრებმა იგი ევერესტზე არ წაიყვანეს. მან კი ხუთწლიანი დაუღალავი ვარჯიშის შედეგად ბევრად მეტს მიაღწია, ვიდრე მისმა ამთვალისწუნებელმა ამხანაგებმა. მან სხვადასხვა მხრიდან დალაშქრა ევერესტი. ციგებით, რომელშიც შეძმული იყო ძალები, მივიდა ჩრდილოეთ პოლუსზე და შემდეგ, როდესაც დააპირა მარტოს თხილამურებით მიეღწია იგივე პოლუსისათვის – დაიკარგა.

„ჩემთვის იგი გმირია. მინდოდა მისთვის მიმებაძა. უშბაზე ზამთარში ასვლით გამომეჩინა თავი. ეს ვერ შევძელი, მაგრამ... დავიპყარი მსოფლიოს მწვერვალები მკლავებზე აზიდვის უნიკალური რეკორდებით და ველოსიპედით შემოვუარე მსოფლიოს ყველა კონტინენტს, როდესაც გავიარე 238 სახელმწიფო... ასევე შევძლებდი ველომოგზაურობის განხორციელებას მთვარეზეც.

„ვფიქრობ, უდიდესი შემართებითა და შეუპოვრობით ქართველ კაცში ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გრძნობას ახალი სული შთავბერე, ქართული გენისადმი რწმენა დავაბრუნე“.

## მსოფლიო მოგზაურის გინესის რეკორდები

მსოფლიო მოგზაურმა ჯუმბერ ლეჟავამ დაამარცხა სიკვდილი, ავადმყოფობა და ამას მიაღწია არა მედიკამენტებით, ექიმების რჩევით, არამედ საკუთარი, ინდივიდუალური მეთოდებით, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი ეკავა ნებისყოფას, ფსიქოლოგიურ გარდაქმნას, ვარჯიშებს.

მიღწეული იყო პროგრამა მაქსიმუმი, რითაც ჯანმრთელობის გამომუშავებაზე ფიქრი წარსულს ჩაპირდა.

ამის შემდეგ მსოფლიო რეკორდების დამყარება გახდა მიზანი.

1990 წლის იანვარში „სოვეტსკი სპორტში“ ნახა სტატია „გინესის ახალი რეკორდის დამყარების ცდა წოლითი მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში“. ვიღაც მოსკოველი აცხადებდა პრეტენზიას.

ჯუმბერ ლეჟავა დიდი ხანია ვარჯიშობდა სპორტის ამ სახეობაში. მან წერილი მისწერა გინესის რედაქციის ლონდონში და ნებართვაც მიიღო.

დღეში 4-5 საათს ვარჯიშობდა. მიზნად დაისახა 4000-ზე მეტი აზიდვის ჩვენება.

“ნუთუ მოვახდენ საოცრებას და ჯერ სიკვდილის, შემდეგ კი მუდმივი ინვალიდობის დამარცხების შემდეგ დავამყარებ მსოფლიოსა და გინესის ახალ რეკორდებს? რატომაც არა! ხომ არსებობს ასეთი მაგალითები! სიკვდილის დამმარცხებლები! – აიმედებდა თავს.

უკვე დღეში 8 საათს ვარჯიშობდა, შედეგი 4000-სს აღწევდა. ეძინა მხოლოდ 5 საათი.

კრიტიკული მომენტის დროს ყოველთვის ახერხებდა შესაძლებლობის მაქსიმალურ მობილიზებას.

მოსკოვში ჩასული სასტუმროშიც აგრძელებდა ვარჯიშს.


1990 წლის 9 თებერვალს დაინიშნა ღონისძიება “სოვეტსკი სპორტის” რედაქციაში. მონინა-აღმდეგე არ მოვიდა. შეჯიბრება ითვალისწინებდა ერთსაათიან ვარჯიშს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მკლავებზე აზიდვაში. შედეგი იყო 2811 აზიდვა. იყო მილოცვები, სერთიფიკატის გადაცემა. რეკორდსმენი მაინც უკმაყოფილო იყო.

პრესკომფერენციაზე შეჯიბრების ორგანიზატორებს სთხოვა, რომ ახლო მომავალში დაწესებულიყო შეჯიბრი, რომ ეჩვენებინა 4000-იანი შედეგი.

პრესამ და ტელევიზიამ ეს მიღწევა შეაფასა, როგორც დიდი გამარჯვება, რადგან სსრკ-ს წარმომადგენელმა პირველად ამ სახეობაში შეძლო მსოფლიო რეკორდის დამყარება, რაც შევიდა გინესის რეკორდების წიგნში. ხელს აწერდა გინესის ოფიციალური წარმომადგენელი სსრკ-ში იგორ ზაიცევი.

ჯუმბერ ლეუჯავას არ აკმაყოფილებდა მიღწეული, მისი ამოცანა იყო 5 საათიან რეკორდზე იერიშის მიტანა. ვარჯიშობდა სახლში, სამსახურში...

1990 წლის 11 მარტს მოსკოვში შედგა ახალი შეჯიბრი და ისევ ბრწყინვალე გამარჯვებით – 4447 შედეგით დასრულდა.



ამ დროს შეეძინა მესამე შვილიშვილი. “სოვეტსკი სპორტში” დაიბეჭდა სტატია: “უ დედუშები გულივერა რადილსია ვნუკ გულივერ”. რეკორდს დაერქვა ბექას სახელი.

ეს იყო ავადმყოფობის დამარცხება, საკუთარ თავზე გამარჯვება.

შემდეგ ვარჯიშის დროს მკლავი დაიზიანა. ექიმი ურჩევდა თავი დაენებებინა ვარჯიშისთვის, მაგრამ არ დაიჯერა ეს, თვითონ მოძებნა ტკიფილის მიზეზი და ისევ სპორტული ფორმა დაიბრუნა.

1990 წლის 20 მაისს ისევ მიიღო მოსკოვში შეჯიბრებაში მონაწილეობა და 5 საათის მანძილზე 16 300 აზიდვა აჩვენა, რამაც დიდი სენსაცია გამოიწვია 1989 წელს ინგლისელმა პედი დოილმა დაამყარა რეკორდი ბირმინგემში 35 350 აზიდვით.

5 საათში ჯუმბერ ლეუჯავამ შესძლო 16 274 აზიდვა და გინესის რეკორდი დაამყარა. აირჩიეს რეკორდსმენთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტად. უსაზღვრო იყო ქართველი სპორტსმენის პოპულარობა, ტელევიზია, გაზეთები, ინტერვიუები იუნივერსიტეტების მიერ დაამყარა რეკორდი ბირმინგემში.

საქართველოში დაბრუნებისას, კავკასიონზე გადმოფრენისას ფერდობებს შორის საშიშროების გამომწვევ უფ-

სკრულებს ჭვრეტდა, ჯოჯოხეთის ასოციაციას რომ იწვევდა, მაგრამ გამარჯვებით ამაღლებული, შიშს კი არა, ძალას და სიამაყეს გრძნობდა: “თვალი შევავლე კავკასიონის ნემსივით წვეტიან და თითქოს ნაჯახით დაჩეხილ, თოვლიან ფერდობებს, მათ შორის უფსკრულებია, მისი ყოველმხრივი საშიშროების გამო შეიძლება წარმოიდგინო ჯოჯოხეთად. აქა-იქ მოჩანან პატარა სოფლები, დამშვენებული კლდის ფერნოვანი ფიქალის ქვებით აშენებული კოშკები. ვგრძნობ, რომ ბუნების არა მარტო სილამაზე, არამედ მედიდურობა და ძლიერება ჩაიბუდა ჩემში”, აფიქსირებს მსოფლიო რეკორდსმენი დღიურში.

მოსკოვიდან ჩამოსვლის მესამე დღეს მეუღლემ განუცხადა: “ჯუბა, შენ რაც უფრო პოპულარული ხდები, ჩვენ მით უფრო ვშორდებით ერთმანეთს.”

მსოფლიო რეკორდსმენი და დიდი მოგზაური გვაუწყებს: “ერთ მომენტში, ფიქრებში, რეკორდების დამყარებისთვის თავის დანებება გადავწყვიტე, მაგრამ არ გამომივიდა! თითქოს ჩემს მეორე სიცოცხლეს ძალად ვკლავდი! ლიკას ნათქვამიდან დასკვნა ვერ გამოვიტანე, მე პირიქით ვფიქრობდი, რადგან მის მშვენიერებას მე ჩემი პოპულარობით ვუახლოვდებოდი.”

მეუღლის შიში განშორებაზე რეალობაში აცხადდა, რადგან ლიანა ალიბეგაშვილის სიცოცხლე 1990 წლის 3 ივნისს დასრულდა.

თავის მოკვლაზე ფიქრი ძვირფასი ადამიანის ხსოვნის უკვდავყოფის ფიქრმა შეცვალა. გადაწყვიტა რეკორდების დამყარება, რომელსაც მიუძღვიდა მისგან ნაადრევად წასული ცხოვრების თანამგზავრს, რითაც გაახანგრძლივებდა განუმეორებელი სიყვარულის გრძნობას.

მარტოობას მეუღლის საფლავზე ყოფნით იქარვებდა...

აგრძელებდა ვარჯიშს, სურდა ერთ-ერთი უჩვეულო რეკორდის დამყარება ლიანა ალიბეგაშვილის სახელზე.

სიყვარულის სტიმულით სიმძიმეთა შემსუბუქებას აღწევდა: “მე ვერ ვგრძნობ წონას, მგონია რომ დავდიგარ ჰაერში. ალმდგენი ვარჯიშებით, ძიებით, მიღწეულია გარკეეული დაავადების განკურნვის მეთოდი, რასაც აუცილებლად სჭირდება დამუშავება და წიგნად გამოქვეყნება,” აფიქსირებს დღიურში.

7-8 საათს აგრძელებდა ვარჯიშებს, 25-26 ათას აზიდვას ახერხებდა. თვითონვე იყო გაოცებული: “რა ხდება ჩემს თავს? ნუთუ ეს ის ენერგიაა, ღმერთმა კლინიკური სიკვდილის დროს რომ მიბოძა? რა თქმა უნდა, სხვა საიდან მოვიდოდა? გრძელდება მზადება ერთ-ერთი გამორჩეული რეკორდის დამყარებისათვის, რომელსაც ლიანა ალიბეგაშვილის სახელი დაერქმევა.”

მოსკოვში, შეჯიბრების დაწყების წინ, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მოხსნიდა ინგლისელი პედი დოილის 24 საათიან მსოფლიო რეკორდს.

გულშემატკიცვარმა ბიჭიკო სულიაშვილმა ჰქითხა: “თავს როფორ გრძნობ?”

პასუხი ასეთი იყო: “კარგად რომ ვარ, დაწყების წინ დაგიმტკიცებ, სამედიცინო შემოწმებისას, უძლიერესი რომ ვარ მსოფლიოში – 13 საათის შემდეგ.”

მეგობარს ცრემლები მოერია და ძმურად გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ამ დროს გაკეთდა განცხადება, რომ ერთსაათიან აზიდვებში რეკორდი უნდა დაამყაროს მოსკოველმა მაქსიმ კირილოვმა.

ჯუმბერ ლეჟავა მიხვდა, რომ ეს ფსიქოლოგიური შეტევისთვის იყო გამიზნული.

ურნალისტიც გამარჯვების რწმენას უკლავდა თითქოს: “რომ ვერ შეძლო?”

ქართველმა სპორტსმენმა მტკიცედ, დაუეჭვებლად განაცხადა: “მე დღეს ფენომენალურ რეკორდს დავამყარებ.”

პირველად მსოფლიოში 12 საათის განმავლობაში 40 ათასი აზიდვა უნდა გაკეთებულიყო, უნდა აწეულიყო 2 000 ტონაზე მეტი ტვირთი, ამ დროის მანძილზე კი უნდა გადამუშავებულიყო 11 ტონამდე სისხლი.

კიდევ ერთხელ უნდა დამტკიცებულიყო ადამიანის არა მარტი ფიზიკური შესაძლებლობა, არამედ მისი უებრო ნებისყოფა, ფსიქოლოგიური მოწესრიგებულობა და მიზნისკენ დაუოკებელი სწრაფვა,

გაოცებას ვერ ფარავდა ოფიციოზი, დამსწრე საზოგადოება. ოპერატორი კამათობდა ხელის მოხრა არ არის სრული, რაც სიცრუე იყო და იგი გააძვევს. ეს იყო მეორე ფსიქოლოგიური შეტევა, პირველის შემდეგ, როცა ხელოვნურად გამოაცხადეს ვიღაცის გვარი, თუმცა კონკურენტი არ ჩანდა.

ასევე დაიწყეს მიღწეული შედეგების დამახინჯება, აკლებდნენ რაოდენობას მიზანმიმართულად. 6-დან 2 მსაჯი ცრუობდა, რასაც მოჰყვა რეკორდსმენის პროტესტი და ისინი გააძვევს შეჯიბრებიდან. გაირკვა, რომ ეს გამყალბებლები იყვნენ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები ტანვარჯიშში, თანაც რუსეთის წარმომადგენლები.

დაფიქსირდა 35 ათასი მაჩვენებელი, გარეწრებმა ჩაშალეს 37 ათასის დაძლევის შესაძლებლობა. ესეც ფანტასტიკური იყო. გაკეთდა ბრწყინვალე განაცხადი ადამიანის შესაძლებლობების უსაზღვრობაზე. იყო სენსაცია, მილოცვები, ინტერვიუები, სერთიფიკატის გადაცემა.

როცა სასტუმროს ნომერში მარტო დარჩა, მივიდა მეუღლის სურათთან, რომელიც ხატთან ერთად ედო, პირველი გადაინერა და მიმართა: “კიდევ მრავალ გამარჯვებას მოგიძლვინი, ჩემო ლიკა!” დიდი გამარჯვების ეიფორიაში მყოფი, ვახშამზე კი არა, შემდგომ შეჯიბრებებზე ფიქრობდა.

1990 წლის 29-30 სექტემბერს 12 საათს წოლელა მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვის რეკორდი დაამყარა, შედეგი 34 955 იყო.

უკვე დამყარებული ჰქონდა ერთსაათიანი, ხუთსაათიანი, 12 საათიანი რეკორდები.

რეკორდსმენის დაუცხრომელი სული 24 საათიან აზიდვებზე ფიქრობდა, რითაც სურდა შეეკრა სპორტის ამ სახეობის ყველა დროითი რეკორდების კომპლექტი

არ ასვენებდა ყველა დროის რეკორდზე იერიშის მიტანის სურვილი.

ასევე მიზნად დაისახა ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარება მუცლის პრესის ერთსაათიან ვარჯიშში, ერთ საათიანი მკლავებზე აზიდვების რეკორდის გაუმჯობესება.

1991 წლის 26 იანვარს განახორციელა ჩანაფიქრი. მიაღწია 5011 მკლავებზე აზიდვას ერთ საათში, რაც იყო უპრეცედენტო მსოფლიოში.

ამას მეორე ფენომენალური რეკორდი მოჰყვა მუცლის პრესის ვარჯიშში. 1991 წლის 27 იანვარს ორ დღეში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ამით ზოგიერთ ურნებულო თომას დაუმტკიცა თავისი აბსოლუტური ჯანმრთელობა, განგრენით დაავადების დამარცხება.

არ არსებობს მსგავსი მაგალითი, რომ სპორტის ორ სხვადასხვა სახეობაში ერთ პირს დაემყარებინოს ერთდროულად ორი მსოფლიო რეკორდი.

ამ ახალ-ახალი შესაძლებლობების გამოვლინებას დიდი შრომა სჭირდებოდა. მკლავებით ასწია დაახლოებით 300 ტონა ტვირთი, რაც საოცრება იყო.

ვაჟა ტუღუშს, რომლის მოადგილედაც ერთ დროს მუშაობდა, უკითხავს ბატონი ჯუმბერი. როცა უთქვამთ, რომ ის დარბაზში ვარჯიშობდა, გასცინებია, – ვარჯიშობს, თორემ ეგეც მსოფლიო ჩემპიონი არ გამოვიდესო! ყოველი რეკორდის დამყარების შემდეგ იგი გულით ულოცავდა რეკორდებს და თან დააყოლებდა, “ჩემი ნათქვამის გამო ხომ არ გახდი ჩემპიონი” და იცინოდა.

“ეს არის მაგალითი იმისა, რომ თუ კაცი რაღაცისთვის სერიოზულად ემზადება, მას ხელს არაფერი არ უშლის, ხშირად ასეთი ნათქვამი სტიმულატორიც ხდება. ეს ისე კომენტარისათვის, თორებ მე და ვაჟა ერთმანეთის უფროსი და მოადგილე კი არ ვიყავით, არამედ უახლოესი მე-გობრებიც და ერთმანეთის წარმატება თანაბრად გვახარებდა ორივეს.” შენიშნავს მსოფლიო ჩემ-პიონი.

ისევ და ისევ უსაყვარლესი მეუღლის ხსოვნა ხდებოდა ახალ-ახალი გამარჯვების იმპულსი.

2 ივნისს, როცა ლიანა ალიბეგაშვილი უნდა გამხდარიყო 46 წლის, ჯუმბერ ლეჟავამ ისევ დიდი მიზანი დაისახა: “მე მისი კიდევ ერთხელ ალიარებისთვის ვიწყებ უჩვეულო მარათონს, რად-განაც ასეთი სირთულის გზა ჯერ არავის არ გაუვლია.”

შეჯიბრება დაიწყო 2 ივნისს და დამთავრდა 9 სექტემბერს. გრაფიკის მიხედვით, უარი თქვა დასვენებაზე, დღესასწაულებზე. 100 დღეში მოახდინა 100 მილიონამდე კილოგრამის აზიდვა 30 სმ. სიმაღლეზე. სისტემატურად იცვლებოდნენ მსაჯები.

შესანიშნავი რეკორდით დაფიქსირდა ადამიანის ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლო-გიური შესაძლებლობების განუსაზღვრელობა ექსტრემალურ პირობებში. დამტკიცდა ადამიანის სასწაულებრივი ნებისყოფა, განსაკუთრებული სწრაფვისათვის მობილიზების შესაძლებლობა.

100 დღის განმავლობაში მიღწეული იყო 1 730 000-ჯერ აზიდვა.

მსოფლიოში მოგზაურობის დასრულების შემდეგ ჯუმბერ ლეჟავას ერთ-ერთ ინტერვიუში ასეთი შეკითხვა დაუსვეს: “თქვენი აზრით, სად გადის ადამიანის, გნებავთ ფიზიკური, გნებავთ გონებრივი, ან ორივეს ერთად, შესაძლებლობათა ზღვარი?”

მსოფლიოს 15-ზეს ჩემპიონმა და მსოფლიო მოგზაურმა ამ კითხვას ასეთი პრძნული პასუხი გასცა: “საერთოდ მიმაჩნია, რომ არ არსებობს ადამიანის არც ფიზიკურ და არც გონებრივ შე-საძლებლობათა ზღვარი. აინჭაინმა თავისი ალბათობის თეორია რომ შეიმუშავა, მას შემდეგ ბევრი მეცნიერი მუშაობდა ამ თეორიის განვითარებაზე. მძლეოსანი, რეკორდსმენი დაუსრულებ-ლად აუმჯობესებს თავის შედეგს სპორტში. ათი წლის მანძილზე, ზამთარ-ზაფხულ, ყველანაირ ამინდში ამილია სტარტი სამოგზაუროდ. ზამთარში თითქმის მუდმივი ზამთრის ქვეყნებში მიმოგ-ზაურია, ცხელი ზაფხულის პერიოდში – ცხელ ქვეყნებში... დარწმუნებული ვარ, მომავალში ვინ-მე ჩემზე მეტს და ჩემზე უკეთესად გააკეთებს ამას. მიმაჩნია, რომ ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი არა აქვს, მადლობა უფალს.”

ურნალისტის შეკითხვაზე თუ რით ახსნიდა მსოფლიო მოქალაქე ჩვეულებრივი ადამიანის შესაძლებლობებზე ამაღლებას, რესპონდენტმა ასეთი პასუხი გასცა: “რაც გამიკეთებია, რისთვი-საც მიმიღწევია, მე არასდროს ვამბობ: მე!... ყოველთვის ვამბობ: ჩვენ!... ვმოგზაურობთ მე, ჩემი ღმერთი და ჩემი ველოსიპედი...”

ამავე ინტერვიუში ასევე დაისვა საყოველთაოდ საინტერესო კითხვა: “მაინც ვინ არის ჯუმ-ბერ ლეჟავა? მოყვარული მოგზაური თუ მეცნიერი, სპორტსმენი თუ თავგადასავალებისა და ფა-თერაკების მაძიებელი რომანტიკოსი?”

პასუხი ისევ და ისევ განამტკიცებს აზრს რესპონდენტის განსაკუთრებულობაზე: “თავიდან ვიყავი მეცნიერი – სპეციალობით კიბერნეტიკოსი. ამ დარგში 24 სამეცნიერო შრომის ავტორი და ჩემს სპეციალობაში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვარ. ასევე ვარ პროფესიონალი სპორ-ტსმენი, პროფესიონალი მოგზაური, თხუთმეტგზის მსოფლიო ჩემპიონი და გინესის რეკორდსმენი მკლავებზე აზიდვებსა და მუცლის პრესის ვარჯიშში...”

შემდეგი კითხვა ასეთი იყო: “ვინ მიგაჩნიათ პლანეტის ყველა დროის დიდ, გამორჩეულ ადა-მიანებად და რა ნიშნით?”

პასუხი გვარწმუნებს, რომ ჯუმბერ ლეჟავა პატივს სცემდა უპირველესად ქართული სპორტული ძალისა და გონის, ქართული მუსიკის, ბალეტის, სკულპტურული გენის მსოფლიო მასშტაბებში გამოვლინებას: “ეინშტეინი, არა მოდით, საქართველოში ვიმოგზაუროთ... ჩვენ ქართველებს, ბევრზე ბევრი გვყავს ასეთი... მუსხელიშვილი, ვეკუა, რაზმაძე... არა სულ პირველი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამასახურდია ჩამინერეთ, მერე ნონა გაფრინდაშვილი, ვიქტორ სანეევი, ლევან თელიაშვილი, კახი კახიაშვილი – სიმძიმეების ანგაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი. ვახტანგ ჭაბუკიანი, პაატა ბურჭულაძე, ზურაბ სოტკილავა, მერაბ ბერძენიშვილი, მიხეილ მესხი ჩამინერეთ – ათს ხომ არ გადავცილდით? ბევრი რჩება მაგ ათეულის გარეთ...”

(ესაუბრა თინათინ სიყმაშვილი, გაზეთი “რუსთავი”, 1-7 მაისი, 2007წ.)

## მსოფლიოს გზებზე ქართული სახით

ჯუმბერ ლეჟავა იყო და არის უპირველესი მეცნიერი კიბერნეტიკის დარგში, 24 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი თავის სპეციალობაში. ასევე, მას იცნობენ, როგორც პროფესიონალ სპორტსმენს, თხუთმეტგზის მსოფლიო ჩემპიონს და გინესის რეკორდსმენს მკლავებზე აზიდვებსა და მუცლის პრესის ვარჯიშში.

ნებისმიერი ადამიანი იამაყებდა მისი მეცნიერული სახელით, ასევე, მხოლოდ სპორტის მიღწევები იკავებდა როგორც საკუთარი პერსონის, ისე ერის გამორჩეული სპორტული პოტენციალის წარმისაჩენად.

მაგრამ მას უფრო დიდი მისია დააკისრა განგებამ – მთელი მსოფლიოსთვის გაეცნო ჩვენი მრავალმხრივი შემოქმედებითი პოტენციალი, ზნეობა, გამძლეობა, შემართება, საერთოდ, ეროვნული ფენომენი.

შემთხვევით როდი გადაიტანა კლინიკური სიკვდილი, შემთხვევით როდი გამოეცხადა თეთრნვერა მოხუცი – ლმერთი, რომელმაც ისევ მინაზე დააბრუნა, გოლიათური ძალით აღჭურვა და ჩააგონა, ხალხის სასარგებლოდ გაეხარჯა ეს ზებუნებრივი ენერგია.

ჯუმბერ ლეჟავას გამოცხადება მსოფლიო მოგზაურის ამპლუაში წარმოადგენდა მისი პირვენების ხილვას ფილოსოფიური, ზნეობრივი, სპორტული, ფიქტურული ასპექტებით, მრავალმხრივ შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, რომელიც ჩვეულებრივ მოკვდავს არ ეძლევა და ზეკაცურ შემართებას მოითხოვს, თაობათა, საუკუნეთა იდეალი ხდება, რაზედაც ლეგენდები იქმნება და საბოლოოდ მაინც რჩება, როგორც ამოუხსნელი გამოცანა.

ამჯერად თავისი მეგობრის თენგიზ კიკაჩიშვილის ვაჟის – რატის რჩევით გადაწყვიტა ყველა ქვეყანაში ემოგზაურა მსოფლიოში ველოსიპედით ყველა კონტინენტის ყველა ქვეყანაში მარტოდ მარტოს. რატიც აფხაზეთის ომმა იმსხვერპლა და ეს მოგზაურობა მიუძღვნა თავის გარდაცვლილ მეუღლეს ლიანა ალიბეგაშვილს და აფხაზეთში 1992 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუბულ რატი კიკაჩიშვილს.

პროგრამის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო იუზა ვერულავა, სპონსორი – ჟიული შარტავა, რომელიც მიიჩნევდა, რომ ამ მოგზაურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოსთვის.

პროგრამის წერა დაიწყო 1992 წლის 13 ოქტომბერს დილის ექვს საათზე. სათაური იყო “მარტოდმარტო მსოფლიო ველო-მოგზაურობა”.

ამ ოდისეის მიზანი იყო დამოუკიდებელი საქართველოს გაცნობა მსოფლიოსთვის, ახალ-ახალი საპორტული რეკორდების დამყარება, საქართველოსთვის ახალი მეგობრების მოძიება – ეს იყო პროგრამა მაქსიმუმი.

მოკლედ, ერთ რჩეულ ქართველს ჩვენი სამშობლოს იმიჯი უნდა აემაღლებინა მთელი კაცობრიობის თვალში.



ველოსიპედით უნდა გაევლო დედამიწის ყველა სარტყელი, ჯუნგლები, სავანები, მთათა სისტემები, ვაკეები, ვულკანები, ტუნდრები, ტაიგები, არქიპელაგები, კუნძულები და ნახევარკუნძულები, უნდა ენახა ოკეანეები, ზღვები, ყურეები, სრუტეები, ტბები, მდინარეები, მაღალი მოქცევის ადგილები.

გასავლელ გზებზე უნდა დაეთვალიერებინა ყველა ბუნებრივი და ისტორიული ძეგლი, რელიგიური ცენტრები, დედაქალაქები, სახელმწიფოს შენობები, ნაციონალური მუზეუმები, უნივერსიტეტები, სკოლები, ბიბლიოთეკები, თეატრები, ოპერისა და ბალეტის თეატრები, გალერეები, სპორტული კომპლექსები, ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადების სპორტული ობიექტები. უნდა შეხვედროდა სხვადასხვა ორგანიზაციებს, ცნობილ პიროვნებებს.

მოგზაურობა უნდა დაწყებულიყო 1993 13 აგვისტოს და დასრულებულიყო 2001 წლის 1 იანვრისთვის, რათა 21-ე საუკუნეს სამშობლოში შეხვედროდა.

ამ პერიოდში უნდა გავლილიყო შვიდივე კონტინენტის 227 სახელმწიფო და დამოუკიდებელი ტერიტორია, მათ შორის ანტარქტიდა, გრენლანდია. სულ გადაადგილების საშუალებებით და სხვა ტრანსპორტით უნდა დაეფარა ნახევარ მილიონ კილომეტრზე მეტი, მათ შორის ველოსიპედით 250 ათას კილომეტრზე მეტი. ექსტრემალობის გაზრდის მიზნით ცივი ქვეყნები ზამთარში უნდა გაევლო, ხოლო ცხელი ქვეყნები - ზაფხულში.

პროგრამა განიხილა საქართველოს ეროვნული პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიამ. მოგზაურობის ხელმძღვანელად დამტკიცდა უიული შარტავა, ხოლო სპონსორად ქ. რუსთავის მერია და ქ. რუსთავის განვითარებისა და კეთილდღეობის ხელშემწყობი ცენტრი.

ორჯერ ორი ურთულესი ოპერაციის შემდეგ შეძლო ჯანმრთელობის აღდგენა და სპორტის ურთულეს არაკლასიკურ სახეობაში მრავალი სპორტული რეკორდის დამყარება.

სტარტის დაწყებამდე 6 თვით ადრე უიული შარტავასთან, დიეტოლოგთან და სხვებთან ერთად შემუშავებულ იქნა დატვირთვების, დასვენების, კვების რეჟიმი, სხვადასხვა სპეციალისტებისგან მიღებულ იქნა კონსულტაციები. გამოკვლეულ იქნა ორგანიზმი. გათვალისწინებული იყო ჯანმრთელი ცხოვრების წესისა და მოგზაურობის პოპულარიზაცია, შეიქმნა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან შეხვედრების, მასიური ინფორმაციის წყაროებთან ურთიერთობის გეგმა-გრაფიკი.

მხარდაჭერა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან, სპორტის დეპარტამენტისგან, გეოგრაფიული საზოგადოებისგან (გ. გიგინეიშვილი), საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრისგან (ჭ. კეკელია), გეოგრაფიის ინსტიტუტისგან.

მოგზაურობა დაიწყო 1993 წლის 13 აგვისტოს ქ. რუსთავის მერაპ კოსტავას სახელობის მოედნიდან.

13 რიცხვი! უამრავ ადამიანში ეს რიცხვი ურთიერთსაპირისპირო ასოციაციებს იწვევს. ალოგიურიცაა, რადგან რიცხვთა შორის ეს რიცხვი თავისი კლასიფიკაციითა და სემიოტიკური მნიშვნელობით – ინფორმაციის გადმოცემით, თვისებებით, მათემატიკური, ფიზიკური, ქიმიური, რელიგიური, თეოსოფიური, მითიური, ასტროლოგიური თუ სხვა სიმბოლიკით – ყველაზე ანტაგონისტური რიცხვია. მასში თანანილობრივია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური სიმბიონტები: "13"-ის კოდური დეშიფრირებისა და სიმბოლიკათა ახსნის მცდელობა ძალზე შორს წაგვიყვანს.

"13"-ის უპირველესი უარყოფითი ასპექტი ისაა, რომ მრავალ ხალხში იგი თარს, უკულმართ რიცხვადა მიღებული ("ჩერტოვა დიუშინა"). ცნობილია აგრეთვე ფენომენი "13"-ის შიში.

"ქრისტიანიზმისთვისაც მიუღებელია ეს რიცხვი, რადგან იგი საიდუმლო სერობის 13 მონაწილესთანაა გაიგივებული, რომელთაგან ერთ-ერთმა მაცხოვარი გასცა, თუმცა ამავე ქრისტიანიზმმა მას სხვა დატვირთვაც მისცა: 13 – ეს არის სიმბოლო მარადისობისა, ესაა ქრისტე 12 მოციქულთან ერთად... გაზაფხულის, ჯვრისა და ვერძის ზოდიაქური ნიშანია, მზის ახალ ციკლში შესვლაა. დიდ არკანში ეს ნომერი ნიშანავს მუდმივ მოძრაობასა და ენერგიის განახლებას..."

მაგრამ...

"13 ნეგატიურ ასპექტში ერთობ საშიში ნიშანია, როცა დახვენილი, წმინდა ენერგიები გამოიყენება ბოროტეული მიზნებით. მე კი, ჩემი კლინიკური სიკვდილის მომენტიდან კარგად მახსოვდა სამი უხუცესის პირობა-წინასწარმეტყველება: შევიძენდი უდიდეს, წმინდა ენერგიას და იგი სასიკეთოდ უნდა მომეხმარა. ამიტომ გერმანული მოარული თქმა და ფრთიანი სიტყვები – "დარეკა 13-მა" – ჩემთვის ნიშანავდა რაღაც ნებადაურთველის ზღვარზე გადაბიჯებას.

"ზღვარდაუდები წადილი – პლანეტის გარშემო ველოსიპედით მოგზაურობა – მარად ნებადაურთველში გადასვლას მოასწავებდა.

“1993 წლის 13 აგვისტოს ერთდროულად დავდექი ნებადაურთველის ფინიშთან და ნებადართულის სტარტთან – მოგზაურობას ვიწყებ ქ. რუსთავის მერაბ კოსტავას სახელობის მოედნიდან” – წერს მოგზაური.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების არქივის დირექტორმა ვახტანგ გურგენიძემ შოთა რუსთაველის წიგნზე წარწერა: “ჩვენი ეროვნული უკუდავების საგანძურიდან გატანთ ყველა ქართველისათვის საპატიო და საამაყო წიგნს, სიყვარულის, მეგობრობისა და ძმობის ჰიმნს, ქართველი ხალხის სახარებას – “ვეფხისტყაოსანს”. დაյ შოთასვე სალოცავად, თქვენი მოგზაურობის უამს სიყვარული ყოფილიყოს გზად და ხიდად”.

ზუსტად 8 საათსა და 13 წუთზე მოედანზე სამი წრის გაკეთების შემდეგ გამოემგზავრა თბილისისკენ.

როგორც ვხედავთ, სახიფათოდ აღიარებული 13 რიცხვი სრულიადაც არ აშინებდა მოგზაურს, სწორედ 13-დან იწყებდა ყოველთვის ბედთან შერკინებას და მუდამ იმარჯვებდა.

ხალხი მოწონების შეძახილებითა და ტაშით აცილებდა, რამდენიმე მანქანა უკან მიჰყვებოდა სიგნალებით.

სიონის ეკლესიაში სანთლები დაუნთო საქართველოს ყველა დაღუპულ გმირს, მეუღლეს ლიანა ალიბეგაშვილს, მოგზაურობის იდეის ავტორს რატი კიკაჩეიშვილს, ქართველ ხალხს და მის სახელმწიფოებრივ მომავალს.

გზა ლოცვა-კურთხევით დაულოცა უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

მცხეთაში სვეტიცხოველის წინამდლვარმა ლოცვასთან ერთად წმინდა წინოს ჯვარი და ნაკურთხი მიწაც გაატანა.

უკან მოიტოვა ჯვარი, გორი, ხაშური, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედიიდან ბათუმისკენ ლანჩხუთის მიმართულებით აილო კურსი, ვინაიდან არასახელმწიფო საჯარისო ფორმირება „მხედრიონის“ ნაწილებმა სამეგრელოსკენ არ გაუშვეს.

გამცილებლები სიხარულისა და სიამაყის ცრემლებს ვერ ფარავდნენ.

1993 წლის 17 აგვისტოს საქართველოს სასაზღვრო ქ. სარფიდან თურქეთის რესპუბლიკაში გადავიდა. გულისტყივილით შეპყურებდა თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეულ ქართული კულტურის ძეგლებს.

კუნძულ კვიპროსიდან (რომელიც გაყოფილი აქვთ თურქეთს და საბერძნეთს) ისრაელის სახელმწიფოში გადავიდა 1993 წ. 10 ოქტომბერს.

მოგზაურს აინტერესებდა თურქეთის ტერიტორიაზე ხეთური ცივილიზაციის დღემდე შემორჩენილი ძეგლების ხილვა.

ჯუმბერ ლეჟავა იზიარებს ლინგვისტური და სხვა არტეფაქტებით დადასტურებულ მოსაზრებას, რომ ხეთური ცივილიზაციის უძუალო ბაზისი პროტოხეთურ ცივილიზაციაში იდო. პროტოხეთურში მოიაზრებს ხეთებს – მცირე აზიის ძირძველ მოსახლეობას და მათთან ერთად ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ აბორიგენ ხალხებს: ხურიტებს, მანებს, ქალდებს, ლაზებს, ქასქებს, შუმერებს, მოშქებს (მესხები), თუბალებს (სვანები), მაკრონებს (მეგრელები), იბერებს, ძველ ეგვიპტელებს (ქამიტებს, ქანანელებს...).

მოგზაური ფიქრობდა ბიბლიურ ცნობებზე პალესტინაში (ქანანში) მცხოვრებ ხეთთა შესახებ. გონებაში აფიქსირებდა იმ დროს, როცა მათ შორის ურიდან გადმოსული აბრაამი დასახლდა – ჩვ.წ.აღ.-მდე 1800-1750 წ. შორის პერიოდზე. ამ დროისათვის ხეთებმა თავიანთ მმართველობა-ში გააერთიანეს მთელი ანატოლია, გარდა სირიისა, რომელიც ეგვიპტის გავლენის ქვეშ იყო. ვარაუდით, აბრაამი ხეთებს კი არა, პროტოხეთებს – ხათებს უნდა შეხვედროდა, ანატოლიიდან ამ

რეგიონში უხსოვარი დროიდან შემოსულთ. ამიერკავკასიიდან ეგვიპტის ჩათვლით მთელ ტერიტორიაზე პროტოქართველურ ტომთა ნაკვალევს ჭვრეტდა, აიას და აიეტის სამეფოს, გაცილებით ადრე ტროამდე და ხათების სამეფომდე, გაცილებით ადრე არგონავტებამდე, უადრეს გილგამე-შის კოლხეთში – თავის უშორეს წინაპართან, უთნაფიშთიმთან მოსვლამდე.

“ასე რომ მე პროტოქართველთა მიწაზე ვმოგზაურობდი, რომლის უდიდესი ტერიტორია დღევანდელი თურქეთის სახელმწიფოს უჭირავს”, წერს მოგზაური (დღიური, გვ. 25).

1993 წლის 30 ოქტომბერს ისრაელის სახელმწიფოში ჩაფრინდა და ქართულ დიასპორასთან შეხვედრას მოელოდა, მაგრამ არ გაუმართლდა. აյ 20 დღე გაატარა და მხოლოდ ორი ღამე ეძინა სასტუმროში.

იერუსალიმში წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების 24 საათიანი ახალი რეკორდის დამყარება ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ განზრახვა ჩაეშალა ისრაელის ოფიციოზისა და ადგილობრივ ქართველ ებრაელთა პასიურობის გამო (დღიური, გვ. 26).

დღიურების ავტორი ყურადღებას მიგვაქცევინებს იმაზე, რომ პალესტინა ეპრაელთა მიწების საერთო სახელწოდება (დაბად. 40:15). იგი ასევე იწოდებოდა უფლის მიწად (ოსია, 9:3), წმიდა მიწად (ზაქარია, 2:12), ისრაელიანთა მიწად (ეზეკიელი, 7:2), აღთქმულ მიწად (ებრაელთა მიმართ, 9:9). (დღიური, გვ. 26).

1993 წ. 19 ოქტომბერს თელ-ავივში შეიტყო თავისი მეგობრისა და მოგზაურობის ხელმძღვანელის – ჟიული შარტავას აფხაზეთში გმირულად დაღუპვის ამბავი. ეს იყო მოგზაურის სიზმარში წინასწარი ხილვის აღსრულება, ამ ხილვის შესახებ შეატყობინა მოგზაურობის “დამხმარეორგანიზატორის”, რათა გაეფრთხილებინა ბატონი ჟიული, რასაც იგი უგულისყუროდ მოეკიდა. ამ ხილვიდან ორ კვირაში აცხადდა ცუდი წინათგრძნობა – ჟიული შარტავა მოკლეს სოხუმში.

21 ოქტომბერს ჯუმბერ ლეჟავამ დროებით შეწყვიტა მოგზაურობა და დაბრუნდა საქართველოში გმირულად დალუპული ეროვნული გმირისა და ძვირფასი მეგობრისთვის პატივის მისაგებად.

ქალაქ რუსთავის მერიამ და განვითარებისა და კეთილდღეობის შემწყობმა ცენტრმა ჟიულის დაღუპვის შემდეგ უარი განაცხადა სპონსორობაზე. მაგრამ, მადლობა ღმერთს, აღმოჩნდა ადამიანი, რომელსაც ესმოდა ამ მოგზაურობის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის – ეს იყო ჟიული შარტავასა და ჯუმბერ ლეჟავას მეგობარი თემურ მაისურაძე.

ეს წინააღმდეგობა დიდი მოგზაურისათვის ხელისშემშლელი კი არა, კიდევ უფრო მეტი ძალისხმევის გამოჩენის სტიმული გახდა, რაზედაც წერს: “ამგვარმა ტრაგიკულმა დასაწყისმა უფრო მეტად განმამტკიცა, უფრო განმანყო საბრძოლველად. მზად ვიყავი მსოფლიოს დასაპყრობად, რათა ბატონი ჟიულის მიერ დაწყებული საქმისათვის ჩრდილი არ მიმეყნებინა. მოგზაურობის ხელმძღვანელის, ბატონი თემურ მაისურაძის წინადადებით მოგზაურობას “ჟიული შარტავას სახელობის მსოფლიო ველო მოგზაურობა” დავარქვით და 1993 წლის 25 ნოემბერს განვაახლე ჩემი “ოდისეა” (იქვე, გვ. 28).

სირიაში გაეცნო კალეიდოსკოპურად წარმოდგენილ სხვადასხვა ცივილიზაციების ნაშთებს: დამასკოს ჭიშკარს, გალავანს, ქალაქ ალეპოსა და მის შემოგარენში – თანამედროვე ქრისტიანი მოსახლეობის ცხოვრების წეს-ჩვეულებებსა და ისტორიულ ძეგლებს.

დამასკოში მასპინძლობდა მსოფლიოში აღიარებული მსროლელის – თემურ მატოიანის შესანიშნავი ოჯახი, საინტერესო შეხვედრები მოუწყვეს ადგილობრივმა სომხებმა (იქვე, გვ. 29).

იორდანიის ხოშიმიტის სამეფოში გაეცნო 25 საუკუნოვან ძეგლებს, დაუმეგობრდა ცნობილ მსროლელს აღხატიმ მაზენს, რომელთა ოჯახშიც სტუმრობდა იქ ყოფნის პერიოდში (იქვე, გვ. 29).



შემდეგ იყო ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა, სადაც დაიჭირეს ეგვიპტელმა ფუნდამენტალისტებმა.

1994 წლის ახალი წლის დამე გაატარა ქრისტიანულ ეკლესიაში. აქ სისტემატური შეხვედრები ჰქონდა ქართულ დიასპორასთან, ცნობილი ქართველი უროლოგის გოგა გოგბაიძის ოჯახთან (იქვე, გვ. 29).

თეირანში ყოფნა, მუზეუმების დათვალიერების პარალელურად, სტალინის სავარძელში ჩაჯდომით და გოგოლის ძეგლის ფონზე სურათების გადაღებით იყო ღირსსახსოვარი (იქვე, გვ. 32). ისპაპანში და ფერეიდანში ადგილობრივ ქართველებთან შეხვედრებით გაიხარა.

მოგზაური ახალ-ახალ მეგობრებს იძნდა ირანში, ისინი აღიარებდნენ საქართველოს სახელმწიფო ბრიობას და გულწრფელ პატივისცემას ავლენდნენ ქართველი ხალხისადმი. აშკარა იყო მათი სწრაფვა ამ ორი უძველესი ხალხის – ქართველთა და ირანელთა დაახლოებისა (გვ. 33).

მოლდოვის რესპუბლიკაში გამართულ ველოკიროსმი გამარჯვების პრიზი დაიმსახურა (გვ. 34).

მიანდაში რადიო და პრესა იმდენს საუბრობდა მსოფლიო მოგზაურის შესახებ, რომ მას გზაზეც ცნობდნენ, ბევრი გაზეთებიდან ამოქრილ მის სურათებს თავიანთ სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებში ჰქიდებდა.

ტაილანდის სამეფოში მოგზაურის მასპინძელი იყო რუსეთის საელჩო, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა თხოვნის წერილი.

მალაიზიაში ახალი წელი კუალა-ლუმპურში, ქართულ ოჯახში “გაატარა”, რომელშიც აბსოლუტურად არ იყო დაცული უმაღლეს ეთიკურ ღირებულებად მიჩნეული ქართული სტუმარმას-

პინძლობის წესი. ამ ოჯახმა ადგილობრივ ხელისუფლებაში ითხოვა ჯუმბერ ლეჟავას გასახლება მაღაზიდიდან.

ამასთან დაკავშირებით დიდი მოგზაური აცხადებს: “ჭაობიდან სიმღერის, ხოლო პიპოკა-ტეს ბალიდან ყიყინის ხმა რომ მომესმას, ამასაც კი გამოვუძებნი ლოგიკურ ახსნას, მაგრამ იმ ქართველის საქციელს ვერანაირი ახსნა ვერ მოვუძებნე” (იქვე, გვ. 38).

და იქვე დასძენს: “ჩემი ცხოვრების წესი ქრისტიანულია და ჩემი დიქსი – ყოველივეს მომ-თვინიერებელი თვინიერებაა, – ჩემი ცხოვრების კრედო და ფორმულაზე...” (იქვე, გვ. 39).

“სინგაპური ყველაზე ურბანიზებული კუნძულია ჩენებს პლანეტაზე... იგი მდიდარია მუზეუ-მებით. სინგაპური ჩემი ოცნების ქალაქი გახდა. ამ ქალაქში ბევრ რამეზე ბევრჯერ მითქვამს: ეს ჩემს თბილის მოუხდებოდა” (იქვე, გვ. 39).

აქსტრალიაში იმაზე ფიქრობდა, თუ რატომ დაერქვა სუხიშვილების ქართული ცეკვის ან-სამბლს “ქართული ბალეტი”.

აქვე შეხვდა ქართველ მიხეილ გიგაშვილს.

მელბურნში გაიხარა ქართულ დიასპორასთან შეხვედრით (იქვე, გვ. 42).

კანბერაში ჩასულმა ავსტრალიის უმაღლესი მწვერვალი “კოსკიუსკო” დაიპყრო. კანბერა-სიდნეის გზა თავის გარდაცვლილ მეუღლეს – ლიანა ალიბეგაშვილს მიუძღვნა.

ქალაქ სიდნეიში უცნობი ახალგაზრდა გზაზე გადაუდგა, ქართულად მიესალმა და ოჯახში დაპატიჟა, რათა ერთად გადაეხადათ მოგზაურის მეუღლისთვის დაბადების დღე.

საინტერესო შეხვედრა ჰქონდა 6. მაისურაძის ოჯახში, ამ ქალაქის ქართულ დიასპორასთან.

ორი თვე ვარჯიშობდა სიდნეის ახალი ოლიმპიური სტადიონის ტერიტორიაზე. დაუახლოვდა ცნობილ ქართველი სპორტსმენისა და იურისტის – შოთა კოზმანაშვილის ოჯახს.

ვანუატუელთა სიმღერებით რომ ტექბოდა, მსგავსებას პოულობდა მეგრულ სიმღერებთან.

ჯონ ესტენითი ტონგოელი სიოსაის გაცნობას რომ დაპირდა, იმაზე ფიქრობდა, იქნებ მეგ-რელი გამოდგესო.

საერთაშორისო კავშირგაბმულობის სამსახურის მუშაკთა შეთქმულებაზე ეჭვობდა, როცა ახალი გვინეადან ვერაფრით უკავშირდებოდა თბილისა.

მოგზაურის თბილისელ ხელმძღვანელებს მოლაპარაკებები ჰქონიათ ჩინეთის მხარესთან მი-სი ჩინეთში მოგზაურობის თაობაზე. გაზეთებში (საქართველოში) და ჩინეთის რადიოში ყოფილა გადაცემები “დიდ მოგზაურს დიდი ჩინეთი ელოდება”.

ჩინეთში საოცარი ინციდენტი ჰქონდა შანხაელ თამარ ლეჟავასთან (გვ. 47).

პეკინში მოგზაურის მასპინძელი იყო საქართველოს სავაჭრო წარმომადგენელი ჩინეთში კო-ლია გულიაშვილი.

რატომდაც მისთვის გამოგზავნილი ქართული პასპორტი რუსეთის საელჩოში მოხვდა.

პეკინიდან წასვლისას სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა მოგზაურის გამცილებლები დაა-კავეს. ამის გამო, პროტესტის ნიშნად დახია კომპანია “ნისანთან” დადებული ხელშეკრულება, რომელთაგან მილიონების მიღება და უზრუნველი სიბერე ელოდა.

მონდოლეტში ქართველმა მასპინძლებმა უღალატეს.

უღალატეში (აღმოსავლეთ რუსეთში) 15 წლით გადასახლებულ ქართველთან სტუმრობდა. აქ ისევ ღალატი იწვნია ქართველთან (იქვე, გვ. 48).

სან-ფრანცისკოში მასპინძელი იყო შესანიშნავი ქართული ოჯახი გიორგი ერისთავისა.

ჯორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტაში მოგზაურის მასპინძელები იყვნენ იაშა და ზურაბ ლეჟავები. 23 ივლისს დაბადების დღე ამ ოჯახში გადაუხადეს. იქვე იყვნენ ოლიმპიური კომიტე-ტის (ქ-ნი ნონა გაფრინდაშვილი), სპორტის სამინისტროს (ბ-ნი კახი ასათიანი) და შეერთებულ

შტატებში საქართველოს საელჩოს თითქმის სრული შემადგენლობა (ელჩი, ბატონი თედო ჯაფარიძე), ქართული სუფრა, ქართული განწყობა და ქართული სიმღერები დიდი სტიმულის მომცემი იყო.

ნონა გაფრინდაშვილმა და კახი ასათიანმა 3000 დოლარი გადასცეს საჩუქრად.

1996 წ. 30 დეკემბერს დაბრუნდა ჯორჯიის შტატში, ქ. ატლანტაში, სადაც ისევ იაშა და ზურაბ ლეუავები იყვნენ გულთბილი დამხვედრნი.

ნიუ-იორკში, გაეროში ბრიფინგზე გამოვიდა დიდი მოგზაური. აშშ-სა და კანადაში 60-ზე მეტ გაზეთსა და ჟურნალს მისცა ინტერვიუ, 20-მდე ტელევიზიაში ჰქონდა გამოსვლა (იქვე, გვ. 51).

საქართველოს საელჩომ, ბ-ნმა თედო ჯაფარიძემ სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოების 20-მდე ვიზით შევსებული ახალი ქართული პასპორტი გადასცა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩვენი ელჩის, ბ-ნ პეტრე ჩხეიძის მეცადინეობით ყველა ქვეყანაში დაიგზავნა გაეროს წერილები, რათა მოგზაურისთვის სათანადო დახმარება გაეწიათ.

ბ-ნმა პეტრე ჩხეიძემ თავად დააპროექტა და გააკეთა ველოსიპედისათვის ბარგის ჩასალაგებელი ყუთები, რომლებიც ბევრად უფრო პრაქტიკული აღმოჩნდა ბრეზენტისაზე.

ბერმუდის კუნძულებზე (200-მდე კუნძულია) მოგზაურის გვარი დაფიქსირდა ამ სახელმწიფოს ოქროს წიგნში.

“...ვიცი, რომ მეტყვიან – შენ ხომ სამშობლოს სახელისთვის იარე? სწორი ბრძანდებით ...პასუხი სამშობლოში დაბრუნებით ჩანს.

...ჩემს სამშობლოს ერთგულად ვემსახურე: სკოლასა და ინსტიტუტში კარგი სწავლით, გამოქვეყნებული და დანერგილი სამეცნიერო შრომებით, რისთვისაც სახელმწიფო პრემია დავიმსახურე. თანამდებობებზე პატიოსანი, ნარმატებული შრომით, მსოფლიო რეკორდებით, სამი უნიკალური მსოფლიო მოგზაურობით, შემოთავაზებებზე უარის თქმით; ადგილ-მამულები, ბინა-სამსახურებით, მდიდარი ცოლი (მრავალჯერ), ნისანის ხელშეკრულება, აშშ-ის ხელშეკრულება, კანადის პირობა და მრავალი სხვ.

მინდოდა... საქართველოს მოქალაქეებისთვის მეკარნახა ჯანმრთელი ცხოვრების წესი, მინდა ჩემმა ერმა დაიბრუნოს ხანგრძლივი, ჯანმრთელი ცხოვრება, მინდა, რომ იგი ჩემი 238 ქვეყანაში მოგზაურობის დღიურების გაცნობით ეზიაროს მოგზაურობის ანბანს მაინც, რაც ასევე არის ჯანმრთელი ცხოვრების წესის დაცვის ერთ-ერთი სახე (იქვე, გვ. 6).

ჯუმბერ ლეჟავა განსაცდელს, ხიფათს კი არ ერიდებოდა, სპეციალურად ეძებდა.

გიორგი გურჯიევი წერდა: “...თქვენს წინაშეა ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობა. მოგზაურობის მიზანია თქვენთვის უჩვეულო, უცნობი მიწა. გზა უძნელესი და უსასრულობაა.

...გაზომეთ თქვენი ძალები. გასწვდებიან კი ისინი მთელ მოგზაურობას? ...წინ დიდი გზა გიდევთ, ეს თქვენგან ითხოვს პროპორციულად დიდ მარაგს – ეს მარაგი კი წინააღმდეგობაა, როგორც მოგზაურობის დროს, ასევე ამ მოგზაურობისთვის მზადებისას.

...ვაი თქვენ, თუ დასუსტდით და სახლის გზა დაგავინიჭდათ. თქვენ ვერასოდეს ვერ შეძლებთ დაბრუნებას. მრავალი უსიამოვნება ელოდება მარტოხელა მგზავრს, რომელმაც არ იცის გზა და ის მოულოდნელობები, რაც ახლავს თან ამ გზას... გახსოვდეთ, თქვენს ხედვას გააჩნიათ ვისება, ისე წარმოიდგინოს შორეული საგნები, თითქოს ისინი ახლოს იმყოფებიან. მოტყუებულნი თქვენს მიზანთა ცრუ სიახლოვით, მათი სილამაზით დაბრმავებულნი... თქვენს ძალთა შეუფასებლობით გათამამებულნი, ვერ შეამჩნევთ წინააღმდეგობებს... მწვანე ბალახით, ყვავილებით მორთულ მინდორში უღრმესი უფსერულები ილანდებიან. ძალზე ადვილია წაბორძიკება და უფსერულში ჩავარდნა, თუ თქვენი თვალები ვერ შესძლებენ თითოეული ნაბიჯის გაცნობიერებას.

თავი მოუყარეთ მთელ თქვენს ყურადღებას...

ნუ დაივიწყებთ მიზანს, არ დაკარგოთ სწორი მიმართულება...

გაიხსენეთ, რატომ, რისთვის ხართ აქ.

და გახსოვდეთ, რომ არც ერთი მცდელობა არ იკარგება უქმად.

ახლა კი გზას გაუდექით” (გიორგი გურჯიევი, სიყვარულის ორი სახე”, თარგმანი მერაბ ხერგიანის, თბ. 1992, გვ. 103-104).

ამ და სხვა პრძენთა შეგონებით, საკუთარი უტყუარი ინტელექტუალური და გრძნობისეული ინტუიციით განვითრიტა მოსალოდნელი თუ მოულოდნელი სირთულები დიდმა ქართველმა მოგზაურმა, სულ გამარჯვებით იარა ახალ, უცნობ ადგილებში, რათა დიდი წინასწარმეტყველებივით ეხილა “ახალი მიწა, ახალი ზეცა”.

მრავალი წინააღმდეგობა ხვდა (უცხოეთის აგენტად მიჩნევა, მოწამვლა, ვიზის დაყოვნება, ომის გამო გადაადგილების აკრძალვა, ბანდიტების თავდასხმა, ავადმყოფობა, ფეხების მოყინვა, კლინიკური სიკვდილი), მაგრამ განსაკუთრებული, ზეკაცური შესაძლებლობებით აღჭურვა ღმერთმა, რათა ახლებურად წარმოეჩინა ადამიანის განუსაზღვრელი პოტენციალი, მსოფლიო და ეროვნული კატაკლიზმების უამს განემტკიცებინა ჩვენი რწმენა...

არა გაქცევა, არამედ ბედთან შერკინება დაებედა, რადგან იწამა ადამიანთა “გადარჩენის წინამძღვარი” – ღმერთი.

გადარჩენის საწინდარი კი გახდა “მადლი, რწმენა”, რაც “ღვთის ნიჭია” (პავლე მოციქული, “ეფესელთა მიმართ”, 2,8).

უზენაესმა მისცა დიდ მოგზაურს “სიპრძნისა და გამოცხადების სული”, გაუნათა “გონების თვალი” სულიწმინდის ქნარად წოდებულ პავლე მოციქულს რომ დავესესხოთ (ეფესელთა, 17,18).

წმინდა წერილის მიხედვით, “წეტარია განსაცდელის გადამტანი კაცი, რადგან, რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თავის მოყვარულთ” (იაკობ მოციქული, 1,2).

## მოგზაურობა სიძნელით სავსე

ჭეშმარიტი ცხოვრება სიძნელეებთან, წინააღმდეგობებთან ჭიდილში გამარჯვებაა. განგება ადამიანს ათასნაირ განსაცდელს უმზადებს, მრავალნაირ გამოცდას უწყობს, ჭირთათმენის მაგალითებით აძლიერებს, “რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი” (პავლე მოციქული, ეპრალთა, 12.6).

დიდი უბედურების გადატანაში ვლინდება მორწმუნე ადამიანში დაფარული სათნოება: “ზოგჯერ ღმერთი დაუშვებს, მართალი მორწმუნეც განსაცდელს ეწიოს, ჭირი და უბედურება დაითმინოს, რათა სხვა ადამიანებს დაანახვოს მორწმუნებში დაფარული სათნოება” (იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური საარწმუნოების ზედმინევნითი გადმოცემა, თბ.2000, გვ. 32).

მხოლოდ განსაცდელის გადამტანი ადამიანი ესათნოება ღმერთს: “წეტარია განსაცდელის გადამტანი კაცი, რადგან, რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თავის მოყვარულთ” (იაკობი, 1, 12.)

უფლის მიერ მოვლენილი განსაცდელი არასოდეს აღემატება ადამიანურ შესაძლებლობებს, და უფალი იძლევა განსაცდელიდან გამოსვლის საშუალებას : “არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა და სარწმუნო ღმერთი, არ დაუშვებს , რომ თქვენს შესაძლებლობებზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც მოგცემთ, რომ შესძლოთ გადატანა” (პავლე მოციქული, ჟორინთელთა, 10,13).



ჭირთათმენის, გადარჩენის მაგალითი ჯვარცმულმა ქრისტემ მოგვცა, რომელიც ცოდვილი ადამიანების გამოსახსნელად ეცვა ჯვარს: “იესომ ღვთის მადლით იგემა სიკვდილი ყველას გულისთვის, ვინაიდან ... ის არის მათი გადარჩენის წინამძღვარი” (პავლე მოციქული, ეპრაელთა, 3,10).

მხოლოდ უფლის რწმენა გადაარჩენს ადამიანს ტანჯვისგან: “ყოველი, ვინც უფლის სახელს მოუხმობს, გადარჩება” (პავლე მოციქული, რომაელთა, 10,3).

დიდი მოგზაური აცხადებს: “ბრძენთაგან თქმულა: ნუ აიძულებ საკუთარ თავს შეუძლებლის საკეთებლადო, მაგრამ მე ხომ არაორდინალური ინდივიდი ვარ? პიროვნება, რომელმაც გაბედა და ნებადაურთველში გადადგა ნაბიჯი? კაცმა სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა შეძლოს საკუთარი თავიდან გასვლა და საკუთარ ზებუნებრივში ჩახედვა, მოუწყოს უდიდესი გამოცდა თავის თავს, თუნდაც უდიდესი რისკის ფასად” (მოგზაურის დღიური (გვ 45).

ჯუმბერ ლეჟავა, რომელმაც 3-ჯერ გადაიტანა კლინიკური სიკვდილი და ჰქონდა ღვთისგან მოვლენილი მომავალზე მომნიშნებელი ხილვა, რაც დიდი მისისითვის მისი შემამზადებელი იყო, აღნიშნავს, რომ “კლინიკურმა სიკვდილმა დიდ საიდუმლოს აზიარა, ასწავლა “სამყაროს ღვთაებ-რივი და საიდუმლო ანბანი”, “ცხოვრების წიგნის მართებული კითხვა”, “სიკვდილმა სიცოცხლე მასწავლა, მაპოვნინა გზა კოსმიური ენერგიებისკენ, გზა ვიტალურისა და ვიტალური ძალების დაუფლებისა, რომელიც სიკეთეში და სიყვარულში უნდა გამელია”.

არა მექანიკური მობრუნების, არამედ „შემობრუნების“ შედეგი იყო ექვს წელიწადში წოლ-ბჯენიდან მკლავებზე აზიდვებში 11 მსოფლიო რეკორდის დამყარება, რომელთაგან უმეტესობა “გინესის” და “დივოს” არაჩვეულებრივი რეკორდების წიგნებში შევიდა.

უუმბერ ლეჟავას უკვე ჩაბარებული ჰქონდა პროფესიონალიზმის, პატრიოტიზმის, ინტელექტუალობის, უპირველესი სპორტსმენობის, ქართველობის, სიყვარულის, გამოცდა, შემუშავებული ჰქონდა საკუთარი ჯანმრთელობის და სიცოცხლის გონივრული მართვის მეთოდები, გადატანილი ჰქონდა მრავალი განსაცდელი, და მაინც არ ცხრებოდა მისი დაუდეგარი, მარადისობას ადევნე-

ბული სული. მან მიზნად დაისახა ისევ ექსტრემალურ პირობებში გამოეცადა საკუთარი ძალა და შესაძლებლობები. არჩევანი ურთიულესი და უძნელესი იყო: გადაწყვიტა მსოფლიოს შვიდივე კონტინენტის ყველა ქვეყანაში მარტოდმარტო მოგზაურობა ველოსიპედით. იდეა თენგიზ კიკაჩეიშვილის ვაჟს, რატი კიკაჩეიშვილს ეკუთვნოდა, ეს მოგზაურობა მიუძღვნა ნაადრევად გარდაცვლილ მეუღლეს – ლიანა ალიბეგაშვილს და აფხაზეთში 1992 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ რატი კიკაჩეიშვილს.

პროგრამული გეგმით, ველოსიპედით უნდა დაეძლია დედამიწის ყველა სარტყელი, გადაელახა ჯუნგლები, სავანები, მთათა სისტემები, ვაკეები, ვულკანები, ტუზდრები, ტაიგები, არქიპელაგები, კუნძულები და ნახევარკუნძულები, გადაესერა ოკეანეები, ზღვები, ყურეები, სრუტეები, ტბები, მდინარეები, მაღალი მოქცევის ადგილები ... გამოეცადა ზღვაოსნის ბედი (დღიური, 21)

პროგრამის მიზანი ასეთი იყო:

- 1). დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს გაცნობა მსოფლიოს ხალხებისთვის;
- 2). მოგზაურობის პერიოდში მრავალი ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარება.
- 3). პლანეტის მოსახლეობაში მასობრივი გამაჯანსაღებელი უმარტივესი ვარჯიშის- წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების დანერგვა.

4). მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ეკოლოგიურ პრობლემებზე ზრუნვის უმარტივესი ფორმალოკალური ტერიტორიებზე გადაადგილების საშუალებად ველოსიპედის გამოყენება.

5). მოგზაურობის პერიოდში დღიურების სახით ინფორმაციული ფორმობა და ვიდეომასალების შექმნა; სამომავლოდ „მოგზაურის მოგონებები“-ს მრავალტომეულის გამოცემა, დოკუმენტური ვიდეო და მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნა, სხვადასხვა თემაზე ფოტოგამოფენების მოწყობა.

საქართველოსთვის მრავალი ახალი მეგობრის მოძიება (ეს აზრი ხომ ერთ-ერთ უძირითადეს მცნებად, აფორიზმებად დაგვიტოვა დიდმა რუსთველმა).

პროგრამაში, რომელიც სამი თვე იწერებოდა, გამოკეთილად ჩანდა, რომ მოგზაურობაში ძირითადი ყურადღება მიექცეოდა ადამიანის ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოცდას ექსტრემალურ პირობებში (გვ.21).

სტარტის დღე იყო 1993წლის 13 აგვისტო.

სპეციალურად 13 რიცხვის შერჩევა მოგზაურის უშიშარ ბუნებაზე, არსებულ ცრურწმენებთან დაპირისპირებაზე მიგვანიშნებს, რადგან ხალხში 13 რიცხვი თარს, უკუღმართ რიცხვადაა მიჩნეული, იგი ქრისტიანიზმში საიდუმლო სერობის 13 მონაწილესთან ასოცირდება, რომელთა შორის იქსოს გამცემი იუდა იმყოფებოდა.

თუმცა ჯუმბერ ლეჟავა ამ რიცხვის პოზიტიურ ასპექტს ითვალისწინებს, 13-ეს არის სიმბოლო მარადისობის, ესაა ქრისტე 12 მოციქულთან ერთად... გაზაფხულის, ჯვრისა და ვერძის ზოდიაქის ნიშანი, მზის ახალ ციკლში შესვლაა... დიდ არკანში ეს ნომერი ნიშნავს მუდმივ მოძრაობასა და ენერგიის განახლებას...

“მაგრამ... 13 ნეგატიურ სპექტრში ერთობ საშიში ნიშანია, როცა დახვეწილი, წმინდა ენერგიები გამოიყენება ბოროტი მიზნებით, მე კი, ჩემი კლინიკური სიკვდილის მომენტიდან კარგად მახსოვდა სამი უხუცესის პირობა – წინასწარმეტყველება: შევიძენდი უდიდეს, წმინდა ენერგიებს და იგი სასიკეთოდ უნდა მომეხმარა. ამიტომ გერმანული მოარული თქმა და ფრთიანი სიტყვები – “დარეკა 13-მა” ჩემთვის ნიშნავდა რაღაც ნებადაურთველის ზღვაზე გადაბიჯებას. ჩემი ზღვარდაუდები წადილი-პლანეტის გარშემო ველოსიპედით მოგზაურობა, – მართლაც, ნებადაურთველში გადასვლას ნიშნავდა...

1993 წლის 13 აგვისტოს ერთდროულად დავდექი ნებადართულის ფინიშთან და ნებადაურთველის სტარტან-მოგზაურობას ვიწყებ ქ.რუსთავის მერაბ კოსტავას სახელობის მოედნიდან.

“ზუსტად 8საათსა და 13 წუთზე მოედანს 3 წრე დავარტყი და გამოვემგზავრე თბილისისა-კენ, ხალხი შეძახილებით და ტაშით მაცილებდა, რამდენიმე ათეული მანქანა კი უკან სიგნალე-ბით მომყვა” (გვ.33).

სიონში სანთელი აუნთო საქართველოსთვის დაღუპულ გმირებს, მეუღლეს, ამ მოგზაურობის იდეის ავტორს, რატი კიკაჩიშვილს, უფალს შეავედრა საქართველო, ქართველი ხალხი, ქვეყნის თავისიუფლება და სახელმწიფობრივი მომავალი. თან მიჰყვებოდა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევა.

მცხეთაში სვეტიცხოვლის ნინამდლვარმა, ლოცვას-თან ერთად, წმინდა ნინოს ჯვარი და ნა-კურთხი ქართული მიწა გაატანა ნათლის, ჭეშმარიტების, სიყვარულის გზად დამდგარს (გვ 24).

ეს იყო სტიმული იმისა, რომ დაგვეარსებინა ბატონ ჯუმბერის სახელობის სამეცნიერო სა-ერთაშორისო აკადემია, რომლის პირველი გვერდი წმინდა ნინოს ხატით იქნებოდა მადლფენილი.

გაეცნო თურქეთის, ისრაელის ღირსშესანიშნაობებს. ისრაელში გატარებული ოცი დღიდან მხოლოდ ორი ღამე ეძინა სასტუმროში, დანარჩენი ბულვარზე გაათენა..

იერუსალიმში წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების 24 სათანი ახალი რეკორდის დამყარება დაგეგმა, მაგრამ მიზანი ვერ აისრულა ოფიციოზისა და ადგილობრივ ქართველ ებრაელთა პასიურობის გამო.

1993 წლის 19 ოქტომბერს თელავიში შეიტყო თავისი მეგობრისა და მოგზაურის ხელმძღვანელის-ბატონ უიული შარტავას აფხაზეთში გმირულად დაღუპვის ამბავი, რაც იყო ასრულება იმ გამაფრთხილებელი ხილვისა, რაც ჰქონდა მოგზაურს ორი კვირის წინ. 21 ოქტომბერს დროებით შეწყვიტა მოგზაურობა და დაბრუნდა საქართველოში გმირულად დაღუპული ეროვნული გმირისა და ძვირფასი მეგობრის პატივის მისაგებად.

უიული შარტავას დაღუპვის შემდეგ რუსთავის მერიამ და განვითარებისა და კეთილდღეობის ხელშემწყობმა ცენტრმა უარი განაცხადეს სპონსორობაზე. მაგრამ გამოჩენდა ადამიანი, ვისაც ესმოდა ამ მოგზაურობის მნიშვნელობა საქართველოსთვის. ეს იყო უიულისა და ჯუმბერ ლეჟავას მეგობარი ბატონი თემურ მაისურაძე, რომელმაც მოგზაურობის ხელმძღვანელობა და სპონსორობა თავის თავზე აიღო.

თუ როგორ ხვდებოდა ნინააღმდეგობებს, ხელისშემშლელ სერიოზულ მიზეზებს ჯუმბერ ლეჟავა, ამაზე თვითონ საუბრობს თავის დღიურებში:

“ამგვარმა ტრაგიკულმა დასაწყისმა უფრო მეტად განმამტკიცა, უფრო განმანყო საპროდოლველად. მზად ვიყავი მსოფლიოს დასაპყრობად, რათა ბატონი უიულის მიერ დაწყებული საქმი-სათვის ჩრდილი არ მიმეყნებინა, მოგზაურობის ხელმძღვანელის, ბატონ თემურ მაისურაძის წინადადებით მოგზაურობას “უიული შარტავას სახელობის მსოფლიო ველომოგზაურობა” დავარქვი და 1993 წლის 25 ნოემბერს განვაახლე ჩემი “ოდისეადა” (გვ. 28).

სირიის არაბეთის რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობების გაცნობის შემდეგ ლიბანის რესპუბლიკიდან გადავიდა, გეზი იორდანის ხოშიმიტის სამეფოსკენ აიღო, იქ კი საუდის არაბეთის ვიზას ელოდებოდა, მაგრამ მათი საელჩოს თანამშრომელთან მომხდარი ინციდენტის გამო ვიზაზე უარი მიიღო.

იორდანის ხოშიმიტის სამეფოს გავლის შემდეგ 1993 წ 24 დეკემბერს აკაბადან სინაის ნახევარუნძულამდე გადავიდა. უდაბნოს ურთულესი გზა საინტერესოდ ეჩვენებოდა და იქიდან ეგვიპტის არაბეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ქაიროში ჩავიდა. ქაიროს გზაზე ორჯერ დაიჭირეს ეგვიპტელმა ფუნდამენტალისტებმა (გვ. 29).

ეგვიპტეში სისტემატიურად გადაიცემოდა ინფორმაციები ქართველ მოგზაურზე პრესითა და ტელევიზით.

1994წ 31 იანვარს ქაიროდან ჩრდილოეთ იემენის რესპუბლიკის პორტ ხოდეიდში გადაფრინდა, საიდანაც ველოსიპედით გააგრძელა მოგზაურობა დედაქალაქ სანასკენ, იქ კი ოთხმა ახალგაზრდამ წრეში მოაქცია. მათ ხელში იემენური რკალისებური ბებუთი ეკავათ და დოლარებს სთხოვდნენ, სანაში სხვა დროსაც ჰქონდა საშიში ინციდენტები, სუფრაზე ერთ რუს პასუხისმგებელ პირთან მოუხდა დაპირისპირება (გვ. 30).

მიუხედავად იმისა, რომ იემენელი ბედუინები იემენის სასულთანოდან იემენში გადმოსულ უცხოელ ტურისტებს იტაცებდნენ და მკვლელობასაც არ ერიდებოდნენ, ჯუმბერ ლეჟავამ 1994 წლის 2 მარტს მაინც მოახერხა გადასვლა ომანის სასულთანოში.

ომანის სასულთანოს დედაქალაქ მასკატში ღამე რიტუალების სასახლეში გაათია, საშუალო სიმაღლის მკვდრებისთვის გამზადებულ ტახტზე (გვ. 31).

თეირანის მუზეუმში სტალინის სავარძელში ჩაჯდომა და გოგოლის ძეგლის ფონზე სურათების გადაღება იყო ღირსშესანიშნავი.

ურთულესი იყო ლუტის უდაბნოს ცხელი გზები.

ქ.რავსაჯანში სასტუმროდან ღამის პირველ საათზე გამოაგდეს.

პაკისტანში ყარაჩიდან ურთულესი 1500 კილომეტრიანი უდაბნოს გზა გაიარა. ჰაერის ტემპერატურა ხშირად +50° აჭარბებდა.

ინდოეთში თარის უდაბნოს სისასტიკეს გაუძლო, 1994წლის 12 ივნისს ჰეიდარაბადის მიდამოებში +51° ტემპერატურა იყო.

ისლამაბადისკენ მიმავალს ავარია შეემთხვა და ძლიერ გადარჩა.

მუსონური წვიმის პერიოდში დელი-ტრივანდრუმის 3500 კილომეტრიანი გზა გაიარა 25 დღეში.

მაღლდოვის რესპუბლიკის კუნძულებზე ველოკროსში გაიმარჯვა და პრიზიც დაიმსახურა, შრი-ლანკის რესპუბლიკაში ციკლონში მოყვა, რამდენჯერმე გამოსცადა ადამიანთა თავდასხმა.

თავი დააღწია მაიმუნებს და ტროპიკულ ჯუნგლებს, იგი დაექცებდა სპილოებს, რადგან აინტერესებდა "სპილოების ქცევა თავისუფლების სამყაროში" (გვ. 35)

შრი-ლანკის მწვანეთა პარტიის ნარმომადგენლებს განზრახული ჰქონდათ, მოგზაურისთვის ტერორისტული აქტი მოეწყოთ.

შრი-ლანკიდან პირდაპირ მადრიდის თვალის კლინიკაში მოხვდა.

პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის არჩევნებზე პროგნოზი გააკეთა.

ნეპალის მთიანეთის მდინარეთა აუზები და იქაური მთები გაიარა, რომელიც სავსეა ნიანგებით, მარტორქებით და მთის ვეფხვებით.

მოუხდა უმკაცრეს ნეპალელებთან შეხვედრა.

მიანმაში, რთული პოლიტიკური ვითარების გამო, რუსეთის ფედერაციის საელჩოს თანამშრომლები ურჩევდნენ, ქალაქს არ გაშორებოდა. მოგზაურმა კი გაფრთხილება ყურად არ იღოდა მთელი მიანმა მოიარა, ამიტომაც სპეცსამსახურები კვალდაკვალ დასდევდნენ. პოლიციელებს შეგზავნილი ჯაშუში ეგონათ და ამის გამო არასასიამოვნო შეხვედრები ვერ აიცილა, თუმცა ვერაფერი დაუმტკიცეს და უვნებლად გადარჩა, ჰქონია შეხვედრები ფუნდამენტალისტებთან, ნარკოტიკების მწარმოებლებთან.

ფათერაკების ძიების სურვილი თან სდევდა ვიეტნამშიც. რუსეთის ფედერაციის სპეციალისტების რჩევით, ვიეტნამის დედაქალაქში ჰავანისა და ხოშიმინში თვითმფრინავით უნდა ჩაფრენილიყო, მაგრამ, მათი რჩევის მიუხედავად, ლაოსის ყოველმხრივ საშიში ჯუნგლები მაინც ველოსი-

პედიოთ გაიარა. ეს გაუმართლებელი რისკი იყო, რადგან გზა გაუვალად ითვლებოდა. არსებობდა არათუ მწერების, ქვენარმავლების, მხეცების თავდასხმის საშიშროება, მოსალოდნელი იყო ხიფათი მთავრობის წინააღმდეგ განწყობილი ნარკომაფიის სამსედრო დაჯგუფების მხრიდანაც.

ჰანოი-ხოშიმინის გზაზე ვერ ასცდა თავდასხმებს. გამკლავება უწევდა თავდამსხმელებთან, ქურდებთან, ხულიგან მძლოლებთან, რომლებიც ცდილობდნენ მის დაშინებას ავტობუსებისა და ავტომობილების დაჯახებით.

ერთხელ ხუთ პოლიციელთან მოუწია ჩხუბი, მაგრამ თვითონ ისინი აღმოჩნდნენ დასჯილი. სამი კვირა უძლიერეს პირქარებს უმკლავდებოდა.

მოძრავი ტრანსპორტიდან ხელი, ნიხლი, კეტი და ქვა ხვდებოდა ზოგჯერ.

კამბოჯის სამეფოში ამბოხებულთა თავდასხმა იწვნია.

გადაურჩა ჭაობს.

სინგაპურში, ჯუნგლებში პოლიციელებმა გააფრთხილეს: სნაიპერები ამა და ამ ადგილას ელოდებიან შენ გავლასო.

ტაილანდის სამეფოსა და მალაიზიის ჯუნგლებში 1500 კილომეტრიანი მანძილი დაფარა.

კუნძულ პინაგზე, ჯორჯთაუნში გადასვლისას 13 კმ სიგრძის ხიდი გაიარა კუნძულამდე, სა-დაც პოლიცია კრძალავდა ველოსიპედით გავლას.

კუალა-ლუმپურში, ქართულ ოჯახში გატარებული დრო სანახებლად გაუხდა, რადგან ჩვენი ერის შვილმა ადგილობრივ ხელისუფლებაში უჩივლა, რომ გაესახლებინათ მალაიზიიდან, რასაც სის-რულები მოყვანა არ ეწერა, რადგან გამოესარჩლა ცნობილი რუსი კალათბურთელი ა. პეტროვი.

ჯუმბერ ლეჟავა გვამცნობს: „ჩემი ცხოვრების წესი ქრისტიანულია და ჩემი ფიქრი-ყოველი-ვეს მომთვინიერებელი თვინიერებაა-ჩემი ცხოვრების კრედო და ფორმულა“ (გვ. 39).

ინდონეზიის რესპუბლიკის კუნძულ სუმატრის ქ.მედანში რუსეთის ფედერაციის საკონსულო არ დებულობდა, მაგრამ მაინც დააფიქსირა იქ მისვლა.

ამ კუნძულზე ძლივს გადაურჩა ადიდებულ მდინარეს.

სურაბააში კომპანია „პიონერის“ ოფისში შესვლისას ცერა თითი მოიტეხა.

მწვანე კონტინენტზე პორტ დარკინის საბაჟოში შემონმებისას მებაჟებმა ერთი პატარა თავი ნიორი აღმოუჩინეს და მისი ექსპერტიზა ჩაატარეს. ნიორი კბილებად დაშალეს. როცა გაზეთ „დარვინ ნიუსის“ კორესპონდენტმა ინტერვიუს მიცემა სთხოვა, პროტესტის ნიშნად უარით გაისტუმრა, ნიორთან დაკავშირებით იგივე განმეორდა პორტ დარკინის სუპერმარკეტში, რისთვისაც, მოგზაურის თხოვნით, პოლიციელის გამოძახება გახდა საჭირო.

პორტ დარკინიდან ფრინ-კრიკის და კატერინის შემდეგ გზა დასავლეთით უხვევდა, ჯერ ქვიშის დიდ უდაბნოში, შემდეგ ნახევრად უდაბნოში.

ეს ადგილები მსოფლიოში ცნობილია ყველაზე დიდი ნიანგებით და ქვენარმავლებით. ამ ადგილებში კენგურუების ჯგუფები დაძრნოდნენ, ღამით საშიში იყო აბორიგენებთან შეხვედრაც, მაგრამ ეს მაინც ვერ ასცდა.

თითქოს საგანგებოდ ახდენდა საინტერესო ექსპერიმენტებს და გამოცდებს... სილის უდაბნოში, დიდ უდაბნოში, ციკლონების მძვინვარებისას... მოგზაურის სიცოცხლე საფრთხეში იყო, მაგრამ იგი იპოვნეს და მოახდინეს მისი ევაკუაცია ქ.კარაემში.

ორი დღის შემდეგ ურთულესი, წყალწაღებული და დაშლილი გზით პერტისკენ გააგრძელა გზა. 2500 კმ. გზის გავლას ართულებდა მუსონური წვიმები და ქარები, გზისპირა სასტუმროების კურიოზები.

ორი კვირა იმუშავა ავსტრალიის ფერმერ მეყვავილესთან.

ევროპის ჩემპიონი საგზატკეცილო ველორბოლაში გერმანელი ჰაინც ვოლფი გაოცებული იყო, არ მეგონა, თუ ადამიანი 70კგ-იანი ტვირთით 200ზე მეტ კილომეტრს გაივლიდა დღეში (გვ. 41).

კანძერაში ავსტრალიის უმაღლესი მწვერვალი „კოსკიუკო“ დაიპყრო.

ახალი ზელანდიის დედაქალაქ ველინგტონიდან ოკლენდისაკენ თოვლით დაფარულ მაღალ მთებში უწევდა სვლა, სადაც 200 მწვერვალზე მეტი 2280-ზე მაღალია. მათ შორის, 3 აქტიური ვულკანი. გზა საკმაოდ რიყიანი იყო, ხშირად დამით გარეთ მყოფს, გადარჩენის გარანტია არ ჰქონდა.

ოკლენდიდან ახალ კალედონიაში გაემგზავრა და სპონსორად ფრანგი უაკ ალენი გამოუჩნდა. კუნძული ჯერ ველოსიპედით მოიარა, შემდეგ ალენის დელტაპლანითაც შემოუფრინეს. ეს მოგზაურის მხრით დიდი რისკი იყო. ერთადგილიანი დელტაპლანით ფეხზე მდგარმა, დაუბმელად იფრინა.

ეკონომიკურად გამოუვალ მდგომარეობაში იყო. როგორ უნდა გაფრენილიყო ვანუატუში უფულოდ და უბილეთოდ? აქაც უზენაესი მოევლინა მხსნელად და ნუმეადან პორტ-ვილამდე „უბილეთო მგზავრი“, „ბოინგ 747“-ის კაპიტნის სავარძელში იმყოფებოდა და ორი საათით მართავდა თვითმფრინავს.

ვანუატუს აეროპორტში დაფრენისას უკვე პორტის ინჟინრის სავარძელში იჯდა.

ფიჯის კუნძულებზე რამდენჯერ სცადეს მოგზაურის გაქურდვა, რაც აიძულებდა სიფრთხილის გამოჩენას.

იქვე მიტინგში მიიღო მონაწილეობა.

ფიჯის კუნძულებზე პირველად ითამაშა გოლფი შერატონის სასტუმროში ერთ-ერთ დამსვენებელთან.

ვალესაა და ფუტუნაში გემის დამოუკიდებელი მართვა გარისკა, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას მოითხოვდა. გემის მართვით აისრულა მოგზაურმა ბავშვობის ოცნება, რადგან გემის კაპიტნები იმთვითვე გმირებად და ზეადამიანებად ესახებოდა.

მარშალის კუნძულებზე მრავალი სახეობის თევზი დაიჭირა, გაიცნო მეზღვაური კანიბალები. აქვე ბრისმენელი როლფ ანდერდალი დაუმეგობრდა, რომელსაც გოლფი ეთამაბა, ის კი არაფრით იჯერებდა, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ფიჯის კუნძულებზე სცადა ამაში ბედი.

ნაურუს რესპუბლიკაში საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე მოიგო შეჯიბრი 1500 დოლარიანი პრიზით. ეს იყო ძვირფასი ფერწერული ნამუშევარი.

პაპუა ახალ გვინეაში ჭეშმარიტ პირველყოფილ პაპუასებს დაეკონტაქტა, აქვე მოწმე გახდა პაპუასების მიერ ოთხი ავსტრალიელი სტუდენტის „შეხრამუნების“.

უძილო დამეები პორტუგალიელთაგან აშენებულ ეკლესიაში გაატარა.

საერთაშორისო კავშირგაბმულობის მუშათა შეთქმულების გამო ვერაფრით უკავშირდებოდა თბილისს.

ჩინეთში შანხაელ თამარ ლეუგავასთან ჰქონდა ინციდენტი.

პეკინამდე წვიმაში, ყინვაში, თოვლში, მოლიპულ გზებზე არსებულ საფრთხეებს ჩვეულებრივი ადამიანი ვერ გაუძლებდა. ხიფათს უმზადებდნენ ჩინელი მძღოლები, აუტანელი იყო სპეცსამსახურების თანამშრომლების დაკითხვები.

პეკინიდან ნასვლისას სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა მოგზაურის გამცილებლები დააკავეს, ამის გამო პროტესტის ნიშნად დახია კომპანია „ნისანთან“ დადებული ხელშეკრულება, რომელთაგან მიღიონების მიღება და უზრუნველი სიბერე ელოდებოდა.

ყინვაში, დანგრეულ გზებზე აგრძელებდა გზას მონღოლეთის საზღვრისკენ, ჩინელი მესაზღვრების კონდახების მოხვედრის მიუხედავად, საზღვარზე მაინც გადავიდა. ქარბუქში, 24 გრადუს ყინვაში უხდებოდა სვლა. მონღოლებმა იპოვეს და დახმარება გაუწიეს. ულან-ბატორში ჩააღწია და გადაურჩა ხელის თითების მოკვეთას.

ქართველი მასპინძლების ღალატიც გამოსცადა, რუსეთის საელჩოსთან კონფლიქტიც.

მონღოლეთ-რუსეთის საზღვარზე გადავიდა და ულან-უდეში 15 წლის გადასახლებულ ქართველთან ჰქონდა შეხვედრა. იქ ისევ იწვნია ქართველის ღალატი.

თოვლში, უგზობაში აგრძელებდა სვლას, ასე მოხვდა დასახლებულ პუნქტ ჰეტროვკაში რეციდივისტ ქალთა კოლონიაში. ყინულზე მოცურებული ძლივს გადაურჩა მდინარეში ჩავარდნას.

ხაბაროვსკის გზებზე ხშირად იყო საფრთხე. გადაურჩა ვლადივოსტოკისა და ხაბაროვსკის გზას და კორეისკენ მიმავალს აცილებდნენ რუსი გოგონები და მამაკაცები.

ჩრდილოეთ კორეამ ვიზა არ მისცა და სამხრეთ კორეაში გადაფრინდა.

არასასიამოვნო სიტუაციების განმუხტვაში შეველოდა გონიერება.

ოსაკაში შეიტყო, რომ აფრიკაში დაიკარგა ცნობილი რუსი ველომოგზაური ვადიმ კეტოვი და ამ სამწუხარო ფაქტმა ისე მძიმედ იმოქმედა ჯუმბერ ლეუავაზე, რომ გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „მე ვადიმისთვის შურს ვიძიებ აფრიკაზე“ (გვ. 48).

რაკი იაპონიის ვიზა ვერ მიიღო, ჰავაის კუნძულების ბილეთი აიღო და ოსაკაში ითხოვა 3 დღანი ვიზა, შესთავაზეს მხოლოდ 48 საათიანი ტრანზიტული ვიზა. მათი კანონით უახლოესი რეისით უნდა გადაფრენილიყო იაპონიდან. ხელნერილი ჩამოართვეს, რომ ჰავაის კუნძულებზე გასაფრენად დროზე დარეგისტრირებულიყო აეროპორტში, წინააღმდეგ შემთხვევაში საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის დაპატიმრებდნენ.

შეუძლებლის შეძლებას მოწმობს ის, რომ ერთი დღისა და ორი ღამის(37სთ.) განმავლობაში ველოსიპედით 347კმ. მოიარა და ასე მოხვდა ოთხ უდიდეს ქალაქში-ოსაკას, კიოტოს (იაპონიის ძეველ დედაქალაქი), ნარას, კომეს და დაბრუნდა ოსაკას კანზეის საერთაშორისო აეროპორტში. გაოცებულმა აეროპორტის თანამშრომლებმა პრიზად ორი ლამაზი იაპონელი გოგონას კოცნა არგუნეს.

მოგზაური აღნიშნავს: "ამით კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცელი ჩავწერე, ჩემს სამოგზაურო ისტორიაში, რადგანაც ჩემი ჯიუტი ხასიათით იაპონია ყველაფერში (ჩემთან დამოკიდებულებაში) დავამარცხე. გარდა ამისა, ამით ერთგვარად, შურიც კი ვიძიებ ქართველი თავადის, რუსეთის არმიის კავალერიის პოლკოვნიკის პიპინია ერისთავის გამო, რომელმაც, იაპონელთაგან ოტებულმა, საკუთარ ცხენს ფეხით გამოასწრო" (გვ. 49).

ჰავაის კუნძულებიდან სან-ფრანცისკოში ჩაფრინდა, სადაც მისი მასპინძელი იყო შესანიშნავი ქართული ოჯახი გიორგი ერისთავისა.

ოკლენდსა და სან-ფრანცისკოს შორის 6.5კმ სიგრძის ხიდზე და სან-ფრანცისკოს ორკილომეტრიან ხიდზე – „ოქროს კარიბჭეზე“ ველოსიპედით გაიარა.

კალიფორნიის შტატის შემდეგ ძნელი და ხიფათიანი გზებით ჩააღწია არიზონას, ნიუ-მექისიკას, ტეხასის, ლუიზიანას, მისისიპის, ალაბამას, ჯორჯიას შტატებში. იგი გადარჩენას უმაღლოდა ღმერთს. უორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტაში უმასპინძლეს იაშა და ზურაბ ლეუავებმა.

ურთულესი იყო ალიასკის გზები ზამთარში.

ნიუ-იორკში, გაეროში, ბრიუნიგზე გამოვიდა.

ბერმუდის სამკუთხედის კუნძულების ირგვლივ შექმნილია უცნაური, დაუჯერებელი ვერსიები. აქაც წარმატებით იმოგზაურა, ჯუმბერ ლეუავას გვარი დაფიქსირდა ამ სახელმწიფოს წიგნში.

ბერმუდის სამკუთხედის კუნძულებიდან ბაჰამის თანამეგობრობის კუნძულების დედაქალაქ ნა-საუში გაფრინდა.

## სიყვარულის სასრულეპი

XXI საუკუნეში, როგორც არასდროს, განსაკუთრებული გამბედაობა სჭირდება მწერალს, მეცნიერს, ვისაც გაუჩნდება პრეტენზია ჭეშმარიტების თუნდაც მიღიგრამი მარცვლის მოხელთების. მაგრამ ჩვენი კულტურის თვალუწვდენი მწვერვალები მაინც ხდება ბიძგი ფსიქოლოგიური ბარიერების გადალახვისთვის, რადგან დად საქმეებს, დად ქმნილებებს აქვთ საოცარი თვისება, ზეგავლენის სფეროში მოიყოლიონ თაობები.

ბ-ნი ჯუმბერ ლეჟავა ბედისწერამ მოავლინა ისეთი დიდი მისით, რომელიც გულისხმობს მსოფლიოს ხედვის არეალში მოქცევას მრავალნაირი პარამეტრებით. მას წილად ხვდა ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ყოფნის პერიოდში საერთაშორისო არენაზე გაეტანა ქართული ეროვნული ფეხო-მენი, გაეკეთებინა განაცხადი, როგორც მეცნიერს, მოგზაურს, სპორტსმენს, ეჩვენებინა იგავრმუწვდომელი მაგალითი ადამიანის შესაძლებლობების განუსაზღვრელობის, მისი ზეკაცური პოტენციის.

ჯუმბერ ლეჟავა არა მარტო გამოჩენილი მოგზაური, 11 გზის მსოფლიო ჩემპიონი, პრემირებული მეცნიერია, არამედ, ამავე დროს, პირველხარისხოვანი მწერალი, მხატვარი, კიბერნეტიკოსი, ფსიქოლოგი, საღვთო ზნეობის პიროვნება.

ჩვენ, ყველანი, განსაცდელში მყოფი საქართველოს შვილები, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ახალგორის, ლიახვის ხეობების, კოდორის გამო მგლოვიარენი, ისევ და ისევ ვეძებთ პასუხს კითხვაზე, როგორ გადაურჩება ეს ქვეყანა გლობალურ კატაკლიზმებს და “ხმათა ხავერდების ენაში”, რწმენაში, სულიერებაში, ეროვნულ იდეოლოგიაში ვეძებთ ნუგებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს თავზე ისევ ჰქიდია დამოკლეს მახვილი, გვეიმედებიან ეპოქის ნიშანსვეტებად ქცეული ერისკაცები.

ქართველი მწერლები ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დონეზე აზროვნებენ, ამიტომ ვეძებთ ამ რჩეული ერის ენაში, ქართველის გენეტიკურ კოდებში გადარჩენის პოტენციას.

გადარჩენის ერთ-ერთი დიდი გარანტია ბ-ნ ჯუმბერ ლეჟავას პიროვნება, მისი საქმეები და სიტყვა, სიტყვა მწერლისა, პუბლიცისტისა.

ცნობილია, ადამიანი იბადება სახედ და ხატად ღვთისა, ანუ განუსაზღვრელი სულით და უნარით, ხოლო რამდენად ინარჩუნებს იგი სახიერებას, დამოკიდებულია მისი საუფლო გულის სინმინდეზე, რადგან სიბრძნეს, სულიერ წვდომას არსთავანმრიგე მხოლოდ სულით უბინოთ მიჰმადლებს.

ბიბლიამ გვიანდერდა სამი უმთავრესი ფენომენის ერთგულება, ესენია „რწმენა, სასოება, სიყვარული“, ხოლო მათ შორის „სიყვარულია უმეტესი“ (პავლე მოციქული).

„...ლმერთი სიყვარულია“ (I იოანე, 4,8), თავად სიბრძნე.

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში განასხვავებდნენ სხვადასხვაგვარ სიყვარულს, გამოიყოფოდა მიწიერი და ციური ეროსი და ადამიანის არსებობის მიზნად ითვლებოდა ამაღლება სიყვარულის უმაღლეს, ეპიკურ სტადიამდე, ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებამდე, აბსოლუტურ, მარადიულ მშვენიერებამდე, რომელიც მხოლოდ ღვთის საუფლოში არსებობს (პლატონი, „ნადიმი“, თბ. 1964, გვ.17).



ღმერთი არის „დიადი სიყვარული, რომ-ლითაც სამყარო ბრნყვინავს, ვითარცა მარა-დიული შუვა დღე“ (ნეტარი ავგუსტინე, „აღსა-რება“).

„სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოძრავებს ამ მშვენიერ, ციურ ცდომი-ლებს“ (დანტე, „ღვთაებრივი კომედია“).

ღმერთი – სიყვარული განაპირობებს მზის სუფევას ცაზე, სამყაროს არსებობას, „უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“ (გალაკტიონი, „უსიყვარულოდ“).

ბ-ნი ჯუმბერ ლეჟავას წინამძღვარი იყო ორი სიყვარული – მიწიერი და ციური.

მსოფლიო გზებზე გასვლამდე და შემ-დგომშიც მის მარადიულ თანამდევად იქცა ქართული ბიბლია – „ვეფხისტყაოსანი“ და სა-მება, ხატი უზენაესისა.

სულინმიდით გაბრძნობილი, მიწიერ ეროსასაც მიაგებდა პატიქს, რადგანაც მოცი-ქულებრივი სიყვარულის მიბაძვაა (მაღალი გა-გებით) მიწიერი მიჯნურობაც, როცა იგი ვლინდება მაღალი ზნეობით, გვასწავლის დი-დი რუსთაველი.

მხოლოდ ეს სულიერი ძალები ანიჭებს ადამიანს სრულყოფილებას.

„სიყვარულის და სიბრძნის ნიჭს“ შესთხოვენ უზენაესს მაღალი იდეალებისთვის მოწოდებულნი, როგორც დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“.

ამ ორი სიყვარულით, ორი ნიჭით გამოარჩია უზენაესმა ჯუმბერ ლეჟავა. მისი ფენომენალური მსოფლიო რეკორდები და მსოფლიო მოგზაურობა ადამიანის შესაძლებლობათა განუსაზღვრელობის დასტურია. იგი მსოფლიო კაცია, კოსმიური პიროვნებაა, კაცობრიობის მარადიული მიზნის ხორ-ცშესხმა და ალბათ ამიტომაც, განსაკუთრებულია მისი სულიერი სამყარო.

238 სახელმწიფოში ყარიბობა-ხეტიალი იყო მისი იდეა-ფიქსი, რათა ანტიკური და შუასაუკუნე-ობრივი პოემების რაინდი პერსონაჟების (იაზონის, ოდისევსის, ენეასის, ტარიელის, ავთანდილის) მსგავსად გაეფართოებინა თვალსაწიერი, ზიარებიდა მარადიულ სიბრძნეს და ქართული ეროვნული ბუნება გაეცნო მსოფლიოსთვის.

მართლაც, ინიციაციაქმნილი დაბრუნდა დიდი მოგზაური თავისი უმაგალითო, იგავმიუწვდომე-ლი ოდისეიდან და შეიმეცნა დიდი ეზოტერული სიბრძნე, რაც დღესდღეობით მხოლოდ მის დღიუ-რებში გამჟღავნებული და ქვეყნის მესვეურთა უყურადღებობა-გულგრილობის გამო ვერ ეღირსა დღის სინათლეს.

თავიანთი ფიზიკური თუ სულიერ-ასტრალური გზებით სვლისას გამოჩენილ პიროვნებებს ჰყავ-დათ წარმოსახული, ნამდვილი თუ მზეგადასულთა სულები – დანტეს – ბეატრიჩე, პეტრარკას – ლა-

ურა, ბაირონს – მერი, ფაუსტს – გრეტხენი, ბლოკს – მერი, რუსთაველს – თამარი, გალაკტიონს – მერი... საყოველთაოდ ცნობილია მათვის აგებული სულიერი ტაძრები.

ბ-ნ ჯუმბერ ლეჟავასთვის ჯერ გაუკვალავი ჰორიზონტების გზამკვლევები იყვნენ ქრისტიანული სამება, ჩვენი სახარება, „ვეფხისტყაოსანი“ და მეუღლის – ლიანა ალიბეგაშვილის ლამაზი სული, მეგობრის, დის, დედის სათნოებათა შემკრების სახით მოვლენილი მის ცხოვრებაში.

ყოველთვის სიყვარული ყოფილა ზეკაცთა, ალმატებულ პიროვნებათა დიადი საქმეების სტიმული.

დიადი ტაჯ-მაჰალის ნაკვალევზე მავალი ჩვენი თანამედროვე ქართველი თავის დღიურებში, მოგონებებში მრავალგზის გვესაუბრება ლიანა ალიბეგაშვილის შესახებ, მის კეთილისმყოფელ გავლენაზე, წარმატებებში სტიმულისმომცემი იმპულსებზე.

თავისი ცხოვრების მარადიულ თანამგზავრს „ანგელოზს“ უწოდებდა მსოფლიო ადამიანი და ცდილობდა „მის მშვენებას თავისი პოპულარობით მიახლებოდა“ (დლიური, გვ. 26).

მათი შეილები სიყვარულის ნაშეერები იყვნენ და ამიტომაც ლიკას და მაიკოს „სიცოცხლეს“ ეძახდა, უფროს შვილს – ხათუნას – „სიყვარულს“.

მოგზაურის სამსახურში, მის სამუშაო კაბინეტში შესვლისთანავე შემოგანათებთ სახეგაცის-კროვებული მშვენიერების თითქმის ხორცშესხმული ხატება – ლიანა ალიბეგაშვილის ფერადი პორტრეტი, რომელიც შექმნილია ბ-ნ ჯუმბერ ლეჟავას ფუნჯით და... სულით...

აქვე გვინდა განსაკუთრებით შევახსენოთ მკითხველს, რომ დიდი მოგზაური პროფესიონალი მხატვრის დონეზე აცოცხლებს სამყაროს, ბუნებას, ადამიანებს და დროა, ამ ასპექტითაც მივაპყროთ მის ძალზე ფასეულ შემოქმედებით მემკვიდრეობას ყურადღება.

სამწუხაროდ, შეუცნობელმა ბედისნერამ თუ უბედურმა შემთხვევითობამ ძალიან ადრე ჩამოაცილა ბ-ნ ჯუმბერს თავისი უერთგულესი თანამგზავრი, მაგრამ ამით არ შეწყვეტილა მათი სულიერი თანაცხოვრება, ყოფის ყოველ მომენტში, შინ თუ გარეთ, დიდ გზებზე, გზაჯვარედინებზე თუ სულიერ აღმართებზე, ყველგან, ყოველთვის სდევდა და სდევს ქართველ ოდისევსს, ეცხადება მისი სული, აფრთხილებს მოსალოდნელ საფრთხეებზე...

ამ გასაოცარი ფაქტის გამო დაუქრანა პოეტმა გულნაზ ხარაიშვილმა ასეთი სატრიქონები: „...ცოლის სულმა გზებზე სანამ გდიოს, სურს მას გახდეს ტკივილების მოზიარე, სატრფიალო გრძნობის უწყვეტ სუნთქვად... სიყვარული შეინახა ვარდმა, სურნელებას ალბათ გზაში მისდევ“ (დიდ მოგზაურს).

სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებათა პრობლემით დაინტერესებული მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ამ სოფელსა და ზესთასოფელს შორის არ არის გადაულახავი კედელი, მიცვალებულები ევლინებიან ცოცხლებს და პირიქით, ხორცშესხმულთ ხელეწიფებათ განჭვრიტონ სულეთის სიღრმე, შავეთის ველი, ხოლო სიცოცხლეშივე სიკვდილის განცდა, სიმბოლური სიკვდილის გაცნობიერება ხაზს უსვამს ამქვეყნიური არსებობის წამიერებას, ტრანსცენდენტური ყოფის მშვენიერებას, ყოველივე ეს ხელს უწყობს სულიერ განახლებას, ზნეობრივ ამაღლებას, ახალი ჭეშმარიტების მიგნებას, რაც ჩვენთვის მიწაზე განკუთვნილი დროის გონივრულად გამოყენების იმპულსია.

გოეთე ბრძანებდა: „სულთა სამეუფო არ არის კარდაბშული“.

ბიბლიაში მეფე საულმა მესულთანე ქალის მეშვეობით საფლავიდან გამოიხმო სამეულის სული, რომელმაც მომავალი უწინასწარმეტყველა.

„გილგამეშიანში“ გილგამეში ენქიდუს სულთან ამყარებს კავშირს და მისგან ისმენს აჩრდილთა სამეფოს საიდუმლოებებს.

მერაბ კოსტავას ეწადა თავის სიცოცხლეშივე შეხვედროდა ნაადრევად დაღუპულ შვილს (ირაკლის). როგორც სულის უკვდავების რწმენას ნაზიარები ადამიანისთვის, მისთვის „გარდაცვლილები არ არსებობენ“.

მიცვალებულთა სულებს ხშირად საგმირო საქმეები ჩაუგონებიათ ცოცხლებისთვის და განსაც-დელის დროს ფარად მოვლენია.

ომისქარცეცხლში მტრის სამიზნედ ქცეულ აშოგ კურაპალატს თან სდევდა მიჯნურის – შუქიას სული და იფარავდა (ვასილ ბარნოვი, „ტრფობა წამებული“).

ორ სამყაროს შორის გამუდმებული კონტაქტია ვ. ბარნოვის ნაწერებში („აჩრდილი სიკვდილი-სა“).

იტალიელი გენიოსი დანტე საიქიოდან მოევლინა შვილს სიზმარში და აცნობა თავისი „ლვთაებ-რივი კომედიის“ მეცამეტე თავის ადგილამყოფელი.

ლალატით განწირულთა აჩრდილებს შურისძიებაც ახასიათებთ. ამის მაგალითა იულიუს კეის-რის გამოცხადება მუხანათი ბრუტუსისთვის და იმ დამარცხების წინასწარმეტყველება, რაც მოღა-ლატე სარდალს და მის მომხრეებს ხვდათ წილად.

ბ-6 ჯუმბერ ლეჟავასა და ლიანა ალიბეგაშვილის ურთიერთობა დიდი სიყვარულის შიშითაც იყო მოცული, რასაც განსაკუთრებული ინტუიცია და მომავლის წინასწარი ხილვა მოსდევდა ხოლმე. თითქოს მომავალზე მიმანიშნებელი იყო ლიანას განაცხადი: „ჯუბა, შენ რაც უფრო პოპულარული ხდები, ჩვენ მით უფრო ვშორდებით ერთმანეთს“ (დლიური, გვ. 26).

1990 წლის 9 თებერვალი და მოსკოვი ჯუმბერ ლეჟავას ცხოვრებაში პირველი მსოფლიო რე-კორდით იქცა ლირსსახსოვრად, ერთსაათიან მკლავებზე აზიდვებში გაუგონარ შედეგებს მიაღწია.

გამარჯვებულ სპორტსმენს თბილისში თვითმფრინავით დაბრუნებისას ჰქონდა საოცარი ხილვა, რომელსაც ასე იხსენებს: „ჩაფიქრებული დავცექეროდი იატაკს, უცრად ჩემს წინ წარმოსახვაში და-ინთო ცეცხლი და მის ალს ამოჰყვა ჩემი მეუღლე ლიკა, რომელიც გაფრინდა ჩემგან მარცხნივ მფრინავი ფრინველივით გაწელილ მდგომარეობაში და გაქრა“.

სახლში აეროპორტიდანვე დარეკა და ლიკას ჯანმრთელობა იკითხა. პასუხი დამამშვიდებელი იყო.

ბედნიერი ოჯახი ხარობდა სიყვარულით, უჩვეულო წარმატებებით, მომავლის გეგმებს ადგენდა.

მაგრამ სულ მალე ლიანა ალიბეგაშვილი ტვინში სისხლის ჩაქცევამ შეინირა. საბედისწერო თა-რილი იყო 1990 წლის 3 ივნისი.

„თავი ცოცხალი ლეში მეგონა, რადგან თავის მოკვლა ვერ გავპედე“, წერს ბ-ნი ჯუმბერი.

მაგრამ ამ ტრაგედიამ სიცოცხლის სურვილი და მაღალი მიზნების აღსრულების განზრახვა ვერ ჩაუკლა, გადაწყვიტა, ეცოცხლა ლიკას სახელის უკვდაყყოფისათვის: „გადაწყვიტე რეკორდების დამყარება, რომლებსაც მივუძლვიდი ლიკას, რითაც გავიხანგძლივებდი მისი ჩემთან არსებობის დროს“.

უფლისგან ხელდასხმულმა პიროვნებამ ამჯერადაც ვაჟკაცურად გაუძლო მისთვის მოვლენილ განსაცდელ-გამოცდას, სიკვდილის პირისპირ დგომამ კიდევ უფრო გაუღვიძა წინსვლის, მისთვის განკუთვნილი დროის გონივრულად გამოყენების წყურვილი.

თავის მარადიულ სიყვარულს განშორებული ვარჯიშობდა, ხატავდა, მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში.

თავის დაბადების დღეზეც ლიკას სასაფლაოზე დადიოდა, უხმო აღსარებას ეუბნებოდა და ცრემლიანი დუმილით შორდებოდა.

„ლიკას გარდაცვალების შემდეგ მას მივუძლვენი I რეკორდი 1990 წ. 29-30 სექტემბერს. მიხა-რია, რომ იგი ჩემთან ერთად ცოცხლობს. ჩვენ კიდევ ბევრჯერ გავაოცებთ სამყაროს“, წერს რეკორ-დსმენი (დლიური, გვ. 30).

გამარჯვების შემდეგ, მოსკოვის სასტუმროს ნომერში მარტოდ დარჩენილს, არც უვაბშმია, უპირველესად, მეუღლელის სურათთან მივიდა, რომელიც ყოველთვის თან დაჰქონდა, ამჯერად კი სა-

წოლზე ედო, პირჯვარი გადაიწერა და მიმართა: „კიდევ მრავალ გამარჯვებას მოგიძლვნი, ჩემო ლიკა“ (გვ. 31).

ეს იყო შემთხვევა, როცა ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ.

ინდოეთში ინდური ხუროთმოძღვრების უშესანიშნავესი ძეგლი ტაჯ-მაჰალი რომ იხილა, მისი შექმნის ისტორია მოიგონა, რასაც საკუთარი მუზის ასოცირება მოჰყვა და გულისტკივილი ვერ და-მალა: „ხუროთმოძღვრების ეს შედევრი დიდი სიყვარულით არის შექმნილი, იგი მეუღლის ხსოვნი-სადმი პატივისცემის დადასტურებაა. ჩემი ლიანა გამახსენდა და თვალები ცრემლით ამევსო.სულთან შაჰ-ჯაჰანს ჰქონდა ახალგაზრდა უმშევნიერესი მეუღლე მუმთაზ მაჰალი, რომელიც ახალგაზრდა გარდაცვლილა. დიდხანს უგლოვია სულთანს საყვარელი მეუღლე და მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ეს დიდებული მავზოლეუმი აუგია. ცოლ-ქმარი ერთად განისვენებს ამ მავზოლეუმში.“

„ეს ამბავი რიქშაშ მომიყვა: სულთანმა პირველად რომ დაინახა ხელოვნების და სიყვარულის უკვდავი ქმნილება, მშენებლებს ხელები დააჭრა, არქიტექტორი კი სიკვდილით დასაჯა, რათა სხვა-გან ასეთი ტაძარი არ აეშენებინა“.

„საღმრთო წერილი ხომ ჩემი მეგზურია, მუდამ ჯიბით დავატარებ და ვლოცულობ, არ ვიცი, შეუნდობს თუ არა ღმერთი სულთან შაჰ-ჯაჰანს დიდ ცოდვას, რომელიც დიდმა სიყვარულმა ჩაადე-ნინა. არადა, პირიქით არ უნდა მოქცეულიყო? დიდმა სიყვარულმა დიდი სიკეთე უნდა გაკეთებინოს“ (ჯუმბერ ლეჟავას უურნალი, 2004 წ. №1, ივლისი).

მოგზაური ინდოეთში, უასფალტო, ღორლიან, გუბურებიან გზაზე ნადირების, ქვეწარმავლების, მწერების გარემოცვაში ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა შინაურ სპილოზე ამხედრებული ადამიანები, ის კი გარეულ სპილოს ექტდა ტყეში.

ლამით უღელტეხილზე ასული პატარა თივის სხვენზე ათევდა ღამეს.ტყიდან ნადირის კივილის მსგავსი ხმები ესმოდა. როგორც იქნა, ჩაეძინა. სიზმარში ლიანას ხმამ გამოაღვიდა. იგი მაშინ ესიზ-მრებოდა, როცა უჭირდა. „ფრთხილად იყავი, ჯუმბერ“, ჩაესმა მისი სევდიანი ხმა.

ამასობაში თავლასთან ორი ახალგაზრდა შეამჩნია და კითხვაზე, ვის ელოდებიო, სპილოსო, უპასუხა, რაზედაც უცნობებს გაეღიმათ. მათ თავიანთ სახლში დაპატიჟეს, რაც ბედის წყალობად მოეჩვენა, გადააფიქრებინა ტყეში სპილოს ძიება და ცოლის გაფრთხილებაც გაახსენდა. უცნობების კარგი მიღების გამო დააფიქსირა: „უვას პროვინციის შუა ჯუნგლში სოფელ მორეტოტაში ცხოვრობს ერთი კეთილი მრავალშვილიანი მშრომელი ოჯახი, რომელთაც უცხო სტუმრის პატივისცემა იციან“. მასპინძლებმა დილაუთენია გამოაცილეს, გზა ასწავლეს და თავიანთ ეზოში მოწეული ხილი და ბოს-ტნეული გამოატანეს (ჟ. მსოფლიო მოგზაური, 2004 წ. №1, გვ. 17).

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრესა ეხმაურებოდა ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობას, რადიო და ტელევიზიები იწვევდნენ, უურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი მისი სურათები პატივით ეკიდათ კედელ-ზე, უცნობი მანდილოსნები სიყვარულით, ქორწინებით, ბინით, ბიზნეს-სამსახურებით ცდილობდნენ მის მოხიბლვას, მაგრამ შეუვალი, უცვლელი იყო მისი გადაწყვეტილება, ლიანა ალიბეგაშვილის შემ-დეგ არავისთვის დაეკავშირებინა სიცოცხლე, არც ამურული თავგადასავალები დაეყენებინა წინა პლაზე, არ გამოეყენებინა მრავალჯერ გაჩერილი შანსები, არ აჰყოლოდა ცდუნებებს...

ახალ წელს რეკორდსმენი ლიკას სურათთან და ხატებთან ერთად შეხვდა.

„ჩემი და ლიკას ურთიერთობით დავრწმუნდი, რომ სიყვარული რეალურია.მე და ლიკამ დავლო-ცეთ მაკას და ხათუნას ოჯახები, სიძეები და ლაშა, ბექა, გვანცა და ლიკა. ჩვენ ხომ ესენი გვაცოც-ხლებენ, ამათი ბედნიერებით თუ გავიცლებთ ჩვენს გონებაში ხანდახან აზრს, რომ ჩვენც ბედნიერები ვართ, თორებ რა ბედნიერებაა, როდესაც მე და შენ სამუდამოდ დავცილდით ერთმანეთს. ჩვენ ხომ უერთმანეთოდ არ შეგვეძლო ყოფნა.ამიტომაც ვფიქრობ, რომ ბედნიერება როგორც მოდის, ისე მი-დის, იგი ხომ დროებითი მოვლენაა“ (გვ. 32).

...პირობითად (რადგანაც არ ვსვამ) დავლოცე... სამშობლო, ჩემიანები და სხვისიანები... (გვ. 32).

შემდეგი მესამე და მეოთხე რეკორდებიც ლიკას შთაგონებული იყო. ფენომენალური წარმატების დროსაც ლიკაზე ფიქრობდა: „ნეტავი ლიკას ენახა გუშინ ტელევიზორში „ვრემია“ რას ამბობდა ჩემზე. ჩემო ლიკა, კიდევ ბევრჯერ გასახელებ. სხვა აღარაფერი დანიშნულება აღარ მაქვს“.

მეუღლის სურათს ასეთ რამეს უყვება მსოფლიო რეკორდსმენი: „ლიკა, მინდა ერთი შემთხვევა მოგიყვე, რადგანაც შვილიშვილზე ჩამოვარდა საუბარი. ვაკეში მე, ბარდღუ, გვანცა და ზაირა მივ-დიოდით ჩვენი მანქანით. შენს სამსახურს რომ ჩავუარეთ, გვანცა შეცბა, მან ყველას გადახედა, არა-ფერი არ უთქვამს, წამოუვიდა ცრემლები და თავი დახარა ისე, რომ არავის შეემჩნია მისთვის ეს ცრემლები... მის დანახვაზე მეც მომადგა ცრემლები, მაგრამ ხმამაღლა ვერ გამოვხატე ჩემი დარდი. აი, ასე დადარდიანებული დატოვე ყველა, ჩემო ლიკა, ვინც შენ გიცნობდა. ამბობენ, დრო ყველაფრის მეურნალია, ნუთუ დადგება ისეთი ჟამი, როდესაც შენ ჩემთვის სულერთი იქნები? მე მგონი, არა!“ (გვ. 37).

შემდეგ ორ დღეში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

1991 წ. 2 ივნისს, მეუღლის დაბადების დღეს გაიმარჯვა: „მე ჩემს ლიკას მივუძღვენი ეს რეკორდი საჩუქრად მის დაბადების დღეზე“.

ორი მანქანით ახლო ნათესავები და რამდენიმე მეგობარი ლიკას საფლავზე ავიდნენ. „უხმოდ ვიდექით მის ლამაზ სულთან. ვგრძნობდი მიწის ბორგვას, თითქოს აგერ ახლა ვულკანივით ამოიფრევება და ლიანა მას ამოჰყვება, რომ მომილოცას ეს გამარჯვებაც. მას ხომ ყველაზე მეტად უხაროდა ჩემი წარმატებები. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი და თვალცრემლიანებმა დავტოვეთ სასაფლაო. გამარჯვებით გახარებულები უფრო მეტად დალონებულები დავპრუნდით სახლში და არც კი ვიცი, გამარჯვების პატარა სუფრას ავლნიშნავდით, თუ ჩემი ლიკას დაბადებისა და გარდაცვალების დღეს“ (გვ. 39).

„ლიკას დაბადების დღეა 2 ივნისი. იგი დღეს გახდებოდა 46 წლის. მე მის კიდევ ერთხელ აღიარებისთვის ვიწყებ უჩვეულო მარათონს, რადგანაც ასეთი სირთულის გზა ჯერ არავის გაუვლია“ (გვ. 40).

შეჯიბრება დაიწყო 2 ივნისს და დამთავრდა 9 სექტემბერს, 100 დღეში. რეკორდი ემთხვეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას. 100 დღის განმავლობაში აიზიდა 1730000-ჯერ.


ამჯერადაც ისევ და ისევ მეუღლის სული სდევდა სტიმულის მიმცემად, გამარჯვების რწმენის შთამაგონებლად.

1993 წლს ჯუმბერ ლეჟავამ მსოფლიო რეკორდების დამყარების შემდეგ გადაწყვიტა სხვა სახის ექსტრემალურ პირობებშიც გამოეცადა საკუთარი ძალა. ამისთვის მოიფიქრა ურთულესი მოგზაურობა მსოფლიოში ველოსიპედით ყველა კონტინენტის ყველა ქვეყანაში მარტოდმარტო.

ეს მოგზაურობა მიუძღვნა თავის გარდაცვლილ მეუღლეს ლიანა ალიბეგაშვილს და აფხაზეთში 1992 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ერთიანობისთავის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ რატი კიკაჩეიშვილს.

ცხრანლიან მოგზაურობაში გამგზავრების წინ სიონის ეკლესიაში სანთლები დაუნთო საქართველოს ყველა დაღუპულ გმირს, მეუღლეს ლიანა ალიბეგაშვილს და მოგზაურობის იდეის ავტორს – რატი კიკაჩეიშვილს, საერთოდ ყველა გარდაცვლილს, ქართველ ხალხს და მის სახელმწიფოებრივ მომავალს.

მეუღლის კეთილი სული გამუდმებით დიდი წარმატებებისკენ მოუწოდებდა. ავსტრალიაში მოგზაურობისას კანბერაში ავსტრალიის უმაღლესი მწვერვალი „კოსკოუსკო“ დაიპყრო, რაც მეუღლის ხსოვნის პატივისცემით იყო შთაგონებული.



კანბერა-სიდნეის გზა მიუძღვნა ლიანა ალიბეგაშვილს, რომელიც 2 ივნისს დაიბადა და გარდა-იცვალა 3 ივნისს. სიცოცხლესა და გარდაცვალებას შორის სხვაობა ორი საათია. სიცოცხლის ეს დრო ჩემს ლიკას აჩუქა ჩემმა მაიკომ. ჩემს ლიკას მხოლოდ ჩვენი უფროსი ქალიშვილის – მაიკოს სისხლი ესხმებოდა, წერს მოგზაური.

სიდნეიში 6. მაისურაძის ოჯახში გადაუხადა მეუღლეს დაბადების დღე.

იმთავითვე და ამიერიდან მისი ყველა მიღწევის სტიმული ლიანა ალიბეგაშვილის მფარველი სული იყო.

1991 წ. 26 ივნისს მსოფლიო რეკორდი დაამყარა მკლავებზე აზიდვებში (5011 აზიდვა საათში).

ამავე წლის 27 იანვარს მიაღწია ერთსაათიან რეკორდს მუცლის პრესის ვარჯიშში (2806 აზიდვით).

ორ დღეში ორი მსოფლიო რეკორდი ფერნომენალური იყო, მაგრამ წუხდა, რომ ლიანა ვერ გაიგებდა, როგორ აფასებდა “ვრემია” მის გასაოცარ შედეგებს.

ნაურუს რესპუბლიკაში მოიგო შეჯიბრი 1500 დოლარიანი პრიზით, გადაეცა ქვირფასი ფერწერული ნამუშევარი.

მოგზაურა ბერმუდის სამკუთხედის კუნძულებზე, რომელთა რიცხვი 200-ია, დასახლებული კი მხოლოდ 20-ია. 10 ხიდი გადაიარა.იქ მოგზაურის გვარი დაფიქსირდა ოქროს ნიგნში.

ღმერთი და სიყვარული იფარავდა იმ საშიშარ ადგილებში, სადაც ადამიანები უკვალოდ ქრებიან. გადარჩნას მუდამ ამ ორ ძალას უმადლოდა და მათ სადიდებელს აღავლენდა.



## სულიკო თავბერიძე

**ჩემი მეგობარი ჯუმბერი**

ყველა გასაღები მის ბიოგრაფიაში დევს, ჯუმბერ ლეჟავა მეტად საინტერესო და გამორჩეული ბიოგრაფიის მქონე პიროვნება იყო. ველომოგზაური არაერთგზის რეკორდსმენი, გინესის წიგნში 14-ჯერ იყო შესული, საზოგადო მოღვაწე, ქათველი სპორტსმენი ყელა დროის მსოფლიოს 500 საუკეთესო სპორტმენთა შორის მას მსოფლიოში იცნობდნენ, როგორც ნიჭიერ შეუპოვარ, უდრეც პიროვნებას. იგი გამორჩეული იყო მეგობრებშიც და მეგობრობაშიც. თუმცა ყოველთვის გულმოდგინედ არჩევდა მათ. ჩვენი მეგობრობა მოდის ან განსვენებულ ჯუმბერ მაღლაკელიძიდან. მაღლაკელიძე შსს-ს თანამშრომელი იყო, ლეჟავა და მაღლაკელიძე ბავშობის მეგობრები იყნენ. აქ იყრიდნენ თავს ჯუმბერის ახლობლები, მეგობრები და მეც ასე მოვხვდი მათ სამეგობრო წრეში. ჩვენთან თბილი ურთიერთბა ჰქონდა. ბევრი რამ შემიძლია ამ უთიერთობიდან გავიხსენო. ჯუმბერის გამორჩეული ადგილი ვენახის ხეივნის ქვეშ გაშლილ მაგიდასთან, სადღეგრძელოები, იუმორით სავსე საღამოები ერთად შეხმატებილებული სიმღერებით რომ მთავრდებოდა. მიუხედავად უამრავი ტკივილისა, უფულობის და.... (.....) მაინც არ დაუტოვებია თავისი ქვეყანა. რამდენიმე წლის წინ ერთად მოგიწია ბახმაროში დასენება, იქდან ერთად მოგვიწია დაბრუნება უკან, მასთან ერთად ბატონი გოგი დოლიძეც ბრძანდებოდა. გზადგზა ბუნების საოცარი სილამაზე გვაცილებდა ჯუმბერ ლეჟავა ხმამაღლა გამოხატავდა თავის შთაბეჭდილებებს. მსოფლიო მაქვს შემოვლილი და მსგავსი სილამაზე არსად მინახავსო.

ჯუმბერი ბოლო წლებში ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი ყო და იქვე ცხოვრობდა. ამის გამო იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მადლიერი იყო რექტორის, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ჯუმბერის ბოლო დაბადების დღე, იმ წუთში ის იყო საოცრად ბედნიერი, ხვალინდელი იმედებით სავსე. ყველას ეფერებოდა მღეროდა, მისივე სახელობის პრეზიდენტმა ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა, ქართული თევე არხის ოპერატორი მოუყვანა, უურნალისტობა თვითონ იტვირთა, დახურულ კარს მიღმა იდგა, სვამდა კითხვებს ასე შემორჩა კითხვა პასუხის დიალოგი მისი სიცოცხლის ბოლო დაბადების დღისა, მადლობა ამისათვის ქალბატონ გულნაზის...

დიდი მწუხარების ცრემლით გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე.



## მურმან გელენიძე



### კაცი ლიგინიძა ჯუმშირ ლისავა

მსოფლიო მოგზაური,  
გინესის რეკორდების  
მრავალგზის მფლოელი.

დაიბადა 1939 წლის 23 ივნისს, თბილისში,  
მოსამსახურის ოჯახში, დაამთავრა თბილისის  
პოლიტექნიკური ინსტიტუტი  
ინჟინერ ელექტრიკოსის სპეციალობით.

2007 წლის 12 მარტს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ფოტო-გამოფენა „მსოფლიო ჯუმბერ ლეჟავას ობიექტივში”.

უპირველესი „სავიზიტო ბარათი” ბატონ ჯუმბერ ლეჟავას შესახებ, ეს არის მისი საოცარი ზეადამიანური შესაძლებლობები. მივყვეთ მის მიღწევებს თანმიმდევრობით:

ბატონმა ჯუმბერმა მკლავებით აზიდვაში ვარჯიში დაიწყო 1987 წელს. სირბილში რიგითი ვარჯიშის დროს მოუვიდა ნაწლავების დამბლა, რომელიც გადაეზარდა შინაგანი ორგანოების განვითარების, რის შედეგადაც 4-მეტრამდე ნაწლავი ამოკვეთეს. შემდგომ, საკმაოდ დასუსტებული, მუკურნალობასთან ერთად უფლის დიდი რწმენით აგრძელებს ვარჯიშს. 1990 წელს მკლავებით აზიდვაში ამყარებს პირველ მსოფლიო რეკორდს. 1993 წლამდე კი დამყარებული აქვს გინესის რეკორდების წიგნის 14 რეკორდი მკლავებზე აზიდვაში (ასევე მუცლის პრესის ვარჯიშები), რომელთაგან უმეტესობა შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ერთმა პიროვნებამ მკლავებით აზიდვაში დაამყარა ამ სახეობის ყველა დროითი ნორმატიული რეკორდი.

ბატონმა ჯუმბერმა მსოფლიოს გარშემო მარტოდ-მარტომ ველოსიპედით მოგზაურობა განახორციელა 1993-2002 და 2004-2005 წლებში. მან იმოგზაურა მსოფლიოს 237 ქვეყანაში. ფაქტობრივად ეს იყო მსოფლიოს ყველა კონტინენტის თითქმის ყველა ქვეყანა.

სხვადასხვა სახის ტრანსპორტით მის მიერ გავლილი მანძილი შეადგენს 550 000 კილომეტრს, მათ შორის ველოსიპედით – 285 000 კმ, რაც უნიკალურია მსოფლიო მოგზაურობის ისტორიაში.

ჯუმბერ ლეჟავა მოგზაურობის პერიოდში პოპულარიზაციას უწევდა საქართველოს მეცნიერებას, კულტურას, სპორტს, ტურიზმს, საქართველოს ისტორიას. ათასზე მეტი ქურნალისტი-სათვის მიცემული აქვს ინტერვიუ, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის პრესაში ქვეყნდებოდა სტატიები ამ მოგზაურობების შესახებ, სისტემატიურად გადაიცემოდა მასალები სხვადასხვა სატელევიზიო არხებით.

ჯუმბერ ლეჟავას, როგორც ლეგენდარულ მოგზაურს, გერმანელებმა „მოგზაური პიკასო“ უწოდეს, ფრანგებმა – „მოგზაურთა მეფე“, ხოლო როცა მან ველოსიპედით გადაკვეთა „ამაზონის ჯუნგლები“ ბრაზილიელებმა მას დაარქვეს „პორზმენი“ – „კენტავრი“ ანუ „ცხენკაცი“.

მისი მოგზაურობა ველოსიპედით მსოფლიოს გარშემო კურიოზებითაა გაჯერებული. მათ შორის მან რამოდენიმე შემთხვევა გაიხსენა: – იემენში როცა შევიდა, ის შეჩერება ცხენებზე მიბმულ როსკიპ ქალებს. მათ ხელ-ფეხი ჰქონდათ შეკრული და გამყოლი დაატარებდა ქალაქის ქუჩებში, ხალხი კი სხვადასხვა საგნებს ესროდა და დასცინოდა; სირიაში მოგზაურობისას ის შეხვდა ცნობილ ქართველ მსროლელს, მრავალგზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონს თემურ გატოიანს. მან ბატონი ჯუმბერი წაიყვანა სირიის დედაქალაქის დამასკოს ცენტრალურ მოედანზე დამნაშავეთა დასჯის სანახაობის საყურებლად. დილის 7 საათზე აქ უკვე აღმართული ჰქონდათ მრავალი სახრობელა. შემდეგ მოჰყავდათ სიკვდილმისჯილები, რომლებსაც თავზე ტომრებს ჩამოაცმევდნენ და იწყებოდა მათი ჩამოხრჩობა. ბატონი ჯუმბერი დიდი განცდით ჰყვება ნანახს. იგი ამბობს, რომ ყოველივე ეს იმდენად შემზარავი სანახაობა იყო, რომ მან ვეღარ გაუძლო და გაეცალა იქაურობას, შემდეგ მან გაიხსენა აფრიკის უდაბნოში მოგზაურობისას თუ როგორ გადაირჩინა მრავალჯერ თავი ქვენარმავლების დაგესვლისგან. იგი ქვიშისაგან ამოთხრიდა ორმოს მინის გრუნტამდე და წვებოდა შიგ, სადაც თან ისვენებდა და ამავე დროს თავს იცავდა გველებისაგან.

სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში წარმოუდგენელია ჯუმბერ ლეჟავას მიერ გადალებული 350 ფოტო. გამოფენა გახსნა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორმა პროფესორმა გია ბულაძემ. მან თითოეულ ფოტო ნამუშევარს შედევრი უწოდა. სიტყვით გამოვიდნენ: სამხატვრო აკადემიის პროფესორი გივი მიზანდარი, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი გოგი დოლიძე და სხვები. გამოფენის გახსნას დაესწრო ერის ცნობილი მრავალი ღირსეული ადამიანი და სტუდენტი-ახალგაზრდობა. სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მიერ შესრულებული იქნა მსოფლიოს ხალხთა სიმღერები. დიალოგის დროს, რომელიც ბატონ ჯუმბერთან გაიმართა, იგი საოცრად თბილად საუბრობდა მის მიერ გადალებულ ფოტო-ნამუშევარზე. ბატონმა ჯუმბერმა აღნიშნა, რომ როდესაც მის ნამუშევრებს ასე გატაცებით ათვალიერებენ პროფესორნალი მხატვრები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, სტუდენტები, განსაკუთრებით კი ბავშვები, ეს მისთვის უდიდესი სიამოვნებაა, იგი უდიდეს აღფრთოვანებასა და სიხარულს მივრის. „აი, ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება“ ..... მეც გადმომედო ეს განცდა, რადგან ფოტო-ხელოვნების ნიმუშებით მოხიბლული დამსწრები სულიერად მოგზაურობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ამის დასტურად მინდა რამოდენიმე ამონარიდი მოვიშველიო შთაბეჭდილებათა წიგნიდან:

### მარიამ შურლია

„ბატონ ჯუმბერ, ფაქტიურად მსოფლიო შემოვიარე თქვენთან ერთად, დიდი მადლობა...“

### მურთაზ ურიდია

„დიდი მადლობა ბატონ ჯუმბერს — ფოტო ფერმწერს! შედევრებია ..... უნიკალური ფოტოებია.“

### ზურაბ სამხარაძე

„ეს ყველაფერი დაუჯერებელი, ფანტასტიურია, შეიძლება ითქვას ყველაზე დიდი ბედნიერებაა ადამიანისათვის, საერთოდ როგორც შენთვის, ასევე ყველასთვის, ვინც ამ სიმდიდრეს იხილავს, გაიხარება და გაგვახარე კიდევ დიდხანს.“

### თ. ჯინჭარაძე

„მარტო ეს საკმარისია, რომ თქვა ბედნიერად ვიცხოვრე.“

### ბონდო კობაიძე

„ბატონო ჯუმბერ, თქვენნაირი მამულიშვილებით უნდა იამაყოს საქართველომ. თქვენი შრომა და ენერგია შეუფასებელია. გილოცავთ დიდ წარმატებას.“

#### თ. შა.....

„ბატონო ჯუმბერ, თქვენს მაგალითზე ბავშვები იზრდებიან. თქვენი ფოტო-გამოფენის დათვალიერების შემდეგ ჩემმა შვილმა ფოტო აპარატი გვთხოვა. ახლა მას ახალი ჰობი აქვს და ძალიან კმაყოფილია. მე კი 30 წელში მსოფლიოს გარშემო ვიმოგზაურე, დიდი მადლობა.“

მე მნამს, რომ ღირსეული ადამიანური ურთიერთობები – სიყვარული, მეგობრობა და კულტურულ ღირებულებათა გაცვლა აერთიანებს ჩვენი პლანეტის ადამიანებს, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე მათივე გამთიშველი განსხვავებანი. ამდენად ჯუმბერ ლეჟავას პიროვნება სხვადასხვა ასპექტებით და მისი ფოტო-ნამუშევრების საყოველთაო აღიარება, დადებითი მუხტი, განწყობა, სწორი შეფასება გაამაგრებს ამ რწმენას. თანამედროვე მსოფლიოს მოწყობის — გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების მიმდინარეობისას მხლოდ დემოკრატია, მშვიდობა, კულტურა, სილამაზე გადაარჩენს კაცობრიობას.



## ჯუმბერ ლეჟავა

ჯუმბერ ლეჟავას ხელი უნდა შეუწყოს მთავრობამ (ის უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა პირობებით), რათა მან, როგორც გენიალურმა პიროვნებამ თავის ფოტო-ნამუშევრებთან ერთად იკისროს მშვიდობის მისია ..... და კვლავაც იმოგზაუროს მსოფლიოს გარშემო, რამეთუ ბატონი ჯუმბერი ეს არის 21-საუკუნის კაცი ლეგენდა თავისი შესაძლებლობებით. მისი ნამუშევრების ექ-სპოზიცია-დემონსტრირება, სადაც არ უნდა გაიმართოს იგი – ევროპაში, აზიაში, სამხრეთ-ამე-რიკაში, ახლო აღმოსავლეთსა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყველგან გამოიწვევს მაყურე-ბელთა ერთნაირ რეაქციას – უდიდეს აღფრთოვანებასა და შექმნის კარგ განწყობილებას.

ასევე აღფრთოვანებას იწვევს მისი დამსახურებისა და შრომითი „იერარქიის“ ნუსხაც:

1999 წელს UNESCO-მ ჯუმბერ ლეჟავას მიანიჭა მსოფლიო სპორტსმენისა და მოქალაქის წო-დება.

მიღებული იქნა სახემლწიფო ჯილდოები, მათ შორის ვახტანგ გორგალის პირველი ხარისხის ორდენი. ასევე არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ჯუმბერ ლეჟავამ მოგზაურობის შედეგად დააგროვა 10 000-მდე თაბახი საკუთარი დღიურე-ბი, 60 000 ფოტო, რომელიც ციფრულ ფორმაში ინახება, 300 საათამდე ვიდეო მასალა.

ასევე ციფრულ ფორმატში მომზადებული აქვს ფოტოები 40-მდე თემატიკით. მათ შორის: „მსოფლიო ბავშვები“, „ქალები“, „პოლიციელები“, „მსოფლიო ხალხების რელიგიური არქიტექტუ-რა“, „ლანდშაპტი“, „მსოფლიოს ტრანსპორტი“, „აეროპორტები“ და სხვ.

დინჯი, დაფიქრებული, მიზანმიმართული, მეცნიერი, ფოტო ხელოვანი, სპორტსმენი, ზნეობ-რივად სუფთა, უშიშარი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული, ასეთად იცნობენ მას მისი მეგობრები, ახლობლები, კოლეგები.

უზენაესის წყალობით კვლავ მრავალჯერ გაეხარებინოს ბატონ ჯუმბერს თავისი გულშემატ-კივრები, მეგობრები და სრულიად საქართველო.

ბატონო ჯუმბერ, ასე გეფერებოდით სიცოცხლეში როგორც შეგვეძლო და როგორც აღვისვამდით თქვენს დიდ პიროვნებას.



ციალა ხაუალია-ანდრიაძე

## პისტოში – დიდი მოგზაური და მისი ფესვები

ბატონი ჯუმბერ ლეუავა XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დაასაწყისისათვის მსოფლიოში უამრავი ქვეყნისათვის გამოჩენილი პიროვნება გახლდათ.

იგი მის მიღწეულ ლირებულებათა გამო გინესის წიგნშია შეტანილი. თუმცა საზოგადოების დიდმა ნაწილმა მხოლოდ ის იცის, რომ ბატონი ჯუმბერი სპორტსმენი იყო და მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით შემოუარა.

არადა, ბატონმა ჯუმბერმა წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები ლენინგრადის საზ-ლვაო აკადემიაში. აუხდა ოცნება. უნდა გამხდარიყო მეზღვაური, მაგრამ ამ დროს დედა გარდაეცვალა. და, – მაშინ მარტო ვერ დარჩებოდა. და ამის გამო, ეს უდიდესი ნებისყოფის მქონე ახალგაზრდა კაცი საკუთარ თავზე ამაღლდა. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, უარი თქვა მიღწეულ წარმატებაზე და იმავე წელს განმეორებით მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიბერნეტიკის ფაკულტეტზე ჩააბარა.

იგი წარჩინებული სტუდენტი იყო და იქვე სამეცნიერო მოლვანეობა განაგრძო. ბატონი ჯუმბერი 24 წლისათვეში და სახელმწიფო პრემიის ლაურეატიც გახდა.

ასე, რომ ეს ნიჭიერი კაცი დიდი მეცნიერებიდან დიდ სპორტში წავიდა და განუმეორებელი მიღწევებით წარმოჩნდებული მსოფლიო მოქალაქეც გახდა. რომელმაც ერთობ მნიშვნელოვანი და საინტერესო ოცტომეულით გაამდიდრა საზოგადოების წიგნიერი სამყარო. შექმნა საუკეთესო რუკები და ჩანახატები...

ვფიქრობ, რომ დიდი მოგზაურის მიერ ამ ტომებში მოცემული მასალები, მნიშვნელოვანია დღესაც და საინტერესო იქნება სამომავლოდაც. განსაკუთრებით სხვადასხვა სახის კვლევებისათვის დიდ მეცნიერებაში.

ბატონი ჯუმბერის წარმატებებით ამაყობს სრულიად საქართველო. მსოფლიოში გაიჭრა მისი დიდება და რა გასაკვირია ამ განუზომელ

მიღწევათა გამო, – უაღრესად კმაყოფილი იყვნენ (და არიან კიდეც) თანასოფლელები. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამტრედიის რაიონში, მდებარეობს ჯუმბერ ლეუავას (და სხვათა მრავალთა) სოფელი დიდი ჯიხაი. ეს სოფელი ვრცელ, გაშლილ ადგილას მდებარეობს. რომელიც სიდიდის გამო დაყოფილია ცალკეულ უბნებად.

კონტაქტურად, იმთავითვე, ლეუავები სერგეთის მინდორზე, ლეუავების უბანსა და ყაზბეგის უბანში ცხოვრობენ.



ჩვენი წერილის გმირის, ბატონი ჯუმბერ ლეჟავას  
ფესვები ყაზბეგის უბნის ლეჟავათაგან მოდის.  
მართალი გითხრათ, ჯიხაიშვილებს და განსაკუთ  
რებით ყაზბეგის უბნელებს ძალიან ეამაყებათ, რომ მათი  
თანასოფლელი ვაჟუაცის ფესვები იმდენად გასაოცარი,  
გამძლე აღმოჩნდა, რომ მსოფლიოშიც გაიჭრა და კაცობ  
რიობა განაცვითრა ადამიანის უდიდესი შესაძლებლობებით.  
აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ ლეჟავათა გვარში მრავალთაგან საინტერესო და ღვაწლმოსი-  
ლი პიროვნება იყო გელას მამა – ბატონი გივი ლეჟავა.

ამ სოფლის ფესვებიდან ლეჟავების გარდა, ბევრი სხვა გვარის წარმომადგენლებიც მოდი-  
ან. რომელთა ღვაწლი და საქმიანობა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარე-  
თაც დიდი და სასახელოა.

ჯუმბერმა ველოსიპედით ქვეყანას არა მარტო შემოუარა, ღვთის წყალობით უამრავი სა-  
სახელო საქმეები აკეთა და დიდი მოღვაწეობით საკუთარი თავიც და ქვეყანაც ასახელა.

ამჯერად თავს არ შეგანყენთ მისი ტიტულოვან საქმეთა ჩამოთვლით, მაგრამ ამას კი ვიტ-  
ყვი: ჩვენი ქვეყნის დიდებული შვილი, ბატონი ჯუმბერი 5 აკადემიის აკადემიკოსი – შეყვანილია  
ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის 400 წარჩინებულში. ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ  
კი – მსოლიოს 500 წარჩინებულთა სიაში...



გმადლობთ ბატონო ჯუმბერ, ქართველები და საქართველო ძალიან ამაყობენ თქვენით.  
2015 წლის 2 აპრილი



## რეზო მიშველაძე

საქართველოს სახალხო მწერალი  
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

### ჯუმბერი

ერთმანეთი კუს ტბაზე გავიცანით.  
ჯუმბერი ჩემი ტოლი გახდათ.  
საშუალო ტანის, კეთილაღნაგი, რომ იტყვიან, ჩას-  
ხმული ბიჭი იყო; წითურ სახეზე კეთილი ლიმილი გადაჰ-  
კრავდა.  
კუს ტბაზე თენგიზ კიკაჩეიშვილს ამოჰყა.  
მე და თენგიზი ერთად ვმუშაობდით.  
ჩემი კლასელიაო, თენგიზმა.  
ტოტა არ იყოს, ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს და  
ექიმებმა სპორტი გამოუწერესო.  
ასაკით მაშინ სამივენი ოცდაათს ვუხლოვდებოდით.  
სირბილის დროს ხშირად ისვენებდა და ამოსუნთქვით  
ვარჯიშებს აკეთებდა.

რა გჭირს-მეთქი, რომ ვკითხე, გაიღიმა:  
რაღა არა მჭირს. თირკმლის პრობლემები მაქვს, კუჭის წყლული მაწუხებს და ამ ბოლო დროს  
გულის იშემიაც დამემატაო.  
მე სტაუიანი კუსტბელი გახლდით და იმ დღეს ჩემებური „ინსტრუქტაჟი“ ჩავუტარე. მაგალი-  
თად, სირბილის დროს ოთხ დათვლაზე ჩაისუნთქე და ოთხზე ამოისუნთქე. თუ ასე გააკეთებ, სირბი-  
ლით არასოდეს დაიღლები-მეთქი.  
სირბილის ეს მეთოდი მე მსოფლიოს ჩემპიონმა კუცმა მასწავლა, როცა თბილისში იყო ჩამოსუ-  
ლი.  
მორბოდა ჩემ გვერდით ჯუმბერი და ითვლიდა: „ერთი, ორი, სამი, ოთხი...  
ერთი, ორი, სამი, ოთხი“...

მერე, საქართველოს ეროვნული გმირი, მსოფლიო მოგზაური და ქართული სპორტის ლეგენდა  
რომ გახდა, ტრიბუნიდანაც ხშირად უთქვამს, ხანგრძლივი სირბილის საიდუმლო რეზო მიშველაძემ  
მასწავლაო.

ასე რომ, ჯუმბერ ლეჟავამ ინტენსიური ვარჯიში საკმაოდ გვიან 30 წლის ასაკში, დაიწყო.  
ამის შემდეგ ხშირად ვხვდებოდი ხან ჰიპოდრომზე, ხან კუს ტბაზე, ხან მიხეილ მესხის სახელო-  
ბის სტადიონზე (მაშინ „ბურევესტნიკი ურქვა“), ხან ველოტრეკზე ან საცურაო აუზში, ხან ფიზკულ-  
ტურის ინსტიტუტის სტადიონზე, ხან სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებზე, ხანაც ბაკურიანში.  
სპორტით ჯუმბერის გატაცება ყოველგვარ ზღვარს გადასცდა.  
სადღა იყო ერთ დროს სუსტი, სწებამორეული ჯუმბერ ლეჟავა.  
დღეში 6 საათს ვარჯიშობდა.  
მე, როგორც სპორტის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომედგინა და ახლაც, ოთხმოცს მიახლოვე-  
ბულსაც, ვერ წარმომიდგენია, ჯუმბერი მონაფედაც არ ამიყვანდა.  
სპორტსმენი ხომ იყო და იყო, მეცნიერულ გამოკვლევებსაც წერდა; ბევრს კითხულობდა.  
იშვიათად მინახავს ლიტერატურაში ასე გარკვეული კაცი.  
უმკაცრესი დღის რეზიმი ჰქონდა.



რეჟიმს ვერასდიდებით ვერ დაარღვევინებდი.

ხანდახან სუფრაზე რომ მივიტყუებდით, ერთ ჭიქაზე მეტს არ დალევდა. მოგეხსენებათ, ქართული ლხინი და ქართული სადლეგრძელოები რომ გაგვიტაცებდა, წამოდგებოდა და იტყოდა:

– წავედი სავარჯიშოდ!

ვარჯიში მისთვის უმაღლესი რიტუალი იყო.

შეგადაშიგ მოთხრობებსაც წერდა.

ასე, სხეულის გაკაუებით, კითხვით და განუყრელი ველოსიპედით ნელ-ნელა უახლოვდებოდა მიზანს, მიზანს, რომლის მიღწევითაც მან მთელი მსოფლიო გააოცა.

ჯერ ველოსიპედით შემოიარა მთელი საქართველო.

გამუდმებით სწავლობდა მშობლიური ქვეყნის ისტორიასა და გეოგრაფიას.

დიდებული ფოტოხელოვანი იყო, ველოსიპედზე ამხედრებულს ფოტოაპარატი (და ბურთი) მუდამ გულზე ეკიდა.

დედამინას ველოსიპედით რომ შემოუარა, იმ დროს (და ახლაც) ლამის უპრეცედენტო მოვლენა იყო მსოფლიოში, მაგრამ ჯუმბერი ოდენ მოგზაური როდი გახლდათ.

სადაც ჩადიოდა, საქართველო ჩაჰერიდა.

სახელდახელოდ შეერებილთ ლექციებს უკითხავდა, ფოტოსურათებს, საინფორმაციო წიგნაკებს, სამკერდე ნიშნებს ურიგებდა.

ლამის მთელ დედამინას გააცნო საქართველო.

ხშირად უთქვამს ჩემთვის, სადაც ჩავდიოდი, ყველგან რუსი ვეგონე ეს ოხერი და ლექციას ყოველთვის ერთი ფრაზით ვიწყებდი: „ბატონებო, რუსი არ ვარ!“

მსოფლიო მოქალაქის ტიტული სიცოცხლეში, ჯუმბერ ლეჟავას გარდა, მგონი, არავისთვის მიუნიჭებიათ.

შვიდგზის მოხვდა გინესის რეკორდსმენთა წიგნში.

აქვე არ შეიძლება არ ალვნიშნო უანგარო საზოგადო მოღვაწის გვანჯი მანიას გამუდმებული ზრუნვა ჯუმბერ ლეჟავას სახელისა და დიდების მიმართულებით.

ერთ-ერთი პირველი, ვინც ჯუმბერს მხარი დაუჭირა და მსოფლიოში სამოგზაუროდ შეაგულიანა, გვანჯი მანია იყო.

მაგრამ უფულო გვანჯის, მორალური მხარდაჭერის გარდა, რა შეეძლო და აქვე გავტეხ ნავსა, რათა მკითხველს ვაუნწყო ის, რაზედაც ჯუმბერს მთელი სიცოცხლის განმავლობაში საჯაროდ არა-სოდეს დაუჩივლია.

უფულობა და უსახსრობა თან სდევდა ნიადაგ.

პირველ მოგზაურობაში რომ გავაცილეთ, იმ თანხით, რაც სპორტკომიტეტმა და მოგზაურთა კლუბმა გამოუყო, მსოფლიოს გარშემო კი არა, პოლონეთამდე ვერ ჩახვიდოდი.

ბიზნესმენები შეპპირდნენ: წადი დედამინის გარშემო და ფულს გზაში დაგაწევთო.

თქვენც არ მომიკვდეთ, შუბლმაგარ და ყურდავსილ ქართველ ბიზნესმენებს თავი არ შეუწევებიათ.

საერთოდ ქართველი „ბიზნესმენები“ ეროვნული საქმეების მიმართ საშინელი გულგრილობით გამოირჩევიან.

თითქმის ყოველდღე რეკავდა ჯუმბერი თბილისში: უკაპეიკოდ ვარ, იქნებ მოაგროვოთ ორიოდე გროში და გამომიგზავნოთ.

რამდენიმეჯერ მეც დამირეკა.

ჩამოვუარე ხუთიოდე ფულიან კაცს, მაგრამ ხუთივემ კარებში შესვლისთანავე შემომჩივლა: ვკოტრდები, კაპიკის მოხერხებას არა ვარ, თუ კიდევ დარეკოს, ჩვენგან მოკითხვა გადაეციო.

ასეთი „პატრიოტები“ არიან ბიზნესმენები.

რა ექნა?

დედამიწაზე კეთილ ადამიანებს რა გამოლევს და, სადაც ჩადიოდა, იმ ქვეყნის საქველმოქმედო საზოგადოებები ეხმარებოდნენ ისე მწირი დახმარებით, რომ სახელმწიფოს საზღვრამდე მიეღწია.

სხვაგან ლექციიბში აძლევდნენ ჰონორარს და გინესის რეკორდსმენის საჩვენებელ გამოსვლაში. მოგეხსენებათ, ერთდროულად 1000 „აზიდვას“ აკეთებდა. ეს რეკორდი ახლაც მოუხსნელია.

ასე ნახევრად მშენებმა და სათანადო ჩაუცმელ-დაუხურავმა შემოუარა მსოფლიოს და საქართველოს არნახული სახელი მოუტანა.

ერთხელ მითხრა, ველოსიპედის გამოსაცვლელი ფულიც არ მქონდა და თვითონ ვარემონტებდიო.

ვენესუელში ერთმა მილიონერმა მითხრა: დაანებე მაგ ველოსიპედით წვალებას თავი, ახალთა-ხალ „როლს როისს“ გაჩუქებ და იმით იმოგზაურეო. უარი რომ ვუთხარი, თავი გადააქნია და მშეგნიერი ველოსიპედი მიყიდა. ჩემი ძველი კი სახსოვრად დაიტოვაო.

ასე რომ, კინოჟურნალებსა და დოკუმენტურ ქრონიკებში რომ უჩვენებენ ჯუმბერს, სხვადასხვა ქვეყანაში შესულს ტაშის გრიალით ხვდებიან, დაფნის გვირგვინს ადგამენ და ყვავილების ზღვაში ანანავებენ, ყველგან ასე როდი იყო.

მოგზაურობის დროს ხშირად ჭაობებსა და აღმართიან ჭიუხებში გავლისას ველოსიპედი მხარზე გადებული მიჰქონდა.

რამდენჯერ ყაჩალებიც დახვდნენ და, რაც ჰქონდა, ის ორი კაპიკიც წაართვეს.

სწორუპოვარი გმირობა იყო-მეთქი მსოფლიოს გარშემო ეს ეპოპეა რომ ვამბობ, სწორედ ამის გამო ვამბოო!

თუ, ერთი მხრივ, მისი მოგზაურობა ტრიუმფით და სიხარულით იყო სავსე, მეორე მხრივ, დიდი ტანჯვა და წამება გამოიარა.

რომ ჩამოვიდა, სულ სხვა კაცი გახლდათ: მზით გარუჯულ სახეზე ნაოჭები გამრავლებოდა, ცოტა მოტეხილი და დალლილი მეჩვენა.

საოცარი ის იყო, რომ მისი მსოფლიო სახელით, უნინარეს ყოვლისა, ხელისუფლების ის წარმომადგენლები ხარობდნენ და ყელყელაობდნენ, ვინც მსოფლიო გზებს ველოსიპედით შეჭიდებული კაცის დასაფინანსებლად თითიც არ გაანძრია.

არც ჩამოსვლის შემდეგ ჰქონდა ყოფა დიდად დალხენილი.

ათი წიგნი მაქვს დაწერილი მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე და უსახსრობის გამო ვერ გამომიციაო, - ერთხელ შემომჩივლა.

უახლოეს მეგობრებს თუ გაგვანდობდა თავის გულისნადებს ამ მხრივ, თორემ გასაჭირზე სხვებ-თან კრინტს არ დაძრავდა.

მით უმეტეს, ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე მუხლს არასოდეს მოიყრიდა.

ამაყი იყო.

ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა.

ბოლოს ის ერთი ოთახიც ქალიშვილს დაუტოვა და თვითონ თითქმის უბინაოდ დარჩა.

ერთხანს უნივერსიტეტის თანამშრომელ ერთ ქალბატონთან იყო შეკედლებული.

„მსოფლიო მოქალაქე“, „საქართველოს სახელი და დიდება“ მოგზაურობიდან დაბრუნების შემ-დეგ ოროთახიან ბინას ითხოვდა, რათა ერთ ოთახში თვითონ ყოფილიყო და მეორეში თავისი აუ-

რაცხელი ჯილდოები, ვიმპელები, ჩინ-ტემლაკები და საერთოდ, უზარმაზარი არქივი განეთავსებინა, მაგრამ არ აღირსეს.

შესაფერისი სამსახურიც არ ჰქონდა.

სიკვდილამდე სამი წლით ადრე მითხრა: ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორ არჩილ ფრანგიშვილთან მივედი სამსახურის საქმეზე, სიტყვაც არ დამამთავრებინა, იქვე დაწერა ბრძანება და უფროს მეცნიერ თანამშრომლად განმანესა. ეს რა ლვთის კაცი ყოფილაო?!

კაც-ლეგენდას, მოსიარულე ენციკლოპედიას, ჯუმბერ ლეჟავას სხვა დამფასებლებიც არ აკლდა.

ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა გმირის სიცოცხლეშივე შექმნა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის სამეცნიერო აკადემია, რომელიც დღესაც სასახელოდ ფუნქციონირებს და გამოსცემს საინტერესო ჟურნალს „ათინათის“ სახელწოდებით.

წლები გადიოდა და უმბერ ლეჟავა თავისი ცხოვრების წესს არ იცვლიდა.

ერთხელ მითხრა, ამას წინათ შემამოწმეს და მითხრეს, რომ ყველა სასიცოცხლო ფუნქცია ფორმაში გაქვსო.

არ დაიჯერო, ჯუმბერ, წლებს მაინც თავისი მიაქვთ, არ შეიძლება ძველებურად დატვირთო ორგანიზმი, ჩვენ უკვე სამოცდაათს გადავშორდით-მეთქი.

არ დამიჯერა.

მერე ის იყო, თბილისში ხმა გავრცელდა - ჯუმბერ ლეჟავას ინფარქტი დაემართაო.

მაშინვე ვინახულე.

მშვენიერ ხასიათზე იყო.

მგონი შეეშალათ, ისევ ისე ვარ, როგორც ვიყავი. რა მეტყობა, თუ ძმა ხარ, მე ნაინფარქტალი-საო?

ცოტას დავისვენებ და ისევ ვარჯიშს დავინყებ. უკვე მხრები მექავება, უვარჯიშოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია.

ერთ სალამოს დამირეკა, გამოგივლი და ერთ კარგ ოჯახში მინდა წაგიყვანოო.

გლდანში აბესაძეების ოჯახს ვესტუმრეთ.

დიდებულად დაგვხვდნენ.

სუფრა ხომ იყო და იყო, თვით ოჯახი გახლდათ ტრადიციული, ქართული, მამაპაპური.

მთელი ოჯახი მდეროდა.

ყველას მერცხალი აჯდა ენის წვერზე.

როგორ გაიხარა ჯუმბერმა.

ნაინფარქტალს ღვინო არ დაულევია, მაგრამ აღტაცებული დარჩა აბესაძეების ჭეშმარიტი ქართველობით.

როცა შინ ვბრუნდებოდით, მითხრა:

ცოტა ხანს ზღვაზე უნდა დავისვენო, ასე მირჩიეს ექიმებმა. თუ გავძელი, ერთ თვეს მაინც დავრჩებიო ბათუმში.

თურმე უკანასკნელად გადავკოცნეთ ერთმანეთი.

წავიდა და წავიდა...



როინ მეტრეველი  
ეროვნული აკადემიის  
ვიცე-პრეზიდენტი

## გამორჩეული

მე უურნალ „ათინათის“ მკითხველი გახლავართ. ამას იმი-  
ტომ არ აღვნიშნავ, რომ უურნალის განხილვა და მისი ავ-კარგის  
წარმოჩენა მინდოდეს, არა. ამჯერად სხვა რამე მინდა აღვნიშნოს:  
მიხარია როცა „ათინათის“ პირველივე გვერდზე ვეითხულობ –  
„ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილანი  
საერთაშორისო აკადემია“. დიახ, ჩემი კმაყოფილების, უფრო სწო-  
რად აღტაცების ობიექტი ჯუმბერ ლეჟავაა. მე არ მეგულება  
ჩვენს ცხოვრებაში, ადამიანთა მოდგმაში, თავისი რწმენით, მის-  
წრაფებით, მიზანდასახულობით, ნების სიმტკიცით და ვაჟკაცო-  
ბით გამორჩეული, ზედმიწევნით (თვით გამორჩეულთა შორის)  
გამორჩეული, ადამიანი, რომელსაც ძალიან ძნელია ანალოგი მო-  
უძებნო, ეს ჯუმბერ ლეჟავაა. რაოდენ ძლიერი ნებისყოფის უნდა  
იყოს ადამიანი, რომ ჩვეულებრივი ველოსიპედით დედამიწას შემოუაროს (თანაც რამდენჯერმე).  
მე ბატონ ჯუმბერთან ახლო, თანაც კეთილი ურთიერთობა მქონდა, ვუქებდი შემართებას. კმაყო-  
ფილი ვიყავი, როცა ჯუმბერ ლეჟავას ერთ-ერთი „მსოფლიოს ირგვლივ გასვლის“ დროს თბილი-  
სის უნივერსიტეტში (მე მაშინ თსუ-ს რექტორი გახლდით) იყო მისი პრესცენტრი. ყოველ ინ-  
ფორმაციას ბატონი ჯუმბერის ამა თუ იმ ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ პირველი ჩვენ ვიგებდით.  
თავად ძალიან ამაყი იყო – ქართული დროშის სახით. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ქართული სუ-  
ლი ჩამაქვსო. ჯუმბერ ლეჟავა თხემით ტერფამდე ქართველი იყო. უსაზღვროდ უყვარდა თავისი  
სამშობლო, თანაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან დანახული. მთელი მისი საქმიანობა და გან-  
საკუთრებით ეს ხანგრძლივი მოგზაურობები უშუალოდ იყო საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სიყ-  
ვარულით განპირობებული.

გავიმეორებ, ჯუმბერ ლეჟავას კაცს, მამულიშვილს, სპორტსმენს, შემოქმედს ანალოგი არ  
ჰყავდა საქართველოში, მადლობა ვუთხრათ მის ნათელ სახელს სიყვარულისათვის, მეგობრობი-  
სათვის, ქვეყანაზე ზრუნვისათვის და საერთოდ ზნეკეთილობისათვის.



## ჯუმბერ მარლანია

### მოგზაური

ჩემი ცხოვრების 25 წელი იმ ორგანიზაციებში გავატარე, რომლებიც ტურიზმისა და მოგზაურობების საქმეებს განაცხადა საქართველოში. საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის ცენტრმა „ოქროს საწმისამა“, საქართველოს ტურიზმის საბჭოს მოგზაურობების სამმართველომ, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის აპარატში მუშაობამ ბუნებრივია, საკმაოდ დიდი ცოდნა და გამოცდილება დამიგროვა. ყოველ შემთხვევაში, იმის შეფასება მაინც შემიძლია თუ რაოდენ სასწაული შედეგი მოიტანა ქართველი მოგზაურის, ჯუმბერ ლეჟავას ველოსიპედით მოგზაურობამ მსოფლიოს გარშემო. ბუნებრივია შთამბეჭდავია ის, რომ ბატონმა ჯუმბერმა 3333 დღე დაჲყო მოგზაურობაში და 234 ქვეყანა მოიარა, 50 000 ფოტო და 200 000 ვიდეო მასალა გადაიღო და 7 000 გვერდიანი საინტერესო დღიური შექმნა. მაგრამ აქ მთავარი მაინც ის არის, რომ ჯუმბერ ლეჟავამ, სხვა ყველა მოგზაურისაგან განსხვავებით, ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს აუგო ძეგლი, თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ფერნანდო მაგელანი, ამერიგო ვესტბური, ჯეიმს კუკი თუ მარკო პოლო და სხვა ცნობილი და ნაკლებად ცნობილი პიროვნებები გემით, თვითმფრინავით, ავტომობილით, საჰაერო ბურთით და სხვა ტექნიკური საშუალებებით მოგზაურობდნენ. ჯუმბერ ლეჟავა კი როგორც მოგეხსენებათ ადამიანის კუნთების საშუალებით ამოძრავებული ტრანსპორტით გადაადგილდებოდა. სწორედ ამით შეძლო მან მსოფლიოს განცვიფრება.

პირველად, ბატონი ჯუმბერი ჩემი, პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის აპარატში მუშაობისას გავიცანი. 1993 წლის გაზაფხულზე კომისიაში მოგვაკითხა ბატონმა გვანჯი მანიამ. მას დაახლოებით 50 წლის სპორტული აღნაგობის მამაკაცი ახლდა თან. გვანჯი მანიას ადრეც ვიცნობდი, აი ბატონ ჯუმბერს კი პირველად ვხედავდი. როდესაც ბატონმა გვანჯიმ მოსვლის მიზეზი ბრძანა, გულახდილად გითხრათ, თავდაპირველად ხუმრობად მივიღე, საკითხი ეხებოდა პარლამენტის დადგენილებას, რომელიც მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურ ჯუმბერ ლეჟავას ანიჭებდა საქართველოს მშვიდობის

ელჩის სტატუსს და თხოვდა სახელმწიფოების მმართველ სტრუქტურებს დახმარება აღმოეჩინათ მისთვის მისიის შესრულების საქმეში.

მინდა გითხრათ, რომ იმ პერიოდში გახშირდა მოქალაქეთა ვიზიტები, რომლებიც რბილად რომ ვთქვათ უტოპიური წინადადებით მოდიოდნენ კომისიაში. მაგალითად ერთი ბატონი ნახაზებით მობრძანდა და ასეთი პროექტი წარმოგვიდგინა: გმირთა მოედანზე ტანკი უნდა დაგვეყენებინა, მასში მეტრედე უნდა ჩაგვესვა, რომელიც ყოველ ნახევარ საათში თითო მტრედს გამოუშვებდა ტანკის ლულიდან, მოკლედ, ბატონმა გვანჯიმ შემატყო როჭოფობა და გამაცნო დოკუმენტები, რომლებიც იუნიტებოდნენ, რომ ამ მოგზაურობას რუსთავის მერია ხელმძღვანელობდა და აფინანსებდა, კურატორობას კი პარლამენტის დეპუტატი ბატონი უიული შარტავა უწევდა. ეს წონიანი არგუმენტი იყო ჩვენთვის. ბატონი უიული ჯერ კიდევ პოლიტიკის ინსტიტუტში სწავლისას გახლდათ ჩემი თაობის ახალგაზრდობის ლიდერი, შემდგომ კი, როგორც საქართველოს კომკავშირის პირველი მდივანი ინიციატორი გახლდათ თბილისის ზღვაზე, საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის ცენტრის დარსებისა. სახელი „ოქროს საწმისიც“ სწორედ მისი შერჩეული იყო. ხოლო მე, დირექტორის მოადგილედ სწორედ მან წარმადგინა.

რამოდენიმე დღის შემდეგ მასთან ერთად მომზადდა პარლამენტის დადგენილების პროექტი, რომელიც პარლამენტმა ერთსულოვნად მიიღო. მახსოვს პარასკევი დღე იყო. ბატონმა უიულიმ, რომელსაც მასშტაბური აზროვნება ჰქონდა, მომავლის თავისებური ხედვა მიმანიშნა. იგულის-ხმებოდა მშვიდობის მისით მსოფლიოში სპორტისა და კულტურის ელჩების გაგზავნა და საქართველოს ასე წარმოჩენა. სწორედ ასეთ აქტად მიაჩნდა მას ბატონი ჯუმბერის მოგზაურობა. მახსოვს, იმ დღეს შევთანხმდით ორშაბათს გაგვეგრძელებინა ამ თემაზე საუბარი. შაბათს, 18 ივნისს კი ტელევიზით შევიტყვე, რომ უიული შარტავა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს.

13 სექტემბერს რუსთავის ცენტრში მოხდა ჯუმბერ ლეჟავას საზეიმო გაცილება მოგზაურობაში. გამომსვლელთა შორის იყო პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბეჟან ხურციძე. მიტინგის დასრულებისას მერის შენობიდან ჯუმბერ ლეჟავა ტელეფონით უიული შარტავას ესაუბრა. საუბრის შემდეგ ბატონმა ჯუმბერმა რუსთავის ცენტრალურ მოედანს სამი წრე შემოუარა და თბილისისაკენ აიღო გეზი. თბილისში, სიონის ტაძარში, მან საქართველოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევა მიიღო და გზა განაგრძო. მისივე თხოვნით გამცილებლები სიონის ეკლესიასთან დავრჩით.

მერე სოხუმი დაეცა. უიული შარტავა არაკაცებმა დახვრიტეს. მე უკვე სხვა საქმით დავკავდი. მხოლოდ ახალი ამბების სატელევიზიო ცნობებით ვიგებდი ბატონი ჯუმბერის მოგზაურობების ამბებს.

სამწუხაროდ მისი გარდაცვალების ამბავიც საქართველოდან შორს შევიტყვე. ასე, რომ მიცვალებული ჯუმბერ ლეჟავა მე არ მიახია, ამიტომაც ჩემთვის ადვილია იგი ისევე მოგზაურობაში წარმოვიდგინო. კოსმოსში სამოგზაუროდ წასულად.



**ალექსო დოლბაია,**  
 ფიზიკოსი, ფაზისის საერო-სამეცნიერო  
 აკადემიის საგამომცემლო  
 სამსახურის ხელმძღვანელი



## ჯუმბერ ლეჟავა - მსოფლიო მოგზაური

არიან ადამიანები, რომებიც ღრმა კვალს ტოვებენ არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ კაცობრიობის ისტორიაში თავისი ნებისყოფით, გამბედაობით, ცოდნით, გამოცდილებით და უდიდესი ჰუმანიზმით. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ბატონი ჯუმბერ ლეჟავა - გამოჩენილი ქართველი მოგზაური, მეცნიერი, მწერალი, გინესის რეკორდსმენი...

ბატონი ჯუმბერის შესახებ პირველად მე-20 საუკუნის მიწურულს, 90-იანი წლების ბოლოს შევიტყვე და აღვთრთოვანდი მისი პიროვნებით, მისი გაბედული გადაწყვეტილებით, იმ ურთულეს, მსოფლიოსთვის დაბულ პერიოდში, უამრავი კატაკლიზმით დატვირთულ ვითარებაში ველოსიპედით შემოევლო ქვეყნიერება და როგორც მშვიდობის, კულტურის, ჰუმანურობის დესპანს გაეცნო სხვადასხვა ქვეყნები, მათი კულტურა და ყველგან შეეტანა ქართული სულიერება.

მართლაც გასაკვირია ის ფაქტი, თუ რამ შეაძლებინა მარტოკაცს ამხელა საქმის წამოწყება და ბოლომდე მიყვანა: ის ერთადერთია, რომელმაც გადალახა მსოფლიოს ყველა უდაბნო, სავანა, ჯუნგლი, გადაცურა ოკეანეები, ზღვები, ყურეები თუ სრუტეები, მრავალი მდინარე თუ ტბა, გადაიარა უამრავი ულელტეხილი, მარტოდმარტომ, სხვადასხვა უცხო ცის ქვეშ, მაშინ მისთვის უცნობ ქვეყნებში, უამინდობაში თუ მხეცების და არაკეთილმოსურნე ადამიანების თავდასხმის მოლოდინში გაათია მრავალი ღამე.

მისი სიტყვებია: „მთავარია, მიზანი დაისახო და მერე ამ მიზნისთვის არაფერი დაიშურო... მოითმინო, იმუშაო და სანადელს აუცილებლად მიაღწევ.“ ეს აზრი აუცილებლად გასათვალისწინებელია დღევანდელობისთვის, ახალგაზრდებისთვის, რადგან სწორედ ჩვენი ქვეყნის მომავალი მათზეა დამოკიდებული. ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ამის ნათელი მაგალითია.

ბატონი ჯუმბერი პირადად ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის სხდომებზე გავიცანი. ჩემთვის სამახსოვრო და ძვირფასია მასთან გადაღებული სურათი საპატრიარქოს კედლებში, ჩვენს პატრიარქთან, უწმიდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან შეხვედრის წინ. მისი ჭკვიანი, სიკეთით აღსავსე სახე და თვალები ახლაც თვალწინ მიდგას.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთ ადამიანებს ხშირად ვერ ვუფრთხილდებით... ბატონი ჯუმბერი ხომ ადამიანთა შორის ერთმანეთის აზრის გაუთვალისწინებლობის, უყურადღებობის და გაუცხოების მსხვერპლი გახდა. მან მოგზაურობისას უამრავ სიღუბჭირეს გაუძლო, მაგრამ მისმა ნათელმა გონიერად და უაღრესად თბილმა გულმა ვერ აიტანა მოყვასის მხრიდან ღალატი...

თავს გხრი მისი ხსოვნის წინაშე, ნათელი დადგენ მის სპეციალულ სამყოფლოში, ამინ...



ჯუმბერი გავიცანი ჩემს მშობლიურ გურიაში, ულამაზეს მაღალმთიან კურორტ ბახმაროში, 2000 წლის ზაფხულში. ერთ დღეს ჩემს მეგობარ ჯონი ბარამიძესთან ერთად სასაუზმეში შევედი. ვხედავ, ბატონი გოგი დოლიძე და ჯუმბერი ხაშს მიირთმევენ. ბატონ გოგის პირადად ვიცნობდი, ხოლო ჯუმბერს მხოლოდ ტელევიზიდან. მივესალმეთ ერთმანეთს, ბატონმა გოგიმ თანამეინახეობა შემომთავაზა, უარს ვინ იტყოდა ამ ორ ბუმბერაზ ადამიანთან ერთად დროის გატარებაზე და ჩვენც სიხარულით დავთანხმდით.

ჯუმბერი, რომელსაც მთელი პლანეტა ლამის ფეხით ჰქონდა შემოვლილი, უსაზღვროდ იყო შეყვარებული თავის სამშობლოზე, ხშირად სტუმრობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს. ერთი კვირის გატარებას გურიაში აპირებდა, სადაც მეგზურად ბატონი გოგი აირჩია, რომელიც აკადე-მიურად უყვებოდა გურიის და გურულების შესახებ.

მე ბედნიერება მქონდა მასთან ერთად გამეტარებინა ის ერთი კვირა, მესმინა ჯუმბერის ნა-ამბობისთვის. ის ისე საინტერესოდ ყვებოდა სხვადასხვა ქვეყნის ბუნების, ზნე-ჩვეულებების, მო-სახლეობის ყოფა-ცხოვრების შესახებ რომ, მე ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მასთან ერთად ვმოგზაურობდი იმ ქვეყნებში.

2006 წელს ბატონმა გოგი დოლიძემ, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ჩამოაყალიბა ქაქუცა ჩო-ლოყაშვილის ჩოხოსან რაინდთა დასი, რომლის წევრებიც ვიყავით მე და ბატონი ჯუმბერი და სა-დაც გაგრძელდა ჩვენი მეგობრობა...



## ზურაბ გასიტაშვილი



### ლილი წეტისყოფა

არიან ადამიანები, რომელთაც ღვთითკურთხეული მადლი დას-დევთ, არიან პრინციპულნი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულნი, დიდი ნებისყოფისანი და მაღალი ზნეობრივი პრინციპების მატარებელნი. სწორედ ასეთი გახლდათ ჯუმბერ ლეჟავა.

რამხელა ნებისყოფა სტირდებოდა ბატონ ჯუმბერს, რომ საწოლს მიჟაჭვული არა თუ ფეხზე წამომდგარიყო არამედ გამხდარიყო მსოფლიო მნიშვნელობის რეკორდსმენი, გინესის წიგნში შესულიყო მისი მიღწევები, შესძლო დაემარცხებინა ინვალიდობა (უწინასწარმეტყველეს ექიმებმა, რომ საწოლი-დან ვერასდროს წამოდგებოდა) და ბრუნდება იქიდან საიდანაც ათასებიდან ერთი ბრუნდება. ამაში პირად ბრძოლის უნართან ერთად უფლის მზრუნველი ხელიც ამჩნევია.

ბატონი ჯუმბერი გახლდათ უაღრესად ეროვნული, როდესაც მას და მთლიანად საქართველოს სულში ჩააფურთხეს, მოახდინეს გადატრიალება და მოუკლეს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას სახით და აფხაზეთის ომს ღალატით შეეწირა სტუდენტობაში შეძენილი და მთელი მისი ცხოვრების მეგობარი – ეროვნული გმირი ჟიული შარტავა, უაღრესად შეურაცხყოფილი ჯუმბერი ველოსიპედს მოახტა და გაიქცა სამშობლოდან, თითქოს სურდა გრძნობები გაექარვებინა, რამოდენიმე წელი სამშობლოში არ დაბრუნებულა და ველოსიპედით მთელი მსოფლიო მოიარა. აქაც სამშობლოსადმი მისი უზომო სიყვარული, მეგობრების ხსოვნა და ისევ და ისევ დიდი ვაჟა-კაცობა და ნებისყოფა გამოსჭვივის. რამდენჯერ იდგა სიკვდილის პირას და მაინც გამარჯვებული დაბრუნდა და თავისი მოგზაურობით ისევ სამშობლო ასახელა.

ჯუმბერი ისეთი ენერგიის და სპორტული შემართების იყო, რომ სიკვდილი რას წააქცევდა, მაგრამ მეუღლის და ქალიშვილის უდროო დაკარგვამ, დარდმა ეულად მარტო ყოფნამ, მონატრებამ აამაღლა ზეცად, აამაღლა მათთან ვინც მას უსაზღვროდ უყვარდა, უყვარდა და ენატრებოდა.

ჯუმბერი ისტორიული პიროვნებაა, მისი სახელი საუკუნებს გადასწვდება. იგი ჩაწერილია მსოფლიო ისტორიაში. გავა საუკუნეები და ჯუმბერით იამაყებს ქართველი ერი.

ასეთი ადამიანები მუდმივად ჩვენს გულებში რჩებიან და ჩვენ ამაყნი ვართ, რომ ვიცნობდით და ვმეგობრობდით ამ დიდ გამორჩეულ, მოსიყვარულე, ვაჟა-კაცსა და უაღრესად თავმდაბალ ადამიანს, ადამიანს რომლის სახელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში.



## მიხეილ ჯიბუტი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

12.05.1019

### თბილის დაამშვენებლა ჩაგლი –

#### „რაინდი ველოსიპედზე“

(ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნისადმი)

ჯუმბერ ლეჟავასთან ( 23 ივლისი, 1939 წ. – 25 ივლისი, 2014 წ.) ვმეგობრობდი, თუმცა საყოფაცხოვრებო, ყოველდღიურ დონეზე ურთიერთობა არ მქონია. ეს მეგობრობა თუმცა გვიან, მისი მსოფლიოს გარშემო (1993 წ. 13 აგვისტო – 2003 წ. 3 ნოემბერი) ველოსიპედით მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ დაიწყო, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე არ შეწყვეტილა. სამწუხაროდ, ბოლო დაბადების დღეზე მიწვევაზე უარის თქმა მომინია (ვიყავი ეკლესის მშენებლობაზე შუაამაღლებაში), საიდანაც სასწრაფოდ დავბრუნდი მისი გარდაცვალების გამო და 29 ივლისს ქვაშვეთის ეკლესიდან გავაცილე იმ სოფელში მთელ ქართულ საზოგადოებასთან ერთად.

ჯუმბერ ლეჟავა სამოგზაუროდ წავიდა რთულ პერიოდში – ერთი მხრივ, აფხაზეთში მწვავე სამხედრო ოპერაციები მიმდინარეობდა და მეორე მხრივ, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აგრძელებდა შეიარაღებულ ბრძოლას ხელისუფლების დასაბრუნებლად. 9 წლისა და სამი თვის შემდეგ ჯუმბერ ლეჟავას საქართველოში დაბრუნების დროისთვისაც არანაკლებ რთული მდგომარეობა დახვდა – მისი დაბრუნების წინ დღით – 2003 წლის 2 ნოემბერს – გაიმართა საქართველოს პარლამენტის არჩევნები, რომელსაც მოჰყვა ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ – ედუარდ შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის ხელისუფლების ჩანაცლება „ტრიუმვერატით“ (ზურაბ უვანია, ნინო ბურჯანაძე, მიხეილ სააკაშვილი).

ფაქტობრივად, ჯუმბერ ლეჟავამ „გამოტოვა“ საქართველოში ედუარდ შევარდნაძისა და „მოქალაქეთა კავშირის“ მმართველობის პერიოდი და დაბრუნდა ამ მმართველობის კრახის დროს. ეს ყველაფერი აისახა, როგორც მის მოგზაურობაზე, ისე დაბრუნების შემდგომ მის ცხოვრებაზე.

ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობის შესახებ საქართველოში იცოდნენ, მაგრამ მას სათანადო საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა აშკარად აკლდა. ეს არა იმდენად მისდამი გულგრილობთ აიხსნება, რამდენადაც ქვეყანაში არსებული სასიცოცხლო პრობლემების კონტექსტით. თუმცა შეიძლებოდა მეტი ყურადღების გამოჩენა. მისი მოგზაურობა, ძირითადად მეგობრებისა და მოგზაურობისადმი შეყვარებული ადამიანების, აგრეთვე ჯუმბერ ლეჟავას მოხერხებულობის, მოთმინების, მიზანმიმართულობისა და თავდადებულობის ხარჯზე ხორცილდებოდა.

დაბრუნების შემდეგ გინესის რეკორდსმენი მოხვდა გარემოში, რომელსაც მისთვის არ ეცალა. მას მოუნია უზარმაზარი საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრა, რასაც ართულებდა მასზე იმ „სიმდიდრის“ ზენოლა, რაც მოგზაურობის შემდეგ პქონდა დაგროვილი ფოტოების, ჩანაწერების, დღიურების სახით. საჭირო იყო ამ სიმდიდრის დახარისხება, სისტემატიზება, საზოგადოებისათვის გაცნობა... ამას ემატებოდა ახალი ამბიციები და ახალი გეგმები, მისდამი, როგორც გინესის რეკორდსმენისადმი ახალი ყურადღება, რასაც მის მიმართ მსოფლიო დაინტერესებული წრეები იჩენდნენ.

ამ პერიოდში დავახლოვდით ჩვენ. ის გახდა გოგი დოლიძის თაოსნობით დაარსებული ქაქუ-ცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრი. მე ჩოხოსნებში დაგვიდი მას.

ეს იყო კლუბი, სადაც მის დამსახურებას ჰქონდა სრული მორალური აღიარება. აქ მან მიიღო ის მადლიერება, რაც უნდა მიიღოს მსოფლიო მნიშვნელობის შედეგების მქონე პიროვნებამ. ჩოხოსანთა რაოდენობა არ იყო დიდი, მაგრამ მასში წარმოდგენილი პიროვნებების მასშტაბურობა, კომფორტულ გარემოს უქმნიდა ჯუმბერ ლეჟავას. ჩოხა – ახალუხიც ძალიან მოუხდა.

ჩოხოსანთა საქმიანობაში აქტიურად ჩაერთო. საქართველოს ბევრი ადგილი მოიარა ჩოხოსნების იდეის პოპულარიზაციისა და ჩოხოსნების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

ჯუმბერ ლეჟავა, ეხლა რომ ვუკვირდები, რაღაცნაირი ბედის კაცი იყო.

მეორედ სიცოცხლე ნაჩუქარი კაცი იყო და გადარჩენის შემდეგ შეძლო მსოფლიო შედეგების მიღწევა. ველოსიპედით მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობის გარდა ჰქონდა გამორჩეული თარგეთები. მისი ერთ-ერთი სამიზნე იყო ოლიმპიური თამაშები. ის ველოსიპედით ჩავიდა ოლიმპიურ თამაშებზე ატლანტაში (1996 წ.), ათენში (2000 წ.), პეკინში (2008 წ.) და ლონდონში (2012 წ.). ბოლო ორი ოლიმპიადის პერიოდში საქართველოში ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ჯუმბერ ლეჟავას აღნიშნული შედეგები დიდი ყურადღების საგანი ვერ გახდა. ჯერ იყო რუსეთ-საქართველოს ომი და შემდეგ კი 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდი, როდესაც მმართველ პარტიას – მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობასა“ ოპოზიციურ პიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნება– დემოკრატიულ საქართველოს“ შორის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია (ლონდონის ოლიმპიადა 2012 წლის 27 ივლისიდან 12 აგვისტომდე მიმდინარეობდა). რიო-დე-ჟანეიროში ჩასვლა მას შეუსრულებელი დარჩა.

თვითონ აღნიშნავდა, რომ მუდმივად რაღაც გარემოებები ელობებოდა ცხოვრებაში წინ და მუდამ უწევდა მათი გადალახვა. მოხდა ისე, რომ ბახმაროში გოგი დოლიძესთან ერთად ისვენებდა იმ დროს, როდესაც მეც იქ ვიყავი იჯახთან ერთად. ბუნებრივია, როგორც უფრო ბახმაროელმა და მასპინძელმა, იჯახში გადმოვიჰატიუე ჩემი ჩოხოსანი კოლეგები, ძმები. რამოდენიმე კაცი შევიკრიბეთ ჩვეულებრივი სადილზე. ჯუმბერი ალკოჰოლიან სასმელს არ სვამდა. სმა ისედაც არ შეიძლება ბახმაროში, მაგრამ ჩვენ ხომ უფრო ვარღვევთ წესებს მაშინ, როდესაც ერთად ვიკრიბებით. ცოტა ხანიც არ გასულა და ჩრდილში მსხდომთ თავს დაგვატყდა კოკისპირული წვიმა. ჯუმბერმა თქვა, რომ მოდი, არ დავნებდეთო და ჩვენც გავაგრძელეთ ტრაპეზი. მდგომარეობა და ბუნება გვყარნახობდა სასმელის ხარისხს. ჩვენც სანთლის (გურიაში რომ იტყვიან „ბუზის“) არაყიდან ჭაჭისაზე გადავედით. ჯუმბერმა „მეც დამისხით“ და მისმა სმამ განსაზღვრა ჩვენი იმდღევანდელი ქეიფი. არ დანებდა შექმნილ წინააღმდეგობას. გაიმარჯვა თავის თავზე. სიტუაციაზეც. როდესაც ყველანი მზად ვიყავით ელემენტალურად გადავსულიყავით გადახურულში, მან შებრძოლების, წინააღმდეგობის დაძლევის გზა აირჩია. ამაშია მთელი ჯუმბერის ხასიათის და შეიძლება წარმატების არსიც.

გარეგნულად სათონ, თავმდაბალი, მოლიმარე, ყველა საქმეში დაუზარელი და ამ დროს მსოფლიო მაშტაბის პიროვნება.

სიცოცხლე ნაჩუქარი კაცი იყო და რაღაც, მარტივად მოკვდა.

ესეც მისი ბედის თავისებურებაა.

ყველაფერს მიაღწია ცხოვრებაში, ბედმა წარმატებებით დიდი სიამოვნება არგუნა, თუმცა არ მისცა წარმატებების მიღწევის მოგონებებით სიამოვნების საშუალება.

მისი დანატოვარი მის პიროვნებას დროთა განმავლობაში კიდევ გამოაჩენს. ჯუმბერი მომავალში ვერ ჩარჩება. ის მუდამ იქნება თანამედროვე, თუნდაც იმიტომ ,რომ თავის თავში შეათავსა რაინდობა და ველოსიპედი.

მე ის ჩოხა – ახალუხით ველოსიპედზე არ მინახავს, მაგრამ რატომდაც მგონია, რომ ეს იქნებოდა მისი სრული პორტრეტი. ამიტომაც ვფიქრობ, რომ კარგი იქნებოდა ძეგლი – „რაინდი ველოსიპედზე“. ასეთი ძეგლი თბილის არა მარტო მოუხდება , არამედ ჭირდება.

ასეთი ძეგლი არ იქნება მხოლოდ მისი ხსოვნისადმი პატივისცემა.

ასეთ ძეგლს ერთდროულად ექნება სრულიად საქართველოსა და გარკვეული აზრით, მსოფლიო მნიშვნელობაც: ის იქნება დემონსტრაცია ქართველი კაცის მიერ მსოფლიო მნიშვნელობის შედეგების მიღწევისა და იდენტობის გამოხატულებისა და კარგ როლს შეასრულებდა ჯანსაღი ცხოვრების წესის მონუმენტური პროპაგანდისათვის.

ასეთი ძეგლი შეინახავს ისტორიულ ამბავს – გინესის რეკორდის დამყარებას, ხაზს გაუსვამს ქართული ჩაცმულობის კულტურის თვითმყოფადობასა და გამორჩეულობას, და ახალგაზრდობასთან მიტანს მასში ჩადებულ ინფორმაციას – ცხოვრების წესთან დაკავშირებით.

ამდენად, მას ექნება მნიშვნელობა ახალგაზრდობისათვის, არსებულ არეულ გარემოში, სოციალურ-ეკონომიკურ დომხალში, დაეხმაროს ფასეულობათა გარკვევაში და მოქმედების კოორდინატების განსაზღვრაში.





**ლამარა გერგედავა**  
უურნალ „ათინათის“  
საბავშვო განყოფილების რედაქტორი

### **კეთილშობილი პიროვნების გახსენება**

ბატონმა ჯუმბერ ლეჯავამ, თავისი ერისა და მთელი კულტურული, ინტელექტუალური სა-მყაროს წინაშე, აღასრულა ადამიანური ვალი, ჩვენ მას ვაფასებდით კეთილშობილების, საქმისა-დმი უანგარო დამოკიდებულებისა და მაღალი ზნეობრივი თვისებების გამო.. მან დატოვა წარუ-შლელი კვალი, როგორც მსოფლიო მოგზაურმა, მრავალი შრომის ავტორმა და პატრიოტმა.

აკადემია, რომელიც ბატონი ჯუმბერის სახელს ატარებს, ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილის ხელმძღვანელობით, მრავალი სხვადასხვა პროფესიის ადამიანს აერთიანებს. აქ, თავიდანვე, სა-ფუძველი ჩაეყარა ეროვნულ საქმიანობას და საინტერესოდ გრძელდება.

დარწმუნებული ვარ, მისი ხსოვნა თაობებს გადაეცემა სამარადისოდ.



## გიორგი ბეჟუიტაშვილი

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა  
მრავალპროფილიანი საერთაშორისო  
აკადემიის სწავლული მდივანი, აკადემიკოსი,  
ისოტრიის აკადემიური დოქტორი სრული პროფესორი.



გულწრფელად მინდა ვალიარო რომ მე წილად მერგო ისეთი  
ადამიანის სიცოცხლეშივე გვერდით ყოფნა როგორიც იყო მსოფლიოს ხუთას წარჩინებულთა სიაში მყოფი ბატონი ჯუმბერ ლეჟავა. იგი იყო მსოფლიო სპორტსმენი, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, ვახტანგ გორგასლის | ხარისხის ორდენის კავალერი და უამრავი წიგნის ავტორი.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის დაარსების დღიდან (2010 წელი) მე ამირჩიეს აკადემიის სწავლულ მდივნად რასაც წარმატებით ვართმევ თავს. 2011 წლიდან ვარ აკადემიის ნომერ პირველი აკადემიკოსი რაც აკადემიის პრეზიდენტის ქალბატონ გულნაზ ხარაშვილ-სხირტლაძის და ბატონ ჯუმბერ ლეჟავას გადაწყვეტილება იყო. ბატონი ჯუმბერი იყო არაჩეულებრივი პიროვნება ყოველთვის მარიგებდა მეგობრულად და მამაშვილური სიყვარულით, არ იშურებდა დროს ჩვენთან ერთად ყოფილიყო, ყოველთვის ნებისმიერი აკადემიის შეკრებაზე თუ პრეზენტაციაზე. მისივე სიცოცხლეშივე გამოიცა უურნალი „ათინათი“ რომელიც სამთვეში ერთხელ გამოდის და დღემდე არცერთი უურნალის ნომერი არ ჩავარდნილა, ხოლო 2012 წლიდან ყოველ წელს გამოდის ანთოლოგია დიახ, წელს არის მე-8 ტომის გამოცემის განსაკუთრებული ნომერი და თარიღი რადგან ბატონ ჯუმბერის შეუსრულდებოდა 80 წელი.

ბატონი ჯუმბერი სიცოცხლეშივე ამბობდა რომ მოგზაურობა ამდიდრებს სულიერ სამყაროს, ხელს უწყობს პროგრეს, მოგზაურობას ქვეყნებთან, ხალხთან კონტაქტის გარეშე ვერ განვითარდება კაცობრიობის სული, კულტურა და ვერ მივაღწევთ წინსვლას. ხეტიალი უცნობ სივრცეში, ელტვის ახალ ნაპირებს, სწყურია შორეული მხარეების მიმოხილვა შემეცნების გაფართოება და ამის საუკეთესო საშუალებაა კიდევ და კიდევ მოგზაურობა, რათა უამრავი ახალი და საინტერესო აღმოჩენების თანამონაწილე გახდე.

საინტერესო და აუცილებელია მკითხველისთვის რომ იცოდეს ბატონმა ჯუმბერმა მოგზაურობის შესახებ, ენციკლოპედიის სახით გამოსცა 50 ტომი. ბატონი ჯუმბერი ამბობდა, რომ არა სპორტი, მოგზაური ვერ გავხდებოდი, ხუთ სახეობაზე დავდიოდი, მქონდა საკმაოდ დიდი მიღწევები, მაგრამ იგი თვით მიზანი არ ყოფილა, სულ ვცდილობდი თავი მეცნიერული კუთხით, კიბერნეტიკაში წარმომეჩინა, მაგრამ მოხდა ისე, რომ შემექმნა ჯანმრთელობის მხრივ სერიოზული პრობლემები და დავინუყე განკურნებაზე ფიქრი, მივაღწიე იმას, რომ დავამყარე 11 მსოფლიო და გინესის რეკორდი. საქართველოდან პირველი ვარ გინესის რეკორდცმენთა წიგნში, შეიძლება ითქვას რომ ზოგადად, გინესის მოძრაობა არა მარტო საქართველოში, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც კი ჩემი დაწყებულია რადგან დიდი პროპაგანდა გავნიე ამ კუთხით... და აი ასეთი და კიდევ მრავალი სხვა, ყველაფერს მე ვერ ჩამოვთვლი რადგან მინდა სხვასაც დავუტოვო სათქმელი და კიდევ ერთხელ მიულოცო ჯუმბერ ლეჟავას ახლობლებს მისი დაბადებიდან 80 წლის იუბილე მისი სახელი სამარადისოდ დარჩება მისი ოჯახის წევრების, ახლობლების, მეგობრების, თანამშრომლების და აკადემიის ყველა წევრის უკვდავსაყოფად.



ირა ონიანი  
აკადემიის წევრი


### პუბლიკური დებულების 80 წლისადმი მიძღვნილი მოგორიშვანი

ყველაზე ბედნიერად ვიგრძენი თავი ჩემს ცხოვრებაში მაშინ, როდესაც ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად ამირჩიეს. მიუხედავდ იმისა, რომ ჩემი ცხოვრების მესამედი გავლილი მაქვს, როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიური მოღვაწეობისა, დამთავრებული მაქვს რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლი სხვადასხვა სპეციალობით, მათ შორის ასპირანტურაც, მაინც დღემდე მომყვება ის დიდი სიხარული, რომელიც მომანიჭა აღნიშნული აკადემიის წევრობამ. მიუხედავად იმისა რომ რამდენჯერმე მქონდა შესაძლებლობა პირადად გამეცნო იუნესკოს მსოფლიო დესპანი – სპორტსმენი გაეროს ბუნების დაცვის ელჩი, მსოფლიო ველო-მოგზაური და ა. შ. უამრავი რეგალიების მქონე ბუმბერაზი პიროვნება, ღვთის ნებით ვერა და ვერ მოხერხდა ჩვენი გაცნობა. მიუხედავად იმისა, სადაც ვმოლვაწეობდი უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სკოლებში ხშირად ხვდებოდა ბატონი ჯუმბერ ლეჟავა პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს. მე კი ნებით თუ უნებლიერ ამ შეხვედრებზე ვერა და ვერ ვახერხებდი პირადად გამეცნო იგი. მართალია, თავისივე სიცოცხლეში დაარსდა მისი სახელობის აკადემია, რატომლაც ამ პერიოდში უფალმა არ ინება ჩემი აღნიშნული აკადემიის წევრობა. მისი ამ ქვეყნიდან მეორე სიცოცხლეში გადასვლის შემდეგ გადავწყვიტე აღნიშნული აკადემიის წევრობა, რაშიც დიდი წვლილი მოუძღვით ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილსა და მამიდაჩემს პროფესორ დარიკო ონიანს, ამჟამად მონაზონს. ამ სამივე პიროვნების ერთგულება, სიყვარული და ურთიერთპატივისცემა, მათი მოგონებები მუდამ მესმოდა, როგორც შინ, ასევე სამსახურებში. სრულიად მოულოდნელი იყო, როცა ვთვექ: „ხომ შეიძლება რომ მეც გავხდე ამ ღირსეული აკადემიის წევრი?!“. ქალბატონმა გულნაზიმ აიტაცა ჩემი ეს სიტყვები და მითხრა, რომ რამდენიმე ათეული წლებია ვიცნობდით ერთმანეთს, როგორც ოჯახურად „ჩვენი დედა“ ასევე სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტებიდან. იცოდა მქონდა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი, ამ ყველაფერს შეაგროვებდა, მიაწოდებდა აკადემიის საბჭოში, საბჭო განიხილავდა ჩემს ნაშრომებს და ამის საფუძველზე გამოიტანდა დასკვნას ვიყავი თუ არა ღირსი მათი აკადემიის წევრობისა. ქალბატონმა გულნაზიმ აქვე დასძინა რომ რეკომენდაციას, რა თქმა უნდა, თვითონ გამინევდა, როგორც აკადემიის პრეზიდენტი. და მართლაც, ეს ოცნება ამისრულა გულნაზი ხარაიშვილმა 2016 წლის 28 დეკემბერს, საახალწლოდ დიდი სიხარულით შევეგებე აკადემიის ნამდვილ წევრობას, ახალი 2017 წელი ჩემთვის ნამდვილი აკადემიის წევრობის მომტანი აღმოჩნდა.

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას დაბადებიდან 80 წელი და გარდაცვალებიდან 5 წელი სრულდება წელს, 2019 წელს. ამიტომ მინდა ჩემი მადლიერება გამოვხატო დიდად პატივცემული პიროვნების, ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნისადმი. ცათა სასუფეველი დაიმკვიდროს მისმა სულმა, სადაც მართალი განისვენებენ.



## გერონტი მესხი ინჟინერი



### ჯუმარ ლეჟავას სახელობის აკადემიაში

ეს იყო ამ სამიოდე წლის წინ. ჩემმა უფროსმა მეგობარმა, ან გან-სვენებულმა მწერალმა, ენრიკო კვალინიძემ, მთხოვა, საჯარო ბიბლიო-თეატრი გავყოლოდი ერთ-ერთ ლიტერატურულ ღონისძიებაზე დასას-წრებად. ენრიკო ცხინვალიდან იყო დევნილი, საქართველოსა და თავისი კუთხის უდიდესი პატრიოტი, უაღსესად განათლებული ადამიანი, სა-უცხოო მოსაუბრე ისეთი გარეგნობისა და აურის პატრონი იყო, უარს ვერ შეჰქადრებდი. ან კი რა იყო საუარო... ყველგან იწვევდნენ და ისიც არც ერთ ლიტერატურულ, თუ სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებას არ გა-მოტოვებდა და სიტყვით, თუ საქმით მის მსვლელობაში აუცილებლად მიღებდა მონაწილეობას.

...პატარა დარბაზში ლიტერატურული საღამო მიმდინარეობდა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სხვადასხვა ასაკისა და სქესის პოეტები, გულსა და სულს აქსოვდნენ თავიანთ ახალ, ჯერ აულია-რებელ ლექსებში. საღამო პოეტ ქალბატონს, გულნაზ ხარაიშვილს მიჰყავდა, ჯუმბერ ლეჟავას სახ. მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს, უურნალ „ათი-ნათის“ მთავარ რედაქტორს...

ჩემმა „მეგზურმა“, ბატონმა ენრიკომ, მოკლე სიტყვა წარმოთქვა: „მე მწერალი კი ვარ, მაგ-რამ, ლექსებს არ ვწერ და პირობას გაძლევთ, არც არასოდეს დავწერ, სხვების დაწერილს კი დი-დი სიამოვნებით ვუსმენ და ვკითხულობ – აი, მაგალითად, ასეთებს... – მან ჯიბიდან ჩემგან მი-ცემული, ოთხად გაკეცილი, გაზირ „ქართული სიტყვის“ ერთი ფურცელი ამოილო და კითხვას შეუდგა. „სამაჩაბლოს ბულბული“ – წარმოთქვა გაზირის მთელ გვერდზე დაბეჭდილი ჩემი ლექ-სებიდან ერთ-ერთის სათაური, ხმამაღლა, გამოთქმით წაიკითხა ლექსი და გაზირის ფურცელი ქ-ნ გულნაზის გაუწოდა... ასე მოვხვდი ჯ. ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიაში და უურ-ნალ „ათინათში“...

აკადემია ხშირად აწყობს კულტურულ—საგანმანათლებლო ღონისძიებებს, ლიტერატურულ საღამოებს, შეხვედრებს ღირსეულ და გამოჩენილ ადამიანებთან... აკადემიაში შეხვედრებიდან გავიცანი ფრიად საპატივცემულო ადამიანები: მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი წევრები—ბა-ტონები რეზო მიშველაძე და სოსო სიგუა, ქალბატონი მაყვალა გონაშვილი, დიდებული მწერლე-ბი და მხატვრები – ნიკო ხერკელაძე და რეზო ადამია, დიდებული ადამიანი,—მოძღვარი მამა ამირან ამირანშვილი, ბრწყინვალე მოქანდაკე გელა ლარიაშვილი, ეკონომიკის დოქტორი ონერ ძაძუა, პროფესორი გიორგი ბეჟიტაშვილი, დიდი მეცნატები, უშანგი მოსიაშვილი და ანზორ ჯა-ფარიძე...

დიდად აღფრთოვანებული დავრჩი ამ და „ფაზისის“ აკადემიის (ხელ-ლი ბატონი ნუგზარ ნა-დარაია) მცდელობებით სათანადო ორგანოების წინაშე სამშობლოსათვის თავდადებული პატრიო-ტების: შაპ-აბასის მიერ ნანამები მძევლების, პაატა სააკაძის, კიდევ წმინდან ბებია ქეთევანთან ერთად წამებულების, ასევე მძევლად მყოფების – ალექსანდრეს და ლევანის, წმინდანებად შე-რაცხვის თაობაზე... და კიდევ რამდენ სასიკეთო საქმის წამოწყებას აპირებენ აკადემიაში...



## ლეილა გაფრინდაშვილი



## უკვდავება

სიცოცხლე და უკვდავება ყველა ადამიანის სურვილია, თუმცა, უდიდესი ნებისყოფის, შრომისა და თავდადების გარეშე სასურველის მიღწევა ყოვლად შეუძლებელია. სახელის უკვდავყოფა მხოლოდ ერთეულთა ხვედრია.

ჩვენს მცირერიცხოვან ერში მრავლად გვყავდა და გვყავს გამორჩეული, საამაყო მამულიშვილები. ამჟამად მინდა ყურადღება გავამახვილო მსოფლიო მოგზაურზე, ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე. მას წელს, 23 ივლისს, დაბადებიდან ოთხმოცი წელი შეუსრულდებოდა...

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილი-ანი საერთაშორისო აკადემია, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის თოსნობით, ემზადება, რათა ღირსეულად შეხვდეს ამ თარიღს და

ცათა სასუფეველში მიაგებოს ჯუმბერ ლეჟავას სულს მადლიერება მამულიშვილთაგან!

დიახ! მადლიერება, რადგან ეს არ იყო ბრძოლა მხოლოდ სიცოცხლის გადასარჩენად (უმძიმესი ოპერაციის შემდეგ), არც მხოლოდ სპორტული უინი ან აკვიატება, ეს იყო უდიდესი სიყვარული სამშობლოსი, მისივე მამულიშვილისგან, რომელსაც მთელი მოგზაურობის მანძილზე მხრებით დაპქრონდა საქართველო მეტად საინტერესო, სახიფათო, სარისკო და ამავე დროს სასიამოვნო გზაზე. (აქ კი ჩემი ლექსიდან „მოგზაურად მივდივარ“, ერთ სტროფს მოვიშველიებ)-

გადავკვეთე ყველა მერიდიანი,

ეკვატორზე მოგზაურად მივდივარ,

მსურს სამყაროს მოვანონო სამშობლო,

ორ ზღვას შუა გადებული ხიდი ვარ!

გადაიკითხავ მის დღიურებს და...ჩაგაფიქრებს...

„მაკლდა კვება, დამეებს ღია ცის ქვეშ, ბუნებაში ვათევდი, უამრავი კოლო, ქვეწარმავალი, ნიანგი, წამებით მიგალნიე სურინამის რესპუბლიკის საზღვარს “ და კიდევ რამდენი ასეთი...

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“-ო, და მართლაც, ჯუმბერ ლეჟავამ, უფლის ნებით, მიზანდასახულობით, ნებისყოფით, მთელი შეგნებით, სისხლხორცეულად, გულით ატარა მძიმე ტვირთი მსოფლიო მასშტაბით.

დიახ! საბედნიეროდ ეს შეძლო ერთმა ადამიანმა, ქართველმა, მარტოდმარტომ, რთული გარემო პირობების, ზოგიერთ (როგორც თვითონ აღნიშნავს) ულირს ადამიანთა წინააღმდეგობისა თუ სხვათა და სხვათა მიუხედავად, უფლის, ველოსიპედის, საკუთარი რისკების ხარჯზე და ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი გინესის წიგნში. მას იუნესკოს გენერალური დირექტორის, ფედერიკო მაიორის მიერ გადაეცა მსოფლიო მოქალაქისა და სპორტსმენის დიპლომები. მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია, ვახტანგ გორგასალის პირველი ხარისხის დიპლომი და ა. შ.

ევროპა, აფრიკა, ამერიკა, უდაბნო, სავანა, ჯუნგლები, სამი ოკეანე, ლაბირინთები, ოზისები... დალაშქრა ქართველმა მოგზაურმა ჯუმბერ ლეჟავამ უშიშრად და შეუპოვრად. დარწმუნებული ვარ, მთელი მოგზაურობის მანძილზე მას გათავისებული ჰქონდა „მამულს გული უპირველეს ყოვლისა“ – ჩვენი ერის საამყოდ და სადიდებლად!



## რეზო ადამია



## უძველესი ცრალი ციები ლა ლოევანცელობა

ადამიანი ოდითგანვე, დედამიწაზე მოგზაურობდა და დღენიადაგ ზეცად ეძებდა პლანეტებს: გადადიოდნენ ჯგუფურად კონტინენტიდან-კონტინენტზე და ენეოდნენ თვისებრივ მომთაბარეობას, რომელიც ორი ათასი წლის წინ შეწყდა და რის შემდეგ დალაგდნენ თავიანთ კუთვნილ ადგილას. როგორც ტომები, ასევე კერები, მაგრამ შესისხლხორცებული თვისება მოგზაურობა, ნარუშლელ უდიდეს ტრადიციად დარჩა ადამიანებში. – გამოუცნობია, ციგნები რატომ ვერ დამკვიდრდნენ დედამიწაზე ვერსად, რა თქმა უნდა ეს ცალკე თემაა....

მისტიკური უზომო წყურვილი მოგზაურობა უდიდეს ტრადიციად დარჩა გამორჩეულ ადამიანებში.

თავდადებულ მოგზაურთა შედეგად იქნა აღმოჩე-

ნილი, ამერიკის კონტინენტი, ავსტრალია, მრავალი კუნძულები, ანტარქტიდა, და ჩრდილოეთ პოლუსი, ბრაზილიის ნაპირები. მოგზაურობა ვარსკვლავური თვისებაა მარადიული. უეჭველია მრავალ პლანეტების ხასიათს გამოხატავს ადამიანებში, მაგრამ მხოლოდ რჩეულში.

კაცობრიობის უმთავრესი ფენა, ჩვენს ეპოქაშიც ისევ ჯგუფურად მოგზაურობენ, თანამგზავრით, თვითმფრინავით, გემით, მანქანით, ცხენით, ჯორით, ფეხით. ხოლო მათგან ბატონი ჯუმბერის მოგზაურობა სრულიად განსხვავებულია. ის უფრო შეუსაუკუნეების ინტელექტ მოგზაურებს უკავშირდება ზნეობრივად, ფიულოსოფიურად და ფსიქოლოგიურად: შეიძლება რომანტიულიც ვუწოდოთ.

ბატონ ჯუმბერმა, ყველაზე უმარტივესი საშუალება – ველოსიპედით, რომელიც უზომოდ ფიზიკურ დატვირთვასთანაა დაკავშირებული მსოფლიო შემოიარა; მაგ უცნაურ დროში და ზღვასხვადასხვა ჯურის ხალხში, გაუგონარ ფიზიკურ სულიერ და გონებრივ მარტოობას ეზიარა.

ამასთანავე, პარალელურად დაუგროვდა უზარმაზარი შთაბეჭდილებები. რის შემდეგ ნაყოფიერად წერდა და უურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა ძალიან საინტერესო და მკითხველისთვის მიმზიდველ მემუარებს, მოგონებებსა და წერილებს: მათგან ფრიად მნიშვნელოვანია უნიკალური შინაარს განწყობილებიანი დღიურები, რომლებსაც მოგზაურობისას დღედაღამ პერიოდულად წერდა.

ბატონი ჯუმბერი, როგორც პიროვნება, გახლდათ უძველესი, მსოფლიოში აღიარებული ქართველთა ზნეობის და უნატიფესი სულიერების; ყველასთან კეთილშობილ-რაინდული, გულღლია, ალალ-მართალი-თანამდგომი. ბატონ ჯუმბერმა დედამიწის ირგვლივ ფანტასტიურად მოულოდნელი მოგზაურობით, წმინდანური და გაუტეხავი ქართული უხილავი სული, პლანეტაზე უშურველად მიმოაბნია, რომელიც მომავალში უთუოდ მნიშვნელოვანია აღმოუცენდება უტყუარი კეთილფერებით ჩვენს ერს. დედამიწის ირგვლივ მოგზაური, ბატონი ჯუმბერი, მხოლოდ ჯანმრთელობას კი არ იკაუებდა, არამედ, როგორც იტყვიან ის სულს ეძებდა უძველეს შორეულში ჩაკარგულს, ქვეცნობიერად კონტინენტიდან-კონტინენტზე თანმიმდევრულად გადადიოდა, რომ წამით მაინც მოლანდებოდა ძველი კოლხურ-იბერიული ფასდაუდებელი დიდება. სივრცის საოცრება მეხსიერებაში გადანახული და სრულიად უჩვეულო ფორმა შინაარსის ფორმის ნებისმიერ დაბ-

რკოლებებს ვაჟკაცურად ამარცხებდა და ამგვარად გრძელდებოდა ბატონი ჯუმბერის მარად და-უვინეული ათასნლოვანი ტრადიცია სულიერების ოდისეა; რომელიც რაც დრო გავა, უფრო და უფრო გააკვირვებს ქვეყნიურ იდუმალებებზე დაინტერესებულ-შეყვარებულ ადამიანებს.

თანამემამულეთა მიერ, შეუდარებელი მიგნება, ალიარება პიროვნული დაფასება და ზნეობრივი სიმართლე არაა, სანიმუშო მსოფლიო მოგზაურის სახელს რომ ატარებს ჩვენი მრავალპროფილიანი მეცნიერული აცადემია, სიმაყე ჯუმბერ ლეჟავას სახელობისას. ბატონი ჯუმბერი ის პიროვნება გახლავთ რომელიც ჩვენს ირგვლივ და უფრო შორსაც უკვდავების ტიტულს ატარებს და მომავალი თაობები დროთა-უაში სიამაყით მოიხსენიებენ მოგზაურის წარსულს და საზოგადო მოღვაწეობის ყოველ ნიუანსებსაც. ჩვენ, აკადემიის ყველა წევრები და პრეზიდენტის ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის მოწინავეობით ვამაყობთ, ბატონი ჯუმბერ ლეჟავას ამქვეყნიურ და იმქვეყნიური დიადური არსებობით.

მხატვარი-მწერალი  
რეზო ადამია 2019წ. 25 აპრილი.



### ზურაბ გაბუნია



### ჯუმბერ ლეჟავა (ჯუბა ბატუ) როგორც ვეძებლით

ჯუმბერის მოგზაურობას პირველივე დღიდან ვგულშემატკიცრობდი, ხილო ჩვენი მეგობრობა დაიწყო, როდესაც მოგზაურობიდან დაუბრუნების შემდეგ გვენვია სამხატვრო აკადემიაში, შეხვდა აკადემიის სტუნდეტებს და პროფესორ მასწავლებლებს, გვიყვებოდა მოგზაურობის თავგადასავლებს, რომელიც ძალზე საინტერესო იყო.

ბატონ ჯუმბერს სამხატვრო აკადემიაში, ძალიან ბევრჯერ მოვუწყეთ შეხვედრა. მოვუწყეთ სურათების პერსონალური გამოფენა. მას უამრავი ფოტოები ჰქონდა გამოფენილი სათაურო „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო“. განსაკუთრებით მის ნამუშევრებში ბავშვების თემაა, სადაც მსოფლიოს ყველა ბავშვი იყო გადაღებული.

გამოფენის დროს სტუდენტებს ვაჩვენეთ მოგზაურობის დროს გამოყენებული 9-ა ველოსიპედი.

სამხატვრო აკადემიაში გვაქვს სხვადასხვა სპორტული სექციები ერთ-ერთი არის საწყალოსნო ტურიზმი ტურიზმი. სტუდენტებთან ერთად სხვადასხვა მდინარეებზე ვეშვებით წავებით ზამთრის პერიოდში მივდივართ (ალაზანის, რიონის, არაგვისა და მტკვრის) დასალაშქრად. ეს რომ ჯუმბერიმ გაიგო, გვთხოვა, რომ ჩვენთან ერთად წამოსულიყო. ამ შემოთავაზებამ გაკვირვება გამოიწვია ჩვენში. ასეთი დიდი მოგზაურობის შემდეგ ჩვენთან, რომ ისურვა მოგზაურმა წამოსვლა. ლაშქრობას ხელმძღვანელობდა სახვითი ფაკულტეტის დეკანი პროფესორი გივი მიზანდარი და მე მხატვარი ზურაბ გაბუნია. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ვარძიიდან თბილისამდე გვქონდა მარშუტი. ყინვაში მოვინია ლამის გარეთ გათევა. ლაშქრობის დელეგაციის წევრები ვიყავით: ჯუმბერ ლეჟავა, გივი მიზანდარი, დიმიტრი დანგაძე, უკრაინელი მოგზაური ლეონიდ მიკულა (რომელიც იყო ჩამოსული სპეციალურად, ჯუმბერის მოწვევით ამ მოგზაურობისათვის).

ბორჯომს როდესაც გამოვცდით, ახალდაბაში შეგვხდა ჩანჩქერი, ნავი გადაგვიბრუნდა, დაგვიზიანდა, ეს, რომ სოფლის მოსახლეობამ გაიგო ჩამოვიდნენ დასახმარებლად, თან უკვე ბინდდებოდა, გვთხოვეს ღამე სხავაგან გაგვეთია, მათ თურმე ბოშები ვეგონეთ. ასეთი შემთხვები ადრეც ჰქონიათ, ბოშები ყინვაში ბანაკდებოდნენ იმ ადგილებში და მერე ღამით ძარცვავდნენ მოსახლეობას.

როდესაც ჩვენს სიმართლეში დარწმუნდნენ სახლში მიგვიწვიეს, მაგრამ ჩვენ არ დავთახმდით. მერე ხუმრობით თქვეს: კარგით რა, თქვენც ახლა ჯუმბერ ლეჟავა არ იყოთო. ეს პიროვნება იყო შუა ხნის მამაკაცი. კითხვა შევუტრიალე და ვუთხარი ჯუმბერის თუ იცნობ-თქო. როგორ არ ვიცნობ, მთელ მის მოგზაურობას თვალს ვადევნებდი, ისიც კი ვიცი, სად რა ხიფათი შეხვდაო, დაინყო ჯუმბერის თავგადასავლებზე საუბარი. საინტერესო ამბები მოყვა. სამწუხაროდ, იმ პიროვნების სახელი აღარ მახსოვეს. ბევრი საუბრის შემდეგ ჯუმბერი წარვუდგინე და ვეუბნები, აგერ ბრძანდება ჯუმბერ ლეჟავათქო. გაოცებული აკვირდებოდა, ჩემს ნათქვამში რომ დარწმუნდა, მივარდა ჩაეხუტა, სახლში შეგვიპატიუა, მაგრამ არ დავთახმდით და კარავში დავრჩით. სოფლიდან ძალიან ბევრი ადამიანი ჩამოვიდა და ჩენთან ერთად გაატარეს ღამე. ანთებულ კოცონთან ვუსმინეთ ჯუმბერის მოყოლილ ამბებს. დილით მთელი სოფელი გვაცილებდა. ამ ჩვენს მოგზარობას აფიქსირებდა ტელევზიის პირველი არხი.

ჯუმბერისთან ერთად ბევრ ლონისძიებებში მივიღეთ მონაწილეობა, კერძოდ, რუსუდან გორდეზიანის სარეკორდო გაცურვაში. აგრეთვე ბეგლარ ელბაქიძის ცურვის ლონისძიებაში. ბეგლარმა რეკორდი მოხსნა. ხელებაწეულმა გაცურა ბათუმიდან ქუთაისამდე. ჯუმბერის მიზნად ჰქონდა დასახული, ჩვენთან ერთად ბევრჯერ მიეღო მონაწილეობა ლონისძიებებში, რათა ახალგაზრდებისათვის სპორტი შეეყვარებინა.

სამწუხაროა ის, რომ სიცოცხლეში მისი აღიარება ისე არ მოხდა როგორც იმსახურებდა. ის ცოცხალი ლეგენდა იყო!



## ზაალ სიხარულიძე

არიან ადამიანები, რომლებიც წარუმლელ კვალს სტოვებენ, თუ სადმე ცოტა ხნით ჩამოისვენებ, იმ წუთში შენს ფიქრებთან ამოტივტიდებიან. ასეთს სამეგობროდან, გამოვარჩევდი ბატონ ჯუმბერ ლეჟავას. იგი ძალიან მორიდებული, სიცოცხლეშივე ლეგენდა პიროვნება იყო. დედამინის არც ერთი ქვეყანა არ დაუტოვებია მას ველოსიპედით რომ არ შემოველო.

მე და ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ჩოხოსანთა საზოგადოებაში დავმეგობრდით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გვქონდა. აზრთა სხვადასხვობის დროს საკმაოდ კარგად ვუსმენდით ერთმანეთს და გულგახსნილი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა.

როდესაც სუფრაზე ერთად მოვხვდებოდით ჯუმბერი არასოდეს არ სვამდა, მაგრამ ისე შეგვყვებოდა, სასიამოვნო იყო მასთაან ერთად ყოფნა. ის არაჩვეულებრივ მეინახეობას გვინევდა. ერთ დღეს კურორტ ბახმაროში ჩავედით ტრადიციულ ფერისცვალების დოღზე. წინა დღით საკმაოდ მოვილისინეთ, კოტეჯში რომ შევედით, დასაწოლად უკვე ბნელოდა, ჯუმბერი ჩვენზე ადრე შესულა დასაწოლად დაუნახია ორი საწილი და ერთი საძილე ტომარა და იქ ჩაწილილა. გავოცდით მე და გოგი დოლიძე, ვთხოვეთ, რომ უკეთესად მოესვენა და საწილში დაწოლილიყო. იუარა, ეს ჩემთვის ბუმბულზე წოლაა, იმასთან შედარებით, რაც მე გამომივლიაო. გოგიმ მუსი-

კები ჩართო და რაღა დამაძინებდა. გავესაუბრე ბატონ ჯუმბერს – მთელი მსოფლიო შემოიარე, ყველაზე ცუდი ხალხი სად ცხოვრობს-მეთქი, – შევეკითხე. ცუდი ხალხი არ არსებობსო – მიპასუხა. ისეთ ქვეყანაშიც მოვხვედრილვარ, სადაც ადამიანებს ჭამენო. ეს რომ გავიგე, შინაგანმა შიშმა ამიტანა და საღამოთი, როდესაც ცეცხლის პირას ვიჯექით, ბელადს ვკითხე – ჩემი საქმე როგორ იქნება-თქო. მხარზე ხელი მომითათუნა და მითხრა: ნუ გეშინია, ბებრების ხორცს არ ვჭამთო. ორივეს სიცილი აგვიტყდა ამ გახსენებაზე. მერე აფრიკა გაიხსენა – იქ ერთი ასეთი ამ-ბავი გადამხდაო: მომიტანეს ერთი გამხმარი კვერიო, წინ დამიჯინეს ერთი სახე დაჭმუჭნული დე-დაბერი, ძუძუები ჩვარივით ეკიდა ჭიპამდეო, ის გამხმარი კვერი დედაბერმა დალეჭა და პირში მატაკაო, ეს ყოფილა მათი დიდი პატივისცემა. მეც იძულებული გავხდი და გადავყლაპეო.

გვიან ჩაგვეძინა, დილით რომ ავდექით მზე ამოსული იყო, ჩოხები ჩავიცვით და წყლის პი-რას ჩავედით დოლის საყურებლად.

ზეიმი რომ დამთავრდა, გურულებმა ჩეული სტუმარ-მასპინძლობით მიგვიპატიჟეს. იმ რესტორანს „ტორნადო“ ერქვა. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ თამადამ გამოაცხადა: დღეს ჩვენს სუფრას ამშვენებს კაცი, რომელმაც მსოფლიოს ყველა შუკა და კუნჭული მოინახულა. ძნელია გურულებს რომ რამე გაუკვირდეს, მაგრამ ასეთი კაცები მარტო საქართველოს კი არა, მთელ მსოფლიოს აოცებენ თავისი მიზანდასახულებით. ჯუმბერ ლეჟავმ ამ მიზნის მისაღწევად ტიტანური შრომა გასწიაო.

ჯუმბერი განითლდა და აღარ იცოდა სად დამალულიყო, არადა რა ჰქონდა დასამალი. ტა-შით დაინგრა დარბაზი. იდგა ოდნავ გაღიმებული, ბოლოს საყვედურით მითხრა – შენ ხომ არ უთხარი თამადასო; ახლა ამდენი წლების შემდეგ ვიმეორებ: ვფიცავ, რომ თამადისთვის არაფერი მითქვამს. ჯუმბერი ამას იმსახურებდა.



## ჟუჟუნა ნიუარაძე-მაჭავარიანი



## პუმბერ ლეჟავა გულის სიიდან არ ამოიშლება

ეს ამბავი, ზოგს უკვე აღარც ახსოვს და შეიძლება არც გაუგია. არა და რა დაგიმალოთ, მართალია დიდი ხნის წინათ მოხდა, რასაც ეხლა მოგიყვებით, მაგრამ მზარავს, როცა ვიხსენებ. ზლვაზე წასვლა ყველას გვიყვარს, ჩვენს ქვეყანას, ხომ შავი ღზვა ამშვენებს ბევრ ქვეყანაში მიმოგზაურია, ბევრ ზლვის ნაპირზე, უფრო სწორედ ზლვის ნაპირას წყალში შევსულვარ.

ბედნიერება მქონდა მემოგზაურა წყნარი ოკეანის ზლვებში სამხრეთ ჩინეთის, იაპონიის, ხონგაის ყურეში ატლანტის ოკეანის ზლვებში: ხმელთა შუა ზლვამი, შავი ზლვის, მალტის, აზოვის. მარმარილოს ზლვა, ბოსფორის სრუტე ინდოეთის ოკეანის ზლვებში: წითელი ზლვა, არაბეთის.

ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის ზლვები: ნორვეგიის, გრელანდიის, ალმოსავლეთ ციმბირის. მოგზაურობა გემით მდ. ვოლგაზე, მდინარე დუნაიზე.

ბაიკალის ტბით, ონეგის, ლადონის ტბებზე, გუძინის ნაპირზე ნიაგარაზე და ა.შ.

ზლვაზე წასვლა ყველას გვიყვარს. ჩვენს ქვეყანას, ხომ შავი ზლვა ალამაზებს. ზლვის ცის-ფერ წყალს, რომ ვუყურებდი სულ მიკვირდა, რატომ ჰქვია შავი ზლვა. და აი, ერთ დღესაც ცა გაშავდა წამოვიდა კოკისპირული წვიმა და უცებ ზლვის წყალი გაშავდა. რამდენიმე დღე შავ ზლვას ვუყურებდი და მაშინ მივხვდი ჩვენმა წინაპრებმა, რატომ დაარქვეს ეს სახელი.

პირადად მე ბევრ ქვეყანაში მიმოგზაურია და ბევრ ზლვებსა თუ მდინარეებში, უფრო სწორედ ზლვის ნაპირს წყალში შევსულვარ, მაგრამ ამას დიდი ცურვა არ ჰქვია, მარტო ვჭყუმპალაობდი. ესეც იმიტომ, რომ 15 წლის, რომ ვიყავი მთელი ოჯახით ქობულეთში ვისვენებდით: დედა, დიდედაქემი, ჩემი და დალი და დეიდაშვილი მედიკო. ვცხოვრობდით კარლო კალანდაძის ოჯახში. გვერდით სახლში კი ისვენებდნენ საკონცერტო გასტროლებზე ჩასული: სტეფანე ჯაფარიძე, გიორგი და გურამ სალარაძეები, ემანუელ აფხაძე, ბიძაჩემი ლევანი, რომელიც მათ კონცერტებს მუსიკალურად აფორმებდა. ერთ დღესაც წაპირიდან ცოტა ლრმად შევუცურე ზლვაში. მიხაროდა, რომ ასე გავთამამდი, უცებ ვიღაცამ დაიწყო ჩემი წყალში ჩათრევა შეშინებულს არ ვიცოდი რა მომემოქმედა. ისე შემეშინდა, რომ გამომიყვანეს ზლვიდან. ბევრი წყალიც მქონდა ნაყლაპი. ძლივს მომასულიერეს არა და თურმე გურამ სალარაძემ „გაგე-ხუმრეო“. კარგი ხუმრობა კი იყო. დღეს როცა ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა ეს შემთხვევა მე კარგად მახ-



სოვეს, იმიტომ, რომ მის მერე ნაპირს ვეღარ ვცილდები აი, გურამს კი აღარც კი ახსოვდა, თუ მისი ხუმრობა „რა ძვირად“ დამიჯდა, ყველაფერი ეს იმიტომ მოგიყევით, რომ უვერტიურასავითაა ის. რაც ეხლა უნდა მოგიყვეთ. ვინც კარგად იცოდა ცურვა და წყლისაც არ ეშინოდა ნაპირიდან 50 მეტრზე მეტის გაცურვის უფლება არ ჰქონდა, მას მესაზღვრეები აკონტროლებდნენ.

და აი, 1994 წელს ოქტომბრის თვე იდგა შავი ზღვა თავისი მშვიდი ტალღებით სიამოვნებას გვრიდა დამსვენებლებს. თუმცა დამსვენებლების რაოდენობამ ისე იკლო, რომ ზღვის პირას კანტა-კუნტად დაინახავდით. მათ დღის 1 საათი იქნებოდა სასტუმრო „მედეასთან“ თამრიკომ ჩემი მეგობრის ლალი კობაზიძის ქალიშვილმა გადაწყვიტა ზღვაში წყლით გაეგრილებინა მზეზე გარუჯული ტანი, თამრიკოს ცურვით ბევრი იყო გაოცებული, რამდენჯერმე ზღვაში საზამთროც შეუტანია იქ გაუჭრია და ცურვის დროს კარგად მიურთმევია. საოცარია, ზღვა, საზამთრო და ასე ლალი მოძრაობა წყალზე.

რამდენი საათი შეუძლია ზღვის წყლით სიამოვნება მიეღო. და აი, იმ დღესაც შეცურა ლამაზი ზღვის კოსტუმით. თევზივით მიცურავდა. კარგა მანძილი რომ გაიარა მიიხედ-მოიხედა და ზღვის ნაპირი არსად ჩანდა. არა და ზღვის წყალმა თითქოს შეიტყუა ღრმად იგი და თამრიკომიხევდა, რომ მხარი ეცვალა. მას შეეძლო ზურგზე დაწოლილს თვაალი მიესუჭა და ასე სვენებს, სვენებით კარგი მანძილი გაეცურა. ამჯერადაც ასე მოხდა საით გაეცურა აღარ იცოდა. დრო ძალიან სწრაფად გადიოდა, უკვე მოსალამოვდა. თითქოს მზეს მისდევდა, მაგრამ ისე სწრაფად ჩაესვენა მზე, რომ ამ სიამოვნებით თითქოს თავბრუ დახვეული ჯადოქარივით, რაღაც ძალა არ ეშვებოდა. და თამრიკოც ლალად სირინოზივით, თავისუფლად მოძრაობდა. წყნარ, მშიდ ძღვის ზედაპირზე. აი, პირველი ვარსკვლავიც გამოჩნდა და ცაზე მერთალად გამოსახული მთვარე უკვე გაცოცხლდა. ცის თალი თანდათან ივსებოდა ვარსკვლავებით, თამრიკომიხევდა, რომ ზღვაზე ასე ლალად მისმა ცურვამ შეიძლება რამე ხიფათში ჩაგდოს, არა და პირველ რიგში, რომ ზღვის ნაპირას დარჩენილი მისი მეგობრები შენუხდებოდნენ მისი დაგვიანებით... ალბათ, არც უფიქრია, ასე მთელი ლამე წყლის ზედაპირზე მყოფს შეცივდებოდა თუ არა უფრო ღრმად ჩაყვინთავდა წყალში და თითქოს თბებოდა... თამრიკომ ის არ იცოდა რომ წყლის ზედაპირზე დღისით თუ სითბო 30 გრადუსამდე იყო ლამით 11 გრადუსით შემოიფარგლებოდა. ძალას კი მთვარე და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თითქოს ენერგიას კოსმოსიდან სთავაზობდნენ. თამრიკო ხან წითლდებოდა, ხან თავის საყვარელ ლექსებს ხმამალლა კითხულობდა. აი, გამოჩნდა უკვე რიურაჟზე დიდი იტალიური გემი თამრიკო მიუახლოვდა გემს გემიდან გამობოლვით შავი ფერით შეიმოსა. ეგონა გემი აიყვანდა, მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან მას არ ჰქონდა უფლება სასაზღვრო ზოლში გემის შეჩერების. უკვე დილით რიურაჟზე პირველი მზის სხივი მას მიესალმა და სიხარულის შეგრძნებით იმედი მიეცა. ამ დროს იქ დაინახა შორიდან ზღვაზე მოძრავი ბარჟა. თამრიკო უკვე თურქეთში იყო ეს ბარჟა სოხუმიდან მიემართებოდა – ტრაპიზონში. მისი მგზავრები დილა-ადრიან კარტოფილის ფრცქვნით იყვნენ დაკავებული. მათ შორიდან დაინახეს, შავი რაღაც ჯადოქარი მასა ატეხეს ყვირილი რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო მათი შთამბეჭდავი ამ მაზუთ-ში ამოსვრილი მაშინ გაიფანტა, როცა ბარჟას მიუახლოვდა. ავი-და ბარჟაზე და ორი კაცი, ერთი ქალი და ბავშვი სიცილით იგუ-დებოდნენ თუ საიდან გაჩნდა ამ შუა ზღვაში... დიასახლისმა მისცა საპონი და თამრიკო ისევ გა-დახტა ზღვაში და საპონით სულ ჩამოერეცსა მისი სიშავე. ულამაზესი, მართლა ანგელოზს ჰგავდა, დააპურეს, თავისი ტანსაცმელი შემოაცვეს და სთხოვეს მათთან ერთად ტრაპიზონში გაყოლოდა.



ამ დროს მთელი ბათუმისა და თბილისის მთავრობა აფორიაქებული ექებდნენ თამრიკოს. თბილი-სიდან არჩილ გოგელია ვეჩეს საშუალებით დაუკავშირდა ბათუმის მთავრობას.

უკვე მოსალამოვდა თამრიკომ დაინახა ზღვაზე, კატერები ცაში კი ორი ვერტალიოტი. ბარ-ჟის მეპატრონეებმა თამრიკოს აუკრძალეს რაიმე ზედმეტი მოძრაობა, რომ მაშველებს არ დაენა-ხათ. ერთი კატერი ძალიან ახლოს მიუხალოვდა ბარჟას, მესაზღვრეებმა ჰკითხეს „ხომ არ შეგიმ-ჩნევიათო ახალგაზრდა გოგო და მათ უარზე თამრიკო მიხვდა, რომ ეს ძიება მის გამო იყო უცებ წამოხტა და პირდაპირ ზღვაში აღმოჩნდა მეზღვაურებმა თამრიკო წყლიდან ამოიყვავნეს თბილ პლედში გაახვიეს და ასე წამოიყვანეს. ეს ისე სწრაფად მოხდა რომ მადლობის თქმა ვერ მოახერ-ხა. მთელი გზა კატერებს თან თოლიების დიდი რაზმი მიაცილებდა. თითქოს თამრიკოს პოვნა მათაც გაიგეს....

ბათუმში საზღვაო სამმართველოს უფროსი, ექიმები, სასწრაფოს მანქანა უამრავი ხალხი შე-ეგება თამრიკოს. იმ წერთას თბილი ტანსაცმელი ჩააცვეს, ექიმებმა გასინჯეს, ყველა ეფერებოდა. თამრიკოს ზღვაში გატარებულ დამე სიზმარში მოსვენებას არ აძლევდა.

დღეს უკვე, როცა თამუნა ბებია გახდა თურმე მისი ცხოვრების ეს ეპიზოდი თავისი შვილე-ბისათვის და არც შვილიშვილებისათვის არ მოუყოლია. ფიქრობს რომ ამ ამბავს ზღაპრად, მის ფანტაზიად ჩაუთვლიან.

ეს წარკვევი კი, როცა მოუყევი ჩვენი ოჯახის უახლოეს პიროვნებას ბატონ ჯუმბერ ლეჟა-ვას, იუნესკოს მსოფლიო დესპანს, მსოფლიო სპორტსმენს, გაეროს ბუნების დაცვის ელჩს გინე-სის მრავალგზის რეკორდმენს, მსოფლიო ველომოგზაურს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ვახ-ტანგ გორგასალის | ხარისხის ორდენის კავალერის მსოფლიო 2009 წლის ადამიანს, მსოფლიო მრავალი ქალაქის მოაქალაქეს, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედ-ლის მფლობელს, 5 აკადემიის აკადემიკოსს ასეთმა პოპულარული პიროვნება ძალიან დაინტერეს-და და მთხოვა ის რაცა მოუყევი დამეწერა წარკვევად და დამებეჭდა უურნალ „ათინათში“.

დღეს, როცა აღარ არის ცოცხალი ბატონი ჯუმბერი ვასრულებ მის თხოვნას და ყოველ-თვის ვფიქრობ ქართველი ქალის ასეთ გმირულ შემართებაზე.

\* \* \*

ნიციდან სწრაფმავალ მატარებლით პარიზისკენ გამოვემგზავრეთ. ერთ-ერთ სადგურზე ერთი ზანგის ქალბატონი ამოვიდა რამდენიმე ხელჩანთით. ჩემი შვილი ერეკლე წამოხმა-რა, ჩანთები ვაგონის შემოსასვლელში თაროზე დააწყო და ამით მთელი ვაგონის მგზავრების ყუ-რადღება მიიპყრო. ზანგმა ქალბატონმა დიდი მადლობა გადაუხადა, მგზავრობა ძალიან სასია-მოვნო იყო. რამდენიმე საათში პარიზში ვიყავით. პარიზს ჩვენ ვამბობთ, ფრანგები კი პალის უნიდებენ. ჩვენი ბარგი ერეკლემ ურიკაზე დააწყო და ტაქსების გაჩერებასთან შეაჩერა. აღმოჩ-ნდა, რომ ის ჩემოდანი, რომელშიც მისი ტანსაცმელი ეწყო დაიკარგა დაიკარგა ყველასათვის ძა-ლიან საწყენი იყო იმ ჩემოდნის დაკარგვა. ვურჩიე დაბრუნებულიყო და იქნებ ვაგონში მოექებნა. სულმოუთქმელად გაიქცა ერეკლე. ვაგონი აღარ იდგა, მაგრამ აი, საოცრებავ, ის ზანგის ქალბა-ტონი იდგა თავის ბარგით და ყარაულობდა ერეკლეს ჩემოდანს. „დარწმუნებული ვიყავი, რომ მოძებნიდითო“. ერეკლემ მადლობა გადაუხადა და როცა ჩემოდნით ხელში დავინახეთ ჩვენს სი-ხარულს საზღვარი არ ჰქონდა. „სიკეთე თავის გზას არ დაკარგავსო“, ასე ამბობენ ხალხში და ამჯერადაც ამ წარმატებამ გაამართლა.



მერი სპანდერაშვილი

## საქართველოს ისტორიის საძირკველში ჩატარები რეალის ზოდი

იმდენი რამ დაინტერა ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე, იმდენჯერ გააოცა მსოფლიო თავისი „რომანტიკული ველოსიპედით“, რომ მე ახალი რაღა უნდა დავწერო; მაგრამ მაინც ვცდი, რომ დაგვიანებული პატივისცემა და ალტაცება გამოვხატო....

ბატონი ჯუმბერი ხშირად ხმარობდა სიტყვას „ჩვენ“ რაშიც გულისხმობდა „ღმერთი, ჩემი ველოსიპედი და მე“ - ერთად ვმოგზაურობთო. მან თავისი მოგზაურობა მიუძღვნა საყვარელ ადამიანებს: მეუღლე - ლიანა ალიბეგაშვილს, მეგობრის ვაჟს — რატი კიკაჩეიშვილს და მეგობარ უიული შარტავას.

ბატონი ჯუმბერის თაოსნობით იბეჭდებოდა უურნალები, რომლებსაც საკუთარი სახსრებით აფინანსებდა. უურნალ „ჯუბა ბაბუას საზღაპრებში“, ბავშვების სულიერ და ფიზიკურ აღზრდაზე, მათი ჯანსაღი ცხოვრების წესის აუცილებლობაზე საუბრობდა. უურნალი „ათინათიც“ ხომ სწორედ მის სახელს უკავშირდება: ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.

კაცმა, რომელიც ფაქტიურად მკვდრეთით აღსდგა, სასწაულები მოახდინა. მსოფლიო მოგზაურმა უამრავ განსაცდელს გაუძლო: უდაბნო, ჯუნგლები, ციმბირი, გაყინვის საშიშროება და ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდა თავის საყვარელ საქართველოში.

მინდა ჩემი ფიქრები ფურცლებზე გადმოვიტანო: რატომ უჭირდა ბატონ ჯუმბერს სპონსორების მონახვა? რატომ აიღო მან ვალები უუნრნალი „მოგზაურის“ გამოცემისას? რატომ უთხრა უარი თბილისის ყოფილმა მერმა საპატიო მოქალაქეობაზე? რატომ არ გამოუყვეს ფული ახალი რეკორდის დამყარებისთვის და რატომ არ ისურვა სხვისი დროშის ქვეშ რეკორდის დამყარება? ვფიქრობ და კ. გამსახურდიას სიტყვები მახსენდება: „თუ დიდი კაცი გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.

მიუხედავად ამისა, თქვენი საქმიანობით საქართველოს ისტორიის საძირკველში ერთი მაგარი მკვიდრი ქვა ჩადეთ, რომელიც ოქროს ზოდის ფასია. თქვენი ცხოვრება ის საჯილდაო ქვა იქნება, რომლის ანევაზე მრავალი ქართველი იოცნებებს მომავალში.... თქვენი უკვდავებაც ამაში გამოიხატება. უფლის წყალობით მრავალ განსაცდელს გაუძელით. ალბათ, ამიტომაც უწოდეთ „ჩემი ბობოქარი ცხოვრება“ თქვენს მიერ განვლილ გზას.





### მირანდა ხოდელიძე

ბატონი ჯუმბერი იყო კაცი, მსოფლიო ლეგენდა. მან მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა სპორტს და ჯანსაღ ცხოვრებას.

ბატონი ჯუმბერი იყო მსოფლიოს სპორტსმენი, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიო ველომობგზაური, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასალის | ხარისხის ორდენის კავალერი, ხუთი აკადემიის აკადემიკოსი.

სწორედ ასეთი პოპულარული პიროვნების სახელს ატარებს მეცნიერებათა აკადემია, რომელშიც მოღვაწეობენ ჩვენი ქვეყნის საამაყო და სასიქადულო შვილები – აკადემიკოსები, პროფესორები და პედაგოგები, რომლებიც თავგაუზოგავად შრომობენ და გადმოსცემენ თავიანთ უდიდეს ცოდნას და გამოცდილებას მომავალ თაობას. არ შეიძლება ამ აკადემიის კედლებში აღზრდილმა ახალგაზრდებმა რომ არ მიაღწიონ ცოდნის უმაღლეს მწვერვალს და არ გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის ღირსეული მამულიშვილები. სწორედ ამ კედლებში, ამ აკადემიაში იზრდებოდა ჩემი შვილიშვილიც – მირანდა წიკლაური, რომელმაც ცხრა თვის წინ მოულოდნელად 16 წლის ასაკში მიგვატოვა, მიატოვა ყველა მისი მეგობარი, პედაგოგი, ახლობელი და გაფრინდა ზეცაში, უფალთან. ის იყო ანსამბლ „ქსოვრელების“ სოლისტი და პედაგოგი ელდარ შოშიტაშვილი დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. მაგრამ ავბედითმა შემთხვევამ ის ასე უმოწყალოდ იმსხვერპლა.

მისი გარდაცვალების შემდეგ მე მტკიცედ გადავწყვიტე, რომ მიმეძღვნა ჩემი თავი ამ აკადემიისათვის და გავმხდარიყავი მისი ერთგული წევრი და ყველასთან ერთად გამეზიარებინა ყველა მისი ტკივილი თუ სიხარული, მაგრამ, აი, კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა და დიდი ტკივილი, მოულოდნელი გარდაცვალება ბატონი ჯუმბერის, რომელმაც კვლავ გააახლა ჩემში უდიდესი ტკივილი.

“სანთელს დავუნთებ წმინდა მარიამს  
და შევავედრებ შენს სულზე ლოცვას,  
შენ, საქართველოს უდიდეს ვაჟკაცს  
უკანასკნელად გილოცავთ დიდ გზას.  
შენ განისვენე წყნარად და მშვიდად,  
ზეციდან ლოცე ქართველი ერი,  
ვიცი, რომ ჰპოვებ ცის სასუფეველს  
და ჩაგიხუტებს უფალი ღმერთი.”



## თინათინ ხაბურზანია

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბატონი ჯუმბერ ლეჟავა იყო და იქნება მე-20 და 21-ე საუკუნეების ლეგენდის ახალი გმირი. კაცი-ლეგენდა

მე, მისი სახელობის აკადემიის წევრმა, შევეცადე ჩემი მოკრძალებული ლექსებით შევხმია-ნებოდი მის ამოუცნობ ფენომენს. მისი ნათელი სანთელივით გაუძღვება ჩვენს აკადემიას და ჩვენც შევეცდებით ლირსეულად გავაგრძელოთ მის მიერ დაწყებული ლირსეული საქმეები.

## გამოსათხოვარი პუმის ლეჟავას

ვერ დაგიტირა თანამეცხედრები,  
ვერ დაგაპკურეს შვილებმაც ცრემლი,  
მაგრამ ქართველი, ყოველ მეორე,  
ჭირისუფალი იყო დღეს შენი.  
შემოიარე მსოფლიო ვრცელი,  
შენ ბრუნდებოდი გამარჯვებებით.  
დღეს რად ირჩივ ასეთი გზები,  
რომ დაგეკრიფა გულზე ხელები.

მიგაცილებდა ცრემლი და სევდა,  
ტიტულთა მთელი არზის რეკორდსმენს.  
მსოფლიოს დესპანიც იმიტომ გერქვა,  
გზებზე ტოვებდი მხოლოდ სიკეთეს.  
უკვდავება ბევრ მოღვაწეს ერგო,  
დაიმშვენა ბევრმა ჯილდოთი მკერდიც.  
მთავარი ჯილდო, რაც შენ ერთს გერგო,  
სიყვარულია ქართველი ერის!

2014წ. 30 ივლისი



მანონ ყუბანეიშვილი

რა საშინელებაა... ის კუბოში წევს მშვიდად, ოდნავ სევდიანი სახით. ნეტა რა ვაწყენინეთ? ალბათ, ბევრი რამ ეწყინა ამ ღვთისკაცს ჩვენგან, ამიტომაც წაიყვანა ღმერთმა, არ განირა მეტი ტანჯვისათვის... მან ხომ მთელი მსოფლიოს სიხარული და ტკივილი იგემა ამქვეყნიურ ცხოვრებაში.



რა ალალია მისთვის  
დასვენება, ღვთის ჯილ-  
დოა თითქოს, მაგრამ რო-  
გორ დაგვაკლდა ის, რო-  
გორ გვედგა, ფიზიურად თუ ბრძნული სიტყვით,  
გვერდით; მზად იყო, ყოველთვის საჭირო რჩევა  
მოეცა, ამ უკიდეგანო სპეციალობაში, როგორიც  
კლასიკური მუსიკაა, თუმცა მისი სპეციალისტი  
სულაც არ იყო. როგორ შეეძლო ჩასწვდომოდა მის  
სიდიადეს! როგორ უშურველად იმეტებდა დადე-  
ბით შეფასებას! გამოხატავდა აღტაცებას, ამკობ-  
და ჩემს ხელოვნებას ისეთი სიტყვებით, მოუხედა-  
ვად იმისა, რომ ამ დარგში მოღვაწეობის დიდი



სტაური მაქვს, არავის გამოუმეტებია ჩემი მისამართით, ჯერჯერობით.

ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა მარგუნა ასეთი ლეგენდარული ადამიანის გვერდით ყოფნა, მეგობრობა... და როცა წარმოვიდგენ, რომ ის იყო ჩემი პროექტის დირექტორი და მეგზური (საუბარია საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურთა ხელშემწყობი კავშირი “გიორგი”-ს მიერ წამოყენებულ პროექტზე – დირექტორი გვანჯი მანია – დევიზით: “ხელოვნება აერთიანებს ყველას!” ესაა მუსიკალურ-სარეკორდო მარათონი – 2000 მეტი კლასიკური ნაწარმოების ორმაგი დატვირთვით (როგორც პიანისტი – კონცერტმაისტერი და ვოკალისტი ერთდროულად) შესრულება. გული სიამაყით მევსება, თუმცა ახლა ვინ განახორციელებს ჩვენს დაგეგმილ მოგზაურობას მსოფლიოს გარშემო: თბილისი, საქართველო – მსოფლიო. კიდევ იქნება ადამიანი, რომელსაც ასეთი აღფრთოვანება შეუძლია გამოხატოს ჩემს გამო? მან წარმადგინა ქალბატონ გულნაზ ხარაშვილთან აკადემიაში, რის შემდეგაც დაიწყო ჩემი შემოქმედებითი მეგობრობა ამ უმშვერიერეს პიროვნებასთან.

მე როგორც შემიძლია გავაგრძელებ დაწყებულ საქმეს, იმედი მაქვს მისი სახელი მიწიდანაც დამეხმარება...

გემშვიდობებით საოცარო ადამიანო; კეთილო, ვაჟკაცურო, გულუხვო, სიმართლის მძებნელო მთელს დედამიწაზე და მსურველო, რომ ის შენს სამშობლოში დაგეთესა, ყველაზე დიდი დობით.

შენ აღარა ხარ, რა ტკივილია, რა სიცარიელემ დაისადგურა უცებ... რა ვქნათ, როგორ განვახორციელოთ უშენოდ თქვენი მიზნები, იდეები, ჩვენ ამისათვის ძალიან პანაწინები ვართ. დაგტირით თქვენ და უფრო მეტად ჩვენს თავს. ნეტავ უბატრონო ცხვრების ფარას არ ვემსგავსოთ.

რა გვეშველება, როგორ დავისაჯეთ, რომ ვერ გაგიფრთხილდით.

### რუსულან გორდეზიანი



ჩემთვის საერთოდ მოულოდნელი იყო მისი გარდაცვალება. მისი ისტორიების მოსმენის შემდეგ, ზოგჯერ უკვდავიც კი მეგონა. ბოლოს, გადრაცვალებამდე ოთხი დღით ადრე შევხდი ტექნიკურ უნივერსიტეტში და ერთად დავგეგმეთ საცურაო მარათონი, რომელსაც აგვისტოში ჩავატარებდით. გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე იუბილარი იყო და ტელეფონით მივულოცე. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი, ამქვეყნიურ ცხოვრებაში. სიცოცხლეში ვერ ვაფასებთ ადამიანებს. ალბათ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს სიკვდილი, რომ უფრო მეტად გვიყვარდეს სიცოცხლე. ბატონი ჯუმბერის დამსახურებაა თუკი რამეს მივალნიე სპორტში. ბოლომდე მედგა გვერდით. თავის აღმოჩენას მეძახდა. საკუთარი თავის რწმენას

მმატებდა ის, რომ მას სჯეროდა ჩემი. მოიარა მსოფლიო, გაუძლო ამდენ განსაცდელს, გამოცდას ტკივილს, ღალატს, რწმენით ღმერთისა და სიყვარულით ადამიანების მიმართ, სიყვარულით სამშობლოს მიმართ. გაფრენილი ჩიტივით შემოუარა მსოფლიოს და სამშობლოში დაბრუნდა. ალბათ ამიტომ გაუძლო ამდენ განსაცდელს, რომ საქართველოს სიყვარულს ატარებდა თან. ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით საქართველოზე, ქართველობაზე და სიყვარულზე სამშობლოსადმი. ახლა უფრო მეტად ვხვდები, როგორი შვილი დაკარგა საქართველომ და როგორი მოძღვარი მე. თუმცა

მან იმდენი გააკეთა ჩვენი ქვეყნისათვის და ისე იცხოვრა, რომ მჯერა საუკუნეებს გაუძლებს მისი სახელი და ღირსება საოცარ ადამიანად მსოფლიოს შთამომავლობისათვის. მისი თავმდაბლობა არ გვაძლევდა უფლებას დაგვენახა მისი დიდი ადამიანობა და ალბათ ჩვენ ვერც შევძლებდით ამის დანახვას, რადგან ძნელია დაინახო ის გზა, რომელიც მან განვლო, ერთი შეხედვით დაინახო მსოფლიო და ერთ კადრში ჩატიო იგი. ცხოვრების რაღაც ეტაპზე ადამიანებს ვშორდებით, რომელილაც გზაჯვარედინზე, რაღაც გვაშორებს, რასაც სიკვდილს ვეძახით, მაგრამ მჯერა, რომ ეს მხოლოდ დროებითი განშორებაა და ოდესლაც, სადღაც, ისევ, კვლავ შევხვდებით ჩვენს ძველ მეგობრებს.

არ გემშვიდობებით!



### ლამზირა შეყილაძე



### დაუვიცყარი ეპსქრსია

მზემ თითქოს უსასრულობის ზენიტს მიაღწია, გაბრწყინდა და მეტი მხურვალებით უმტკიცებდა დედამიწას თავის სიძლიერეს. ჰაერი დაიხუთა, სუნთქვა გაჭირდა, ხალხი ქუჩაში გასვლას ერიდებოდა. ამ გაუსაძლის სიცხეს თუ ცხოვრებას ასე თუ ისე გაჭირვებით ვუძლებთ. რას არ მოიფიქრებს ადამიანი! როგორი შესატყვისი სახელი დაარქვეს ქართველებმა ერთ-ერთ თამაშს „ამტანები“. ნამდვილად რომ შეგვეფერება, არა ამის ახსნას კი არ ვაპირებ, უბრალოდ, გამახსენდა...

ტელეფონის წერიალმა გამომაფხიზლა ფიქრებიდან. სიცხით გათანგული ყურმილს დავწვდი. ჩემი სულის მოზიარემ ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა ჩვეული სითბოთი და სიყვარულით მომიკითხა, საუბარში მან მამცნო: შაბათ საღამოს მცხეთაში ექსკურსიას ვაწყობთ, იქნებ შენც შემოგვიერთდე-ო. სიხარულით დავეთანხმე. ვიფიქრე ყოველი დღე ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს და ერთ განსხვავებულ დღეს რომ შეეცვალა ერთფეროვნება, ამაში რა იქნებოდა ცუდი?!

გეზი მცხეთისკენ ავიღეთ, რა თქმა უნდა, ღვთიური ადამიანი ღვთის გზაზე გატარებს, შევე-დით ჩვენს დიდ სალოცავში, სვეტიცხოველში. მოვილოცეთ, სურვილების ასრულება, ერთი-მეორის კეთილდღეობა, ჩვენი სამშობლოს ერთიანობა და სიძლიერე შევთხოვეთ, უფალს მადლობა ვუჩურ-ჩულეთ, ზეციურ დასს მოწინებით მივეალერსეთ და გამოვედით.

შემდეგ დედათა მონასტერს ვეწვიეთ, ღმერთო ჩემო, რამდენჯერ მიფიქრია იქ მოფუსფუსე დედებზე და მათზე, ვინც უფლის გზაზე შემდგარა და ემსახურება უფალს. მეც ხშირად მქონია და ეხლაც მაქვს სურვილი, რომ მათ შევუერთდე, მაგრამ ალბათ, ჯერ მზად არ ვარ ამ დიდ საქმისთვის. ამ ფიქრებში ჩაძირულმა დავანთე სანთლები და იგივე ლოცვებით და სურვილებით მივესათუთე ხატებს. მეგობრები ჩემზე ადრე გამოვიდნენ ტაძრიდან. თვალით მოვიქებნე და მათკენ განვაგრძე სვლა, როდესაც მათ სიახლოვეს მივედი, ჩემს წინ ასეთი სურათი გადაიშალა: საფლავი, მასზე გულალმა მწოლიარე ბავშვი, რომელსაც თვალები ზეცისკენ აღეპყრო, ირგვლივ ხალხი ირეოდა, ზოგი ფეხზე იდგა და ჩუმად ბუტბუტებდა. ზოგი მუხლმოყრილი საფლავზე სურათს დებდა, ზოგი ჯვარს, ზოგიც მხოლოდ საფლავის მიწას ეხებოდა ხელებით და ჩურჩულით ლოცულობდა. მზერა საფლავის ქვისკენ გამექცა. ღმერთო ჩემო, ეს ხომ მამა გაბრიელის საფლავია!

სურათიდან მამა გაბრიელის ლვთიური გამომეტყველება და მზერა ირგვლივ მყოფებს მადლს და სიყვარულს აფრქვევდა. ჩემი პირველი სათხოვარი გულაღმა დაწოლილი ბავშვის სიჯანმრთელე იყო. თუმცა, არ ვიცი თუ რა ანუხებდა, ანდა რა მნიშვნელობა აქვს, ხომ სტკივა... შემდეგ დანარჩენი ხალხის კეთილდღეობა შევთხოვე, ბოლოს ჩემი საწუხარიც დავამატე.

ჩემთვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ისე ვერ ვილოცე, როგორც ადრე მქონდა გადაწყვეტილი, ვერც ლვთიური ზეთი წამოვილე, სამაგიეროდ, ვგრძნობ, რომ წმინდა გაბრიელის მადლი გამომყვა და ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მეხსიერებაში ეს ლამაზი საღამო წარსულის მშვენიერი ფურცელი იქნება, სურათებიც გადავიღეთ ამ დღის აღსანიშნავად. მე პირადად მეამაყება ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნებების გვერდით, უფრო მეტად კი ბატონ ჯუმბერ ლეჟავასთან ყოფნა. აქეთ-იქიდან ესალმებოდნენ და ჩუმად ერთიმეორეს ეჩურჩულებოდნენ: ეს ბატონი უუმბერ ლეჟავა ბრძანდება, დიდი მოგზაური. რამდენიმეს აღტაცებულ თვალებსაც კი წავაწყდი, რაც მეტ სიამოვნებას მანიჭებდა. მომსალმებელთა შორის იმყოფებოდა 20-21 წლის ყმაწვილი, ჩვენი თანამემამულე, ამჟამად საზღვარგარეთ მცხოვრები, როდესაც ბატონი ჯუმბერი წარუდგინეს, მან აღფრთოვანება ვერ დამალა: ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი დიდი პიროვნება თუ ასე თავისუფლად დადიოდა და მე შევხვდებოდი-ო.

ბატონმა ჯუმბერმა შეაგება: აი, აქ, შენს ახლოს, რომ ქალბატონები დგანან, პოეტები არიან, ყმაწვილის თვალებიდან სიხარული, სიამაყე, სიყვარული გამოსჭვიოდა. ხელმეორედ ჩამოგვართვა ხელი და ჩვენც დედური ლოცვა შევაგებეთ. ბატონმა ჯუმბერმა კი უთხრა: იცოდე, სადაც არ უნდა იყო, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ უნდა იღწვოდე-ო.

ასე დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

ჩვენ ყველას ერთი დიდი საფიქრალი გვაქვს, ეს ჩვენი სამშობლოა. სამშობლო, შენ ჩვენი სულის განუყოფელი ნაწილი ხარ და გვტკივიხარ ისე, როგორც საკუთარი სხეული!

ჩვენ გავჩნდით ქვეყნად ღმერთისგან,  
ღმერთია ჩვენი მფარველი,  
ღმერთო, გვაშორე სიმუხთლე,  
გაამთლიანე ქართველნი!

## ბატონ შუმარ ლეჟავას

სამშობლოსათვის თმობდი სიცოცხლეს,  
რამდენჯერ მკერდში მოგხვდა ისარი.  
დარჩება დროთა ქორონიკონებს,  
კაცი, მსოფლიო დაუვიწყარი.  
ახლა დაგტირით, დიდო ლეგენდავ,  
თვალთაგან გვცვივა ცრემლები ლვარად.  
შენი სვიანი სულის მშვენება,  
სამშობლოს გულში ენთება მარად.  
ლვთიური მადლით იყავ მოსილი,  
სიმართლის წმინდა კოშკი აიგე.  
ჩვენი ლოცვები და სიყვარული,  
დიდ საუფლოში საგზლად წაიღე!

## კაპი, რომელიც დაგვაკლდა ყველას

იყავ უამრავ სიკეთით სავსე,  
უმკლავდებოდი ცხოვრების ღელვას,  
ჩვეულ სიმშვიდით გარდაიცვალე,  
კაცი, რომელიც დაგვაკლდი ყველას.  
რამდენჯერ მდგარსარ სიკვდილის ზღვარზე,  
უშიშრად განვლე გზა მამაცობის.  
ლეგენდად ივლის დედამიწაზე,  
სახელი შენი დიდი კაცობის.  
შენთვის ლიაა ზეცის კარიბჭე,  
შეეგებები ყოველ მზისობას.

ბუნებით სათნო და სულით ბროლა,  
მზეში გაჰყვები მარადისობას.  
დროს გადალენავს ტალღების ზვირთი  
და ისტორია გაიმზიანებს.  
შენი ქრონიკის, ცხოვრების ტვირთი  
გაჰყვეთს უხილავ მერიდიანებს.  
დაუკინებარი შენი სახელი,  
სამშობლოს გულში კვლავ იხმაურებს;  
ანი კი, შენი სული, ნათელი,  
უკვდავებაში იმოგზაურებს.

2014 წ.



ლაშა ხარებავა

ბატონო ჯუმბერ, თქვენ ერთად-ერთი პიროვნება იყავით საქართველოში მსოფლიო მოქალაქე...

ერის შვილობა, მსოფლიო მოქალაქეობა, უბრალოება, სიკეთის თესვა ერთად, ვინმეს შეემიჯნოს, სხვაში ნამდვილად არ მინახავს, თქვენ ერთად-ერთი პიროვნება იყავით ასეთი და თითოეულ ქართველი ამაყობდა თქვენით კიდეც...

მჯერა ცაშიც ზარ-ზეიმით შეგხვდებოდნენ. მე ისიც მჯერა, რომ ჩემი ძმა „ბათუ“ შემოგებებოდა და გეტყოდათ: ვერ მიცანი?.. მე ბათუ ვარ, მიწიერნი „სამართლიანს“, რომ მიწოდებდნენ... რადგან აქ მოსვლა შენთვის აუცილებლობას წარმოადგენს, მიგულე ერთგულ მეგობრადო.



## გიორგი ლარიაშვილი



“შეუცნობელია გზანი უფლისანი”, შეუცნობელია სამანი ადამიანის შესაძლებლობებისა.

“უშიში, ვითარცა უხორცო”- ეს ეპითეტი, ალბათ, ყველაზე მეტად ბატონ ჯუმბერს შეესაბამებოდა. მან დიდი შემართებით, ფიზიკური და სულიერი ძალისხმევით, განუსაზღვრელი შრომისმოყვარეობით, უდიდესი მოტივაციით, პასუხისმგებლობით, სამშობლოსა და მოყვასის უსაზღვრო სიყვარულით, თავისი ცხოვრების წესით, გვიჩვენა, რისი მიღწევა შეუძლია, ჩვეულებრივ, მოკვდავ ადამიანს.

ძნელად წარმოსადგენია, ფიქრით გაჰყვე მის განუმეორებელ, ფათერაკებით აღსავსე განვლილ გზას, შექმნ მის მარშრუტს და

განიცადო, შენი თვალით იხილო მთელი მსოფლიო, გადაიღო და აღწერო ნანახი, საკუთარ პრიზ-მაში გაატარო და ნააზრევი შემეცნებითი ტრაქტატის სახით გააცნო საზოგადოებას.

ზამთარში გაიარო ჩრდილოეთის ქვეყნები, სუსხმი და ქარბუქები. ზაფხულში უდაბნოში, ტროპიკულ წვიმაში თუ სიცხეში — გადალახო მთები, ათასობით კილომეტრები და წინააღმდეგობები.

აჩვენო ადამიანის ფენომენალური ფიზიკური და სულიერი ძალის სიმბიოზი, რაც ასე უხვად მიანიჭა უფალმა ბატონ ჯუმბერს, იმ იშვიათ უნარებთან ერთად, და რაც ასე გამოიხატა მის უაღრესად დიდ კეთილშობილებასა და თავმდაბლობაში, შინაგან კულტურასა და ინტელექტში, მის კომუნიკაციელურობაში, საოცარ სიმშვიდესა და წონასწორობაში, მის დიდ, ლალ იუმორში.

ჩვენდა საამაყოდ, ბატონმა ჯუმბერმა მთელ სამყაროს აჩვენა ქართველი კაცის სულის და გენის ძალა, ქართველი ვაჟებულის სახე და ხასიათი.

ბევრი დიდი ქვეყანა იამაყებდა ამ შესანიშნავი პიროვნებით. შემთხვევითი არაა, რომ იგი ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ შეყვანილია 500 წარჩინებულ ადამიანთა სიაში. მის ასაკში დამყარებული გინესის რეკორდები განუმეორებელია.

2009 წელს აღიარებულია მსოფლიო ადამიანად. აღარ ჩამოვთვლი მის მიღწევებს და რეგალიებს, მან სიცოცხლეში დაიდგა ძეგლი უკვდავებისა.

მე ბედნიერი ვარ, რომ ახლოს ვიცნობდი ბატონ ჯუმბერ ლეჟავას. ერთ-ერთ შეხვედრაზე ჩვენ შევთანხმდით, ნატურიდან შემექმნა მისი პორტრეტი, თუმცა მოუცლელობის გამო გადადებდა სეანსს და ჩვეული, უცოდველი, ლალი ღიმილით მომიბოდიშებდა: “აუცილებლად გამოვნასავ დროს, დაგიკავშირდები და დავიწყოთ-ო”...

ფასდაუდებელია და შესასწავლი მისი ფენომენი. კაცმა, რომელმაც იტვირთა დაამარცხა და დაიპყრო მთელი მსოფლიო. კაცი, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. კაცმა, რომელმაც იცხოვრა ალალად, გააზრებული ცხოვრებით, ლამაზი სიყვარულით და ჩვეული სიმშვიდით შეაბიჯა მარადისობაში. კაცი, რომელიც დააკლდა მსოფლიოს და ეზიარა უკვდავებას.



## ნიკო ხერკელაძე



### მოგზაური ბატონი ჯუმბერ ლაჟავა

ჩვენ, ქართველებს საამაყოდ ყოველთვის გვექნება ის განცდა, რომ მსოფლიო მოგზაურთა სიაში ჩვენმა თანამემამულემ ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ, ღირსეულად დაიკავა სათანადო ადგილი.

მოგზაურობისა და მსოფლიოს ნახვის სურვილი, ერთობ მოჭარბებულიც ძალიან ბევრს აქვს, გაეცნოს სხვადასხვა ქვეყნის არსებობის წესს, მათი ტრადიციების შინაარსს, იოლად, შესაძლოა ფინანსური მხარეც მოაგვაროს, მაგრამ უმთავრესი მაინც ფიზიკური მზადყოფნაა, რაც ბატონ ჯუმბერს მოქარბებულადაც ჰქონდა.

მოგზაურობა ხომ არ არის მარტო უცხო ქვეყნების ეგზოტიკური ადგილ-სანახების ნახვა და ტკბობა.

მოგზაურის ბედი მრავალ სახიფათო რისკებთან არის დაკავშირებული. ასეთი მიზნის მიღწევა უდიდეს ნებისყოფას ითხოვს.

მოგზაური, როგორც სპორტული სახეობა, ეს არის ისეთი მოვლენა, გულშემატკივარი, მაყურებელი ხან რომ ჰყავს და ხან რომ არა ჰყავს. მოგზაურს, შესაძლოა ისეთ ადგილებზე მოუწიოს სიარული, ხან ფეხით და ხან ველოსიპედით, სადაც ადამიანებს ფეხიც არ დაუდგამთ, სადაც მხოლოდ ცალკეული ცხოველებია და ისინი იჩენენ მოგზაურის მიმართ ცნობისმოყვარეობას. არა დროულად საჭმელის მიღება, არა დროულად ჰიგიენური მოწესრიგება, ყველაფერი ასეთი ხომ ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენას?! საქმეც ამაშია, რა ინტერესი, მიზანსწრაფვა უნდა ამოძრავებდეს კაცს, ასეთი, რომ უკან არასოდეს არ იხევდეს. ბატონი ჯუმბერ ლეჟავა,

თავისი გენეტიკური მრნამსით, აზროვნებით, სუფთა ქართული იდეალების მატარებელი იყო. როგორც საფუძველი პატრიოტული სულისკვეთებისა, მეორე მხრივ კი კოსმოპოლიტი, დედამიწაზე მვხვრებ მსოფლიო ხალხთა მიმართ მოსიყვარულე გული და სული ჰქონდა. მისთვის სამშობლო საქართველოდან იწყებოდა და მთელ დედამიწაზე ვრცელდებოდა. მას რომ საშუალება ჰქონებოდა, მთვარეზეც და მთელ სხვა პლანეტებზეც იმოგზაურებდა.

მოგზაურობას დიდი ხიბლი და მაგნიტური მიზიდულობაც აქვს, თითოეული საათი, დღე, კვირა, თვე ახალ ახალი სიურპრიზებით გეპატიურებათ. უნახავი არ დამტოვოთო. მეორეს მხრივ, მოგზაურის ხვედრი ესოდენ სარისკოა და მისი ოჯახის წევრების მოლოდინი; როდის დაუბრუნდება მოგზაური ოჯახს.

ბატონი ჯუმბერ ლეჟავას სამოგზაურო საუბრები ბევრჯერ მომისმენია. იგი ცდილობდა, მისი ყველა თავგადასავალი, მსმენელისათვის, საინტერესო და მიმზიდველი გაეხადა. არ გამოტოვებდა არცერთ სიტყვას, წვრილმან მოვლენასაც კი, რომ ის უყურადღებოდ დაეტოვა. იგი სხვადასხვა ქვეყნების მოახლეობის ზნე ჩვეულებებზე, ტრადიციებ-



ზე ისეთი სიყვარულთ, განცდებით საუბრობდა, თითქოს თავის სამშობლოზე გელაპარაკებოდა. ბიოლოგიურად ყველა ქვეყნის ადამიანები ხომ ერთნაირები ვართ, სარწმუნოებით და ტრადიციებით ჩვენ განვსხვდებით. იგი ამბობდა; დედამიწა ძალზედ ლამაზია, ნუთუ არ დადგება ისეთი დრო, ადამიანებმა ურთიერთგასანადგურებელი იარაღი აღარ გამოუშვან-ო.

აქვე მინდა ბატონი ჯუმბერ ლაჟავას შესახებ, როგორც თავმდაბალი კაცი, ერთი შემთხვევა გავიხსენო. მე მას სუფრაზე ოთხჯერ შევხვედრივარ, ერთ-ერთი კასპში იყო, ბატონ უშანგი მოსიაშვილთან. როცა აღნიშნულ დროზე სტუმრებმა თავი მოვიყარეთ ბატონ უშანგისთან, ბატონი ჯუმბერი და ბატონი კარლო ნადირაშვილი მოგვიანებით მოვიდნენ. დარბაზის ბოლოში სათადარიგო მაგიდა იდგა, სადაც სამი კაცი იჯდა, მხოლოდ. ბატონი ჯუმბერი და ბატონი კარლო იმ მაგიდისაკენ გაემართნენ, იქ მსხდომთ მიესალმნენ და დარბაისლურად დაბრძანდნენ. იმ საზეიმო სუფრაზე იყო ხალხი, რომელიც ბატონ ჯუმბერს არ იცნობდნენ, ჩვენ იუბილართან, ბატონ უშანგისთან ვისხედით. ეს მაგიდა მთლიანად შევსებული იყო. ბატონ უშანგი მოსიაშვილს ეუხერხულა, ბატონი ჯუმბერის და კარლოს ბოლო მაგიდაზე ყოფნა. მისი მითითებით, სწრაფად მოადგეს ჩვენს მაგიდას სხვა მაგიდა და შეავსეს სანოვაგით. ბატონმა უშანგიმ მიკროფონი მოიმარჯვა, ბოდიში მოუხადა ბოლო მაგიდაზე მსხდომ ადამიანებს, და ბატონი ჯუმბერი და ბატონი კარლო ჩვენთან გადმოიპატიუა. ბატონმა ჯუმბერმა უარი განაცხადა; სადაც ვართ, კარგად ვართ-ო! აი, აქ გამოჩენდა მისი თავმდაბლობა, ეს ორივე პიროვნება ჩვენს მაგიდასთან გადმოვიდნენ. ბატონმა უშანგი მოსიაშვილმა იქ მყოფ საზოგადოებას გააცნო ბატონი ჯუმბერ ლაჟავა და სთხოვა მოეყოლა რამდენიმე ეპიზოდი მისი მოგზაურობის შესახებ.

ბატონი ჯუმბერი ფეხზე ადგა, მორიცებული ადამიანის იერი ჰქონდა, დინჯად დაინტენის თავისი თავგადასავალის თხრობა. დარბაზში სიჩუმე იდგა, ისეთი სიჩუმე, რომ ბუზის ფრენის ხმა-საც გაიგონებდით.

### თამარ ჯაჭვაძე



### ჩვენს გვერდით ლეგენდა დალილება

ჯუმბერ ლეჟავა გარდაიცვალა-ო! რაო? რას ამბობთ? ეგ როგორ? რა მოერეოდა ჯუმბერ ლეჟავას?! – გაოცებული კითხულობს ნაცნობი და მეგობარი. ეს, ის არ არის მსოფლიო ველოსიპედით რომ შემოიარა? – კითხულობს უცნობი და უცხო.

და უკვირს ყველას, განურჩევლად ყველას.

მან ხომ სიკვდილი დაამარცხა, თანაც რამდენჯერმე.

და მაინც...

გარდაიცვალა.

ეს ხომ ნიშნავს, რომ დატოვა ხორციელი ცხოვრება და სხვაგვარი მოგზაურობა დაინტენი სულეთის სამყაროში. არა ველოსიპედით, მიწაზე და ნაბიჯ-ნაბიჯ, სადაც ამდენი (გარდა მეგობრებისა) მტერი და ქვეგამხედვარი ელობება ადამიანს... არამედ ცაში, დიდი სულიერი და გონებრივი ინერციის ძალით, ფრენას რომ უწოდებენ ზოგჯერ.

და დარჩა დიდი სიცარიელე აქ, ჩვენს გვერდით. სიცარიელე, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი შეავსებს. დარჩენენ საქმენი მისნი, აურაცხელი სიგელები და მედლები. დარჩენენ ადამიანე-

ბი, ვისაც იგი უყვარდა და ვინც მას უყვარდა. დარჩა თვალცრემლიანი გოგონა, რომელიც მან ცხოვრების დიდ გზაზე გაიყვანა და ხელი შეაშველა გაჭირვებისა და ძნელბედობის უამს. დარჩა დაობლებული სამეგობრო. დარჩნენ გადიდებული სურათები მეუღლის და შვილის...

და დარჩა მისი სახელობის აკადემია, მხრებჩამოყრილი ადამიანები, გაოცებულნი რომ მის-ჩერებიან ერთმენტს და უკვირთ, უკვირთ...

ისედაც ხომ ყველას უკვირდა: – ცოცხალი კაცის აკადემია ვის გაუგონია-ო? – არ გაუგო-ნიათ და ახლა გაიგონონ-ო – ეს აკადემიის პრეზიდენტის გულნაზი ხარაიშვილის კიდევ ერთი გა-ბეჭული და ორიგინალური პასუხი და ნაბიჯი გახლდათ.

დღეს უფრო დიდი და ტკივილიანი სიყვარულით შეჰყვარებიათ აკადემიის დაობლებულ და საოცარ ადამიანდაკარგულ წევრებს ერთმანეთი. დგანან ერთმანეთის გვერდით, შეჰყურებენ ერ-თმანეთს და ამ მარადიულ წრებრუნვაში ჩაბმულ სამყაროს და უკვირთ, უკვირთ...

ასე, კუს ნაბიჯით კი არა, აქილევსის მუხლით გარბიან წლები, ნელა-ნელა გვეცლებიან გვერდიდან შეჩერებული და შეთვისებული ადამიანები და რჩება ისევ სიცარიელე, რომელსაც სხვა-ნი და კვლავ სხვანი შეავსებენ, რათა მარადისობის ვებერთელა სამყაროში წონასწორობა არ დაეკარგოს სიცოცხლეს და დედამიწამ ისევ იტრიალოს უსასრულო სამყაროს ერთ პატარა გა-ლაქტიკაში.

ადამიანთა მეხსიერებაში რჩება მოგონება, განვლილი ცხოვრების და... ნეტარება მას, ვისაც ისეთი ცხოვრებით უცხოვრია, რომელზეც მრავალია მოსაგონარი. მრავალი და საუკეთესო.

მეც ერთი პატარა მოგონება ამეცვიატა, იმ მწარე დღებში, ჯუმბერ ლეჟავას ძალიან დიდ თავმდაბლობაზე. შემთხვევა, რომელმაც მაშინვე გამაოცა.

სულ ცოტა ხნის წინ, მთელი საქართველო მცხეთისაკენ, მამა გაბრიელის საფლავისაკენ დაიძრა. მიდიოდნენ ავადმყოფნი და უძლურნი, დედები და ბავშვები, მიცვალებულთა პატრონები და სრულიად ჯანმრთელნი და ბედნიერნი.

გულნაზი ხარაიშვილმა დარეკა: თბილისში ჩამოდით, საოცარ ადგილას მივდივართ-ო. მე და ლამზირა შეყილაძე წავედით. ქალბატონი გულნაზის კაბინეტში ერთი კედლიდან უდროოდ გარ-დაცვლილი ძმის – ბეჟან ხარაიშვილის სურათი გადმოგხედავს... მეორე კედელზე რამდენიმე წე-ლია გაჩნდა შვილის – გელა სხირტლაძის სურათი...

მამა გაბრიელის საფლავზე წასასვლელად შევემზადეთ. ცოტა ტრანსპორტის მოძიება გაგ-ვიჭირდა, ყველა ნაცონბი დაკავებული ან ქალაქიდან გასული აღმოჩნდა. ბოლოს ქალბატონმა გულნაზმა, ბოლოს კი არა პირველ რიგში გასახსენებელი პიროვნება გაიხსენა... სულ რამდენი-მე წუთში, კაბინეტში ჯუმბერ ლეჟავა შემოვიდა და... მაშინვე მცხეთისაკენ ავიღეთ გეზი. გზად დალი აბესაძე შემოგვიერთდა.

მცხეთა საქართველოთი იყო საგსე და მოძრაობა კი არა, მგონი ქალაქში სუნთქვაც კი ჭირ-და. მცხეთის შესასვლელები, ყოველი მხრიდან დაცვის ქვეშ დაგვხვდა, მანქანებით გადაჭედილ ქალაქში, ტრანსპორტი აღარ შედიოდა. საფლავის მოლოცვის ძალიან დიდი სურვილით შეპყრ-ბილნი, გარს ვუვლიდით ქალაქს და ვეძებდით გამოსავალს კი არა, ქალაქში შემავალ გზას. ამ მიმოსვლაში მყოფთ უცებ გამახსენდა: – ბატონო ჯუმბერ, სადღაც აფრიკაში ორი მეომარი ტომი დროებით წყვეტდა ომს, თქვენ რომ გაგევლოთ, მოდით, სწორედ ამ სიტყვებით ვთხოვოთ პოლი-ციას, იქნებ შელავათი დაუშვან და გაგვატარონ-მეთქი. ყველა დამეთანხმა, ჯერი თავად დიდ მოგზაურზე დადგა... და ყველა ჩვენგანის გასაოცად, ბატონმა ჯუმბერმა მორიდებით გამოგვიც-ხადა: – უხერხულია და იქნებ სხვა დროს წამოვიდეთო!

გაოცებული დავდუმდი. ამ სამყაროში, სადაც თითქმის ყველა ხერხი გამართლებულია მიზ-ნის მისაღწევად, თურმე დიდი ადამიანები საოცარი მოკრძალებით, ჩუმი ნაბიჯებით და ბავშვი-

ვით სუფთა ღიმილით დადიან, რომ არავინ შეაწუხონ. ადამიანები, ვისთვისაც მიზნის მიღწევა ყველანაირი ხერხით კი არა, მხოლოდ გულის სისხლით, დიდი ძალისხმევით და თავშენირვით არის დასაშვები და მისაღები.

ასეთი კაცი დადიოდადა ჩვენს გვერდით, როგორც ხშირად უწოდებენ; კაცი – ლეგენდა!

მცხეთიდან უკან დაბრუნების გამო დიდ მოგზაურს გული რომ არ სტკენოდა, თავად გულ-მოკლულმა ქალბატონმა გულნაზმა ყველასთან ერთად დაამშვიდა: – ალბათ უფალს ასე ენება-ო!

დღეს ის დღე უკვე წარსულად ქცეულა, მოგონებად შემოგვრჩენია, მაგრამ რატომდაც მგონია, რომ ადამიანები მუდამ უფლის ნებაზე არ დავდივართ.

ჯუმბერ ლეჟავას ასე მოულოდნელი გარდაცვალება უფლის ნება კი არა, შეიძლება ჩვენი ადამიანური შეცდომა იყო, მედიცინის შეცდომა. იგი ხომ ყველას უკვდავი გვეგონა (შეიძლება არაფიზიკური, არამატერიალისტური გაგებით) და ვერც კი წარმოიდგენდა ვინმე, რომ ასეთი დიდი და გამძლე, მაგრამ სიკეთეში და სიყვარულში დაღლილი გული, კიდევ ერთ ტკენას და ჩხვლეტას ველარ გაუძლებდა.

მე კი მგონია, რომ ჯერ ვერც კი გაგვიცნობიერებია, რომ ჩვენი დიდი მოგზაური და მშვიდობის დესპანი, ჩვენს გვერდით აღარ იქნება...

...და ვიდრე ცოცხლები ვიქწებით, ვიდრე ამ სააქაოს, ამ სამყაროს კიდე-განედში ვმოგზაურობთ, ალბათ დიდი დაფიქრებისას მყისეულად ცნობიერების დაგაღმა გადასახლებულნი, ძალიან ხშირად დავუცდით თითქოსდა უკანასკნელი მოგზაურობიდან მის დაბრუნებას...

რეალობაში კი, ადრე თუ გვიან, ჩვენც გავუყვებით იმ მარადიულ გზას, ამ სამყაროში წუთიერად შემოხეტებული მოგზაურები.

### გემვიდობებით

შემოგივლია ლურჯი პლანეტა,  
დაგქონდა გული, ტკივილით სავსე...  
ახლა მიდიხარ სამოგზაუროდ  
უსასრულობის კოსმიურ გზაზე.  
დატოვე ბედი, ცრემლით ნაზავი,  
დღეს, უჩვეულო, ირჩიე სხვა გზა...  
და სიყვარული უზარმაზარი  
ყვავილებივით წაიღე საგზლად.

სსოვნა-აჩრდილი იმედს გინვდიდა,  
ერის დესპანო და მოგზაურო,  
მინაში არა, წახვალ მიწიდან,  
უკვდავებაში სამოგზაუროდ.  
მიტოვებული, სულშეშლილები,  
მოგინატრებენ უვალი გზები...  
დღეს საქართველო გემშვიდობება,  
დღეს საქართველოს ემშვიდობები!



გაგა გულიაშვილი

ბატონო ჯუმბერ, შენი სახელობის აკადემიის წევრები გზას გილოცავთ  
ცის სავალ გზაზე და გჯეროდეს, ჩვენს გულებში სამუდამოდ დარჩები იმედის  
უშრეტ წყაროდ...



ოთარ ურუშაძე

## პუმბის ლეჟავა

ადამიანი ლეგენდა, ასე შეიძლება უნოდო ჯუმბერ ლეჟავას. რომელმაც მიუხედავად შელახული ჯანმრთელობისა და ასაკისა, შეუძლებელი შესძლო და ალბათ ადამიანის შესაძლებლობის ზღვარი გადალახა. მან მსოფლიოში გაიტანა ქართველი კაცის როგორც საკვირველი ფენომენის სახელი.

ყველაფერი ჯანმრთელობის გამოსწორების მიზნით დაიწყო. მან ნაბიჯ-ნაბიჯ სისტემატიური ვარჯიშებით, უდიდესი ნებისყოფის წყალობით, მიაღწია წარმოუდგენელ შედეგს. გახდა გინესის რეკორდსმენი იატაკიდან ხელით აზიდვაში და ასევე გარკვეული პერიოდის შემდგომ ორთვლიანი ველოსიპედით, მსოფლიოს შემოუარა.

ჯუმბერი გავიცანი, ჩემი პოეზიის კრებულის პრეზენტაციაზე. იგი მაშინ უკვე გინესის რეკორდსმენი გახლდათ. გვანჯი მანიამ, რომელიც ასევე ესწრებოდა პრეზენტაციას და გახლავთ, გინესის საზოგადოების წარმომადგენელი საქართველოში, გვამცნო რომ ჯუმბერს ახალი რეკორდის დამყარება აქვს ჩაფიქრებულიო. კერძოდ იგი აპირებს ორთვალა ველოსიპედით, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობას. მე და ჯუმბერი ერთი ასაკის გახლდით. მიუხედავად იმისა რომ მე ახალგაზრდობაში ველოსიპორტით ვიყავი გატაცებული, იმ ასაკში, ველოსიპედით მცხეთაშიც კი გამიჭირდებოდა ჩასვლა. რაც ჯუმბერს გულახდილად უთხარი. მას გაეცინა და მითხრა, – ყველაფერი უდიდესი შრომის შედეგად მოდისო. ჯერ ველოსიპედის მართვას სრულად დავეუფლები, შემდეგ დისტანციებს ნელ-ნელა გავზრდიო. მისი ეს ჩანაფიქრი, ოცნებას უფრო გავდა და მის რეალიზაციაში ეჭვი შემეპარა. მან კი უამრავი კითხვა დამისვა: – რა სახის და წონის ველოსიპედები არსებობენ? აქვს თუ არა ველოსიპედებს კაუჩუკის საიმედო საბურავებიო? რომელი სახის ველოსიპედს მირჩევო?, და სხვ. მე ვუპასუხე რომ თანამედროვე ველოსიპედები შედარებით მსუბუქი და დახვეწილია. მაგრამ, მისი წონა საკმაოდ შეიძლება გაზარდოს, მოგზაურობისათვის საჭირო საგნების ტრანსპორტირებამ. ისიც ვუთხარი რომ თანამედროვე ველოსიპედების ფასი საკმაოდ გაიზარდა და მანქანის ღირებულებას მიაღწია. ამიტომ მართვის ჩვევები და გამძლეობა ჯობდა თავიდან იაფად ღირებულ გზატკეცილების ველოზე დაეხვენა. მე კიდევ ერთხელ ვურჩიე, ხელი აელო ამ სახიფათო ჩანაფიქრზე, რაზეც მისმა თანაკლასელმა ბრძანა რომ ჯუმბერისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი და იგი დარწმუნებული იყო მის წარმატებაში.

მართლაც, გავიდა ხანი და პრესაში გამოჩნდა, მსოფლიოს გარშემო მოგზაურის ინტერვიუ სხვადასხვა კონტინენტიდან. ეს იყო საოცრება, წარმოუდგენელი რამ, ეს იყო ქართული გენის ზეიმი. ჯუმბერმა ოცნება რეალობად აქცია. დღეს საქართველოში ბევრი გინესის რეკორდსმენი გვყავს მაგრამ უნდა მოგახსენოთ რომ ჯუმბერის რეკორდი ორიგინალობითა და მასშტაბით გაცილებით მაღლა დგას და ვფიქრობ რომ განუმეორებელია.



## რესუდან კალანდაძე



### დილი მოზაური

როცა ბატონ ჯუმბერ ლეუავაზე დავიწყე წერა, უნებლიერ ამოტივ-ტივდა ჩემს მეხსიერებაში პროფესორ მოსე გოგიბერიძის საოცარი სიტ-ყვები: „სიყვარული ბუნების უდიდესი ფენომენია. იგი ის კოსმიური ძალაა, რომელმაც ქაოსიდან წესრიგი წარმოშვა და არსებობას ფორმა და შინაარსი მისცა...“

სიცოცხლე სიყვარულის სინონიმია, სიყვარულის ფორმაა.

გამრავლება და განვითარება – ორგანიზმის ეს ორი უძირითადესი კატეგორია – სიყვარულის ძალას მოჰყავს სისრულეში. ამიტომ სიყვარულის ძალას მოკლებული სიცოცხლე არსებობის უფლებას მოკლებული ფენომენია.

სიყვარული არის არსებობის შინაარსი და ის დასაბამი, რომელიც საფუძვლად უძევს ყოველივეს, რაც არსებობს და იმასაც, რასაც აქვს არსებობის ჯერარსობა!“

სწორედ ბატონი ჯუმბერ ლეუავა იყო ის პიროვნება, ვინც სიყვარულით იყო გამთბარი და თავისი ფართო მოღვაწეობით ათბობდა სამყაროს, სამშობლოს, ადამიანებს.

ერთგულება მისი დიადი სულის დამახასიათებელი თვისება გახლავთ. დაუვიწყარია მისი გამომეტყველება – რომანტიული, სადღაც ბავშვური და ამასთან, საოცრად რაინდული, როგორი იყო კიდეც.

ძნელია მასზე წერა, რადგან ადვილი როდია ააწრიპინო კალამი დიდ პიროვნებაზე, ძნელია უთხრა შესაფერი სიტყვები იმიტომ, რომ ბატონი ჯუმბერი არ ჰგავდა საზოგადოების წევრთა უმრავლესობას.

ძალიან ბევრი დაგვაკლდა მისი გარდაცვალებით, მაგრამ სამაგიეროდ ერთი ულამაზესი, შეყვარებული სულით გამდიდრდა ზეცა...

ყველას, ვინც კი იცნობდა ბატონ ჯუმბერს, გულწრფელად გვნამს, რომ იგი ზეციდანაც ილოცებს იპერიის გაბრწყინებისათვის და როგორც ზოგადსაკაცობრიო ადამიანი, ილოცებს რომ მარად ლურჯი ზეცა ეფინოს ჩვენს პლანეტას.



**ზაურ ბედია**

## ორიოლ სიცყვა ჯუმბერ ღევავაზე

რა უნდა თქვა ადამიანმა მსოფლიოში სახელგანთქმული მოგზაურის, სასიქადულო ქართველი ვაჟაკაცის ჯუმბერ ლეჟავას შესახებ??

განა მისი მართლაც შეუპოვარი ცხოვრება, მთელმა კაცობრიობამ არ იცის?

დღეს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ინტერნეტის ჯადოსნური შესაძლებლობით, დაწვრილებით გაეცნოს ამ ლეგენდარული კაცის თითოეულ მიღწევას, მაგრამ ხომ უნდა იცოდეს მომავალმა თაობამ, რომ ჯუმბერ ლეჟავა ყველგან და ყოველთვის, უპირველესად, საკუთარ სამშობლოს – საქართველოს წარმოადგენდა?

ხომ უნდა გვახსოვდეს, რომ ბატონმა ჯუმბერმა მთელ მსოფლიოს უჩვენა, როგორი სულისკვეთებით და სიმამაცით არის დაჯილდოვებული ქართველი?

ხომ საკუთარველია ამტანობა იბერთა შთამომავლის, რაც უზენაესთან საიდუმლო კავშირზე მეტყველებს?

ხომ ცნობილია, რომ ნებისყოფაში უფლის ძალისხმევაა ჩადებული და მხოლოდ ერთეულებს ძალუქთ მისი მოპოვება?

ჯუმბერ ლეჟავას მიერ განვლილ ურთულეს გზას, უეჭველია, ზებუნებრივი ძალა მეთვალყურეობდა, რადგან ჩვეულებრივი მოკვდავისთვის შეუძლებელია ამდენი უბედურების გაძლება!

კაცი, რომელიც ჯერ კიდევ 1986 წელს ნაწლავების ურთულეს ოპერაციას იკეთებს, ინვალიდობის მაგიერ, საკუთარი რწმენის მეოხებით, არა მხოლოდ ცოცხალია, არამედ 1990-1992 წლებში ამყარებს შვიდ მსოფლიო რეკორდს მკლავებზე აზიდვაში და გინესის წიგნში საპატიო ადგილს იკავებს

ამის შემდგომ მან შემოიარა აზია, ოკეანეთი, ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა, აფრიკა, ანტარქტიდა. სულ 234 ქვეყანა და დამოკიდებული ტერიტორია!

უწყვეტად იმოგზაურა ცხრა წელიწადი და სამი თვე! ველოსიპედით გაიარა 270 ათასი კილომეტრი!

მთელი ამ ხნის განმავლობაში გამოიყენა ცხრა ველოსიპედი!

ეკვატორი გადაკვეთა 10-ჯერ!

გადაიღო 50 000-ზე მეტი ფოტოსურათი!

საკუთარი შთაბეჭდილებები განათავსა 7 000 ფურცელზე!

თავს დაესხა: 50 ადამიანი და 15 მხეცი.

კარავსა თუ ლია ცის ქვეშ ღამე გაათია 1 000-ჯერ!

საავადმყოფოში მოათავსეს 6-ჯერ

ციხეში გამოამწყვდიეს 15-ჯერ

პოლიციამ დააპატიმრა და დააფიქსირა 4 000-ჯერ!

საპარის უდაბნოში 3 700 კმ. გაიარა უძლიერესი ქარისას, ქვიშის წვიმებისა და ქარბუქისას!

გაიარა ჯერაც არავისგან მონახულებული ამაზონის ჯუნგლები!

იმოგზაურა ანტარქტიდაზე ორჯერ ველოსიპედით  $45^{\circ}$  ყინვაში! ალიასკაზე სადაც იყო 41° ყინვა. ზამთარში გაიარა გრენლანდია, ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი... სტოკოლმში ფეხები მოეყინა. ღიაგნოზი გახლდათ განგრენის დასაწყისი, ფეხების მოკვეთა გადაუწყვიტეს, მაგრამ სთხოვა ფინეთამდე გამიშვით, იქ მოვრჩებიო...

იქ ქართველმა მეგზურებმა მაღამო დაახვედრეს და მას შემდეგ ფეხები შეინარჩუნა, მაგრამ 13 წელიწადი მკურნალობდა!

პაკისტანის უდაბნოში 51° სიცივეში გაიარა 2 400 კილომეტრი.

ჯუმბერ ლეჟავამ პირველად ისტორიაში გადაკვეთა ჩინეთის უდაბნო ტაკლა-მაკანი, სადაც წნევა დაუვარდა, თავს უშველა ქვიშაში ჩაფლვით. შემდეგ მას ვიღაც ავაზაკმა პოლიციელებმა დაალევინეს მოწამლული წყალი და, მხოლოდ შემთხვევით, გეოლოგებმა გადაარჩინეს! სხვათა შორის სტოკოლმში, საოპერაციო მაგიდაზე, როცა ქირურგმა ფეხების მოსაკვეთი ხერხი მოიმარჯვა და ჯუმბერს ჰკითხა: – ახლა რაზე ფიქრობ, პაციენტმა უპასუხა: – ნეტავ სად მომჭრით ფეხებს, უფრო პროტეზი მიშველის, რომ გავიკეთო და ისე ვიმოგზაურო-ო.

ბატონი ჯუმბერი ახალ წელს 1994 წელს შეხვდა ეგვიპტეში; 1995 წელს – მაღაიზიაში; 1996 წელს – ჰონგ-კონგში; 1997 წელს – ამერიკის შეერთებულ შტატებში; 1998 წელს – არგენტინაში; 1999 წელს საფრანგეთში; 2000 წელს კონგოში; 2001 წელს ეთიოპიაში; 2002 წელს – შვედეთში!

მოგზაურმა გადალახა: 3 ოკეანე, 150 ზღვა, 1000 მეტი მდინარე, ათი ათასობით ქალაქი თუ სოფელი!


რომ იტყვიან ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი – “დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია! მთავარი ის არის, რომ ბატონმა ჯუმბერმა კითხვაზე: – რა იყო თქვენი მთავარი მიზანი?”, მოკრძალებით უპასუხა: – რა მომცა ამ მოგზაურობამ? ჩემი მთავარი მიზანი, სხვადასხვა ქვეყნის კულტურათა შესწავლა არ ყოფილა! ჩემი ჩანაფიქრი იყო ადამიანის ფიზიკური, ფსიქოლოგიური შესაძლებლობების შესწავლა ექსტრემალურ პირობებში, რათა დამემტკიცებინა, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა!

აი, ასეთია ჩვენი თანამემამულის, სამშობლოს ლირსეული წარმომადგენლის, დიდი ქართველი კაცის ჯუმბერ ლეჟავას მიღწევათა ჩამონათვალი, მაგრამ... რაც წერილის დასაწყისში მოგახსენეთ: უფლის ყურადღების, მისი შემწეობის გარეშე, ადამიანს ამგვარი საქმეების აღსრულება არ შეუძლია!

მაშასადამე ბატონმა ჯუმბერმა თავისი ერთგულებით, მორწმუნეობით დაიმსახურა ყველა ადამიანისათვის სანატრელი ჯილდო, რაც ორი სიტყვით გამოიხატება: “უფალი შენთანა!”

სოხუმის გაერთიანებული ავია-რაზმის,  
ტუ-134 ხომალდის მეთაური,  
საქართველოს სახალხო მფრინავი  
ორესტი (ზაური) ოსების ძე ბედია

## ლევან ბაბუხაძია



## მარცლ ლაუკინწყარი პიროვნება

დიახ, ჯუმბერ ლეჟავა ნამდვილად დაუკინწყარი პიროვნებაა არა მარტო თანამედროვეთათვის, არამედ მომავალშიც მარად დაუკინწყარი იქნება. თითქოსდა ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანი ამდენად მრავალ-მხრივი, შთამბეჭდავი, ზებუნებრივი თვისებებით შემკული პიროვნება გახლდათ, რაც დრო გავა, მით უფრო გაიცნობს და დააფასებს მას მო-მავალი თაობები.

პირადად მე ჯუმბერ ლეჟავას მანამ ვიცნობდი, სანამ ფართო სა-ზოგადოება გაიცნობდა, როგორც ჯერ გინესის რეკორდსმენს და შემ-დეგ დიდ მოგზაურს. იგი ჩემთან, გამომცემლობაში მოვიდა, თავი უბრა-ლოდ წარმიდგინა და თავისი მოკრძალებული, იდეა გამაცნო გინესის რეკორდების კრებულის ქართულ ენაზე გამოცემის შესახებ. მეც დავინტერესდი ამ საქმით, რამ-დენჯერმე შევხვდით ერთმანეთს, ამასობაში დავმეგობრდით კიდეც, მაგრამ ეს საქმე ჩვენგან და-მოუკიდებელი მიზეზთა გამო, განუხორციელებელი დარჩა.

მალე იგი, ჩემდა და ალბათ ბევრის გასაკვირად თავის დიდ მოგზაურობაში ჩაება.

მოგზაურობის დროს მასთან უურნალისტ გვანჯი მანიას გულისხმევით არც თუ იშვიათად იმართებოდა ტელე თუ რადიოსიდები საქართველოს ტელევიზიაში. რამდენჯერმე მეც ვესწრებო-დი ამ ღონისძიებას და კარგად მახსოვს როგორი შემართებით გვესაუბრებოდა დედამიწის უშო-რესი წერტილებიდან. როგორ ინტერესდებოდა საქართველოში მიმდინარე წვრილმანი პროცესე-ბითაც კი. ცდილობდა ყველაფრის საქმის კურსში ყოფილიყო. პირად გასაჭირს არად აგდებდა, ბევრს არც გვიმხელდა და აქეთ გვაიმედებდა, გვაქეზებდა კეთილ საქმეთა საკეთებლად.

ეს დიდი მოგზაურობა ველოსიპედით დედამიწის გარშემო 3333 დღეს გაგრძელდა და წარ-მატებით დასრულდა. თვითონ პროცესი კი ბევრ საინტერესოსთან ერთად ძალიან ძნელი და ფა-თერაკებით სავსე იყო. აბა წირმოვიდგინოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, გზებსა და უგზო-ობაში, უამრავ მანქანას შორის ველოსიპედზე ამხედრებული ან გაუგალ ჯუნგლსა და ტალაბში ზურგზე ველოსიპედაკიდებული, ზოგჯერ ორფეხა თუ ოთხფეხა მხეცთა შორის როგორ ჯიუტად მიიკვლევდა გზას ეს შუახანს გადაცილებული მამაკაცი. ხშირად აწვალეს, ველოსიპედი მოპარეს, ჩამოართვეს, ქვა ესროლეს, მოწამლეს, დააპატიმრეს.

აქვე უნდა ვთქვათ და თვითონაც ხშირად აღნიშნავდა, რომ ამ უძნელეს მოგზაურობაში ძა-ლას აძლევდა და ეხმარებოდა თავისი დიდი პატრიოტული გრძნობა სამშობლოს სიყვარული, სა-დაც კი საშუალება მიეცემოდა, სრულად უცხო ხალხს უამბობდა საქართველოს წარსულისა და თანამედროვე ყოფის შესახებ.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ ძნელ პირობებში იგი ქმნიდა დიდ სათავგადასავლო ეპოპეას. ინიშნავდა, ინერდა, ფოტოებს იღებდა, იმახსოვრებდა ყველაფერს და სრულად ობიექტურად, ყო-ველგვარი მიკერძოების გარეშე აღწერდა მრავალი ქვეყნისა თუ სახელმწიფოს კლიმატს, ლირსშესა-ნიშნაობებს, ეთნორეალიებს, კულტურულ მემკვიდრეობას, თითოეულ ფაქტსა თუ შემთხვევას. ამ ნაწერებში ნამდვილად გამოსჭვივის მწერლური ნიჭი. ამასთანავე ფაქტების შეულამაზებლად გადმო-ცემა, გულახდილობა, უშუალობა და მიუკიბავი თხრობა დიდ ღირსებას მატებს ამ ნაშრომს. ამის გა-მოარომ ეს დიდი ნაშრომი მთლიანად ინტერესით და ერთი ამოსუნქვით იკითხება.

ამ უჩვეულო წიგნში ასევე აისახა ავტორისდროინდელი თბილისი თუ საქართველო, მეორე მსოფლიო ომის პერიოდი, ბავშვობის წლები, სკოლა, მასწავლებლები; საბჭოთა კავშირისა და ტოტალური რეჟიმის რღვევა, ქართული ეროვნული მოძრაობის პერიოდი, მკითხველის წინაშე ცოცხლდება საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნის სურათები...

ჯუმბერ ლეჟავას ნაშრომის გამოცემა 50 ტომად იყო განსაზღვრული. მათ შორის რამდენიმე ტომი გამზადილი იყო გამოსაცემად ჯერ კიდევ ავტორის სიცოცხლეში, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ძნელბედობისა და ავუამინდობის გამო ამ საქმეს თავი ვერ დაერქვა. ცხადია, ეს საშური და საშვილიშვილო საქმე სხვა უამრავთან ერთად ჩვენი მომავალი თაიბებოს საზრუნავი იქნება და რაც მალე მოგვარდება, მით უკეთესი ჩვენი წარსულისა თუ მომავლისათვის. მანამდე კი ყველამ, ვის როგორ შეგვიძლია, უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ ჯუმბერ ლეჟავას ღვაწლის წარმოსაჩენად.

## ა ც ე

### მზია ელიაძე



### ბაცონ ჯუმბერ ლეჟავას გახსენება

არის ცხოვრებაში ბედნიერი წუთ-წამები, როდესაც უფალი თავის მადლიან კალთას დააპერტყავს ამა, თუ იმ ერს და ქვეყანას გენიოს ადამიანთა მოსვლით მამულის წინსვლა-განვითარებისათვის.

სწორედ, რომ თამამად შემიძლია ვთქვა ბატონ ჯუმბერ ლეჟავას პიროვნების შესახებ. კაცი ლეგენდა, კაცი სიამაყე, კაცი ქვეყნის კოლორიტი... დაუსრულებლად შეიძლება მასზე ლაპარაკი.

როდესაც ერს ასეთი საიმედო, საამაყო და სასახელო მამულიშვილები ჰყავს, იმ ერს გადაშენება არ უწერია.

მე ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ მისი აკადემიის სრულუფლებიანი წევრი გახლავართ. იგი ჩემთვის დიდი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვო ამ ქვეყნად; რა მისით ხარ მოვლენილი, რა დანიშნულება გაქვს მიწიერ ყოფის...

სამშობლო, რომელიც შენი სახლია და შენ, ეს დიდებული სახლი თავზე მეტად არ გიყვარს, მაშინ, შენ, უსამშობლო, უგულო და უთვისტომო ხარ!..

არიან ადამიანები, რომლებიც მცირე დროით მოდიან ამ ქვეყნად და ისეთ დიდ კვალს ტოვებენ, რომ მარადიულად ცოცხალნი არიან; მაგრამ, არიან ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ აღარავის ახსოვს.

სწორედ ასეთ დიდებული, ბრწყინვალე და ხანმოკლე მიწიერ ყოფის კატეგორიას მიეკუთვნება ბატონი ჯუმბერი... იგი თამამად შემიძლია ვთქვა, იყო ერის და ქვეყნის საპატიო და საამაყო გმირი... იგი ეკუთვნოდა არა მარტო საქართვევლოს, არამედ, მთლიანად მსოფლიოს, ანუ, მსოფლიოს საკუთრება იყო.

ვამაყობ, რომ ასეთი გენის, ძირის, ფუძის და გენიოსების ქვეყნის შვილი ვარ!...

12.05.2019



## ჯემალ ადამაშვილი

კომპოზიტორი  
ჩოხოსანთა ანსამბლ „შავლეგოს“

მუსიკალური ხელმძღვანელი  
გიორგი ლეონიძის პრემიის ლაურეატი  
ლირსების ორდენის კავალერი

## ჯუმბერ ლეჟავა – 80

არიან ადამიანები და მოვლენები, რომელთა მეხსიერებიდან ამოშლა შეუძლებელია. ჩემთვის ასეთი ადამიანი იყო და მუდამ იქნება ლირსეული მამულიშვილი, უწესიერესი, უერთგულესი და უდალატო მეგობარი, მსოფლიო მნიშვნელობის მოგზაური – ჯუმბერ ლეჟავა.

მისი ღვაწლი და სახელი უკვდავია ქართველი ერისთვის და ეტალონადაა აღიარებული.


ჯუმბერის მოულოდნენმა გარდაცვალებამ ძალიან გვატკინა გული ყველას, მთელ საქართველოს. მან ველოსიპედით რამდენჯერმე შემოუარა დედამიწას და მსოფლიო რეკორდები დაამყარა. ამის გამო ჯუმბერ ლეჟავა გინესის რეკორდების წიგნში შეიცვანეს, როგორც უდიდესი მოგზაური. მისი მოგზაურობის პერიოდი არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი, მან სიკვდილსაც ბევრჯერ ჩახედა თვალებში, თუმცა, ჯუმბერის გული არასდროს შემდრკალა. იგი ყოველთვის პოულობდა გამოსავალს. ჯუმბერი იყო თავდადებული ერისკაცი, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, წინდახედული, გამჭრიახი, კაცთმოყვარე, ძლიერი, შეუპოვარი თავის საქმეში, პატრიოტი, მებრძოლი ბუნების ადამიანი. ღვითისაგან დიდი ძალა ჰქონდა მინიჭებული, იყო უშიშარი და ამავე დროს ძალიან თავმდაბალი. ჯუმბერ ლეჟავა ასევე იყო საქ. ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ნამდვილი რაინდი და ლირსეული ჩოხოსანი. ის კიდევ აპირებდა დიდი გეგმების განხორციელებას, თუმცა, აღარ დასცალდა.

ჩემო ჯუმბერ, შენი დიდი საქმითა და ვაჟკაცური ცხოვრებით ამ ქვეყნად ხელთუქმნელი ძეგლი დადგი, რომელსაც ვერავითარი დრო ვერ წაშლის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული – დიდო ქართველო.



## სიმონ ზაქარაია



## პირველი ინტერვიუ მსოფლიო მოგზაურობისან ლაბრუნებულ ჯუმბერ ლეჟავასთან

ერთ დღეს ვაუა ეგრისელთან და თემურ მიბჩუანთან ერთად მე და შალვა სიჭინავა რუსთაველის პროსპექტზე სეირნობისას მოულოდნელად შეგვხვდა შუახნის, საშუალო სიმაღლის, საკმაოდ ჩაფსევნილი, ლამაზად მომლიმარი კაცი, რომელმაც მეტად გულთბილად და შესაშური ემოციებით მიესალმა ბატონებს ვაუასა და თემურს. ეს ადამიანი აღმოჩნდა ველოსიპედით მსოფლიო მოგზაური ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, რომელიც 9 წლიანი მარათონის შემდეგ ერთი კვირის დაბრუნებული ყოფილა თავის მონატრებულ სამშობლოში. მათ შორის მეგობრული და საინტერესო საუბარი საკმაო ხანს გაგრძელდა. აშკარად ჩანდა, რომ ხანგრძლივი მოგზაურობისას განცდილი ურთულესი წინააღმდეგობებისა, რომელსაც ხშირად თან ახლდა სიცოცხლისათვის საშიში შემთხვევები, მაინც კმაყოფილი იყო თავის მოგზაურობის შედეგებით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს გრანდიოზული გეგმა მოგზაურობისა შედგა მისი უასლოესი მეგობრის, ერთი ღირსეული შვილის უიული შარტავას თანადგომითა და ძალისახმევით. მართალია ბატონი უიული გმირული სიკედლით დაეცა აფხაზეთის ომში, მაგრამ ბატონი ჯუმბერი მის წინაშე ვალმოხდილად გრძნობდა თავს.

გარკვეული საუბრის შემდეგ, ბატონმა ვაუამ ჯუმბერს ჩვენი თავიც გააცნო და თან თხოვა მას გაზეთ „დიოსკურიისათვის“ ინტერვიუ მოეცა ჩვენთვის, რაზედაც შევთანხმდით კიდეც.

მეორე დღეს, მე და შალვა დათქმულ დროს ბინაზე ყაზბეგის № 11-ში ვენვიეთ ბატონ ჯუმბერს. ჩვენი თავშეყრა და საუბრები თითქმის 3 საათს გაგრძელდა. იგი ეხებოდა სხვადასხვა საკითხებს – მის პროფესიას, დაკავებულ თანამდებობებს, ნაწილობრივ კი მოგზაურობის დროს განცდილ ყველაზე უფრო დამამახსოვრებელ ფაქტებს. ბატონი ჯუმბერის პასუხები იყო უხვი და მოცულობითი, ჩანდა, რომ მრავალი წლის მანძილზე საკუთარ მამულს და მშობლიურ ხალხს მოწყვეტილ კაცს მეგობრულ ატმოსფეროში საუბარი ძალიან სიამოვნებდა. ბატონმა ჯუმბერმა თავის წარსულზე შემდეგი გვიამბო: დაიბადა ქ. თბილისში, 1939 წელს, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1964 წელს შექმნა ოჯახი, იმავე წლიდან მოღვაწეობდა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში, სადაც კურირებდა საქართველოში განათლების, მეცნიერების, სახალხო მეურნეობაში კომპიუტერიზაციის დაპროგრამების განვითარებისა და დანერგვის უზრუნველყოფას. გამოქვეყნებული აქვს 24 სამეცნიერო შრომა. 1987 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. აღსანიშნავია, რომ მისი მეცნიერული კვლევის მაღალ ეფექტურობაზე მიუთითებს მისთვის ქვეყნის უმაღლესი ჯილდოს მინიჭება.

ბატონმა ჯუმბერმა განსაკუთრებული ყურადღება მის ფიზიკურ სისუტეს, ჯანმრთელობის გამოკაუვა მან შეძლო უწყვეტი და ეფექტური ვარჯიშებით სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სწორედ ეს დაედო საფუძვლად მის ფანტასტიკურ ფიზიკურ სიძლიერეს. თუმცა, დასძინა მან, 46 წლის ასაკში მაინც მოუხდა გადაეტანა ორი უმწვავესი ქირურგიული ოპერაცია, წვრილი ნაწლავის განგრენის დიაგნოზით. ოპერაციების შემდეგ მან ჯანმრთელობა ისევ და ისევ ინტენსიური, უწყვეტი ვარჯიშებით აღიდგინა. : „ჩემი ჯანმრთელობის სტაბილურობაზე მიუთითებს ის ფაქტი – ბრძანა ბატონმა ჯუმბერმა, მე მოგზაურობის დაწყებამდე 14-ჯერ დავამყარე მსოფლიოსა და გინესის რეკორდი მკლავებზე აზიდვაში“.

შემდეგ ჩვენ შევეკითხეთ თუ იყო მგზავრობის მოსიყვარულე ყმაწვილობის დროს: „მე სტუ-დენტობის წლებიდან ვიყავი მგზავრობით გატაცებული, ჯერ საქართველოს ყოველი კუთხე მო-ვიარე, გულდასმით ვათვალიერებდი მშობლიური მხარის ღირშესანიშნეობებს, შემდეგ კი ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკას ვესტუმრე, მქონდა მათი ქალაქების, გზების, ბუნების, ისტორიული ძეგლებისა და სხვათა შესახებ სრული წარმოდგენა“ – ამბობს ბატონი ჯუმბერი. ახალ-ახალი ქვეყნების დათვალიერებას ის ძირითადად ახერხებდა ექსკურსიებით, რო-მელსაც აწყობდა ესა თუ ის ორგანიზაცია, ბატონი ჯუმბერი მათ ჯგუფში წევრიანდებოდა. ექ-სკურსიები წარმოებდა თითქმის ყოველგვარი ტრანსპორტით – მატარებლით, გემით სამგზავრო ავტობუსებით, საკუთარი ავტომობილით, თვითმფრინავითაც კი. განსაკუთრებით უყვარდა მო-ტოციკლეტით მგზავრობა. თუმცა ჩვენი ყურადღება მიიქცია იმან, რომ მის მიერ ჩამოთვლილ მრავალნაირ ტრანსპორტთა შორის ველოსიპედი სრულებითაც არ უხსესებია. თუ როდიდან გახ-და ველოსიპედით დაინრტერესებული და მისი თანამგზავრი ამაზე მან საინტერესო პასუხი მოგ-ვცა: ველოსიპედით შორ მანძილზე მგზავრობა მას შესთავაზა მისი მეგობრის შვილმა, საზრიანმა ყმაწვილკაცმა – რატი კიკაჩიშვილმა. საუბედუროდ რატი აფხაზეთის ომში დაიღუპა, რასაც მწარე ტკივილით იგონებს ბატონი ჯუმბერი. „ჯუმბერ ბიძია – მითხრა, რატომ, შენ ხარ რკინისე-ბური ჯანმრთელობის ღონიერი, პრინციპული, მგზავრობის მეოცნებე ადამიანი, ამიტომ ხან-გრძლივ მგზავრობით მსოფლიოს გარშემო შენ უდაოდ წარმატებებს მიღწევო“. ახალგაზრდას ეს რჩევა უცვლელად მიიღო ბატონმა ჯუმბერმა და იმ დღიდან დაიწყო მისთვის ჩვეული პასუხის-მგებლობით და შემართებით ასეთი გრანდიოზული მგზავრობისათვის სერიოზული მზადება. რა თქმა უნდა, ასეთი გეგმის განხორციელების მიზნით თეორიული საკითხების მოგვარებაში, რო-გორც ზემოთ აღვნიშნეთ აქტიური მონაწილეობა მიუღია უიული შარტავას. ამ გეგმის მიხედვით მომინია რუსულთან ერთად, ინგლისურისა და ესპანური ენების შესწავლა, საფუძვლიანად გავე-ცანი ყველა კონტინენტებისა და ცალკეული ქვეყნების კლიმატურ პირობებს მათ გეოგრაფიულ მდგარეობას. სწორედ ამ და სხვა საკითხების გათვალისწინებით დავგეგმეთ სეზონის მიხედვით მგზავრობის მიმართულებები. შემდგომში თუ როგორ დაიმორჩილა ეს ორთვალა ტრანსპორტი და თუ როგორ გაიხადა მან იგი თავის ცხოვრების თანამგზავრი, მთელმა მსოფლიომ იხილა. ბა-ტონმა ჯუმბერმა ველოსიპედთან ერთად პირველად მოახდინა ის წარმოუდგენელი სასწაულები, რომელიც ადამიანის აზროვნებისათვის ძნელად მისაწვდომია. შემდეგ ბატონ ჯუმბერს ვთხოვეთ როგორ მოახდინა საქართველოდან სტარტის აღების ორგანიზება, მისი თქმით სტარტი უნდა აე-ლო ფსოუდან, მაგრამ მშვიდობის დიდ მედროშეს აფხაზებმა უარი შემოუთვალეს. უფრო მეტიც საქართველოს მხედრიონმა სამტრედიდან სენაკის რაიონში გადასვლის უფლებაც არ დართო. „ჩემი მარშრუტი თქვა ჯუმბერმა დაიწყო სამტრედიდან, შემდეგ გურია-ლანჩჩუთი, შემდეგ ფო-თი, ბათუმი. ბათუმიდან გასვლისას თერთმეტმა უურნალისტმა და ახლობლებმა გამაცილეს“. ბა-თუმიდან მან სამშობლო საზღვარი გადალახა სოფელ სარფთან, შემდეგ სტამბოლი, კვიპროსი, ისრაელი. სწორედ ისრაელში გაიგო ბატონმა ჯუმბერმა შემზარავი ამბავი, უიული შარტავას და-ლუპვის შესახებ აფხაზეთში. ისრაელიდან ბატონი ჯუმბერი თბილისში გადმოურინდა, თავისი ძვირფასი მეგობარი გააცილა სამუდამო სასუფეველში, შემდეგ კი ისევ ისრაელში ჩაფრინდა და გააგრძელა მოგზაურობა, რაზედაც უამრავი მასალებია გამოქვეყნებული.

შემდეგ ჩვენ ვთხოვეთ მოეთხორ მოგზაურობის დროს მომხდარი რომელიმე რთული ეპიზო-დის შესახებ, რომელმაც საფრთხე შეუქმნა მას და მის მოგზაურობის შემდგომ გაგრძელებას. „ასეთი მძიმე და მეტად არასასიამოვნო შემთხვევები იყო რამდენიმე, რომელთა შორის ორს მა-ინც გავიხსენებდი გვითხრა რესპონდენტმა. პირველი იყო მონღლოლეთის ტერიტორიაზე მგზავრო-ბისას, როცა ძლიერ დაბალმა ტემპერატურამ (-23 0 ჩ) ჯერ ფეხზე გრძნობა წამართვა, ხოლო

შემდეგ გონიერაც დავკარგე. სიცოცხლისათვის ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში შემთხვევით მწყემსებს უნახივარ, მათ შევეცოდე და როგორც რიგითი ტურისტი ცოცხალ-მკვდარი თავიანთ სადგომში წაუყვანივართ. როცა გონის მოვედი, რაღაც ტყავის ნაჭრებით ვიყავი შეფუთული და ვიწერი მათ კარავში, რომელსაც ისინი იურტას ეძახიან, შიგნით ძალიან თბილოდა, იქ ცხოვრობდა ყველანი – დიდებიც და პატარებიც. მწყემსებმა, რომ იტყვიან დამტვრეული რუსულით გამაგებინეს თუ როგორ მიპოვეს გზაზე გონებადაკარგული თითქმის გაყინული. შემდეგ ამიოხსნეს, რომ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მყოფ ადამიანებს ისინი კურნავენ ხალხის ტრადიციების მიხედვით. სწორედ ამიტომ მათ ექიმებისათვის არ მიუმართავთ, არამედ როგორც შემდეგ გაირკვა იმ ტრადიციულმა მკურნალობის წესმა მიხსნა ნამდვილი დაღუპვისაგან – თქვა ბატონმა ჯუმბერმა. კეთილი მასპინძლების უერთგულესი ძალისხმევით ერთ დღეში მთლიანად აღმიდგა ჯანმრთელობა“ – ამბობს ჯუმბერი, რის შემდეგ მოგზაური თავის გზას გაუდგა.

„მსგავს კრიტიკულ შემთხვევაში აღმოვჩნდი შვეციის ტერიტორიაზეც – გვიყვება ჯუმბერი. იქაც ჰაერის მინიმალური ტემპერატურა – 27-28°C-მდე დაეცა. რამაც იგივე პრობლემები შემიქმნა ფეხებში. ისინი თითქმის მომყინა. მე მაშინ – ბრძანა ბატონმა ჯუმბერმა დახმარებისათვის მივმართე ადგილობრივ სამედიცინო სამსახურს, როცა გაიგეს ჩემზე და ჩემი პრობლემების შესახებ, მათ მოიწვიეს კონსილიუმი. კონსილიუმმა გაკეთებული ანალიზისა და დასმული დიაგნოზის თანახმად მოითხოვა მუხლებს ქვემოთ კიდურების ამპუტაცია.“ ბატონ ჯუმბერს ამ შემთხვევაში გონება არ დაუკარგავს და ექიმებს პროტესტი განუცხადა. ჯუმბერმა ისიც თქვა – ოპერაციის ფული რომ ყოფილიყო გადახდილი შეიძლება ფეხების ამპუტაცია მოეხდინათ. მართლაც გარკვეული მკურნალობის შემდეგ მას ფეხების ფუქნციონირება აღუდგა და გზა განაგრძო ფინეთისაკენ. სადაც მას შეხვდა მისი მეგობარი ცნობილი სპორტსმენი ჯემალ ცერცვაძე. იქ მას მიართვეს სპეციალური მალამო, რომელმაც ეფექტურად იმოქმედა ყინვებით დაზიანებულ ფეხებზე. „ამ მალამოს მე შემდეგშიაც ვიყენებდი ამბობს ბატონი ჯუმბერი, რადგან მით გაკეთებული მასაჟის შემდეგ ფეხზე შვებას ვგრძნობდი.“

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას მსოფლიო მოგზაურობისას გადახდილი მრავალ განზომილებიანი თავგადასავალი დღეს უურნალისტებისა და მეცნიერების ყურადღების ცენტრშია მოქცეული და ათეულობით უურნალები, წიგნები თუ სტატიებია დაბეჭდილი.

ფიქრები ჯუმბერ ლეჟავას პიროვნებაზე, მის ამოუნურავ ენერგიისა და სხარტი აზროვნების სინთეზის უნიკალური შედეგებზე.


როგორც სტატიის დასაწყისში აღნიშნეთ, სანამ ბატონი ჯუმბერი შეასრულებდა საკაცობრივი მნიშვნელობის მოგზაურობას მსოფლიოს გარშემო, ის ისედაც დამშვენებული იყო თავისი იშვიათი ბიოგრაფიული მონაცემებით – უმაღლესი ტექნიკური განათლება, მეცნიერულ გამოკვლევებზე 24 გამოქვეყნებული შრომა, მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია, ამასთან ერთად მან 14-ჯერ დაამყარა მსოფლიოსა და გინესის რეკორდები მკლავებზე აზიდვაში, ნამდვილად საამაყო ბიოგრაფიაა. მაგრამ როგორც ჩანს ამ მიღწევებზე ბატონი ჯუმბერი სრულებითაც არ აპირებდა შეჩერებას, რომელიც უფრო გვიან გამოაშეარავდა.

2002 წლიდან, როცა მოგზაურობიდან ახლადჩამოსულს ბინაში ვესტუმრეთ მცირე ინტერვიუს ჩასანერად იმ დროიდან ბატონ ჯუმბერთან სიცოცხლის ბოლო დღემდე ურთიერთობა აღარ გაგვიწყვეტია. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა ჯერ ფაზისის აკადემიაში (პრეზიდენტი ნუგზარ ნადარაია), ხოლო შემდეგ მისი სახელობის მრავალპროფილიან აკადემიაში (პრეზიდენტი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი), ერთად მოღვაწეობის პერიოდში.

მე ჩემს თავს მუდამ ვავალდებულებდი ამ უჩვეულო არაორდინალური ადამიანის შინაგან ბუნების წიაღმი ნაწილობრივ მაინც ჩავწვდომოდი. იმაში კი ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ

ბატონი ჯუმბერი არ გახლდათ ჩვეულებრივი ადამიანი. ის, რაც ამ არაორდინალურმა ადამიანმა მოინდომა, დაგეგმა და რეალობად აქცია, ველოსიპედით მსოფლიოს „დაპყრობა“ და დიდი ჰეგელის მსგავსად მისი ერთიანი სურათის შექმნა, ის უდაოდ იმ ერთეულ ადამიანების რიგში ჩააყენა, რომლებმაც რეალური სამყაროს შეცნობაში კაცობრიობის ცოდნა ბევრად გაამდიდრა. ეს ყველაფერი ხდებოდა საკუთარი ნიჭის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური გრძნობების შედუღაბების, სიცოცხლის აშკარა საფრთხეში ჩაყენების ხარჯზე. აქვე მინდა დიდი მოგზაურების, გენიოსი ადამიანების მოკლე სია მივაწოდო მკითხველს, ესენია დიდი მოგზაურები: ქრისტეფორე კოლუმბი, ვასკო და გამა, მაგელანი, ამერიკო ვესპუჩი, რობერტ სკოტი, რაულ ამუნდსენი, ფერნანდო კოლომბო და სხვ. მათ შორისაა ჩვენი საამაყო თანამემამულე უკვე მსოფლო მოგზაური და მოქალაქე ჯუმბერ ლეუავა. ბატონი ჯუმბერის შემეცნებითი არეალი განუხრელად ფართოვდებოდა მისი მოგზაურობის დროს. გული მწყდება იმაზე, რომ ზოგჯერ ერთეული უურნალისტები მას წარმოგვიდგენენ, როგორც ველოსიპედით მოგზაურ ტურისტს, ვიწრო მასშტაბის სპორტსმენს, მისი მოგზაურობის დროს მის მიერ შედგენილი ყოველდღიური ჩანაწერების საფუძველზე, დღეს შექმნილია ათეულობით ტომები, რაც მაგალითია იმისა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს განათლებულ და ფიზიკურად ძლიერ მოგზაურებს, რომლებიც ღრმად ეცნობიან ახალ-ახალი ქვეყნების ბუნებრივ სივრცეებს, მათ ქალაქებსა და სხვა ღირშესანიშნაობებს, ხალხთა ცხოვრებისა და ყოფის დონეს. თუ როგორ მნიშვნელობას აძლევდა ბატონი ჯუმბერი უცხო ქვეყნების ღირშესანიშნაობებს ამის მაგალითად მოვიყვან მის ერთ-ერთ ჩანაწერს როცა იგი ინგლისის ტერიტორიაზე მოგზაურობდა: „განა შეიძლება სრულყოფილი უწოდო მოგზაურს ინგლისში თუკი ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებსა და სტრატფორდში შექსპირის სახლ-მუზეუმებს არ ესტუმრები? ალბათ წარმოიდგენთ ნანახის გამაოგნებელ სიდიადეს, როდესაც ასეთი მდიდარი ისტროის ძეგლებისა და კულტურის შედევრების მქონე ქვეყნის ქალაქებში მოგზაურობთ“. აქ მკითხველისათვის სრულიად გასაგები უნდა იყოს ბატონი ჯუმბერის აზროვნების სიმდიდრე.





## Who Is Jumber Lezhava? (And Why Should You Care?)

JUNE 30, 2011 BY TOM ALLEN

He's sitting behind a paper-strewn desk in a unlit office with faded pastel-green walls, surrounded on all sides by boxes and files which obscure the room's sparse furnishings. A woman in full-length furs is comfortably installed behind a flickering computer screen, clicking noisily away while talking on the 'phone.

The stocky, white-haired lecturer rises to greet us and smiles calmly, an unassuming dignity and openness about him. This diminutive, friendly-faced Georgian in a woolly jumper carries a glint in his eyes which speaks of experience beyond the limits of communication.

Jumber Lezhava looks nothing like the bristling superhuman I'd assumed he'd be.

"If I go more... er... seven countries", says Jumber, matter-of-factly, "all world finished."

Roadside shouts of "Jumber!!! Jumber!!!" during my ride across Georgia in the winter of 2007 had made sense once I'd met Zoe, a young Dutch woman who'd ridden a three-speed bicycle across Europe and Turkey to Tbilisi. Zoe had heard about this mysterious Mr. Lezhava and we'd set out together to track him down. The trail had ended up outside a wooden door in a nondescript corridor of the Georgian Technical University's I.T. faculty.

"But," continues Jumber, "not permit me Libya, Saudi Arabia, Iraq, Afghanistan, North Korea, Brunei, Faroe Islands. Faroe islands, I not have money for go. From Norway I stop, not go Faroe."

Aside from the usual suspects, and a particularly inaccessible cluster of islands, we learn, he's cycled to every remaining nation.

"Two hundred thirty four," he says. Two hundred and thirty four nations and island states. And all of their capitals. Alone. Well into his fifties at the time of departure, he'd spent nine and a half years on this odyssey.

Who the hell was this guy?!!?

I pick up a pamphlet from one of the desks, summarising his epic ride. ~He traveled unaccompanied for 3573 days and covered 285,000 kilometres," reads the text. More than a quarter of a million kilometres. Or more than seven times round the Earth's circumference.

"Much times fighting, much times situation, accidents" – he knocks his fists together, imitating a head-on collision – "much water problem. Water. Shhhhooooomm!!! His shaky English doesn't faze him a bit; there's no fear of judgement, nor that we might not understand.

Growing animated, he continues, "and my bicycle and... cyclone! Cyclone. Australia. And throw me – baaahhh!! and I flew – haha – and take my bicycle like this and I..." – he motions a digging action – "...in ground. For not go water, I save one bicycle! Haha!!!"

I would later discover that practically nobody outside Georgia would have heard of him. Yet he'd broken no fewer than eleven Guinness world records for cycling (and push-ups), the certificates for which he proudly shows us, alongside a stack of stamp-filled passports and an official document giving him diplomatic status – in effect, the ability to travel pretty much anywhere on his otherwise very restricted Georgian passport.

But – push-ups? Really?!!

Read carefully, now: "One minute: one hundred and fifty-seven. One hour: five thousand and eleven. Six hours: nineteen thousand three hundred. Twelve hours: thirty-four thousand nine hundred fifty-five. Twenty-four hours: forty-four thousand one hundred forty-one. One hundred days: every day, seventeen thousand pushups; and one year – every day twelve, thirteen thousand push ups – four million eight hundred thousand."

At a loss for what to think, I have already run out of questions for this man. And so he continues, telling the stories of his nine-and-a-half years of travel on six continents, of the time he'd cycled a hundred miles out from an Argentinian research station in Antarctica, only to be turned back by the security officials at the British post (well done, lads); of hacking through the Amazon rainforest between Brazil and French Guyana with his bike on his back; of being shot at chased by Kalashnikov-wielding guerillas in Swaziland; of fending off doctors who wanted to amputate his gangrenous legs.

"Minus twenty-nine, thirty been, and two weeks whole time day and night I been on road. No sleep in the house, and all froze," he says of wintertime riding in Scandinavia. He'd slept exclusively outside for a fortnight. "Only on the road! And really cold! And this all froze... my legs ... and in Stockholm want cutting for gangrene."

He still has his legs. The man is clearly indomitable. He'd subsisted, he said, on bread and raw garlic. And of course, as a bicycle traveller, he'd been taken in and looked after by endless legions of strangers wherever he went. It isn't all hard-man heroics and bullet-dodging, though these are clearly the easiest and most interesting stories to tell.

I never manage to find out where Jumber's motivation stems from. But his eyes whisper of some unforgotten bump in the road. Since he seems stupendously fit and well for a sixty-nine-year-old, I wonder at who or what it was that he might have lost, which might be pushing him to explore the limits of what he can put himself through while still hanging on to life.

Jumber's next plan, he tells us, is a casual little jaunt from Georgia to Beijing in time for the Olympics – having cycled to Athens for the previous Games, it seems the next natural step. And there is mention of a third visit to Greenland, this time in winter. But it's his Antarctic plans that are the most audacious. I'm torn between reflexive disbelief, and the knowledge that – after what I've already heard of his exploits – there is no doubt of his resolve. None whatsoever.

[UPDATE: Jumber cycled to Beijing for 2008. And to London for 2012.]

"After two years I go in... er... Antarctica... er, South Pole. And England science place I go, and from this England science place I start."

"To cycle?" I ask.

"Cycling, yes. Special cycle, after I show... we making specially."

He is planning to pedal a custom-built recumbent quad-bike called "The Penguin", already designed and under construction, to the magnetic, geographic and temperate South Poles. He will set out alone from the British research station that previously turned him away, and he quite expects that he won't return. This open pact with death hints again that one who would grieve his loss might already have passed on. Portraits and drawings of a woman, dark hair and eyes punctuating pale skin in a classic Georgian porcelain delicacy, give further clues.

By this point in our informal meeting, I can think of no more questions for this man, silenced by awe. He bumbles around the office, reams of photographs and journals and video-tapes and written-yet-unpublished book manuscripts putting paid to any suspicion that he might have made the whole thing up for a laugh. A local TV crew turn up to interview him about his Antarctic plans.



But it had never been about worldwide fame or recognition. There isn't an ounce of pride or boastfulness or vanity to his demeanour, none of the showboating that all-too-often accompanies attempts at the extreme and adventurous. All had been carried out in pursuit of an insatiable inner craving, a deeply instilled curiosity-turned-obsession with the frontiers of his own endurance and capability. He'd done it for himself, and it didn't matter a jot whether or not anyone heard about it.

And maybe that's why the world beyond Georgia still remains unaware of the enigma that is Jumber Lezhava.



## თეა კანდელაკი



### ჯუმბერ ღევეზის 80 წელის სიუმში იული

#### მიძღვნილი სიყვავა

ხშირად დავფიქრებულვარ, რა არის ჩვენი ცხივრების მიზანი, ჩვენი მისია ამ ქვეყნად მოვლინებისა?!

გზა ძიებისა, შემეცნების ლაბირინთში გხვევს და რაც უფრო რთული და ძნელსავალია, მით უფრო მეტია ინტერესი წინ სვლისა, მიზნის მიღწევისა...

„...ყოველ ცისმარეს ვმადლობ ჩემში არსებულ ძალას  
ღვთისგან ბოძებულს, გადმოდენილს ზე-ნა არსთაგან  
მადლობელი ვარ თუ ბრძოლაში მუხლზე დავეცი,  
თუ არ შემწევდა ძალა წინსვლის, ძალა ღალადის  
უფალი მწვრთნიდა თავის ხელით მოზელილ თიხას  
რომ ბრწყინვალება შეეძინა ჩემს სულს ალმასის.  
უთანასწორო ბრძოლის ველზე წავაგე ბევრჯერ,  
ნაადრევია დემონი თუ ამით ამაყობს  
სული შეუვალ ჭეშმარიტების ფარად იქცევა,

თუ ღვთის სახელით სავალ გზაზე არ ცვლის კალაპოტს...“ (თ.კ)

ასეთ შეუვალ და უტეხ პიროვნებად წარმოგვიდგა ყველასთვის ცნობილი ქართველი სპორტსმენი, მოგზაური და რეკორდსმენი მსოფლიოს მრავალგზის ჯილდოს მფლობელი, ქართველთა სიამაყე – ბატონი ჯუმბერ ლეჟავა. რომლის დაუღალავმა ბრძოლამ ამ ქვეყნიურ ამაოებათა მიერ დაგებული მახები, დაუმარცხებელი სიმსივნის სახითაც კი, დაამსხვრია და მსოფლიოს გზებს შერკინებულმა, ცარიელი ხელებით, ველოსიპედის ამარამ იმდენი შესძლო, რომ საკუთარი პიროვნების მაგალითზე ადამიანის თვითგამოვლინების მაქსიმალური შესაძლებლობა დაენახვებინა ყველასათვის, რამაც თავისთავად დიდ გამარჯვებამდე მიიყვანა.

გულნაზ ხარაიშვილის იდეით და თხოვნით დაარსდა მისი სახელობის ფართოპროფილიანი საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია.


ჩემთვის დიდი პატივი იყო წილად მხვდომოდა გავმხდარიყავი ამ აკადემიის წევრი და მომნიჭებულდა ეს მეტად საპატიო წოდება ამავე აკადემიის აკადემიკოსისა. რისთვისაც მოკრძალებულ მადლობას ვუხდი აკადემიის პრეზიდენტს ქ. გულნაზ ხარაიშვილსა და ამავე აკადემიის საბჭოს წევრებს...

– დღეს სრულიად საქართველო აღნიშნავს ამ შეუდარებელი სპორტსმენის, უძლიერესი პიროვნების 80 წლის იუბილეს, რომელსაც დიდი სიამაყით ვუერთდები და ვიმედოვნებ დამსახურებულად ვატარო ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის წევრის სტატუსი და ამავე აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის განყოფილების რედაქტორის მოვალეობა.

– სიამაყეს მანიჭებს საზღვარგარეთ დაბადებული ქართველი ბავშვების ინტერესი და ჩართულობა „ნორჩ ათინათელთა“ ჯგუფში, რომელთა მოღვაწეობაც პოპულარიზაციას უწევს ქართულ ენას, კულტურასა და ისტორიას, რომელთა მოღვაწეობაც იქცევა ოქროს ასოებად აღბეჭდილ მემატიანედ.



## ნიკო ბალაშვილი



## ჯუმბერ ლეჟავა - ლეგენდა

ჯუმბერ ლეჟავა – სიცოცხლეშივე აღიარებული ადამიანი-ლეგენდა, პიროვნება, რომელსაც ვიცნობდი და მართალია დიდი ურთიერთობა არ მქონდა, მაგრამ მისმა ვიდეო-ინტერვიუმ, ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა,

როდესაც მის სამუშაო ოთახში აღმოვჩნდი, თვალები გამინათდა – ირგვლივ რუკები, გლობუსი და ველოსიპედების გამოფენა, ფოტოსურათებზე კი, მისი მოგზაურობის ამსახველი ფოტოკადრები – მოსაუბრე ხომ, იცოცხლეთ, საინტერესო და აი, რომ არ გსურს დასრულდეს ვიზიტი, ვიყავი, ასეთი გამწყვობით, მის მაგნიტურ საუბრის მიმზიდველობაში, მთლად გადამეშალა დედამინელების, სადაც კი იმოგზაურა, – ყოველი ქვეყნის და ადამიანთა ცხოვრება, კაცი, წყალს რომ დაეწაფება და წყურვილს იკლავს. დიახ, ასეთი განწყობით ვუსმენდი და მომავალი დოკუმენტურ ფილმის ეპიზოდებზე ვფიქრობდი, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემს ვიდეოარქივში მცირე ინტერვიუ შემომრჩა... ვუსმენდი ამ ადამიანის მონათხრობდ და მიხაროდა, რომ ცოცხალ ლეგენდასთან ვიყავი კიდევ აპირებდა მოგზაურობის ახალ სარისკო მგზავრობას, მაგრამ სათანადოთ არ ვიჩენთ ხოლმე ყურადღებას, ასეთი პიროვნებების წინაშე, რომელთა ღვაწლი სამშობლოს გაცნობისა და ხვალინდელი უკეთესი მომავლის ფიქრებით არის გამთბარი, სამწუხაროდ ნაადრევად შენყდა ამ ადამიანის სიცოცხლემ რომელიც გულს უჩიოდა, არადა რა ბობოქარი და ძლიერი გულითადი და სულით ძლიერი კაცი იყო...

დაბადებიდან 80 წლის თავზე, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას სულის სახად და მის ნათელი ცხოვრების გასახსენებლად, ქედს ვიხრი და მოკრძალებით მივდივარ ხოლმე, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო მრავალპროფილიან აკადემიაში, იქ მოფუსფუსე პრეზიდენტის, პოეტის ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის ჩემი დე-ს და სხვა მრავალ ადამიანთა გულების და სულიერი ზეიმების ორგანიზაციორთან, უურნალ „ათინათის“ რედაქტორთან, სადაც, ამ რთულ დროში, იქ ვპოვებ ხოლმე სულიერ სინატიფეს და მადლს, – მეამაყება, რომ, ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის წევრი ვარ და ცრემლმორეული სიხარულით მახარებს, რომ მე სულთა მზეობით ვცხოვრობ – ახლა ამ ზაფხულს, ჩემ დე-ს, პოეტ გულნაზ ხარაიშვილს, რომელიც არამარტო სიტყვიერად, არამედ მოქმედებით გვიფრთხილდება და თავის სარგო კეთილ ფიქრებს გვიმზეურებს, ახალი გეგმები აქვს რათა დიდ მოგზაურზე. ბატონ ჯუმბერ ლეჟავას დაბადების 80 წლის იუბილე, საკადრისად გადაიხადოს – მე კი, ვეცდები ფოტო-ვიდეოთი ავსახო ეს მნიშვნელოვანი თარიღი, რომელიც ჩვენი ქვეყნის, უახლესი ისტორიაა და – ჯუმბერ ლეჟავა – სიცოცხლეშივე

აღიარებული ლეგენდა ადამიანი, დარჩება მეხსიერებაში...



## მალხაზ ჩხიტუნიძე



ჯუმბერ ლეჟავაზე საუბარს მე ასე დავიწყებ: მწამს ბედისწერის და მიყვარს უფალი. არ მეგულება ისეთი ადამიანი, ვისაც ერთხელ მაინც გული არ ტკენია მოლოდნელი ბედისწერით გამოტანილი განაჩენით. პირადად, მე, ჩემი და სხვისი ტკივილი ერთად მაქვს თავმოყრილი ჩემს გულში და ვცდილობ ისეთი საქმეები ვაკეთო, რომ ჩემს გულსაც ვაამო და გარდაცვლილებსაც მივაგო პატივი. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიაში სწორედ მაშინ მოვხვდი, როდესაც ბატონ ჯუმბერის გარდაცვალებიდან ხუთი წელი და დაბადებიდან ოთხმოცი წელი უსრულდებოდა. ეს პატივი ბატონ ანზორ ჯაფარიძის წარდგინებით მოხდა აკადემიაში, არადა, თურმე ამ აკადემიის ხელმძღვანელი ყოფილა ჩემი რაიონის მკვიდრი ქალბატონი, გულნაზი ხარამვილი, რომლის პატრიოტული ლექსები არა ერთხელ გაუღერებულა ობიექტივის ტელევიზიაში. მიხაროდა და კიდევ ვამაყობდი, რომ ეს ქალბატონი საჩხერელი იყო, მაგრამ არ ვიცოდი, ლეგნდა პიროვნების სახელობის აკადემიას რომ მართავდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც უურნალ „ათინათის“ ოცდამეთორმეტე ნომერი გამოდიოდა და ბატონ ჯუმბერზე სპეციალური ტომი მზადდებოდა მის იუბილესთან დაკავშირებით. გულში გამეხარდა, რადგან მეც წვლილს შევიტანდი ამ ბუმბერაზი პიროვნების სულის საპატივსაცემად. ამით სულის სიმშვიდე დაუმკვიდრდებოდათ იმ გარდაცვლილებს, ვინც ჩემი ხელიდან შესანდობარს ელიან ცათა სასუფეველში. ხუთასი ლარი მაგიდაზე დავდე და წასვლა დავაპირე, ქალბატონი გულნაზის სიტყვები კარებშვე დამედევნა, ძალიან გთხოვ, ბატონ ჯუმბერზე რამე დაწერე, ისე, რომ ეს თანხა დაფიქსირდეს, მე ვუარობდი, რადგან რნმენით აღვსილი პიროვნება ნამდვილად ვარ და ამ გადადგმულ ნაბიჯს ღმერთი ხედავდა, მაგრამ ქალბატონი გულნაზის თხოვნით მაინც ასე მომინია ამ ფაქტის აღწერა. აკადემიის ხელმძღვანელი ხმამაღლა ანანილებდა თანხის გასავლის ხარჯებს და ამბობდა: მასალების კომპიუტერული ხარჯი და დაკაბადონების თანხა უკვე არის და ამის შემდეგ კი უფალი გადმოგვხედავსო. მეორე დღესვე უურნალის მასალა მივიტანე, ეკონომიკის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც დაბეჭდა უურნალის ოცდამეთორმეტე ნომერში, რომლის პრეზენტაციაც აკდემიაში ჩემი არჩევით დამთავრდა. მე სამაღლობელი სიტყვები კვლავ ბატონ ანზორ ჯაფარიძეზე უნდა ვთქვა, რადგან სხვა რომ ართვერი ჰქონდეს საქართველოს, მარტო ჯუმბერ ლეჟავას სახელი ეყოფა საამაყოდ და სადიდებლად.



## ჯუმბერ ლეჟავას ხახელი უკვლავყოფილი იქნება

მთელი ჩემი ცხოვრება სცენას შევალიე, კულტურასა და ხელოვნებას, ეს დარგი ჩემი ჰობიცაა და სპეციალობაც. აქ, უბრალოებით და დახვენილი არტისტიზმით უნდა დაიპყრო აუდიტორია. ამჟამად კი სულ რაღაც ექვსი თვეა, სიამაყის გრძნობა დამეუფლა, რადგან გავხდი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთასორისო აკადემიის ნამდვილი წევრი. ჩემი სტატიები იბეჭდება უურნალ „ათინათში“, ამ წმინდა ნინოს მადლმოსილ უურნალში ჩემი მადლიერი მაყურებლების სამადლობელო წერილებიც იბეჭდებოდა ჩემ შესახებ. უურნალ „ათინათით“ დაინტერესდა ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამოიწერა რამდენიმე ეგზემპლარი. ეს ის დრო იყო, როდესაც უკვე აკადემია უშვებდა ანთოლოგიის მეშვიდე ტომს, ჩვენი რაიონის მკვიდრთა სხვადასხვა თემატიკის მასალამ ანთოლოგიაშიც დაიდო ბინა, ასე, რომ თბილისა და ხონს შორის შედგა საქმიანი, კულტურული ურთიერთობები. ამ ყველაფერის სათავეში პირადად მიხდებოდა სკოლებთან, მუნიციპალიტეტთან ურთიერთობები, რადგან დავინტერესდი უურნალში დაბეჭდილი მასალებით. ამ საქმიანობაში ძლივს ვნახე ისეთი მასალები, რომელებიც მოსწავლეებს აღზრდიდა წმინდა სულით, უფლისა და სამშობლოს სიყვარულითაც აღანთებდა. დავინტერესდი ლეგენდარული პიროვნების, ჯუმბერ ლეჟავას სახლობის აკადემიის, მუშაობით, რადგან ის არ იყო პოლიტიკური, ემსახურებოდა კულტურას, მეცნიერებას. აკადემიამ ჩემი მუშაობა დააფასა და ამირჩიეს ხონის რაიონის ვიცე-პრეზიდენტად. სახელი თანამდებობისა ჩემთვის არაფერია, მთავარია, უურნალ „ათინათისა“ და ანთოლოგიის წიგნები მივიტანო ისეთ ორგანიზაციებამდე, ვინც დაინტერესებულია ახალგაზრდობის აღზრდის სწორი პრინციპით, ქართული კულტურით და ან გარდაცვლილ ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლეში განუხორციელებელი გეგმის განხორციელებით. ჯუმბერ ლეჟავამ მსოფლიოს შემოუარა, უბრალო ველოსიპეტით და უკვდავება მოიპოვება. შოთა რუსთაველის სიტყვები იყო მისი გზამკვლევი - „ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“. დიახ, ჩვენ ხონელები ვეძებთ მოყვარეს, აქ, კულტურის კერები მუშაობს, ჯუმბერ ლეჟავას სახელი უკვდავყოფილი იქნება, ჩვენ სიტყვას ვიტყვით დიდი ლეგენდის სულის საპატივ-საცემოდ მისი ოთხმოცი წლის იუბილეზე.



## ედუარდ უგულავა



დასმენის სტატუსში.

ვის არ უოცნებია, ცოტა ხნით მაინც, მოწყდეს ჩვეულ გარემოს, იმოგზაუროს მსოფლიოს გარშემო; გაეცნოს დედამინის სხვადასხვა კუთხეს, განსხვავებულ კულტურას, ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს . არიან ადამიანები, რომლებსაც გამოკვეთილად აქვთ განვითარებული ეს მის-წრაფება. მათში მოგზაურობის სურვილი იმდენად დიდია, რომ ისინი ტოვებენ თავიანთ საქმეს, სამყოფელს და დიდი რისკების – საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი მოგზაურობენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მათ რიცხვს მიეკუთვნება ჯუმბერ ლეჟავა.

გარდა სპორტული შემართებისა, ჯუმბერ ლეჟავა იყო ერუდირებული – მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული. ასეთი პიროვნებები, თავისი ნიჭით და უნარით საზოგადოებრივი აზრის ვიწრო და ხელოვნურ ჩარჩოებში ვერ თავსდებიან. ისინი თავის თავს განიცდიან სამყაროს ნაწილად – არათუ დედამინა, მზის სისტემები და კოსმოსიც კი ეპატარავებათ... ასეთი პიროვნება იყო ჯუმბერ ლეჟავა. მიზანსწრაფულობაში, დაუდგრომელ ხასიათში, მოგზაურობის წყურვილში, ურთიერთობის განსაკუთრებულ მანერასა და უნარში ჩადებული იყო მსოფლიო ადამიანის სული. დედამინაზე მშვიდობიანი თანაარსებობა, პატივისცემა ადამიანური ფენომენისა და მსოფლიო წესრიგისადმი, ყველაზე ჰუმანური გაგებით, მასში უმაღლეს ხარისხში იყო აყვანილი; აქ საუბარია, არა იმდენად, ე. წ. „მსოფლიო მოქალაქეზე“, არამედ „პასუხისმგებლობაზე“ – იყო მსოფლიო მოქალაქე. ასეთი პასუხისმგებლობის მატარებელი იყო ჯუმბერ ლეჟავა, ამიტომაც იუნესკომ სამართლიანად მიანიჭა მას მსოფლიო მოქალაქის ტიტული.

ჭეშმარიტი მსოფლიო ადამიანი, მრავალგზის ტიტულოვანი სპორტში და გინესის რეკორდსმენი, ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე ჯუმბერ ლეჟავა თამამად შეგვიძლია მაგელანის, ქრისტეფორე კოლუმბის, ამერიკო ვესპუჩის, ვასკო და გამას, ჯეიმს კუკის, დევიდ ლივინგსტონის და სხვა ცნობილ მოგზაურთა გვერდით დავაყენოთ და მსოფლიოს მშვიდობისმყოფელი ელჩი ვუწოდოთ.



## ნაირა უგულავა

**„არ გაშესო სიკულიღი, ჩანსძ ცოცხაღი ხარ.“**



არსებობენ ადამიანები, რომელთაც ამქვეყნად ღმერთმა გარკვეული მისია დააკისრა. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ის ზებუნებრივი შესაძლებლობები, რომლითაც ისინი დააჯილდოვა ბუნებამ. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ჯუმბერ ლეჟავა.

ექიმებისგან ხელჩაქნეული, ახლობლებისგან გამოტირებული, სიცოცხლის დღეებდათვლილი, უკურნებელი სენით რეალური სიკვდილის წინაშე მდგარი ჯუმბერ ლეჟავა არაადამიანური ძალისხმევით აღნევს მიზანს – იბრუნებს სიცოცხლეს. ამის შემდგომ იწყება ცხოვრება, რომლის თითოეული ეტაპი შეიძლება ზღაპრად მოეჩვენოს ადამიანს, იმდენად აღმატებულია ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებისგან. მისი პირველი მსოფლიო რეკორდი გინესის წიგნში შეიტანეს. 14 მსოფლიო რეკორდი ისეთი უპირატესობით დაამყარა, რომ მის გაუმჯობესებაზე ფიქრიც კი შეუძლებელი გახდა კონკურენტებისათვის, რომლებიც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ სულ სხვა მოვლენასთან ჰქონდათ საქმე. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი ადამიანი ჯერ ფეხზე დასადგომად იბრძოლებდა, მერე კი, მსოფლიო რეკორდზე იფიქრებდა. „ხუთი წლის განმავლობაში, როდესაც ოთახში ვიყავი გამოკეტილი, ვვარჯიშობდი. მთავარი შრომის სიყვარული და ნებისყოფაა“ - ამბობდა თავად ჯუმბერ ლეჟავა. შემდგომ იყო მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურობა. წარმოუდგენელია ის დაბრკოლებები და ხიფათები, რაც მან 9 წლისა და 3 თვის განმავლობაში გადაიტანა. დასკვნა შეიძლება იყოს ერთი - ყველაფერ ამაში მხოლოდ უფლის ხელი ერია. და რაში მდგომარეობდა უფლის ნება? რა მისია დააკისრა მას უფალმა? „არ გაბედო სიკვდილი, სანამ ცოცხალი ხარ.“ აი, ის დევიზი, რომლითაც ჯუმბერ ლეჟავამ რეალურად აჩვენა მასავით განსაცდელში მყოფ ადამიანებს, რომ შეუძლებელი არაფერია. „მთავარია, რომ მიზანი დაისახო და მერე ამ მიზნისთვის არაფერი დაიშურო, მოითმინო, იმუშაო და სანადელს აუცილებლად მიაღწევ“ - აღნიშნავდა თავად. ხალხმა დააფასა მისი ძალისხმევა. ჯუმბერ ლეჟავას მიანიჭეს მსოფლიოს მოქალაქეობა, აირჩიეს გაეროს ელჩად, დააჯილდოვეს თავისუფლების ოქროს მედლით, შეიყვანეს ამერიკის ბიოგრაფიული ცენტრის მიერ 21-ე საუკუნის 500 წარჩინებულ ადამიანთა სიაში... „მამა ადრეულ ასაკში გარდამეცვალა. სულ „მამა არ შეარცხვინოს“ ძახილით გავიზარდე და ყოველთვის ვცდილობდი მისი სახელი არ შემერცხინა. და ახლა მინდა, რომ პირადობის მოწმობაში მისი სახელი დავიბრუნო, რომელიც წამართვეს. მსურს, რომ დავიბრუნო ჩემი ეროვნებაც, პასპორტში ეწეროს, რომ მე ქართველი ვარ“ - აღნიშნავდა ჯუმბერ ლეჟავა და ამ სურვილით ყველა ქართველის სულისკვეთებას გამოხატავდა.



## ნუნუ გოგოლიძე



აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის 1-ლი  
საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტე-  
რატურის მასწავლებელი, ჯუმბერ ლეჟავას  
სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფი-  
ლიანი საერთაშორისო აკადემიის წევრი,  
საჩხერის საპატიო მოქალაქე

## მარალ ცოცხალი ილექტი!

### ჯუმბერ ლეჟავა – კაცი ლეგენდა...

ლი წელი...

სადაც წაბრძანდა ეს ზნემაღალი კაცი, ყველგან თან წაიღო თავისი ქვეყნის უკიდეგანო სიყ-  
ვარული და პატივისცემა.

წრფელი გულის, სუფთა სინდისის, მრავალმხრივი ცოდნის კაცს ყველა და ყველაფერი მშვე-  
ნიერი უყვარდა და მადლს სახვებსაც უნაწილებდა, ყველას ეფერებოდა, ესიყვარულებოდა, უიმე-  
დოს სიცოცხლის ხალისს სძენდა, ცხოვრებას ულამაზებდა, სიცოცხლეს მოაწყურებდა.

დიდებული ქალბატონი, უურნალ „ათინათის“ რედატორი, გულნაზ ხარაიშვილიც ხომ ახალ  
ამპლუაში მან აღმოაჩინა! ქალბატონი გულნაზი სიამაყით მიყვება ბატონ ჯუმბერის მამულიშვი-  
ლური საქმეების შესახებ – როგორ დააფუძნეს მრავალპროფილიანი აკადემია. აქაც შეუმცდარად  
მიმხვდარა ბატონი ჯუმბერი, ვინ უნდა ჩადგომოდა სათავეში აკადემიას – ენერგიული, საქმის  
ღრმა მცოდნე, მგზნებარე პოეტი ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა საქმიანობას და სულ მცირე  
ხანში საყოველთაო აღიარება და სახელი მოუტანა აკადემიას.

საამაყოა, რომ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშო-  
რისო აკადემია მეათე წელია ითვლის არსებობას. აქ მრავალი კეთილი, საშვილიშვილო საქმით,  
დიდი სითბოთი და სიყვარულით გამთბარ, ღრმა პატრიოტიზმით ანთებულ ყველა თაობას შეხ-  
ვდებით და გაეცნობით. მათთან გატარებული ყოველი წუთი ეროვნული მუხტით აგავსებს, შენში  
მრავალ კეთილ იდეას დაბადებს, მით უფრო, თუ ხსენებული აკადემიის დამფუძნებელს ქალბა-  
ტონ გულნაზ ხარაიშვილს შეხვდებით, ადამიანს, ვინც ზედმიწევნით იცის, რა სჭირდება ჩვენს  
მრავალტანჯულ ქვეყანას. ჩემთვი ორმაგად საამაყო იყო ჩემი თანამემამულე ძვირფასი ადამია-  
ნის გაცნობა, დიდად მახარებს, რომ ერთად რაც ჩაგვითიქებია, ანშლაგით ჩატარებულა, დიდი  
რეზონანსი მოჰყოლია. მრავალთაგან ერთს გავიხსენებ. იმ ხანად დიდი მგოსნის 175-ე წლისთავს  
აღვნიშნავდით, ქალბატონმა გულნაზმა შემოგვთავაზა, იუბილე ილიას მიწაზე – კახეთში, კერ-  
ძოდ წმ. ნინოს საბრძანებელში ჩაგვეტარებინა. ერთად შევიმუშავეთ პროექტი: „დიდი ა კ აკ ი ს  
იუბილე ბოდბეში“. დაუვიწყარი იყო ეს დღე, რომლის შესახებაც მრავალი მედია საშუალება აღ-  
ტაცებით წერდა.

ქალბატონი გულნაზი იგონებს, როგორ ურჩევდა ბატონი ჯუმბერი, გასულიყო აკადემია რაიონებში, აღმოეჩინა ნიჭით, ენერგიით, სამშობლოს სიყვარულით სავსე ადამიანები და გაეცნო ისინი მთელი საქართველოსათვის, რაც თითოეულ მათგანს კიდევ მეტად მისცემდა საშუალებას გამოევლინებინათ შინაგანი პოტენციალი. „დიდი ადამიანები სოფლებში იბადებიანო,“ – ისეთი სიყვარულით ამბობს ქალბატონი გულნაზი, რომ გრძნობ, მისი ფიქრი და ოცნება მშობლიურ სოფელ ხვანს დასტრიალებს, ასეა, ყველა ჩვენგანს გამორჩეულად გვიყვარს ადგილი „სადაც ვშობილვართ, გავზრდილვართ...“

დაუვიწყარია აკადემიის წევრთა სტუმრობა საჩერეში, სადაც შეხვედრა მოვუწყვეთ პოეზიის ტრფილო. საღამოს სულისკვეთება სათაურშიც ჩანდა: „ზღაპარეთი – ჩემი იმერეთი“. ჯადოსნური ქართული სიტყვით მოხიბლული დარბაზი დიდხან უკრავდა ტაშს ქალბატონ გულნაზის გულწრფელ, ლალ, მშვენიერ ლექსებს. საღამოს დასასრულს გულნაზ ხარაიშვილმა საჩერის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ჯუმბერ ლეჯავას აკადემიის შვიდტომეული, თავისივე წიგნები: „დარდის პირამიდები“ და „ფიქრის ხეივანი“, ხოლო რევაზ მიშველაძემ 26 ტომი უსასყიდლოდ უსახსოვრა ბიბლიოთეკას.

არ შემცდარა ღრმად განსწავლული მსოფლიო მოქალაქე, ბატონი ჯუმბერი, რომ უკეთილ-შობილეს ადამიანს, გულნაზ ხარაიშვილს ანდო თავისი სახელი, რომელსაც თვალისწინებით უფრთხილდება ეს დიდებული ქალბატონი.



## ირინა ბალავიძე



## ბატონ ჯუმბერ ღევთვაძე

საქართველოს თავისი ისტორიის არსებობის მანძილზე მრავალი სასახელო ადამიანი და გმირი ჰყავს. ჩვენ მათ საგმირო მოქემედებებს ისე შევეჩვით, თითქოს ეს ან ზღაპარი იყოს ან ლეგენდა. მეოცე საუკუნის გმირი კი გახლავთ ბატონი ჯუმბერ ლეჟავა.

ბატონმა ჯუმბერმა მრავალ სასიკეთო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. მათ შორის შექმნა: მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია. როგორც მის მიერ ჩამოყალიბებული. აკადემია არის მრავალპროფილიანი, ასევე მისი საქმიანობაც გახლავთ მრავალპროფილიანი. ბატონი ჯუმბერი გინესის წიგნში შევიდა, როგორც მკალვჭიდის დაუმარცხებელი სპორტმენი.

მისი სულიერი მოთხოვნილება გახლდათ, ყოფილიყო სამყაროს ცენტრში. სული კი უსაზღვრო და უკიდეგანო ჰქონდა.

ბატონი ჯუმბერის პიროვნებას ორიგინალური, არგაგონილი მიმზიდველობა ჰქონდა. ალბათ, ძნელია მოიძებნოს ადამიანი, რომელსაც ისე უყვარდეს ცხოვრება, რომ აზრად მოუვიდეს ველოსიპედით შემოიაროს მთელი სამყარო.

ცხოვრება რომ საინტერესო და მრავალფეროვანია ყველამ ვიცით, მაგრამ მრავალფეროვნების ასეთი შეგრძნება დაგეუფლოს, ეს ალბათ სხვა გაგება გახლავთ, სხვა სულიერი მოთხოვნილება და სხვა ხედვა, ხედვა კი უსაზღვრო და უკიდეგანო.

ალბათ, არ არსებობს ადამიანი არ გაოცდეს და არ დააფასოს გამბედაობის და უზარმაზარი ენთუზიაზმის ასეთი გამოხატულება. აქედან გამომდინარე, მან არ იცოდა რა იყო შიში. მისთვის მთავარი იყო მიზანი და მიზნის განხორციელება.

გამორჩეულ ადამიანებს მიზნებიც და მისნრაფებებიც გამორჩეული აქვთ. ბატონი ჯუმბერი საოცარი მაგალითია მიზნის მიღწევის, ჩვენ უნდა ვისწავლოთ გმირული პიროვნებებისაგან. თითოეულ ჩვენგანს რომ გააჩნდეს უნთუზიაზმის ასეთი ხარისხი და მიზნის მიღწევის ასეთი შეუპოვრობა, მართლაც და აშენდებოდა ჩვენი პატარა, ბალნარი საქართველო!

გმირებს არ ივინყებენ, ბატონი ჯუმბერი მუდამ ჩვენთან არის და იქნება. მისი პიროვნება საოცარი მაგალითია ჩვენი მომავლისთვის.





გურა-ანგურა  
(გურამ გედევანიშვილი)



**ვალერი მოსიაშვილი**  
პროფესორი აკადემიკოსი



ბატონ ჯუმბერს ახლოს ვიცნობდი, ის ძალიან თავდაბალი პიროვნება იყო. ძალიან ხშირად ვხვდებოდი აკადემიაში ღონისძიებებზე. ქალატონი გულნაზი, რომელიც არა ერთი სასწავლო, აღმზრდელობითი კლტურის კერისა თუ კოლეჯის დამფუძნებელი იყო, მიზნად დაისახა შეექმნა ისეთი აკადემია რომელიც არ იქნებოდა პოლიტიკური და ასეც მოიქცა, ბატონ ჯუმბერს სთხოვა რომ აკადემია ყოფილიყო მისი სახელობის, რათქმაუნდა ბატონი ჯუმბერი უარობდა, რადგან მას სახელი არ აკლდა, მაგრამ ქალბატონ გულნაზის თხოვნას ხათრი არ გაუტეხა და დათანხმდა. ასე ჩამოყალიბდა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, რომლის იდეის ავტორი გახლავთ, ქალბატონი გულნაზი და დამფუძნებლები არიან: ბატონი ჯუმბერ ლეჟავა და თვითონ ქალბატონი გულნაზი. მის სიცოცხლეშივე დაარსდა აკადემიასთან არსებული უურნალი „ათინათი“. წელიწადში ერთხელ გამოდის ანთოლოგია. აკადემია ოთხი წლის დაარსებული იყო როდესაც, ბატონი ჯუმბერი გარდაიცვალა, ხუთი წელიწადია მან მარადისობაში გადაინაცვლა, რასაც გარდაცვალება ჰქვია. აკადემიამ გადაწყვიტა მისთვის სპეციალური ტომი მიეძღვნა და ამით ის ფიცი შეესრულებინა რაც მის საფლავთან დაიდო, მართლაც და შეუძლებელია ყოველგვარი დაფინანსების გარეშე ეს დიდი მამულიშვილური საქმე აკეთო, მაგრამ თუ შენი საქმე გიყვარს, მართლაც უფალი შეგაძლებინებს ყველაფერს, განა უფლის დახმარებით არ ხდებოდა ბატონი ჯუმბერის მოგზაურობაც?



**ნათია დაშნიანი {პოეტი}**

**ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა  
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრი.**

მე, როგორც პოეტი ასე აღვიქვამ ბატონი ჯუმბერის მოგზაურობას. ეს მისი მოგზაურობა ისე იდუმალების ლაპირინთია, როგორც პოეზია. ჯერ კიდევ მისახედია მეცნიერებებისგან ვისაც ეს ხელეწიფება, მისი, როგორც პიროვნების შესწავლა. არავინ არ იცის კიდევ ჩვენ ვის გვერდით ვცხოვრობდით. ის ამოუცნობი ფენომენი იყო. მისი პიროვნება ისეთივე უკვდავია, როგორც შოთა რუსთაველის ვეფხის ტყაოსანი. სწორედ ამ გენიალური პოეტის სიტყვებით დადიოდა მსოფლიოს გზაზე ველოსიპედით ბატონი ჯუმბერი. „ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“.



## ქეთი მაზიაშვილი



## ბაცონო ჯუმბერი

ბედნიერება იქიდან იწყება, საიდანაც იგრძნობ, რომ შენი სულიერი სამყაროს გულის გადაშლა მოხდა. დარწმუნდნენ, რომ ხარ, ქმნი, აკეთებ, ხატავ, ჰო, ასეა ნამდვილად. ერთი წელია რაც ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრი გავხდი. ჩემი შემქმედების სულის გალერია მოთავსდა, წმინდა ნინოს ხატით მაღლშემოსილ უურნალ „ათინათში“, ამჟამად ჩემი სული დამოგზაურობს. უურნალის საშუალებით თბილისში, რუსთავში, რეგიონებში, საზღვარგარეთ და ახლა როდესაც ბატონ ჯუმბერ ლეჟავას უსრულდება ოთხმოცი წლის იუბილე, მინდა შევეხმიანო მის სულს: შენ, ჩვენთან ხარ ბატონო ჯუმბერ, ჩვენს გულებში. შენი სახელობის აკადემია გამოირჩევა სიკეთითა და სიყვარულით.



## ზეინაბ ასისტიშვილი-ქინიძე



## ლირსეულს ლავინწყება ან უწერია

### ჯუმბერ ლეჟავას გახსენება

მოკრძალებით და პატივისცემით მინდა დავწერო ორი სიტყვა, ჩემი ქვეყნის, საქართველოს შვილზე, რომელსაც მსოფლიო იცნობს და რომელიც შეუდარებელია, ეს ბატონი ჯუმბერ ლეჟავაა; რამდენად შევძლებ, ან როგორ შევძლებ ამ ძვირფას, საქართველოს შვილზე, რაიმე ვამცნო ვინმეს, მან ხომ თვითონ გააცნო, თავისი თავი. არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს. ის დედამიწის შვილი იყო, ამიტომაც უნდოდა, დედამიწა ენახა: მოჰყერებოდა, შეეცნო; თავის სიმშვიდით, გრიგალით, თქეშით და ხვნეშით, ყინვით და სიცხით, სილამაზით და საშიშროებით და მაინც მთელი სიყვარულით; დიდი გულით და გრძნობით. ბატონი ჯუმბერი, დიდი გულის, ძლიერი სულის, მიზანდა-სახული პიროვნება იყო. ამიტომ შეუძლებელი, შესაძლებელი გახადა. ის ქართველი იყო, კიდევ ვინ არის ისეთი? ვისაც შეეძლო მისებრ; ტაიგის, ტუნდრის, კლდე-ლრის, მთა-ველის, ზღვათა და ცათა დაპყრობა.

ვინ იცის რამდენჯერ ილოცა გადარჩენისთვის და სამშობლოში დაბრუნებისთვის მარტომ, თუმც არასოდეს მარტო არ ყოფილა, მასთან უფალი იყო. მის დიდ სურვილს და სიყვარულს

მფარველობდა, უხილავად. რომ არა ბატონ ჯუმბერის დიდი სიყვარული სამშობლოსადმი, რამდენი ლამაზი ქვეყანა შეეგება მის გზა-კვალზე, ხომ შეეძლო, სადაც მოიხიბლა, ბინა დაედო, თავისი ცხოვრება სხვაგან გაეგრძელებინა, ხომ შეეძლო უფრო საამო ცხოვრებით, განცხრომაში ეცხოვრა. მაგრამ არა, არ შეეძლო: საქართველო ეძახდა, ელოდა, უყვარდა საქართველოს და აბაროვორ? ისიც ხომ სამშობლოს არ დავიწყებისთვის, მისი გაღმერთებისთვის, ლირსეული მამულისთვის ესწრაფოდა წარმოჩენას და ასეა: მსოფლიომ შეიცნო სასახელო მამულისშვილი: ქართველი, ჩაიწერა ისტორიის საგანძურში, დიდებული, ლირსეული მამულისშვილი ჩვენი ერისა, მამულისშვილი ჩვენი გენისა: საქართველოს კურთხეულ მინას ცოტა თუ უღირსი ჰყავდა შვილი, ისიც უყვარდა, მაგრამ ლირსეული ხომ არ დაითვლება, ვინც სამშობლოს სიყვარული, დედის სიყვარულთან გააიგივა, თავი სამშობლოს ანაცვალა, დაღლით სამშობლო ასახელა, სიბრძნით ბევრი გააკვირვა. თავისი ხალხი უზომოდ შეიყვარა, ემსახურა და არასოდეს სხვაში არ გასცვალა. არა, სიმდიდრე არ იყო ლირებული მისთვის, მხოლოდ სამშობლო. ქართული სისხლი იყო ძარღვში და ეს ყველაფერი იყო... როდესაც ბეჭნიერი და ამაყი ვართ ასეთი მამულისშვილებით, როდესაც ჩვენთვის მისაბაძი და საამაყო გვყავდა ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, ვალდებული ვართ, ვისაც როგორ შეგვიძლია, თუნდ სულ პატარა საქმით ქართველობა ვასახელოთ. გვიყვარდეს სამშობლო ჩვენი, ვიყოთ ერთგული და ერთმანეთს მოვუფრთხილდეთ, მოვეფეროთ. ლირსეულთა სახელის უკვდავებისთვის წმინდა სანთელი ავანთოთ. ვადიდოთ მათი სახელი და უფალს შევთხოვოთ საქართველოს გადარჩენა: მომავლების სიჯანმრთელე, გონიერება, გახარება და გამრავლება.

ბატონმა ჯუმბერმა მსოფლიო მოიარა ერთგული ველოსიპედით, კარგი აქეთ მოიტანა, ცუდი მოიშორა. ჩვენც ასე, სხვისი კარგი მოვიწონოთ და ჩვენი სიწმინდე, სიყვარული, ერთგულება, ქართული კარგი არასოდეს დავივიწყოთ და არ დავკარგოთ.

ახლა კი ბატონი ჯუმბერი ზეცას უვლის, იქიდან მფარველობს ჩვენს საქართველოს, სამყაროს ხედავს: გვიცავს და გვლოცავს. დღეს გასაქცევად გვაქ საქმე, მაგრამ იქნებ სხვაგვარად ვუშველოთ თავს.

ჩემი მოკრძალებული თხოვნაა, დროებით წახვიდეთ საქართველოდან და არა სამუდამოდ, დაგვიბრუნდით! სამშობლოში, ლირსეულო შვილებო: შევიკრათ ჯაჭვის რგოლად, ვაშენოთ ლამაზი სამყარო, მოვეფეროთ ერთმანეთს, გადავარჩინოთ საქართველო და ერთმანეთი: გვიყვარდეს და გვახსოვდეს ჩვენი წინაპრები, აუნთოთ სანთელი.

ვიცოდეთ ვინ იყო ჯუმბერ ლეჟავა, ვიყოთ ამ ლამაზ ქვეყანაში, ლირსებით და წესიერებით, რომელიც ყოველდღიურად უფასურდება, ბევრი ცუდი ხდება მაგრამ, გავძლიერდეთ და ვაჯობოთ ყველაფერს. ლმერთო გვაკურთხე, გადაგვარჩინე. დიდება სახელოვან მამულისშვილს: ბატონ ჯუმბერ ლეჟავას.



## გულნაზ ხარაიშვილი



## წერბის გადასახელილი

რუსთავში არსებობდა სქოლიოზით დავადებულ ბავშთა სკოლა-ინტერნატი. სკოლის დირექტორი იყო ბატონ ნოდარ ვარდოსანიძე. ბატონი ნოდარი, თბილისის ერთერთ სკოლაშიც ყოფილა სკოლის დირექტორი, ეს ადრე, როცა ჯუმბერ ლეუავა სკოლის მოსწავლე იყო. ნოდარი ასწავლიდა ისტორიას ჯუმბერ ლეუავას. როდესაც მოგზაური ცხრა წლიანი მოგზაურობიდან დაბრუნდა, მისმა ყოფილმა დირექტორმა და მასწავლებელმა თავისი მოსწავლე მოინვია სკოლაში. ეს იყო, მაისის თვე, ორიათას სამი წელი. მოწვევამდე, სქოლიოზით დავადებულ სკოლა ინტერნატში, მოგზაურის პატივსაცემად მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. ვისაც რა შეეძლო პირველი და მეორე განყოფილებისათვის ის უნდა მოემზადებინა. მე დამავალეს, აჩმის და ტორტის გაკეთება, ორივე შეკვეთა პირნათლად შევასრულე და სკოლაში მივიტანე. ერთი ლამაზი ლექსიც მიუძღვი და დაველოდე მოვლენებს, ინტუაცია მკარნახობდა, რაღაცა უნდა მწყენოდა.

დილის მზემ თავისი ოქროსფერი მძივები თითქოს და საგანგებოდ დაფინა ნაძვნარებით გადამზანებულ ეზოს, ცამოწენდილზე გრიგალი ამოვარდა, ატყდა ჭექა-ქუხილი, შემოსასვლელში იმხელა გუბები დადგა, მანქანები გარეთ დააყენეს. ღონისძიებაზე ყველას შეეძლო დასწრებოდა, მითუმეტეს მე, ამდენი პურმარილის მომტანს და ლექსის ავტორს. ღონისძიება როგორი იყო, ეს მე არ ვიცი, რადგან სხვა საქმით დამაკავეს. ბოლოს სუფრაზე გადაინაცვლეს და ჩემს დამზადებულ აჩმასა და ტორტს მიუსხდნენ.

ორიათას სამ წელში პროფესიურის დიდი ძალა ჰქონდა, პროფესიულების თავჯდომარე იყო, რუსული ენის პედაგოგი კლარა მალაზონია. ეს ისეთი პიროვნება იყო მის თვალებს არაფერი გამოეპარებოდა, არც ცუდი და არც კარგი. სუფრასთან მიწვევამდე ლექსი რომ არავინ წაიკითხა, კლარას ძალიან გაკვირვებია და უკითხავს – რას გავს ახლა ეს! – ასე იცოდა წარმოთქმა, როდესაც რაიმე უსამართლობას წააწყდებოდა. მერე დაუმშვიდებიათ, დირექტორის ბრძანება იყო, ის ლექსი კონვერტში ჩავუდეთ და ისე ვატანთო. სუფრაზეც რომ ვერ დამინახა, ეჭვმა არ მოასვენა და დირექტორს თურმე უთხრა: ბატონო ნოდარ, თქვენი ბრძანება იყო ლექსის კონვერტით მირთმევა? კონვერტი რაში ჭირდებოდა? ლექსში დოლარები იყოვო? გაკვირვებულ დირექტორს მკაცრად მიუმართავს: დაუძახეთ ქალბატონ გულნაზისო, წვიმა გადაკარებულ ეზოს მზის სხივები ეალერსებოდნენ, ნაძვის წინვები პოეტურ თვალში დევის ფრჩხილებივით აილანდნენ და ლექსის წერა დავიწყე. ეს უკვე მეორე ლექსი ჩამომემარცვლა ბატონი ჯუმბერის საპატივსაცემოდ.

მზე გაზაფხულს შემოუძლვა დილით  
და სიცოცხლე, ააკვირტა ისევ,  
თავის გამზრდელს დაუბრუნდა შვილი,  
მთებმა სული შეუბერეს კვირტებს.

გაასწარი ხვალესა და დროუაშს,  
დედამიწის დაამჩნიე კვალი,

შენ, მინდიად გქონდა ქართვლის დროშა,  
ვაჟკაცურად მოიხადე ვალი.

ო, ქვეყანავ, ულეველო გმირთა,  
წინ მიდიხარ ერო, უხმაუროდ,  
წარმატებას, დაგიტოვებ ტვირთად,  
გამარჯვებას დიდო მოგზაურო.

შეშფოთებულმა კლარამ შემომიყვირა: რას გავს ახლა ეს! და ტონი შეცვალა, ჰო, წერე ბა-ტონო, რა გენალვლება, შენს ლექსებს კარგი პატრონი გამოუჩდი, თორემ დაკონსერვებული ყუ-თივით უავტოროდ გზას გაუდგებოდა. წამოდი! მიბრძანა. ამ კილოში იმდენი სითბო და ერთგუ-ლება დავინახე, რომ მორჩილი ბავშვივით უკან გავყევი. დარბაზში მსხდომნი მელოდებოდნენ, მოკრძალებული სალამი ვთქვი და სკამზე ჩამოვჯექი. კონვერტი გახსნეს და ზეციდან ნაკარნახე-ბი ლექსი ჩემს ხელში აღმოჩნდა.

კითხვა დავიწყე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მოგზაური ცრემლების მსხვერპლი გახ-და, კითხვა დაგვამთავრე, მოგზაური ადგა, თქვენი კოორდინატები დამინერეთო. კლარამ ლექსის ფურცელი გამომართვა, მოგზაურთან დასაკავშირებელი ყველა რეკვიზიტი დაწერა და მოგზაურს მიაწოდა, თან ჩემს გასაგონად ხმამალლა თქვა: ნიჭიერი ქალბატონია (ალარაფერი უთქვამს, მაგ-რამ იგულისხმებოდა მის მკაცრ და თბილ საქციელში). სუფრასთან ცოტა ხანი გავჩერდი, ჩემი დამზადებული ერთი აჩმის ნაჭერი ზრდილობის გულისთვის ავიღე, მერე უხმაუროდ ავდექი და წასვლა დავაპირე. ჩემმა მოსამართლე, თუ მეპატრონე კლარამ კმაყოფილებით გადმომხედა, თითქოსდა ბრძოლის ველი მოიგო, ისე იყო გახარებული.

მოგზაურმა თავისი მხლებელი ქალბატონიც ააყენა და წინ გადამიდგნენ: ქალბატონო, მე, თქვენს იმ წიგნს გამოვუშვებ, სადაც ეს ლექსი დაიბეჭდებაო და კვლავ კითხვა შემომიტრიალა – რამდენი წიგნი გაქვს გამოშვებული? არც ერთი, ვუპასუხე და გზა განვაგრძე. მოგზაური შეტრი-ალდა და, ვატყობდი, ლექსით აღფრთოვანებული დირექტორთან რაღაცაზე საუბრობდა. სუფრა-ზე მსხდომნი მალე აიშალნენ, ეზოში სურათების გადაღება დაინყეს და ისევ მე დამიძახეს. ლექ-სის ავტორი სად არის, ისევ კლარას ხმა ისმოდა ეზოში. გამოვედი და სკოლის ეზოში მოგზაურ-თან ერთად სურათი გადავიღე. ამ სურათს ახლა ვაქვეყნებ, მასში მოგზაური რამდენიმე დღის

დაბრუნებულია მოგზაურობიდან. ეს ის პე-რიოდია, როდესაც მოსახლეობას ძალიან უჭირდა ეკონომიკურად. როდის არ უჭირდა ან აუამად რა, არ უჭირს?

საქმიანი ურთიერთობები გაგრძელდა. რუსთავიდან თბილისში გადავინაცვლე, სა-მუშაოდ ჩუბინიშვილის ქუჩაზე, კულტურის ცენტრის დირექტორად. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ჩემი დაბადების დღე, ხუთი მაისი ახლოვდებოდა. წიგნი უკვე გამოუშვი ჩემი სახსრებით, რადგან ბატონი ჯუმბერი არ დააფინანსეს და, დანაპირებიც არ შეს-რულდა. პირიქით, დახმარება თვითონ შევ-ძელი მოგზაურის, თბილისში ნაყინი „თო-ლია“ ბატონ ბიძინას ეკუთვნოდა ამ ქარ-ხნის დირექტორი იყო ბატონი დავით კილუ-რაძე, ჩემი უშუალო მოლაპარაკების სა-



ფუძველზე, ბატონი ჯუმბერი დააფინანსეს 6000 ლარით და გამოუშვა პირველი უურნალი „მოგ-ზაური“. უურნალში ჩემი ლექსი დაიბეჭდა, ბატონ ჯუმბერზე მიძღვნილი. ბატონი დავითი გადა-იყვანეს ქართუ ბანქში და ბატონ ჯუმბერს რუკების გამოშვებაში დაეხმარა. მახსოვს მიმართა:

როცა შენს საქმეებს აიწყობ, ქალბატონ გულნაზის, წიგნების გამოშვებაში დაეხმარეო, მაგრამ ბატონი ჯუმბერი იყო ძალიან ალალი და მას ბევრჯერ ატყუებდნენ. მან ჩემი დახმარება ვერასოდეს მოახერხა ანუ თუ რამეს დავხმარებივარ, ალალი იყოს, ამ მსოფლიო მნიშვნელობის ადამიანს. მე სხვადასხვა ორგანიზაციებში მომიწია მუშაობა და ყველგან ხდებოდა ჩემი მხრიდან დახმარება: ის, რომ რუკებს ვთავაზობდი სკოლებს, ფიზუკურად მოვდიოდი სკოლის დირექტორებთან, მოგზაურს, სურათები ფქონდა მოგზაურობის დროს გადალებული. ამ სურათების გამოფენა, რუსთავის სკოლაში ზვიად გამსახურდიას ფართოპროფილიანი სკოლაკოლეჯში ჩემი ჩარევით მოხდა, სადაც თითქმის რუსთავის უმრავლესობა სკოლის მოსწავლეებიდან მოვიდნენ და ათვალიერებდნენ, ლამაზი შთაბეჭდილების მოგზაურობაში დადიოდნენ მოსწავლე ახალგაზრდობა.

ინფორმაციისათვის მეტის ჩამოთვლა არ არის საჭირო, რაც შეეხება აკადემიას, ჩემი იდეა იყო, მადლობა ბატონ ჯუმბერს, რომ მენდო და დამთანსმდა. აკადემიის დამფუძნებლები ორივე ვართ. ბატონი ჯუმბერი, აკადემიის დაარსების სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ახლა ის ზეცაშია, მისი სული ხედავს, როგორ ვუფრთხილდები, მის სახელობის აკადემიას და დიდი წვალების ხარჯზე, უფლის დახმარებით ვუშვებ უურნალ „ათინათს“ და ანთოლოგიებს.

### მეგობრობის ფიცი



## ლარისა და თენგიზ გაჩეჩილაძეები

### სო არსებობსა უფრო ხსხევაზე, ვიღრე იყო ჯუმბერ ღევავა

“ჩვენ ვიცით რა ვართ, მაგრამ  
არ ვიცით რა შეიძლება ვყოფილიყავით.“

„არის როცა კაცუნების პოზიციიდან ვუყურებთ გიგანტებს“, უფრო მეტიც, მათ გვერდით ვართ, ვმეგობრობთ კიდეც, ვცხოვრობთ, ერთად ვწვავთ ბედისწერისგან ჩვენთვის განკუთვნილ წუთებს, დღეებს, წლებს... და თითქოს არაფერი, ვთვლით, რომ ეს ასეც უნდა იყოს. არა, მე გთხოვთ ზედმეტ თავმდაბლობაში არ ჩამითვალოთ ეს სიტყვები, მაგრამ ყოველთვის ვთვლიდი, რომ გიგანტის გვერდზე ვიყავი და გიგანტს ვემეგობრებოდი.

კარგ პოეტ – შოთა ნიშნიანიძეს აქვს ერთი ერთკუპლეტიანი პრწყინვალე ლექსი:

„რა მოგისწრია, რა შეგიქმნია,  
ანდა სად თქმულა, სადაურია,  
ზოგის ცხოვრება მთელი წიგნია,  
ზოგის კი მხოლოდ სათაურია.“

დიახ, ყველაფერი ამ ოთხ სტრიქონშია ნათქვამი; მისი ცხოვრება მთელი წიგნია, თუმცა მის მიერ განვლილი წლები იმდენად საინტერესო და ნათელი ფერებითაა დატვირთული, რომ ერთი წიგნი ნამდვილად არ ყოფია, სულ ცოტა ტრილოგიაა მასზე საჭირო.

ბატონი ჯუმბერი ჩოხოსან რაინდთა დასში გავიცანი. რომლის წევრი წლების განმავლობაში მეც ვიყავი, თუმცა ახალგაზრდობაშიც ვიცნობდი შორიდან. მის ეზოში, საბჭოს ქ. №60 -ში ჩემი ახლობლები ცხოვრობდნენ.

ჩვენ 50-იანი და 60-იანი წლების თბილისელ ახალგაზრდობას „დურბინდი“ უკუღმა გვეკავა და ვფიქრობდით, სულ ახალგაზრდები და ჯან-ლონით სავსენი ვიქებოდით, ამიტომ ჩვენ გვაკვირვებდა ჯუმბერის მსგავსი თანატოლების მიზანდასახულობა და ცხოვრებისეული ფილოსოფია.

როგორც შემდგომში შევიტყვე, ჯუმბერს რაღაც შინაგანი გართულებები ჰქონდა ორგანიზმში და ეს იყო ძალიან სერიოზული რამ. თუმცა ჯუმბერმა ამ ყველაფერს აჯობა, დაამარცხა ავადმყოფობა და, თავის თავზე ვარჯიშებით, შემდგომში თავის ცხოვრებას პრწყინვალება შესძინა.

უმრავლესობა 50 წელს, რომ გადააბიჯებს თბილი ლოგინისკენ მიუწევს გული. ზოგი მაშინ იწყებს ნამდვილ ცხოვრებას, ზოგი კი (მსგავსები იშვიათად არიან) – ჯუმბერი ლეჟავაა. ის ერთადერთია, სხვას მსგავსს უბრალოდ ვერ ვიხსენებ.

50 წელს გადაცილებული ჭარმაგი კაცი, რომ ჩაიფიქრებს მსოფლიოს უნდა შემოვუაროო, რა შეიძლება მასზე ითქვას?! რის კუკი, რის მაგელანი, მიკლუხო-მაკლაი ან პრუევალსკი, გინდაც კოლუმბი. მათ მთელი ქვეყნის ყურადღება და დაფინანსება ჰქონდათ და მსოფლიოს მოგზაურთა ისტორიაშიც სათანადო ადგილი დაიმკვიდრეს. ჯუმბერს კი რა? აიღო ერთი ველოსიპედი, შემოაჯდა და გასწია. რომელი გაძედავდა მსგავსს? თუნდაც ზემოთჩამოთვლითაგან?

ერთია მხოლოდ, მის ორგანიზატორებს ერთი „იაღლიში“ მოუვიდათ – განაცხადეს: ჯუმბე-

რი 2000 წლის 1 იანვარს ჩამოვა და ქართველ ხალხს 21-ე საუკუნეს მოულოცავსო! არ დავიზარე და დავრევე აღნიშნულ ტელეფონზე: „შეცდომა, 21-ე საუკუნე არა 2000 წლის 1 იანვარს დადგება, არამედ 2001 წლის 1 იანვარს“ – მეტქი. შეცბუნდნენ, მაგრამ რას იზამ; ჯუმბერი უკვე გავიდა და ამ ნათქვამს ვერ გამოვასწორებთო. შეცდომა დიდია, მაგრამ აღარ ჩავძიებივარ და თავი იმით დავიმშვიდე, რომ მთელმა რუსეთის იმპერიამ მეოცე საუკუნის დადგომა 1900 წლის 1 იანვარს იზეიმა. უფრო მეტიც, გასული საუკუნის 90-იან წლებში პარიზში გახლდით და იქაც ეიფელის კოშკზე კაშკაშებდა დღეების ჩამონათვალი, თუ რამდენი დღე დარჩა 21-ე საუკუნის დადგომამდე და იქაც 2000 წლის 1 იანვარი იყო გამოთვლილი. ეს ვუთხარი ადგილობრივ მეგობრებს, მაგრამ იცით რაა? ვერ გამიგეს. დიახ ხდება ამგვარიც.

მგონი გადავუხვიო.

ჯუმბერი ბედნიერად გაემგზავრა და ასევე სალ-სალამათი დაგვიბრუნდა, თუმცა აღარ მი-მიქცევია ჩამოსვლის თარიღისთვის ყურადღება.

ჯუმბერი იყო არაჩეულებრივი ფოტო-ხელოვანიც. მან თბილისის ქარვასლაში გამოფინა თავისი ფოტო-ნამუშევრები, რომელთაგანაც უმრავლესი ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა და მე გაკვირვებული ვიყავი დამთვალიერებელთა გულგრილი დამოკიდებულებით საურათებისადმი.

ჩემი აზრით, ამ გამოფენაზე სკოლის მოსწავლეები უნდა მოეყვანათ და თვითონ ჯუმბერი ჩაუტარებდა ექსკურსის მათ და თვალნათლივ დაანახვებდა იმ ქვეყნებს, ხალხებს, მათ წესჩეულებებს, რაც ჩვენ მხოლოდ წიგნებით და კომპიუტერით შეიძლება გვცოდნოდა, დიახ! ბევრი მსგავსი, ჩვენთვის საინტერესო და ჭკუის სასწავლებელი გავუშვით ხელიდან.

ხშირად, მეგობრები რომ შევიკრიბებოდით სუფრასთან, ის ისეთ საინტერესო ამბებს გვიყვებოდა, რომ სმენად ვიყავით გადაქცეული. დიდი ცოდნის და დიაპაზონის ადამიანი იყო იგი.

ჯუმბერი თვით ბუნების კანონებს ეწინააღმდეგებოდა, ებრძოდა, და ვფოქრობ ამან დალუ-პა ის.

ერთხელ პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველ კორპუსში, სადაც ის მუშაობდა, მეგობრები ვეწვიეთ. ჩემი ყურადღება მიიპყრო მის კაბინეტში 12 კილოგრამიანმა „ჰანტელებმა“. ამით ვვარჯიშობ ხოლმეო. არადა მაშინ 75 წლის კაცი იქნებოდა. ხუმრობით მკლავის კუნთზე მოკიდე ხელი, ქვასავით ჰქონდა, ბევრ ახალგაზრდას შეშურდებოდა. ამიტომ იყო ის გინესის რეკორდების მრავალგზის მფლობელი.

გეკითხებით: რამდენი გვყავს ქართველებს მსგავსი პატივსაცემი ადამიანი? მე თვითონ გავ-ცემ პასუხს: **არ მეგულება.**

ღმერთმა გაანათლოს მისი სული იმ ქვეყნად. ის იქაც პირველი იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ.

ასე წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი დიდი ქართველი. ის საქართველოს სიყვარულში ჩაიწვა და ჩაიფერფლა, თუმცა სჯობს ისევ შ.ნიშნიანიძეს დავუბრუნდეთ:

„ცეცხლი ცეცხლია, ზოგან მცირე, ზოგან დიდია,  
საქმე ის არის, რას წვავს იგი, რას უკიდია.“

**ლარისა და თენგიზ გაჩეჩილაძეები**  
(სამეჯლისო სპროტული ცეკვის სპეციალისტები,  
ცეკვის აკადემია „თელას“ დამაარსებლები)  
თბილისი, 2019 წლის 27 იანვარი

— ა კ ა ვ ა —

## რობერტ ლარიბაშვილი, ხათუნა ლეუავა



### მოგზაური ჯუმბერ ლეუავასთან შეხვედრების შთაბეჭდილებები

ამერიკის შეერთებული შტატები უკვე დიდიხანია იქცა კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, მსოფლიოს პოლიტიკური კლიმატის მთავარ რეგულატორად, თანამედროვე ცივილიზაციის დონისა და პლანეტის ხვალინდელი დღის ბარომეტრად, ადამიანის გონებრივ შესაძლებლობათა ფართოდ გამოვლენისა და მათი ხორცებსმის უდიდეს ასპარეზად. დღევანდელ მსოფლიოში დაკისრებული უდიდესი საკაცობრიო მისის გამო ამერიკის შეერთებულ შტატებთან სხვა ქვეყნების ადამიანთა ყოველგვარი კონტაქტი მისი გაცნობისა თუ საქმიანი შეხვედრების მიზნით დღევანდელ ვითარებაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. რადგან სწორედ მსოფლიოს ამ წამყვანი სახელმწიფოს განკარგულებაშია თავმოყრილი გიგანტური ეკონომიკური პოტენციალი, საქმიანი წრეების ნაყოფიერი მოღვაწეობისა და მთელ მსოფლიოსთან სასარგებლო კონტაქტების განმტკიცების უდიდესი რესურსები, მსოფლიოში მომხდარი მნიშვნელოვანი ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ინფორმაციის ყველაზე ოპერატორისად და ფართოდ გავრცელების შესაძლებლობები.

ამერიკაში ჩვენი მოგზაურობაც პირველ რიგში საქართველოს მოქალაქის მიერ დაწყებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმის წარმატებით გაგრძელების ხელისშეწყობას ისახავდა მიზნად და ბუნებრივია, პარალელურად შესაძლებლობის ფარგლებში ან ქვეყნის გაცნობას მისი ყველა დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით. 1993 წლის 13 აგვისტოს ქალაქ რუსთავიდან საქართველოს პარლამენტში ამ ქალაქის წარმომადგენლის უიული შარტავას მხარდაჭერითა და თანადგომით, რომელიც იმხანად უკვე აფხაზეთისა მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა, თბილისელმა ინჟინერმა ჯუმბერ ლეუავამ დაიწყო ველოსიპერდით მოგზაურობა მსოფლიოს ირგვლივ და აგერ უკვე ხუთ წელზე მეტია, უამრავი სირთულეებისა და პრობლემების მიუხედავად აგრძელებს გზას, რათა, როგორც ქართველმა კაცმა კიდევ ერთხელ განაცვიფროს მსოფლიო თავისი ნიჭიერების, გონების, ნებისყოფისა და სიმტკიცის და პირველ რიგში თავისი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის წყალობით. მოგზაურობას, რომლის დამთავრების შემდეგ ჯუმბერ ლეუავა გინესის კლუბის მორიგი რეკორდის ავტორი გახდება, საწყის ეტაპზე ხელმძღვანელობდა უიული შარტავას ძალისხმევით შექმნილი საინიციატივო ჯგუფი, უიული შარტავას გარდაცვალების შემდეგ, რამოდენიმე წლის განმავლობაში მოგზაურს აქტიურად უჭერდა მხარს და შესაძლებლობის ფარგლებში ფინანსურად ეხმარებოდა სამეცნიერო საგამომგონებლო ფირმა ”თემურ მაისურაძე”, რომელსაც ფაქტიურად დაკისრებული პქონდა ამ მეტად მნიშვნელოვანი აქციის წარმართვისა და ხელმძღვანელობის ფუნქცია. თავის დროზე მოგზაურობის ხელშემწყობმა საინიციატივო ჯგუფმა უიული შარტავას ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლისა და იმ პერიოდში საქართველოში შექმნილი ურთულესი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარების გამო მიიღო გადაწყვეტილება მოგზაურობის დროებით შეწყვეტისა და მისი განახლებისათვის სათანადოდ მომზადების საჭიროების შესახებ. ასეთი ნაბიჯის გადადგმა იმითაც იყო განირინებული, რომ ჯუმბერ ლეუავას, რომელიც იმ პერიოდისათვის ისრაელში იმყოფებოდა, არც ერთმა მისმა მეზობელმა არაბულმა ქვეყანამ არ მისცა



თავიანთ ტერიტორიაზე მოგზაურობის მარშრუტის მიხედვით შესასვლელი ვიზა, ფუჭად დროის დაკარგვისა და ზედმეტი ხარჯების უმიზნოდ გაღების გამო, ერთადერთი გამოსავალი ამ ვითარებაში მოგზაურის სამშობლოში დროებით დაბრუნება აღმოჩნდა. ჯუმბერ ლეუავას მოგზაურობის დროებითი იძულებითი შეწყვეტისას უქმად არ დაუკარგავს დრო, იგი უკვე განვლილი გზისა და მისი მომენტების გათვალისწინებით აგრძელებდა ინტენსიურ ვარჯიშსა და მუშაობას. იგი სიტყვითაც გამოვიდა უიული შარტავას ფონდის დამფუძვნებელ კონფერენციაზე 1993 წლის 19 ნოემბერს, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომავალი მოგზაურობა უიული შარტავას, როგორც ამ საქმის დაწყების ორგანიზატორისა და სულის ჩამდგმელის ხსოვნის უკვდავყოფის ნიშნით წარიმართება. თავის მხრივ ახლადშექმნილი ფონდის გამგეობამ მას აღუთქვა სათანადო დახმარება, როგორც კი ამის პირველივე შესაძლებლობა გაჩნდებოდა. მოგზაურობა განახლდა 1993 წლის 26 ნოემბერს და მანამდე საინიციატივო ჯგუფსა და საგამომგონებლო ფირმა “თემურ მაისურაძეს” შორის მოგზაურის თანდასწრებით, მოხდა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა მოგზაურობის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ერთობლივ ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას. ორივე მხარის ფუნქციებისა და ვალდებულებების ნათლად გამოკვეთისა და დაკონკრეტების გზით, მაგრამ შემდგომში საგამომგონებლო ფირმა “თემურ მაისურაძის” ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ თვითონ დამოუკიდებლად შესწევდა უნარი ეხელმძღვანელა მოგზაურობისათვის და გადაწყვიტა მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რაშიც თვით ჯუმბერ ლეუავაც დაარწმუნეს და უიული შარტავას ფონდი, რომელსაც უკვე 1994 წლის მეორე ნახევარში გაუჩნდა მოგზაურობისათვის აქტიური ფინანსური დახმარების შესაძლებლობაც, რომ აღარაფერი ვთქვათ თუნდაც მის გამგეობისა და მზრუნველთა საბჭოს წევრების, ფილიალების ხელმძღვანელების ორგანიზატორული მუშაობისა და ანალოგიური ხასიათის აქციების მართვის დიდ გამოცდილებაზე, იძულებული იყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოგზაურობისადმი მხოლოდ მორალური მხარდაჭერის ფუნქციით დატაყილებულიყო. თუმცა იგი ყოველთვის ცდილობდა არსებული შესაძლებლობის ფარგლებში მიეღო მონანილეობა მოგზაურობის მიმდინარეობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში. ფონდის მხრიდან მოგზაურობისადმი ასეთი დამოკიდებულების კონკრეტული გამოვლინება იყო 1995 წლის ზაფხულში, მისი მხარდამჭერი დაწესებულებების დახმარებით 3 კაციანი /ჯუმბერ ლეუავას სიძე – ვახტანგ აბრამიძე, გაზეთ “შსოფლიო მოგზაურის” რედაქტორი ნარიმან იაშალაშვილი და ინდოლოგი ნიკო კენჭოშვილი/ გაგზავნა ინდოეთში, სადაც იმუამად მოგზაურობის მარშრუტის თანახმად ჯუმბერ ლეუავა იმყოფებოდა. ამასთან აღნიშნული ჯგუფის შეხვედრა მიზნად ისახავდა მის მიერ უკვე განვლილი გზის ყველაზე მნიშვნელოვანი დამახასიათებელი მომენტების გაანალიზებას, ველოსიპედით მოგზაურობის ოპტიმალური მარშრუტების განსაზღვრას, მოგზაურის მხარდაჭერას მთელს მსოფლიოში მოგზაურობის შემდგომი პოპულარიზაციისათვის. მიმდინარე მუშაობის ყოველმხრივ სრულყოფას. სამწუხაროდ საგამომგონებლო ფირმა “თემურ მაისურაძის” ხელმძღვანელობამ ფონდის მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი მხარდაჭერის ნაცვლად ხელისშეშლასა და მათ საქმეებში გაუმართდებელი ჩარევის ფაქტად ჩათვალა, რის გამოც მოგზაურობის საინიციატივო ჯგუფმა და უიული შარტავას ფონდმა გაავრცელეს სპეციალური განცხადება, მომავალში მოგზაურობისადმი დამოკიდებულების ძირითადი მომენტების შესახებ. აღნიშნული განცხადება განხილული და მონიტორინგი იქნა უიული შარტავას ფონდის გამგეობის გაფართოებულ სხდომაზე, ხოლო შემდეგ ფონდის II კონფერენციაზე. საგამომგონებლო ფირმა “თემურ მაისურაძის” ხელმძღვანელობის არასწორ, შხირ შემთხვევაში ზედაპირულ დამოკიდებულებას, სათანადო შეფასება მიეცა III კონფერენციაზეც 1996 წლის ივნისში, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ფონდი მსოფლიო მოგზაურობისადმი საგნობრივი დაინტერესების მთავარ მოტივად თვლიდა იმ გარემოებას, რომ მოგზაურობა უიული შარტავას მხარდაჭერით დაიწყო და ჩვენი მხრიდან მისდამი პასიური დამოკიდებულება გაუგებარი იქნებოდა და არასწორად აღიქმებოდა ქვეყნის საზოგადოებრიობისა და თუნდაც რუსთავის მოსახლეობის მიერ, საიდანაც ეს მოგზაურობა დაიწყო, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ყოველთვის ვითხოვდით გარკვეული შეთანხმების ამსახველი დოკუმენტის შედგენას, სადაც მკაფიოდ იქნებოდა ფონდის ფუნქცია და შესაბამისი ვალდებულებები განსაზღვრული თუნდაც საგამომგონებლო ფირმა “თემურ მაისურაძის” მოგზაურობის საერთო ხელ-

მძღვანელობისა და კოორდინაციის ფარგლებში, მაგრამ ჩვენს მცდელობას საერთო საქმისათვის სა-სურველი შედეგები ვერ მოჰყვა, ამასობაში ფირმა დარწმუნდა, რომ ფაქტიურად თვითი ზოლაციისა და მოგზაურობის წარმართვაზე ხელმძღვანელობის პირობებში, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ დაწესებულებებთან ორმხრივი ხელსაყრელი თანამშრომლობის, სახელმწიფო ორგანოების სისტემატური ქმედითი დახმარებისათვის თანმიმდევრული მუშაობის, მოგზაურობისათვის სხვადასხვა სახის დახმარების აღმოჩენი დაწესებულებებისადმი ელემენტალური მადლიერების გრძნობის გამოხატვის, მოგზაურობის სათანადო რეკლამისა და პოპულარიზაციის, ქვეყნის მოსახლეობის და მსოფლიო საზოგადოებრიობის სისტემატური ინფორმირების, განეული მუშაობის, გადაბული ხარჯების შესახებ უტყუარი, სარწმუნო, გულწრფელი ინფორმაციის გავრცელების გარეშე, ასეთი რთული საქმის ბოლომდე მიყვანა ძნელია. მხოლოდ ამის შემდეგ გაახსენდა ფირმა “თემურ მაისურაძეს” ჟურნალი შარტავას ფონდი და დაინტერეტიზების გამოხატვა – ფონდი არ გვეხმარება მოგზაურობის გაგრძელებაში. როდესაც ეს პრეტენზია ჟურნალი შარტავას ოჯახის წევრებთან საუბარშიც გაისმა, მაშინ ჩვენ ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში ჟურნალი შარტავას ფონდსაც, გამგეობის ზოგიერთი წევრების მოგზაურობის ხელშემწყობი სანიციატივო ჯგუფის წარმომადგენლების, ჟული შარტავას ვაჟიშვილის ირაკლის თანდასწრებით შევცვლით თემურ მაისურაძესა და ზაზა კაციაშვილს და განვიხილეთ მსოფლიო მოგზაურობის გაგრძელებისათვის საერთო ძალისხმევით ხელისშეწყობითა და ამ მიზნით ორმხრივი თანამშრომლობის პრობლემები. გადაწყდა, რომ ისინი წარმოადგენდნენ სათანადო წინადადებებს ამ საქმეში მომავალი თანამშრომლობის პირობების შესახებ, მაგრამ კვლავ არ შეასრულეს მათივე სურვილით ნათქვამი დანაპირები, რითაც კიდევ უფრო გაურთულეს მდგომარეობა მსოფლიო მოგზაურს. ასეთ პირობებში ჯუმბერ ლეჟავამ კარიბის ზღვის კუნძულოვანი ქვეყნების გავლის შემდეგ დიდი სირთულეების დაძლევის შემდეგ, როგორც იქნა ჩააღწია ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ატლანტაში და აფრიკის ქვეყნებში გამგზავრებამდე დროებით აქ შეისვენა, რათა მოეგვარებინა მოგზაურობის გაგრძელებასთან დაკავშირებული მთელი რიგი, მათ შორის საგამომგონებლო ფირმასთან “თემურ მაისურაძე” მომავალი ურთიერთობის საკითხები. მანამდე ჯუმბერ ლაჟავას ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა, მეგობრებმა თხოვნით მიმართეს ჟული შარტავას ფონდს დახმარება გაენია მსოფლიო მოგზაურისათვის დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის საქმეში. ჟული შარტავას ფონდის გამგეობამ მიმდინარე წლის სექტემბერში განიხილა საკითხი მიმდინარე ეტაპზე მსოფლიო მოგზაურობისადმი დამოკიდებულების ძირითადი მომენტების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება, არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, მსოფლიო მოგზაურობის გაგრძელების საქმეში აქტიური ჩაბმის მიზანებინილობის შესახებ. ამავე დროს გადაწყდა მოგზაურობისადმი მიძღვნილი 25 ტომეულის გამოცემისა და გავრცელების მიზნით ფონდის შესაძლებლობათა აქტიურად გამოყენების შესახებ. ქალაქ რუსთავის მერიის დახმარებით უკვე გამოვიდა მოგზაურობის შთაბეჭდილებების ამსახველი მრავალტომეულის პირველი წიგნი, რომელიც ჯუმბერ ლეჟავას შთაბეჭდილებების ამსახველი დღიურების დამუშავების საფუძველზე გამოსაცემად მოამზადა მწერალმა საქართველოს არაჩვეულებრივ რეკორდს მენთა კლუბის პრეზიდენტმა ნარიმან იაშალაშვილმა. დაინტერეტიული მღვაცალტომეულის სპეციალური ტალონების გავრცელება ხელის მომენტებზე, სათავადასავალო ლიტერატურის მოყვარულებზე, გამოსაცემად მომზადებულია მეორე წიგნი და დამუშავებულია მოგზაურის შთაბეჭდილებების ამსახველი დღიურების საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც კიდევ 8 წიგნის გამოცემისათვისაა საჭირო. მოგზაურობის განვლილი პერიოდის ანალიზისა და მისი შემდგომი გაგრძელების ძირითადი მომენტების გათვალისწინებით შემუშავდა ამ მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქციის იდეოლოგიური, ორგანიზაციული და ფინანსურული უზრუნველყოფის პროგრამა, რომელსაც გაეცნო ჯუმბერ ლეჟავა. იგი მის მიერ მოწონებულია ზოგიერთი საკითხის დამატებით, რომლის განხორციელება შექმნის მოგზაურობის სათანადო რეკლამისა და ფართოდ გამუქების, უკვე განვლილი გზისა და მოგზაურობის მიმდინერების ყველა ძირითადი მომენტის სისტემატური ანალიზის, საინფორმაციო საშუალებებით მისი მთელს მსოფლიოში გავრცელების დაძლევის შესაძლებლობებს. მოგზაურს ამჟამად მისი დაწყების დღიდან ერთ-ერთი ყველაზე რთული მონაკვეთი – აფრიკა აქტეს გასავლელი. საჭიროა დღეს, როცა საქართველო სულ უფრო აქტიუ-

რად იმკვიდრებს თავის ადგილს საერთაშორისო თანამეგობრობაში, მსოფლიო მოგზაური მითუმეტეს 110 ქვეყნის გავლასა და დასახული მიზნის თრი მესამედის უკვე შესრულების შემდეგ, ღირსეულად უნდა წარმოადგენდეს საქართველოს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. იგი თავისი აუცილებელი აღჭურვილობით, მატერიალური უზრუნველყოფით, ქვეყნის სახელმწიფო ორგანოების მხარდაჭერით ჩვენი სამშობლოს ღირსეული დესპანი უნდა იყოს, ყველაზე, პლანეტის ნებისმიერ წერტილში და არა უბრალოდ ღვთის ანაბარად მიტოვებული ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ხშირად უდიდესი ნებისყოფისა და ენერგიის, ალბათ სამშობლოს დიდი სიყვარულის გამო პირველ რიგში, მაინც ძლევს წარმოშობილ უდიდეს სიძნელეებს, მაგრამ ენერგიის უდიდესი, უმრავლეს შემთხვევაში მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით დაკარგვის გამო, ყოველთვის ვერ ახერხებს იყოს ქვეყნის პრესტიუსათვის შესაფერის ფორმებში.

სწორედ ზემოთაღნიმნულმა მრავალმა გარემოებამ გვიკარნახა ამერიკაში გამგზავრება და მოგზაურთან შეხვედრა. ჩვენს ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა მისი ქალიშვილი ხათუნა ლეჟავა, რომელსაც 5 წლიწადზე მეტია მამა არ უნახავს და მოუთმენლად ელის მასთან შეხვედრას, რათა გაამხნევოს, მეტი ძალა და სიმტკიცე ჩაუნერგოს ამ მეტად რთული მისის შესრულების გზაზე.

ამერიკაში მიმდინარე ნლის 8 ნოემბერს გავითვის მიმდინარე მარშრუტით თბილისი-პრაღა-ნიუ-იორკი. საქართველოს დედაქალაქსა და ამერიკის უდიდეს ქალაქს შორის დროში დიდი სხვაობის გამო 12 საათის ფრენის მიუხედავად ნიუ-იორკში იმავე დღეს 3 საათზე ჩავიტონდით. აეროპორტში დაგვხვდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომლები: კონსული ბატონი ზურაბ ბერიძე, ქალბატონი ლიკა შევაცაბაი და მისი მეუღლე ლაშა დოლიძე. მათი დახმარებით ოპერატორულად მოხერხდა ბილეთების ალება ატლანტის მიმართულებით მიმავალ თვითმფრინავში, რომლითაც ორი საათის ფრენის შემდეგ საშუალება მოგვეცა ჩავსულიყავით ატლანტაში. დღისით ნიუ-იორკში თვითმფრინავით დაშვებისას, ხოლო საღამოს უკვე ატლანტისაკენ გაფრენისას ჩანს მსოფლიოს ყველაზე უდიდესი და ცათამბრჯენების სიმრავლით ყველაზე გამორჩეული ქალაქის გრანდოზული პანორამა. ლამის წყვდიდში მოწმენდილი ამინდის პირობებში თვითმფრინავიდან მოსჩანს ნიუ-იორკი-ატლანტის გზაზე მდებარე ქალაქების ლამის პეტაჟი ვარსკვლავებივით მოციმციმე ქალაქების სილუეტებისა და უამრავ სატრანსპორტო შეკრული გზებისა და მათზე მოსიარულე უწყვეტ ნაკადად მოძრავი ავტომობილების სახით. საღამოს 7 საათზე უკვე ატლანტაში ვართ. ყურადღებას იპყრობს აეროპორტის გიგანტური კომპლექსის ცალკეული ნაწილები, სადაც ასაფრენ ზოლებზე ასაფრენად და დასაფრენად გამზადებული თვითმფრინავების ცოცხალი რიგია. ეს აეროპორტი მსოფლიოს სხვა გიგანტურ ანალოგებთან ერთად თანამედროვე ტექნიკური ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევისა და ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტად ითვლება. ამაღლებული და დაუვიწყარი შეხვედრა ატლანტის აეროპორტში მსოფლიო მოგზაურთან. მამა-შვილი ცრემლებს ვერ ფარავენ, ჯუმბერ ლეჟავა უკვე აეროპორტიდან იწყებს ჩვენს მეგზურობას და გასასვლელისაკენ მიგვიძლება. მისი პირველი შეხვედრისთანავე იგრძნობა, რომ შესანიშნავ ფორმაშია და მიუხედავად უამრავი ხითათით აღსავსე მომქანცველი მოგზაურობისა, იგი შესანიშნავ სპორტულ ფორმას ინარჩუნებს. ატლანტაში იძულებითი შესვენება, როგორც გაირკვა და შემდგომში ჩვენი მოგზაურთან ერთად ყოფილისას კიდევ უფრი ნათელი გახდა, მან შესანიშნავად გამოიყენა რათა სისტემატიკური და ინტენსიური ვარჯიშის წყალობით ენერგიის უდიდესი დანაკარგისა და ოპტიმალური წონის კომპენსაცია მოუხდენია. ეს უმნიშვნელოვანები ფაქტორია მოგზაურობის ერთ-ერთი ყველაზე რთული მარშრუტის – აფრიკის კონტინენტის წარმატებული გავლისათვის. აეროპორტში გასვლისას გვხვდებიან ჯუმბერ ლეჟავას უშუალო მასპინძლები – მისი მოგვარეები იაშა და ზურაბ ლეჟავები. ამ უკანასკნელმა ჩვენთან ერთად იმგზავრა თვითმფრინავით თბილისიდან ატლანტამდე. ატლანტაში მცხოვრები ქართველის – კუკური სამხარაძის მანქანით, რომელიც სპეციალურად მოვიდა ჩვენთან ერთად აეროპორტში, მივემგზაურებით ჯუმბერისა და კუკურის მიერ შერჩეულ საცხოვრებელ ბინაში, სადაც მასპინძლობას გვიწევენ ასევე თბილისიდან რამდენიმე ნლის წინ სამუშაოდ ჩამოსული ქართველები ლიკა დვალი, სანდრო დავითაძე, გიული ბიბილაშვილი. ვთავსდებით ქალაქის ერთ-ერთ

მყუდრო უბანში მდებარე საცხოვრებელ სახლში, რომელიც ჩვენთვის ატლანტაში ყოფნისას ქართული მასპინძლობისა და გულისხმიერების შესანიშნავ მაგალითად იქცა, ალბათ იმიტომაც, რომ ამ თვისებებსა და სტუმართმოყვარეობას, რითაც ცნობილია მთელს მსოფლიოში ქართველი ხალხი უფრო მეტი ძალით ვგრძნობდით. პირველივე შეხვედრიდან ჩვენი მასპინძლისა და ჯუმბერის თანდასწრებით იშლებოდა ქართული სუფრები, სადაც ჯუმბერის საყვარელი, ამდენსანს მონატრებული საჭმელები სჭარბობდა და სხვა სუფრასთან მყოფი ქართველები დიდი სიამოვნებით შეექცევიან შებოლილ სულეუნს, აჯიკას, ჩურჩხელას, სახლში გამომცხვარ ნამცხვარს. სიამოვნებით უსინჯავენ ჭაშნიერ ქართულ ღვინოებს ქინძმარაულს, ხვანჭკარას, ალადასტურს, სამარკო კონიაკ ენისელს, მინერალურ წყლებს ბორჯომსა და საირმეს, ახლა ქართული ლუდის შესანიშნავ ნიმუშებს ყაბბეგსა და არგოს. ჩვენი ატლანტელი ქართველი მასპინძლები დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ ქართული პროდუქციის მაღალ ხარისხსა და მსოფლიო სტანდარტების დონეზე მათ გაფორმებას და მას ქვეყანაში მომხდარი დადებითი ძვრების გამოვლინებად თვლიან. მიუხედავად იმისა, რომ მოგზაური საერთოდ არ სვამს ღვინოს, იგი ჩვენთან ერთად რამოდენიმე ტრადიციულ სადღეგრძელოს წარმოსთქვამს და სიამოვნებით ცლის ჭიქას, თან კმაყოფილებით ამბობს: ქინძმარაულისა და ალადასტურის, ჩვენი შეუდარებელი საჭმელების გემო მთელი ჩემი მოგზაურობის მანძილზე თან წამყვება, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მოგზაური ბოლო ორი თვის მანძილზე ხშირად რეკავდა თბილისში ახლობლებთან, იგი მაინც მრავალ შეკითხვას გვაძლევს და აინტერესებს როგორ არიან ახლობლები, მეგობრები, განსაკუთრებით სითხოთი კითხულობს როგორ სწავლობენ და ცხოვრობენ შვილიშვილები. დიდ გულისწყრომასა და მწუხარებას გამოხატავს უდროოდ წასული მეგობრების, ახლობლების, ქვეყნის ცნობილი ადამიანების გამო, როგორც ატლანტაში მცხოვრებმა ყველა ქართველმა, ჯუმბერმაც დიდად განიცადა ქართველი ხალხის უდიდესი დანაკლისი – შესანიშნავი მსახიობის ლია ელიავას და ცნობილი მომღერლის მედეა ძიძიურის გარდაცვალება და სუფრასთან ტრადიციული შესანდობარიც დალია მათი ხსოვნის არდავინწყების ნიშნად. მეორე დღეს 9 ნოემბერს ვეცნობით ქალაქს თან პარალელურად ჩვენს თანამემამულეებს ვხვდებით. დილით პირველად კუკურიმ მიგვინვია სახლში. იგი შესანიშნავი ქართველი ვაჟაპატი და ოჯახის უზომოდ მოყვარული პოროვნებაა, მასთან სახლში მისვლისას გვეგებება უსათნოესი ქართველი ქალბატონი, კუკურის მეუღლე – გულიკო პაპავა. იგი ქართულად და ინგლისურად ლიმილით წარმოთქვამს ოჯახში მიპატიუებისა და მიწვევის სიტყვებს და მისალები ოთახისაკენ მიგვიძლვება. აქ კი მისი შვილიშვილი – გუგა, საოცარი გარეგნობის, უალრესად მოძრავი, ცოცხალი და ალერსიანი ბავშვი გვეგებება. იშვიათი გარეგნობის ბავშვია, მისი სახით ჩვენ ხვალინდელი საქართველოს იმედისა და მომავლის, ქართული ენისა და ჯიშის, მისი გონიერების და გარეგნული მომხიბულელობის რეალურ სახეს ვხედავთ. ქალბატონი გულიკო და ბატონი კუკური დიდი სითბოთი გვიყვებიან თავითნით ქალიშვილის ნათიასა და სიძის ნიკას შესახებ, რომლებიც მოგვიანებით გვეცნობიან. ნიკას პაპა დედის მხრიდან ახმეტიდანაა წარმოშობით და ამჟამად თელავში ცხოვრობს, გვარად კურდღელაშვილი, მის ბიძას, რამაზს მე კარგად ვიცნობ, იმართება გულდია ქართული საუბარი, რომელიც ორივე მხარეს მისთვის მრავალი საინტერესო ინფორმაციის მიღების საშუალებას აძლევს. შემდეგ ბატონი კუკური გვთავაზობს ქალაქის ზოგიერთი ნაწილის დათვალიერებას. მივდივართ ატლანტის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილში, სადაც ფეხით ვაგრძელებთ ჯუმბერის მეგზურობით ქალაქის დათვალიერებას. ატლანტა უზარმაზარ, ლამაზ ტყეში გაბნეული სხვადასხვა სიმაღლის შენობების არქიტექტორულ ანსამბლს წარმოადგენს 60-70 სართულიანი ცათამბრჯენების გვერდით, რომელიც ძირითადად ძვირფას სასტუმროებს, ცნობილი ფირმების იფისებს და ბანკებს უკავიათ, ენაცვლება ულამაზესი მდიდრული ვილებით დამშვენებული კვარტალები. რომლითაც ამერიკული ცხოვრების მაღალი დონე განსაკუთრებული სიდიადით წარმოჩინდება. თითოეულ მათგანს განსაკუთრებულ სილამაზეს მატებს შესანიშნავად მოვლილი მწვანე საფარი და მრავალფეროვანი მცენარეული სამყარო, შესანიშნავი ტყით დაფარული აქ როგორც მდიდართა კვარტალების დათვალიერებისას დავრმმუნდით, უკანასკნელ ხანს ამჯობინებენ მშენებლობისას ხის მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენებას, რომლის მოპირკეთება შემდგომში ხდება აგურის თხელი ფილებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტყის მასივებისა და გარემოს მოვლას. ყოველდღიურად

ხდება მთელი ტერიტორიის დასუფთავება ჩამოცვენილი ფოთლებისაგან, ხოლო ხეების ტოტების ნამსხვრევები სპეციალური მანქანით იკრიბება და გადამუშავდება. ისე, როგორც ამერიკის სხვა ქალაქებში, ატლანტიშიც იგრძნობა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა, აյ ბევრი რამეა შთამბეჭდავი და გრანდიოზული, ქუჩაც და გზაც, მაღაზიაც და ცადაზიდული შენობები, მანქანების საოცარი სიმრავლე და რეკლამების არნაული ელვარება. ასეთია დღეს ამერიკული ცხოვრების წესი, მისი აღმის მასტები და მრავალფეროვნება. ალარაფერს ვამბობთ მომსახურეობის დონეზე, სადაც თვით ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანიც კი გათვალისწინებულია. მთავარია მიხვდე, გაიგო მისი არსი და შესაბამისი ალლო. მომდევნო დღეს მეგზურობას ავტომანქანით, რადგან სხვაგვარად ამერიკაში და განსაკუთრებით ატლანტაში წარმოუდგენელია რაიმეს ნახვა ან საერთოდ საქმის კეთება. ლიკა და გიული გვიწევენ, საღამოს მოგვიანებით კი სანდორო. ვიდრე ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს შევხვდებოდი, ისეთი ინფორმაცია მქონდა მათ შესახებ, რომ თავიანთი საქმიანობითა და ქმედებით მაინცდამაინც არ გამოიჩინა საქართველოსადმი პატივისცემით და მათი დიდი ნანილი ამერიკაში საბოლოოდ დამკვიდრებასა და ცხოვრებას აპირებს. ატლანტაში გატარებულმა დღეებმა კი სრულიად განსხვავებული საპირისპირო შთამბეჭდილება შეგვიქმნა. მათი დიდი უმრავლესობა, ბუნებრივია ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ჩვენი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტია და თუ აქ ჩამოვიდა, პირველ რიგში იმიტომ, რომ ეკონომიურად მომძლავრდეს, ფეხზე დადგეს, საქართველოში მცხოვრებ თავიანთ ახლობლებს, მეგობრებს დახმარების ხელი გაუწოდოს და ამით საქართველოში მათ ნორმალურად ცხოვრებისა თუ არსებობის საქმეში თავისი მოქალაქეობრივი წვლილი შეიტანოს. დღეს ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია მრავალი ქართული ოჯახის საქართველოში დარჩენისა და ქვეყნის აღორძინების საქმეში მათი აქტუალურად ჩართვისათვის, უცხოეთში წასვლის მსურველთა რიცხვის შემცირებისათვის. ამიტომ ატლანტაში ამერიკის სხვა ქალაქებში და საერთოდ უცხოეთში მცხოვრები იმ ქართველების მუშაობა და საქმიანობა, რომლებიც დროებითმა გაჭირვებამ და თავიანთი ახლობლების დახმარების სურვილმა ჩამოიყვანა უცხო ქვეყანაში და არა აქ სამუდამოდ დარჩენის სურვილმა ყოველგვარ ადამიანურ თანაგრძნობას იმსახურებს. სწორედ ამ სულისკვეთებით ცხოვრობენ და მუშაობენ ჩვენი მასპინძლები: კუკური სამხარაძე, მისი ოჯახის წევრები, ლიკა დვალი და გიული ბიბილაშვილი, ვაჟა პატიაშვილი, სანდორ ლავთაძე, ყველა მათგანის ყოველდღიური ცხოვრება საქართველოზე ფიქროთაა განმსჭვალული. მათი ყოფისა თუ საქმიანობის თანამგზავრია ქართული სიმღერა და ქართული სამზარეულო, ჩვენი ეროვნული ტრადიციები. ისინი ხშირ შემთხვევაში ამერიკელ თანამოსაქმებსა და მეგობრებზედაც კი ახდენენ კეთილმყოფელ გავლენას. ამერიკული ფირმის ხელმძღვანელის ოჯახში სტუმრობისას, სადაც მრავალი ქართველი მუშაობს, ვნახეთ ქართული სამზარეულოს შესანიშნავი ნიმუშები, რომლებსაც ამერიკელი მასპინძლები ქართველი მეგობრების დახმარებით და ზეგავლენით ამზადებენ. ლიკას და გიულის საცხოვრებელ სახლში დომინირებს და ფაქტიურად ისმის მხოლოდ შესანიშნავი ქართული მელოდიები, სანდორ ლავთაძე საავიაციო კომპანია “დელტას” თანამშრომელია. ეს უდავოდ ნიჭიერი და თვით ქვეყანაზე შეყვარებული ახალგაზრდა კაცი, რომელიც მუშაობის პარალელურად სწავლობს, კრიტიკულად აფასებს რა თავისი ცხოვრების უახლოეს წარსულში დაშვებულ შეცდომებს, ცდილობს მიიღოს კარგი განათლება და თავის ქვეყანას დაუბრუნდეს და მას მოახმაროს შეძენილი ცოდნა და გამოცდილება. საქართველოსადმი სიყვარულითაა განწყობილი ჩვენი ქვეყნიდან წასული და ამერიკაში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. მე დიდად კმაყოფილი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა ახლოს გავცნობოდი ადრე საქართველოს გაზიფიკაციის სამმართველოს უფროსის ერთ-ერთ მოადგილეს, ბატონ საშა აკოფოვს. მის ყოველდღიურ ცხოვრებას ალამაზებს ქართული სიმღერა, მასთან საუბარში ნათლად ჩანს თბილისური ცხოვრების ნისტალგია. მთელი იმ დღეების განმავლობაში, როცა ჩვენ მას ვხვდებოდით და ერთად დავდიოდით ატლანტის სხვადასხვა ადგილებში ცისფერ ტრიოს, ივერიის, გოგი დოლიძის, სხვა ქართველ მომღერლების სიმღერები იმ შესანიშნავ განწყობილებასა და ფონს ქმნიდა, რომელიც საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარულის ჭეშმარიტი ნიშანია. ბატონი საშა, როგორც კვალიფიციური სპეციალისტი წარმატებით საქმიანობს ატლანტის ერთ-ერთ ფეშენებელურ 60 სართულიანი სასტუმროს “წელიწადის ოთხი დრო” უფროს

ინუინრად და დიდი წარმატებით ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას. ამავე ქალაქში წაყოფიერად მუშაობს ერთ-ერთ დიდ და პრესტიულ სასტუმროში მისი ვაჟიმშვილი. ბატონი საშა უალრესად გულლია და კოლორიტული პიროვნებაა. იგი დიდი სითბოთი იხსენებს თბილისელ მეგობრებსა და ახლობლებს, საქართველოში ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალ შთამბეჭდავ ეპიზოდს და ატლანტაში მატერიალურად საკმაოდ კარგად უზრუნველყოფის მიუხედავად, მაიც საქართველოსკენ მოუწევს გული. იგი საქართველოდან ჩასულ სხვა მეგობრებთან ერთად დიდად დაგვეხმარა ატლანტისა და საერთოდ დღევანდელი ამერიკული ყოფისა და ცხოვრების გაცნობაში. რამოდენიმეჯერ უალრესად გულთბილი მასპინძლობა გაგვინია და შემოგვთავაზა ამერიკული სამზარეულოს საუკეთესო ნიმუშების გაცნობა, ბატონ საშას დიდი წვლილი მიუძლვის მსოფლიო მოგზაურისათვის მისი ატლანტაში ყოფინისას ფინანსური საშუალებების შეკრებისა და სხვა სახის მატერიალური დახმარების აღმოჩენის ორგანიზაციის საქმეში. ატლანტაში ჩვენი ყოფნისას შევხვდით ერთ-ერთ ახალგაზრდა ბიზნესმენს ჯიმი უოლკერს, რომელიც სერიოზულადაა დაინტერესებული ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობების შთამბეჭდილებების ამსახველი ლიტერატურის ინგლისურ ენაზე გამოცემითა და მისი მთელს მსოფლიოში გავრცელებით. იგი უკვე ამუშავებს გარკვეულ წინადადებებს ამ მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად ჩვენთან შეხვედრისას მან უკვე წამოაყენა კონკრეტული წინადადებები მოგზაურობისადმი მხარდაჭერისათვის ერთობლივი საქმიანობისა და თანამსრომლობის შესახებ, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში საბოლოო სახით ჩამოყალიბდება და მოგზაურსა და მის შორის შესაბამისი დოკუმენტის სახით გაფორმდება. მოგზაურთან და საქართველოში მისი მოგზაურობის ხელშემწყობებთან მომავალი პატრნიორული თანამშრომლობის ფარგლებში მან უკვე შეიტანა გარკვეული წვლილი მსოფლიო მოგზაურობის წარმატებით გაგრძელებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში. მოგზაურობისადმი მის დიდ მხარდაჭერას მნიშვნელოვნად განაპირობებს, რომ მას ქართველი მეუღლე ჰყავს – ეკა რუხაძე, რომელიც ასევე აქტიურად გულშემატეკივრობს ჯუმბერ ლეჟავას. ატლანტაში ჩვენი ყოფნისას მისი და ზურაბ ლეჟავას აქტიური ძალისხმევის შედეგად მსოფლიო მოგზაურობისა და მისი მეორე ეტაპის დაწყებისადმი მიძღვნილი საიმფორმაციო მასალა მოამზადა, მთელს მსოფლიოში ცნობილმა ამერიკულმა სატელევიზიო კომპანიამ სიენენმა, რომელიც შემდგომშიც ფართოდ გააშექმნა ამ მოგზაურობას. ჯიმი უოლკერი უკვე მუშაობს პროგრამაზე, რომელიც მიზნად ისახავს ამერიკის ზოგიერთი გავლენიანი ფირმის პროდუქციასა და საქმიანობისათვის მსიფლიო მოგზაურის მიერ ფართო რეკლამირებას და მოგზაურობის წარმატებით გაგრძელებისათვის მათი მხრიდან სათანადო ფინანსური დახმარების განევას. ატლანტიდან წამოსვლის წინა დღეს ჯიმიმ თავისთან სახლში მიგვიწვია და თავის მეუღლესთან ერთად შეეცადა ჩვენთვის ქართული ტრადიციით გამოტარი მასპინძლობა გაეწია. მან საგანგებოდ გახსნა ორი წლის წინ სანადირო თოფის ფორმის ჭურჭელში შენახული დვიწო და თავისი ახალშობილი ვაჟიშვილის, ალექსანდრეს ამქვეყანაზე მოვლენისა და ქართულ სტილში წარმოთემული სხვა სადღეგრძელოები ამ ღვინითა და თბილისიდან ჩამოტანილი ყანწით დალია. იგი მომავალი წლის გაზაფხულზე აპირებს თბილისში ჩამოსვლას და დიდი სურვილი აქვს, როგორც წადირობის დიდ მოყვარულს, მოინახულოს საქართველოში არსებული სამონადირეო მეურნეობები, კიდევ უფრო ახლოს გაეცნოს საქართველოს ისტორიას, მის კულტურას, კონკრეტული მონაწილეობა მიღლოს მსოფლიო მოგზაურობის წარმატებით გაგრძელებისათვის აუცილებელი ცალკეული საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტაში.

იმედიანი განწყობილებით ვტოვებთ ატლანტას. სევდანარევი გრძნობით ვემშვიდობებით ჩვენს ატლანტელ მასპინძლებს. წინა დღეს ჯუმბერმა პირადი შეხვედრებისას და ტელეფონის საშუალებით მადლობა გადაუხადა ატლანტაში მცხოვრებ ყველა მისთვის ნაცნობ თანამემატულებს, სხვა მხარდაჭერებს მისდამი გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისათვის. აეროპორტში გვაცილებენ ვაჟა პატიაშვილი, რომელიც უკვე 9 წელია აქ ცხოვრობს და მრავალი სირთულეების დაძლევის შემდეგ დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული საქმიანი წრეების წარმომადგენელთა შორის და ჯუმბერ ლეჟავას უშუალო მასპინძლები ატლანტაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში იამა ლეჟავა, მისი შვილი ზურაბი და მეუღლე ქალბატონი მანანა. ვტოვებთ ატლანტას, სადაც საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო მოგზაურობის წარმატებით გაგრძელების რეალურ პერსპექტივას. თვითმფრინავი იღებს

სიმაღლეს, საიდანაც ჩანს ქალაქის ხედი და ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ნაყოფიერი დაბლობის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი. შემდეგ კი ვაშინგტონისაკენ მიმავალ გზაზე მკაფიოდ ჩანს ქალაქის გარეუბნების, პატარა ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების კონტურები, რომლებიც მიწის ზედაპირზე შესრულებული ერთიანი გეომეტრიული ნახაზის ცალკეულ ნაწილებს მოგვაგონებენ დაგეგმარების უმაღლესი დონით შესრულებულს. თვითმფრინავის სიმაღლიდან კარგად ჩანს საავტომობილო გზების მრავალფეროვანი და სხვადასხვა სიდიდის კვანძები, მთელი საგზაო სატრანსპორტო საშუალებების სიდადე, მასშტაბი და მრავალფეროვნება. აქედან მკაფიოდ აღიქმება დედამიწის ზედაპირის ამ ნაწილმა ადამიანის მიერ შექმნილი ნაგებობების, ხელოვნური ტბებისა და წყალსაცავების ბუნებრივად არსებულთან უაღრესად შერწყმა. ერთ-ერთი საყურადღებო მომენტია იმისი ნახვა თუ როგორ ხდება მდინარეთა სათავეებისა და მათი კალაპოტების ფორმირება, რომელიც ნალექებით საკმაოდ მდიდარ ამერიკის ამ ნაწილში მიწათმოქმედებისათვის უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ერთი საათისა და 15 წუთის ფრენის შემდეგ ვაშინგტონის აეროპორტში ვეჭვებით. აქაც შესანიშნავად გამოკვეთილი მისი გარეუბნებისა და ცალკეული დასახლებული პუნქტების კონტურები, რომლებიც ჰაერიდან სხვადასხვა სახისა და ფორმის გეომეტრიულ სქემებს მოგვაგონებენ. მიწასთან მიახლოებისას თითოეული მათგანი ცალკეულ სახლებთან მისასვლელი და მათ შორის გამავალი საავტომობილო გზების ფონზე უფრო რელიფურად იკვეთება.

აეროპორტში გვხვდება ამერიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომელი ალექსი სეხნიაშვილი, მივდივართ საქართველოს საელჩოში, სადაც ვხვდებით ელჩის მოადგილეს დავით ლონდეულს, კონსულს როლანდ ბერიძეს, საელჩოს თანამშრომელებს მიშიკო სიამაშვილს, თამრიკო დარჩიასა და სხვებს. ვთავსდებით საელჩოსთვის განკუთვნილ საცხოვრებელ ბინაში, საელჩოში გასვლისას შევხვდი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილსა და დელეგაციის სხვა წევრებს, რომლებიც ჩამოვიდნენ ამერიკაში ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პასუხისმგებელ პირებთან შესახვედრად და აფხაზეთის პრობლემების დარეგულირების მნიშვნელოვანი საკითხების დასარეგულირებლად. საღამოს ალეკო სეხნიაშვილის დედამ ქალბატონმა დაღი მზიაშვილმა, რომელიც აქ ჩამოვიდა რამოდენიმე თვით “გარკვეული დროით”, რათა მიეხმაროს ვაჟიშვილსა და რძალს ნატო ბაქრაძეს ახლადშეძენილი პატარა ელენეს გაზრდაში, ჩაიზე მიგიპატიუჟა სტუმრად. მალე მათთან სპეციალურად ჯუმბერ ლეუგასთან შეხვედრის მიზნით მოვიდნენ ვაშინგტონის ქართული ეკლესის მოძღვარი მიშიკო ფოფხაძე, მისი მეუღლე ქეთი გაბუნია, ოქრომჭედელი იაგო დეკანოზიშვილი და რუსიკო ჩაჩიშვილი. მათ მრავალი შეკითხვა დაუსვეს მოგზაურს და გამოხატეს დიდი კმაყოფილება მოგზაურის მიერ დაწყებული ამ მართლაც გაბედული და უაღრესად საინტერესო საქმის მიმართ. საუბარი გვიან ღამემდე გაგრძელდა. მიშიკო ფოფხაძემ ჯუმბერის შესთავაზა მეორე დღეს ინტერვიუ მისი მოგზაურობის შესახებ ამერიკის ხმის ქართული რედაქციისათვის და შესაძლებლობის შემთხვევაში კვირამდე დარჩენა ვაშინგტონის ქართული ეკლესის მრევლთან შესახვედრად. პირველი ოხოვნა ჯუმბერმა დიდი სიამოვნებით მიიღო, მეორე წინადადებაზე კი იმის გამო, რომ ჩვენთან ერთად 17 ნოემბერს ნიუ-იორკში მიემგზავრებოდა ესპანეთში გასაფრენად დიდი მადლობა და მოკრძალებული უარი უთხრა. მეორე დღეს 17 ნოემბერს ჯუმბერმა, რომელმაც საკმაოდ კარგად იცის ამერიკის ქალაქები მოგზაურობის პერიოდში გარკვეული დროით შეჩერებისა და უშუალოდ ველოსიპედით გავლის გამო შემოგვთავაზა ვაშინგტონის ცენტრალური ნაწილისა და აქ მდებარე ლირსშესანიშნაობათა დათვალიერება. ვაშინგტონი პირველ რიგში იმით განსხვავდება ამერიკის ქალაქებისაგან, რომ აქ პრაქტიკულად არაა მაღლივი შენობები, რაც უფრო ევროპული ტიპის ქალაქის იერსახეს აძლევს. როგორც ამერიკაში საქართველოს საელჩოში გვითხრეს იგი თავის დროზე ფრანგმა არქიტექტორებმა დააპროექტეს და თუ დიდი უფრო ნათლად დავრწმუნდებით ამერიკის დღევანდელი პერიოდის შენობებს კიდევ უფრო ნათლად დავრწმუნდებით ამერიკის დღევანდელი დედაქალაქის არქიტექტურულ სახეზე ევროპული ტრადიციული სტილის დიდ გავლენაზე. თუმცა ევროპული არქიტექტურის ელემენტებისამდებად ვაშინგტონის ცენტრალური ნაწილის მთავარ ნაგებობებს სახელმწიფო დეპარტამენტის, სხვა სამინისტროებისა და უწყებების, სამუზეუმო დაწესებულებათა შენობების, ბანკებისა და მრავალი ფირმების, თავიანთი მასშტაბებისა და

უმრავლეს შემთხვევაში საერთაშორისო სტანდარტების გრანდიოზულობის გამო, მაინც ამერიკული სტილის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ვაშინგტონის არქიტექტურული სახე ევროპულისა და ამერიკულის საკმაოდ მოხერხებული შერწყმის ნიმუშია, სადაც ევროპული თავისი დახვენილი სახით წარმოჩნდება ხოლო ამერიკული გრანდიოზულობით. მთელი დღის განმავლობაში ფეხით შემოვიარეთ ვაშინგტონის ცენტრალური ნაწილი და დიდი კმაყოფილება მივიღეთ. განსაკუთრებით დიდი დრო დავყავით ამერიკის კონგრესის შენობაში, მის მიმდებარე ტერიტორიაზე ვაშინგტონის სვეტიდან კაპიტოლიუმის ბორცვამდე მდებარე ნაგებობებთან. კონგრესის შენობიდან კაპიტოლიუმის ბორცვიდან ვაშინგტონის ბორცვამდე არსებული სივრცე, რომელიც მხოლოდ მწვანე კორდიტ დაფარულ ვაზონებს და მათ შორის გამავალ ტროტუარებს უკავია თითქოს ამშვიდებს შენობათა ორ მოპირდაპირე რიგს შორის შექმნილ სივრცულ ბარიერს და მათი შეხამების ჰარმონიულ სურათს ქმნის, რაც ქალაქის ამ ნაწილის მშვიდად აღქმის შესაძლებლობას იძლევა, კონგრესის სასახლე არა მარტო ამერიკის პოლიტიკური ცხოვრების ისტორიის თავისებური მატიანეა, არამედ მისი დღევანდელი სახისა და მომავალი განვითარების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელიც. ქალაქის ამ და მის სხვა ნაწილებში განლაგებული ადმინისტრაციული ნაგებობანი, სხვადასხვა ქვეყნების საელჩოთა, საერთაშორისო ორგანიზაციების შენობები, მათ შორის ამერიკის პრეზიდენტის რეზიდენცია თეთრ სახლში წარმოადგენენ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე დამახასიათებელ ნიშნებსა და ტენდენციებს. კლასიკურ ნიმუშებს, როგორც მსოფლიოს მთავარი და ნამყვანი ქვეყნის, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური კურსის უაღრესად შტამპეჭდავი გამოხატულება. ამავე დღეს კიდევ ერთი სანტერესო მოვლენა მოხდა ჯუმბერ ლექავას ცხოვრებაში. კაპიტოლიუმის ბორცვთან ახლოს სეირნობისას შემთხვევით შეგვხვდა ჯუმბერის მეგობარი ბატონი მერაბ ახობაძე, რომელიც ვაშინგტონში სამსახურებრივი მივლინებით იყო ჩამოსული. ჯუმბერი კარგა ხანს გაკვირვებული უყურებდა 6 წლის უნახავ მეგობარს და ვიდრე არ დაწინმუდა რომ მის წინ მერაბი იდგა. თანაც დაამატა 5 წლის მოგზაურობის დროს იმდენი ჩემი მეგობრებისა და ნაცნობების პროტოტიპები ვნახე, ვიფიქრე ახლაც ხომ არ მეშლებაო. კაცო შენ მე მგონია ველოსიპედით დადიხარ და აქ საიდან გაჩნდიო. პასუხად ჯუმბერმა მე და ხათუნა წარგვადგინა და მოკლედ აუხსნა ვაშინგტონში ჩვენი ყოფნის მიზეზი. შემდეგ სამივემ ფეხით გავიარეთ ჩვენს საელჩომდე და მერაბი სტუმრად მივიწვიეთ. გვიან ღამემდე ესაუბრებოდა ჯუმბერი მერაბს, მრავალი მეგობარი და ნაცნობი გაიხსენეს. შემდეგ ჯუმბერი დეტალურად მოუყვა მას მოგზაურობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენებისა და მომავალი გეგმების შესახებ. მერაბი დიდად დაინტერესდა ჯუმბერის ზოგიერთი წინადადებით, მოსაზრებებით და მოგზაურობის მხარდამჭერი ჯგუფის შემადგენლობაში აქტიურად ჩაბმასა და საქმიანობის სურვილი გამოთქვა. რაზედაც ჩვენ დიდი სიამოვნებით დავთანხმდით. ამავე სალამოს მიშიკო ფოფხაძემ შესარულა თავისი დანაპირები და ჩაინერა ინტერვიუ მსოფლიო მოგზაურთან ამერიკის ხმის ქართული რედაქციისათვის, რომელიც საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას აწვდის მსმენელს ამ მართლაც უნიკალური მოგზაურობის შესახებ. მეორე დღეს საუზმის შემდეგ ალეკო სექნიაშვილის მანქანით გავიარეთ ვაშინგტონში არსებული უცხო ქვეყანათა საელჩოები და შემდეგ კვლავ საქართველოს საელჩოში მივედით, სადაც შეგვხვდა მამუკა წერეთელი საელჩოს ყოფილი თანამშრომელი, ამჟამად საქართველოს საელჩოსთან არსებული საინვესტიციო საბჭოს წევრი, რომელიც სერიოზულად მუშაობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგებში უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვისათვის. მე მას კარგად ვიცნობ მართვის ინსტიტუტში ჩვენი ერთად მუშაობის პერიოდიდან. მამამისი გოგი წერეთელი შესანიშნავი მშენებელი, დადებითი პიროვნება, პატრიოტი, მოქალაქე თელავში მუშაობდა თავის დროზე “ალაზანმშენის” ერთ-ერთი სამშენებლო სამმართველოს უფროსად და თავის დროზე ბევრი კარგი საქმე გააკეთა თელავისა და თელაველებისათვის. ამიტომ არ გამკვირვებია, როცა ჯუმბერმა მითხრა, რომ მამუკას შუამდგომლობით თიბისის ბანკის პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ მას ფინანსური დახმარება გაუწია იმ მომენტში, როცა მოგზაურს ამ მხრივ ყველაზე მეტად უჭირდა. ვაშინგტონის საქართველოს საელჩომ მანამდე და ამერიკის დედაქალაქში ჩვენი ყოფნის დროს დიდი მუშაობა გასწია აფრიკის ქვეყნებში მოგზაურობისათვის საჭირო ვიზების გასაფორმებლად. დიდ მად-

ლობას იმსახურებს ელჩი ბატონი თედო ჯაფარიძე და საელჩოს კონსული ბატონი როლანდ ბერიძე. ამერიკიდან ჩვენ გამომზავრების პერიოდისათვის ჯუმბერ ლეჟავას უკვე პქონდა აფრიკის კონტინენტის 5 სახელმწიფოს ვიზა და თანაც, რაც მთავარია მაროკოდან საიდანაც მოგზაური იწყებს აფრიკის შემოვლას, მარშრუტის მიხედვით მდებარე ქვეყნების თანმიმდევრობით. მუშაობა ამ მხრივ გრძელდება რათა ჯუმბერმა ადრეული გამოცდილების გათვალისწინებით ვიზების მოლოდინში უქმად არ დაკარგოს დრო და ნაწილობრივ მაინც აინაზღაუროს მგზავრობის საერთო მანძილის მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით არსებული დანაკარგი, რაც მას საშუალებას მისცემს 2001 წლის იანვარში და შესაძლოა უფრო ადრეც დასარულოს ველოსიპედით მსოფლიოს ყველა ქვეყნის გავლა. ეს მართლაც საოცარი მოგზაურობა. ამავე დღეს მეორე ნახევარში ავტობუსით ნიუ-იორკში მივემგზავრებით. ვემშვიდობებით საელჩოს თანამშრომლებს დათო დონდუსას, ალეკო სეხნიაშვილს, ჩვენს უშუალო მასპინძელს, რამდენადაც ვიცი იმავე სახლში ცხოვრობს, სადაც ჩვენ მოგვათავსეს, მიშიკო სიამაშვილს, თამრიკო დარჩიას, როლანდ ბერიძეს და დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს მიმართ გამოჩენილი უდიდესი გულისხმიერებისა და მხარდაჭერისათვის. როლანდ ბერიძე და ალეკო სეხნიაშვილი ავტოსადგურში გვაცილებენ სპეციალური მიკროავტობუსით, რადგანაც ორი შეფუტული ველოსიპედის ყუთები, ერთი რომელიც ჯუმბერი აგრძელებს მოგზაურობას და მეორე, რომელიც მან მოიარა სამხრეთ ამერიკის დიდი ნაწილი, კუნძულოვანი სახელმწიფოები კარიბის ზღვაში, ანტარქტიდა და უკან უნდა წამოვიდეს სხვა სახის ავტომანქანებში ვერ თაგვსდება მივემგზავრებით ავტობუსით ნიუ-იორკში. მანამდე ველაპარაკეთ გაეროში საქართველოს მისის თანამშრომლებს ლიკა შევაცაბაიას, ლევან ლოლონაძეს და სხვებს და კვლავ ვთხოვე დახმარება დიდი ზომის ტვირთის გადატანისა და ორი დღის განმავლობაში ლამის გასათვეო ადგილის გამოძებნის საქმეში. კვლავაც დიდი გულისხმიერებითა და ყურადღებით გვპირდებიან ყოველმხრივ მხარდაჭერას და ჩვენც უფრო იმედიანად მივდივართ ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქები, ავტობუსით გავდივართ ვაშინგტონსა და ნიუ-იორკს შორის მდებარე გზაზე არსებულ ქალაქებს, ყველგან ტექნიკის დღევანდელი დონის საოცრებათა დემონსტრაცია, ხიდების, გზების მშენებლობის უმაღლესი დონე, ქალაქების ლამის განათების საოცარი მრავალფეროვნება, მათი ინტენსიური კაშკაში და ელვარება ცალკეული დასახლებული პუნქტებისა და ქალაქების საცხოვრებელი კვარტალების მიხედვით. ლამის 9 საათზე და 30 წუთზე ჩავდივართ ნიუ-იორკში ავტობუსი ჩერდება ნიუ-იორკის მთავარი ქუჩის ცენტრალურ ნაწილში. ჩვენი თხოვნის შესაბამისად გვხვდებიან სპეციალური მანქანით ზურაბ ბერიძე და ლევან ლოლობერიძე, გვეხმარებიან საკმაოდ დიდი მოცულობის ტვირთის, მათ შორის ორი ველოსიპედის ყუთების გადატანაში. თავიანთ საცხოვრებელ სახლებში გვითმობენ ადგილს, სითბოსა და გულისხმიერებას არ გვაკლებენ. ვესტუმრეთ გაეროში საქართველოს წარმომადგენლობის ოფისს, რომელიც ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მთავარი შენობის გვერდით განლაგებულ ცათამბჯენში მდებარეობს 26 სართულზე. აქედან ხელისგულივით მოჩანს ნიუ-იორკის ხედი მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ცათამბჯენების არნახული სიმრავლე, ასობით მაღლივი შენობების კასკადი, რომელიც საოცარ გრანდიოზულ პანორამას ქმნის, ისეთი მთაბეჭდილება გრჩება თითქოს ცის კაბადონი ცათამბჯენის სიმაღლისაა და მათი მთაბეჭდავი სივრცული მესერის გამო. ცათამბჯენების სიმრავლეს კიდევ უფრო მეტ გრანდიოზულ ფორმას აძლევს რეინის კონსტრუქციით შექმნილი ხიდები, რომლებიც ქალაქის კუნძულოვან ნაწილებს ერთმანეთს აკავშირებენ. მანქეტენი – ჩვენი საუკუნის სამშენებლო ხელოვნების თავისებური შედევრია. სადაც ცათამბჯენები მარტო სიმრავლითა და სიმაღლით კი არ გამოიჩინა, არამედ სამშენებლო საქმისა და საინჟინრო აზროვნების ორიგინალური და უნიკალურ გადაწყვეტათა სიმრავლითა და მრავალფეროვნებით. ქალაქის ყველაზე მაღალი შენობა 102 სართულიანი ცათამბჯენი ამერიკაში ჯერ კიდევ 1932 წ. აუშენებიათ, რომელიც მიუხედავად მას შემდეგ აშენებული არაერთი გრანდიოზული ნაგებობებისა დღესაც ინარჩუნებს თავის განუმეორებელ სახეს. აქვე ცენტრში რამდენიმე ახალი ცათამბჯენი შენდება, რომელთა ნახვის მაგალითზე რწმუნდები თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიის უდიდეს შესაძლებლობებზე, რაც პირველ რიგში სწირედ ნიუ-იორკის განაშენების ტრადიციიდან იღებს სათავეს. გავდივართ ბროდვეიზე, სადაც შენობათა სიმაღლეების გამო საჭიროა ქუჩების ინტენსიური განათება, რომლის ფუნქციას სწორედ გრანდიო-

ზულ შენობათა შესატყვისი რეკლამები ამშვენებენ. დავდივარ მსოფლიო მოგზაურის გვერდით, რომელმაც უკვე არა მარტო იხილა, არამედ მთელი სისრულით შეიგრძნო 108 ქვეყნის ასეულობით ქალაქის არქიტექტურული იერსახე, მისი განაშენიანების მასშტაბები და დაბეჯითებით ამბობს ნიუ-იორკის მსგავსიც ყველაზე მეტად ამტკიცენს სამშენებლო ტექნიკის მეშვეობით გრანდიოზული ნაგებობის შექმნის შესაძლებლობას დღევანდელ მსოფლიოში არ არსებობს და მას ბუნებრივია დაეჯერება. გაეროს საქართველოს მისიაში ჩვენი მასპინძლების მეშვეობით ვევდებით საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს ბატონ პეტრე ჩხეიძეს, რომელმაც თავის თანამშრომლებთან ერთად უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო მოგზაურობის გაგრძელების ხელის შეწყობის საქმეში, მან მოგზაურთან ერთად დეტალურად გააანალიზა განვლილი გზის დამსხასიათებელი ძირითადი მომენტები, ის მარშრუტები, რომელიც მან შეადგინა ჯუმბერთან ერთად სამხრეთ ამერიკაში გამგზავრების წინ და ბევრი სასარგებლო და საინტერესო ინფორმაცია მისცა მას აფრიკის მარშრუტის შედგენისა და მისი გავლისას გასათვალისწინებლად. მან ჩვენი თხოვნით მოამზადა სპეციალური წერილი გაეროში აფრიკის სახელმწიფოთა წარმომადგენლების სახელზე, რათა მათ მიმართონ თავიანთ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა სამინისტროებს მოგზაურის აფრიკის კონტინენტის შესაბამის სახელმწიფოში ყოფნისას, მისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. ეს ნიშნავს აფრიკის 57ვე სახელმწიფოს გაეროში წარმომადგენლებისათვის გადაცემული წერილების ასლების საფუძველზე მისდამი აქტიური მხარდაჭერის გამოხატულებას. კონსულის ზურაბ ბერიძის მეშვეობით მოხდება აფრიკის სახელმწიფოთა მისიებისაგან მიღებული საპასუხო წერილების ასლების გადაცემა მოგზაურისათვის, რაც მისი წარმატებული მოგზაურობის ბევრად უფრო ხელსაყრელ პირობებს შექმნის. აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჩვენი ამერიკაში ყოფნისას მსოფლიო მოგზაურობის წარმატებით გაგრძელებასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის გადაწყვეტაში და ბევრი პრობლემის დარეგულირების საფუძვლის ჩაყრაში დიდი როლი შეასრული ვამინგტონის საქართველოს საელჩოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომელთა აქტიურმა თანადგომამ და დახმარებამ. ჯუმბერ ლეჟავა თვლის, რომ მათ დიდი წვლილი შეიტანეს ადრეც სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობის დაწყების წინ წარმოშობილი სინელების დაძლევაში, რითაც მას საშუალება მისცეს გაეგრძელებინა თავისი მისის შესრულება. დღეს ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის მყარად დამკვიდრებისა და განმტკიცების გზაზე მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის განსაკუთრებით ქართველისათვის, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი სამშობლოს თვითმყოფადიბა და მისი სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საქმე, მსიფლიო თანამეგობრობის წევრად ყოფნის და დამოუკიდებლობით მიღებული სიამაყის გრძნობა პირველ რიგში სწორედ უცხოეთში არსებული საერთოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლობების მეშვეობით განიცდი და შეიგრძნობ. ადრე უცხოეთში ყოფნისას ქართველი კაცი ამ მეტად სასიამოვნო გრძნობას მოკლებული იყო. ამიტომ ალბათ ყველა სხვა ჩვენს თანამემამულეებს, ვისაც სხვადასხვა უნევთ უცხოეთში მოქმედ საქართველოს საერთოების და დიპლომატიურ მისიებთან შეხება, დიდი სურვილი გვიჩნდება მათ ჰქონდეთ მუშაობისა და ცხოვრების უკეთესი პირობები, რათა უფრო წარმატებით შეასრულონ მათზე დაკისრებული უაღრესად რთული და საპატიო მისია. ეს განსაკუთრებით საჭიროა პირველ რიგში სწორედ ამერიკაში, რომელიც ტონს აძლევს მსოფლიო პოლიტიკის მაჯისცემას, აქ სადაც მნიშვნელოვან წილად ყალიბდება მისი აქტიური გავლენით ამა თუ იმ დამოუკიდებელი ქვეყნის იმიჯი, მისდამი მსოფლიო თანამეგობრობის დამოკიდებულება. თუ როგორ გვესაჭიროება ყოველივე ამის მიღწევა დღევანდელ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს ეს ყველსათვის ნათელია. პატრიოტული თვითშეგნების ამაღლების ნათელ სიმბოლოდ აღიქმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის წინ აღმართულ ფლაგმატიკებს შორის საქართველოს დროშა. სიამაყის გრძნობა გვიჩნდება ჩვენი თანამემამულის ზურაბ წერეთელის მიერ შექმნილი სკულპტურული კომპოზიციის ხედვისას, რომელიც გაეროს შენობის მიმდებარე სკვერს ამშვენებს. დაძაბული სამუშაო რიტმით საქმიანობს გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა. აქ ყოველდღურად გაეროს რამდენიმე კომიტეტის სხდომა იმართება, სადაც აუცილებელია დაფიქსირდეს და ნათლად გამოიკვეთოს საქართველოს როგორც გაე-

როს სრულუფლებიანი წევრი პოზიცია. წარმომადგენლობის თანამშრომლები უშუალოდ მონაწილეობენ მსოფლიოს თანამეგობრობის მიერ მიღებული რეზოლუციებისა და დადგენლების მომზადება-სა და რეალიზაციაში, წყვეტენ მრავალ სხვა ყოველდღიურ პრაქტიკულ საკითხებს.

აյ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ბა-ტონი ჰეტრე ჩხეიძე. მარტო ის ფაქტიც, რომ დღეს იგი გაეროს მიმდინარე ანსამბლების სხდომის თავმჯდომარის მოადგილეა თავისთავად მრავლისმეტყველი და ყველა ჩვენგანისათვის საამაყო მოვ-ლენა. დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებს ვაშინგტონის საქართველოს საელჩო, მისი თანამ-შრომლები.

როგორც გაეროში საქართველოს მისის ისე ამერიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომ-ლებს არც პროფესიონალიზმი, არც მონდომება და გულისხმიერება და ჩვენი ქვეყნისათვის ღირსეუ-ლად სამსახურის პასუხისმგებლობა აკლდათ. ამერიკაში ჩვენი ყოფნა და მათთან საქმიანი თანამ-შრომლობა ამის ნათელი დადასტურება იყო. მთავარია ჩვენს სამშობლოში არსებული დროებითი სირთულეების მიუხედავად მაინც გამოიძენოს სათანადო ფინანსური საშუალებები, რათა მათ შეექ-მნათ ქვეყნის საკეთილდღეოდ, მისი საერთაშორისო პრესტიუსის განმტკიცებისათვის ნაყოფიერი საქ-მიანობისა და მოღვაწეობისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები, ეს კი ნამდვილად მისცემს შესაძ-ლებლობას ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო მტკიცე ნაპიჯები გადადგას მისი საერთაშორისო ავტორი-ტეტის განმტკიცების გზაზე. ამერიკაში ყოფნის მთელი პერიოდის განმვალობაში მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან საქმიანი შეხვედრებისას ამერიკელები დღევანდელი ჩვენი ქვეყნის მდგრმარეობით დაინტერესებას გამოხატავენ.

ამერიკადან გამომგზავრების წინა დღეს მოგზაურთან ერთად ვიხილავთ მის მიერ განვლილ გზასა და მომავალი მოგზაურობის მთავარ მომენტებს, რაც ზოგიერთი საყურადღებო დასკვნის გა-კეთებისა და შემდგომში მათი გათვალისწინების საშუალებას გვაძლევს. პირველ რიგში მოგზაურთან ერთად შევთანხმდით კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად იქნას შესწავლილი აფრიკის კონტი-ნენტის ყველა ქვეყანაში გასავლელი გზის მარშრუტები, დაზუსტდეს ყველა ის შესაძლო სირთულე, რაც მას შეიძლება აქ შეხვდეს და წინასწარ შემუშავდეს მათი დაძლევის რამოდენიმე ვარიანტი სხვა-დასხვაგვარი სიტუაციისა და ვითარების გათვალისწინებით. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას გაუნდეს ამერიკაში ინგლისურ ენაზე გამოცემული უაღრესად ამომწურავი ინფორმაციის შემცველი წიგნი აფ-რიკა. ყოველივე აქედან გამომდინარე ჩვენც და მოგზაურმაც გადაწყვიტა საქართველოს საელჩოს მიერ აფრიკის რამოდენიმე ქვეყნის ვიზების მიღებამდე, რაც გაზრდის ამ კონტინენტის გასავლელი გზის მარშრუტზე მდებარე ქვეყნების რიცხვს, სადაც მას დაბრკოლებისა და დროის დაკარგვის გა-რეშე შეეძლება შესვლა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ აფრიკაში არსებული ამ ქვეყნის საელჩოებში მოგზაურისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ გაგზავნილი წერილის ასლე-ბის მიღებამდე, რაც მას მათი მეშვეობით ადგილზე ბევრი პრობლემის მოგვარების საშუალებას მის-ცემს, გაგრძელდეს მოგზაურობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ესპანეთის, პორტუგალიის, საფრან-გეთის, ანდორრის, გიბრალტარის გავლით, რასაც იგი თვენახევარს მოანდომებს შემდეგ მასთან გაი-მართოს კიდევ ერთი შეხვედრა, სადაც განიხილება დეტალურად აფრიკის რთული მარშრუტის გავ-ლისათვის ყოველმხრივი მზადყოფნის მდგრმარეობა და მხოლოდ ამის შემდეგ იგი გადავიდეს აფრი-კის კონტინენტზე მარკომში და იქიდან გააგრძელოს მოგზაურობა. ამჟამად მომავალი მოგზაურო-ბის წარმატებით გაგრძელებისათვის თითქმის ყველა პირობაა შექმნილი. მის განკარგულებაშია აფ-რიკის გზებისა და რელიეფისათვის ყველაზე უფრო მისაღები კანადური ფირმის ამერიკული საუკე-თესო ველოსიპედი, რომელიც მას ამერიკელმა სპონსორმა შეუქმნა. ჩვენი ადგილზე ყოფნის დროს მომავალი მოგზაურობის უზრუნველყოფისათვის. პროგრამის შესაბამისად მას შეუძინეთ სხვადას-ხვა კლიმატურ პირობებში გამოსაყენებელი სპეციალური ტანსაცმლის რამოდენიმე კომპლექტი და მოთავსებისათვის საჭირო და ამავე დროს უაღრესად მსუბუქი (სულ 3 კგ) წონის კარავი. ველოსიპე-დის სათადარიგო საბურავებისა და კამერების რამოდენიმე კომპლექტი. ველოსიპედზე დამაგრებუ-ლი ჩანთების გარდა ერთი მსუბუქი ჩანთა, რომელიც მას დახმარება, რათა პერატულად კლიმა-ტის გათვალისწინებით შეიცვალოს ტანსაცმელი და უკვე გამოყებული მოათავსოს მასში. უიული

შარტავს ფონდს და მოგზაურობის ხელისშემწყობ ჯგუფს, რომლის ფორმირება ჯუმბერ ლეჟავას მოსაზრებისა და წინადადების გათვალისწინებით უახლოეს პერიოდში მოხდება, სერიოზული სამუშაო ელით. გარდა მოგზაურის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფისა, სისტემაშია მოსაყვანი მოგზაურის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ნახვისა და გაცნობისას შეგროვილი პირადი შთაბეჭდილებების ამსახველი დღიურების სახით დაწერილი ინფორმაციისა, ვიდეო და ფოტო მასალებისა, რომლებიც საშუალებას მისცემს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას და სხვა ქვეყნების ხალხებს მიიღონ უშუალოდ მოგზაურის თვალით ნანახი და განცდილის შესახებ მრავალი უნიკალური ხასიათის ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ცალკეული ქვეყნების რელიეფის, კლიმატური პირობების, აქ მცხოვრები ხალხების ეთნიკური თავისებურებების, მათი ყოფისა და კულტურის, ტრადიციების, ენთსა თუ დიალექტის, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარების აღწერის, ინფორმაციებისა და ცნობების მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან შეხვედრების შესახებ. საინტერესო დაკვირვებები აქვს ჩატარებული და შესაბამისი წინადადებები შემუშავებული მოგზაურს ველოსიპედის მწარმოებელი ფირმებისათვის, რომელიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ტრანსპორტის ამ ყველაზე სასარგებლო სახეობის სხვადასხვა პროფილის გზებისათვის გამოსაყენებლად, მათი დახვეწისა და ტექნიკური სრულყოფის პროცესში. მოგზაურობის სხვადასხვა ეტაპზე ჯუმბერ ლეჟავამ უცხოეთში შემხვედრ ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს თბილისში ჩამოსატანად გადასაცა შთაბეჭდილებების ამსახველი დღიურების, ვიდეო და ფოტო მასალების ნაწილი, რომელთაგან საკმაოდ ბევრი ჯერ კიდევ არაა მისული მის ადრესამდე. მოგზაურობის დაწყებიდან დღემდე ჯუმბერ ლეჟავამ სხვადასხვა მარკის ველოსიპედი გამოიცვალა. 4 მათგანი უკვე თბილისში ჩამოტანილი. ერთი ველოსიპედი ამჟამად მექსიკაშია დატოვებული ჩვენს თანამემამულესთან და ალბათ უახლოეს პერიოდში მას დავაბრუნებთ. ერთი ველოსიპედი, რომელიც მას ტაიგანის ერთ-ერთმა ფირმამ მისცა საკმაოდ დიდი მანძილის გავლის შემდეგ ფირმას დაუბრუნდა. შესაძლებელია მისი თბილისში ჩამოტანა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ დაზუსტდა რა პირობების დაცვით უნდა მოხდეს მისი თბილისში ჩამოტანა. ერთი ველოსიპედი, რომლითაც მოგზაურმა გაიარა სამხრეთ ამერიკა, კარიბის ზღვის კუნძულოვანი სახელმწიფოები, ჩვენ ამერიკიდან თან წამოვიდეთ. სანტ მარტინში ყოფნისას ჯუმბერმა ერთ-ერთ ბიზნეს-მენს, რომელმაც მას უკიდურესად მძიმე ფინანსურ პირობებში მყოფს დახმარების ხელი გაუზოდა, დაუტოვა უალრესად მნიშვნელოვან და საინტერესო კუნძულოვან ქვეყნებში (კარიბის აუზი) ყოფნისას დაწერილი შთაბეჭდავი დღიურები, ვიდეოკასეტები და ფოტომასალები, რაც ალბათ გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ შეიძლება კვლავ მოგზაურისა და მისი ოჯახის კუთვნილება გახდეს. მოგზაურთან საუბრისას რწმუნდები თუ რაოდენ მრავალფეროვან და ენციკლოპედიური ხასიათის ინფორმაციას ფლობს იგი, რაოდენ საინტერესო და უნიკალურ მოვლენებს, ფაქტებს, განცდებსა და შეფასებებს ინახავს მისი მეხსიერება. მთელი ამ მოგზაურობის მანძილზე მისთვის მიცემული არაერთი წინადადებისა უცხოელი მოქალაქეების მხრიდან მათი სახელით გაეგრძელებინა მოგზაურობა, ჯუმბერმა შეძლო გაეძლო ყოველგვარი ცდუნებისათვის და მთელი მისი “საგანძურო” ამ ხანგრძლივი და უამრავი ხიფათით აღსავს მოგზაურობისას შეძენილი, მისი სამშობლოს კუთვნილება უნდა გახდეს. როცა მას ეკითხებიან უურნალისტები ან სხვა ცნობისმოყვარე ხალხი თუ რომელი ქვეყანა მოეწონა ყველაზე მეტად მოგზაურობის მთელი პერიოდის მანძილზე იგი ამაყად პასუხობს – საქართველო და უალრესად ლაკონურად, მაგრამ ერთაზროვნად გამოხატავს თავისი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს, რომელიც მას თან დაჲყვება ყველგან და უამრავ სიძნელესა და გაჭირვებას აძლევინებს.



**ცოდნა რამ ჯუმბერ ღევავას  
ლლიურებილან**  
.....  
.....

## დიდი გოგზაურობა

ჯუმბერ ლეჟავა



### საკაცობრიო მნიშვნელობის ლექტორი მისია შესრულებულია

ერკვადორის უძალლეს მწვერვალ ჩიმბურასოზე, ჩვენმა მოგზაურმა პერუელ და ინგლისელ მე-გობრებთან ერთად საქართველოს დროშა ააფრიალა.

აშშ-ის შტატ ფლორიდაში დაბრუნების შემდეგ მოვინახულე ზღაპრული კუნძული კიუ-ვესტი, ქალაქი ორლანდო, სპეის ცენტრი, კანავერალი და სხვა. მეტად თავისებური შთაბეჭდილება და-ტოვა ქალაქებმა მაიამი და მაიამი ბიჩმა. კლასიკური ფლორიდის სტუმრობის უამს ბევრი ვნახე და ბევრიც დავნერე.

მკითხველო, თქვენ გელით ამ მოგონებების წაკითხვით მოგვრილი დიდი სიამოვნება. დამიჯე-რეთ!

ამ საოცარი შტატის სტუმრობის შემდეგ არანაკლებ საოცარ მექსიკის გაერთიანებულ შტატებს ვეწვიე. მეხიკოში ჩემი მასპინძელი ქართველი ექიმი – ირაკლი გვახარია გახლდათ, რომელმაც ჩემს მოგზაურობას გარკვეული ამაგი დასდო. მქონდა ასევე შეხვედრები ტელევიზიებში, პრეს-კონფერენციები.

ვინ არის მის ბენოტო?..

ამ შესანიშნავ ქვეყანაში 41 დღე ვიმოგზაურე და, შეიძლება ითქვას, რომ უნახავი, თითქმის არაფერი დამრჩენია. ეს არის ქალაქები აკაპულკოდან – კანკუნამდე, მისი შესანიშნავი ბუნება, ხალხი, ტრადიციები, ისტორია, ეკლესიები, პირამიდები, მუზეუმები, კორიდები, მარიაჩების მოენები, პარლამენტისა და პრეზიდენტის სასახლეები, მაღალმთაიანი და ზღვისპირა კურორტები, ხიდები, სპორტული კომპლექსები, სამზარეულო, გადამხდა მრავალი კურიოზი და ა. შ. და ა. შ.

ვფიქრობ, ნიგნი ჩემი მექსიკაში მოგზაურობის შესახებ ჩემს ნიგნთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

ცენტრალური ამერიკის გზებზე ურთულესი და შარიანი სვლაგეზი მქონდა. ბელიზე, რეს-პუბლიკები გვატემალა, ელ-სალვადორი, ჰონდურასი, ნიკარაგუა, კოსტარიკა და პანამა მეტად საინტერესო ისტორიით, ბუნებით და ხალხით გამოირჩევიან. ამ ქვეყნებში მცხოვრებთა უმრავლესობა კათოლიკური აღმსარებლობისაა.

მხოლოდ ბელიზეს მოსახლეობის 6 პროცენტი არის პროტესტანტი. კრიმინალური სიტუაციის მხრივ რეგიონი ერთ-ერთი პირველია მთელ კონტინენტზე. ამიტომაც აქ ძალზე სახიფათო გზები და შეხვედრები მქონდა. საინტერესო ჯუნგლის ხუთასკილომეტრიანი მონაკვეთის დაძლევა ბელიზესა და გვატემალას რესპუბლიკას შორის. ღმერთის წყალობაა იმ უსიერში გადარჩენა... მოუთმენლად ელოდეთ ინფორმაციას ამ ქვეყნებზე.

პანამის რესპუბლიკიდან ლამაზი ქალების ქვეყანაში, ბოლივარის ვენესუელის რესპუბლიკაში მივფრინავ, რატომ მივფრინავ ამ ქვეყანაში და არ გადავდივარ ველოსიპედით კოლუმბიაში?..

უდავოდ დაგაინტერესებთ სამხედროებთან კონფლიქტის შემდეგ კარაკასში ჩემი საინტერესო შესვლა.

ვენესუელა სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ეგზოტიკური სახელმწიფოა. თვით სიტყვა ვენესუელა ხომ „პატარა ვენეციას“ ნიშნავს?! იგი ტროპიკული ქვეყანაა. კონკისტადორ დიეგო დე ლოსადოს მიერ დაარსებულ კარაკასში ისტორიული მნიშვნელობითა და არქიტექტურით ბოლივარის მოედანი და მაგისტრალია გამოირჩეული. ამ ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს პოლიტიკური პარტია „მოძრაობა სოციალიზმისაკენ“. სამწუხაროდ ვენესუელა რეგიონის ერთ-ერთი დიდი ვალების მქონე ქვეყანაა. საინტერესოა, თუ როგორ მოვცვდი სილამაზის კონკურსზე სახელმწიფო ცენტრალურ უნივერსიტეტში. კარაკასში ჩემი ყურადღება მიიქციეს მუზეუმებმა, XVII საუკუნის კათოლიკურმა ტაძარმა, პანთეონმა, კაპიტოლიუმმა და თაღებმა. ვენესუელის ვალენსიაში სამხრეთ ამერიკის მასტებით ერთ-ერთი უდიდესი ხარების საბრძოლო არენაა, სადაც ყოველწლიურად რამდენიმედღიანი ფიესტა იმართება.

საყურადღებოა კუურასაოსა და არუბას კუნძულები. მაინც რითაა გამორჩეული და ცნობილი ეს კუნძულები? ამის შესახებ თქვენ წაიკითხავთ ჩემს ნიგნში „ვენესუელური დღიურები“.

ვენესუელადან კოლუმბიის რესპუბლიკაში გადასვლისას, ვენესუელის მხარეს 75 კმ გზის გავლა ჭაობში მომიწია. გზის ორივე მხარე 3-4 მეტრი სიმაღლის ლერწმით იყო დაფარული. მთელ ამ გზაზე კი ფორდის მარკის მანქანით 2-2 რევოლვერით შეიარაღებული ორი კოლუმბიელი თავდამსხმელი მომყვებოდა. რას ითხოვდნენ ჩემგან? საინტერესო ისაა, რომ კოლუმბიაში ისინი დამიმეგობრდნენ და სასტუმროში მეწვივნენ...

მართლაც საინტერესოა კოლუმბიელთა ტრადიციები!.. რისთვის მოკლეს ორი ველომოგზაური?... ვინ იყენებ ისინი?... როგორ გავიარე შესანიშნავი ქალაქები – სანტამარტა, ბარანკილია, კართაგენა, კარმენ-დე-ბოლივარი, ბოსკონია, პონდა, სანტა-ფე-დე-ბოგოტა, იბაგე, კალი, პოპაი-ანი, პასტო?

კოლუმბიის ერთ-ერთი ტოპოგრაფიული მახასიათებლებია ანდების მთები. ქვეყნის ტერიტორიაზე უმაღლესი მწვერვალია „პიკო კრისტიალკოლონი”, ორი მოქმედი ვულკანით. ისინი ზღვის დონიდან ხუთი ათას მეტრზე ბევრად მაღლა მდებარეობენ. მწვერვალები თოვლითაა დაფარული, რაც, ველოსიპედით გადაადგილებისას, ხშირად, კავკასიონის მთებს მახსენებდა.

დედაქალაქის სახელწოდება სანტა-ფე-დე-ბოგოტა, ვარსკვლავებთან უახლოესს ნიშნავს. იგი 1538 წელს დააარსა გონისალო ხიმენეს კვესადამ. თვითონ ქალაქი ზღვის დონიდან 2700 მეტრის სიმაღლის ზეგანზეა აშენებული (ამართლებს სახელწოდების მნიშვნელობას). გარშემო ბუმბერაზი მთები აკრავს. მთა მონსერატზე აგებულია მონასტერი და ეკლესია, რაც ქალაქს თავის დადებით აურას ჰქონის. ასევე ულამაზესია ფუნიკულიორი...

მოულოდნელი იყო რუსი დიპლომატების გაცნობა, რომელმაც ახალი მოულოდნელობა წარმოშვა, მათ ისეთი ქართველი ქალბატონი გამაცნეს, რომლისგანაც საოცარი ისტორია მოვისმინე, კერძოდ...

ჩემთვის არა მარტო ბოგოტაა საყურადღებო, არამედ მთლიანად კოლუმბია – ერთ-ერთი საუკეთესო ეროვნული სახელმწიფო ცენტრი მახასიათებლით. მთელ კოლუმბიაში გზა ურთულესი გამოდგა. თავს ვალდებულად ვთვლი, რომ ლამაზ ქვეყანას და ლამაზ ხალხს წიგნიც ლამაზი მიუძღვნა. დაველოდოთ ამ საინტერესო წიგნის დაბადებას.

კოლუმბიდან ეკვადორის რესპუბლიკას ვესტუმრე. ჩემგან ამ ქვეყნის აღიარებისთვის მისი გეოგრაფიული მნიშვნელობაც იკმარებდა... მაგრამ წიგნი, რომელსაც მივუძღვნი ეკვადორში ჩემს მოგზაურობას საინტერესო, დაუვინყარი ინფორმაციით იქნება გაჯერებული, თუ როგორ ავედი ველოსიპედით ჩიმბურასოს მთის 4 850 მეტრის ნიშნულამდე, ანდა როგორ ავაფრიალე საქართველოს დორშა 5 250 მეტრის სიმაღლეზე და ბევრი ამგვარი რამ წიგნში უხვად და ფართოდ იქნება წარმოდგენილი აქ გადამხდარი თავგადასავლები, ამ ქვეყნის საინტერესო ისტორია, დაკვირვებანი მის ხალხზე, ტრადიციებზე; აგრეთვე, სახელმწიფოს როლზე მსოფლიოს ინტეგრაციაში და ა.შ.

პერუს რესპუბლიკის სანაპირო ქარიშხლებსა და ძლიერ წვიმებში გავიარე. ასეთივე პირობებში მომინია სეჩურას, ნასკას და ატაკამას (მცირე ნანილის) უდაბნოების გავლაც. ნასკის უჩვეულო, იდუმალი „ნახატების“ შესახებ დაწვრილებით ვისაუბრებთ ჩემი „ოდესეის“ ამსახველი წიგნების შესაბამის ტომში. კიტოში მორბენალ ქურდათან ჩხუბი მომივიდა. ვიმედოვნებ, მას ჩემთან შეხვედრის ისტორია სამუდამოდ დაამახსოვრდება. ამ ფაქტს ვერტმფრენების გამომცდელი ლენინგრადელი პროფესორი შეესწრო, რომელმაც შემდეგ წერილიც კი მომწერა. ვფიქრობ, ამ წერილის შინაარსი უინტერესო არ იქნება. დღიურების ინფორმაციაც ძალზე საინტერესოა, რადგან უდაბნოების, ქარიშხლებსა და თავსხმებში სიარულის გარდა, გზაც – არეკიპადან პუნომდე ურთულესი მქონდა ... პუნო – კუსკო – მაჩუ – პირჩუ – პუნოს გზას და ნანახს კი ძალზე საინტერესოდ ვთვლი. უინტერესო არც ტიტიკაკას ტბის სანაპიროთი სიარული ყოფილა (კუსკოს, მაჩუ-პიკჩუს, ტიტიკაკას შესახებ საინტერესო ისტორიულ ცნობებს იხილავთ შესაბამის წიგნში). ტიტიკაკას ტბის სანაპიროთი 120 კმ-იანი მონაკვეთის გავლის შესახებ ინფორმაციაც დიდ სიამოვნებას მოგვერით, რადგანაც მისი ბუნება გამორჩეულია ყველასგან. ალბათ, დაგაინტერესებთ, რით!..

ბოლივიის რესპუბლიკა 4200 მ-ის სიმაღლის ზეგანზეა გადაჭიმული. საინტერესო მისი დედაქალაქები – შუკრე და ლაპასი, რომელთა მსგავსი სხვა დედაქალაქები მსოფლიოში არც არსებობენ. სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ ქვეყანაში დავინახე, მისი როგორც დადებითი, ასევე უარყო-


ფითი მხარეებიც. შევიძინე მეგობრებიც. ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, თაღლითებსაც რომ გადა-  
ვეყარე. საინტერესოა, რით დასრულდა მათთან ჩეუბი და, ალბათ, ისიც, თუ რისთვის გამომიც-  
ხადა ლა-პასის პოლიციის უფროსმა მადლობა.

რამდენი დედაქალაქი აქვს ბოლივიას? ყოველივე ამის შესახებ თქვენ მომავალში წაიკითხავთ.

სახამას უღელტეხილის სიმაღლე ზღვის დონიდან 4 880 მ-ის სიმაღლეზეა. იგი არა მარტო  
სიმაღლით, არამედ იმითაც გამოირჩევა, რომ მასზე გადის საზღვარი ბოლივიასა და ჩილეს შო-  
რის. ამ უღელტეხილზე ლამის თევამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა, რატომ? ...

ჩილეს რესპუბლიკაში 1997 წლის 12 სექტემბერს შევდივარ, ქ. არიკამდე 237 კმ-იან გზას უძ-  
ლიერს ქარში გავდივარ. ამ ურთულეს გზაზე, ექსტრემალურ ბუნებრივ პირობებში, კიდევ ერთი  
საინტერესო გამოცდა მოვუწყვე საკუთარ თავს, გამოცდაც და შედეგიც ძალზედ საინტერესოა...

### **თავგალავარებით სოცეკე გზა მქონდა სანეიციგო-ლე-ჩილესან სრგენცინის საზღვრამს. ძრიან ბევრი მაქვს მოსაყორი ამ ბრნეინვალე სახეომნითოსა და ხსებზე.**



ადრე არიკა თავისუფალი პორტი  
იყო, რომელიც ბოლივიას ემსახურებო-  
და. ახლა კი, ნურას უკაცრავად...

იგი მხოლოდ ჩილეს ექვემდებარება  
და ატაკამას უდაბნოს დიდებულ ოაზისს  
წარმოადგენს. აქვს სპორტული ისტორი-  
აც, იგი ჩილეში გამართული მსოფლიოს  
საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძელი  
იყო. სამწუხაროდ, ამ ჩემპიონატის მემო-  
რიალურ დაფაზე საბჭოთა კავშირის  
გუნდი მოხსენიებული იყო, როგორც რუ-  
სეთის გუნდი. ეს მაშინ, როცა ნაკრებში  
თამაშობდნენ მსოფლიო ფეხბურთის ისე-

თი ქართველი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გივი ჩოხე-  
ლი, სერგო კოტრიკაძე. დასანანია, რომ მსოფლიო კლასის ფეხბურთელებს, როგორც ქართვე-  
ლებს, არავინ იცნობდა. ამ ულამაზეს, საინტერესო ისტორიის მქონე ქალაქში ჩემი მასპინძელი ქ.  
არიკას უნივერსიტეტის პროფესორი, გერმანელი ვ. კლაუსი იყო. იგი შესანიშნავი მასპინძელი  
აღმოჩნდა. უღრმესი მადლობა მას...

შემდეგ იყო ქალაქები: იკიკე, ტოკოვილია, ანტოფაგასტა, კოპიაპო, ლა-სესუნა, კოკიმბო,  
ვალპარაისო, ვინია-დელ-მარი და დედაქალაქი – შანტიაგო – დე – ჩილე.

სანტიაგო – დე – ჩილეში ჩემი მასპინძელი მთის ველოსიპედით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონი  
– პაბლო სეპულვედა გახლდათ. ორი კვირა ერთად ვვარჯიშობდით მთებში. შემდეგ მე იერიში  
მივიტანე მსოფლიო რეკორდზე მთის ველოსიპედით 12 საათიან უნივერსიტ რბოლაში. მეტოქედ  
თვით პაბლო მყავდა. თუ როგორ დამთავრდა ჩვენი სპორტული პაექრობა, ამას შემდეგში გამო-  
ცემულ წიგნში წაიკითხავთ, რა თქმა უნდა, დიდი ინფორმაცია მაქვს თვითონ ქალაქზეც, სახელ-  
მწიფოსა და ხალხის მდგომარეობაზეც, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს სათავეში „დიქტატორი“

გუსტავო პინორეტე ჩაუდგა. მე ვნახე აშენებული სახელმწიფო, ქვეყანა ვალების გარეშე და ბედ-ნიერი ხალხი. ვნახე თვით „დიქტატორის“ საცხოვრებელი „სასახლეც“...

## **ქ. ბრძნებიღიაში ბრძნებიღის მთავრობის ფეხბურთელთა ნკრებ გუნდში მოვხვდი, ლმერთმანი, კარგი თავის დავადგინდეთ!**

ეს იყო ტიპიური ორსართულიანი სადა შენობა, განურჩეველი სხვა სახლთაგან, რომლის ტროტუარზეც ხალხი ჩვეულებრივად მიდი-მოდიოდა. ჭიშკრის გარეთ დაცვა არც ჰყავდა...

ვინ იყო სალვადორ ალიენდე, ან გენერალი პინორეტი? იყო თუ არა 1973 წლის გადატრიალება სამხედრო-ფაშისტური?

სანტიაგო-დე-ჩილედან არგენტინის საზღვრამდე თავგადასავლებით აღსავსე გზა მქონდა. ბევრი, ძალიან ბევრი მაქს მოსაყოლი ამ ბრწყინვალე სახელმწიფოზე და მის ხალხზე...

არგენტინაში გადასვლა ზღვის დონიდან 4 400 მ. სიმაღლის მენდოსას უღელტეხილზე მომინია. იგი ანდებისა და მთელი სამხრეთ ამერიკის უმაღლესი მწვერვალის – აკუნკაგუას ძირში გადის. აკუნკაგუას სიმაღლე ზღვის დონიდან 6 960 მეტრია. მისი ყინულოვანი საფარველი ნემ-მდე აღწევს.

არგენტინა ერთ-ერთი კარგად დასამახსოვრებელი სახელმწიფოა. იგი ფეხბურთით და მარა-დონათი, მოგზაურებთან შეხვედრებითა და ახალი ველოსიპედის გადმოცემით დამამახსოვრდა. ამასთან, შესანიშნავი არგენტინელებით – კაპიტან ფარიათი და კაპიტან ბერტონოთი, რომლებმაც ანტარქტიდაზე ორჯერ გადამიყვანეს. მასოვს ცეცხლოვანი მიწა და მისი დედაქალაქი უშუალი, შესანიშნავი ბუენოს-აირესი, მარ-დელ-პლატა, ლა-პლატა, კორდობა, მენდოზა, ფოზ-დე-იგუასუ, ჩემთან დამეგობრებული დიდებული ხალხი, დამგზაურებული მოგზაური და... დაუკინებო შეხვედრა მარადონასთან!..

საინტერესოა, როგორ გავატარე 1998 წლის ახალი წლის დღეები მარ-დელ-პლატაში... რა თქმა უნდა, აქაც არ დამკლებია თავგადასავლები და კურიოზები. ვფიქრობ, წიგნი არგენტინის შესახებ საინტერესო გამომივა. მასში განსაკუთრებულად მინდა გამოვყო ამ შესანიშნავი ხალხის სამოსელი, ჩაცმის სტილი, ტრადიციები და, საერთოდ, ეთნოკულტურა.

საინტერესო ბიოგრაფიისაა „ფოლკლორის კუნძულები“. იგი 1982 წლის შემდეგ ინგლისელთა მფლობელობაშია. ყოველ ნაბიჯზე ვკითხულობთ: „მალვინი ჩვენი ტკივილია“. ყურადსალებია კუნძულებზე დაფიქსირებული ფაქტების საიდუმლოებანი. თავის დროზე მოგიყვებით იმაზე, თუ როგორ ვენვივ სტუმრად ფოლკლორის გუბერნატორს, ან რატომ მოვხვდი საპატიო წიგნში; რის-თვის მომიწია ზამთარში ოკეანეში გადახტომა; როგორ დავუმეგობრდი ფოლკლორდელებს და ... ოკეანის თეთრპერანგიან, შავფრაკიან გრაფებს – სამეფო პინგვინებს...

ანტარქტიდა! – ჩემთვის ოცნებად ქცეული ყინულის კონტინენტი! ორჯერ დავიპყარი „მარა-დიული ზამთრის“ ეს იდუმალი, ზღაპრული ქვეყანა. საინტერესოა, თუ როგორ მოვხვდი აქ... მისი დატოვების შემდეგ, ახალი ამოცანის შესრულება დავისახე მიზნად: მოგაწოდოთ ინფორმაცია სამხრეთის, სიცივისა და მაგნიტური პოლუსების დაპყრობის პროექტზე, რომელიც „ესპრო 2006“-ის გამოფენაზე წარვადგინეთ და ოქროს დიპლომებიც დავიმსახურეთ მე და უკრაინელმა მოგზაურმა ლეონიდ მიკულამ. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, გამოსაცემად მოვამზადე წიგნი „ანტარქტიდული დღიურები“.

... ბევრს მოგითხობთ ურუგვაის რესპუბლიკაზე. ამ ულამაზესმა ხალხმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ ქვეყანას განათლების მაღალი დონით ვაფასებ.

**მაკლდა კვება. ლამეებს ლის ქვეშ, ბუნებაში ვათევდი. უამრავი კოლო, ქვეწარმავალი, ნიანგი!... წამებით მივალწიე სურინამის რესპუბლიკის საზღვარს. . . ეს იყო ჩემი VIA DOLOROSA, ჩემი VIA CRUCIS (ლათ.) – ტანჯვის გზა, ჯვარცმის გზა. რამდენჯერ გადავრჩი!!!**

აქ მდებარეობს მსოფლიოში უძველესი „გეოგრაფიისა და ისტორიის“ ინსტიტუტი, მაღალ-პრესტიჟული ურუგვაის უნივერსიტეტი და სხვა კულტურული თუ არქიტექტურული ღირსშესანიშნაობანი.

ურუგვაი ცნობილია მაღალგანვითარებადი სოფლის მეურნეობით, უძველესი კულტურით, ტრადიციებით... თუნდაც ის რად ღირს, ურუგვაელები მსოფლიოს პირველი ჩემპიონები რომ გახდნენ ფეხბურთში, საინტერესოა ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობაც და სახელმწიფოებრივი მმართველობაც. დედაქალაქ მონტევიდეოში მსოფლიოში საუკეთესო კაპიტოლიუმია. მაინც რითაა გამორჩეული ეს კაპიტოლიუმი? – მოსაყოლი, მართლაც, რომ ძალიან ბევრი მაქვს!..

ურუგვაიდან, ისევ არგენტინის გავლით, პარაგვაის რესპუბლიკაში გავემგზავრე. იგი ორჯერ დიდია ურუგვაიზე ფართობითაც და მოსახლეობითაც.

**ატლანტაში სიურპრიზი მომიწყვეს: საქართველოს იმდროინდელი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, ბატონი კახი ასათიანისა და ამავე დეპარტამენტის სპორტის მთავარი სამართველოს უფროსის, ჩემი მეგობრის ბატონი ამირან აბესაძის დახმარებით ჩემი უმცროსი ქალიშვილი ხათუნა მესტუმრა.**

მომენტისა პარაგვაელების სტუმარობის მოყვარეობა. მათ მოკლე, მაგრამ საინტერესო ისტორია აქვთ – მრავალმხრივი ტრადიციებითა და კულტურით... წარმატებულნი არიან სპორტშიც. დედაქალაქი ასუნსიონიც მშვენიერია, თუმცა ქვეყანას არანაკლებ ამშვენებს სამი სახელმწიფოს ჩან-ჩერი – საოცარი ფოზ-დე-იგუასუ.

ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკას 1998 წლის 2 თებერვალს ვესტუმრე. დედაქალაქი ბრაზილია (1960 წლიდან). ამ ზღაპრულ ქვეყანაში 3 თვე ვიმოგზაურე. და მთლიანად გავიარე სამხრეთიდან ჩრდილოეთ საზღვრამდე. ფანტასტიკურ ფოზ-დე-იგუასუზე კანტალა ენოტებმა მშიერი დამტოვეს... მოვინახულე სამხრეთ ამერიკის ევროპული ქალაქი კურიტიბა, შემდეგ ქალაქი სან-პაულო, რომელიც მსოფლიოში მეორეა მოსახლეობის რაოდენობით და ბრზილიის უმსხვილესი ეკონომიკური ცენტრია. შესანიშნავია სან-პაულოს შტატის მთავრობის სასახლე. ამ ქალაქს, ხშირად, ლათინური ამერიკის „ჩიკაგოთიც“ მოიხსენიებენ. მკითხველს დააინტერესებს, თუ რისთვის დაერქვა ამ ქალაქს ლათინური ამერიკის ლოკომოტივი....

შემდეგ... რიო-დე-ჟანეირო! ეს ქალაქი პორტუგალიელი კონკისტადორების მიერ 1502 წელს დაარსებულა და ბრაზილიის 1960 წლამდე დედაქალაქი იყო. ამჟამად თავისივე სახელწიფების შტატის ადმინისტრაციული ცენტრია. იგი მსოფლიოს საუკეთესო ქალაქებში შედის. აქ, ბრაზილიის ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობის მფლობელის სპონსორობით, რიო-დე-ჟანეიროს მსოფლიოში ცნობილ კარნავალის ოფიციალური სტუმარიც გავხდი. საინტერესოდ გავატარე დღეები კოპაკაბანას და ფლამენგოს პლაჟებზე... №1 თავდამსხმელი გავხდი ჟურნალისტ ფეხბურთელთა გუნდში.

რიო-დე-ჟანეიროში, კორკოვადუს მთაზე, რომელზეც ველსიპედით შეუსვენებლად ავედი, ძალზედ ეფექტურია ხელებგაშლილი ქრისტეს ქანდაკება... ჩემი იქ ყოფნის პერიოდიც მეტად საინტერესოა...

რისთვის ვცვლი მარშრუტს და მივდივარ ბრაზილიის დედაქალაქში ფანტასტიკური ქალაქის, ბელუ ორიზონტეს გავლით? ეს გზა მოგზაურობის ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთია. ქ. ბრაზილიაში ბრაზილიის მთავრობის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში მოვხვდი! ღმერთმანი, კარგი თავგადასავალია! აირტონ სენას ავტოდრომზე ფორმულა ერთისა და ფორმულა სამის პილოტებთან რამდენიმე დღის განმავლობაში ვვარჯიშობდი. ქალაქების – ბრაზილია – ბელემის 2 500 კმ-იანი მონაკვეთი ამაზონის ჯუნგლში გადის. საგულისხმოა, რომ ამ გზის პირველგამკვლევი მევარ! ქ. ბელემში ცნობილ ბრაზილიელ ველომოგზაურს – დეივ კრუზს შევხვდი. მან ჩემსმ მოგზაურობას მაღალი შეფასება მისცა.

**საინტერესო თბილისიდან ჩამოსული ჩემი მოგზაურობის ულირს ორგანიზატორთან შეხვედრები.** მან აქაც, მისთვის დამახასიათებელ სტილში სპონსორობის რამდენიმე ამერიკელი და სანტ-მარტინელი კანდიდატი ჩამომაშორა...

მოგზაურობის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნაწილს მდინარე ამაზონით ამაზონის ჯუნგლის დედაქალაქ მანაუსში ჩასვლა და უკან დაბრუნება წარმოადგენს. ურთულესი გზებით მოვხვდი ქ. მაკაპში. თუ რით არის ეს ქალაქი მსოფლიოში ერთადერთი და ცნობილი, ჩემი თავგადასავლების წიგნების შესაბამის ტომში წაიკითხავთ...

ერთ-ერთი ურთულესი გზა ბრაზილიის ქალაქ მაკაპადან საფრანგეთის გვიანამდე (ექვსას კილომეტრამდე დაუსახლებელი ტერიტორია) ამაზონის დელტის ჭაობიანი ჯუნგლით გავიარე. ამ საფათერაკუ მარშრუტის გავლისას, უფალსა და საკუთარ თავს მინდობილი, არა ერთ განსაცდელს გადავურჩი.

გვიანას დედაქალაქ ჯორჯთაუნში ფრნაგმა უანდარმებმა შესანიშნავად მიმიღეს. ღამიათვინებს. ეს ქვეყანა 1946 წლიდან ამ დეპარტამენტს საფრანგეთის მიერ დანიშნული პრეფექტი მართავს. ტერიტორია მეტნილად დაბლობია და მთლიანად ჯუნგლითაა დაფარული. ამ ქვეყნის საოკეანო ოკულომეტრიანი ზოლი, თითქმის, მთლიანად დაჭაობებულია, რასაც საშინელი სიცხეები ერთვის. ყოველივე ეს სერიოზულ ექსტრემალურ პირობებს სისტემატურად მიქმნიდა.

სურინამში იგივე გადამხდა, რაც საფრანგეთის გვიანაში, მაგრამ ყველაფერს აქ ისიც დაემატა, რომ პარამარიბოში არც ერთმა ბანკმა არ გადამიხურდავა დოლარი, რამაც ჩემი ისედაც დამძიმებული მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. როგორ გამოვედი ამ მდომარეობიდან და როგორ ჩავედი გაიანას კოოპერატიულ რესპუბლიკაში, წაიკითხავთ წიგნში, რომელიც სურინამში ჩემს მოგზაურობას მიეძღვნება. იქ გაიგებთ, თუ რა უბედურებები გადამხდა ამ ქვეყანაში და როგორ დავძლიე სირთულეები....

გაიანას კოოპერატიულ რესპუბლიკას ეს სახელი 1970 წელს დაერქვა. ქვეყანა პატარა, მაგრამ ეთნიკურად ჭრელია, იგი ბრიტანეთის თანამეგობრობაში შედის. აქვს საინტერესო ისტორია და, თითქმის საკუთარი, იშვიათი ბუნება. აქ ძალიან მოიკიდეს ფეხი ინდოელებმა, რომელთა ხელშია მთელი სოფლის მეურნეობა... ხშირად გაიანას ექვსი ხალხის ქვეყანასაც ეძახიან... აქვთ სათანადო კულტურა, ტრადიციები, ასევე თანამედროვეობა... მაგალითად, წელიწადში ერთხელ, დედაქალაქ ჯორჯთაუნის ცენტრალურ მოედანზე ინდოელები და აფროგაიანელები იკრიბებიან და რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩხუბობენ, რათა გაარკვიონ, თუ ვინ უნდა იყოს ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი...

ამის შემდენ 4 თვის განმავლობაში ვმოგზაურობდი კარიბის ზღვის აუზის კუნძულებზე. ადგილობრივი ფრანგების, ინგლისელების, ამერიკელებისა და ჰოლანდიელების დახმარებით ყველა

კუნძულოვან სახელმწიფოს ვენვიე. საყურადღებოა კარიბის ზღვის კუნძულებისა და რეგიონის სახელწოდების წარმოშობისა და კოლონიზაციის ისტორია.

პროცესი მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდამდე გრძელდებოდა...

ბევრი მაქვს მოსაყოლი კუნძულების გეოლოგიურ მდგომარეობაზე, რელიეფზე, ფლორასა და ფაუნაზე, კლიმატზე, ცხოველთა სამყაროზე, ეკონომიკაზე, ნაოსნობაზე, ტურიზმზე, კულტურაზე... ამას დიდ ხარისხს მატებს ამ კუნძულებზე ჩემი მოგზაურობის ამსახველი დღიურები, რადგან ოთხი თვის განმავლობაში არაერთი კურიოზი და თავგადასავალი გადამხდა თავს, რაშიც გამოვლინდა ჩემი თავდადებაც, ბედიც, ძალის გამძლეობის დემონსტრირებაც და სხვა უამრავი თვისება... გააქტიურებულ მონსერატის კრატერს, ამოფრქვევის დროს, ველოსიპედით დაახლოებით 150 მეტრზე მივუახლოვდი... კუნძულიდან თითქმის მთელი მოსახლეობა ინგლისში გახიზნული დამხვდა! მე რა მინდოდა?! ჰაიტიში ღმერთმა ორჯერ გადამარჩინა სიკვდილს; იამაიკაში – გაქურდვას... და მაინც,

**ზღაპრულია ლიხტენშტეინის სამთავრო, საინტერესოა მისი კონსტიტუციური მმართველობის ფორმა... როგორც სახელმწიფო, ისე დედაქალაქი ვაღუციც, მეტად ორიგინალურია. სანახაობებიდან მეფის სასახლეს და რესტორან გაგრას ავლინიშნავ...**



ამ შესანიშნავ კუნძულებზე გავიჩინე მრავალი მეგობარი, რომელთა შორის გამოვყოფ ბატონ რიჩარდ გიბსონს...

იამაიკაზე და კუბაზე მოგზაურობა ჩემი ოდისეის უმშვენიერესი ნაწილია. ამ კუნძულებზე შევიძინე ახალი მეგობრები... გავეცანი ნაციონალურ ტრადიციებს... ისე, როგორც მთელ ამერიკაში, ამ ქვეყნებშიც ყოველწლიურად კარნავალების ჩატარების ტრადიცია დომინირებს... იამაიკასა და კუბაზე ჩემი მოგზაურობის დასრულების შემდეგ შეერთებულ შტატებში დავბრუნდი, რადგანაც კასაბლანკაში (მარკო) ჰავანიდან გადაფრენა ძალიან ძვირი ჯდებოდა, რისი საშუალებაც არ მქონდა.

ატლანტაში სიურპრიზი მომინცვეს: საქართველოს იმდროინდელი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, ბატონ კახი ასათიანისა და ამავე დეპარტამენტის სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსის, ჩემი მეგობრის, ბატონი ამირან აბესაძის დახმარებით ჩემი უმცროსი ქალიშვილი ხათუნა მესტუმრა. მასთან ერთად ამერიკაში გატარებული ერთი თვე ჩვენთვის დაუვინყარია, რადგან იგი ხუთი წლის უნახავი მყავდა.

საინტერესოა თბილისიდან ჩამოსული ჩემი მოგზაურობის ულირს ორგანიზატორთან შეხვედრებიც, მან აქაც, მისთვის დამახასიათებელ სტილში, სპონსორების რამდენიმე ამერიკელი და სანტ-მარტინელი კანდიდატი ჩამომაშორა.

მე და ჩემმა ბარდღუნიამ (ასე ვეძახდი ჩემს უმცროს ქალიშვილს – ხათუნას ბავშვობაში) ვიმოგზაურეთ სხვადასხვა ქალაქში და ჩავედით ქ. ნიუ-იორკში, საიდანაც იგი საქართველოში, მე კი ესპანეთის სამეფოში გადავფრინდი. წიგნის ამ ნაწილშიც ძალიან საინტერესო ინფორმაციას წაიკითხავ მკითხველო!...

ყურადღებით ვათვალიერებ მადრიდს – ესპანეთის დიდებულ დედაქალაქს. აქ არის თავმოყრილი დრამატული და მუსიკალური თეატრები, უამრავი მუზეუმი, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები. საინტერესო იყო ჩემი სატელეფონო საუბარი ბატონ გორია ჩოგოვაძესთან – საქართველოს ელჩითან საფრანგეთსა და ესპანეთში. ვთხოვდი, პრესასთან კონტაქტების დამყარებაში დამხმარებოდა, რადგან, ადგილობრივი წესებით, დასაბეჭდი მასალა რედაქციისათვის რეკომენდატორ ორგანიზაციას უნდა გადაეცა ფაქსით. სასტიკი უარი მივიღე: „მე ახლა ესპანეთში ვიმყოფები და როგორ დაგეხმაროთ!“ ელჩის ვერ ვკადრე, მესწავლებინა, თუ როგორ უნდა აღმოეჩინა დახმარება ჩემთვის ამ მარტივი საკითხის გადასაწყვეტად. მე და ბ-ნი ელჩი ერთ ფაკულტეტზე ვსწავლობდით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და მისგან ასეთი პასუხი, სიმართლე გითხრათ, არ გამკვირვებია – იგი თანატოლებს შორის ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ამბიციურობით... უადგილოდ განეული კეთილი სამსახური თუ ბოროტებად ეთვლება კაცს, მაშინ რაღა ერქმევა უადგილო ამბიციურობას? – ამპარტავნებაო! – იტყვით, ალბად, ვინმე. ბ-ნი ელჩის ამბიციურობას, ჩემი თვალთახედვით, ცნება „ამპარტავნების“ სულხან-საბასეული კლასი-ფიცირებით, ელჩითან მიმართებაში ცნება „ზესთა-მჩენობი“-თ ჩავანაცვლებდი, რამეთუ: „ზესთა-მჩენობაცა ვიეთთა ზეცა კაცსა, რომელსა ენებოს თავი თავსი სხვისა უმაღლესად და უკეთესად გამოჩენა...“ ვფიქრობ, ეს განსაზღვრება უფრო ესადაგება ბატონი ელჩის საქციელს, ვინემ ლა-თინური Ambitio, თუმცა... უმჯობესია მთავარ თემას მივუბრუნდეთ.

ესპანეთი! – სახელმწიფო, რომელსაც უჭირავს პირენეის ნახევარკუნძულის უდიდესი ნაწილი. ეს ქვეყანა ძალზე საინტერესოა თავისი ისტორიით. ამ ნახევარკუნძულზე უხსოვარი ხანიდან სახლობდნენ იბერები. დღესაც მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მთათა ერთ-ერთ სისტემას იცნობენ, როგორც იბერიის მთებს. იბერებზე, კავკასიის, პირენეისა და დიდი ბრიტანეთის იბერიათა შესახებ თქვენ თავის დროზე მიიღებთ საინტერესო ცნობებსა და ჰიპოთეზებს. მანამდე კი...

დიახ, ძირძველ იბერთა შემდეგ პირენეის ნახევარკუნძულზე ჩვ. ნ. აღ-მდე V-III საკუნეთა შორის განსახლდნენ კელტური ტომები. ჩვ. ნ. აღ-მდე III საუკუნის მიწურულიდან ამ ტერიტორიის უდიდესი ნაწილი კართაგენის მფლობელობაში ექცევა, ჩვ. ნ. აღ-მდე I საუკუნიდან კი რომის იმპერიამ დაიპყრო...

ესპანელმა ხალხმა ფრიად ორიგინალური კულტურა და არქიტექტურული ძეგლები მისცა მსოფლიოს, ფაქტობრივად, ეს კულტურა მავრიტანული და კათოლიკური კულტურის სინთეზმა წარმოქმნა...

ცნობილია, რომ ბერბერები ათასწლეულთა წინათ საქართველოდან დასავლეთით მიგრირებული დიდი ჯგუფის ნაწილია, რომელმაც ჩრდილოეთ ამერიკაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე დაიდო სამ-

კვიდრებელი. მთებში რამდენიმე დღით ერთ-ერთი პედაგოგისა და ვაჭრის ოჯახში მომინია ცხოვრება, რადგან უკეთ გამეცნო ამ ხალხის ისტორია, ცხოვრების წესი, თანამედროვეობა და ბევრი სხვა რამ...

XVIII-XIX საუკუნეთა მადრიდის არქიტექტურაში კლასიციზმი XIX საუკუნის მეორე ნახევრი-დან კი – მოდერნიზმი დამკვიდრდა. XX საუკუნის შუა პერიოდიდან, მადრიდის რეკონსტრუქციის დროს, მშენებლობაში აქცენტირებულია ბეტონისა და მინის გამოყენება. აგებენ ცათამბრჯენებს.

ყოველივე ამაზე პასუხს გაგცემთ ესპანეთის შესახებ გამოცემული ტომით. მადრიდი ცნობილია 100-ზე მეტი მუზეუმითა და გალერეით. თუმცა, მადრიდის სავიზიტო ბარათად მაინც პრადო ითვლება, სადაც ბოტიჩელის, რაფაელის, ტიციანის, ბოსხის, ბრეგელის, გოიას, რემბრანდტის, ელ-გრეკოს, რუბენსის, დიურერის, ველასკესის, კარავაჯოსა თუ სხვათა ხელთუქმნელი ტილოები ინახება – შეუფასებელი ფერწერული შედევრები! მადრიდი ცნობილია თავისი უნივერსიტეტები-თაც... ჩემი აზრით, პრადოსთან ერთად, ქალაქის სავიზიტო ბარათი მადრიდის „რეალიცაა“.

მადრიდი ერთი მთლიანი მუზეუმია!...

ერთობ დაძაბული გზა იყო პორტუგალიამდე-მდინარე ტახოს ხეობა ნებისმიერ მხილველს ისე მოხიბლავს, როგორც თავად ამ სტრიქონების ავტორი მოხიბლა.

პორტუგალიის რესპუბლიკასთან შეხვედრას განსაკუთრებულად ველოდი, რადგანაც ეს ქვეყანა დიდი მოგზაურებისა და ფეხბურთელების სამშობლოა. დიდი იმედით ვეწვიე დედაქალაქ ლისაბონს. ეს ქალაქი იძერიული ტომების – ლუზიტანების მთავარი განახლების ადგილია. ქალა-ქი ატლანტის ოკიანის სანაპიროზე მდ.ტეუუს (ტახო) შესართავში მდებარეობს. სახელმწიფო დაპყრობილი ჰქონდათ რომაელებსაც და არაბებსაც. იგი ესპანეთის იმპერიაშიც შედიოდა. ლისაბონი 1755 წლის მინისძვრამ მთლიანად დაანგრია. შემდეგ – ნაპოლეონი და ფრანგული ოკუპაციის ხანა. 1926-1947 წლებში პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმი მდვინვარებს. შემდეგ აქ თავისუფლების სიომ დაუბერა და პორტუგალია მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე, ევროპული დონის სახელმწიფო იქცა. პორტუგალიის ცნობილი მოგზაურები არიან ვასკო და გამა, რომელმაც XV საუკუნეში აღმოაჩინა ინდოეთი და ფ. მაგელანი, რომელმაც XVI საუკუნეში პირველმა შემოუარა დე-დამინას. პორტუგალიის ცნობილი სახეა, აგრეთვე, ფეხბურთელი უუსებით. სწორედ აქ მქონდა ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრა 50-იანი წლების საუკეთესო ფეხბურთელთან, მოზამბიკის პანტერად წოდებულ ეუსებიოსთან, რომელმაც ლისაბონის „ბენფიკას“ ვარჯიშეც და თამაშეც მიმიწვია. თუ როგორ გავატარე მასთან სტუმრობის სამი დღე, წაიკითხავთ წიგნში, რომელიც მიეძღვნება პირენეის ნახევარკუნძულზე ჩემს მოგზაურობას.

ლისაბონმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. აღმაფრთოვანებელია პორტუგალიელთა ტრადიციები...

პორტუგალიის ჩრდილოეთ საზღვრამდე რამდენიმე ქალაქი გავიარე. ჩრდილოეთით ესპანეთის საზღვართან, ავარიაში მოვყევი. გავიტეხე თავი და სამი ნეკნი, დამემტვრა ველოსიპედიც... მკითხველს, ალბად, აინტერესებს, თუ ვინ იყო დამნაშავე. ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია, როდესაც დაწვრილებით გაეცნობით ამ შემთხვევასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

შემდეგ ისევ ესპანეთი, მაგრამ, ამჯერად, მისი ჩრდილო ნაწილი. ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთისა და ბისკაის ყურის სანაპიროებით გავიარე ქალაქები: ვიგო, კომპოსტელა, ლა-კორუნია, ავილასი, ბარაკალდო, ბილბაო, სან-სებასტიანი და სხვა. განსაკუთრებულად მოვიარე ბასკეტ-დავესნარი ბასკურ დღესასწაულებსაც.

ბასკეთი!... – ესპანეთის „აქილევსის ქუსლი“!

ბასკები!... უნამუნო... ეტა...

ბასკეთი!... – ეს განსაკუთრებული და ფრიად სათუთი თემაა!... საფრანგეთის რესპუბლიკი-საკენ მიმავალმა წარმოვიდგინე ამ ქვეყნის რთული ადმინისტრაციული დაყოფა... პირინეის მთების გადაკვეთით საფრანგეთის რესპუბლიკის მეღვინეობის დეპარტამენტის დედაქალაქ ბორდოში ჩავდივარ... აქედან ნანტში, შემდეგ ანჟესში, ლე-მანში, შარტრში და ვერსალის გავლით, – პარიზში... მოსაწილის მართვის სისტემა...

1999 წლის ახალი წელი პარიზში – დედამიწის ჭიბზე გავატარე...

საქართველოს საელჩომ პარიზში ოთახი გამომიყო, რითაც უსერჩული მდგომარეობიდან გამომიყვანა... საინტერესო ისტორიით მოვხვდი საცხოვრებლად ალჟირელებთან... შემდეგ მონმარტრი, ელისეს მინდვრები, ლუვრი, ლუქსენბურგის ბაღები, ეიფელის კოშკი, ნოტრ დამ დე პარი... მოულოდნელი და უცნაური შეხვედრა ლევილში... ისევ ბატონი კახი ასათიანისა და ამირან აბე-საძის დახმარებით ჩამოდის ჩემი უფროსი ქალიშვილი მაია და მისი მეუღლე – ვახტანგი. 15 დღე ერთად ვეცნობით პარიზს...

მინდა შევეხო „იუნესკო“-ში საქართველოს ყოფილი ელჩის, ქალბატონ ნათელა ლალიძის ჩემს მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების ფაქტს, რამაც მოგზაურობის პროცესში არც თუ უმნიშვნელო როლი შეასრულა...

დაუვიწყარია „იუნესკო“ გენერალური დირექტორის, ფედერიკო მაიორის მიერ ჩემთვის მსოფლიო მოქალაქისა და სპორტსმენის დიპლომის გადმოცემის ცერემონია... მქონდა პრეს-კონფერენცია უურნალისტებთან... წავიკითხე ლექცია საქართველოს საელჩოში და შევხვდი საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან.

საინტერესოა, თუ როგორ მიპოვნა ეგვიპტეში გაცნობილმა ფრანგმა ქალბატონმა. ოჯახში მიწვევისას კი მეუღლეს მოაყოლა, თუ როგორ ასრულებდა იგი ეგვიპტეში ჩემთან დადებულ პირობას...

დაუვიწყარია პარიზში ჩემს უფროს ქალიშვილთან, მაიასთან გატარებული დღეები!... მაიას თბილისში გაცილების შემდეგ გზა ლუქსენბურგის დიდი საპერცოგოსაკენ გავაგრძელე... წარმოიდგინეთ ლუქსენბურგი, სამეცნიერო დაწესებულებები, განათლების სისტემა, მუზეუმები, თეტრები, არქიტექტურული ძეგლები, პარკები... ეს კოპწია ქალაქი-სახელმწიფო ჩართულია ევროკავშირის მმართველობის რგოლშიც... ისევ საფრანგეთა!... დიდებული ლიონი, გრენობლი და...

შვეიცარიის კონფედერაციაში მოგზაურობას უენევიდან ვიწყებ. იგი ულამაზეს ხეობაში, უენევის ტბის სანაპიროზე მდებარეობს. შვეიცარია 20 სრული და 6 არასრული ადმინისტრაციული ერთეულისაგან შედგება. აქედანაც ჩანს, რომ მას აქვს მმართველობის თავისებური წესი... კონფედერაცია საქართველოზე თითქმის ორჯერ ნაკლები ფართობისაა, რომლის 2/3 იურისა და ალპების მთებს, ხოლო 1/3 მდინარე რეინის დაბლობს და ზეგანს უკავია. საქართველოზე თითქმის ორჯერ ნაკლები ტერიტორიის მქონე კონფედერაცია მოსახლეობით დაახლოებით ორჯერ აღემატება საქართველოსას. მოსახლეობა შემადგენლობით საინტერესო და მრავალფეროვანია... მრავალფეროვანია რელიგიაც. კონფედერაციის მეტად ორგანიზებული, მაღალი დონის მმართველობა აქვს. სამაგალითოა მისი სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, ამიტომ იგი უმაღლეს დონემდე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. რაც შეეხება ქალაქ უენევას,... გარდა მისი კლასიკური და ისტორიული მნიშვნელობისა, მისი როლი უდიდესია მსოფლიოში ბირთვული ფიზიკის განვითარების საქმეში, ე. ი. მეცნიერებაში, უმაღლესი დონის მანქანათმშენებლობასა და ხელსაწყოთ-

მშენებლობაში... შეიძლება მსოფლიოში მწერალთა გრანდების ერთ-ერთ უპირველეს ქალაქადაც ჩაითვალოს... ამ ქალაქში შესანიშნავი შეხვედრები და ექსკურსიები მქონდა.

ბევრი მაქს მოსაყოლი უენევაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლების შესახებ, მათ მიერ ჩემდამი გამოხატულ გულისხმიერებაზე. მათ შორის გამოყოფ ელჩს, ბატონ ამირან კავა-ძეს, ატაშეს – ბატონ ავთანდილ ბაქრაძეს და კონსულს – ქალბატონ ხათუნა ჯანჯალიას, რომ-ლებმაც არა მარტო ძვირფასი დრო დამითმეს, არამედ მოგზაურობის სათანადო დონეზე გაგრძე-ლების ბევრი საკითხის გადაწყვეტაშიც დამეხმარენ...

დედაქალაქ კონაკრიზე, ხალხის ტრადიციებზე თუ ბევრ სხვა რამეზეც, თუმცა მოსაყოლს, თქვენის ნებართვით, სხვა დროისთვის გადავდებ.

ლიბერიის რესპუბლიკა! სიტყვა „ლიბერი“ Liberi, orum, ut

ლათინური სიტყვაა და „თავისუფლად დაბადებულს“ ნიშნავს. სახელმწიფოში მოგზაურობით დარწმუნდებით, რომ ეს, მართლაც, „თავისუფლების“ ქვეყანაა... ნუთუ რჩება ადგილი თავისუფ-ლებას იქ, სადაც უწყვეტი სამოქალაქო ომებია? სადაც სუფევს ჟამი ძალის მგლისაგან ვერ გა-მორჩევისა და ძალისაგან პატრონის ვერ შეცნობისა?

ალბათ, დაგაინტერესებთ იმ მოსახლეობის ეროვნული „ინგრედიენტი“. ვინც ეს თავისუფლე-ბის ქვეყანა გამოქნა... სწორედ ამ ქვეყანაში მომინია მოგზაურობა ზუსტად ლიბერიის მეორე სა-მოქალაქო ომის მსვლელობის პერიოდში, რომელიც 1999-2003 წლებში წარიმართა.ამ ულამაზეს ქვეყანაში შესვლისას უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე ავიღე, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოში არ შემიშვებდნენ...

საომარი მოქმედებები არ წყდება. უამრავი ხალხი იხოცება. საინტერესოა როგორ გადავრჩი, როცა ყოველ 200-300 მეტრში, ხან ერთი მხარე შემათრევდა ბუნკერში, ხან მეორე, ხან მესამე და კიდევ ვინც გნებავთ ის... აქ, დიდსა თუ პატარას, ყველას ავტომატი და რევოლვერი უჭირავს. აბა, ბიჭი ხარ და ნუ დაემორჩილები...

რაც იმ დღეებში გადავიტანე და რამდენჯერაც გადავრჩი, ალბათ, ერთმა უფალმა უწყის მხოლოდ მით უფრო როცა ბევრს ჯაშუში ვეგონე... გავუძელი პირდაპირ და ჯვარედინ დაკით-ხვებს: ხან სულელის, ხან გიუს, ხან გენიოსის, ხან ძლიერის, ხანაც სუსტის ნიღაბს ამოფარე-ბულმა ვინ უწყის, რამდენი როლი გავითამაშე. ასე წამებით ჩავედი დედაქალაქ მონროვიაში... მეათასედ ვეკითხები ჩემს თავს: რამ გადამარჩინა?!.. ახლა კიდევ დედაქალაქში წამება... ლიბე-რიის პოლიციის სამინისტროსთან ველოსიპედი ბარგიანად წამართვეს შეიარაღებულებმა, თუმცა კარგა ხანს ვენინაალმდეგებოდი. ბოლოს, ნაცემ-ნაგვემი, ქვიშის ტომრებისაგან აშენებულ ბუნ-კერში შემაგდეს. რამდენიმე საათის შემდეგშემოდის შეიარაღებული კაცი და მეუბნება: „უფროსმა თქვა, თუ ველოსიპედს ბარგიანად დატოვებს, გავუშვებთო.“ მაშინვე გავიფიქრე: აქ რომ ვიჯდე, საქმეს თავისით არა ეშველება რა და, თუ გავალ, იქნებ სცილასაც და ქარიბდასაც – ორივეს და-ვალნიო თავი-თქო, ავდექი და დავთანხმდი...

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რასაც გადავიტანდი...

გავიცანი ბრიგადის გენერალი ქალბატონი...

როგორ და რანაირად გადავრჩი?

ველოსიპედისა და ბარგის ჩამორთმევის შემდეგ მოღაპარაკებები გავმართე სამხედროებთან. დავიბრუნე ჩემი ძვირფასი ავლა-დიდება. ღმერთი ჩემთან არს! დიდება მას!...

როგორ დასრულდა მოგზაურობა ლიბერიაში?... – პასუხი მომავალში გელით.

კოტ დ იუვარის რესპუბლიკა. განუყრელი ხიფათიანი გზები.

ხატპერიდან კოტ დ იუვარის მხარეს ქ. სან-პეტრაში გადავედი თუ არა, დაიწყო ჩემი წამება. გაუთავებელი წამებით, თითქოს, იმუნიტეტიც კი გამომიმუშავდა უამინდიობისადმი.ქ. პედრას გავლით, როგორც იქნა, ქ. აბიჯანში ჩავედი.იგი მნიშვნელობით მეორე ქალაქია რესპუბლიკაში და ერთ-ერთი უდიდესია მთელს აფრიკაში. 1986 წლამდე კოტ დ იუვარის დედაქალაქში აბიჯანი იყო, ხოლო შემდეგ დედაქალაქი იამუეკრო გახდა.ქალაქს საინტერესო ისტორია აქვს. მსოფლიოში ცნობილია ყველაზე დიდი კათოლიკური ტაძრით, რომელიც ვატიკანის წმინდა პეტრეს ტაძრის პროექტის მიხედვითა აგებული.ქვეყანა განსხვავდება მეზობელი სახელმწიფოებისაგან, რომელიც რელიეფით, ასევე ფლორითა და ფაუნით, საერთოდ, ბუნებრივი პირობებით... აქ მასპინძლობას იუნესკო მიწევდა. საინტერესოა კოტ დ იუვარის ეთნიკური შემადგენლობა... განათლების დონე, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც საკმაოდ დაბალია...

აბიჯანიდან გზას განას დედაქალაქ აკრასაკზე ვაგრძელებ.პატარა სოფელთან გზაზე ორი ახალგაზრდა გადამიდგა.მთხოვეს გავსაუბრებოდი. თხოვნა შევუსრულე. ისინი მეზობელი პატარა ქალაქის სკოლის პედაგოგები აღმოჩნდნენ.მოსწავლეებთან შეხვედრა და ღამის გასათვად სკოლაში დარჩენა შემომთავაზეს.დავთანხმდი, რადგანაც რამდენიმე კილომეტრიც შემდეგ მაინც უნდა მექებნა ღამის გასათვევი ადგილი და ისიც ღია ცის ქვეშ... მოსწავლეების ნაცვლად ვითომცდა ქალაქის ხელმძღვანელობას შემახვედრეს.შესახედაობით რუსებს მივამსგავსე და რუსულად დავუწყე საუბარი.ინგლისურად მიპასუხეს, რუსები არა ვართო.კარგა ხნის საუბრის შემდეგ, თითქმის, დავრწმუნდი, ადგილობრივი სპეციამსახურების ნარმომადგენლები რომ იყვნენ.მათი წასვლიდან რამდენიმე წუთში ვიღიაცამ დაფასოებული სადილი გამომიგზავნა.რატომდაც ეს ამბავი არ მექაშირება, მაგრამ ისე მშიოდა, მაინც მივირთვი, დილით თავი შეუძლოდ ვიგრძენი, მაგრამ ექვს საათზე მაინც გავუდექი გზას.მივდივარ უღრან ჯუნგლში.სიარული მიჭირს.თვალსაწიერზე არც უდაბნო ჩანს, არც ოაზისი.სხვა გზა არ მაქვს, როგორმე 60 კილომეტრზე ცოტათი მეტი უნდა გავიარო, რათა პატარა ქალაქში ჩავალწიო.თავს იმით ვიმსწევებ, რომ უფრო უარესი მომენტებიც მქონია.ბრძოლას არ ვწყვეტ.ასეთ ვითარებაში ხშირად გამიმარჯვია.ახლაც ხომ ესე იქნება? – ვეკითხები ჩემს თავს და თავადვე ვადასტურებ... აბა, რა!

ასეთი ფიქრებით მივაღწი პოლიციის შენობამდე. პოლიციელებმა სარეგისტრაციო წიგნში ჩანაწერები გააკეთეს.წასვლისას გავანდე, გუშინ ვახშმით მოვინამლე და ძალიან ცუდად ვარმეთქი.შემდეგ სასტუმროში მოვხვდი.ერთი დღე და ღამე ტუალეტის იატაკზე უგონოდ ვეგდე, როგორ მოვხვდი ადგილობრივ საავადმყოფოში, არაფერი მახსოვს. ვინ დაიწყო ბრძოლა ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად? ვის უნდა ვუმადლოდე?

აბიჯანიდან სპეციალისტები გამოიძახეს... რამდენიმე ხანი აგონიაში ვიყავი.ბოლოს ისევ აბიჯანში მოვხვდი.რისთვის მმჯურნალობდნენ მთელი თვის განმავლობაში ოთხვარსკვლავიან სასტუმროში და არა საავადმყოფოში? ორი ქალი განუწყვეტლივ დამტრიალებდა თავს.არ იშურებდნენ სახსრებს. ერთი თვის შემდეგ ქალი მომიგზავნეს, რომელიც ზანგების ანგელოზად შევრაცხე... რომ არა სიკეთე, სულს სადღაც გადასაკარგში, ყარიბობაში დავლევდი. არაფერს ვამბობ მრავალ წინა შემთხვევაზე, როდესაც სიკვდილისაგან სიკეთემ მიხსნა. ყოველი ასეთი შემთხვევის შემდეგ პირობებთან შესაბამისობაში ვგეგმავდი ჯანმრთელობისა და სპორტული ფორმის აღდგენის პროცესს...

განას რესპუბლიკის ორიგინალურ დედაქალაქ აკრაში საინტერესო გზებითა და ქალაქების გავლით ჩავედი. განაში სამხედრო დიქტატურაა. გზაზე გადატანილი რამდენიმე შემთხვევის თავის დროზე აღწერა, ვფიქრობ ინტერესს გამოიწვევს თქვენში...

ამ პატარა ქვეყანაში მრავალი წყალუხვი მდინარეა რომლის ენერგიას ოპტიმალურად იყენებენ განელები, რაც სასესხით აკმაყოფილებს სახელმწიფოს მოთხოვნებს ელექტროენერგიაზე. მიუხედავად იმისა, რომ 1000 სულ მოსახლეზე სიკვდილიანობა მაღალია, მოსახლეობის ზრდის თვალსაზრისით, ეს ქვეყანა მაინც ერთ-ერთი პირველია მთელ დასავლეთ აფრიკაში...

განას ტერიტორიაზე ადრე რამდენიმე სახელმწიფო არსებობდა... რის გამო დაერქვა თავდაპირველად განას „ოქროს ნაპირი”? ბევრ სახელმწიფოს თავისი საკუთარი პორტი აქვს განაში. ქვეყნის ტერიტორიის ორი მესამედი სავანებს უკავია. დარჩენილი 1/3 კი უსიერი ჯუნგლია, თუმცა ეს სულაც არ არის ფლორითა და ფაუნით სიმდიდრის პირობა. ქვეყანაში ძლიერი სოფლის მუზრნეობა და სწრაფად განვითარებადი მრეწველობა. საინტერესოა მისი ისტორია, ეთნიკური შემადგენლობა, რელიგია, ეკონომიკა, პოლიტიკური სისტემა... მთელი 6 წლიანი მოგზაურობის პერიოდში პირველად აქ დავთვერი!... მერე რატომ, ვისთან და რისთვის? – ეს საინტერესო ისტორიაა...

განას რესპუბლიკა არ გამოირჩევა ისტორიული ძეგლებით, მაგრამ მისი ორი ისტორიული ძეგლი მაინცაა შესული იუნესკოს დასაცავ ძეგლთა კატალოგში...

რეზიუმეში ავლიშნავ: განაში ჩემი ყოფნის ყოველი დღის ჩანაწერი საინტერესო ინფორმაციის შემცველი იქნება...

ვმოგზაურობ ტოგოსა და ბენინის რესპუბლიკაში. მათი დედაქალაქები – ლომეც და პორტონვაც ერთმანეთის მსგავსი ქალაქებია. მსგავს ქვეყნებში მსგავსი ისტორიებიც გადამხდა... ფაუნის თვალსაზრისით ორივე სახელმწიფო ერთნაირია და მდიდარი. სახელმწიფოების დიდი ნაწილი ტროპიკულ ჯუნგლებსა და სავანებს უჭირავთ. მდინარეები წყალუხვია, რაც წვიმიანი პერიოდების დიდი სიხშირითაა გამოწვეული. ამან, სხვა ფაქტორებთან შერწყმით, ამ ქვეყნების განსაკურებული კლიმატი შექმნა. ისტორიული ძეგლებით არცერთი სახელმწიფო არ გამოირჩევა, მაგრამ ორივე მათგანი საინტერესოა ნაციონალური შემადგენლობის თვალთახედვით. თითქოსდა, მარტივ ქვეყნებში მოგზაურობაც მარტივი უნდა ყოფილიყო!

ნარმოიდგინეთ, ეს ასე არ აღმოჩნდა... ნიგერის ფედერაციული რესპუბლიკის, ქალაქ ლაგოსში შესვლისთანავე მუზეუმში ვხვდები, სადაც მორიგი საინტერესო ისტორია მელის...

ნიგერია ყველაზე ხალხმრავალი სახელმწიფოა აფრიკაში... მისმა ბუნებრივმა პირობებმა იგი ფაუნით მდიდარ სახელმწიფოთა სიაშიც შეიყვანა... პარადოქსია – შესანიშნავი ბუნებრივი პირობებისა და მადნეულით მდიდარი ქვეყანა ერთ-ერთი უღარიშესია მთელ კონტინენტზე. ეს გასაკვირი ამბავია, თუმცა ფაქტია. მოსახლეობის გამრავლებით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს აფრიკაში... სამწუხაროდ, სიკვდილიანობითაც ერთ-ერთია.

მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის თვალსაზრისით ჩვეულებრივი აფრიკული დონისაა... გამოირჩევა ეთნიკური შემადგენლობის მრავალფეროვნებით. სპორტის სახეობებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოში – უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთით და შემდეგ კრივით... ქვეყანას აქვს შესანისავი უნივერსიტეტები და სტადიონები დედაქალაქ აბეჟასა და ქალაქ ლაგოსში. ლაგოსი ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია არამარტო აფრიკის კონტინენტზე, არამედ მთელს მსოფლიოშიც..

ნიგერიელებს საინტერესო ტრადიციები, და ნაციონალური მუზეუმები აქვთ ლაგოსსა და სხვა ქალაქებში. ბოლო წლებიში ნიგერიელები სახელმწიფოში აბრუნებენ მსოფლიოში მიმოფანტულ საგანძურს — ხელოვნების ნიმუშებს. სამწუხაროდ, აქაც არ ცხრება ოქები და ხშირია სამხედრო გადატრიალებები, რაც ამუხრუჭებს ქვეყნის აღმასვლას. ყურადსალებია, თუ სად ვცხოვრობდი ლაგოსსა და აბეჟაში და რა თავგადასავლები გადამხდა...

ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მაღლის რესპუბლიკაში ჩემი ჩასვლის ისტორიაც თავისებურად მიმზიდველია. მალიმი ჩემი თავგადასავალი ერთ მოგზაურობად ლირს... ამ ქვეყანაში გაცნობილი ფრანგების ერთ ჯგუფთან მეგობრობა დღესაც გრძელდება, მაგრამ მქონია ისეთი შეხვედრებიც, რომლებიც იქვე დასრულებლა. მაღლის განსაკუთრებლი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს... მალიში სიბრმავის პანდემიაა. აქ, მიზეზთა და მიზეზთა გამო, იოლად ბრმავდება კაცი. როგორ გადავურჩი დაბრმავებას თავად?.. ოდენ აბუეტობისგან ჩემი გადარჩენის გამოც შეიძლება მალიში ჩემი „ექსპედიცია“ საინტერესოდ ჩაითვალოს, რადგან მკითხველს, რომელსაც მომავალში მოუწევს მბალიში მოგზაურობა, გასათვალისწინებელი ექნება ჩემი რჩევები.



ხელს, რომელსაც მომავალში მოუწევს მბალიში მოგზაურობა, გასათვალისწინებელი ექნება ჩემი რჩევები.

ურთულესი გზით და უმძიმეს კლიმატურ პირობებში ჩავედი ბურკინა-ფასოს დედაქალაქ ვაგა-დუგუში. გზა გამირთულა იმანაც, რომ ველოსიპედის კბილანები გაცვდა და ჯაჭვი ხშირად სრიალებდა. ამ ქვეყანაში მთის ველოსიპედის არცერთი ნაწილი არ იყიდება. როგორ გამომიყვანა მდგომარეობიდან ფედამწვარმა ვირმა?..

ჯუნგლებში სხვადასხვა ტომები ცხოვრობენ. ერთ-ერთი ტომიდან ზანგმა ქალმა სასმელი წყალი მთხოვა, ორი წლის შვილისთვის მინდაო. ბოთლი მთლიანად მივეცი, მე კი უწყლოდ დავრჩი.

ბურკინა-ფასო გამოირჩევა ლოკალური კლიმატით, რადგანაც მის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებს ძალიან განსხვავებული გეოგრაფია აქვთ. ჩრდილოეთით უდაბნოა, სამხრეთით კი – სავანები. ასეთი ბუნების გამო განსხვავებულია ფლორაც და ფაუნაც...

ქალაქის დიდი მანძილებით დაშორებისა და აუტანელი ბუნებრივი პირობების გამო მოგზაურს ურთულესი ექსტრემალური პირობები ექმნება, ამიტომ ხშირად მრავალრუცნობიანი განტოლების ამოხსნა მიხდებოდა... უცნაური ქალაქია უაგადუგუ. ნარმოიდგინეთ ასეთი რამ: ქვეყანა ულარი-ბესია, განათლების დონე — დაბალი, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — მოკლე! და... ასეთი ქვეყნის დედაქალაქში მეთხუთმეტე საუკუნეში დაარსებული უნივერსიტეტი! ხომ პარადოქსია?.. მინდა დავამატო, რომ ქვეყანაში განუვითარებელია სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, რაც მიუთითებს სახელმწიფოში მოსახლეობის დაბალ სოციალურ დონეზე. ამგვარი პირობებისა მიუხედავად, მოსახლეობის გამრავლების თვალსაზრისით, ბურკინა-ფასო ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ქვეყანაა აფრიკის ტერიტორიაზე... ეს სახელმწიფო ყურადღებას იქცევს მოსახლეობისა და რელიგიურ მიმართულებათა ნაირგვარობით.

ბურკინა-ფასოდან ნიგერიის რესპუბლიკისაკენ, მაღლი ტემპერატურებისა და ტენიანობის გამო, ძნელი გზა მედო... ნიგერიის ტერიტორიაზე კი იგი უფრო გამირთულდა, რადგანაც კლიმატი აქ ტროპიკული და უდაბნოსეულია, ხოლო სამხრეთით — სუბეკვატორული. ქვეყანა რელიეფურად ერთ-ერთი ყველაზე უსწორმასიწოროა... ამ ქვეყანაში ჩემი თავგადასავალი საინტერესო იმანაც გახადა, რომ ხშირად მიწევდა ველოსიპედის მხრებზე აკიდებული, ან მიწოლით ტარებაც. ამან ძალიან დამღალა... საინტერესო შეხვედრები მელოდა დედაქალაქ ნიამეიში, როგორც სახელმწიფო, ასევე დედაქალაქიც, რთულად ასათვისებელი და დასაძლევი აღმოჩნდა, ამიტომ,

კითხვის ნიშნებით რომ არ გადაგლალოთ, სჯობს, ნიგერში ჩემი მოგზაურობის შესახებ სრულ დღიურებს დაელოდოთ.

ჩადის რესპუბლიკაში სიარული სულ ქვიშიანი გზებით მომინია. გზების სირთულემ და საჰა-რის უდაბნოს სიცხეებმა უარყოფითად იმოქმედა ჩემს ენერგიულობასა და გამძლეობაზე. ვცდი-ლობ, ამ პრობლემებზე არ ვიფიქრო და მთელი ყურადღება სხვა მთავარ პრობლემაზე — დედა-ქალაქ ნჯამენაში ჩაღწევაზე გადავიტანო. ქალაქი მომენტია — რა თქმა უნდა, აფრიკის დონეზე. იქნებ სხვა რამის გამოც?.. ჩაი ვულკანური კრატერებითა და ცვალებადი ლანდშაფტის ზონები-თაა ცნობილი. ქვეყანაში განვითარებულია სოფლის მეურნეობა, რასაც დიდად უწყობს ხელს მდინარეები — შარი და ლოგონე, ასევე ჩადის ტბაც. ეს ჰიდროელექტროსადასტური ერთიანობაში მძლავრ სარწყავ სისტემას ქმნიან. ისინი ნავიგაციისთვისაც გამოიყენება...


მოსაყოლი ჩემს შეხვედრებზე, განცდილისა გადატანილზე, ასევე ჩადის საინტერესო ისტორი-აზე, ბუნებაზე, ხალხზე, კულტურაზე, განათლებასა და არქიტექტურაზე — მართლაც ბევრი მაქვს.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 1999 წლის 27 ოქტომბერს ჩავდივარ. ენჯამენადან ბანგიდე 1200 კმ-იანი სიგრძის გზა რთული და საინტერესო თავგადასავლებით გავიარე... ამ ქვეყანაში ლომები ცოტანი არიან, მაგრამ გზაზე ხშირი ფირნიშები მძლოლებს აფრთხილებს: „ფრთხილად, გზაზე ლომებია!“

ბანგიში თითქმის ერთი თვე დავყავი, რადგანაც ზედიზედ ორჯერ მომწამლეს საჭმლით. ერთ შემთხვევაში — სომეხმა მფრინავებმა. ვინ იყვნენ ისინი და რატომ ჩაიდინეს ეს?.. იქნებ ეს მზა-რეულთა ნახელავი იყო?.. არა!.. რატომ არ წამიყვანეს საავადმყოფოში?.. რატომ დამაყენეს თავ-ზე რუსეთის ფედერაციის საელჩოს ექიმი? რისთვის მომაკითხეს სასტუმროში სამჯერ, გინდა თუ არა, ერთად ვივახშმოთო? თითქოს ვგრძნობდი, რაღაცას მიპირებდნენ და სამივეჯერ უარით გა-ვისტუმრე აბეზარი მთხოვნელები. მე-ორე დილით, გასვლას რომ ვაპირებ-დი, ისევ მომინდა ბრძოლა სიცოც-ხლის გადასარჩენად...

ყოველივე ამის შესახებ მინდა წა-იკითხოთ ჩემი დღიურები და დას-კვნაც ერთად გავაკეთოთ  
ბანგიდან კამერუნის რესპუბლიკის დედაქალაქ იაუნდეში, შემდეგ ესეკში და დუალაში ჩავდივარ.

კამერუნი ეთნიკური ჯგუფების ნაირგავრობითა და სახელმწიფოში სასაუბრო ენათა სიჭრელით გამოირ-ჩევა მსოფლიოში. ის მთელ კონტი-ნენტზე ერთ-ერთი ყველაზე ნესტიანი და წვიმიანი ქვეყანაა. ნალექების სა-შუალო წლიური რაოდენობა 1000 მმ-



მდეა. ქალაქი იაუნდე არამხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკური დედაქალაქია, არამედ ეკონომიკის, განათლებისა და კულტურის ცენტრსაც წარმოადგენს...

მრავალფეროვანია ქვეყნის რელიგიური შემადგენლობაც...

დუალაში მნიშვნელოვან შეხვედრებთან ერთად უჩვეულო თავგადასავლებიც მქონდა... აქ გავიცანი და დავუახლოედი ერთ-ერთი გემის მფლობელს, რომელმაც გემზე ლამის გათევის უფლება მომცა, სანამ ღუზას არ აუშვებდა და გეზს ეკვატორული გვინეის დედაქალაქ მალაბოსკენ არ აიღებდა. იქ რამდენიმე დღით შეჩერდებოდა და სან-ტომე და პრინციპეს დემოკრატიულ რესპუბლიკისკენ გაცურავდა. ურია წყალს მიჰქონდა და გზაც იქით ჰქონდაო, — სწორედ ამ ქვეყანისკენ ვაპირებდი მოგზაურობას. შევთანხმდით, რომ სან-ტომე და პრინციპეში ერთიანად გადავუხდიდი მგზავრობის თანხას. დავიწყე მეზღვაურის ცხოვრებით დღეების გაყვანა... დაულაში გატარებულლი დღეებიც დასამახსოვრებელია...

პირობის თანახმად, დაულაში ოთხი დღის ყოფნის შემეგ, გემით კუნძულ ბიოკოზე, ქალაქ მალაბოში — ეკვატორული გვინეის დედაქალაქში გადავედი. გემზე გაცნობილი 18 წლის ზანგის გოგო შემდეგ სასტუმროში მეწვია... აქ რამდენიმე დღე დავყავი. მერე კონტინენტური ეკვატორული გვინეის ქალაქ ბატაში ჩავედი. აქ გავიარე ათდღიანი საგანგებო ვარჯიშების ციკლი, რაც შემდგომში გაბონისა და კონგო ბრაზავილის ურთულესი გზების დაძლევაში დამეხმარა... ამ ქვეყანაში არსებულ რეჟიმისა და რთული პოლიტიკური ვითარების გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი ემიგრაციაშია წასული. ბატადან კუნძულ ბიოკოზე, ქ. მალაბოში ვპრუნდები, საიდანაც სან-ტომე და პრინციპეს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მივემგზავრები.

ეკვატორული გვინეის ქალაქ ბატაში ნორმალურად ჩავფრინდი. არ გაიკვირვოთ, თუ რისთვის ვიყენებ სიტყვას „ნორმალურად“... პასუხს ამის თაობაზე მომავალში მიიღებთ...

მანძილი ლიბრევილამდე არცთუ მცირეა და ადვილად დასაძლევი. ამიტომ, ყოველი დღის მარშრუტს, სერიოზული ანალიზი სჭირდება. ახალმა გეგმამ გაამართლა. ურთულესი ბუნებრივი პირობებისა და ძნელად დასაძლევი გზების მიუხედავად, უვნებლად ვალწევ გაბონის რესპუბლიკის დედაქალაქ ლიბრევილს...

კუნძულოვან სახელმწიფო სან-ტომე და პრინციპეში ჩემი ოთხდღიანი მოგზაურობა საინტერესოდ წარიმართა. აფრიკის ქვეყნებს შორის იგი ყველაზე პატარა სახელმწიფოა. ამ ჯუჯა ქვეყანამ XV საუკუნიდან, — დღიდან მისი სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა, — მუდმივ განმათავისუფლებელ ბრძოლებში გაატარა ცხოვრება! მხოლოდ 1975 წელს მიაღწია საუკუნოვან საწადელს — მშვიდობიან ცხოვრებას. კუნძულ სან-ტომე და პრინციპეს მოსახლეობა განსაკუთრებით დაუმორჩილებელი იყო. ამ თვალწარმტაც კუნძულზე მომხიბვლელია თვით დედაქალაქი სან-ტომე და ბევრი სხვა რამ...

კარგა ხას მომიწია გემზე ცხოვრება და მოგზაურობა. გემის მფლობელმა, როდესაც ანგარიშის გასასწორებლად მივედი, მითხრა: შენ ჩვეულებრივი ადამიანი არ ყოფილხარ, ფულს როგორ გამოგართმევო, თანაც დაუმატა: თუ რამეთი შემიძლია დახმარება, მითხარი და უკან არ დავიხევო. „არც თქვენ ყოფილხართ ჩვეულებრივი ადამიანი, რადგან სიკეთის დაფასებაც გცოდნიათ, რაც, სამწუხაროდ, იშვიათი თვისება გახლავთ! ყველაფრისათვის მადლობელი ვარ. ამაგს კი არა-სოდეს დავივინებდ!“ — ვუთხარი და მხარზე ხელი მეგობრულად დავკარი. გემიდან ველოსიპედი ჩამოვიტანე, მაგრამ ფეხი არსად გამიდგამს. მხოლოდ მაშინ დავტოვე პორტი, როცა გემმა გასვლის ნიშანი მისცა. კაპიტანს ვეღარ ვხედავდი, მაგრამ დამშვიდობების ნიშნად მაინც ავუწიე ხელი და ჩუმად, გულში, ზურგის ქარი ვუსურვე ოკეანის უსასრულლობის მინდობის. ამის შემდეგ ავმხედრდი ჩემს „მერანზე“ და გადასალამებლის საძებრად გავეშურე...

იცით, რა ძნელია შეჩვეული გარემოს, პირობების, წრის და სიტუაციის უეცრად გაქრობა? რა მძიმე წარმოსადგენია, სიცოხლეში ეს ყველაფერი აღარასოდეს რომ არ განმეორდება და ისე გაქრობა, როგორც უდაბნოს ქვიშაზე დაცემული ბედუინის ჩრდილი აფრიკის უფსკერო, ლამეული ცისქვეშ. მერე მთელი გზა, მთელი სიცოცხლეც კი, ყოველივე ეს მოუშუშებელ ნოსტალგიად, სევდისა და მელანქოლის უსალბუნო ტკივილად გაგვყვება და ყოველი გახსენებისას სახიერად გამოგვეხატება სადღაც, უმისამართო სიცარიელეს მიჩერებულ თვალთა მინებზე. სწორედ მაშინ გამჩნევენ ირგვლივ მოფუსფუსე ადამინაები კაეშანს და რატომღაც მთელ ამ ნალველს უსაგნო სევდას დარქმევენ ხოლმე.



ხშირად ვამბობთ ქართველები: ფული ხელის ჭუჭყიაო. ეს რომ ბილ გეითსთან, კოისაკისთან, ან ვინმე დორანში ჩაგარდნილ ადამიანთან ხმამაღლა განაცხადო, სამყაროდამსხვრეულად ჩაგთვალონ იქნებ... იქნებ, მართლაც ჰქონდეს ფულს უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა? მითუმეტეს, იმ მოგზაურისათვის, მარად უცხო ცის ქვეშ რომ უნდეს გათენება. მხოლოდ ველოსიპედის ორ სატერფულს რომ დაყრდნობია და უპოვარის ფუთით უსაშველო გზებს რომ დადგომია ყარიბად? ... იქნებ, მაგრამ .... იმ მომენტში ჩემგან ფულის არ აღება ოდენ ეკონომიკური ხელის გამართვად არ ჩამითვლია. იგი სხვა იყო... სულ სხვა, სხვა შრების ფასეულობა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონია მატერიალურობასთან. ვინ იცის, მავანი და მავანი როგორ შეაფასებს ამას, მაგრამ მე ამ ფაქტს ყოველგვარი პრაგმატულობის მიღმა ვაყენებ და წმინდა ეთიკის სფეროში გადამაქვს...

მოკლედ, ამ საკითხს კვლავ მივუბრუნდებით საჭირო ადგილას და საჭირო დროს. ახლა კი... გზა!


ვინაიდან საავადმყოფოში ჩემი მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა, ექიმმა მარტინმა ერთი კვირის შემდეგ საავადმყოფოდან სახლში გადამიყვნა და ერთი თვე შინ მკურნალობდა. ალვიდგინე ჯანმრთელობა... ვერ მკლავენ, რადგანაც ლმერთი ჩემთან არს!

ალბათ, იკითხავთ: რა გახდა ამ კაცის თავიდან მომორებაო. იქნება ამაში ჩემი მართებული რეაგირებები უშლიდათ ხელს? მე ხომ ყოველი ასეთი შემთხვევის შემდეგ მომხდარზე საქმის კურსში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ვაყენებდი?!

ნამიბიის რესპუბლიკიდან სამხეთ აფრიკის რესპუბლიკაში გავემგზავრე. შესანიშნავი ტრანსაფრიკული გზა კალაპარისა და ნამიბიის უდაბნოებზე გადის. პაპანაქება, ხენეში სიცხე, ხვატი, უკიდეგანო ბაითალმანობა – ალბათ, ამ დიდ მანძილზე დაუსახლებელ ადგილებში არასოდეს დაუდგამს ფეხი უფალს... ყოველწლიურად მინევს გზის უგრძესი მონაკვეთების გავლა.

როგორ ვიტანდი?

მდინარე... ნარინჯისფერი ხიდით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გადავდივარ, ვინდჰუკი-დან კეიპტაუნამდე დაახლოებით 1600 კმე-ზე მეტი გავიარე. მთელ ამ გზაზე 11-12 დღის განავლაში თანხვედრი მიმართულებით მისწრებდნენ მსუბუქი მანქანები, რომლებზეც ორი-სამი ველოსიპედი დაემაგრებინათ, სად მიდიოდნენ?..



სამჯერ გავედი სხვადასხვა ქვეყანაში სამოგზაუროდ და დავბრუნდი უკან. თვით იოჰანესბურგში 45 დღე დავყავი უწყვეტად. თუ რისთვის, ამას ამ ქვეყნისადმი მიძღვნილ წიგნში წაიკითხავთ.

საინტერესოა, თუ რა პირობებში მომწამლეს ქართულ ოჯახში. ამას ასე დაზუსტებით შექმნილი სიტუაციის მრავალგზის ანალიზის საფუძველზე ვამბობ. უინტერესო როდია სამხრეთ აფრიკელის ფერმაში ცხოვრებაც. იოჰანესბურგში ჩემი ყოფნის დროს, თითქმის მთელი 45 დღის განმავლობაში, ფიტნეს კლუბში ევროპის ექვსგზის ჩემპიონთან, „მისტერ უნივერსუმის“ კონკურსში გამარჯვებულთან ერთად ვივარჯიშე.

ვინ დაინტერესდა ჩემი სპორტული ვარჯიშების ჩაშლით და როგორ მოახერხეს ეს?

საინტერესოა, როგორ მოვიპოვე ბრილიანტების შემცველი 3 ვედრო მადანი?..

მრავალი სახიფათო ადგილის გავლა მომინია, მოვყევი ბუნებრივ კატაკლიზმებშიც... საყურადღებო, ზღვა ინფორმაცია დამიგროვდა, რასაც, იმედია, მკითხველი სიამოვნებით წაიკითხავს...

ლესოტოს სამეფო. ეს ციცქა ქვეყანა ცნობილია მთიანი რელიეფით, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტორსადგურით და ... დიდებული უნივერსიტეტით, სადაც შეხვედრაც კი მომინყეს. ამ სამეფოში ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური ძალა კომუნისტური პარტიაა, დედაქალაქი მასერე ბევრი რამითაა მიმზიდველი...

ურთულესი გზები ბოცვანის რესპუბლიკაში. იგი აფრიკის ტერიტორიაზე ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი სახელმწიფოა. ერთ სულ მოსახლეზე ამ ქვეყანაში საერთო ნაციონალური პროდუქტი უფრო მეტი მოდის, ვიდრე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში... თუ როგორ მიაღწიეს ასეთ წარმატებებს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ამას მომავალში გაიმბობთ.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა განსხვავებულია მსოფლიოს ყველა სხვა სახელმწიფოსაგან. ალბათ საინტერესოა – რით?.. ქვეყანა ძალიან თავისებური რელიეფისაა. უმდიდრესია ფლორითა და ფაუნით. ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანაა უნივერსიტეტების პროფესიული და სტუდენტთა მომზადების მაღალი დონით... კდიევ სხვა რამებითაც! ... მისმა მდებარეობამ განსაზღვრა ჩემი არჩევანი – აქ გამემართა მოგზაურობების ორბიტული ცენტრი. ამ ე. წ. ცენტრიდან

გავიარე აპაპარის უდაბნო და სავანები, სადაც 22000 სპილო, 2000-ზე მეტი ლომი და სხვა მრავალი მტაცებელი ბინადრობს. დავუახლოვდი ბევრ საინტერესო პიროვნებას.... დედაქალაქი გაბორონე არა მარტო ადმინისტრაციული არამედ ეკონომიური, კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრია.



კლასიციზმი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი – მოდერნიზმი დამკვიდრდდა.

XX საუკუნის შუა პერიოდიდან, მადრიდის რეკონსტრუქციის დროს, მშენებლობაში აქცენტირებულია ბეტონისა და მინის გამოყენება. აგებენ ცათამბჯენებს.

ყოველივე ამაზე პასუხს გაგცემთ ესპანეთის შესახებ გამოცემული ტომით. მადრიდი ცნობილია 100-ზე მეტი მუზეუმითა და გალერეით, თუმცა, მადრიდის სავიზიტო ბარათად მაინც პრადო ითვლება, სადაც ბოტიჩელის, რაფაელის, ტიციანის, ბოსხის, ბრეიელის, გოიას, რემბრანდტის, ელ-გრეკოს, რუბენსის, დიურერის, ველასკების, კარავაჯიოსა თუ სხვათა ხელოუემნელი ტილოები ინახება – შეუფასებელი ფერწერული შედევრები! მადრიდი ცნობნილია თავისი უნივერსიტეტებითაც...

ჩემი აზრით, პრადოსთან ერთად, ქალაქის სავიზიტო ბარათი მადრიდის „რეალიცაა“.

მადრიდი ერთი მთლიანი მუზეუმია!..

ერთობ დაძაბული გზა იყო პორტუგალიამდე. მდინარე ტახოს ხეობა ნებისმიერ მხილველს ისე მოხიბლავს, როგორც თავად ამ სტრიქონები ავტორი მოხიბლა.

პორტუგალიის რესპუბლიკასთან შეხვედრას განსაკუთრებულად ველოდი, რადგანაც ეს ქვეყანა დიდი მოგზაურობისა და ფეხბურთელების სამშობლოა.

დიდი იმედით ვენვიე დედაქალაქ ლისაბონს. ეს ქალაქი იბერიული ტომების – ლუზიტანების მთავარი განსახლების ადგილია. ქალაქი ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდ.ტეჟუს (ტახო)

ზიმბაბვეს რესპუბლიკა...

ბულავაიო-ლიგინგსტონის გზაზე აფთრების თავდას-ხმის მცდელობა...

ფანტასტიკური ჩანჩქერი ვიქტორია...

შესვედრა მუგაბეს მომხრეებთან...

სამწუხაროდ, შევესწარი აშენებული სახელმწიფოს ია-ვარქმნას...

შესანიშნავი ხარარე და სხვა დასამახსოვრებელი შეხ-ვედრები...

ლიგინგსტონის ხიდით ზიმბაბვეს რესპუბლიკადან ზამბიაში გადავდივარ. ვიქტორიას ჩანჩქერი აქეთა მხრი-დანაც ფანტასტიკურია. მდინარე ზამბეზი... ურთულესი გზა ლუსაკასაკენ...

წარმოუდგენელი სილარიბე. გადავურჩი დახრჩობას... ამ ქვენის ერთ-ერთი ძირითადი პარტია „დღის უწყება ზიმბაბვესათვის“. ყურადღებას იპყრობს დედაქალაქი ლუსაკა... ზიმბაბველთა კულინარია არა მხოლოდ გურმანებს, არამედ ყველა მკითხველს დააინტერესებს.

მოზამბიკის რესპუბლიკაში, ქ. ბეირაში ჩავედი. სად მოვეწყვე, იცი? ალბათ, არა? შესაძლოა თქვათ; რაში გვა-ინტერესებს. არადა, უდავოდ საინტერესოა...

XVIII-XIX საუკუნეთა მადრიდის არქიტექტურაში

შესართავში მდებარეობს. სახელმწიფო დაპყრობილი ჰქონდათ რომაელებსაც და არაბებსაც. იგი ესპანეთის იმპერიაშიც შედიოდა. ლისაბონი 1755 წლის მიწისძვრამ მთლიანად დაანგრია. შემდეგ – ნაპოლეონი და ფრანგული ოკუპაციის ხანა. 1926-1947 წლებში პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმი მდვინვარებს. შემდეგ აქ თავისუფლების სიომ დაბერა და პორტუგალია მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე, ევროპული დონის სახელმწიფოდ იქცა. პორტუგალიის ცნობილი მოგზაურები არიან ვასკო და გამა, რომელმაც XV საუკუნეში პირველმა შემოუარა დედამიწას. პორტუგალიის ცნობილი სახეა, აგრეთვე, ფეხბურთელი ეუსებიო. სწორედ აქ მქონდა ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრა 50-იანი წლების საუკეთესო ფეხბურთელთან, მოზამბიკის პანტერად წოდებულ ეუსებიოსთან, რომელმაც ლისაბონის „ბენფიკას“ ვარჯიშზეც და თამაშზეც მიმიწვია. თუ როგორ გავატარე მასთან სტუმრობის სამი დღე, წაიკითხავთ წიგნში, რომელიც მიეძღვნება პირენეს ნახევარ-კუნძულზე ჩემს მოგზაურობას.

ლისაბონმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. აღმაფრთოვანებელია პორტუგალიელთა ტრადიციები...

პორტულაგიის ჩრდილოეთ საზღვრამდე რამდენიმე ქალაქი გავიარე. ჩრდილოეთით, ესპანეთის საზღვართან, ავარიაში მოვყევი. გავიტეხე თავი და სამი ნეკნი, დამემტვრა ველოსიპედიც... მკითხველს, ალბათ, აინტერესებს, თუ ვინ იყო დამნაშავე. ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია, როდესაც დაწვრილებით გაეცნობით ამ შემთხვევასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

შემდეგ ისევ ესპანეთი, მაგრამ, ამჯერად, მისი ჩრდილო ნაწილი. ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთისა და ბისკაის ყურის სანაპიროებით გავიარე ქალაქები: ვიგო, კომპოსტელა, ლა-კორუნია, ავილასი, ბარაკალდო, ბილბაო, სან-სებასტიანი და სხვ. განსაკუთრებულად მოვიარე ბასკეთი. დავესწარი ბასკურ დღესასწაულებსაც.

ბასკეთი!.. – ესპანეთის „აქილევსის ქუსლი“!

ბასკები!.. – უნამუნო... ეტა...

ბასკეთი!.. – ეს განსაკუთრებული და ფრიად სათუთი თემაა!.. საფრანგეთის რესპუბლიკისკენ მიმავალმა წარმოვიდგინე ამ ქვეყნის რთული ადმინისტრაციული დაყოფა... პირინეის მთების გადაკვეთით საფრანგეთის რესპუბლიკის მეღვინეობის დეპარტამენტის დედაქალაქ ბორდოში ჩავდივარ... აქედან ნაწილი, შემდეგ ანუესში, ლე-მანში, შარტრში და ვერსალის გავლით, – პარიზში... მოსაწონია ქალაქის მართვის სისტემა...

1999 წლის ახალი წელი პარიზში – დედამიწის ჭიპზე გავატარე...

საქართველოს საელჩომ პარიზში ოთახი გამომიყო, რითაც უხერხული მდგომარეობიდან გამომიყვანა... საინტერესო ისტორიით მოვხვდი საცხოვრებლად ალჟირელებთან... შემდეგ მონმარტრი, ელისეს მინდვრები,

ლუვრი, ლუქსემბურგის ბალები, ეიფელის კოშკი, ნოტრ დამ დე პარი... მოულოდნელი და უცნაური შეხვედრა ლევილში... ისევ ბატონი კახი ასათიანისა და ამირან აბესაძის დახმარებით ჩამოდის ჩემი უფროსი ქალიშვილი მაია და მისი მეუღლე – ვახტანგი. 15 დღე ერთად ვეცნობით პარიზს...



მინდა შევეხო „იუნესკო“-ში საქართველოს ყოფილი ელჩის, ქალბატონ ნათელა ლალიძის ჩემს მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების ფაქტს, რამაც მოგზაურობის პროცესში არც თუ უმნიშვნელო როლი შეასრულად...

დაუვიწყარია „იუნესკოს“ გენერალური დირექტორის, ფედერიკო მაიორის მიერ ჩემთვის მსოფლიო მოქალაქისა და სპორტსმენის დიპლომის გადმოცემის ცერემონია... მქონდა პრეს-კონფერენცია უურნალისტებთან... ნავიკითხე ლექცია საქართველოს საელჩოში და შევხვდი საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან.

საინტერესოა, თუ როგორ მიპოვნა ეგვიპტეში გაცნობილმა ფრანგმა ქალბატონმა. ოჯახში მიწვევისას კი მეუღლეს მოაყოლა, თუ როგორ ასრულებდა იგი ეგვიპტეში ჩემთან დადებულ პირობას...

დაუვიწყარია პარიზში ჩემს უფროს ქალიშვილთან, მაიასთან გატარებული დღეები!.. მაიას თბილისში გაცილების შემდეგ გზა ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოსაკენ გავაგრძელე... წარმოიდგინეთ ლუქსემბურგი, სამეცნიერო დაწესებულებები, განათლების სისტემა, მუზეუმები, თეატრები, არქიტექტურული ძეგლები, პარკები... ეს კოპნია ქალაქი-სახელმწიფო ჩართულია ევროკავშირის მმართველობით რგოლშიც... ისევ საფრანგეთი!.. დიდებული ლიონი, გრენობლი და...

შვეიცარიის კონფედერაციაში მოგზაურობას უენევიდან ვიწყებ. იგი ულამაზეს ხეობაში, უენევის ტბის სანაპიროზე მდებარეობს. შვეიცარია 20 სრული და 6 არასრული ადმინისტრაციული ერთეულისაგან შედგება. აქედანაც ჩანს, რომ მას აქვს მმართველობის თავისებური წესი... კონფედერაცია საქართველოზე თითქმის ორჯერ ნაკლები ფართობისაა, რომლის 2/3 იურისა და ალპების მთებს, ხოლო 1/3 მდინარე რეინის დაბლობს და ზეგანს უკავია. საქართველოზე თითქმის ორჯერ ნაკლები ტერიტორიის მქონე კონფედერაცია მოსახლეობით დაახლოებით ორჯერ აღემატება საქართველოსას. მოსახლეობა შემადგენლობით საინტერესო და მრავალფეროვანია... მრავალფეროვანია რელიგიაც. კონფედერაციას მეტად ორგანიზებული, მაღალი დონის მმართველობა აქვს. სამაგალითოა მისი სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, ამიტომ იგი უმაღლეს დონემდე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. რაც შეეხება ქალაქ უენევას, ...გარდა მისი კლასიკური და ისტორიული მნიშვნელობისა, მისი როლი უდიდესია მსოფლიოში ბირთვული ფიზიკის განვითარების საქმეში, ე.ი. მეცნიერებაში, უმაღლესი დონის ზუსტ მანქანათმშენებლობასა და ხელსაწყოთმშენებლობაში.... შეიძლება მსოფლიოში მწერალთა გრანდების ერთ-ერთ უპირველეს ქალაქადაც ჩაითვალოს... ამ ქალაქში შესანიშნავი შეხვედრები და ექსკურსიები მქონდა.

ბევრი მაქვს მოსაყოლი უენევაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლების შესახებ, მათ მიერ ჩემდასამი გამოხტულ გულისხმიერებაზე. მათ შორის გამოყენებული ელჩის, ბატონ ამირან კავაძეს, ატაშეს – ბატონ ავთანდილ ბაქრაძეს და კონსულს – ქალბატონ ხათუნა ჯანჯალიას, რომლებმაც არამარტო ძვირფასი დრო დამითმეს, არამედ მოგზაურობის სათანადო დონეზე გაგრძელების ბევრი საკითხის გადაწყვეტაშიც დამეხმარენ...



გაგრძელება იქნება



როგორ დავაძისრებოთ ნაცლენები სიბერე

**პუმპერ ლეჟავას**

„პანართალობის ფორმულა“



**გეთოლივა**

## რამდენიმე სიტყვა ავტორზე

ჯუმბერ ლეჟავა დაიბადა 1939 წლის 23 ივლისს ქ. თბილისში, იურისტების, დავით (ალექსანდრე) ლეჟავასა და ეკატერინე კალანდაძის ოჯახში. 1942 წელს გარდაეცვალა მამა და ბავშვობა ომის მძიმე პირობებში გაატარა.

სწავლობდა თბილისის რკინიგზის მე-4 საშუალო სკოლაში. მისი დამთავრების შემდეგ დედა გარდაეცვალა.

სკოლა დაამთავრა ვერცხლის მედალზე და ჩაირიცხა მოსკოვის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში.

1962 წელს დაბრუნდა თბილისში. სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე.

1964 წელს დაქორწინდა ლიანა ალიბეგაშვილზე, რომელიც გარდაიცვალა 1990 წელს. ყავს ერთი ქალიშვილი (მეორე ქალიშვილი 2009 წელს გარდაეცვალა), ოთხი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.

1964 წლიდან მოღვაწეობდა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში. 1968 წლიდან მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. კურირებდა საქართველოში განათლების, მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობში კომპიუტერიზაციის და პროგრამირების განვითარებისა და მათი დანერგვის უზრუნველყოფას. სისტემატიკურად კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. გამოქვეყნებული აქვს 24 სამეცნიერო ნაშრომი. 1987 წელს მიანიჭეს საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ბავშვობიდან ფიზიკურად სუსტი იყო, რამაც აიძულა ადრეულ ასაკშივე დაწაფებოდა სპორტს. უყვარდა ხალხური თამაშებიც, სპორტის კლასიკურ სახეობებშიც გამოუცდია თავი და მწვრთნელები დიდ პერსპექტივებს უსახავდნენ.

მიუხედავად სამსახურებრივ საქმიანობაში დიდი დატვირთვებისა, აგრძელებდა ვარჯიშს სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ბოლოს გაიტაცა კულტურიზმა და მოგზაურობამ (ფეხით, მოტოციკლეტით, მანქანით, ველოსიპედით).

46 წლის ასაკში დაავადდა შინაგანი ორგანოების განგრენით და 1986-87 წლებში გადაიტანა ორი უმძიმესი ოპერაცია, რომლის დროსაც ამოკვეთეს 4 მეტრზე მეტი სიგრძის წვრილი ნაწლავი. ექიმებს მისი გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ, მაგრამ არნახული რწმენით, ნებისყოფით, სიმტკიცით და შეუპოვრობით უამრავი წინააღმდეგობა გადალახა და ისეთ ფიზიკურ ფორმას მიაღწია. რომ წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებსა და მუცლის პრესის ვარჯიშებში 1990-92 წლებში, დროითი ნორმატივების მიხედვით, გინესის მრავალი რეკორდი დაამყარა, კერძოდ:

135 აზიდვა — ერთ ტუთში (არაოფიციალური)

5 011 აზიდვა — ერთ საათში;

16 274 აზიდვა — ხუთ საათში;

19 378 აზიდვა — ექვს საათში;

34 955 აზიდვა — თორმეობი საათში;

44 141 აზიდვა — ოცდაოთხ საათში;

2 806 მუცლის პრესის ვარჯიში 1 საათში (უწყვეტ რეჟიმში);

100-დღიანი წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების მარათონული რეკორდი — 1 730 000 აზიდვა და ერთი წლის განმავლობაში 4 800 000 აზიდვა.

1993-2002 წლებში ველოსიპედით მარტოდმარტომ შემოიარა მსოფლიოს ყველა კონტინენტი, 238 ქვეყანა, მათ შორის გრენლანდია და ანტარქტიდა.

მოგზაურობის დროს ექსტრემალური სიტუაციების სიმრავლის გაზრდის მიზნით ჩრდილოეთ ქვეყნებს გადიოდა ზამთარში, ხოლო სამხრეთის ქვეყნებს — ზაფხულში, სამგზის ოფიციალურად სტუმრობდა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს (ატლანტის — 1996, ათენის — 2004, პეკინის — 2008).

მოგზაურობიდან ჩამოტანილი აქვს უნიკალური ინფორმაციული მასალა, დასამუშავებელია ასეულობით საათი ვიდეო ფირი. 60 000-მდე ფოტო სურათი. გამოსაცემად მზადაა 4000-მდე დღის დღიური (10.000-მდე თაბახი) და მოგზაურობის ამსახველი შთაბეჭდილებების მრავალტომეულიდან 8 ტომი.

მიუხედავად მისი ასაკისა იგი აგრძელებს მოგზაურებობებს. 2006 წელს მას ჰქონდა გეგმა-ში უკრაინელ ცნობილ მოგზაურთან ერთად, მათ მიერ შექმნილი სპეციალური ველომობილით, რომელსაც პინგვინი დაარქვეს და დევიზად დაისახეს „იბრძოლე და ეძებე, იპოვე და არ დანებდე“ დაელაშქრათ სამხრეთი პოლუსი, სიცივის პოლუსი და მაგნიტური პოლუსი. ამ პროექტმა გაიმარჯვა „ექსპო 2006“-ზე და მისმა მონაწილეობმა დაიმსახურეს მსოფლიო გამოფენის ოქროს დიპლომები. სამწუხაროდ, ფინანსების უქონლობის გამო ამ პროექტის შესრულება ვერ მოხერხდა და მისი განხორციელებისათვის დაინიშნა ვადა 2013 წელი. 2010 წელს ისევ დაუფინანსებულობის გამო ჩაიშალა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა პოლარული წრის გავლას. ამ პროექტის ჩაშლის გამო წელს გადაწყვეტილი აქვს დარჩენილი გასავლელი ექვსი ქვეყნიდან წავიდეს ორ ქვეყანაში სამოგზაუროდ. ესენია: საუდის არაბეთის სამეფო და ლივიის დიდი სოციალისტური სახალხო არაბული ჯამახირია. აქვს სხვა მეტად საინტერესო პროექტებიც, რომელთა განხორციელება-საც აპირებს 2020 წლამდე.

ჯუმბერ ლეჟავა არის საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს – ვახტანგ გორგას-ლის პირველი ხარისხის ორდენის მფლობელი, სხვა მრავალი ჯილდოც მიუღია. მაგალითად, UNESCO-მ გადასცა მსოფლიო სპორტსმენისა და მოქალაქეს დიპლომი, არის „საქართველოს 2002 წლის“ და „მსოფლიოს 2009 წლის“ ადამიანი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ შეყვანი-

ლია მსოფლიოს 5000 ლიდერთა სიაში, კემბრიჯის უნივერსიტეტიმა კი დაასახელა მსოფლიოს 400 წარჩინებულში. არის სრულიად უკრაინის გეოგრაფიული საზოგადოების და სრულიად უკრაინის ტურიზმის საზოგადოების წევრი, ევროპის ბიოგრაფიის ცენტრის გენერალური დირექტორის მო-ადგილე, მსოფლიოს მრავალი ქვეყნისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქის საპატიო მოქალა-ქე, მათ შორის 2009 წელს აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ, არის სპორტის დამსახურე-ბული მუშაკი, მიღებული აქვს საქართველოს ოლიმპიური მედალი, დაჯილდოებულია ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ოქროს მედლით და მრავალი სხვა.

## ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილზე (რეცენზია)

2009 წლის ივლისში, მე შევთავაზე ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ჩაეტარებინა სამედიცინო ფუნქციონალური გამოკვლევა, სამედიცინო და ფიზიკური მაჩვენებლების შეფასებისათვის.

ჯანმრთელობა შეფასდა როგორც კარგი, ხოლო ფიზიკური მაჩვენებლები შეესაბამება 40-45 წლის ჯანმრთელი მამაკაცის მდგომარეობას.

უდავოა, ეს მაჩვენებლები მიღწეულია „ჯანმრთელი ცხოვრების წესით – „წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების“ სისტემატიური ვარჯიშის შედეგად.

წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვა – ეს არის იგივე სიმძიმეების ანევა „მწოლიარე“ გულალმა მდგომარეობიდან, რომელშიც მონაწილეობს სხეულის მრავალი კუნთი, მაგრამ განსაკუთრებულად გამოვყოფ გულმკერდისა და ტრიცეფსების კუნთებს, ზუსტად ისე, როგორც დაწოლილი მდგომა-რეობიდან სიმძიმეების ანევის დროს, ირიბად კი ვარჯიშობს დელტის კუნთი, წინა მხარის, მტევ-ნების წვრილი კუნთები, პრესი და კვადროცეპსები. ეს არის სუფთა ზედაპირული ანატომიური შეხედულებით.

სპორტული ფიზიოლოგის, სპორტული მედიცინის პროფესორის, აშშ ჩემპიონის „ბოდბილ-დინგში“ არაპროფესიონალთა შორის ბობი დელფის კვალიფიციური შეფასებით, „სინამდვილეში, წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვის დროს, ვარჯიშში პრაქტიკულად მონაწილეობს სხეულის მთე-ლი მუსკულატურა, ვარჯიშის დროს დინამიურ დატვირთვას იღებს სხეულის კუნთების ნაწილი, ხოლო დანარჩენი, მთელი ვარჯიშის პერიოდში არის სტატიკურად დაძაბული, სხეულის ჰორი-ზონტალურ მდგომარეობაში დაჭრის გამო. წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს აქვს უდიდესი მეტაბოლური ეფექტი“.

მკერდის დიდი კუნთები არ ჰგავს არცერთ სხვა კუნთს, ყველა ბოჭკოსებური კუნთი ერთი მიმართულებისაა, ხოლო მკერდის კუნთები ლავინის ძვლისაგან იშლებიან მარაოსებურად. ასე რომ ნებისმიერი ვარჯიში ძალუნებურად ტვირთავს მხოლოდ უჯრედების ნაწილს – მხოლოდ იმას, რომელიც ემთხვევა დატვირთვის ვექტორს.

შტანგითა და განტელებით ვარჯიშის დროს, არ არის მანევრირების საშუალება, ხოლო წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებისას ყველაფერი სხვანაირადაა, რადგანაც საკმარისია ხელები იატაკზე დადოთ, ან მხრებზე ოდნავ ვიწროდ, ან ოდნავ განივრად, ან კიდევ ოდნავ წინ, ან ოდ-ნავ უკან და თქვენ აღწევთ გულმკერდის არის ყველა „მიძინებული“ კუნთის გაღვიძებას.

46 წლის ასაკში ჯუმბერ ლეჟავამ საოპერაციო მაგიდაზე ორჯერ გადაიტანა კლინიკური სიკვდილი. სახლში დაბრუნებულმა მტკიცედ გადაწყვიტა არა მარტო ჯანმრთელობისათვის მი-ელჩია, არამედ დაბრუნებულიყო სპორტში.

„მე, დიდხანს ვფიქრობდი თუ რაზედ უნდა შემეჩერებინა ჩემი არჩევანი“. ამბობს იგი! „სირბილი არ შეიძლება, ხტომა არ შეიძლება, სიმძიმეების აწევაც არ შეიძლება, ნებისმიერი უეცარი მოძრაობებიც იძლევა უკუჩვენებებს, მაშინ შვილის კარნახით წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვის გადაწყვეტილება მივიღე! რაც არის ფიზიკური ვარჯიშის ყველაზე მარტივი და სასარგებლო სახეობა; ფილტვები სწრაფად მდიდრდებოდა უანგბადით, შესაბამისად უმჯობესდებოდა სისხლის მიმოქცევაც და შემდეგ, მტევნის თითების ბალიშებში ხომ არის ადამიანის ნერვული სისტემის ყველა დაბოლოება და წოლბჯენიდან აზიდვების დროს ხდება ამ დაბოლოებების ხელოვნური მასაუი, რომელიც სტრიულს აძლევდა მუცლის ღრუს შინაგანი ორგანოების მუშაობას. მე, არ ვაჩერებდი მოვლენებს, დატვირთვებს ვზრდიდი თანდათანობით, ნახევარი წლის შემდეგ ტკივილებიც შემიწყდა, სისხლის შემადგენლობა ნორმალური გახდა, რამაც გულის ნორმალური მუშაობის რიტმის ალდგენა გამოიწვია, შემდეგ ნახევარ წელიწადში ფეხზე დავდექ“.

„წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებს და მუცლის პრესის ვარჯიშებს მოგზაურობის დროს პროპაგანდას ვუწევდი მთელ მსოფლიოს“ – განაცხადა ჯუმბერ ლეჟავამ.

ჯუმბერ ლეჟავას წიგნი „ჯანმრთელობის ფორმულა“ – არის პირველ ყოვლისა ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა და მოწოდება, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა ადამიანმა თავის თავზე აიღოს.

ავტორმა დაამუშავა „ჯანმრთელი ცხოვრების წესი – წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების გამოყენებით“ მეთოდიკა და მოუწოდებს ყველას, იგი გადააქციოს ცხოვრების წესად. მეთოდიკა გასააგები და პოპულარული ენითაა დაწერილი, ფოტო მასალა გვიჩვენებს ამ ვარჯიშის ეტაპობრივ შესრულებას, რაც მეთოდიკას ხდის დამოუკიდებლად შესწავლისათვის ყველასათვის მისაწვდომს.

ვარჯიში არ ითხოვს სპეციალურ ინვენტარს და რეკომენდირებულია მამაკაცების, ქალების, ბავშვებისათვის და ასევე იმათვის, ვისაც აქვს სხეულის ზედმეტი წონა.

ვარჯიში „წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვები“ გამოყენებული უნდა იქნას პრაქტიკულად ნებისმიერი დაავადებების რეაბილიტაციის პროცესებში. სპორტსმენებს შეუძლიათ ეს ვარჯიში აქტიურად ჩართონ თრგანიზმის საერთო გაჯანსაღების, ძალისა და გამძლეობის გამომუშავებისათვის, სპორტული ტრამვების შემთხვევაში ეს ვარჯიში სპორტსმენს საშუალებას მისცემს რეაბილიტაციის პროგრამის ადრეულ პერიოდში დაიწყოს საწვრთნელი ვარჯიშები.

საჭიროდ მიმართო, რომ ჯუმბერ ლეჟავას ვარჯიშების მეთოდიკა სასწრაფოდ დაინერგოს არა მარტივი სპორტის ყველა სახეობის საწვრთნელ მოღვაწეობაში, არამედ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, უმაღლეს სასწავლებლებში საშუალო სკოლებსა და მოსახლეობის ფართო ფენებში.

საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა  
კონფედერაციის ექიმ-რეაბოლიტოლოგი  
ალექსანდრე მჭედლიშვილი

## მეტად საჭირო ფორმულა აღმოჩენილია

(რეცენზია)

საქართველო უნიკალური ქვეყანაა თავისი გეოფიზიკური მდებარეობით, მისი მთა-ბარით, მდინარეებით, ტბებით და შავი ზღვის სანაპიროთ, იგი მსოფლიოში ცნობილია არა მხოლოდ მისი სილამაზით, არამედ ისტორიული შინაარსით, კულტურით, ხელოვნებით, მეცნიერებით, სპორტული მიღწევებით და სხვა.

საქართველოში მრავალი, მსოფლიოში ცნობილი ადამიანი ცხოვრობს და იღწვის მისი მომავლის კეთილდღეობისათვის, რომელიც ჩვენს ქვეყანას სახელი გაუთქვეს მის საზღვრებს გარეთ, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება მსოფლიო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა, რომელიც არა მარტო მოგზაურობითაა ცნობილი, არამედ უფრო მეტიც – ის იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის, მათი ჯანმრთელობისათვის, სიბერის დამარცხებისათვის.

ჯუმბერ ლეჟავას მიერ აღმოჩენილია მეტად საჭირო ფორმულა – მომზადებულია სახელმძღვანელო ადამიანის ჯანმრთელობის ხანგრძლივად შენარჩუნების მიზნით.

### **მეთოდური სახელმძღვანელო**

„როგორ დავამარცხოთ ნაადრევი სიბერე“

ჯუმბერ ლეჟავას

„ჯანმრთელობის ფორმულა“

„მეთოდიკა“

რეკომენდირებულია როგორც ახალგაზრდობის, ასევე უფროსი ასაკის და ხანდაზმული ადამიანებისათვის.

ავტორის მეთოდურ სახელმძღვანელოში თანმიმდევრულად თვალსაჩინო ილუსტრაციებით, სურათებით მოცემული აქვს ვარჯიშების შესრულების ილეთები.

მეთოდური სახელმძღვანელო დაწერილია პროფესიონალურად გამართულ, ყველასათვის მისაწვდომ ქართული სპორტული ტერმინოლოგით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ფართო მასების მიზიდვას, რათა იცხოვრონ ცხოვრების ჯანმრთელი წესით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტის ცენტრის

„სპორტის აკადემიის“, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მდელოსნობაში

**მამია ტულუში**

28.04.2010.

## პუბლიკური მიერ შემუშავებული ჯანმრთელი ცხოვრების წესი - ცოდნაზენდან გალავებზე აზიდვების გათოვდიკა

ბოლო ხანებში მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა ჯანმრთელი ცხოვრების წესს. ძალიან ბევრი ფიქრობს, გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა, მაგრამ ბევრს კიდევ ჰქონია, რომ იგი ამას ვერ შეძლებს, რადგან უჭირს ცხოვრებისეულ „სიკეთესთან“ – სიგარეტთან, ნარკოტიკებთან, ლითობას-თან, სიზარმაცესთან განშორება.

აქამდე გავრცელებული იყო აზრი, რომ თუ გინდა იყო ჯანმრთელი, უნდა ივარჯიშო აერო-ბიკით, იარო ფიტნეს კლუბში, ირბინო ძუნძულით (ჯოგინგი), იცურაო, შეიძინო სპეციალური სა-ვარჯიშო ტრენაჟორები და სხვ.

უპირველესად, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვაზე და მოსახლეობის მასობრივი გა-ჯანსაღებისათვის უნდა იზრუნოს სახელმწიფომ. მან უნდა იფიქროს ნებისმიერი დასახლებული პუნქტის ჰიგიენურ მდგომარეობაზე, პარკების სიმრავლეზე, ჭარბი და მავნე გამონაბოლქვის აკ-რძალვაზე, ლოთებისა და ნარკომანების მკაცრ აღრიცხვაზე და მათ სათანადო მკურნალობაზე, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე თამბაქოს მწეველთა მიმართ.

ძალზე საშურია, რომ სახელმწიფომ ლოკალურ ტერიტორიებზე (დაბა, სოფელი, ქალაქი) შექმნას გზების ისეთი სისტემა, სადაც შესაძლებელი იქნება ველოსიპედების უსაფრთხო გადაად-გილება, რაც, ხელს შეუწყობს მათ მასობრივ გამოყენებას და ჯანმრთელი ცხოვრების წესის ერთ-ერთი სახის – ველოსიპედის გამოყენების დანერგვას.

ვფიქრობ, საგზაო კანონში ველოსიპედით მოსიარულეთათვის აუცილებლად უნდა დაფიქ-სირდეს უსაფრთხო მოძრაობის შესაბამისი წესები.

ახლა შევეხოთ აერობიკის ფიტნესის, ჯოგინგისა და ცურვის კლუბებში ვარჯიშებს. რა თქმა უნდა, ამ კლუბებში ვარჯიში ადამიანს მოუტანს ჯანმრთელობას, მაგრამ ეს გარკვეულ პრობლემებსაც წარმოქმნის, კერძოდ, სატრანსპორტო, ადგილმდებარეობით, ფინანსურ, აღჭურ-ვილობით უხრეხულობებს და ა. შ.

გარდა ზოგადად ჩამოთვლილ პრობლემებისა, ჩნდება სხვა, მთელი რიგი სიძნელეები, – კერძოდ, ზემოთ ჩამოთვლილი ვარჯიშები გათვლილია საკმაოდ გაწელილ დროზე და ყოველივე ქმნის ნერვიულ ატმოსფეროს, რადგან ბევრი ადამიანი, თავისი ბუნებით მაქსიმალისტია და მიაჩ-ნია, რომ შედეგის მიღწევისათვის საკმარისია მცირე დრო. ამ შემთხვევაში მთავარია ფიზიკური მდგომარეობის არამოჩვენებითი გაუმჯობესება, არამედ რეალური შედეგის დაფიქსირება, რაც მხოლოდ ხალისიანი, ბიოლოგიურად გათვლილი ვარჯიშის დროს მიიღწევა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კლუბებში ვარჯიში, უმეტეს შემთხვევაში ხელმისაწვდომია მცირე რაოდენობის, მატერიალურად შეძლებული ოჯახებისათვის ან პირებისათვის, რომლებსაც თავისუფალი დროის დიდი მარაგიც აქვთ, რაც, ცხადია, გამორიცხავს „ჯანმრთელი ცხოვრების წესის“ მასობრივ ხასიათს.

მითითებული მასობრივი ხასიათი თითქოს ტრენაჟორების ინდივიდუალურად შეძენის ხარ-ჯზეც შეიძლება, მაგრამ ესეც, თქმა არ უნდა, კვლავაც და კვლავაც შესაბამის ხარჯებთან და სათანადო თავისუფალ ფართოანაცაა დაკავშირებული, რისი შესაძლებლობა ბევრს არ გააჩნია.

რაც შეეხება ჩამოთვლილ ვარჯიშთა ცალკეულ სახეობებს, მაგალითად ჯოგინგს (ძუნ-ძულს), ესეც ყოველთვის არ მიგვაღწევინებს სასურველ შედეგს, რადგან ბევრს ძუნძულით ვარ-ჯიშისას არა აქვს ბუნებრივი გარემო პირობები, ვგულისხმობთ ელემენტალურ სუფთა ჰაერს, რომელიც ნაკლებადა ახორცილ კორპუსთა გარემოცვაში. სპეციალურ სუფთა ჰაერიან გარე-მოში მოხვედრისათვის კი საჭიროა თავისუფალი დრო და სპეციალური ტრანსპორტი. ზემო ხსე-

ნებული და სხვა პრობლემები ახლავს აერობიკით ხალხის მასობრივ დასაქმებასაც, კერძოდ, სპეციალური სავარჯიშო ადგილის უქონლობა, მუსიკალური ცენტორების სიმცირე და ა. შ.

ჩემი მიზანი იყო, მომებსნა ცხოვრებისეული ფაქტორებით წარმოქმნილი ყველა ზემოთ ნახსენები პრობლემები და მომებები ისეთი ვარჯიში, რომლის გამოყენებასაც შეძლებდა ყველა მსურველი სქემისა და ასაკის მიუხედავად.

გააზრებული მეცადინეობის შედეგად, დარწმუნებული ვარ, მივაგენი ფიზიკური გაჯანსაღების უნივერსალურ საშუალებას, რაშიც მეთოდიკის წაკითხვისას დარწმუნდებით.

\*\*\*

ჯანმრთელი ცხოვრების წესი გიცავთ თქვენ ექიმებთან ხშირი ვიზიტისაგან და გიგრძელებთ სიცოცხლის ხანგრძლივობას. რატომდაც ამაზე ბევრი გვიან იწყებს ფიქრს. ჩემი რჩევაა ჯანმრთელობის დაცვა მუდამ გახსოვდეთ. ჯანმრთელობა და ადამიანის სულიერი და ფიზიკური სილამაზე გარკვეულწილად ურთიერთკავშირშია. ცხოვრების ამგვარი წესის შემადგენლი ნაწილებია: **სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიშები, დროული ძილი, სუფთა წყალი და სუფთა ჰაერი.**

ფიზიკურ ვარჯიშად შევარჩიე წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვები რაც თქვენ დაგიცავთ ზედემტი წონისაგან, გაგიმაგრებთ კუნთებს, გენებათ მოხდენილი სხეული და შინაგანი ორგანოების გაჯანსაღებითა და ხშირ შემთხვევაში განკურნებით, გახდებით ჯანმრთელი.

წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვის ჩემს მიერ შემუშავებული მეთოდიკა – უდაოა დაეხმარება ნებისმიერი სქესის, ასაკის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური კონდიციის მქონე ადამიანს ჯანმრთელობის განმტკიცებაში და სხეულის სრულყოფაში.

მკლავებზე აზიდვებში, პირადად, დამყარებული მაქვს მსოფლიო და გინესის 14 რეკორდი. ველოსიპედით მარტოდმარტომ ვიმოგზაურე მსოფლიოს 238 ქვეყანაში, ყველგან მქონდა საჩვენებელი გამოსვლები არამარტო მასობრივი თავშეყრის ადგილებში (პარკები, სკვერები, პორტები, აერობორტები, სტადიონები და ა. შ.), არამედ, სხვადასხვა დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში, სკოლებში, სპორტულ ორგანიზაციებში და სხვა. ყველგან დიდი გამოხმაურება მქონდა. ამის შესახებ წერდა მსოფლიო პრესა და გადასცემდა თითქმის ყველა ქვეყნის ნაციონალური ტელევიზია.


ქალისა და მამაკაცის დატვირთვები განსხვავებულია, ორივე სქესი მიიღონ ჯანმრთელობისკენ, სხეულისა და მასის სრულყოფისაკენ. ჭარბნონიანმა დღეში ერთხელ მაინც უნდა ივარჯიშოს გადალლამდე. ნორმალურმა მასისამ და გამხდარმა კი, დღეში ერთხელ მაინც, **დალლამდე.** (ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „**გადალლამდე, დალლამდე – ნიშნავს ორგანიზმის კარგად გახურებას.**“ თითოეულმა მოვარჯიშებ ყოველდღიურად ყურადღება უნდა მიაქციოს გულის ნორმალურ მუშაობას, პულსის რაოდენობას და დააკვირდეს არტერიული და თავის ქალის შიდა წნევებს. ბავშვების ვარჯიში უნდა აკონტორლოს მშობელმა. მამრობითი და მდედრობითი სქესის ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის აზიდვების რაოდენობები ინდივიდუალურია.

ვარჯიშის დაწყების წინ უნდა ვხედავდეთ მიზანს. ეს არის **წონის დარეგულირება, სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა, სხეულის სრულყოფა,** ადამიანის შინაგანი ორგანოებისა და მეფური დაავადებების განკურნვა. უწყვეტი ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად მივიღებთ სამივე (ჯანმრთელობის შეძენა, სხეულის სრულყოფა, სხვადასხვა შინაგანი ორგანოების განკურნვა) შედეგს. ვინაიდან ადამიანს ბევრი ფაქტორი უშლის ხელს სისტემური ვარჯიშისათვის, მაინც გამოვყოფ მათში ერთს. ეს არის **სიზარმაცე.** ამიტომ თავდაპირველად ადამიანების ასეთმა ჯგუფმა სიზარმაცის დასაძლევად უნდა გამოიმუშაოს ნებისყოფა. ნებისყოფის გამომუშავებას სჭირდება ისეთივე ვარჯიში, როგორც აზიდვების ვარჯიშს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გონიერება და ნებისყო-


ფა არის მიზნის მიღწევის საფუძველი. გონიერებაში ვგულისხმობ მიღწეულის სწორ ანალიზს, რათა დატვირთვები ვცვალოთ ანალიზის შესაბამისად.

სამივე ჯგუფის ვარჯიშის შესრულებისათვის, როგორც აღვნიშნე, დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისყოფის გამომუშავებას. თუ ჩვენ ვისწავლით სურვილის მიღწევისათვის მოქმედების მართვას, ჩვენ მივაღწევთ ყველაფერს. ეს ნიშნავს წინააღმდეგობისაგან თავის დაღწევას, როცა კი არ უნდა წარმოიქმნას ის. ჩვენს შემთხვევაში ნებისყოფის გამომუშავებისათვის წინააღმდეგობას წარმოადგენს სისტემურად მკლავებზე აზიდვების ვარჯიშის შესრულება. ასეთი წინააღმდეგობა თავიდან უნდა დავძლიოთ დღეში ი-რაოდენობაჯერ – ყოველდღე, ყოველ კვირა და შეიძლება ყოველ თვეც. ასეთი შრომით თქვენ დაიწყებთ ვარჯიშების სურვილით და არა იძულებით შესრულებას, რაც ნიშნავს, რომ თქვენ იძულებითი შრომით გამომუშაოთ ნებისყოფა, სურვილით ვარჯიშების შესრულებისათვის, რაც ვარჯიშს ბევრად ეფექტურს ხდის ჯანმრთელობისათვის და საერთოდ დასახული მიზნის მიღწევისათვის. ამის შემდეგ თქვენი ლექსიკონიდან საერთოდ შეგიძლიათ ამოიღოთ „მე ამის გაკეთება არ შემიძლია“, რაც არის საფუძველთა საფუძველი ნებისმიერ საქმეში წარმატების მიღწევისათვის. მკლავებზე აზიდვების ვარჯიშის ეფექტურობისათვის სამივე ჯგუფის სურვილისათვის უნდა დავიცვათ რაოდენობრივი მცირედი მატების პრინციპი, ეს ნიშნავს, – დღეს ნუ აიზიდებით შესაძლებლობის მაქსიმუმით. დღეს აიზიდე საშუალო რაოდენობით და ყოველდღე აზიდვების რაოდენობას უმატეთ თითო-თითო აზიდვა. ასეთი პრინციპით მიდგომა მოგცემთ სასურველ ჯანმრთელობას და მიზნის სრულად მიღწევის საშუალებას. ე. ი. მასას, ფორმას და ჯანმრთელობას. გირჩევთ, ყოველთვის მკლავებზე აზიდოთ იმდენჯერ, რომ ვარჯიშის დამთავრების შემდეგ თქვენ თქვათ: „ვგრძნობ თავს ძალიან კარგად, შემიძლია მეტჯერაც ავიზიდო, მზად ვარ უფრო რთული რეჟიმით აზიდვებისთვის“. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ გაზარდოთ სერიაში ერთჯერადი აზიდვების რიცხვი.


ვარჯიშის დროს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გარდა სხეულის სრულყოფისა, უნდა მივაღწიოთ ჯანმრთელობასაც, ამიტომ იგი უნდა შევასრულოთ ყოველთვის სურვილით და სწორად. კონტროლის გამძაფრება გამოწვეულია იმითაც, რომ გული მუშაობს დატვირთვის არაბუნებრივ რეჟიმში. ეს პროცესი მიმდინარეობს გარკვეული დროით, რის გამოც იგი განსაკუთრებულად იტვირთება. ამიტომ ყოველთვის უნდა ვიფიქროთ და ვაკონტროლოთ,




სურ. 1




სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5

რომ არ გადავლალოთ იგი. გადალლის შემთხვევაში შეიძლება ეს ვარჯიში გახდეს დაავადების მიზეზი,

ამას კი იწვევს ვარჯიშის იძულებითი შესრულება, თუკი არ იჩქარებთ და არ მოინდომებთ მოკლე დროში რაოდენობრივად ბევრი აზიდვის შესრულებას და აზიდვებს შეასრულებთ მხოლოდ სიამოვნებამდე, მაშინ მიიღებთ სასურველ შედეგს.


სანამ ვარჯიშს დაიწყებდეთ ყურადღება უნდა მიაქციოთ სავარჯიშო ადგილს და გარემოს. ვარჯიშის დროს ადგილი უნდა იყოს მკვრივგრუნტიანი, ხოლო ჭარბი რაოდენობის სუთთაპაერიან ოთახში რომ ვივარჯიშოთ, აუცილებელია გავაღოთ ფანჯარა ან კარები, ან სულაც, უნდა ვივარჯიშოთ ჰაერზე. საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ არ ვივარჯიშოთ ხალიჩით დაფარულ იატაკზე, რადგანაც იგი ყოველთვის შეიცავს მტვერს და მიმართული ლრმა ჩასუნთქვის დროს მტვერი ადვილად ხვდება ჩვენს ფილტვებში, რაც შეეხება მკვრივ გრუნტიან სვარჯიშო ადგილს, სასურველია იგი ვარჯიშის წინ მოვწმინდოთ სველი ტილოთი, კარგია თუკი სასუნთქ ზედაპირზე დავაგებთ პატარა ტილოს ან დავდებთ პატარა ფიცარს.

ვარჯიშისათვის მზადებას ვიწყებთ გაღვიძებისთანავე. ვიღვიძებთ ერთი და იგივე დროს. ეს უნდა დაარეგულიროთ დილის საქმიანობის დაწყების დროის მიხედვით. **გაღვიძების შემდეგ ვისვენებთ 5 წუთს და გავიაზრებთ დღის სამუშაო გეგმას.**

შემდეგ ვდგებით, ვიბანთ ხელპირს, რითაც ვეგუებით ფეხზე დგომის მდგომარეობას. ამ პროცესსაც უნდა დაუთმოთ ხუთი წუთი, რის შემდეგაც ვიწყებთ მოთელვის ვარჯიშებს. **ვდგებით გამართული, ფეხებს ვდგამო ოდნავ განზე და ვასრულებთ მაჯების (სურ. 1. 2.) იდაყვების ზემოთ და ქვემოთ (სურ. 3. 4.) და მხრების (სურ. 5.) ბრუნვით მოძრაობებს ორივე მხარეს 10-10-ჯერ.**

გვახსოვდეს, რომ ვარჯიშის დროს უნდა ვისუნთქოთ პირით, მაჯების, იდაყვებისა და მხრების მოძრაობის ტემპის მიხედვით.


სურ. 6




**ადგილზე სიარულში ვისვენებთ 2 წუთს. დასვენების შემდეგ ვასრულებთ კისრის ვარჯიშებს, თავის მაქსიმალურად მიტრიალებით მარჯვნივ (სურ. 6.)**

და მარცხნივ (სურ. 7.) ვარჯიშს ვასრულებთ თითოეულ მხარეს 10-ჯერ ნელი მიტრიალებით, ალვნიშნავ – თავი უნდა მიატრიალოთ და არა დაატრიალოთ.

სურ. 7






სურ. 8

ასევე თავის მაქსიმალურად წინ ნელი დახრით (სურ. 8.)


და უკან მაქსიმალურად ნელი გადაწევით (სურ. 9.) ვარჯიშს ვასრულებთ 10-10-ჯერ.




სურ. 9

ამ ვარჯიშებს ვასრულებთ ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვით ე. ი. ნელი ჩასუნთქვი-სას შევწევთ მუცელს ხერხემლისკენ. შემდეგ სწრაფად ამოვისუნთქავთ და მუცელი სწრაფად უბრუნდება საწყის მდგომარეობას.

ეს ვარჯიშები ამავე დროს მუცლის ღრუს შესანიშნავი მასაჟია, მათ შორის გულის კუნთი-საც. იგი სასარგებლოა იმ პირთათვის, ვისაც აწუხებს ხერხემალი, გული, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი და სხვ. აქამდე ჩატარებული ვარჯიშები არა მარტო სახსრებს ამზადებს ვარჯიში-სათვის, არამედ მიმდებარე კუნთებსაც. ამ ვარჯიშების უპირატესობა არის ის რომ, რომელიც მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს, მასაც არ სჭირდება სპეციალური მოედნები, დარბაზები, ჩასაც-მელი ფორმები და სხვა. ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მკლავებზე აზიდვების ვარჯიში-სათვის ვართ მზად.



სურ. 10



სურ. 11




დამატებით, სურვილის და შესაძლებლობის მიხედვით შეგვიძლია კოჭების, მუხ-ლებისა და ბარძაყების სახ-სრების სავარჯიშოდ შევას-რულოთ ფეხების გარეთ და შიგნით მოხრილ მდგომარეობაში ტრიალი 10-10-ჯერ (სურ. 10).

ასევე, ორივე მხარეს ერთი მიმართულებით მუხ-ლების ტრიალი 10-10-ჯერ (სურ. 11).






ერთ წუთიანი შესვენების შემდეგ ვიწყებთ ფეხების ვარჯიშს რაც ამავე დროს ამზადებს მუცელს, მუცლის პრესის ვარჯიშისათვის. ზურგზე დაწოლილი მდგომარეობიდან  $30^{\circ}$  კუთხით მოხრილ ფეხებს (სურ. 12) ვშლით რიგრიგობით (სურ. 13, 14). ფეხის გაშლის რაოდენობას ზრდით თქვენი შესაძლებლობის მიხედვით.

მაქსიმუმი 20-ჯერ ერთ სერიაში, ერთ წუთიანი დასვენების შემდეგ გავიმეორებთ ამ ვარჯიშს 5-ჯერ.



ისევ ვისვენებთ ერთ წუთს და ვიწყებთ მუცლის პრესის ვარჯიშს არასრული წამოწევით (სურ. 15) ამ ვარჯიშს ვასრულებთ.

ყოველივე ამის შემდეგ ვიწყებთ მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს, სავარჯიშო პოზა არის: ხელის გულებს ვდებთ იატაკზე მხრების სიგანეზე, ფეხებს ვშლით ბოლომდე, მუხლებისა და ქუსლების შეერთებით ვდგებით ფეხის თითის წვერებზე. ვარჯიშს ვიწყებთ აზიდული მდგომარეობიდან (სურ. 16) ასეთი მდგომარეობიდან დავწევთ ტანს იატაკის ზედაპირამდე (სურ. 17) და ხელების ტანის გასწრივ მოძრაობით ავიზიდებით მკლავების ბოლომდე გავშლით (სურ. 18) და ა. შ. 10-10-ჯერ დასვენებებით 5-ჯერ, ე. ი. სულ 50-ჯერ.



გარდა ტანის სწორად დაჭერის, რაც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის, ვარჯიშის დროს აუცილებელია სწორი სუნთქვა. ვარჯიშის პროცესში ეს როტულად დასაუფლებელია, რადგანაც ურთულესი რეჟიმია. სუნთქვის რეჟიმის შერჩევას და შეჩვევას სჭირდება სპეციალური ვარჯიში, რადგანაც აუცილებელია მკლავებზე აზიდვებისა და სუნთქვის შეთავსება. ამიტომ თავიდან ნუ ვიჩქარებთ ბევრი აზიდვის გაკეთებას სუნთქვის სისტემატური დარღვევით. ჯობია გავაკეთოთ ორი-სამი აზიდვა სწორი სუნთქვით. **საერთოდ რეკომენდებულია დატვირთვის მდგორეობაში ჩასუნთქვა და შედარებით მცირე დატვირთვის დროს ამოსუნთქვა,** თუმცა ჩემი რეჟიმით იგი შეცვლილია, რამაც ჩემს არც ჯანმრთელობაზე უარყოფითად არ იმოქმედა. ე. ი. მთავარია შეგუების პროცესში ისუნთქოთ ღრმად. სუნთქვაზე პირით, რადგანაც დატვირთვების დროს საჭიროა თავისუფლად დიდი რაოდენობით ჰაერის ჩასუნთქვა და ასევე თავისუფლად დიდი რაოდენობით ჰაერის ამოსუნთქვა.

აზიდვების სიჩქარე უნდა დაარეგულიროთ ძალისა და სუნთქვის შეთავსების მიხედვით. არ იფიქროთ, რომ ეს მარტივია. აზიდვებისა და სუნთქვის შეთავსებისათვის თქვენ უნდა ივარჯიშოთ მინიმუმ 3 თვე, რის შემდეგაც შეგიძლიათ აზიდვების რაოდენობების ზრდადი გრაფიკს შემუშავება. თუ თქვენ გეყოფათ ნებისყოფა და ყველა რეკომენდებული პირობების დაცვით შეძლებთ ამ ვარჯისის სისტემატურად და სწორად შესრულებას, დამერნმუნერთ თქვენ განიკურნებით ბევრი შინაგანი დაავადებებისაგან, იქნებით ჯანმრთელი და სხეული მიიღებს სრულყოფილ ჯანმრთელ სახეს. ე. ი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მე ამ ვარჯიშების მეთოდიკას ვწერ მათთვის ვისაც ცხოვრებაში აქვს მიზანი და შრომობს ამ მიზნის მიღწევისათვის. ახლა ბევრი თვლის რომ მისი ჰომი არის ჯანმრთელი ცხოვრების წესი. ეს კარგია, მაგრამ ვიბრძვით კი ამისთვის? ამ ვარჯიშის დაუფლებით თქვენ უნდა შეცვალოთ თქვენი ცხოვრება უკეთესობისაკენ, ხართ კი თქვენ ამისთვის მზად? თქვენ თუ მკლავებზე აზიდვებით ივარჯიშებთ სისტემატურად, მაშინ თქვენ შეხვალთ სიმშვენიერის, სიკეთის, ჯანმრთელი ცხოვრებისა და მუდმივობის სამყაროში.

თუ არქიტეტურას ეძახიან „გაქვავებულ მუსიკას“, სკულპტურას „გაქვავებულ ფანტაზიას“, მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს მე დავარქმევდი „ჯანმრთელობის, სულიერებისა და აღნაგობის არქიტექტორს“, რაც შემოქმედ პიროვნებას ლამაზი სიცოცხლის სტიმულს აძლევს.

კვლავაც ვიმეორებ – არ მოსწიოთ და ზომიერად მიიღეთ ალკოჰოლური სასმელი (1-2 ჭი-ქა), ასეთ შემთხვევაში თუ სისტემატურად ივარჯიშებთ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იგი მასას ჩამოგიყალიბებთ თქვენი სხეულის აგებულების სიმაღლის შესაბამისად, ე. ი. თუ ჭარბწინიანი ხართ თქვენი მასა კლებულობს და თქვენს სხეულს მიეცემა სპორტსმენის ტანადობის სახე და ჯანმრთელობა, ხოლო, თუ ხართ გამხდარი, გაგიზრდით კუნთებს და შესაბამისად მასას, რაც არა მარტო ჯანმრთელობას, არამედ სილამაზესაც შემატებს თქვენს სხეულს. ამას ყველაფერს რომ მიაღწიოთ, უნდა გქონდეთ საფუძვლიანი არგუმენტები, რაც მასტიმულირებელი იქნება უფრო ინტენსიური დაულალავი წვრთნისათვის. საფუძვლიან არგუმენტად კი შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩემი მაგალითი.

ამ ვარჯიშის შესრულებისათვის თქვენ არ დაგჭრიდებათ სხვადასხვა სავარჯიშო ირალები, რადგანაც იარაღი ვარჯიშისა არის თქვენი სხეული.

ჩემი გამოსვლების დროს ხშირად მეკითხებიან, როგორ დავიწყოთ ვარჯიში, მე მათ ვპასუხობ შემდეგს, რომ ვარჯიში არ არის ამ შემთხვევაში მხოლოდ გულდალმა მდგომარეობიდან მკლავებზე ეპიზოდური აზიდვები, ასე შეიძლება ადამიანმა ზიანიც კი მიაყენოს თავს, რადგანაც იგი ვერ შეინარჩუნებს ეპიზოდური ვარჯიშის დროს ვერც კუნთის ძალას, ვერც სუნთქვის დამუშავებულ სისტემას და ვერც მკლავებზე აზიდვებისა და სუნთქვის შეთავსებულ კომპლექსს. ასეთ შემთხვევაში ეს ყოველთვის იწვევს მოვარჯიშის გაღიზიანებას, რაც აიძულებს მას გაღიზიანებულმა აკეთოს ვარჯიში. დამერნწმუნეთ, ეს მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებს თქვენს ჯანმრთელობაზე და დროთა განმავლობაში გამოიწვევს არტერიული და თავის ქალის წნევების ცვალებადობას და გულის ნევროზით დაავადებას, რაც შემდეგში გამოამჟღავნებს სხვა დაავადებსაც; რა თქმა უხდა, ეს არ არის სასურველი, რადგანაც ჩვენ ვარჯიში დავიწყეთ სამკურნალოდ და გაჯანსაღებისათვის და არა დაავადებების გასამრავლებლად. ეს ვარჯიში საუკეთესო მასაჟია მუცლის ღრუს ორგანოებისათვის და სასუნთქი გზებისათვის. განსაკუთრებით უხდება კუჭის წყლულითა და გასტრიტით დაავადებულებს.

მკითხველს ალბათ დაებადა კითხვა: ვარჯიში მარტივია, მაგრამ რამდენი პირობაა შესასრულებელი?! დიახ, მთავარი პირობა სისტემატიური ვარჯიშის სურვილია რაც ძალზე ეფექტურს ხდის მას.

უმრავლესობა, დღის უმეტეს ნაწილს სამსახურში ან სასწავლებელში ატარებს, რის გამოც მათთვის ვარჯიშისათვის ხელსაყრელი დრო საღამოა. მე მაგალითად ვიძინებ 11 სთ-ზე და ვდგები 5 სთ-ზე, ჩემთვის 6 სთ ძილი საკმარისია, რომ მთელი დროის განმავლობაში თავს ვგრძნობდე მხნედ, თუ თქვენთვის 6 სთ ძილი არ არის საკმარისი, მეგიძლიათ იძინოთ 8 სთ და ადგეთ 7 სთ-ზე. ყოველ დილით ვვარჯიშო 1-1,5 სთ. განმავლობაში. მავანს შეუძლია ივარჯიშოს ნახევარი საათი. დატვირთვებში განსხვავებამ ჩემსა და თქვენს შორის არ გაგაკვირვოთ, რადგან მე სხვა მიზნითაც ვვარჯიშო, თქვენ კი ჯანმრთელობის შეძენისთვის, სხეულის სრულყოფისათვის, ნებისყოფის გამომუშავებისათვის და წინააღმდეგობების დაძლევის ფსიქოლოგიური მომზადებისათვის და სხვ.

დამატებით მინდა გირჩიოთ: ხანგრძლივი დროით არ ივარჯიშოთ უშუალოდ ჭამის წინ და ჭამის შემდეგ. იგი შეიძლება შესრულდეს მინიმუმ ნახეარი საათით ადრე ან გვიან. ასევე არ შეიძლება ვარჯიში შესარულოთ ძილის წინ ან გაღვიძებისთანავე. ძილის მდგომარეობიდან გამოსვლის დრო 10-15 წუთია. ასევე 10-15 წუთით ადრე უნდა დაასრულოთ ვარჯიში დაძინებამდე.

ერთჯერადი საშუალო რაოდენობის აზიდვებით შეგიძლიათ ივარჯიშოთ ნებისმიერ დროს – ჭამის წინ და შემდეგ, ძილის წინ და შემდეგ. ყოველთვის შეგიძლიათ აკეთოთ 10-15 ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვით,

რაც ავარჯიშებს სასუნთქ გზებს, შიგა ორგანოებს, გულ-მკერდს, მკლავების კუნთებს და სხვ.

თუ ვარჯიშობთ ნახევარ საათსა და მეტს, უმჯობესია ჩაიცვათ სპორტული ფორმა სეზონი-სა და ამინდის მიხედვით. თუ ვარჯიშობთ ბინის პირობებში, უმჯობესია ივარჯიშოთ ფეხშიშვე-ლამ ტრუსებში, თუ ბინაში სიცივეა, უნდა ჩაიცვათ, მაგრამ მსუბუქად, ტანსაცმელი უნდა იყოს ისეთი, რომ არ გიჭერდეთ, შეიწოვდეს ოფლს. უმჯობესია ვარჯიშობისას ტანსაცმელი იყოს ბამ-ბის.

დილის ვარჯიში ყველასათვის აუცილებელია დილით, რადგან საღამოთი შესაძლოა ადამი-ანს გაუჩნდეს რაიმე საქმე და დარჩეს ვარჯიშის გარეშე, რაც არასასურველია, საზოგადოდ ვარ-ჯიშის იდეალური დრო არ არსებობს, იგი პრინციპულად ყველასათვის ინდივიდუალურია. ვისაც სურს ხსენებული ხერხით გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა, თავდაპირველად ერთი თვის განმავ-ლობაში ყოველდღიურად უნდა ჩაატაროთ ტანის სწორად დაჭერით ერთნუთიანი ვარჯიშის პო-ზაში დგომით ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვები. იგი უნდა გაიმეოროთ მინიმუმ ხუთჯერ მაინც, რათა ვარჯიშის დროს გაიადვილოთ სუნთქვა, მიაჩვიოთ გული ახალ რეჟიმში მუშაობას. ისუნ-თქეთ პირით ნელი ღრმა ( სამი თველა) ჩასუნთქვით ერთი უეცარი ამოსუნთქვით.

გაითავლისწინეთ ერთი რჩევაც: გულმა რომ კარგი დატვირთვა მიიღოს, ვარჯიშის დროს ტემპის ცვლაა საჭირო, ე. ი. მკლავებზე აზიდვები გააკეთეთ სწრაფი ან ნელი ტემპით, შესაბამი-სი სუნთქვითი პროცედურის დაცვით. თუ თქვენ სერიოზულად ვარჯშობთ, უნდა იკვებოთ კარ-გად და რეგულარულად, ბანაობის დროს კი მოხაცვლეობით მივიღოთ ცივი და ცხელი შხაპი. ყუ-რადლება უნდა მივაქციოთ სასმელ წყალსაც. იგი უნდა იყოს ოთახის ტემპერატურის, ძილის რე-ჟიმის დაცვა ინდივიდუალურია, მაგრამ უნდა იძინოთ არანაკლებ 6 საათისა. გარდა იმისა, თუ თქვენ დღის განმავლობაში გამონახავთ ერთ-ორ საათს ძილისათვის, ეს ძალიან წაადგება თქვენს მიერ ვარჯიშის მაქსიმალური ეფექტით ათვისებას და დახარჯული ენერგიის სრულ აღდგენას, ჯანმრთელობა, ძალა, მოხდენილი სხეული – აი რა შედეგებს იძლევა ჩვენი ვარჯიში.

მსოფლიოს ყველა დროისა და ქვეყნის ცნობილი მხატვრები თუ მოქანდაკეები ცდილობ-დნენ დაედგინათ მოხდენილი სხეულის განმსაზრდვრელ ნიშანთა არსი და კანონი. დროის სხვა-დასხვა ისტორიულ მონაკვეთებში ჯანმრთელობის, ძალისა და მოხდენილი ადამიანის სხეულის დაკვირვებების საფუძველზე, დასკვნები რეალისტურად კეთდებოდა და პირიქით, თუ მოგონილია და რეალობას არის მოწყვეტილი, არის ყალბი და ძალზე აბსტრაქტული.

შევადაროთ ჰერაკლესა და აპოლონის ქანდაკებები: ერთიცა და მეორეც არის მამაკაცური ჯანმრთელობისა და მოხდენილი სხეულის განსახიერება. ჰერაკლეს ტანი გამოირჩევა მძლავრი კუნთებით, აპოლონისა კი ელევანტურობითა და დრეკადი მოხაზულობის კუნთებითაა გალამაზე-ბული. მაგალითი წარმოაჩენს ჯანმრთელობისა და მოხდენილი სხეულის ორ ტიპს. მკლავებზე აზიდვების ვარჯიშით თქვენ შეიძენთ ჯანმრთელობას და აპოლონის ტანის სილამაზეს. იყო დრო როცა მოხდენილი სხეულის მავნებლად ითვლებოდა მხოლოდ ბიცეფსებისა და ყელის გარშემო-წერილობის პროპორციები და სხვ. ახლა კი, ა. ვორობილოვისა და ი, სოროკინის წიგნში მოყვანი-ლია ერის მანის მოხდენილი სხეულის მაჩვენებელი. გულმკერდის გარშემოწერილობას (მშვიდ მდგომარეობაში) გამოკლებული სიმაღლის ნახევარი. სხეულის ჰარმონიული განვითარების შემ-თხევაში გულმკერდის გარშემოწერილობა მეტია სიმაღლის ნახევარზე. ასეთი პროპორციების დაცვას უწყობს ხელს მკლავებზე აზიდვების ვარჯიში. გარდა ამისა, მისი მთავარი თვისებაა ადა-

მიანის შიდა ორგანოების დაავადებების მკურნალობა. სხეულის წონას დამატებული გულმკერდის გარშემონერილობა. საუკეთესო შეფასებას იღებენ ისინი, ვისაც აქვს ნაკლები მაჩვენებელი: 10-15 – ძლიერი აღნაგობა, 16-20 – კარგი აღნაგობა, 21-25 – საშუალო აღნაგობა, 26-30 – სუსტი აღნაგობა. ეს მხოლოდ მამაკაცების მაჩვენებელია. ადგენენ აგრეთვე ატროპიმეტრიული მაჩვენებლების ცხრილებს, რასაც შეიძლება შევადაროთ თქვენი მონაცემები. მაგალითად, ცნობილი კულტურისტის ჯო უადერის ცხრილი.

სიმალე	წონა	გულმკერდი	მხრები	წელი	ბარძაყი	წვივი
152.5	58.5	101.5	38.0	67.5	53.5	37.0
157.0	63.7	104.5	39.5	70.0	55.5	38.0
162.5	70.5	111.0	40.5	76.0	57.0	39.0
167.0	79.0	116.0	42.5	78.5	58.5	40.0
172.0	83.5	118.0	43.0	80.0	59.5	40.5
177.0	90.0	121.5	44.0	82.5	62.0	41.5
183.0	95.0	124.0	44.5	84.0	63.5	42.5
188.0	99.0	127.0	46.0	85.0	65.0	43.0

ჩემი ანტროპოგენური მაჩვენებლები შემდეგია: წლოვანება – 70 წ, სიმაღლე – 171 სმ, წონა – 74 კგ, გულმკერდის გარშემონერილობა – 112,5 სმ, მხრები – 47 სმ, ბიცეფსები – 43 სმ, წელის გარშემონერლობა – 82 სმ, ბარძაყის გარშემონერილობა – 58 სმ, წვივის გარშემონერილობა – 41 სმ.

სხეულის სილამაზე მრავალმხრივია და იზომება უფრო მრავალი წვრილმანით, ვიდრე მისი ზომის მეტრული ლენტით, ჩვენი გრძნობების ინსტრუმენტით ესთეტიკური გემოვნებით ჰარმონიის შეგრძნებით. ისინი ვინც იცნობენ ატლეტებს, იციან, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ თრ მათგანს აქვს ერთიდაგივე ანტროპოგენური მაჩვენებლები, ისინი გამოიყურებიან სხვადასხვანირად. ე. ი. განვითარებისა და ჰარმონიის ხარისხის გაზომვის მცდელობა ზომის მეტრული ლენტით უნაყოფო იქნება. კუნთის ხარისხი, რელიეფი, ტანადობის თავისებურებანი, მოძრაობების პლასტიკა და მრავალი სხვა არ ექვემდებარება განზომილებას.

ისე რომ იმათ, „ვისაც სურს გაერკვეს, თუ რა არის ადამიანის მოხდენილი სხეული, არ მოვიყვანთ ფორმულებსა და ცხრილებს, ვურჩევთ უფრო მეტად ათვალიერონ ძველი სკულპტორებისა და მხატვრების უძვირფასესი ქმნილებები, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას ალვიქვათ ადამიანის სხეული გენიოსების თვალით. სხვადასხვა ტიპის ადამიანთა ფიგურები თანაბრად აცხადებენ პრეტეზიას იდეალურ პროპორციულობაზე. მათ გაუძლეს საუკუნეების კრიტიკას სილამაზისა და ჰარმონიის ჩარჩოებში. ყველა ტიპის აგებულებაში არის ჩადებული საწყისი სილამაზე. არასწორი ცხოვრების წესით – ფიზიკური დატვირთვების სიმცირით არათანაბარი კვებით, ვერ ვანვითარებთ, ვერ ვინარჩუნებთ ბუნებით ნაბოძებ ხარისხობრიობას.

თქვენი სხეულის რეალური შესაძლებლობების განსაზღვრა და მკლავებზე აზიდვების მეთოდების არსენალის ეფექტურად გამოყენება გარკვეულ ეტაპზე (მაგ. 6 თვის შემდეგ) დაგეხმარებათ განსაზღვროთ თქვენი სხეულის აგებულების ტიპოლოგია. ადამიანის ინდივიდუალობის მრავალნაირობის მიუხედავად, ანსხვავებენ 3 ძირითად კონსტიტუციურ ტიპს: ენდომორფულს, ევტომორფულს და მეზომორფულს. ენდომორფულ ტიპს ახასიათებს მძლავრი ძვლის სისტემის ჩასკვნილობა, კანქვეშა ქონის დაგროვების მიმართ მიღრეკილება, რის გამოც ფორმა გვეჩვენება გასწორებული.

ევტომორფული ტიპი წვრილძვლიანია, როგორც წესი, ცხიმის ზედმეტობა არ ახასიათებს, გამხდარია და აქვს უფრო დაგრძელებული პროპორციები.

მეზომორფული ტიპი ათლეტურია, უფრო პროპორციული, კანქვეშა ცხიმის ინარჩუნებს ნორმასთან ახლოს, კუნთების სისტემა კარგად გამოიყურება და იტანს დატვირთვებს.

თითოეულ აღნაგობას აქვს თავისი უპირატესობები, მას სწორი გამოყენება უნდა. თუ თქვენ ყოველივე იმის გაკეთებას შეძლებთ, რასაც აღნიშნული მეთოდიკა გკარნაზობთ, 6 თვის შემდეგ შეატყობთ თავს, რომ ის სისუსტენი, რაც თქვენ გქონდათ ორგანიზმში, თანდათან მცირდება, ხოლო კიდევ სამი თვის გასვლის შემდეგ – საერთოდ ქრება.

ზემოთ აღნიშნული მეთოდიკით თქვენ ყოველდღიურად მოგიწევთ დაახლოებით 30-45 წუთით ვარჯიში, სერიებს შორის 1 წუთიანი დასვენებით, საერთოდ კი პიროვნება ინდივიდუალურად არჩევს დასვენების დროს გულის დალლილობის მიხედვით. ვინაიდან ეს ვარჯიში გულისათვის სხვა ვარჯიშებთან შედარებით რთულია. ყოველთვის უნდა დავიცვათ რეჟიმი, რომელიც გულს არ გადაღლის.

### **გვლავებზე აზიდვების სისტემატიური ვარჯიში იძლევა**

#### **გულის გულებს:**

- მთელი სხეულის პროპორციულად განვითარებას, მასის მატებას;
- გულმკერდის არის განვითარებას (ზრდას), კუნთების, მათ შორის მხრის კუნთების გაფართოებას;
- მხრის დელტის განვითარებას;
- ძალის ზრდას;
- ბიცეპსების (მკლავის მომხრელი და გამმართველი კუნთები) ზრდას;
- თეძოს კუნთების განვითარებას;
- ბარძაყების განვითარებას;
- წვივის კუნთების განვითარებას;
- მუცელის პრესის კუნთების განვითარებას და სხვ.

ყველა შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას თქვენი სამუშაოს ხასიათი, პირადი გატაცება, თავისუფალი დრო და სხვ. წარმატებები ბევრად არის დამოკიდებული ნებისყოფაზე.

### **ცოლგჯერიდან მალავებზე აზიდვების ინტენსიური ვარჯიშების**

#### **დაცემამდე გირჩევთ გაიაროთ მომზადების 3 ეტაპი.**

1. ფიზიკური მომზადება, რომელშიც შედის მსუბუქი დატვირთვა და სუნთქვითი ვარჯიშები, უნდა გაგრძელდეს 1-1,5 თვე;
2. აზიდვების მსუბუქი რეჟიმით ვარჯიშების პერიოდი 1-1,5 თვე; თითო სერიაში უნდა აიზიდოთ 3-5-ჯერ პირველი 15 დღე; სულ შეასრულეთ 10 სერია; 5-10-ჯერ – მესამე 15 დღე, აქაც 10 სერია. მეორე პერიოდში ხდება აზიდვებთან ერთად სუნთქვითი ვარჯიშების დამუშავება.
3. მესამე პერიოდში მოვარჯიშე თვითონ განსაზღვრავს სერიაში აზიდვების რაოდენობას შესაძლებლობის მიხედვით. პირველი 15 დღეს არ უნდა გადააჭარბოს. სერიათა რიცხვი უნდა გაზარდოთ 15-მდე, მესამეში – 20-მდე, ხოლო შემდეგ თქვენი შესაძლებლობებით ზრდით თითოეულ სერიაში უნდევეტი აზიდვების რაოდენობას.

თუ გვიცდა, რომ ჯანმრთელობის შეძენასთან ერთად განვაკითაროთ ჩვენი ტანის სიღამაზეც, გაშინ უცდა გავითვალისწინოთ შეგდები: მათ ვინც წონას იმატებს ნელა და უჭირს კუნთების მოცულობის გაზრდა, საჭიროა თავიდანვე განვსაზღვროთ ხელისშემშლელი მიზეზები, კერძოდ:

1. კვების არასწორი რეჟიმი – სპორტსმენი ან პაციენტი არ იკვებება ერთი და იგივე დროს და არ იღებს კალორიულ საკვებს (ორგანიზმი არ იკვებება ხარისხიანი ცილოვანი საკვების საკმარისი რაოდენობით, არასაკმარისად მოიხმარს ნახშირწყლებს და ცხიმებს, ვიტამინებს და მინერალურ საშუალებებს);

2. ხანგრძლივი, გადამღლელი ვარჯიშები, დასვენებისა და ძილის ნაკლებობა ხელს უშლის კუნთების ზრდას;

3. სუსტი ნებისყოფა, ცუდი ფსიქოლოგიური მომზადება.

კუნთების ზრდისათვის აუცილებელია ცილები, რაც წარმოადგენს უჯრედების სამშენებლო მასალას: ცილები ორგანიზმში იშლებიან მონომუავებად, რომლებიდანაც თავის მხრივ წარმოიქმნებიან ახალი მოლეკულები. არსებობს 22 სახის მონომუავა, მათ შორის 10 დამოუკიდებელია, მათ ორგანიზმში არ შეუძლიათ ერთმანეთთან სინთეზი.

აზიდვებში ინტენსიურმა მოვარჯიშებ უნდა მიაღწიოს დაახლოებით ერთი გრამი ცილა 2,5 კგ წონაზე. ნახშირწყლები და ცხიმები ხელს უწყობენ ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას და წარმოადგენენ ენერგიის ძირითად წყაროს. არსებობს ენერგიის ცვლის ორი სახე: ანაბოლიკური რეაქციები – უჯრედების დაშლა ენერგიის გამოყოფისათვის. უნდა მივაღწიოთ ანაბოლიკური რეაქციის უპირატესობას, რისთვისაც საკვები უნდა მიაღწიოთ, რაც შეიძლება კალორიული და დასარჯულ ენერგიასთან შედარებით, რასაც თქვენ ხარჯავთ ვარჯიშის დროს...

**მე ვარ ჯანმრთელი ცხოვრების ცენტრი  
და მიმღევარი, გამომიერთდით!**

როგორ დაპატიჟებოთ  
ნადრევი სიპერე  
პუმპარ ლეჟავას  
„ჯანმრთელობის ცორმულა“  
გეთოდიკა

ა. თბილისი  
2010

—• გამარჯვება •—

# პოეტის თვალით ლანახული

## ჯუმბერ ლეჟავა

..... — — — .....

გულნაზ ხარაიშვილი

### დიდ მოგზაურს ჯუმბერ ლეჟავას

შენ არაერთხელ მოკვდი, ცოცხალო,  
გზა ეკლიანი აირჩიე სამოგზაუროდ,  
და ცხრანლიანი, გადამღლელი ეს ეპოპეა,  
უფლის კურთხევით გაიარე და... კვლავ ხმაურობ...  
მშვიდობის დესპანს შეგეგება მთელი მსოფლიო,  
თან მოგიქარგა უკვდავების კოხტა მანტია.  
შენი სახელი დედამიწას ვარდად მოჰყონე,  
სიყვარული ხომ შენი გულის ანდამატია.  
ვლოცულობ შენთვის, თავდახრილი ხატის წინ ვდგები,  
გაბრწყინებული იბერიაც შვილს ლოცავს თვისას,  
ეპა ქართველნო! ანთებული, მომავლით ვტკბები,  
ერო იხარე, ეს ხომ დიდი მადლია ღვთისა.  
სამყარო ფეხქვეშ დაგფენია ფიანდაზებად,  
სასწაულების დავიჯერე, რაც შენ გინახავს,  
მსოფლიოს რუქას ამშვენებ კვალი ხაზების,  
მაგ შენს გმირობას ისტორია შემოინახავს.



### გრაალის რაინდი

გრაალის რაინდს მსოფლიო ეძებს...  
არადა იგი ჩვენ გვერდში დადის.  
არც გინდათ ფიქრი, ნურც კაფავთ ძეძვებს...  
გთხოვთ მის ძებნაში დრო ნულარ გადის,  
განსხვავებული გულით და გრძნობით,  
ღვთის სიყვარულით გზა რომ დაჯეგა.  
მას წმინდა სული მოყვება ყრმობით,  
და ბევრჯერ რწმენით სიკვდილს აჯობა.  
არ მაქილიკოთ ამ ცნობისათვის,  
და არც ატეხოთ აურზაური...  
გამოიცანით?! მსოფლიო იცნობს  
ქართველი არის ეს მოგზაური.

## მოგზაურს

### ბ-ნ ჯუმბერ ლეჟავას

შენ დაგყვება წარსულიდან სინანული,  
თუმცა ყველგან წრფელი გული დაგაქვს,  
გინდა ყველას უწილადო სიყვარული,  
დიდ მტკვარს, იორს, ჭოროხსა და არაგვს.  
უფლის კალთა, მისი მადლი დაგდევს,  
დედის ტკბილი ძუძუ გინოვია,  
სულ სველდები, გაწვიმს, კიდეც გათოვს,  
თუ რამე გაქვს ბრძოლით გიშოვნია.  
ჩემი კალმით მინდა ცრემლი შეგიმშრალო,  
შენში წვლილი შევიტანო ეგებ,  
ვცდილობ შრომა არასოდეს დაგაყვედრო,  
საქართველო კვლავაც გზებზე გეძებს.  
დაისია, მზემ პირბადე გადაიძრო,  
ალაზანის ტალღა გულში გიკრავს.  
და ზვირთებში, დარდის ფიქრი ხომ დაიყო.  
საიდუმლო წყლისთვის რატომ გითქვამს,

ბალში ვარდი ისევ – ისე დაიდარდებს,  
ელოდება შენს გაქროლილ სიოს,  
მგზავრობის დროს სევდას გულში დაიგროვებს,  
ცოლის სულმა გზებზე რატომ გდიოს.  
სურს მას გახდეს ტკივილების მოზიარე,  
სატრფიალო გრძნობის უწყვეტ სუნთქვად,  
კვლავ თუ ასე მოგზაურო სულ იარე,  
ცის ხომალდსაც დაეწევი ზუსტად.  
არ გაგტეხოს ჯავრმა, ერის დარდმა  
ჩვენ გვჭირდები კვლავ ცოცხალი ისევ...  
სიყვარული შეინახა ვარდმა  
სურნელებას ალბათ გზაში მისდევ...  
ხის ტოტებზე ჩიტუნები ჭიკჭიკებენ,  
მოგზაურზე ჭყლოპინობენ ამბავს,  
შენს იდეებს არასოდეს იწუნებენ,  
სისწრაფით კი გამგვანებენ არაგვს.

### ნახვედი

#### (მოგზაურს ჯუმბერ ლეჟავას)

ნახვედი, გაგყვა ცოლის სული, შენდა საამოდ,  
წყურვილს გიკლავდა, სიყვარულით დაგფოფინებდა.  
ზოგჯერ ტკივილი, შენს უჩუმრად იმან გაავდო,  
გზებზე ხიფათზეც შეუმჩნევლად გატყობინებდა.  
ერს, რომ უჭირდა იმან გამცნო, ტკივილი ალბათ  
სამშობლოს მწუხრით, ცრემლებს ყრიდა იქნებ კიდევაც,  
ბორჯომის ნაძვის ცეცხლის ალით, მყინვარიც გალღვა,  
ტაძრებს ძარცვავდნენ და ლანძღავდნენ, უფლის მიმდევართ,  
როს ჩამოხვედი, დაგიმძიმდა გული ისევე,  
შენ დესპანი ხარ, მშვიდობისთვის თავს არ იზოგავ,  
აქ ჩრდილო ძმები უსამართლოდ დარდებს გისევენ,  
ჯერ ისეც რა გვაქვს და მიწები მათგან იყოფა.





მარინა ყიფიანი

### კუმბერ ლეჟავას ხსოვნას!

ჯ-ერაც არ მინდა დავიჯერო „მეხის გავარდნა“,  
უ-ლმობელ სიკვდილს თუ შეეძლო მისი დაჩაგვრა,  
მ-რავალი ჯილდო-რეკორდებით უბადლო სპორტსმენს,  
ბ-რმა ბედისწერამ უღალატა, როგორ დაჯაბნა.  
ე-რის და ქვეყნის სასახელო მამულიშვილო,  
რ-აგულმა უნდა აიტანოს შენი დაკარგვა,  
ლ-აუგარდ სივრცეში ზეცას ასწვდა სული ძლიერი,  
ე-მახსოვრები ქართველობას და არ დაგკარგავს.  
უ-ამთა ცვლა სახელს დანატოვარს ვერას დააკლებს,  
ა-ხალ თაობას გაუნათებს გზას მომავლისას,  
ვ-ამაყობ, მეც იმ საქართველოს ერთი შვილი ვარ,  
ა-სეთ ვაუკაცებს რომ იგლოვებს ჩვენგან წასვლისას.





ნაილი ხარაიშვილი

## მსოფლიო მობზაურ ჯუმბერ ლეჟაგას წსოზნას

ბევრჯერ გინახავს მზის ჩასვლა ჯუნგლში,  
 და შეხიზნულსარ თავშესაფარში მოთმინებისა,  
 რა სიძლიერის სიკეთე კრთოდა მაგ თვალებიდან!  
 შეპყრობილივით გზას გითმობდა ხროვა მგლებისა..  
 შენს დანახვაზე გადიქცეოდა ვეფხვი კეთილად,  
 შემოსილ მაუგლს მოგელოდნენ ტყის ბინადარნი,  
 ტოტს განოლილი, გილიმოდა შავი ავაზაც,  
 შენს სტუმრობას აგრძნობინებდა ხმა შინაგანი.  
 მეგობარივით ტაშს გიკრავდა არწივი ციდან,  
 ცელქი მაკაკა ლიანისგან გიქსოვდა ჰამაკს,  
 ლეოპარდების ოჯახებსაც რომ შეხვდებოდი,  
 გესალმებოდნენ სათითაოდ ლამაზს და ამაყს.  
 მგალობელ ჩიტთა გაოცებდა გაორკესტრება,  
 ვით ცისარტყელა, თუთიყუშთა ირაო ცაზე,  
 ველურ ბუნების ეგზოტიკას სიღრმით სწვდებოდი,  
 სიყვარულს ჰავენდი მოგზაური მსოფლიოს გზაზე.  
 ვერ გაუძლებენ ყვავილებიც შენს ზეცად ასვლას,  
 მათგან ნაკმევი სურნელება გამოგაფხიზლებს,  
 შენთვის მოქარგულ ფიანდაზზე დაგავანებენ,  
 მათთან ერთად გვემშვიდობები ჩვენც, ძმადნაფიცებს.  
 შავით მოსილა ველოსიპედის ორი ბორბალიც,  
 ორთავ სოფელში ნათლით გიბრწყინავს ძლიერი სული,  
 წინა ბორბალით გულში დარდებს, ფიქრებს იხვევდი,  
 და,  
 მეორე კი...  
 დაგყვებოდა, როგორც წარსული.



## მოგზაური ჯუმბერ ღევავა



ნინო შატავაძე

საოცარია, გასაკვირია,  
კაცი, რომელიც გადაირია,  
რა იყო შიში, მან არ იცოდა,  
მხოლოდ სურვილით მუდამ იწვოდა.  
არად ჩააგდო ქარი და თქეში,  
ველოსიპედით იარა ეშით,  
შემოიარა თითქმის მსოფლიო,  
იქნება გზანი სწრაფად მოლიოს.

ან ვინ ურჩია, – დახედა რუკას,  
უცხო ქვეყანა სხვაგვარად უკრავს.  
– ეს გინერია ნამდვილად ბედით,  
ივლი პატარა ველოსიპედით!  
რუსთაველზე თუ უქმად იდექი,  
და არავისი გქონდა იმედი,  
ხომ იყვნენ დიდი მოგზაურები  
და სურვილები ჰქონდათ ულევი!?  
ერთხელ გვიამბო: სიზმარი ვნახე,  
ჩემი მეუღლის ნათელი სახე,  
მითხრა: გაბედე, წადი, ძვირფასო,  
აქ უდარდელად ნულარ ზიხარო!  
– მეც დავიჯერე, და ამის შემდეგ,  
ველოსიპედით დიდხანს ვიარე,  
ორასზე მეტი ქვეყანა ვნახე,  
ვერვინ დამიგო ბოროტად მახე.  
მახსოვს სიცხე და მახსოვს ზამთარი,  
მე ვარ ქართველი და ვარ ამტანი,  
მეგობრისა და ძმობის გამტანი,  
გვიცავს უფალი, გვიცავს ტაძარი,  
გინესის წიგნში მოეხვდი ქართველი,  
მოდით ამინთეთ ოქროს სანთელი!..





მზიური დათიაშვილი-აფციაური

## საქართველოს აღმიანის

### კუმბერ ლეჟავას

შენ დიდება ხარ დიდებათ შორის,  
უფლისკენ სავალ გზების დესპანი,  
შენ შემოგყურებს მთელი საუნჯე:  
ერი და მისი ქველი მცველ-სპანი...  
ვინ არ გიშვილა დიდი სპორტსმენი,  
ბუნების დამცველ ელჩად მიგიხმო  
გინესის მრავალგზის რეკორდსმენი  
მსოფლიომ დიპლომატად მიგიღო...  
ცხრა წელიწადი მოგზაურობდი,  
მრავალ პრემიის ხარ ლაურეატი,  
გორგასლის პირველ ხარისხის ორდენს,  
ფლობ, ერს პატრონობ ვით აიეტი...  
და საპატიო შენ, მოქალაქეს,  
სხვადასხვა ქვეყნის, თბილისის მეტად,

ნიკოლაძის და ჯავახიშვილის  
მედლების მფლობელს, კაცს შემდგარს კენტად,  
როს ამერიკის თავისუფლების  
ოქროს მედალი გიმშვენებს მკერდს და  
ბიოგრაფიით დაიმსახურე ბუნებით თბილმა  
შენს სულთან ერთად!..  
5ა აკადემიკოსს, უფლის სიწმინდის  
გზაზე შემდგარსა  
ევროპის ასეთ ბიოგრაფიულ  
ცენტრის მართვაში ელჩს ბჭედ შემდგარსა,  
ბუნებამ მცველად, რომ გაღიარა  
წარჩინებულთა გზათა მსტოვარი,  
აკადემიის „ათინათელთა“,  
ხარ ამ სამყაროს მონაპოვარი!..

## პატონ ჭუმბერ ღევავას ხსოვნის!

ჯუმბერ! – კაცურ კაცს ბადებს ბუნება,  
ტიტანურ ძალებს ღმერთი ქმნის მასში,  
უფალმა შენი გარჯა ინება,  
და დარწმუნება საკუთარ არსში...  
ძვალ-რბილში გამჯდარ სამშობლოს წუხილს,  
დაატარებდი მრავალი წელი.  
ეგებებოდი ყველა მის ქუხილს,  
მიგინვდებოდა სადაც კი ხელი....  
ტრფიალი იყავ სამშობლო მინის,  
და წარმომჩენი მისი დიდების,  
ეს თავდადება ქვეყანამ იცის,  
სურვილს გიძლვნიან ზმათ დაჭიდების,

თესალიაში ოლიმპოს მწვერვალს,  
ქართულ ულუმბოს აჩირალდნებენ,  
და შენს დიად სულს – ლოცვით მაწევარს  
ქართველთა მხსნელად აღიარებენ!  
დიდი ღვანლის წილ უფალი ბრძანებს:  
გასაოცარი სულის ძიებას;  
ალალმართალთა სულისძახილი,  
აღმსარებელთა ეპატიება!  
შენ თვით ბუნებას, ბუნებქა გრაცხდა:  
მისგან წარგზავნილს მსოფლიოს მსტოვრად,  
კაცნი ვართ ყველა... მაგრამ უფალმა,  
სამშობლო გიძლვნა შენ მონაპოვრად.

14.10.2017.



ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე



### ეუმბერ ღევავას

კრძალვით გიხსენებთ ვოიაჟს,  
რაც მიგვატოვეთ ბატონო!  
აქ დატოვებულ ლეგენდა,  
ავტორიტეტის პატრონო!  
თქვენი დიდება კვლავ გვმოძლვრავს,  
ქართველს, თუმც დროა გასული,  
ძირს დედამიწის დამლაშქრი  
ზეცად უკვდავ ხარ ასული.  
დიდ ველოსპორტის გენიავ,  
გმოსავს გინესის პიარი,  
ლეჟავას აკადემია  
„ათინათ“ მბრნყინავი არი.





ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე

ვუძღვნი ბატონ ჯუმბერ ლეზავას...

### ალექსანდრე მოლის ლა პიროვნებას რჩებს

ადამიანი მოდის და  
პიროვნებად რჩება,  
დრომ დაიჩიქა მის წინ  
დრო-დროში მოგონება.  
გზადაგზა მიზანს აღწევს  
გამოცდილებით ხვდება  
ტკივილით სიკვდილს ითმენს  
სიცოცხლე იბადება.  
მიზანსწრაფვაა დროში  
რთული მომენტის ძლევა,  
უსასრულობის განცდით  
საკუთარ თავსაც სძლევდა.  
განვლო რა ჯოჯოხეთი  
ავტორიტეტი შერჩა

სიწმინდის კუთვნილება  
უფსკრულზე გამარჯვება.  
სიკვდილის პირას მყოფმა  
დასძლია ყველა ტკივილს  
ანალიზია სიბრძნე  
მარადისობის ფორმის.  
ამ მოგზაურის ფიქრი  
ნაქსოვი ტანჯვის გზაზე  
ქვეყნის სიღრმეებს ითვლის  
და მომავალსაც ავსებს.  
პიროვნებაში დარჩა  
შთამბეჭდავი აქვს დღენი  
უკვდავებაში გასვლა  
მოგზაურობის გზებით.



ჯონდო კიკნაველიძე

### ჯუმბერ ღევავა

**ჯ**-ვარი აიღეთ და ატარეთ, საკუთარ მხრებით  
**უ**-ფლის დიდებით შემოატარეთ მთელს დედამიწას  
**მ**-ისი წყალობით, ამ ქვეყანას პევრს მიაღწიეთ  
**ბ**-ევრჯერ ჯვარმა განსაცდელისგან თვითონ დაგიხსნათ  
**ე**-ხლაც დადიხხართ და თქვენი სულით სამყაროს უვლით,  
**რ**-ომ ერთსულოვნებით, მთელი მსოფლიო გაერთიანდეს.  
**ი**-სე ვით, როგორც უფალი ჯვარით გვაერთიანებს.

**ღ**-ურჯი ციდან, მზე დანათის ჩვენს დედაქალაქს,  
**ჟ**-ამაყება, თქვენი სახელით და ეფერება  
**ჲ**-ინი ქართველის, მომავალის, რწმენის, იმედის,  
**ტ**-მქვეყანაში, არასოდეს არ წაიშლება.  
**ფ**-არდმა იხაროს, თქვენს საფლავზე მარადიულად.  
**ქ**-ლდგომა გქონდეთ, სამარადისოდ სულის ლირსებად.





მანანა ზაზიკაშვილი

## ახლა ცაში ხარ

## ჯუმბერ ლექსას

თუკი არსებობს რამე იმ ქვეყნად,  
შენი მღოცველი ვარ და ვიქნები,  
სამებაში რომ ლექსს ვკითხულობდი,  
ცაში ფრინავდა ჩემი ფიქრები.  
რა აღტაცებით დამიკარ ტაში,  
გული საგულეს ალარა მქონდა,  
ღმერთს გადარებდი, ტაძარში მაშინ,  
ჩემი სული ხომ ცაში დაჰქროდა.  
ახლა ცაში ხარ, სამადლობელი,  
ბატონო ჯუმბერ, მიიღე ცაში,  
მთელი მსოფლიო გააოცე და  
მეც სიხარულით დამიკარ ტაში!  
როგორ მაქებდი, ბატონო ჯუმბერ,  
„ყველაზე კარგი პოეტი ხარ“!!!  
დამილოცნიხარ, მუდამ და ყველგან,  
შენ მონაგარმა მარად იხაროს!!!

## საოცარი გმირი

## ჯუმბერ ლექსას

საოცრებათა მხილველო,  
გმირი ხარ, აბა რა ხარ,  
მთელ მსოფლიოში, სულ მარტო,  
ველოსიპედით დახვალ.  
გულში მზის სხივი გინთია,  
ენით სამყაროს მოხრი,  
ხმალი, ხანჯალი კი არა,  
თან არც კი დაგაქვს ჯოხი.  
გენიალური ტვინი გაქვს,  
ენით დააბამ აქლემს,  
მსოფლიოს შემოუარე,  
აწყობილი გაქვს საქმე.  
მთასვლელიც მარდი ყოფილხარ,  
ჯომოლუნგზედაც ახველ,  
სწრაფი, ამტანი, ხელმარჯვე,  
აოცებ ყველა მნახველს.  
წმინდა სამების ტაძარში,  
იმ ზღვა ხალხში რომ მაქე,  
იხარე, იბედნიერე,  
ბრწყინავდეს შენი საქმე!!!

01.03.2014






ლეილა ვადაჭკორია

### ჯუმბერ ღევავს

მთელ დედამიწას გადაწვდი  
ყველგან თქვი შენი სათქმელი,  
მეგობრობის ხიდს აგებდი  
ქართველი ერის სახელით.  
უდაბნოს ხვატსაც გაუძელ  
დალაშქრე კონტინენტები,  
გრიგალსაც ბევრჯერ ეომე,  
ბევრჯერ იხილე ედემიც.  
არჩევანს რა დაგილევდა,  
იქნებ ღრუბლებშიც გეფრინა,  
შენ კი შუქ-ჩრდილად გულ-მკერდზე  
სულ საქართველო გეფინა.





თემურ გოქსაძე

### მოგზაური

მარადიული ვარ მოგზაური...  
სხვა დროში ყოფნა,  
მრავალჯერ ვიგრძენ...  
დადგენილია ღვთის საზღაური,  
სიკვდილი სულ სხვა  
დატვირთვას იძენს!..  
ღვთის მორჩილება ძლივს დავიმკვიდრე,.  
სულმა და გონმა ხიფათი იგრძნეს!...  
ცოდვა და ჭმუნვა, არის სიმდიდრე,  
სამყარესეულს ვაგროვებ, სიბრძნეს!!!  
სიყვარულია, რაც მაბადია,  
ყვავილებივით, ვარიგებ სითბოს...  
ყველა ხეთისაგან დანაბადია,  
ბოროტისაგან გამოხსნას ითხოვს!!!  
დავალ და დღემედე – ნათქვამს და საქმეს,  
თავისუფლების სასწორზე ვწონი!...

უსაზღროების ხატი მაქვს, აქ, მე-  
სვეტისცხოველი თუ პეტრიწონი\*!!!  
წუთისოფლის ხმა, როცა მიწყდება,  
სამჯავროს კართან, მცირედ ვისვენებთ?!  
ბევრი რამ მართლაც დაგვავიწყდება,  
თუმცა სიყვარულს,  
ყველგან ვიხსენებთ!!!  
ღვთაებრივ არსში – გადაწყვეტილი,  
მიიღო უცებ – მართლაც რთულია!...  
თვითონვე არის ათვლის წერტილი,  
რაც, ჩვენი აზრით, დასასრულია!!!  
და ამიტომაც, რწმენით სულს ვივსებ,  
აღარ ვსამ, კითხვებს –  
ვინა ვარ? – რა ვარ?  
მომიწევს რიგი და მოვალ ისევ –  
მარადისობის ფერხულში ვდგავარ!!!



## ინტერვიუ უკავშირი

### ინტერვიუ მოგზაურ ჯუმბერ ლეზავასთან



**- რაზე ოცნებობდით ბავშვობაში?**

- ვოცნებობდი გავმხდარიყავი მეზღვაური. მახსოვს, ჩვენთან ახლოს იყო რკინიგზა, რომლის „შპალებიც“ წყალში ეყარა. მასზე ვდგებოდით ბავშვები და დავცურავდით. იმ დროს თავი გემის კაპიტნად წარმომედგინა.

სკოლა რომ დავამთავრე, ჩავაბარე ლენინგრადის საზღვაო აკადემიაში, მაგრამ დედა გარდამეცვალა, ჩემს დას მარტო ვერ დავტოვებდი და იძულებული გავხდი სწავლა გამეგრძელებინა თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში. დავამთავრე მათემატიკის ფაკულტეტი - გამომთვლელი მანქანებისა და ზუსტი ხელსაწყოების სპეციალობით. კიბერნეტიკოსი ვარ.

დღეს მე მოგზაური უფრო ვარ, ვიდრე მეცნიერი. თუმცა, მეცნიერებაშიც საკმაოდ დიდი მიღწევები მაქვს. ვმუშაობდი სამეცნიერო ცენტრებში, გამოთვლით ცენტრებში, სადაც ილია ვეკუა იყო ჩვენი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, მაქვს ნაშრომები კიბერნეტიკაში, ვარ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და ა.შ.

**- ბატონო ჯუმბერ, თქვენ უდიდესი ლვანლი მიგიძლვით ქვეყნისა და მსოფლიოს წინაშე. როგორ მიაღწიეთ, რომ დღეს საყოველთაოდ ცნობილი ადამიანი ბრძანდებით?**

- რომ არა სპორტი, ალბათ, მოგზაური ვერ გავხდებოდი. ხუთ სახეობაზე დავდიოდი - მქონდა საკმაოდ დიდი მიღწევები, მაგრამ იგი ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა, სულ ვცდილობდი თავი მეცნიერული კუთხით, კიბერნეტიკაში წარმომეჩინა, მაგრამ მოხდა ისე, რომ შემექმნა, ჯანმრთელობის მხრივ, სერიოზული პრობლემები და დავინუ განკურნებაზე ფიქრი. მივაღწიე იმას, რომ დავამყარე 11 მსოფლიო და გინესის რეკორდი. საქართველოდან პირველი ვარ გინესის რეკორდსმენთა წიგნში. შეიძლება ითქვას, რომ, ზოგადად, გინესის მოძრაობა არა მარტო საქართველოში, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც კი ჩემი დაწყებულია, რადგან დიდი პროპაგანდა გავწიე ამ კუთხით.

**- რასთან იყო დაკავშირებული თქვენი მოგზაურობა და მიაღწიეთ თუ არა მიზანს?**

მოგესალმებით, ბატონო ჯუმბერ! ბევრი რამ მსმენია და წამიკითხავს თქვენ შესახებ, მაგრამ გაცილებით საინტერესოა ყოველივე ამის მოსმენა თქვენგან; ნება მიბოძეთ, რამდენიმე შეკითხვა დაგისავათ:

**- ბატონო ჯუმბერ, გთხოვთ მოგვიყვეთ თქვენი ბავშვობის შესახებ.**

- ბავშვობა რთული მქონდა, ის ომის მძიმე დღეებს დაემთხვა, არც შემდგომი პერიოდი იყო სახარბიელო. ფიზიკურად ძალიან სუსტი ბავშვი ვიყავი. სკოლაში რომ შევედი, დავინუ ჯანმრთელობაზე ფიქრი, ტანცარჯიშზე დავდიოდი. სკოლისა და ეზოს მეგობრებთან ერთად ბევრს ვმეცა-დინეობდი და ვთამაშობდი.

- რთული პროცესი გავიარე ჯანმრთელობის აღსადგენად, ამ მოგზაურობას დავარქვი ადა-მიანის ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გამოცდა ექსტრემა-ლურ პირობებში. ჯერ ერთი, ექსტრემალური იმიტომ იყო, რომ მე

ნახევარი ორგანოები ამოკვეთილი მქონდა, მეორე - რომ მე სპორტის ურთულეს სახეობაში დავამყარე ძნელად მისაღწევი რეკორდი.

ჩემ წინაშე დაისახა ამოცანა, გამომეცადა ადამიანის შესაძლებლობები ექსტრემალურ პი-რობებში და შემესწავლა ადამიანის შესაძლებლობებს ჰქონდა თუ არა ზღვარი, სწორედ ამ დროს, მეგობრის შვილმა, რატი კიკაჩიშვილმა მირჩია შემომევლო მსოფლიო ველოსიპედით, ვი-ნაიდან მქონდა სათანადო გამოცდილება, ძალა და გამძლეობა. თითქოს სხვისგან მივიღე ფორ-მულა, რომლის ამოხსნაც ჩემზე იყო დამოკიდებული. სწორედ, ასეც მოხდა, დავწერე პროექტი, პროგრამა და განვახორციელე. მაშინ შევძელი შეუძლებელი, რაც, ჯერჯერობით, არავის გაუკე-თებია და სავარაუდოდ, ვფიქრობ, არავინ გააკეთებს.

- იმ მრავალი ქვეყნიდან, რომელშიც იმოგზაურეთ, რომელმა მოახდინა თქვენზე დაუვინარი შთაბეჭდილება?

- მოგზაურობისას თითქმის ყველაფერმა დაუვინარი შთაბეჭდილება მოახდინა, მოგზაური ყოველთვის ცდილობს ყველა მომენტი დაიმახსოვროს. ამოტომ, ჩემთვის, გარდა სახელმწიფოე-ბისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათი კულტურული შესწავლას, პიროვნებთან შეხვედრებს და



- თქვენი სამომავლო გეგმები, ხომ არ აპირებთ ჩამოაყალიბოთ მოგზაურთა კლუბი და თქვენი გამოცდილება გაუზიაროთ ახალგაზრდებს?

ა. შ. ყოველივე ეს დიდ შთაბეჭდილებებსა და ინფორმაცი-ებს მაწვდიდა, აქედან გამომდინარე, გამაჩნია დიდი ინტე-ლექტურულური საკუთრება, ჩამოტანილი დღიურების, დო-კუმენტების, ფოტო და ვიდეომასალების სახით. ყოველივე ამის საფუძველზე მინდა შევემნა კიდევ ერთი ინფორმაცი-ული მასალა, რომლის მსგავსიც ჯერ არ შექმნილა: 50 ტო-მი მოგზაურობის შესახებ, ენციკლოპედიის სახით.

- თქვენი ცხოვრების დაუვინარი დღე.  
- ცხოვრებაში ბევრი დაუვინარი დღე მქონდა, ზოგი უსიამოვნო, ზოგიც სასიამოვნოდ მოსაგონარი.

მამის გარდაცვალება, თუმცა არ მახსოვს, ვინაიდან ძალიან პატარა ვიყავი. დაუვინარია დედის გარდაცვალე-ბა, თან ძალიან რთულ მომენტში, როცა ბავშვს მშობლის თანადგომა ძალიან სჭირდება. როცა სკოლა დავამთავრე და ჩავირიცხე უმაღლეს სასწავლებელში, სწორედ მაშინ დამაკლდა იგი. დაუვინარი იყო ჩემი დაოჯახების დღე, შეიღების დაბადება.

ასე რომ, ეს დღეებია დაუვინარი, რეკორდები კი შე-მიძლია კიდევ გავიმეორო.

- ჩაგიბარებიათ ცხოვრებისეული გამოცდები?

- ჩემი ცხოვრება კურიოზებით არის სავსე, ღმერთი ყველანაირ გამოცდას მიწყობს, მე კი ვცდილობ ყოველივე დავძლიო. ბოლო გამოცდა ჩემთვის შვილის გარდაცვალება იყო, რაც ძალიან ძნელია მშობლისათვის. სამი წელია ვიბ-რძვი იმისთვის, რომ დავიბრუნო სულიერი და ფიზიკური სიძლიერე, მაგრამ, ჯერჯერობით ვერ შევძელი

- ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული მოგზაურთა კლუბი, თუმცა, არ გვაქვს მხარდაჭერა სახელ-მწიფოს მხრიდან. კლუბს გააჩნია უამრავი პროექტი, რომლის განხორციელებაც გვიჭირს, მაგალითად, პოლარულ წრეზე უნდა წავსულიყავით სამოგზაუროდ, მაგრამ, სამწუხაროდ, დაფინანსება ვერ მივიღეთ. ახლა მყავს პროდუსერი, რომლის ორგანიზებით ჩვენ ვგეგმავთ შემოუაროთ ევრაზიას ხელმეორედ. ადრე თუ ვსწავლობდი ადამიანის შესაძლებლობებს, ახლა ეს იქნება დამობილების პროგრამა. ასე რომ, ძალიან საინტერესო მოგზაურობა გველის.

**- რას ურჩევდით მომავალ თაობას?**

- მომავალ თაობას ვურჩევ ისწავლონ კარგად, შეიყვარონ სამშობლო და გახდნენ სრულყოფილები, მცოდნენი. XXI საუკუნე ინტელექტუალების საუკუნეა. მიზნის მისაღწევად დიდი ცოდნაა საჭირო.

ბავშვებს ვურჩევ საინფორმაციო ტექნოლოგიები გამოიყენონ, მაგრამ წიგნები არ დაივიზუონ, თუკი ისინი დროს საჭიროებისამებრ გაანაბილებენ, მეტ ცოდნასაც მიიღებენ და ჯანმრთელობასაც შეინარჩუნებენ.



### გულნაზ ხარაიშვილი



აკადემიის ჩამოყალიბების იდეა მე მეკუთვნის. საფიქრალი იყო ის, რომ შეიძლებოდა ცოცხალი ადამიანის სახელობის კულტურის კიდევ ერთი კერის დაარსებას რაიმე დაბრკოლებები შეჰქმნოდა, მაგრამ ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი მცდელობა კარგად დასრულდა და აკადემიის არსებობა, დღეს, თავისი საქმიანობით ცხადყოფს, რომ დროული და საჭირო იყო მისი შექმნა.

ბატონი ჯუმბერი, საქართველოსა და მთელი მსოფლიოს გამორჩეული პიროვნება, მრავალი ღირსებითაა დაჯილდოებული. ის ძლიერია, როგორც მოგზაური, სპორტსმენი, ადამიანი, მეგობარი, მოქალაქე...

**მრავალპრიფლიანი უურნალ „ათინათის“ რედაქტორი ბრძანდებით. რა წარმოადგენს თქვენს მისიას, როგორც რედაქტორის, რისი მიღწევა გსურთ ამ საქმიანობით?**

უურნალი მრავალ სფეროს წარმოაჩნის. აქ თავმოყრილი და თემატურად განლაგებულია სხვადასხვა სპეციალობა. ამ ორგანოს აუცილებელ მისიას წარმოადგენს სამეცნიერო — შემცნებითი საკითხების გაღრმავება, პოეზიისა და პროზის პოპულარიზაცია, მომავალი თაობების, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების, ხელშეწყობა, გამოვლენა და განვითარება, სულიერების ამაღლება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კონტაქტები და ა.შ.

**თქვენ ბრძანდებით მრავალი პოეტური კრებულის ავტორი, ვის თვლით თქვენს მასწავლებლად პოეზიაში, ან როდის, როგორ დაიწყეთ პოეტური შემოქმედება?**

როცა თქვენს ასაკში ვიყავი, კარგად ვსწავლობდი, თამამად ვიტყვი, სკოლაში თითოეული ღონისძიების, იდეის ავტორი და შემსრულებელი გახლდით. ვცეკვავდი, ვმღეროდი, მხატ-

ვრულად ვკითხულობდი. მიყვარდა თავისუფალი თემების წერა, ლექსები არასოდეს მიწერია. სურვილი დიდი მქონდა, ჩემი ძმა კი, ან/გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილი ქუხდა, ბავშვობიდანვე მას საჩერებელი „აკაკის“ ეძახდნენ. სამწუხაროდ, ის ერთ გაზაფხულსაც ვერ მოესწრო თავისი შემოქმედებით, 29 წლისა მოკლეს, ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, მართალი სიტყვისთვის გაისტუმრეს ცათა სასუფეველში. ეს გრძელი ისტორია... ერთხელაც, მე მოვხვდი მამა გაპირის საფლავზე...

ლამაზი დილა გათენდა, შვილიშვილებთან ერთად მცხეთაში ვაპირებდი წასვლას. გული შინაგანად მკარნახობდა, რაც შეიძლება მალე წავსულიყავი სალოცავთა ქალაქში... პატარებთან ერთად შეგაბიჯე დედათა მონასტრის ეზოში. მათ, ტაძართან მიახლოებისას პირველი გადაიწერეს და შემომხედეს ბავშვური ელვარე თვალებით. ისინი ამ წმინდა ადგილის მიმართ მორჩილებასა და მონიწებას გამოხატავდნენ...

ტაძარი უამრავი სანთლითვაგაჩირალდნებულიყო. ნანა და ლევანი შეჰყურებდნენ ხატებს. ღვთისადმი სიყვარულით ივსებოდნენ. ტანში ურუანტელმა დამიარა, თვალწინ დამიდგა ჩემი თამუნას, თეონასა და ვახტანგის სახეები. თითქოს ხუთივე ერთად იდგა, ყველა ერთნაირად მიყვარდა. ისინი ერთნაირადვე გამოხატავდნენ ღვთის სიყვარულს. წარსულის მორევში ჩავიძირე, არ ვიცოდი რამდენ ხანს გასტანა გარდასულ დღეებზე ფიქრმა... ცრემლები მომერია, სანთლები ნელ-ნელა იწვოდნენ. უფალს ვევედრებოდი: ღმერთო, ჯანმრთელად ამყოფე ყველა ადამიანი, მზეობდეს ბედნიერება, მშვიდობა ჰყავ ჩემს ქვეყანაში, მთელს მსოფლიოში...

დედათა მონასტრიდან, გზა მამა გაბრიელის საფლავისაკენ გავაგრძელეთ. ბავშვები დინჯად აკვირდებოდნენ ყველაფერს და ცნობისმოყვარედ შემომცეკეროდნენ.

საფლავთან უამრავი ადამიანი, ზოგი დაჩიქილი და ზოგიც თავდახრილი, მინას დასჩერებოდა. ღმერთო, იმედი არ მოგვიშალო, ჩავილაპარაკე ჩემთვის და საფლავთან დავიჩიქე... რომ წამოვდექი, მონაზონმა მამა გაბრიელის საფლავიდან გადმოდინებული, მადლცხებული ზეთი მომანოდა...

უკან ვბრუნდებოდი, ისეთი წინათგრძნობა მქონდა, თითქოს რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა დაწყებულიყო ჩემს ცხოვრებაში... ინტუიციით ვგრძნობდი, რომ მალე, მოკლე დროში რაღაც ძალიან, ძალიან უნდა გამხარებოდა...

რუსთავის ქუჩებში ხალხის სიმრავლე იგრძნობოდა. ნიავი კი ჩუმად ყვავილებსა და ფოთლებს ეფერებოდა. რაღაც ხდებოდა, მაგრამ რა? ვეკითხებოდი საკუთარ თავს. ყველა მერიის წინამდებარე მოედნისაკენ მიიჩქაროდა. რა ხდება? იქნებ მიპასუხო, ახალგაზრდავ? — მსოფლიო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა ჩამოვიდა! გმადლობთ, უფალო, ვეჩურჩულებოდი მაცხოვარს და მოედნისკენ გახარებული მივიჩქაროდი.

მთელი საქართველო ესალმებოდა თავის ლირსულ შვილს, მშვიდობის მსოფლიო დესპანს, გმირს, რომელმაც უფლის წყალობით სასწაული მოახდინა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა.

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ჯუმბერ ლეჟავამ მოგზაურობა სიკვდილზე გამარჯვებას, თავის უმცროს მეგობარს, აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დალუბულ რატი კიკაჩიშვილს, გარდაცვლილ მეუღლეს ლიანა ალიბეგაშვილს და ეროვნულ გმირს, მოგზაურობის სულისჩამდგმელს უიული შარტავას მიუძღვნა. აი, თურმე, რამ მოახდენია სასწაული მოგზაურს, — სიყვარულმა.

ბედნიერი ვარ, რომ პირადად ვიცნობ ამ არაჩეულებრივ პიროვნებას, უფლის ნებით, რამდენჯერ გაცოცხლებულ კაც — ლეგენდას, პატრიოტს, უსაზღვრო სიყვარულის მატარებელ ადამიანს — ჯუმბერ ლეჟავას.

მას შემდეგ 9 წელი გავიდა. ზუსტად იმდენი დრო, რამდენიც იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო ჯუმბერ ლეჟავამ. ამ ხნის განმავლობაში სამუშაოს პარალელურად ვაწარმოებდი ჯუმბერ ლეჟავას ფონდში, სამთავრობოებთან და არასამთავრობოებთან მოლაპარაკებებს და მეორე წელია, რაც დავაარსე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია. ვარ ცხრა პოეტური და პროზაული წიგნის ავტორი. ყველაფერი ეს მამა გაბრიელის საფლავიდან გამოყოლილი მადლით მოხდა. გმადლობთ, უფალო!

ჰოდა, უფალმა იცის ვის რა მისცეს და თანაც როდის. თუმცა, კვლავ ღმერთს ვთხოვ პატივიბას. ჯერ ისე ვერ ვწერ, როგორც მიყვარს და როგორც გულში განვიცდი, სამშობლოს სიყვარულისა და შვილის დაკარგვის ტკივილ...

**ბატონ ჯუმბერ ლეჟავას, რომლის სახელსაც ატარებს აკადემია, მთელი მსოფლიო იცნობს, სავარაუდოა, რომ კულტურათშორის კონტაქტები დაამყაროს აკადემიამ და უურნალმა „ათინათმაც“, გაქვთ თუ არ გეგმები დასახული ამ მიმართულებით?**

დიახ! კულტურათშორის კონტაქტების დამყარების გეგმებზეც ვფიქრობთ, გეტყვით უფრო მეტსაც, უურნალს შევაყვარებ მომავალ თაობას. ის აუცილებლად გააგრძელებს სიცოცხლეს. „ნორჩი ათინათელები“ გაიზრდებიან, და უურნალი კაცობრიობის ცოდნის, სიყვარულის ჯებირი გახდება. რაც შეეხება მის გარეკანს, რეზო ადამიას მიერ შესრულებული წმინდა ნინოს ხატი ამშვენებს და ის დაიცავს „ათინათს“.



**ჯუმბერ ლეჟავას შვილიშვილები და შვილთაშვილები გულნაზ ხარაიშვილის, გვანჯი მანიასა და მანონი ყუპანეიშვილთან ერთად.**



## ინცერვიუ ფაზისის საერო აკადემიის წრეზილენც ნუგჩარ ნალინაისთან

**რას გვეტყვით ბატონი ჯუმბერ ლეჟავას შესახებ?**



რის წიგნი უნდა გახსნილიყო ჩვენს საელჩოებში, ეს არ მომხდარა. მე ეს მიმართ დიდ უპატივ-ცემულობად. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში და მე მაქვს ინფორმაცია, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი, სადაც ის მოღვაწეობდა, იჩინს ინიციატივას, რომ მოუარონ მის საფლავს და ეს მისასალმებელია. ჩვენ, მისი სახელობის აკადემიის წევრები, ვფიქრობთ, განვიხილოთ საფლავის პროექტი, იქ უნდა გამოიხატოს მისი ატრიბუტიკა, დამსახურება, თვითონ საფლავმა უნდა გვითხრას მეგობარსაც და უცხოსაც მისი დამსახურებები. საფლავი უნდა მოვითხოობდეს მის ღვან-ლზე, ეს ძალიან რთული საქმეა და ამიტომ გვინდა განვიხილოთ ჩანაფიქრი იმ არქიტექტორისა თუ მოქანდაკის, რომელიც ფიქრობს ამ საფლავის შექმნაზე. მას ბევრი საქმე ჰქონდა კიდევ დასაგეგმი, განსახორციელებელი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრ რამეზე სტკიოდა გული. მისი ეროვნულობა, ბევრ შემთხვევაში, სამთავრობო წრეებში, სასჯელიც იყო. იმასაც მოესხრო კაცი, რომ მას წინათ მოქალაქეობა შეუჩერეს, იმიტომ, რომ ეროვნულ მთავრობას, ზვიად გამსახურდიას, უჭერდა მხარს. მას ჰქონდა შემოთავაზებები ამერიკაში, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მოქალაქეობის მიღებაზე.

უუმბერ ლეჟავა იყო, არის და იქნება საქართველოს უკვდავება, მოვლენა, კაცი ლეგენდა. მე მისი მეგობარი ვარ, მორნმუნე კაცი ვარ და დავპირდი საფლავზე, რომ ყოველდღიურად ლოცვებს აღვავლენ და სანამ ცოცხალი ვარ, მის სულს ვავედრებ უფალს.

ჯუმბერ ლეჟავა გახლდათ ჩემი მე-გობარი. ეს არის კაცი ლეგენდა, მან ასახელა საქართველო და ის სიცოცხლეშივე ერის, ქვეყნის, დედაეკლესიის უკვდავებად იქცა, რადგან ველოსიპედით მსოფლიოს გარშემო ის მოგზაურობდა ბიბლიით, ქართული ხუთჯვრიანი დროშით და „ვეფხისტყაოსნით“, აცნობდა მთელს მსოფლიოს ჩვენს ქვეყნას. დიდი პიროვნება იყო, ის გულწრფელად დაიტირეს თავისმა მეგობრებმა, საახლობლო წრემ, მაგრამ სახელი-სუფლებო სტრუქტურებს ცოტა მეტი ყურადღება შეეძლოთ გამოეხატათ, რა მაქვს მხედველობაში? სამძიმრის წიგნი იციან დიპლომატებმა, საქართველომ ასეთი კაცი დაკარგა და მსოფლიო მასშტაბით სამძიმ-



## ინცერვიუ ზურაბ გაქიფაშვილთან



**რას მეტყვით ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე.**

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა არის XX საუკუნის გამოჩენილი პიროვნება. მე ამ სიტყვას, გამოჩენილს, არ ვამბობ ზოგადად, ის, ნამდვილად ასეთი იყო. მე ადრეც ვთქვი და დღესაც გავიმეორებ, რომ გავა საუკუნეები და ბევრი ჩვენგანი დავიწყებას მიეცემა, ჯუმბერ ლეჟავას პიროვნება კი დარჩება ქართველი ხალხისა და ახალგაზრდობის საამაყო პიროვნებად, რომელსაც ჰქონდა უნიკალური სპორტული ნიჭი და ამავე დროს, იყო დიდი მოგზაური.

**ბატონ ჯუმბერ ლეჟავას თუ უწევდით დახმარებას გეპე-ის ადმინისტრაცია?**

რა თქმა უნდა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთა ბატონი ჯუმბერისათვის. მას უნივერსიტეტში გამოყოფილი ჰქონდა სპეციალური ცენტრი, სადაც ყველანაირი პირობები ჰქონდა შექმნილი ყოველდღიური მოღვაწეობისათვის. ბატონი ჯუმბერის მეგობრები არიან: ტექნიკური უნივერსიტეტის წამყვანი ხემძღვანელები. ესენი არიან: ბატონი არჩილ ფრანგიშვილი, ზურაბ წვერაიძე, შალვა ნაჭყებია, ივანე გორგაძე... ბატონ რექტორს ბებია ლეჟავა ჰყავდა და ორმხრივ უყვარდა ბატონი ჯუმბერი, როგორც გამოჩენილი და საყვარელი ადამიანი, ასევე, როგორც ნათესავი



## ინცერვიუ ჯუმბერ ხარიშვილთან

**რას იტყვით ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე?**

ეს პიროვნება მოვლენა იყო ჩვენი ერისათვის, მას მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც იდეალურ პირვნებას. იშვიათად იბადება მსოფლიოში ადამიანი, რომელიც ერს გაუთქვავს სახელს თავისი დიდი მიღწევებით, გინესის რეკორდებით, მოგზაურობით და თავისი ბუნებით.



## თამარ ტყეშელაშვილი




**იუზა რობაქიძე - ბ-ნი ჯუმბერ ლეჟავას  
უსხელესი მეგობარი.**

**გაქვთ თუ არა სურვილი ითანამშრომლოთ ჯუმბერ ლეჟავას  
სახელობის აკადემიასთან?**

რა თქმა უნდა. თუმცა, ჯერ თქვენ უნდა გქონდეთ ჩემთან ურთიერთობის სურვილი და თუ ეს არსებობს, აუცილებელი-ცაა. თქვენს თაობას მოუხდება ჯუმბერ ლეჟავას ფენომენის შესწავლა. ეს უდიდესი პიროვნება ჩვენს გვერდით ცხოვრობდა; თითოეული დღე წინასწარ გვექონდა გათვლილი, სად და როგორ გაგვეტარებინა. ყველა წარმატების თანამონაწილე ვიყავით და ალბათ ჩვენი მოგონებები დაგეხმარებათ მისი ფენომენის სა-ფუძვლიანად ჩაწეროთ.

## ინცერვიუ თემურ გოგიაძესთან



**- ბატონ ჯუმბერ ლეჟავას თუ იცნობდით?**

- ძალიან კარგად, ნათელი დაადგეს მის სულს, ბატონი ჯუმბერი ბრძანდებოდა ერში გამორჩეული კაცი-პიროვნება. იშვიათად ნახავდით ასეთ თავმდაბალ, ზრდილ და განათლებულ მამულიშვილს. ჭაბუა ამირეჯიბი გავიხსენოთ: ქვეყნის გარეთ, შენი სამშობლოს დესპანი ხარო, ჰო, ასე იყო ამ შემთხვევაშიც, მსოფლიო მოგზაურმა, პირნათლად მოიხადა ვალი თავის ქვეყნის წინაშე დასაქართველოს სახელი რომ იტყვიანშორს გასტყორცნა – გააჯირითა, რითაც მიზანმიმართული ნაბიჯი გადადგა ქვეყნისა და საკუთრივ მისი უკვდავებისაკენ...



**- როგორ შეაფასებთ მისი სახელობის აკადემიის მოღვაწეობას?**

- აქ, ამ კედლებში დიდი საქმე კეთდება, საქვეყნო საქმეში ქართველებს არასოდეს არ აკლდათ ენთუზიაზმი, მაგრამ ის ვეებერთელა ტვირთი, რომელიც აკადემიის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა წამოიკიდეს, არ არის ადვილი სატარებელი, თუმც უფლის ნებით და შეწევნით აკადემიის ხელმძღვანელის ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის, შრომისმოყვარე კოლექტივის გამჭრიახობითა და შესაძური მონძომებით ყველაფერი კეთდება ჩვენი მომავალის დასაოსტატებლად, საკეთილდღეოდ. ვიცი, რომ ბევრი თქვენნაირი ნიჭიერი ბავშვია აქ შემოკრებილი, ვიცი, რომ ქურნალი „ათინათი“ თქვენს შემოქმედებას დიდ ყურადღებას უთმობს, ამ საოცრად თბილ ატმოსფეროში, ბრწყინვალე პედაგოგებთან, უფროს მეგობრებთან, იწრთობა თქვენი კალამი, მომავალი წონეშვილების, დუმბაძეების და სხვათა და სხვათა, რომელიც მჯერა ახლო მომავალში სხვა ძალას და ელვარებას შეიძენს, რითაც ძალიან იამაყებს ჩვენი ქვეყანა. ყველა თქვენგანს, ვინც ახლა ფრთიანდებით აკადემიის კედლებში გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდ შემოქმედებით წარმატებებს.



## ინცერვიუ ზარიკო გამყრელიძესთან



– რას გვეტყვით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას შესახებ?  
– ჯუმბერ ლეჟავა იყო ძალიან დიდი პიროვნება, დიდი პატრიოტი. ყველამ და მითუმეტეს მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს მისი ღვაწლის შესახებ. როგორც ვიცი, ჯუმბერი იყო გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მან მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი ჩვენს ქვეყანას. ისეთ ქვეყნებში კი ჩაიტანა ჩვენი სახელი, სადაც საერთოთ არ გაეგონათ საქართველო. ჩვენ ყველამ დიდი პატივი უნდა მივაგოთ მის ხსოვნას.



## ინცერვიუ ნუგზარ მიროფაძესთან



– იცნობთ ჯუმბერ ლეჟავას?  
– რა თქმა უნდა, მქონდა შესაძლებლობა ჩემდა საბედნიეროდ, იგი იყო ამ კაბინეტშიც და დიდი სიამოვნებით ვესაუბრებოდი. დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ის იყო ღმერთკაცი!



## ინცერვიუ ვაჟა შეტითიძესთან

### რას მეტყვით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას პიროვნებაზე?



ბატონი ჯუმბერ ლეჺავა იყო უნიჭიერესი პიროვნება და ძალიან დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნის, იმდენად დიდი პატრიოტი, რომ თავისი ქვეყნის სახელის განთქმის მიზნით და იმ მიზნით, რომ დაემტკიცებინა ქართველები რაოდენ უშიშარი და ვაჟაცი ხალხია, მან მთელი მსოფლიო შემოიარა ველოსიპედით, 9 წელი მოანდომა მსოფლიოს შემოვლას, ხანდახან დადიოდა ისეთ ადგილებში სადაც მონადირეებიც კი უფრთხიან გავლას. მან ეს გააკეთა დიდი სიყვარულით თავისი პროფესიისადმი, თავისი ხალხისადმი. ეს დასაფასებელია და ნამდვილად მისი სახელი არ უნდა იქნას დავიწყებული საქართველოში.



## ინფერვიუ ზურაბ წვერიძესთან



ლდა. მითუმეტეს მას შემდეგ რაც ეს საარაკო გმირობა ჩაიდინა. მხედვალობაში მაქვს მისი მოგზაურობა დედამინის გარშემო. მე არ მეგულება არცერთი ქართველი, რომელსაც არ ჰქონდა ინტერესი იმ მნირი ინფორმაციით რომელიც მოგვეწოდებოდა საბჭოთა კავშირის დროს, სად იმყოფებოდა ჯუმბერი რა გააკეთა, რა ამბები გადახდა და ბუნებრივია სიყვარული ჯუმბერს თავისი ცხოვრების არცერთ ეტაპზე არ აკ-

– სიცოცხლეშივე გაიხსნა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემია. რა აზრის ხართ ამის შესახებ?

– რა თქმა უნდა ამის გაკეთება აუცილებელი იყო. სამწუხაროდ ასეა ჩვენთან, სანამ ადამიანი ცოცხალია წინააღმდეგობის, უაზრო წინააღმდეგობის გადატანა უხდება და მისი დაფასება ხდება მხოლოდ გარკვეულ წილად მისი გარდაცვალებს შემდეგ. თუმცა ბუნებრივია ხალხის სიყვარული ჯუმბერს თავისი ცხოვრების არცერთ ეტაპზე არ აკ-

## ინფერვიუ რეზო ჩხეიძესთან



– პატონო რეზო თუ გსმენიათ ჯუმბერ სახელობის აკადემიაზე და რა აზრის ხართ მასზე?

– მსმენია კი, როგორ არა. მე ვიცნობდი ჯუმბერს. ეს იყო მოგზაური, რომელმაც ველოსიპედით შემოიარა მთელი მსოფლიო. ასეთი ადამინები არიან გმირები.



მერი ბერაძე

## ინცერვიუ ლავით ქევხიშვილთან

**რას გვეტყვით ჯუმბერ ლეჟავაზე?**

ჯუმბერ ლეჟავამ მსოფლიოს შემოუარა ველოსიპედით. მე უშუალოდ ვიცნობდი ამ პიროვნებას და კიდევ ვამბობ, ჩემთვის ზოგადად ასეთი ადამიანები არიან მაგალითი შეუპოვრობის, იმის თუ როგორ შეიძლება დაინახო მიზანი თუნდაც ისეთი, რომ მსოფლიოს შემოუარო ველოსიპედით და იგი რეალობად აქციო. და თუ კი შენ იცნობ ასეთ ადამიანებს, ისინი ბუნებრივია, გაძლევენ ენთუზიაზმს და მოტივაციას. შეუძლებელი არაფერია, იმიტომ, რომ თუკი ერთხელ რაღაცა გაკეთებულა, ეს არის ძალიან დიდი სტიმული იმისა, რომ შენ თვითონაც მონახო შენ თავში ძალა და გააკეთო. სწორედ ამ კუთხით ვიცნობდი ამ ადამიანს და ძალიან მწყინს, რომ დღეს არ არის ჩვენ გვერდით. მისი მაგალითი მომავალ თაობას აუცილებლად სწორი გზისკენ წაიყვანს.



## ინცერვიუ ეგზუჭა ნოხაძესთან

**თუ იცნობდით დიდ მოგზაურს, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას მხოლოდ ტელევიზორით.**

**არსებობს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემია და თუ გსმენიათ ამის შესახებ?**

ამის შესახებ თქვენგან ვიცი, ხოლო რაც შეეხება ჯუმბერ ლეჟავას მე მას დიდ პატივს ვცემ და შემიძლია ჩავთვალო, რომ ის დიდი გმირი იყო.



### ირაკლი დარსალია



### ინტერვიუ სამხატვრო აკადემიის რექტორ გიორგი გუგუშვილთან

„ათინათი“ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის მრავალპროფილიანი უურნალია, რომელშიც შემოქმედ მოსწავლეთა ორი ჯგუფი: „ნორჩი ათინათელები“ და „ნორჩი ლიტერატორები“ მონაბილეობენ.

ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას სახელი დიდ პატივს იმსახურებს. კარგია, რომ მის აკადემიასთან ისეთი ახალგაზრდები თანამშრომლობენ, როგორიც თქვენა ხართ. მომავალ თაობას ვუსურვებ წარმატებას და იმ

იდეების პატივისცემის განხორციელებას, რომელიც ამ ბრწყინვალე ადამიანმა, მსოფლიო მოგზაურმა, გულში ატარა და სხვებსაც გაუზიარა.



### ირაკლი დარსალია



### ინტერვიუ ზურაბ გაბუნიასთან, სამხატვრო აკადემიის მხატვარ-ფერმწერთან

#### იცნობდით თუ არა ჯუმბერ ლეჟავას?

არ მარტო ვიცნობდი, ვმეგობრობდი, მისი მოგზაურობის შემდეგ, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს და ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა, პირადად და მის ოჯახთანაც.

**ამბობენ ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ხატავდაო, მართალია თუ არა ეს?**

ჯუმბერი ხატავდა და კონსულტაციებს გადიოდა ჩემთან ერთად, მას დახატული აქვთ თავისი მეუღლის პორტრეტი.

**ჯუმბერს ყველა უყვარდაო, მაგრამ მისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, თურმე, თქვენ იყავით, როგორ ახსნით ამას?**

ჩვენ გვაკავშირებდა ერთი რამ, როდესაც იგი 9 წლიანი მოგზაურობიდან დაბრუნდა, მაშინ გავიცანი. ბატონმა, ან გარდაცვლილმა გივი მიზანდარმა, მაშინ ის მოიწვია სამხატვრო აკადემიაში, პროფესორებთან შესახვედრად. დიდ დარბაზში მოვიდა ჯუმბერი, მან თავისი მოგზაურობის შესახებ ორი საათი ილაპარაკა და კიდევ დაიგეგმა შემდგომი შეხვედრა. მთელი აკადემია აღფრთოვანებული იყო. პირადად რომ გავიცანი, იმის შემდეგაც დაიგეგმა ბევრი შეხვედრა. მე მასთან ერთად ვმოგზაურობდი, ვეხმარებოდი და ამიტომაც გავხდი მისი მეგობარი.


**იცით თუ არა ჯუმბერის შესახებ ის, რაც არავინ იცის?**

მინდა გითხრათ, რომ როდესაც ჯუმბერი 1000 აზიდვას აკეთებდა, ძალიან იღლებოდა არა და 6000, 7000-ს დაუღალავად აკეთებდა,. თურმე მას სისხლძარღვის შევიწროვება ჰქონია. მან ექიმებს არ დაუჯერა არ გაიკეთა ოპერაცია და, სამწუხაროდ, გარდაიცვალა იგი.



**ბექა ჩაბალოშვილი**

**ინტერვიუ მამა ანდრიასთან**



**– იცნობდით თუ არა ბატონ ჯუმბერ ლეუავას?**

– პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მისი დიდი გულშემატკივარი ვიყავი. მახსოვს როგორ აიღოსტარტი მან რუსთავიდან. საოცარი პიროვნება იყო არათუ იმ თვალსაზრისით რომ, მინაგანი ძალით გაუმკლავდა არათუ დაავადებას, არამედ გინესის რეკორდიც კი მოხსნა. მთელი მსოფლიო ველოსიპედით შემოიარა ჩემთვის ერთერთი უდიდესი მოგზაური და უდიდესი პიროვნება იყო.



**თორნიკე ჩაბალოშვილი**

**ინტერვიუ როინ გამრეველთან**

**– იცნობდით თუ არა ბატონ ჯუმბერ ლეუავას? როგორ აფასებთ მის სპორტულ მიღწევებს?**

– ძალიან კარგად ვიცნობდი. მე პირადი ურთიერთობა მქონდა მასთან. ის საოცარი ადამიანი იყო. ფიზიკურ ძალასთან ერთად გონებრივადაც უნდა იყო ამ უზარმაზარი საქმისთვის მოწოდებული, რომ მსოფლიოს ველოსიპედით შემოუარო. მე მაშინ უნივერსიტეტის რექტორი ვიყავი და ამ მოგზაურობის დროს პრესცენტრი უნივერსიტეტში გვქონდა, ანუ ინფორმაციებს მისგან და მის შესახებ ჩვენ ვიგებდით. ის უნიკალური ადამიანი იყო.



## ნანა სხირტლაძე



## ინცერვიუ ბაჟონ სულიკო სამხსრაძესთან

**– იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?**

– ჯუმბერ ლეჟავა, ჩემი განუყრელი მეგობარი იყო, ის ჩემთვის იყო მისაბაზი და ძალიან ახლო პიროვნება, მაინც რა დამთხვევა იყო მისი სიცოცხლის წინა დღეს ჩემს რესტორანში გადაიხადა დაბადების 75 წლის იუბილე. როგორ უხაროდა, თითქმის იტყოდი, რომ ჯუმბერ ლეჟავა 15

წლის იყო და არა 75-ის. მაგრამ მოხდა მოულოდნელად მისი გარდაცვალება.



**– როგორ ფიქრობთ ჯუმბერის გარდაცვალება ეჭვს არ იწვევს?**

– ვფიქრობ და არ მინდა შევცოდო, მგონია, რომ მას ცუდი მრჩეველები ჰყავდა. სხვა რა ვიფიქრო ამ ლეგენდარულ პიროვნებაზე არ ვიცი. ის ისევ ცოცხალია ჩემთვის.

## ნანა სხირტლაძე

## ინცერვიუ ბაჟონ ბახვა სამხსრაძესთან



**იცნობდით ჯუმბერ ლეჟავას?**

ჯუმბერ ლეჟავა მოგზაურობის დაბრუნების შემდეგ გავიცანი, დროთა განმავლობაში ახლო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა და დავმეგობრდით. ბევრი მოგონება მაკავშირებს მასთან. ერთად გვიხდებოდა მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ერთად ვიყავით თურქეთში. ჩემი ოჯახის ყველა წევრი შეყვარებული იყო მასზე. ხშირად მოდიოდა სტუმრად ჩემთან როგორც თბილისში, ასევე სოფელში. ჩემი სოფელი ძალიან მოსწონდა და

ცდილობდა თავისუფალი დრო ჩემთან გაეტარებინა. მე მისთვის ერთი საძინებელი ოთახი მქონდა ცალკე გამოყოფილი, მას ახლაც ჯუმბერ ლეჟავას ოთახი ჰქვია.

**– რაიმე კურიოზს ხმდ არ გაიხსენებთ ჯუმბერ ლეჺავასთან მეგობრობის პერიოდში?**

რა თქმა უნდა, ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით. მე, ჯუმბერ ლეჺავა და ჯუმბერ მაღლაკელიძე სამივე რაგბის თავგადაკლული მოყვარულები ვიყავით.

რუსეთ-საქართველოს ნაკრებების შეხვედრები, გასაგები მიზეზების გამო კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევდა, როგორც ჩვენში, ასევე ყველა ქართველ გულშემატკივრებში.

პოლიტიკური დაძაბულობის გამო, ამ ორ გუნდს შორის შეხვედრები ნეიტრალურ სტადიონებზე იმართებოდა.

ამჯერად მატჩი თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში იყო დანიშნული.

მე და ჩემს მეგობრებს: ჯუმბერ მაღლაკელიძეს და ჯუმბერ ლეჟავას, რა თქმა უნდა, გა-დაწყვეტილი გვერდა დავსწრებოდით აღნიშნულ შეჯიბრს.

დავიწყეთ ბილეთების შოვნაზე ზრუნვა, მატჩისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ ბი-ლეთების შოვნა გაგვიძნელდა.

მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე, მირეკაცს ჩემი სიყრმის მეგობარი ჯუმბერი (მაღლაკელიძე) ბახული (ასე მეძახდა ბავშვობიდან), უნდა გაგახარო. ხათომ (ასეთი თიკუნით მოიხსენიებდა თავის ერთადერთ ქალიშვილს ხათუნას) რაგბზე დასასწრები სამი ბილეთი გვიშოვნა, გაემზადე წასასვლელად, ხვალ შენ და ჯუმბერი, (ლეჟავა) ჩემი მანქანით მივდივართ ტრაპიზონში.

მატჩამდე ერთი დღით ადრე ტრაპიზონში ჩავედით. სასტუმროში დაბინავების შემდეგ ქა-ლაქში გასეირნება მოვინდომეთ.

ქალაქის ცენტრის დათვალიერების შემდეგ მოვინდომეთ ზღვის სანაპიროზე გასეირნება. ქალაქი მთაზე შეფენილი, ამიტომ დავიწყეთ ქვემოთ ზღვისკენ მოძრაობა.

ჯუმბერი (მაღლაკელიძე) წინ მიდის, შემდეგ ლეჟავა და უკან მე მივყვები.

უეცრად მომესმა უცნაური ხმა, ვხედავ ჩემს მარჯვნივ, მანქანის სავალ ნაწილზე, ახალგაზ-რდა საკმაოდ ძლიერი აღნაგობის კაცი დაენარცხა. ვხედავ ჯუმბერი (ლეჟავა) სახეანითლებული, დაძაბული, მიეჭრა ქვაფენილზე გაშოტილ ახალგაზრდას, სწვდა საყელოში ხელი, წამოაყენა, თურქულად შეუკურთხა ამოარტყა პანლური იმდენად ძლიერად, რომ ამხელა კაცი კვნესა კვნე-სით დაეშვა თავქვე.

მე და ჯუმბერი (მაღლაკელიძე) გაოგნებულები შევყურებდით ჯერ ერთმანეთს, მერე ჯუმ-ბერის (ლეჟავას) პოლიცია დაგვადგა თავზე. პოლიციამ სამივეს მოგვთხოვა საბუთები. დაგვიწ-ყეს გამოკითხვა: ვინ ვიყავით, რისთვის ვართ ჩამოსულები, რას ვერჩოდით იმ ახალგაზრდა კაცს და სხვა...

ჯუმბერი თარჯიმნობას გვიწევს. ხან ინგლისურად და ხან თურქულად უხსნის პოლიციე-ლებს მომხდარის შესახებ. გაღიმებული პოლიციელები საბუთებს გვიბრუნებენ და გვემშვიდობე-ბიან.

გავაგრძელეთ ზღვისკენ მოძრაობა. ვეკითხებით ლეჟავას: „რა მოხდა რას ერჩოდი იმ ახალ-გაზრდა კაცს?“ გაოცებული გვპასუხობს: „თქვენ რა, არაფერი დაგინახავთ? იმ ბიჭმა ჯიბეში ხე-ლი ჩაგიყო (ეუბნება ჯუმბერ მაღლაკელიძეს) და რა უნდა მექნა? მეცქირა სანამ რამეს ამოიღე-და ჯიბიდან, თუ როგორ მოვქცეულიყავი?“



სოლომონ სამხარაძე, ჯუმბერ ლეჟავა და ზურაბ გაბუნია



სულიკო სამხარაძე და ჯუმბერ ლეჟავა

გავაგრძელეთ გზა ზღვის სანაპიროსაკენ.

სანაპიროზე სეირნობისას ლეუავას წინ გადაუდგა ორი თურქი ახალგაზრდა, ერთ-ერთი ტე-ლეკამერით ხელში. მცირე საუბრის შემდეგ ოპერატორმა კამერა მოიმარჯვა და ჟურნალისტმა დაიწყო კითხვების დასმა.

ინტერვიუ ხანგრძლივი გამოდგა. მე და ჯუმბერი (მაღლაკელი) ველოდებით და ვწერვიულობთ ლამდება და ვშიშობთ დათვალიერებას ვერ ვასწრებთ.

ინტერვიუს დამთავრების შემდეგ, დალამებამდე დარჩენილ მცირე დროში, ცოტა გავისეირნეთ სურათები გადავიღეთ, ჯუმბერ (ლეუავა) ჩქარობს სულ აპარატს აჩხაკუნებს იღებდა ყველაფერს რაც თვალში მოხვდებოდა, გვიღებდა ჩვენც. ჯუმბერი (მაღლაკელი) ეხუმრებოდა სულ აპარატს აჩხაკუნებ და შენი დაბეჭდილი სურათი ჩვენ არ გვინახავსო. ცხონებულმა უპასუხა: „ბიჭებო დიდი ალბომის გამოშვებას ვაპირებ და თუ მშვიდობა იქნა, ყველა ჩემს გადაღებულ კადრს იქ ნახავთ”-ო.

იმ საღამოს და განსაკუთრებით მეორე დღის პირველ ნახევარში ტრაპიზონი გაივსო საქართველოდან ჩამოსული გულშემატკივრებით. ქუჩები და მოედნები გადაჭედილი იყო ქართულნომრიანი მანქანებით.

სასტუმროები გადავსებული იყო ქართველი გოგო-ბიჭებით. უმრავლესობამ ღამე ავტომანქანებსა და სკვერებში გაათენეს. მთელ ქალაქში ისმოდა ქართული მუსიკა და სიმღერები.

ბევრი ქართული მანქანა, აკრძალულ ადგილას დგომის გამო, პოლიციას საჯარიმოში გადაჰყავდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ მანქანის მფლობელების მატჩიზე დასწრება სათუო გახდებოდა.

ქალაქის ცენტრში, ათა-თურქის მოედანზე ასეთი ინციდენტიც მოხდა.

ქართველების ერთმა ჯგუფმა, ქართული დროშა გაშალეს და სკანდირებდნენ: „საქართველო! საქართველო!”

თურქებმა ქართული დროშის ფრიალი და სკანდირება შეურაცხყოფად მიიღეს, რამაც მცირე შეხლა-შემოხლა გამოიწვია.

მეორე დღეს წავედით სტადიონზე, რომელიც ქალაქებარეთ, პატარა დაბაში მდებარეობდა. მანქანის დაყენებაზე დიდი დრო დავკარგეთ. სტადიონზე მცირე დაგვიანებით მივედით.

შესასვლელთან აუარებელი უბილეთო ქართველი გოგო-ბიჭები ირეოდნენ, ცდილობდნენ სტადიონზე მოხვედრას.

სტადიონზე შესვლის დროს ჯუმბერი (ლეუავა) თურქმა სპორტულმა ჟურნალისტებმა იცნეს, შემოერტყნენ ირგვლივ და კატეგორიულად ითხოვდნენ ინტერვიუს. ჯუმბერი უარზეა, ჩვენც ვცდილობთ აბეზარი ჟურნალისტების მოგერიებას, ვეხმარებით ჯუმბერის, რაც შეგვიძლია. ვუხსნით ჟურნალისტებს, ხან რუსულად, ხან ქართულად, რომ ვაგვიანებთ თამაშზე და შეიძლება ადგილები დავკარგოთ.

არაფერმა გაჭრა, გვამშვიდებდნენ, რომ ადგილების პრობლემა არ შეგვექმნებოდა.

ინტერვიუს დამთავრების შემდეგ ერთ-ერთი ჟურნალისტის თანხლებით გაჭირვებით მივაღწიეთ ჩვენს ადგილამდე. სტადიონი გადაჭედილია ჩვენი ადგილები რა თქმა უნდა, დაკავებულია უბილეთოდ შემოსული მაყურებლით.

გამყოლმა ჟურნალისტმა, პოლიციის ჩარევით გაგვინთავისუფლა ადგილები ბოდიში მოგვიხადა და დაგვემშვიდობა.

თამაში მიმდინარეობდა ჩვენი რაგბისტების აშკარა უპირატესობით. ჩვენების მხარდამჭერი შეძახილებით ზანზარებს სტადიონი.

ამაღლებულ განწყობაზე ვართ. ჯუმბერის (მაღლაკელიძეს) იუმორი მოეძალა. „ბაზული, ამის შემდეგ თუ სადმე წავალთ (ლეჟავას გულისხმობს) ნიღაბი გაუკეთეთ და ისე ვატაროთ, რომ არავინ იცნოს, თუ არა დაგვტანჯა ამის ინტერვიუებმა-ო.” ლეჟავა გულიანად ხარხარებს.

სტადიონზე ჩვენი ასაკის მაყურებელი მე არ შემინიშნავს, თეთრი ყვავებივით გამოვიყურებოდით, ამოდენი ახალგაზრდების ფონზე. გაკვირვებულები გვიცქეროდნენ ქართველი გოგო-ბიჭები, ალბათ ფიქრობდნენ, ეს მოხუცები რაღამ გადარიათ, ამ სიშორეს რაგბის საყურებლად რამ ჩამოიყვანაო.

ამ ორ გუნდს შორის პაექრობა ბოლო 16 წლის მანძილზე ჩვენი რაგბისტების გამარჯვებით მთავრდებოდა, ახლაც ასე მოხდა, გავიმარჯვეთ დამაჯერებლად.

სასტუმროში გამარჯვების აღსანიშნავი მცირე სუფრის შემდეგ, გამოვემგზავრეთ საქართველოში.

თბილისიდან ტრაპიზონამდე და უკან, მანქანას ჯუმბერი (ლეჟავა) მართავდა. ჯუმბერი (მაღლაკელიძე) ხუმრობს: „პირად მძლოლად მსოფლიოს თოთხმეტიგზის ჩემპიონი მემსახურება-ო.”

სამივემ გულიანად გადავიხარხეთ!

გზა ქართული მანქანებისთვის თავისიუფალი იყო.

თურქეთის მთავრობის განკარგულებით საბაზოზეც აუჩქარებლად გაგვატარეს.

ის ღამე ქობულეთში ჯუმბერის (მაღლაკელიძის) ნათესავთან დავრჩით, საღამო სასიამოვნოდ გავატარეთ გვიანობამდე ვსაუბრობდით, ვკამათობდით სხვადასხვა საკითხზე, რათქმაუნდა პოლიტიკასაც გადავწვდით. ძირითადად ჯუმბერი (ლეჟავა) აქტიურობდა.

ჩვენ ერთად ყოვნა ყოველთვის გვსიამოვნებდა. ტრაპიზონში მოგზაურობაც, ამის დადასტურება იყო. ის მოგზაურობაც, როგორც სხვა ბევრი შეხვედრები სასიამოვნო მოგონებად დარჩა ჩემს გულში.

დღეს ისინი აღარ არიან, ერთ წელიწადში ორივემ დატოვა სააქაო ცხოვრება და ზეციურ სამყაროში გადასახლდნენ.

მე ისინი ძალიან, ძალიან მაკლიან.

ღმერთო სასუფეველში ამყოფე მათი სულები.



## მარიამ ხვედელიძე



## იცნობდით პ. ნ. ჯუმბერ ლექსავას?

არა თუ ვიცნობდი, უფრო მეტიც, იგი ჩემი დიდი მეგობარიც ბრძანდებოდა, რითაც დღემდე ვამაყობ და ვმხნეობ! იგი არა მარტო თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი მოგზაური, მეცნიერი და მკვლევარი იყო, არამედ ადამიანი-ლეგენდა, ჩვენი უკვდავი ერის დიდი, უდიდესი ქართველი და ყველაზე ადამიანური ადამიანი, ვისაც კი ვიცნობდი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე.

თავისი ძლიერებით, მამაცობითა და რაინდული სულით მან მთელ მსოფლიოს უფრო სრულყოფილად გააცნო ჩვენი სამშობლო საქართველო და ქართველ ხალხსაც კიდევ ერთხელ შეუქმნა უძველესი კულტურული ერის იმიჯი.

ვარ დიდად ბედნიერი, რომ ამ ლეგენდარული პიროვნების მეგობარი მქვია და მისსავე სიცოცხლეში შევძელი მეთქვა მისთვის სიყვარულით გამთბარი სტრიქონები, როდესაც იგი ჩემი მოსწავლეთა ეროვნული სასახლის აღსაზრდელებს შეხვდა. „ქართული გენის უკვდავება“-ასეთია ამ ლექსის სათაური. (ეს ლექსი დაბეჭდილია უურნალ „ათინათის“ წინა ნომერში. 2015.წ. №4 (18)

## რომელი აკადემიის წევრი ბრძანდებით?

სიცოცხლის ბოლომდე მექნება საამაყოდ და სასიხარულოდ რომ მერგო დიდი ბედნიერება და გავხდი ბატონი ჯუმბერ ლექსავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი. მას შემდეგ, რაც დიდი დილმის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახ. ტაძრის წინამდღვრის და მისივე ამშენებლის დეკანოზ მამა მერაბ დეკანოსიდის ლოცვა-კურთხევით ეკლესიური გავხდი, კიდევ უფრო განმიმტკიცდა რწმენა, რომ უფალი ღმერთის ნების გარეშე ქვეყნად არაფერი არ არსებობს. და როდესაც ჩემი სულიერი მოძღვარი მამა მერაბი და მისი ღირსეული მეუღლე ქ-ნი მაია ჯანვერდაშვილი აღნიშნული აკადემიის პრეზიდიუმმა აკადემიკოსებად აირჩია და აკადემიის პრეზიდენტმა ქ-ნმა გულნაზ ხარაიშვილმა მათ დიპლომები გადასცა, მე აღფრთოვანებით აღვწერე ეს დაჯილდოვების ცერემონიალი, სათაურით: „დღე სასწაული, არაჩვეულებრივი, ისტორიული, აკადემიური...“ როგორც შემეძლო გამოვხატე დიდი მონინება იმ დიდი ქართველის მიმართ, ვის სახელსაც ეს დიდებული დაწესებულება ატარებს. და რა ვიცოდი რომ ასეთი დიდი სიხარული მეც მელოდა. მე საბოლოოდ დავრჩმუნდი, რომ უფლის ნებით და ბატონი ჯუმბერის სულის მფარველობით მოხდა ჩემი მეორედ დაბადება. სწორედ ამაზეა ნათქემი: „ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო.“ ობლი მე ვიყავი და ჩემი კვერ-ბეჭდის გამომცხობელ-გამომჭედელი კი აკადემიის პრეზიდენტი ქ-ნი გულნაზ ხარაიშვილი აღმოჩნდა. მასთან პირველივე შეხვედრით განცვიფრებული დავრჩი. იგი უნიჭიერესი და უკეთილშობილესი ქალბატონია: აკადემიკოსი, მეცნიერი, პოეტი, მწერალი, პედაგოგი, უურნალისტი. სანამ მეც აკადემიკოსად ამირჩევდნენ ამ ღირსეულ ქართველ მანდილოსანს იმ დიდი მადლიერების ნიშნად,



რაც გამოიხატა ჩემთვის უსაყვარლესი და უძვირფასესი ადამიანების მამა მერაბისა და ქ-ნი მაი-ას ღვაწლის ესოდენ უმაღლეს შეფასებაში მივუძღვენი გულიდან ამოსული სტრიქონები. ლექსი სათაურით: „სიკეთისა და სითბოს მთესველი.“ (დაიბეჭდა „ათინათის“ წინა ნომერში). ამჟამად მიწვეული ვარ სხვა ქართულ აკადემიაშიც (საქართველოს ეროვნული აკადემიაში და სხვ).



### ტარიელ ხარატიშვილი



### ინცერტიუ მეცნიერებათა აკადემიის პრეზილენციან ბაჟონ გიორგი კვესიშვილისთან

წლევანდელი წელი რუსთაველის წლად არის გამოცხადებული, დიდმა მოგზაურმა ბაჟონმა ჯუმბერ ლეუავამ იმოგზაურა დევიზით „ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“ რას იტყვით ბატონ ჯუმბერ ლეუავაზე?

ბატონ ჯუმბერ ლეუავას მე ძალიან კარგად ვიცნობდი მას ქვეყნისთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია, მან დიდი როლი შეიტანა მსოფლიოში საქართველოს გაცნობის საქმეში.



ტარიელ ხარატიშვილი, გიორგი კვესიშვილი და გულნაზ ხარაიშვილი



## ნუცა სხირტლაძე



**ინფერვიუ ქარელის რთიონის სოფერ  
საციხეურის საჯარო სკოლის  
ლირექსორთან - ქადაფონ ცირა  
შუბითიძესთან**

### იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას პირადად არ ვიცნობდი. თუმცა მსმენია და წამიკითხავს მისი მოგზაურობის შესახებ. მან უდიდესი როლი შეასრულა იმისთვის, რომ საქართველოს კულტურა გაეტანა ჩვენს ფარგლებს გარეთ.



## ნატა სხირტლაძე



**ინფერვიუ ამბროლაურის გამგეტელთან  
ბაფონ მარხაზ ერმითათიძესთან**

### იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?

ჯუმბერ ლეჟავას მე ვიცნობდი ძალიან ახლოს, ჯუმბერ ლეჟავა იყო ჩემი უფროსი მეგობარი. ის იყო ტექნიკური უნივერსიტეტის ლირსეული წარმომადგენელი და მისი როლი, მისი ღვაწლი დიდია, მისი სახელი უკვდავად დარჩება. შემიძლია მრავალ მიმართულებით და მრავალ კონტექსტში დავახასიათო ეს მართლაც რომ უნიკალური კოლორიტული პიროვნება, მე ვარ ბეჭინიერი, და ვარ ამაყი, არათუ ვიცნობდი, მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა ბატონ ჯუმბერ ლეჟავასთან.

### რას გვეტყვით დაარსებულ მისივე აკადემიაზე?

მის მიერ დაარსებულ აკადემიას მე ვუსურვებ წარმატებას, ის მიზანსწრაფობა, ის სულისკვეთება, ის მიმართულება, ის სულიერება, ის ეროვნულობა და კიდევ სხვა რამ მრავალი კომპონენტი მე შემიძლია მოვიხსენო ბატონი ჯუმბერ ლეჟავას პიროვნების მიმართ და ყველა ის გრძნობა, მიმართულება რაც პირადი მისი იყო. მე დარწმუნებული ვარ რომ, ეს აკადემია იგივე გზით ივლის და მინდა მე ვუსურვო ამ მიმართულებით სკოლა და წარმატება.



## ლიზი ნადირაშვილი



ლიზი, ნალდი იმერელი კეთილშობილი კაცის განსახიერება იყო.

რას იტყვით მისი ფონდის შესახებ, როცა გამოვიდა მისი უურნალი „მოგზაური“, მერე შეფერხება იყო, რატომ ქონდა მას ფინანსური ჩავარდნები?

ჯუმბერი იმასთან ერთად, რომ საოცრად დიდებული და მასშტაბური კაცი იყო, ამასთან ერთად ჰქონდა გულუბრყვილო ხასიათი. ბევრი პირი ცდილობდა მიტმასნოდა მის სახელს, ბევრმა ისარგებლა მისი კეთილშობილებით და ამის გამო ფერხდებოდა მისი საქმიანობა.

## ინცერვიუ ჯემდე კუხაშვილთან

**თუ იცნობდით ბატ. ჯუმბერ ლეუავას?**

უკვე ავლნიშნე, რომ ძალიან ახლოს ვიცნობდი. მე და ჯუმბერ ლეუავა ვიყავით თანაკურსელები. ექვსი წელი ერთად ვსწავლობდით. შემდეგ გაიყო ჩვენი გზები, მაგრამ ვმეგობრობდით მთელი ცხოვრება, ბოლო წუთამდე.

**რაიმე კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდით ბატ. ჯუმბერთან მეგობრობის პერიოდში?**

კურიოზი თითქმის არ მახსენდება, იმიტომ რომ ჯ. ლეუავა საოცარი ღიმი-

## ტარიელ ხარატიშვილი



## ინცერვიუ ბატონი ახმეტავი- ძესთან

**– ბატონ ჯუმბერ ლეუავას მოგზაურობას თქვენ როგორი კუთხით უყურებთ?**

– არც ერთმა ქართველმა ახალგაზრდამ თუ ხანდაზმულმა არ თქვას – მე გაკეთება არ შემიძლია რაიმე ღირებულისო; უბრალოდ ჩვენი მისალმების უესტიდან ჩვენ სიტყვა პასუხიდანაც კი შეგვიძლია დიდი საქმე შევძინოთ ჩვენს სამშობლოს. ჯუმბერ ლეუავამ თავის სიცოცხლის რისკად მსოფლიოს გააცნო საქართველო.



სიცოცხლეშივე დაფასდა მისი წვლილი გაიხსნა მისი სახელობის აკადემია. ბატონი ჯუმბერი ერის საყვარელი ძვირფასი ადამიანი იყო.

## ილია ძმანაშვილი



**ინფერვიუ ქადაქ რუსთავის მე-17  
საჯარო სკოლის ლირეჟურორთან,  
ქადაფონ წევი გიქოვერთან**

**იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეუა-  
ვას?**

მქონდა ბედნიერება ბატონ ჯუმ-  
ბერის ნაცნობობის. პირადად ერთხელ  
შევხვდი ჩემს სამსახურში და არაჩვე-  
ულებრივი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში, საოცარია, რომ თავს უბ-  
რალო ადამიანად მიიჩნევდა ეს ბუმბერაზი „მოგზაურობის მეფე“.



## ილია ძმანაშვილი



**ინფერვიუ ბატონ უძნგი მოსიაძეისთან**

**იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეუავას?**

ჯუმბერ ლეუავას ვიცნობდი ახლოს. ბევრჯერ გვქო-  
ნია შეხვედრა როგორც პირადად, ასევე რაიონის მასშტა-  
ბით, ის იყო ჩემი ახლო მეგობრის ჯემალ კუხალაშვილის  
თანაკურსელი.



## ნათია ჯანგავაძე



**ინფერვიუ გიორგი კვაშილავასთან**

**როგორ იცნობთ ჯუმბერ ლეუავას?**

ჯუმბერ ლეუავა მსოფლიო მოგზაური და მოქალა-  
ქა. იგი იყო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ინ-  
ფორმატიკის დარგში. რამდენიმე გზის გინესის რეკორ-  
დსმენი. ბატონი ჯუმბერი საოცარი გულთბილი მოქა-  
ლაქე და მეგობარი გახლდათ. მისმა მოულოდნელმა და-  
ღუპვამ აუნაზღაურებელი ტკივილი მიაყენა იმ ფართო  
საზოგადოებას, რომლებისათვისაც იგი ადამიანობის ეტალონს წარმოადგენ-



და. ჯუმბერის უკვდავსაყოფად მისმა უახლოესმა მეგობრებმა შექმნეს მრავალპროფილიანი სა-მეცნიერო აკადემია, უურნალი „ათინათი“, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს პოეტი და საზოგადო მოღვაწე გულნაზ ხარაიშვილი.

### **რას იტყვით უურნალ „ათინათზე“, მის რედაქტორზე გულნაზ ხარაიშვილზე?**

უურნალი „ათინათი“ ჯერ კიდევ ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლის პერიოდში 2010 წელს დაარსა პოეტმა გულნაზ ხარაიშვილმა. უურნალი დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. რედაქტორის სასახელოდ უნდა ითქვას ის ფაქტი, რომ უურნალი ერთგულად მასპინძლობს, ცნობილ მწერლებს, მეცნიერებს, ხელოვნებს, მუშაკებს, ამავე დროს გულნაზ ხარაიშვილმა საკუთარი ინიციატივით შექმნა და ჩამოაყალიბა სხვადასხვა სულის პერსპექტიული მოსწავლეებისგან ახალგაზრდა ათინათელები, რომელთა შორის ბევრმა თავი გამოიჩინა, როგორც კარგი მომავლის მქონე თაობამ.

აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ უურნალის ადრეული ნოემბრის, სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში მე და ჩემი მომავალი მეუღლეც ვიყავით, სწორედ მახსოვს, რომ უურნალის პირველი ნომრის გამოსვლას დაემთხვა ჩემი და ელისო ცანავას დაქორწინება, ასე რომ ჩემი ოჯახი „ათინათიდან“ მოდის. უურნალ „ათინათს“ მის რედაქტორს, ქ-ნ გულნაზ ხარაიშვილს ვუსურვებ ჩვეულ წარმატებას.



### **ინცერტიუ გურამ ცერცვაძესთან**

#### **იცნობდით პატონ ჯუმბერ ლეჟავას?**

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა უნიკალური პიროვნება იყო, დიდი მოგზაური, რომელმაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანას გააცნო საქართველო, მისი ხალხი და კულტურა.

სამწუხაროდ პირადად არ ვიცნობდი. სასიხარულოა, რომ ფუნქციონირებს ქ-ნ გულნაზი ხარაიშვილის თაოსნობით დაფუძნებული ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.



## ნია ჯანგავაძე

## ინტერვიუ მამა გიორგისთან



— ამ ინტერვიუს გაკეთება ჯ. ლეუავას სახ. მეცნიერებათა მრავალპროფილიანი აკადემიის პრეზიდენტ ქალბ. გ. ხარაიშვილმა დამავალა, სანამ თქვენამდე მოვიდოდი ძალიან ვნერვიულობდი, ბევრს ვფიქრობდი, რა იცით მამაო ამ აკადემიის შესახებ?

— ამ აკადემიის შესახებ მსმენია, ცოტა მოგვიანებით კი მომეცა საშუალება გავცნობოდი მის არსებობას.

— მე ამ აკადემიის ათინათელი ვარ იცნობთ ამ აკადემიასთან არსებულ უურნალ ათინათს?

— დიდი ხანი არაა რაც ამ უურნალსა და ანთოლოგიას გავეცანი, იგი ჩემი აზრით სამეცნიერო-შემეცნებითი უურნალია და მასში თითქმის ყველა დარგია გაერთიანებული, ეს უურნალი ახალ მომავალ თაობას შესაძლებლობას აძლევს ჩამოაყალიბონ თავიანთი მომავალი პროფესიონალურ სპეციალისტად. ძალიან მომწონს მოსწავლეთა ჩართულობა, პატარების ინტერვიუები ცნობილ ადამიანებთან, ჩემში დიდ ინტერეს იწვევს ის ახალ-

გაზრდები, რომლებიც ლიტერატურულ-შემეცნებით გზას ადგანან. ვისურვებდი ყველა სკოლა და მისი აღსაზრდელები ჩართული იყვნენ ამ უურნალის გამოშვებაში, უფრო მეტმა მოსწავლე-ახალგაზრდობამ წამოადგინოს მის მიერ შექმნილი ლექსები, ჩანახატები, პიესები, მოთხრობები, რომლის საშუალებითაც შეექმნებათ მეტი დაინტერესება წიგნის მიმართ, გაუმჯობესდება სწავლის დონე, განუვითარდებათ დახვეწილი გემოვნება... ამით კი შესაბამისად გაძლიერდება უურნალიც.

— იცნობთ უურნალ „ათინათის“ მთ. რედაქტორს? თუ შეხვედრობართ მას?

— წილად მხვდა ეს ბედნიერება, ეკლესიაში სადაც მე ვმსახურობ, ამ წმინდა ადგილას გამეცნო გულნაზ ხარაიშვილი. იგი გამოირჩევა თავისი სიდინჯით, მე პირადად ჩემს მეუღლესთან ერთად ქალბატონ გულნაზის იუბილეზე მირზა გელოვანის სახ. ბიბლიოთეკაში ვიყავი.

— შეხვედრიხართ თუ არა ჯ. ლეუავას? იცნობდით თუ არა მას პირადად?

— შევხვედრივარ, ვიცნობდი როგორც მსოფლიო მოგზაურს, როგორც ბრწყინვალე ადამიანს, ქართველ კაცს, სულით და გულით პატრიოტს, ქართული ტრადიციების მატარებელს...



## თაკო ნებაძე



## ინფერვიუ მაყვადა გონაშვილთან

### იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა იყო ბრწყინვალე ადამიანი სამწუხაროდ უკანასკნელად მაჩაბელზე ვნახე, შევპირდით ერთმანეთს, რომ მაღვე ვნახავდით, თუმცა არ ვიყავი საქართველოში, როცა გავიგე რომ ბატონი ჯუმბერი გარდაიცვალა.



## ინფერვიუ ბერა არანიძეთან

### რას იტყოდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე?

ბატონ ჯუმბერს პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მისი საქმეები საუბრობენ მასზე.

„ეს მებრძოლი ხასიათი და მუდმივად სიახლის ძებნაა სწორედ ჩემი ცხოვრება და ჯერ კიდევ ბევრი მაქვს გასაკეთებელი“ თქვა გინესის 15 გზის რეკორდსმენმა. საქვეყნო ფაქტია, რომ მან 3333 დღე-ლამის განმავლობაში, რაც ცხრა წელინადზე მეტს შეადგენს, ველოსიპედით მარტომ მოიარა დედამიწის ყველა კონტინენტი, 232 ქვეყანა, ცხრაჯერ გადაკვეთა ეკვატორი და განვლო 264 ათასი კილომეტრი. ის გახლდათ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,

ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი – მსოფლიო მოქალაქე, გინესის წიგნის რეკორდმენი 14-ჯერ.

დავითიქებულვართ, რა მებრძოლი ხასიათი უნდა გქონდეს, რომ ეს შესძლო. დამერწმუნებით, რომ ეს შინაგანი ენერგია, სიმამაცე, მხოლოდ ერთეულების ხვედრია.

### მარიამ სებისკვერაძე



## ნოდარ ბერიძე



### ვეღომქრათონი „მშვიდობის გზა“ № 9 - 2

21 სექტემბერს, გაეროს მშვიდობის დღეს, თბილისიდან სტარტი აიღო ვეღომარათონმა „მშვიდობის გზა“ № 9, რომელიც გაგრძელდება თითქმის სამ წელს, მოიცავს ევრაზიის 40-ზე მეტ ქვეყანას, მარშრუტი შეადგენს 60 ათას კმ – ზე მეტს.

პირველი ეტაპი – თბილისი – სოჭი, 21.09. – 01.11.2018. 2600 კმ.

მეორე ეტაპი – თბილისი – მინსკი, 22.01. – 20.06.2019. 16 ქვეყანა, 11 500 კმ.

ევროპული თამაშების გახსნაზე მინსკში!

მესამე ეტაპი – მინსკი – ტოკიო, 12.07.2019. – 22.07.2020, 10 ქვეყანა, 25 000 კმ.

ოლიმპიური თამაშების გახსნაზე ტოკიოში!

მეოთხე ეტაპი – ტოკიო – თბილისი 30.07.2020 – 12.08.2021, 20 ქვეყანა, 25 000 კმ.

მარათონი ხორციელდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა – კურთხევით და ქართული, კავკასიური და საერთაშორისო საზოგადოების ფართო მხარდაჭერით. განხორციელებულია რვა ტური 26 ქვეყანაში. დაფარულია 58 000 კმ – ზე მეტი.

მისია – ხალხთა შორის მშვიდობის და ურთიერთგაგების განმტკიცება, სახალხო დიპლომატიის მხარდაჭერა და განვითარება, საქართველოს, კავკასიის და მონაწილე ქვეყნების ხალხური ტრადიციების პოპულარიზება.

მიზნები და ამოცანები –

- დიასპორებთან კავშირების გაღრმავება, სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობა;
- სპორტის, ჯანმრთელი ცხოვრების წესის და ტურიზმის პოპულარიზება;
- დაკარგული კავშირების აღდგენა და უგზოუკვლიდ დაკარგულთა მოძიება;
- რეგიონში ტურისტების, საქმიანი ხალხის და ინვესტორების მოზიდვა.

არსებული გამოცდილების პროგნოზი – ასობით შეხვედრები ქართულ და სხვადასხვა დიასპო-რებთან, მრავალჯერადი თV და რადიო გაშუქება, მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში, შე-ჯიბრებებში და ფოლკლორულ სალამოებში. პროექტში მონაწილეობას მიიღებს 100 ათასზე მეტი, ხოლო აუდიტორია 500 მილიონზე მეტი ადამიანი.

ყველას გთხოვთ ჩაერთოთ პროექტში და გაგვიწიოთ შესაძლო დახმარება, რომ მარათონის გადა-ადგილება:

მაქსიმალურად იქნეს გაშუქებული ინტერნეტსა და საინფორმაციო წყაროებში, შედგეს ერთობ-ლივი გარბენი თქვენს სახელმწიფოში, რეგიონსა თუ ქალაქში, შეხვედრები, აქციები და ღონისძი-ებები სხვადასხვა ორგანიზაციების, ვეტერანების და ახალგაზრდების მონაწილეობით. გვესაჭი-როება ყველანაირი გვერდში დგომა, რათა უკეთ იქნეს წარმოჩენილი ჩვენი მშვიდობისმოყვარეობა, სტუმარ – მასპინძლობა და ლამაზი ხალხური ტრადიციები!

გინვევთ ყველას – სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს საკოორდინაციო საბჭოში, მენეჯე-რებს, პარტნიორებს, მეცნიატებს და სპონსორებს საჭირო ისტორიულ პროექტში!

საკოორდინაციო საბჭოს საპატიო თავმჯდომარეები:

სსრკ სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი,  
„მუდამ სპორტული“ „ყველაზე ბებერი“ კომენტატორი, ჯამლეტ ხუხაშვილი

სსრკ სპორტის ოსტატი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,  
დ. მინდიაშვილის სახელობის ჭიდაობის აკადემიის დამაარსებელი და პრეზიდენტი,  
სსრკ, რსფსრ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი  
დიმიტრი მინდიაშვილი

მარათონის ავტორი, ორგანიზატორი და ძირითადი მონაწილე,  
ორგანიზაცია „ყველა ერთისათვის“ თავმჯდომარე,  
„დამელოდეს“ («ЖДИ МЕНЯ») წარმომადგენელი,  
ევრაზიის ხალხთა ასამბლეის სპორტული კომიტეტის წევრი  
ნოდარ ბერიძე

მარათონის მონაწილე, პოეტი, კომპოზიტორი, მომღერალი,  
თბილისის კავკასიური ფოლკლორის ყოველწლიური სალამოს ავტორი  
თამაზ ბორჩაშვილი

მარათონის მონაწილე უნიციკილით – ერთთვლიანი ველოსიპედით,  
კორეის 2018 წლის 100 კმ უნიციკლისტების მარათონის პრიზიორი,  
ბიოლოგი, ორიგინალური ჟანრის არტისტი  
რობერტ მარკოვი

მარათონის მონაწილე, გამცილებელი ავტომანქანის მძღოლი,  
ოპერატორი, ტექნიკური მხარდაჭერა და უსაფრთხოება  
ლევან ბერიძე

## პროექტის წარმომადგენლები:

**აზერბაიჯანი – ველოდებით თანხმობას!**

**რუსეთი – ნიკოლოზ ბუხონინი, შემოგვიერთდება დერბენტიდან კურსკამდე ავტომანქანით.**

სსრკ სპორტის ოსტატი, რეჟისორი, დრამატურგი, რუსეთის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი, რუსეთის ხალხთა ასამბლეის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ევრაზიის ხალხთა ასამბლეის გენერალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ევრაზიის ხალხთა ასამბლეის სპორტის კომიტეტის თანათავნჯდომარე. (დ. მინდიაშვილის მონაფე).

**უკრაინა – ვლადიმერ სოკოლოვი, 78 წლის, შემოგვიერთდება სუმიდან კიევამდე ველოსიპედით.**

უკრაინის სპორტული ტურიზმის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, სსრკ სპორტის ოსტატი, სპორტული ტურიზმის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი და საერთაშორისო კლასის ინსტრუქტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი, უკრაინის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.

**ბელარუსია – ნატალია ცილინსკაია, მრავალშვილიანი დედა, 28-გზის მსოფლიო თასების გამარჯვებული, 8 – გზის მსოფლიო ჩემპიონი, 2004 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, ბელორუსიის ველოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარე და ველოსპორტის ოლიმპიური მომზადების ცენტრის დირექტორი.**

## ველომცრაობის „მშვილობის გზა“ № 9 II ეფაზი თბილისი – მინსკი

- |  |                                  |
|--|----------------------------------|
| 1. თბილისი (100)                       | 25. ვორონეჟი 3 მარტი (130)       |
| 2. ქაზახი 22 იანვარი (120)             | 26. ლიპეცკი 5 მარტი (300)        |
| 3. განჯა 23 იანვარი (80)               | 27. ორიოლი 9 მარტი (170)         |
| 4. მინგეჩაური 24 იანვარი (75)          | 28. კურსკი 11 მარტი (160)        |
| 5. უჯარი 25 იანვარი (125)              | 29. სუმი 14 მარტი (190)          |
| 6. ჰაჯიგაბული 26 იანვარი (125)         | 30. ხარკოვი 17 მარტი (140)       |
| 7. ბაქო 27 იანვარი (30) 655            | 31. პოლტავა 19 მარტი (170)       |
| 8. სუმგაითი 30 იანვარი (140)           | 32. დნეპრი 21 მარტი (90)         |
| 9. ქუბა 31 იანვარი (95)                | 33. ბათოროვი 23 მარტი (170) 4475 |
| 10. დერბენტი 1 თებერვალი (130)         | 34. კრივოი როგი 26 მარტი (185)   |
| 11. მახაჩკალა 3 თებერვალი (90)         | 35. კრაპივნიცკი 28 მარტი (130)   |
| 12. ხასავიურტი 5 თებერვალი (85)        | 36. კრემენჩუგი 30 მარტი (135)    |
| 13. გროზნი 6 თებერვალი (90)            | 37. ჩერკასი 2 აპრილი (200)       |
| 14. ნაზრანი 8 თებერვალი (30) 1315      | 38. კიევი 5 აპრილი (600) 5260    |
| 15. ვლადიკავკაზი 10 თებერვალი (120)    | 39. კიშინიოვი 13 აპრილი (490)    |
| 16. ნალჩიკი 12 თებერვალი (80)          | 40. ბუქარესტი 20 აპრილი (355)    |
| 17. პათიგორსკი 14 თებერვალი (100)      | 41. სოფია 26 აპრილი (780)        |
| 18. ჩერკესკი 15 თებერვალი (110)        | 42. ათენი 5 მაისი (1050)         |
| 19. სტავროპოლი 17 თებერვალი (120)      | 43. ტირანა 16 მაისი (970) 8535   |
| 20. არმავირი 19 თებერვალი (120)        | 44. ბუდაპეშტი 25 მაისი (575)     |
| 21. მაკეოპი 20 თებერვალი (130)         | 45. პრაღა 2 ივნისი (950)         |
| 22. კრასნოდარი 22 თებერვალი (150)      | 46. ვარშავა 12 ივნისი (600)      |
| 23. პავლოვსკოე 24 თებერვალი (140) 2385 | 47. მინსკი 20 ივნისი 11500       |
| 24. დონის როსტოკი 25 თებერვალი (570)   |                                  |



## ფოტო ალბომილან



ჯუმბერ ლეჟავა სტუმრად ქარელის რაიონის სოფელ კოდაში,  
გულნაზ ხარაიშვილის ოჯახში



ჯუმბერ ლეჟავას შვილიშვილები და შვილთაშვილები  
გულნაზ ხარაიშვილის, გვანჯი მანიასა და მანონი ყუბანეიშვილთან ერთად.



კუმპერ ლეჟავა



გარი ჩაფიძე და კუმპერ ლეჟავა



ჟენია ნოზაძე, რობერტ ლარიბაშვილი, გულნაზ ხარაიშვილი,  
ზინაიდა კვერენტიშვილაძე, კუმპერ ლეჟავა, დარია ნოზაძე.





რობერტ ლარიბაშვილი, ჯუმბერ ლეჟავა, ...., გვანჯი მანია



ჯუმბერ ლეჟავა და გულნაზ ხარაიშვილი სტუმრად მცხეთაში



გულნაზ ხარაიშვილი და ჯუმბერ ლეჟავა. ჯვრის მონასტერი



ჯუმბერ ლეჟავა და ნაილი ხარაიშვილის შვილიშვილი



ჯემალ კუხალეიშვილი და ლიზი ნადირაშვილი



სახლი, სადაც ისვენებდნენ ჯუმბერ მალლაკელიძე  
და ჯუმბერ ლეჟავა

11/01/2006



ჯუმბერ ლეჟავა სტუმრად  
ბახვა სამხარაძესთან

07/07/2010



ჭიუხვის ტყე. ჯუმბერ ლექავა, გივი მიზანდარი, გურჯაანელი მასპინძელი.  
2005 წლის 24 ოქტომბერი.



ჭიუხვის ტყე. ალიშვილის ზურა გაბუნიას დაბადების დღე.  
2000 წლის 24 ოქტომბერი.



ჭიუხვის ტყე. ალნიშნეს ზურა გაბუნიას დაბადების დღე.  
2000 წლის 24 თებერვალი.



ჯუმბერ ლეჟავა. მდინარე მტკვარი.  
2009 წელი



ჯუმბერ ლეჟავა, ამირან გორგოტაძე, მანიქა გაბუნია,  
ზურაბ გაბუნიას ნამუშევრების ფონზე



ჯუმბერ ლეჟავა, თამაზ კიკნაძე, ვეფხია გუგეშაშვილი, მურად თარგამაძე.  
2008 წლის 24 თებერვალი



თამაზ კიკნაძე, ჯუმბერ ლეჟავა, მურად თარგამაძე.  
2008 წლის 24 თებერვალი



ამირან გორგოტაძე, ჯუმბერ ლეჟავა.  
2008 წლის თებერვალი



მეგი გაბუნია, თამაზ კიკნაძე, ჯუმბერ ლეჟავა.  
2008 წლის თებერვალი



ამირან გორგოტაძე, ზურა გაბუნია, თამაზ კიკნაძე, ვეფხია გუგეშმვილი, ჯუმბერ ლეჟავა, მურად თარგამაძე, ტარიალ კილაძე. 2008 წლის 24 თებერვალი



ჩამოვედით მცხეთაში ნავებით. ზურაჯუმბერ ლეჟავა, თამაზ კიკნაძე, ვეფხია გუგეშმვილი, მურად თარგამაძე. 2008 წლის 24 თებერვალი




მდინარე მტკვარზე დაშვების დროს, ჯუმბერ ლეუავა, ლეონიძ მიკელა,  
სამხატვრო აკადემიის სტუდენტი თამუნა. 2009 წელი, იანვარი.



ჭიაურის ტყის სანაპირო, გურჯაანელი მასპინძლები. ჯუმბერი, ზურა და გივი მიზანდარი.



მტკვარზე გორში, გორული მასპონძლები ჯუმბერი და ზურა.



კარავში ჯუმბერ ლეჟავა, ჩიკო და გივის სპანიელი. 2006 წელი, თებერვალი



კარავში ჯუმბერ ლეჟავა და ჩიკო.  
2007 წელი, თებერვალი



ალაზნის სანაპირო. ჯუმბერ ლეჟავა  
და გურჯაანელი მასპინძელი, 2003 წ.



მტკვარზე გორში, აკადემიის სტუდენტები, გორელი მასპინძლები,  
ჯუმბერ ლეჟავა, გივი, ლეონიძა და ზურა.



ლეონიდ მიკულა, ჯუმბერ ლეუავა,  
გიორგი ხატიაშვილი, ზურაბ გაბუნია  
ვარძია. 2009 წლის იანვარი.



ჯუმბერ ლეუავა, ლეონიდ მიკელა, გივი  
მიზანდარი, ზურაბ გაბუნია. მტკვარზე  
დაშვებისას შესვენება. 2009 წლის იანვარი



ზურა, ლეონიდა, ჯუმბერ ლეუავა, გივი.  
მდინარე მტკვარზე დაშვების დროს შესვენებაზე. 2009 წლის იანვარი



ჯუმბერ ლეჟავა, ლეონიდ მიკულა, ზურა გაბუნია.  
ბორჯომის ტყე-პარკი, 2009 წლის იანვარი



ჯუმბერ ლეჟავა და გივი მიზანდარი. ჭიათურის ტყე. 2007 წლის იანვარი



ვარძია, მტკვარზე დაშვების წინ. გვაცილებენ სამხატვრო აკადემიის  
თანამშრომლები, ექსკურსიის შემდეგ.  
ჯუმბერ ლეჟავა, გივი, ზურა, ლეონიდ მიკულა. 2009 წლის დეკემბერი



მდინარე ალაზნის სანაპირო, გურჯაანის მასპინძლებთან ერთად.  
ჯუმბერ ლეჟავა, გივი მიზანდარი, დუდანა ცქვიტინიძე, ზურა გაბუნია, ლაშა ნემსაძე.



მდინარე მტკვარი, პირველი არხის რეჟისორი გია პაპუაშვილი, გივი მიზანდარი, ლეონიძ მიკულა, ჯუმბერ ლეჟავა,, ზურა გაბუნია. 2007 წელი



გივი მიზანდარი, თამუნა (აკადემიის ტუდენტი), ჯუმბერ ლეჟავა,, ლეონიძ მიკულა. მდინარე მტკვარი, ბანაკის გაკეთების წინ. 2007 წელი



მდინარე ალაზანზე. კარავში ძინავთ ჯუმბერ ლეჟავასა და გივი მიზანდარს.  
2009 წლის თებერვალი



მდინარე მტკვარი, პირველი არხის რეჟისორი გია პაპუაშვილი, გივი მიზანდარი,  
ლეონიდ მიკულა, ჯუმბერ ლეჟავა,, ზურა გაბუნია. 2007 წელი

## სარჩევი

### მამა ამირან ამირანაშვილი

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა .....	3
<b>მონაზონი იოანა (ონიანი)</b>	
ლოცვათა წმიდათა მამათა ჩვენთა უფალო ისეო ქრისტე, შეგვიწყალენ ჩვენ! .....	5
<b>სერგი ლომაძე</b>	
ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას შესახებ.....	7
<b>ლუარა სორდია</b>	
ქართველი მამულიშვილი მსოფლიოს გზებზე .....	10
მსოფლიო მოგზაურისა და მსოფლიო რეკორდსმენის ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლისა	
და ჯანმრთელობისათვის ბრძოლის ინდივიდუალური პროგრამა .....	17
მსოფლიო მოგზაურის გინესის რეკორდები .....	21
მსოფლიოს გზებზე ქართული სახით .....	26
მოგზაურობა სიძნელით სავსე .....	34
სიყვარულის სასწაულები .....	42
<b>სულიკო თავბერიძე</b>	
ჩემი მეგობარი ჯუმბერი .....	49
<b>მურმან გელენიძე</b>	
კაცი ლეგენდა ჯუმბერ ლეჟავა .....	50
<b>ციალა ხაჟალია-ანდრიაძე</b>	
ჯიხაიში — დიდი მოგზაური და მისი ფესვები.....	54
<b>რეზო მიშველაძე</b>	
ჯუმბერი .....	56
<b>როინ მეტრეველი</b>	
გამორჩეული .....	60
<b>ჯუმბერ მარლანია</b>	
მოგზაური .....	61
<b>ალეკო დოლბაია</b>	
ჯუმბერ ლეჟავა - მსოფლიო მოგზაური .....	63
<b>ვიტალი გიგილო სიხარულიძე</b>	
ჯუმბერი .....	64
<b>ზურაბ გასიტაშვილი</b>	
დიდი ნებისყოფა .....	65
<b>მიხეილ ჯიბუტი</b>	
თბილისს დაამშვენებდა ძეგლი — „რაინდი ველოსიპედზე“ (ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნისადმი).....	66
<b>ლამარა გერგელავა</b>	
კეთილშობილი პიროვნების გახსენება .....	69

<b>გიორგი ბეჭიტაშვილი</b>	
ჯუმბერ ლეჟავას .....	70
<b>ირა ონიანი</b>	
ჯუმბერ ლეჟავას 80 წლისადმი მიძღვნილი მოგონებანი.....	71
<b>გერონტი მესხი</b>	
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიაში .....	72
<b>ლეილა გაფრინდაშვილი</b>	
უკვდავება .....	73
<b>რეზო ადამია</b>	
უძველესი ტრადიციები და დღევანდელობა .....	74
<b>ზურაბ გაბუნია</b>	
ჯუმბერ ლეჟავა (ჯუბა ბაბუ) როგორც ვეძახდით .....	75
<b>ზალ სიხარულიძე</b>	
ბატონი ჯუმბერი .....	76
<b>ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი</b>	
ჯუმბერ ლეჟავა გულის სიიდან არ ამოიშლება.....	78
<b>მერი სპანდერაშვილი</b>	
საქართველოს ისტორიის საძირკველში ჩადებული ოქროს ზოდი .....	81
<b>მირანდა ხოდელიძე</b>	
ბატონი ჯუმბერი იყო კაცი, მსოფლიო ლეგენდა.....	82
<b>თინათინ ხაბურზანია</b>	
გამოსათხოვარი ჯუმბერ ლეჟავას .....	83
<b>მანონ ყუბანევშვილი</b>	
ჯუმბერ ლეჟავა .....	83
<b>რუსუდან გორდეზიანი</b>	
ჯუმბერ ლეჟავა .....	84
<b>ლამზირა შეყილაძე</b>	
დაუვიწყარი ექსკურსია .....	85
<b>ლაშა ხარებავა</b>	
მსოფლიო მოქალაქე... .....	87
<b>გიორგი ლარიაშვილი</b>	
„შეუცნობელია გზანი უფლისანი”, შეუცნობელია სამანი ადამიანის შესაძლებლობებისა	88
<b>ნიკო ხერკელაძე</b>	
მოგზაური ბატონი ჯუმბერ ლაშავა .....	89
<b>თამარ ჯაჭვაძე</b>	
ჩვენს გვერდით ლეგენდა დადიოდა .....	90
<b>გაგა გულიაშვილი</b>	
გემშვიდობებით .....	92

**ოთარ ჯუმშაძე**

ჯუმბერ ლეჟავა .....	93
<b>რუსუდან კალანდაძე</b>	
დიდი მოგზაური .....	97
<b>ზაურ ბეჭია</b>	
ორიოდ სიტყვა ჯუმბერ ლეჟავაზე .....	95
<b>ლევან ბაბუხაძია</b>	
მარად დაუვიწყარი პიროვნება .....	97
<b>მზია ელიაძე</b>	
ბატონ ჯუმბერ ლეჟავას გახსენება .....	98
<b>ჯემალ ადამაშვილი</b>	
ჯუმბერ ლეჟავა — 80 .....	99
<b>სიმონ ზაქარაია</b>	
პირველი ინტერვიუ მსოფლიო მოგზაურობიდან დაბრუნებულ ჯუმბერ ლეჟავასთან .....	100
<b>Who Is Jumber Lezhava? (And Why Should You Care?) JUNE 30, 2011 BY TOM ALLEN</b>	104
<b>თეა კანდელაკი</b>	
ჯუმბერ ლეჟავას 80 წლის საიუბილეოდ მიძღვნილი სიტყვა	
<b>ნიკო ბალაშვილი</b>	
ჯუმბერ ლეჟავა — ლეგენდა .....	109
<b>მალხაზ ჩხიტუნიძე</b>	110
<b>გულიაძა სანოძე</b>	
ჯუმბერ ლეჟავას სახელი უკვდავყოფილი იქნება .....	111
<b>ედუარდ უგულავა</b>	
ჯუმბერ ლეჟავა — მსოფლიო მოქალაქე .....	112
<b>ნაირა უგულავა</b>	
„არ გაბედო სიკვდილი, სანამ ცოცხალი ხარ.“ .....	113
<b>ნუნუ გოგოლიძე</b>	
მარად ცოცხალი იდეები! .....	114
<b>ირინა ბალავიძე</b>	
ბატონ ჯუმბერ ლეჟავას .....	116
<b>გურა-ანგურა (გურამ გედევანიშვილი)</b>	
დიდ მოგზაურს * ჯუმბერ ლეჟავას .....	117
<b>ვალერი მოსიაშვილი</b>	118
<b>ნათია დაშნიანი {პოეტი}</b>	118
<b>ქეთი მაზიაშვილი</b>	
ბატონი ჯუმბერ .....	119
<b>ზეინაბ ასისტიშვილი-ქინიძე</b>	
ლირსეულს დავიწყება არ უწერია .....	119
<b>გულნაზ ხარაიშვილი</b>	

წლების გადასახედიდან.....	121
<b>ლარისა და თენგიზ გაჩეჩილაძეები</b>	

არ არსებობდა უფრო ახალგაზრდა წლოვანი, ვიდრე იყო ჯუმბერ ლეჟავა.....	124
<b>რობერტ ლარიბაშვილი, ხათუნა ლეჟავა</b>	
მოგზაური. ჯუმბერ ლეჟავასთან შეხვედრების შთაბეჭდილებები .....	126

## ცოცა რამ ჯუმბერ ღევთვას ლოიურებისან

### **ჯუმბერ ლეჟავა**

დიდი მოგზაურობა.....	139
საკაცობრიო მნიშვნელობის ღვთიური მისია შესრულებულია .....	139

## როგორ გავაძის რეცხოთ ნაცლოვი სიბერი

ჯუმბერ ლეჟავას „ჯანმრთელობის ფორმულა“. მეთოდიკა .....	161
რამდენიმე სიტყვა ავტორზე.....	162
ნეპისმიერ დროს, ნეპისმიერ ადგილზე (რეცენზია) .....	164
მეტად საჭირო ფორმულა აღმოჩენილია (რეცენზია) .....	166
ჯუმბერ ლეჟავას მიერ შემუშავებული ჯანმრთელი ცხოვრების წესი — წოლბჯენიდან	
მკლავებზე აზიდვების მეთოდიკა.....	167
მკლავებზე აზიდვების სისტემატიური ვარჯიში იძლევა შემდეგ შედეგს:.....	177
წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების ინტენსიური ვარჯიშების დაწყებამდე გირჩევთ გაიაროთ	
მომზადების 3 ეტაპი .....	177

## პოეტის თვალით დანხული ჯუმბერ ღევთვა

### **გულნაზ ხარაიშვილი**

დიდ მოგზაურს ჯუმბერ ლეჟავას .....	179
გრაალის რაინდი .....	179
მოგზაურს .....	180
წახვედი .....	180

### **მარინა ყიფიანი**

ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას! .....	181
-------------------------------	-----

### **ნაილი ხარაიშვილი**

მსოფლიო მოგზაურ ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას .....	182
--	-----

### **ნაირა ნიუარაძე**

მოგზაური ჯუმბერ ლეჺავა .....	183
------------------------------	-----

### **მზიური დათიაშვილი-აფციაური**

საპატიო ადამიანს .....	184
------------------------	-----

ბატონ ჯუმბერ ლეჺავას ხსოვნას! .....	185
-------------------------------------	-----

### **ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე**

ჟუმბერ ლექსავას .....	185
<b>ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე</b>	
ადამიანი მოდის და პიროვნებად რჩება .....	186
<b>ჯონდო კიკნაველიძე</b>	
ჟუმბერ ლექსავა .....	187
<b>მანანა ზაზიკაშვილი</b>	
ახლა ცაში ხარ .....	188
საოცარი გმირი .....	188
<b>ლეილა ვადაჭვორია</b>	
ჟუმბერ ლექსავას.....	189
<b>თემურ გოქსაძე</b>	
მოგზაური .....	190

## ი ნ ტ ე რ ვ ი უ რ თ ი უ ე ბ ი

ინტერვიუ მოგზაურ ჟუმბერ ლექსავასთან.....	191
გულნაზ ხარაიშვილი.....	193
ინტერვიუ ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტ ნუგზარ ნადარაიასთან.....	196
ინტერვიუ ზურაბ გასიტაშვილთან .....	197
ინტერვიუ ჟუმბერ ხარაიშვილთან .....	197
<b>თამარ ტყეშელაშვილი.</b> იუზა რობაქიძე - ბ-ნი ჟუმბერ ლექსავას უახლოესი მეგობარი .....	198
ინტერვიუ თემურ გოგიაძესთან.....	198
ინტერვიუ ზალიკო გამყრელიძესთან .....	199
ინტერვიუ ნუგზარ მიროტაძესთან.....	199
ინტერვიუ ვაჟა შუბითიძესთან.....	199
ინტერვიუ ზურაბ წვერაიძესთან .....	200
ინტერვიუ რეზო ჩხეიძესთან.....	200
<b>მერი ბერაძე.</b> ინტერვიუ დავით ქევხიშვილთან .....	201
ინტერვიუ ელგუჯა ნოზაძესთან .....	201
<b>ირაკლი დარსალია.</b> ინტერვიუ სამხატვრო აკადემიის რექტორ გიორგი გუგუშვილთან .....	202
ირაკლი დარსალია. ინტერვიუ ზურაბ გაბუნიასთან, სამხატვრო აკადემიის მხატვარ-ფერმწერთან.....	202
<b>ბექა ჩაბალოშვილი.</b> ინტერვიუ მამა ანდრეასთან.....	203
<b>თორნიკე ჩაბალოშვილი.</b> ინტერვიუ როინ მეტრეველთან .....	203
<b>ნანა სხირტლაძე.</b> ინტერვიუ ბატონ სულიკო სამხარაძესთან .....	204
<b>ნანა სხირტლაძე.</b> ინტერვიუ ბატონ ბახვა სამხარაძესთან .....	204
<b>მარიამ ხვედელიძე.</b> ინტერვიუ ქალბატონ ნელი ქველაძესთან .....	208
<b>ტარიელ ხარატიშვილი.</b> ინტერვიუ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან ბატონ გიორგი კვესიტაძესთან .....	209

<b>ნუცა სხირტლაძე.</b> ინტერვიუ ქარელის რაიონის სოფელ საციხეურის საჯარო სკოლის დირექტორთან — ქალბატონ ცირა შუბითიძესთან .....	210
<b>ნატა სხირტლაძე.</b> ინტერვიუ ამბროლაურის გამგებელთან ბატონ მალხაზ ლომთათიძესთან ..	210
<b>ლიზი ნადირაშვილი.</b> ინტერვიუ ჯემალ ჯუხაშვილთან .....	211
<b>ტარიელ ხარატიშვილი.</b> ინტერვიუ ბატონ ანზორ ჯაფარიძესთან .....	211
<b>ილია ძმანაშვილთი.</b> ინტერვიუ ქალაქ რუსთავის მე-17 .....	212
ინტერვიუ ბატონ უშანგი მოსიაშვილთან .....	212
<b>ნათია ჯაანგავაძე.</b> ინტერვიუ გიორგი კვაშილავასთან .....	212
ინტერვიუ გურამ ცერცვაძესთან .....	213
<b>ნია ჯაანგავაძე.</b> ინტერვიუ მამა გიორგისთან.....	214
<b>თაკო ნებაძე.</b> ინტერვიუ მაყვალა გონაშვილთან .....	215
მარიამ სებისკვერაძე. ინტერვიუ ბელა ალანიასთან .....	215
<b>ნოდარ ბერიძე</b>	
ველომარათონი „მშვიდობის გზა“ 9 II ეტაპი თბილისი – მინსკი .....	216
<b>ფოტო ალბომიდან</b> .....	219

მთავარი რედაქტორი  
გულნაზ ხარაიშვილი

რედაქტორი  
სერგი ლომაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
ნანა სხირტლაძე

გამომცემის რედაქტორი –  
გულნაზ ხარაიშვილი

**593 65 79 21**

---

---

გამომცემლობა „სარი“

ISBN 978-9941-477-48-5

A standard linear barcode representing the ISBN number 978-9941-477-48-5.

9 789941 477485